ზურაბ ყორანაშვილი

ილიას ფენომენი

თბილისი 2007

უაკ (4DC) : 821.353.1(092)
ყ - 642

ილიას თემაზე უამრავი რამ დაწერილა. მაგრამ რთული პრობლემა შეისწავლება ნაწილ-ნაწილ. მასზე წერენ ფილოლოგოსები, ისტორიკოსები, ეკონომისტები, იურისტები და ა. შ. თავიანთი პროფესიების თვალთახედვით. დიდად სამწუხაროდ, ანალიზს არ მოსდევს სინთეზი.

ავტორი, როგორც ისტორიკოს-ფილოსოფოსი, ცდილობს ილიას თემას მთლიანობაში შეეხოს. აქამდე ისტორიკოსები ძირითადად იფარგლებოდნენ ილიას, ვითარცა ისტორიკოსის საკითხით, ფილოსოფოსები კი მას, მით უფრო ბოლო ხანებში, ჩვეულებრივ გაურბიან. ამდენად, ავტორი შეეცდება ამ მხრივაც გამოასწოროს ქართულ მეცნიერებასა და ფილოსოფიაში არსებული აღნიშნული ხარვეზი.

წიგნი განკუთვნილია მეცნიერ-მუშაკთა, სტუდენტთა და საერთოდ, საქართველოს ისტორიითა და ქართული კულტურით დაინტერესებულ პირთათვის.

რედაქტორი **ალექსანდრე ბენდიანიშვილი,**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

© გ. ყორანაშვილი, 2007

გამომცემლობა „უნივერსალი", 2007

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-031-2

„ეარად და ყველგან საქართველოვ, მე ვარ შენთანა!...”
მე ვარო შენი თანამდევი, უკვდავი სული”.

ილია

„ილაპარაკეთ, ბევრი ილაპარაკეთ, ბევრი წერეთ, ბატონებო, ილიაზე, რაც შეიძლება ბევრი!”

ვაჟა-ფშაველა

„ილიას წმინდა სისხლის ღვარი უნდა შეიქმნეს ქართველი ერის ემბაზად, რომელშიაც გაბანილი და ნათელღებული, სულით ამაღლებული და გონებით გამოფხიზლებული ზე-აღდგება”.

კიტა აბაშიძე

„ყველა ქართველს ილია მიგვაჩნია არათუ მარტო დიდებულ მწერლად, ანუ ფასდაუდებელ მგოსნად, გინა თუ გამოჩენილ და სასიქადულო საზოგადო მოღვაწედ, არამედ უმთავრესად გზის მაჩვენებლად, ჭკუის მასწავლებლად”.

კალისტრატე ცინცაძე

„ილიას ნიჭი ისე დიდია და მრავალმხრივი, მისი მოღვაწეობა ისე ღრმა და ხანგრძლივი, რომ იმის სამშობლოსათვის ზრუნვა და ღვაწლი მომავალ თაობათათვის კვლევისა და ძიების საგანი იქნება”.

იაკობ ფანცხავა (ფხა).

ავტორისაგან

ილიას თემაზე მუშაობას 1986 წლიდან შეეუდექით. გვინდოდა იმხანად მოახლოებული იუბილესათვის მცირე ზომის მონოგრაფია მოგვემზადებინა. ამის თაობაზე დავითანხმეთ კიდეც ერთ-ერთი გამომცემლობის დირექტორი. მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, მან უარი განგვიცხადა. ამიტომ მოხდა ისე, რომ 1987 წლისათვის დიდი ქართველის იუბილეს მხოლოდ ერთი დაბეჭდილი სტატიით შეეხვდით ("ილიას ნააზრევი ერის შესახებ" - ჟურნალში "ისტორია და გეოგრაფია სკოლაში", 1987, № 3, ხოლო „ეროვნული და სოციალური განთავისუფლების საკითხი ილიას ნააზრევსა და პრაქტიკულ ნაღვაწში" დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში", 1988, № 11).

აღნიშნულ თემატიკაზე შემდგომ წლებშიც განვაგრძეთ მუშაობა. ჩვენს პრესაში გამოვაქვეყნეთ კიდეც რამდენიმე სტატია, ივანე ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში მუშაობისას კი შეეასრულეთ რამდენიმე წლიური ნაშრომი. მაგრამ, იმ ხანის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მეტი ჩაბმულობის გამოისობით, მოხდა ისე, რომ სამეცნიერო საკითხებზე არასაკმარისი ინტენსიურობით ვმუშაობდით. როგორც კი მოვიცალეთ, დავამუშავეთ რამდენიმე შესაბამისი საკითხი. თავად ილიას პრობლემატიკაზე მუშაობისას ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით მისი მკვლელობის საქმის შესწავლამ მიიპყრო, რის შესახებაც 2004 წელს გამოვაქვეყნეთ მონოგრაფია „წიწამურის ტრაგედიის საიდუმლო".

შეეეცადეთ გაგვეგრძელებინა ფილოსოფიურ-სოციოლოგიური მიდგომა ილიას შემოქმედებისა და პრაქტიკული ნაღვაწის შესწავლაში, რაც, საბედნიეროდ, ქართულ აზროვნებაში კარგა ხანია დამკვიდრდა (ვგულისხმობთ არჩილ ჯორჯაძის, კიტა აბაშიძის, გერონტი ქიქოძის, ვახტანგ კოტეტიშვილის, მიხეილ ზანდუკელის, ალექსანდრე მანველიშვილის, გრიგოლ კიკნაძისა და სხვათა შესაბამის შრომებს).

სამწუხაროდ, მონოგრაფიაში არ არის წარმოჩენილი, განზოგადებული, დიდი წინაპრის ესთეტიკური, ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი და მისთ. შეხედულებანი. იქნებ მოგვეცეს შესაძლებლობანი მომავალში შევავსოთ ეს ხარვეზი.

წიგნი დაფუძნებულია ილია ჭავჭავაძის ნაწერებისა და თხზულებათა სრული კრებულის ათტომეულის პავლე ინგოროყვასეულ (1951 – 1961 წლებში), პავლე ინგოროყვასა და

ალექსანდრე აბაშელისეულ გამოცემებზე (1925 – 1929 წლებში). გამოყენებულია აგრეთვე ის სტატიები, რომლებიც რიგ მკვლევართა (თამარ მაჭავარიანის, ალექსანდრე კალანდაძის, ლევან ჭრელაშვილის და სხვათა) მიხედვით ილიასადმი არის მიკუთვნებული, ასევე შესაბამისი კრებულები. აქა-იქ გვხვდება ციტატების გამეორება, რაც გამოწვეულია მათი სხვადასხვანაირი თვალსაზრისით განხილვის გამოისობით.

ასე რომ, წიგნი, რომელსაც ვთავაზობთ მკითხველებს, ჩვენი ხანგრძლივი შრომისა და ნაფიქრალ-ნააზრევის ნაყოფია. შეეცადეთ, რომ თითოეულ საკითხზე ილია მაქსიმალურად გველაპარაკებინა. თუ რა შედეგს მივაღწიეთ ამ მხრივ, დაე მკითხველებმა განსაჯონ.

3 მაისი, 1907 წელი.

წინასიტყვა

"ილია ყველგან ცდიდა თავის თავს: ის იყო პოეტი, ბელეტრისტი, დრამატურგი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, მეცნიერი, რეჟისორი, ფინანსისტი, ორატორი, ისტორიკოსი და კიდევ რამდენი სხვა, და ამიტომ არის, რომ ჩვენ დღესაც არ ვიცით, რომელ ამ დარგში ვეძიოთ მისი ნამდვილი სახე".

ტიციან ტაბიძე

ილიას მხატვრული შემოქმედების, ნააზრევისა და პრაქტიკული მოღვაწეობის თაობაზე საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ (ვგულისხმობთ ჩვენს პოლიტიკურ ემიგრაციას) უამრავი წიგნი, სტატია და მოგონება არის დაწერილი და გამოქვეყნებული. საკმაოდ ძლიერად მუსირებს აზრი ილიასმცოდნეობის, როგორც ქართველოლოგიის დამოუკიდებელი დარგის (მსგავსად რუსთველოლოგიისა) შესახებ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვერ ვიტყოდით, რომ თვისებრივი თვალსაზრისით ჩვენი დიდი წინაპრის ფენომენის[1] გაგება-გააზრებაში დიდ გარღვევებთან, მიღწევებთან გვქონდეს საქმე. ძირითადად შეისწავლიან ილიას ნააზრევისა და პრაქტიკული ნაღვაწის ცალკეულ მხარეებს, მთლიანობაში გააზრების მცდელობას კი ძალზე იშვიათად თუ აქვს ადგილი. მაგრამ ცნობილი გახლავთ, რომ ჯერ კიდევ არისტოტელემ უწყოდა ის გარემოება, რომ საგნის, მოვლენის ნაწილ-ნაწილ შესწავლა სულაც არ ნიშნავს მის მთლიანობაში შემეცნება-გააზრებას, რამეთუ ისინი უბრალო, მექანიკური შეერთების ჯამს კი არა, არამედ ორგანულ მთლიანობას წარმოადგენს. თანაც როდესაც ჩვენთვის საინტერესო საკითხის კვლევა-ძიებისას საქმე მიდგება ილიას ცხოვრების, შემოქმედებისა და პრაქტიკული მოღვაწეობის მთლიან გააზრებაზე, ეს ხდებოდა და ხდება სათანადო მეთოდოლოგიის გამოუყენებლად.

მავან ისტორიკოსთა მტკიცებით, მნიშვნელოვანი ისტორიული ხდომილების (მოვლენის), პიროვნების გააზრება უნდა მოხდეს ე. წ. დისტანციის თეორიის მიხედვით, ე. ი. დროის სათანადო მონაკვეთის გავლის შემდგომ. მაგრამ სულ მალე ილიას დაბადებიდან ასსამოცდაათი, ხოლო გარდაცვალებიდან (მოწამებრივი, ტრაგიკული აღსასრულიდან) ასი წელი შესრულდება, ასე რომ, საკმარისზე მეტმა

დრომ განელო იმისათვის, რომ სათანადოდ გაცნობიერდეს ილიას სიდიადე. მით უმეტეს, რომ გარდა უამრავი შესაბამისი გამოკვლევისა, არსებობს მისეულ თხზულებათა რამდენიმე გამოცემაც (თუმცა საშველი არ დაადგა აკადემიური ოცტომეულის გამოქვეყნებას; განვლილი ოცი წლის განმავლობაში მხოლოდ შვიდი ტომი იქნა გამოცემული).

მტკიცედ გვჯერა, რომ ილიას საკითხის მთლიანობაში წარმოდგენა უფრო ისტორიკოსს ან ფილოსოფოსს უნდა შეეძლოს. მაგრამ რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, ისტორიკოსები ვერ გასცდნენ ძირითადად ილიას საისტორიო ნააზრევის კომენტირებასა და გადმოცემას, ხოლო ფილოსოფოსები (ასევე სოციოლოგოსები) უკანასკნელ ხანებში მას საერთოდ გაურბიან.

დიდად სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ ქართულ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ აზროვნებაში ილიას ფენომენი ერთმნიშვნელოვნად როდი მოიაზრებოდა. ქართველი სოციალ-დემოკრატების (ესდეკების) შეხედულებით ილიაზე, როგორც დიდ ფენომენზე, ლაპარაკი მიუღებელი იყო. მოგეხსენებათ, ამის თაობაზე გაუკუღმართებული შეხედულებანი (ჯერ კიდევ დიდი ქართველის სიცოცხლეში) გააჩნდა თვითონ ნოე ჟორდანიას, კიდევ უფრო გამოიჩინა თავი (ჰეროსტრატესებურად!) ავადსახსენებელმა გრაფომანმა ფილიპე მახარაძემ, რომელსაც თავი სერიოზულ ლიტერატურათმცოდნედ და ისტორიკოსად წარმოედგინა. უფრო მეტად „გაშალა ფრთები" მან ამ მიმართულებით საბჭოთა ხელისუფლების დროს (1936 – 1937 წლებამდე). მეტიც, ამ ფრიად უღირს საქმეში მას „მხარს უმშვენებდნენ" სხვებიც, რომელთაც ერთ დროს ფილიპე მახარაძის „სკოლის" წარმომადგენლებად მოიხსენიებოდნენ.

ახლა, როდესაც ჩვენი ქვეყნის საერთო მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა (საქართველო გახდა თავისუფალი, დამოუკიდებელი) აღნიშნული თვალსაზრისით საგანგაშო თითქოს აღარაფერი უნდა გვქონოდა. მაგრამ, გარკვეული მიზეზებით, კვლავ ვაწყდებით ჩვენი დიდი წინაპრის (უახლოესი პერიოდის გამოჩენილი ქართველი პოეტის მურმან ლებანიძის შედარებით დავით აღმაშენებლის შემდგომ „მეორე სვეტის") შემოქმედების, ნააზრევისა და პრაქტიკული ღვაწლის იგნორირებასა და დაკნინებას. ეს ნათლად გააცნობიერა ჩვენმა ცნობილმა მწერალმა და მოაზროვნემ ოთარ ჭილაძემ, რომელიც დიდი გულისტკივილით წერს: „...გამორჩეული პიროვნებაა ჩვენთვის ილია ჭავჭავაძე, მაგრამ,

სამწუხაროდ, ყველამ როდი იცის ეს. პირიქით, ამ ბოლო დროს ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ჩვენი ზოგიერთი გაზეთი ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების გადაფასებას აპირებდეს, გადაფასებას იმ ფენომენისა, ურომლისოდაც საერთოდ წარმოუდგენელია ჩვენი არათუ სულიერი, არამედ ფიზიკური არსებობაც, ნებისმიერი თვალსაზრისით და ნებისმიერ პოლიტიკურ სიტუაციაში"[2]; „...დიახაც შემაშფოთებელია, ვერაფრით რომ ვერ მოვახერხეთ აქამდე საერთო აზრისა და შეხედულების შექმნა ჩვენი ერთადერთი მკურნალისა და ქომაგის მიმართ. შემაშფოთებელია, დღევანდელი ქართველი გულშიც რომ პოულობს ადგილს უსაფუძვლო და ბრმა სიძულვილი განუსაზღვრელი და უანგარო სიყვარულის წილ"[3]. უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1997 წელს, ფილოლოგოსი გურამ ბარნოვიც შენიშნავდა: „ილიას წინააღმდეგ ბრძოლა დღესაც არ შეწყვეტილა, შეგნებულად თუ შეუგნებლად, წინასწარგანზრახვით თუ უნებლიედ კვლავაც გრძელდება ილიას პიროვნების დაკნინება, მისი ღვაწლისა თუ შეხედულებების გაუფასურება"[4].

მოტანილი სტრიქონები იწერებოდა გასული საუკუნის ბოლოს, მაგრამ ვერ ვიტყოდით, რომ აღნიშნული თვალსაზრისით, საზოგადოების ერთ ნაწილში რაიმე შეცვლილიყოს. და ეს ხდება არა სპეციალური გამოკვლევების საფუძველზე, არამედ ხელაღებით, საერთო ეროვნული ნიჰილიზმიდან, კოსმოპოლიტიზმიდან გამომდინარე (იქნებ არც მთლად უანგაროდ!). ამგვარი „ფრიად განათლებულნი" პირნი, ევროპუმეები თუ ამერიკანუმეები, ჩანს, ილიაზე მსჯელობენ ვოლტერის, გოეთეს, ლევ ტოლსტოის ანდა თედორე დოსტოევსკის მაგალითებითა და საზომებით. მაგრამ ისინი ვერ აცნობიერებენ, რომ ილია საკუთრივ საქართველოსათვის, ქართველი ერისათვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ვოლტერი – საფრანგეთისათვის, გოეთე – გერმანიისათვის, ლევ ტოლსტოი და თედორე დოსტოევსკი – რუსეთისათვის.

ამის თაობაზე ჩვენი სასიქადულო წინაპარი, დიდი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი წერდა: „იქნება არც ერთს მსოფლიო გენიოსს არა ჰქონდეს იმოდენა მსოფლიო მნიშვნელობა თავისი ერისათვის, რამოდენაც აქვს ილია ჭავჭავაძეს საქართველოსათვის. ეს უმაგალითო მნიშვნელობა დამოკიდებულია, ერთი მხრივ, ილიას განსაკუთრებულ ნიჭზე, მეორე მხრივ, ჩვენი ქვეყნის დაცემაზე... თუ ქართველი მწერალი მგოსანია, საკმარისი არ არის იგი გენიალური პოეტი იყოს, – უკიდურესად საჭიროა, რომ ის გენიალური

პოეტი იყოს აგრეთვე გენიალური მოძღვარი, გენიალური პედაგოგი თავისი ერისათვის. სწორედ ასეთია ილია"[5]. როგორც ვხედავთ, იაკობ გოგებაშვილი სწორად ჩასწვდა ილიას ფენომენის განპირობებულობას საქართველოს დამონებული, კოლონიური მდგომარეობით. ვაჟა-ფშაველა აღნიშნავდა: „ილიამ ეროვნული საკითხი მკვიდრ ნიადაგზე დააყენა. იგია წარმომადგენელი მთელი საქართველოს ერისა, მისი იდეოლოგი"[6].

ქართველი პოლიტიკური ემიგრანტი, სერიოზული მოაზროვნე ისიდორე მანწკავა ილიაზე წერდა, რომ მან „დასაბუთება მისცა ეროვნულ იდეოლოგიას"; „ეროვნული იდეოლოგიის საფუძველებს", შექმნა „ეროვნული იდეოლოგიის ფილოსოფია"[7].

პოლიტემიგრანტი გივი კობახიძე აღნიშნავდა: „ილია ჭავჭავაძე საქართველოსათვის იყო იმაზე მეტი, რასაც სხვა ქვეყნებში „მეფე" ეწოდება. იგი იყო ყველაფერი მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში. ნამდვილი მეთაური, წინამძღოლი, მეურნე მოჭირნახულე, მფარველი, შემნახავი მშობელი ერისა, თავისი ხალხისა, სამშობლოსი, მისი კულტურის, მისი მეობის, მისი თავმოყვარეობის, მისი სიამაყის..."[8] ვიმეორებთ, მსგავსი რამის თქმა ვოლტერის, გოეთეს, ტოლსტოისა და სხვებზე სათანადო ქვეყნების მიმართ უსაფუძვლო იქნებოდა.

აღნიშნული ნიჰილისტური თვალსაზრისით გამოირჩევა ლევან ბერძენიშვილი – ფრიად საშუალო დონის მეცნიერი (კლასიკური ფილოლოგიის სპეციალისტი), ამჟამად პარლამენტარი, მასმედიის წყალობით დღევანდელ საქართველოში პოპულარული პირი. მისი უტიფარი, თავხედური, მეტიც – უვიცი განცხადებით: "ილია ჭავჭავაძეს – ასეთ ქართველ მწერალს მე არ ვიცნობ"-ო[9]. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მით უმეტეს ეხება ილიასეულ პოეზიას. ამ შემთხვევაში ახირებული პიროვნება მთავარ არგუმენტად მოიხმობს – "არ მომწონს ბულბული როგორ ყეფდა"[10]! მოგეხსენებათ, გემოვნებაზე არ დაობენ (ისე, კაცმა რომ თქვას, „კაცია-ადამიანის?!" პერსონაჟები ცდილობდნენ თავიანთი გასტრონომიული გამოვნების არგუმენტირებას), მაგრამ ამას გამართლება აქვს ყოფით დონეზე. რაც შეეხება ხელოვნებას, მეცნიერებას და ა.შ, ამაებზე დავა, კამათი, აუცილებელია და სასარგებლოც. მავანს, ახალი აზრის გამოთქმის პრეტენზიით რომ გამოდის, ხომ უნდა შეეძლოს თავისი პოზიციის დასაბუთება?

ამის შემდგომ რაღა უნდა გაგვიკვირდეს ლევან ბერძენიშვილის ასეთი განცხადებისა: "რა მაძლევს ხელს, რომ

ჩვენ სახელმწიფოს ავაშენებთ (ხოლო ეს, ერთხელაც გავიმეორებ, არის პატრიოტული იმედის ერთადერთი სახეობა)? – სწორედ ის, რაც ჩვენი ნაციონალისტების მრისხანებას და სასოწარკვეთამდე მისულ უიმედობას იწვევს: დაწყებულია ავტორიტეტების მსხვრევა – ჩვენში არასოდეს არ შეიძლებოდა წარსულზე გულწრფელად საუბარი, ახლა გაჩნდა დავით აღმაშენებლისა და ილია ჭავჭავაძის კრიტიკის საშუალება"[11]. მაგრამ მოგეხსენებათ, კრიტიკა ოდენ ძაგებას, აუგის თქმას არ ნიშნავს, არამედ ვინმეს ან რაიმეს მთლიანობაში განხილვას,ასეთი რამ კი ლევან ბერძენიშვილისთანა პირებს არ ძალუძთ. ისე, შევნიშნავთ, რომ ილიას და საქართველოს წარსულს, დავით აღმაშენებლის მეფობის ჩათვლით, განმაქიქებელნი არც უწინ აკლდა.

ილიასადმი სათანადო პატივის მიგების პარალელურად ჩვენში გაჩნდა ტენდენცია ნოე ჟორდანიას ისტორიული როლის არაჩვეულებრივი განდიდებისა და ილიასთან მისი გათანაბრებისა. 1999 წელს გამოსულ ისტორიკოს-მკვლევარ ვახტანგ გურულის წიგნში ასეთ პასაჟებს ვაწყდებით: „ილია ჭავჭავაძისა და ნოე ჟორდანიას დაპირისპირება იყო არა ორი პიროვნების, არამედ ორი ეპოქის, ორი სხვადასხვაგვარი გაგების დაპირისპირება. ეს დაპირისპირება რთული ეპოქის შედეგი იყო და იგი რაიმე ფორმით აუცილებლად უნდა არსებულიყო"[12]. ავტორი უფრო შორსაც მიდის, როცა წერს: "ნოე ჟორდანია ილია ჭავჭავაძის მტერი არ ყოფილა, მას არასოდეს უცდია ერის წინამძღოლის ნაზრევისა და ნაღვაწის უარყოფა. მათი პოლემიკა მხოლოდ და მხოლოდ იმის მაჩვენებელი იყო, რომ ორმა განსხვავებულმა ეპოქამ საქართველოს ხსნის ორი განსხვავებული პროგრამა წამოაყენა და ამდენად, ილია ჭავჭავაძისა და ნოე ჟორდანიას პოლემიკა სრულიად ბუნებრივ მოვლენად უნდა განვიხილოთ"[13]; "ილიას ნაღვაწის მემკვიდრედ გახდომა ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო ნოე ჟორდანიას ცხოვრებაში. აქ მთავარი მარტო მისი ადამიანური სურვილი არ იყო. მთავარი აქ იყო, რომ ნოე ჟორდანია მზად იყო ამ მისიის აღსრულებისათვის"[14].

ამ ორი პიროვნების აზროვნებისა და მოღვაწეობის გასაგებად ისტორიკოს-პოლიტოლოგოსი ვაჟა შუბითიძე გამოჩენილი ესპანელი მოაზროვნის ხოსე ორტეგა ი გასეტს იშველიებს: „ერთი თაობის საზოგადოებრივი ცხოვრება დაახლოებით ოცდაათ წელს გრძელდება. ეს ცხოვრება შეიძლება ორ პერიოდად და, მაშასადამე,

ორ ეტაპადაც დაიყოს. დაახლოებით თხუთმეტი წლის განმავლობაში ახალი თაობა ცდილობს დაამკვიდროს თავისი იდეები, მისწრაფებები თუ წარმოდგენები და, ბოლოს და ბოლოს, მიზანსაც აღწევს. მისი იდეები თხუთმეტი წლის მანძილზე დომინანტურნი ხდებიან საზოგადოებრივ ცხოვრებაში".[15] აქედან გამომდინარე, ვაჟა შუბითიძე დაასკვნის: „ილია ჭავჭავაძესა და ნოე ჟორდანიას დაპირისპირება – ეს იყო თაობათა ბრძოლის გაგრძელება ახალ ისტორიულ პირობებში, რომელიც, მათ შორის ტაქტიკური განსხვავების მიუხედავად, საქართველოს უკეთესი მომავლისათვის ბრძოლას ემსახურებოდა. ეს იყო ორი ეპოქის და ორი პოლიტიკური მოღვაწის არა პირადი მტრობა ან სიძულვილი, არამედ ჩვეულებრივი პოლემიკა, გინდაც თუნდაც პოლიტიკური ბრძოლა, რომელსაც ბუნებრივად აღვიქვამთ სხვა ქვეყნებში, მტკივნეულად კი – ჩვენს ცხოვრებაში"[16].

ამავე ავტორის მიხედვით, „ფიგურალურად თუ ვიტყვით, ილია ჭავჭავაძესა და ნოე ჟორდანიას ტაქტიკური და სტრატეგიული დაპირისპირება – ეს იყო დაპირისპირება ახალგაზრდა მებრძოლ გულსა და მხცოვან თავს შორის, რომელიც ყოველ ეპოქასა და ყველა ნორმალურ ქვეყანაში ხდება"[17]. უფრო კონკრეტულად, „თუ ამ თვალსაზრისით გავაანალიზებთ ილია ჭავჭავაძისა და ნოე ჟორდანიას თაობების მოღვაწეობას, მაშინ შემდეგი სურათი წარმოგვიდგება: ილია და მისი თანამოაზრეები სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ XIX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში და თავიანთი იდეების მეთოდურად დამკვიდრება დაიწყეს ძველ თაობასთან ჭიდილში. 70-იანი წლების ბოლოს ილიას თაობის შეხედულებანი და აზრები უკვე გაბატონებული ხდება ქართულ აზროვნებაში. ეს ეტაპი გრძელდებოდა 90-იანი წლების შუა ხანებამდე, როცა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა ნოე ჟორდანიას თაობა. ახლა მათ დაიწყეს მამათა თაობასთან პოლემიკა, იდეური ჭიდილი და თავისი აზრების და მრწამსის დამკვიდრება, რაც XX საუკუნის ათიანი წლების დასაწყისამდე შეძლეს. მერე კი მათი შეხედულებანი გაბატონებულ მდგომარეობას იკავებენ, რასაც თან ერთვის საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება. რომ არა ბოლშევიკთა მიერ საქართველოს ანექსია, უეჭველია, ნოე ჟორდანიას თაობას სხვა თაობა შეცვლიდა ასევე პოლემიკის და აზრთა ჭიდილის გზით და ეს თაობა უთუოდ იქნებოდა მემარჯვენე მიმართულების"[18].

მაგრამ საკითხს თუ უფრო ღრმად ჩავუკვირდებით, მაშინ ისტორიული სინამდვილე სხვაგვარად წარმოჩნდება, რაზედაც შემდგომ, სათანადო პრობლემებზე მსჯელობისას ვისაუბრებთ.

რაკი მავანმა „კრიტიკოსებმა" ეჭვი შეიტანეს ილიას, ვითარცა პოეტისა და მწერლის მხატვრულ აზროვნებაში, ჯერ ამ საკითხზე შეეჩერდებით.

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი (ფილოლოგოსი და ისტორიკოსი) ალექსანდრე ხახანაშვილი (1864 – 1912)) აღნიშნავდა: „შეუძლებელია ამოეწუროთ ყველა ის ადგილები, რომლებიც მოწმობენ ილიას მძლავრს შემოქმედებითს ნიჭს"[19]; „ქართულმა სიტყვა-კაზმულმა მწერლობამ მის ხელში მიაღწია ხელოვნების სიმწიფემდე"[20]. კერძოდ, "ოთარაანთ ქვრივი, როგორც ტიპი, შეუდარებელია ჩვენს მწერლობაში. იგი ჩამოსხმულია ქანდაკებასავით... იგი წარმოადგენს საუცხოეო სურათს ქართველის ქალის დასახასიათებლად"[21]. და განა მარტო ოთარაანთ ქვრივის მხატვრულ სახეზე ითქმის ასე! ფრიად ღირსშესანიშნავი ფაქტია, რომ ყველა დროის საუკეთესო ქართულ მცირე რომანად სცნეს ილიას „კაცია-ადამიანი?!" (2004 წელს იგი დაიბეჭდა კიდეც აღნიშნული სერიის პირველ ნომრად). მაგრამ განა ნაკლებად შეიძლება შეფასებულ იქნეს „გლახის ნაამბობი", „სარჩობელაზედ", „ოთარაანთ ქვრივი"[22]? იგივე შეიძლება ითქვას ქართულ პოემათა შორის მაგალითად „განდეგილის" მნიშვნელობაზე.

ილიას მხატვრულ შემოქმედებაში გვხიბლავს აზროვნების სიღრმე, რაც იქიდან მოდის, რომ იგი (ეს შემოქმედება) წილნაყარია ფილოსოფიასთან. თუმცა „...ფილოსოფია ფილოსოფიაა და პოეზია პოეზიაა!"[23], მაგრამ თვითონ ილიავე წერდა: "ფილოსოფია და პოეზია სრულებით არ არიან... კაცის სულიერი მხარის მეტყველების განკიდურებანი (უკიდურესობანი – **გ. ყ.**) და დამრღვეველნი ერთმანეთისა, ორივეს ერთი და იგივე წყარო აქვს, ერთი და იგივე საფუძველი - ჭეშმარიტება"[24]. ასევე ითქმის პოეზიისა და მეცნიერების ურთიერთკავშირზეც. ილიას მიხედვით, პოეზიასაც "მოვლა უნდა, უნდა პატრონობა, ხელის შეწყობა, გაზრდა და დაეაუკაცება, თუ ესე ითქმის. ეგ ისეთი აზიზი, მზეთუნახავი ყვავილია, რომ მალე ჭკნება, თავის სუნნელებას ჰკარგავს, თუ მეცნიერების შუქი არ ადგია, თუ მეცნიერება თავის უკვდავების წყაროს არ ასხურებს და სიბრძნის ხელი (კვლავ ფილოსოფიის მნიშვნელობაა ხაზგასმული – **გ. ყ.**) კიდევ დღე-მუდამ არა ჰფურჩქნის"[25].

კერძოდ ილიასეული პოეზიის მაღალი ფასეულობის ნათელსაყოფად გნებავთ ბუნების აღწერის ილიასეული ნიმუშები მოვიხმოთ. უპირველესად გავიხსენოთ პოემა „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ":

„სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილი
მწუხრის ზეწარი გადაეფარა, -
და მთვარის შუქზედ მთებისა ჩრდილი
ალაზნის ველზედ წამოიხარა.
ღამის გუშაგი, მუდამ მჭმუნავი
მთვარე მეფურად მძლავრად ყიდოდა,
მთებისა ყინვით ნაკეეთი თავი
იმის სხივებთან მუსაიფობდა.
შორნი მნათობნი მოკამკამენი
იმ მწუხრის ღამეს მხიარულობდნენ,
მდუმარს ქვეყანას, ვით საყვარელნი,
სხივებს ესროდნენ, ზედ დაჰხაროდნენ.
და იმ მნათობთა სხივის ალერსით
ველს მშვენიერსა ჩასძინებოდა,
მხოლოდ ნიავი მთისა — მოლხენით
ტყეში ფოთლებთან ლაზღანდარობდა.
და ალაზანი შეუპოვარი
ჰჩიოდა, თითქო კაცს ემდუროდა,
მის ბუტბუტს მარტო მთაი მდუმარი
დაფიქრებული ყურს მიუპყრობდა.
ყველას ეძინა, დღით ჰფეთქავს რაცა,
თითქო დაღლილა მიწაც და ცაცა!"

მოვიგონოთ „აჩრდილის" დასაწყისი:

„...აღმობრწყინდა მზე დიდებულადა
და გაანათლა ქვეყანა ბნელი,
კავკასის მთების წვერთა მაღალთა
ზედ გადაჰდინა ოქროს ნათელი.
აღმოჩნდა მთების ზემოთ მყინვარი,
ცისა და ქვეყნის შუა დაკიდულ,
იგივ ზვიადი, იგივ მძვინვარი,
იგივ დიდებულ და დადუმებულ.
ქვესკნელ ძალთაგან იგი მთა მედგრად
ცის გასარღვევად აღმოზიდულა,
მაგრამ მის სრბოლა ცაში უეცრად
თითქო განგებით შეყენებულა.
მისი ყინულით ნაკვეთი თავი
მოირთო მზისა ოქროს სხივებით,
ქვეყანას მშიშარს მის ფრთეთა ზვავი
დასცქერის რისხვით და მუქარებით,
თითქო ელისო განკითხვის დღესა,

რომ იგრიალოს, წამოიქუხოს,
ხმელეთს დაეცეს, მერმეთ ქვესკნელსა,
თეითც დაიღუპოს, ისიც დაღუპოს".

ცნობილია, რომ „განდეგილის" დასაწყისიც მყინვარისავე მხატვრული სახის გადმოცემით იწყება:

„სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა
ორბნი, არწიენი ვერ შეჰხებიან,
სად წვიმა-თოვლნი, ყინულად ქმნილნი,
მზისგან აროდეს არა დნებიან,
სად უდაბურსა მის მყუდროებას
კაცთ ურიამული ვერ შესწედენია,
სად მეუფება ჭექა-ქუხილსა,
ყინულს და ქართა მხოლოდ პშთენია..."

მოვიტანთ სხვა პასაჟს ამავე პოემიდან:

„მზე გადახრილი ჯერ კიდეე სრულად
მთისა გადაღმა არ დასულიყო
და მთის წვერზედ, ვით ცეცხლის ბორბალი,
ირგელივ სხივგაშლით ანთებულიყო.
ცისა ლაჟვარდი, ვით ნაკვერჩხალი,
წითლად და ყვითლად მზისგან პღუვოდა,
და განმსჭვალული მისით ღრუბელი
შორს ათას-ფერად სხივებში პთრთოდა".

ალბათ საკამათო არაა, რომ ბუნების აღწერის მსგავსი სურათების გადმოცემა ქართულ ლიტერატურაში მანამდე მხოლოდ გრიგოლ ორბელიანმა თუ შესძლო. მსგავსი რამ იშვიათია შემდგომი ხანის ქართულ პოეზიაში (მხატვრულ პროზაში გასახსენებელია ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედება).

საყოველთაოდ ცნობილი მიზეზების გამო მოხდა, რომ ილიამ მეტის გაკეთება ვერ შესძლო პოეზიასა და პროზაში (განსაკუთრებით). ამას ემატება ილიასეული ხასიათის ერთი ნიშანთვისებაც, რის შესახებაც დუშეთში პრაქტიკული საქმიანობისას პეტრე უმიკაშვილს (1836 - 1904) სწერდა: „მწერალს დამოუკიდებლობა უნდა, მწერალს თავისი დრო სულ მას უნდა ეკუთვნოდეს. სხვისა არ ვიცი და მე კი ასეთი აგებულებისა ვარ" (იხ. მეორე წერილი)[26]; „მე, სწორედ გითხრა, ცუდის აგებულების

კაცი ვარ. დიდი მოსვენება და შაღავათი მინდა, რომ დავწერო რამე და მინამ მე ჩინოვნიკობას თავს არ დავანებებ, ეგ მოსვენება და შაღავათი ჩემთვის სიზმარია, თუ დავიწყე რამე და არაფერმა არ დამიშალა, დაწყობულს მალე შევასრულებ, და თუ დაწყობული შემაწყვეტინა რამემ, გათავდა: მე იმ დაწყობულს ვეღარ მივუბრუნდები. ეხლანდელი ჩემი წყეული მდგომარეობა ისეთია, რომ წერისათვის ხანგრძლივი მოცალეობა არა მაქვს და ამის გამო ასე უხეიროდ და უნაყოფოდ მიდის ჩემი ორიოდე დღის ცხოვრება. დიდად ვწუხვარ ამგვარ მდგომარეობისათვის, მაგრამ შველა არსით არი"[27]. შემდეგში, როგორც ვიცით, ამ მხრივ ილიას მდგომარეობა არ გამოსწორებულა[28]. საერთოდაცო, ილიას შეხედულებით, "ლიტერატურული მოღვაწეობა ბუნებითად იმისთანა რამ არის, რომ დღე-მუდამ ფიქრსა და ტვინის მოძრაობაში უნდა იყოს მისი მიმდევარი კაცი. ამისთანა გარემოება აიძულებს კაცს მთლად ამ მოღვაწეობაზედ იყოს გადაგებული, გადადებული და მაშინ იგი მოიმოქმედებს მას, რის შემძლეც არის თავისის ნიჭითა და მომზადებულობითა. დღევანდელი ჩვენი ყოფა-ცხოვრება ამის ნებას არ იძლევა"[29].

მხატვრულ აზროვნებასთან ერთად ილია მრავალმხრივი სამეცნიერო (პოლიტიკური ეკონომია, გნებავთ „ეკონომიკური თეორია" ვიხმაროთ, ისტორიოგრაფია, სამართალმცოდნეობა, ლიტერატურათმცოდნეობა და კრიტიკა, ენათმეცნიერება, სოციოლოგია, ეთნოგრაფია, პედაგოგიკა, აგრონომია და მისთ.) ნიჭითაც გახლდათ დაჯილდოებული.

დიდი ქართველი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი საკუთრივ ისტორიოგრაფიის (საისტორიო მეცნიერების) მიმართ ასე წერდა: „ვინც მომავალში ქართული ისტორიოგრაფიის თავგადასავლის მე-19 ს. ამბების შესწავლასა და აღწერას შეუდგება, ის ვალდებული იქნება ისიც აღნიშნოს, რომ ილია ჭავჭავაძე დიდებული იყო მარტო პოეზიასა და პუბლიცისტიკაში კი არა, ანდა კიდევ მარტო ვითარცა ახალი სალიტერატურო ქართულის შემქმნელიც კი არა, არამედ რომ საქართველოს ისტორიოგრაფიაშიც მას ისეთი ღვაწლი ჰქონია, რომლის დავიწყების უფლება არც ერთს ქართველს არა აქვს"[30]. ჩვენ მხრივ ამის თაობაზე შევნიშნავდით, რომ თუ ილია საქართველოს ისტორიის სპეციალურ ჩაღრმავებულ შესწავლასა და გადმოცემას შეეცდებოდა და ამისათვის ოთხ-ხუთ წელს გადადებდა, ამ შემთხვევაში იგი დატოვებდა ჩვენი ისტორიის მშვენიერ განმაზოგადებელ ნაშრომს, რომელიც ტოლს არ დაუდებდა

გამოჩენილი ისტორიკოსის დიმიტრი ბაქრაძისეულ შესაბამის წიგნს. ვიტყვით იმასაც, რომ ილიამ ყველა ქართველ ისტორიკოსს (დღევანდელობის ჩათვლით) აჯობა თანადროულობის ისტორიის დაწერით (ეგულისხმობ მისეულ პუბლიცისტიკას საერთოდ, განსაკუთრებით „შინაურ მიმოხილვებს" (1879 – 1886 წლებისას).

გამოჩენილი ქართველი ენათმეცნიერი აკაკი შანიძე აღნიშნავდა, რომ თუმცა „რაიმე თეორიული ნარკვევი გრამატიკისა და სპეციალურად შემუშავებული სალიტერატურო ქართულის ნორმების სახით მას (ილიას – **გ. ყ.**) არ დაუწერია, მაგრამ რომ მოენდომებინა, უთუოდ კარგ გრამატიკასაც დაგვიწერდა"[31].

პროფესორი სარგის ცაიშვილი წერდა: „ილიას, მრავალი საზოგადოებრივი საქმისაგან დამაშვრალს, არც დრო და არც მოცალეობა უწყობდა ხელს ქართული მწერლობის ისტორიის სისტემური კურსის შესაქმნელად, რაც დიდი განძი იქნებოდა დღევანდელი ჩვენი მწერლობისა და მეცნიერებისათვის, ეს განზრახვა კი, როგორც ჩანს, პოეტს ჰქონია. ჩვენამდე შემონახულია ამ დიდი ჩანაფიქრის კონსპექტური გეგმა, რომელშიც ქართული მწერლობის განვითარების ძირითადი ეტაპებია მინიშნებული და წარმოჩენილია არაერთი თავისებურებები"[32].

საქართველოში რომ ფუტუროლოგია, როგორც სამეცნიერო დარგი, განვითარებული იყოს, კერძოდ, წარმოჩენილი იქნებოდა ილიას ნააზრევი ამ მიმართულებითაც. ილიას არა და არ სწამდა მომავალი, დემოკრატიული რუსეთისა საერთოდ და მისი სიკეთისა საქართველოს მიმართ (განსხვავებით, მაგალითად, აკაკი წერეთლისაგან, აღარას ვამბობთ ქართველ ესდეკებზე) და ამ მხრივ მონარქიული (მით უფრო კონსტიტუციური ფორმის) რუსეთისაგან ჩვენი ქვეყნისათვის უფრო მეტ პერსპექტივებს ხედავდა.

ილიასთან ახლოს მდგომი, ცნობილი სოციალისტ-ფედერალისტი გიორგი ლასხიშვილი მოგვითხრობს: „ილია იმ აზრის იყო, რომ რუსეთის რევოლუციის მამოძრავებელი ძალა აგრარული საკითხია. ქვეყნის უმრავლესობა გლეხობა არის... ამაზეა დაყრდნობილი სახელმწიფოს კეთილდღეობა, და სწორედ ეს წოდებაა ცუდ ყოფაში ჩაყენებული. რუსეთში დიდია გლეხთა მიწათმფლობელობის კრიზისი და აი, ამ მხარეს უნდა მიექცეს მთავარი ყურადღება. რუსეთი თავისებური ისტორიისა და კულტურის მქონეა, არ ვფიქრობ, რომ ის წავიდეს დასავლეთ ევროპის ჩვეულებრივი გზით, მისი განმათავისუფლებელი მოძრაობა შეიძლება საშინელ სტიქიურ „ბუნტად" გადაიქცეს და გლეხთა ამოძრავებულმა ძალამ ქვა-

ქვაზედაც არ დასტოვოს. ამ ცეცხლს მორიდება უნდა. პარტიებმაც, მთავრობამაც ანგარიში უნდა გაუწიონ ამას და რეეოლუციის გაღრმავების მაგიერ დაუყონებლივ შეუდგნენ აგრარული პრობლემის მშვიდობიანის გზით მოწესრიგებასო.

საზოგადოდ, ილია პესიმისტურად იყო განწყობილი და არაფერ კარგს არ მოელოდა რუსეთის რევოლუციისაგან"[33].

კერძოდ, ჩვენი, ქართველობის სამოცდაათწლიანი მწარე გამოცდილება ხომ ნათლად ადასტურებს ამ ილიასეულ პროგნოზს!

ილიას რაიმე ილუზია არ ჰქონია ქართველი და რუსი ხალხების (ერების) ერთმორწმუნოების (რელიგიურად) თაობაზეც. 1882 წელს ჟურნალ „ივერიის" ფურცლებზე ქართველობას იგი ასე შეაგონებდა: „...თვალები არ უნდა ავიხვიოთ და არ უნდა დავბრმავდეთ იმით, რომ ესა და ეს ხალხი ჩვენ თავის დღეში არ გვეწინააღმდეგება, რადგან ერთ-მორწმუნენი ვართო, ესა და ეს ერი ჩვენ მტრად არ მოვა, რადგან თანა-მორწმუნე ერს შევადგენთო. უკეთუ ჩვენ ამას ვერ მიეხვდებით, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ჩვენ პოლიტიკურად სრულიად გაუწვრთნელნი ვყოფილვართ, პოლიტიკური ალღო არ აგვიღია და ესრედ-წოდებულს პოლიტიკურ bon sens-ს სრულიად მოკლებულნი გხლებივართ"[34]. ძნელი არაა მივხვდეთ ვის გულისხმობდა ჩვენი დიდი წინაპარი ამ „ინკოგნიტო" ხალხში. თუ როგორ დაადასტურა ისტორიულმა გამოცდილებამ ეს ილიასეული ნაწინასწარმეტყველევი, ქართველობამ, ესეც, რომ იტყვიან, საკუთარ ტყავზე იწვნია ჯერ 1921 წელს და ვიწვნევთ უახლოეს პერიოდშიც, 1990-იანი წლებიდან მოყოლებული.

1889 წელს დაწერილ სტატიაში „ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი" ილია წერდა: „ერის სიმდიდრე და კეთილდღეობა ამერიკის შტატებისა იმდენად სჯობნის ევროპისას, რომ ვაჭრობასა და მრეწველობაში შტატები ყოველისფრით წარმატებულნი არიან ევროპაზე და თანდათან იმორჩილებენ ევროპას. თუ საქმე ამრიგად წავიდა, იმედია, რომ შტატები ეკონომიურად სულ ერთიანად დაიმორჩილებენ ევროპას"[35]; ისინი (ამერიკის შეერთებული შტატები) „მხედრობით გატაცებულს ევროპას კიდევ უფრო დასცემენ ეკონომიურად და მსოფლიო მეთაურობას დაიმკვიდრებს ამერიკა"[36].

აზიის მიმართ ილია ასეთსავე როლს მიაკუთვნებდა იაპონიას: „ვინ იცის, იქნება იაპონიამ პირველი მესვეურობა გაუწიოს აზიას ევროპის ცივილიზაციის ზედმოქმედების ქვეშ წარსამატებლად და განთიადმა განათლებისამ თავისი სხივოსანი შუქი პირველ იქიდამ მოჰფინოს მთელს აზიასაცა. ამბობენ, იაპონელი ამისათვის

არც ნიჭს არის მოკლებული და არც უნარსაო"[37].

დღეს, მოგეხსენებათ, საქართველო არა მხოლოდ პოლიტიკურად, არამედ კულტურულადაც ორიენტირებულია დასავლეთზე. მაგრამ ამგვარი ორიენტაციის ძირები შორს, ისტორიის სიღრმეებში, მიდის. დიდად ერუდირებული, ჭეშმარიტად მოაზროვნე პიროვნება გერონტი ქიქოძე შენიშნავდა, რომ XVI – XVII საუკუნეების საქართველოში დადგა პრობლემა „როგორ უნდა დაეუბრუნდეთ იმ დიადს ოჯახს განათლებული ერებისას, რომელსაც ვეკუთვნით „ჩვენი წარსულით და ჩვენი სულიერი წყობილებით"; „აქედან გამომდინარე, ეჭვი არაა, რომ ჩვენი ხსნა მხოლოდ ევროპაშია"[38]. ამ თვალსაზრისითაც დიდ ნიშანსვეტს წარმოადგენს ილია. გერონტი ქიქოძისაევ მიხედვით, „წარსულს საუკუნეში ეს გარემოება არავის უგრძენია ისე ნათლად, როგორც ილია ჭავჭავაძეს. წარმოშობით და ბუნებით ქართველი, ნასაზრდოები და აღზრდილი სხვათაშორის რუსული მწერლობის მიერაც, ის თავისი მისწრაფებით, სიმპატიით და იდეალებით ნამდვილი ევროპიელი იყო... ამაში მდგომარეობს დიდი ისტორიული მნიშვნელობა ილია ჭავჭავაძისა, რომ მან ჩვენს გამოურკვეველს და ინსტინქტიურს ლტოლვას ევროპისადმი გარკვეული და შეცნობილი მიმართულება მისცა"[39].

ილია სოციალიზმის მოლოდინით გათანგულ საქართველოში კატეგორიულად აცხადებდა: „კერძო საკუთრება, ჩვენდა საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, ჯერ კიდევ დიდ ხანს იქნება დიდს პატივში და მის სარბიელზე ძალმომრეობა, ერთმანეთზე მისევა, ვინც გინდ იყოს, იაფად არ დაუჯდება"[40]. ესეც ხომ მშვენივრად გამოჩნდა!

როგორი აქტუალურია ილიას სიტყვები, გამოთქმულნი 1879 წელს: "...აზია საერთოდ და ჩვენ თითონ საკუთრივ ვართ საჭირონი არამც თუ ჩვენის თავისათვის მხოლოდ, არამედ სხვისათვისაც. თუმცა ბევრი რამ შეიცვალა ქვეყნიერობაზედ ამ ხუთას-ექვსას წელიწადში, მაგრამ ეს მიწის-ყელი, რომელსაც კავკასიას ეძახიან, რომელიც აზიისა და ევროპის კარად ყოფილა უწინ და რომლის დაპყრობისათვის ბევრი სხვადასხვა ხალხის სისხლი დაღვრილა, მაინც ისევ კარად დარჩა და ხალხთა შორის შუღლისა და ცილების მიზეზად იქნება კიდეც"![41] კომენტარები, რომ იტყვიან, მართლაც ზედმეტია!

ასევე ყურადსაღებია დიდი წინაპრის შემდეგი შეგონება: წუთისოფელთან ჭიდილში „ჩვენ მარტო იმას უნდა ვეცადოთ, – პური იმოდენად მოვიყვანოთ, რომ სასყიდელი არ გაგვიხდეს ჩვენ და ჩვენს შინაურს ბაზარს"[42]. ძველი ესდეკის („მენშევიკის", სხვათა

შორის ილიას შეურიგებელი იდეური მოწინააღმდეგის, შემდგომ პარტიული რენეგატის, „ბოლშევიკის")[43] პეტრე გელეიშვილის მოგონებით, მას თვითონ ილიასაგან მოუსმენია, რომ „საქართველოს თავისუფლება უშინაარსო სიტყვა იქნება მანამდე, სანამ თავის საკუთარ ტერიტორიაზე საკმაო პურს არ მოიყვანს"-ო. იგი „თურმე ოცნებობდა ექვს მილიონ ოქროს მანეთზე, რომლითაც ფიქრობდა ალაზნის, ტირიფონისა და სხვა ველების მორწყვის საქმის მოგვარებას"[44].

რაც შეეხება ილიას, როგორც ფილოსოფოსს, თუმცა ამ სფეროში მას ხანგრძლივად არ უმუშავია, კერძოდ, საფუძვლიანად არ შეუსწავლია დიდ ფილოსოფოსთა მოძღვრებანი, საგანგებოდ არ უძიებია შემეცნების თეორია (გნოსეოლოგია), მაგრამ სრული საფუძველი გვაქვს დავასკვნათ, რომ მის თხზულებებში ბლომად ფიგურირებს ფილოსოფიური აზროვნების მშვენიერი ნიმუშები. ამ მხრივ გამორჩეულია მისეული ვრცელი ნაშრომი „ცხოვრება და კანონი". ბოლოს და ბოლოს, ფილოსოფიის საბოლოო მიზანი ხომ სიბრძნის დაუფლებაა, ჩვენი დიდი მოღვაწე კი უთუოდ იმსახურებს მოაზროვნის, მეტიც, ჩვენი კულტურის თვალთახედვით — დიდი მოაზროვნის ტიტულს. კვლავ გავიმეორებთ: ფილოსოფიის ისტორიის ნაკლები ცოდნის მიუხედავად, მას ჰქონდა მაღალნიჭიერება და ფართო ერუდიცია, ენციკლოპედიური განათლება. ასე რომ, ამ მხრივაც შემდგომ თაობებში, როცა ასე მომრაველდნენ პროფესიით ფილოსოფოსები, მასთან ახლოს ვერავინ მივა (ასე თუ ისე, ამას არჩილ ჯორჯაძესა და გერონტი ქიქოძეზე თუ ვიტყვით).

უამრავ პრაქტიკულ ნიჭთაგან გამოვყოფთ ილიას როგორც პოლიტიკოსის ნიჭიერებას. ამ თვალსაზრისით მარტო ის რად ღირს, რომ დიდად ამბიციური იოსებ სტალინი ამ მხრივ ილიას თავისზე წინ აყენებდა და აღიარებდა, რომ უკანასკნელი მსოფლიოს პრეზიდენტად გამოდგებოდაო (ამაზე იხილეთ წიგნის ბოლოს). თქმულის ნათელსაყოფად საკმარისია გავითვალისწინოთ ილიას პოლიტიკური საქმიანობა განსაკუთრებით 1905 – 1907 წლების განმავლობაში, განსაკუთრებით მისი აქტიურობა რუსეთის სახელმწიფო საბჭოში (1906 – 1907 წლებში).

ერთი სიტყვით, მართალი გახლდათ ცნობილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე მიხაკო წერეთელი (1878 – 1965), როდესაც მკვეთრად გახაზავდა ილიას მრავალმხრივ ნიჭიერებას: „ილია ყოველ მხრივი მოღვაწეობით გაცილებით მაღლა იდგა ყოველ

თავის თანამედროვეებზედ და თანამოღვაწეებზედ, – თავისი მრავალფეროვანი ნიჭითა და ყოველმხრივი შემოქმედებით"[45].

მიუხედავად ამგვარი მრავალმხრივი ნიჭიერებისა (უფრო სწორად: მაღალნიჭიერებისა), ილიამ ვერ ჰპოვა სათანადო აღიარება თანადროულ საქართველოში. აღარას ვამბობთ საბჭოთა საქართველოს საკმაოდ ვრცელ პერიოდზე. ტიტულებისა: „ერის მამა" და „უგვირგვინო მეფე" ბევრ იმდროინდელ ქართველს არა სჯეროდა. ძალაუნებურად გვახსენდება კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვები, რომლებიც მან თავის ჩინებულ საისტორიო რომან „დიდოსტატის მარჯვენაში" მეფე გიორგი პირველს ათქმევინა: „ოდითგანვე ასე მოგვდგამს ქართველებს, მუდამ ჩვენს სიმცირეს მივსტიროდით, რადგან მტერი აურაცხელი გვყავდა მუდამ, მაგრამ დიდი კაცი თუ გამოგვერია, მას ისე დავკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები"[46]. ასევე ძალაუნებურად გვაგონდება ცნობილი ფილოსოფოსისა და ლიტერატურათმცოდნის კონსტანტინე კაპანელის დაკვირვებაც: „მთელი უბედურება ქართველი ხალხისა ის არის, რომ ქართველს უფრო ოპოზიციაში ემარჯვება ყოფნა, ვიდრე პოზიციაზე დადგომა"[47]. იმის გამო, რომ რაკი ილია ხშირად პოზიციაში იდგა, ბევრნი მას ეწინააღმდეგებოდნენ, ოპოზიციაში ედგნენ, ამით, ჩვენი მყარი შეხედულებით, სურდათ საკუთარი თავის თვითდამკვიდრება მოეხდინათ. ვფიქრობთ, მსგავსი ტრადიცია ამჟამადაც გრძელდება. თუმცა ამას სხვა პირობებიც თან ახლავს.

ამიტომაც იყო, რომ ჩვენმა დიდებულმა წინაპარმა, სხვა არახელსაყრელ ობიექტურ პირობებთან ერთად, ვერ შესძლო ეთამაშა უფრო მეტად მნიშვნელოვანი როლი ჩვენს ისტორიულ პროცესში (განსაკუთრებით 1890-იანი წლებიდან მოკიდებული). მაგრამ მსგავსი რამ უნდა გამოირიცხოს დღევანდელ საქართველოში, არ უნდა დავუშვათ, რომ ილიას მისამართით გამოთქმულმა უკეთურმა შეხედულებებმა კვლავ სათანადო ნიადაგი ჰპოვოს.

დაბოლოს, იქნებ თანამედროვე კოსმოპოლიტებს არ აწყობთ ილიას ნაციონალიზმი? მაგრამ ეს ხომ იგივე პატრიოტიზმია, თანაც შორს მდგომი ე. წ. მუავე პატრიოტიზმისაგან, რის თაობაზეც ჩვენი დიდი წინაპარი "მგზავრის წერილებში" ირონიულად წერდა: "ოჰ, მამულის კვამლო, მართლა-და ტკბილი და სასიამოვნო ხარ: ხანდისხან ისე აგვიბამ თვალებს ხოლმე, რომ ჩვენს საკუთარს უბედურობასაც ვერა ვხედავთ"[48]. გნებავთ მშვენიერი სატირული ლექსი "ბედნიერი ერი" გაიხსენოთ. ისიც ხომ კარგად ცნობილია, რომ ილიასეული პატრიოტიზმი (ნაციონალიზმი) არავითარ

შემთხვევაში არ გადადიოდა შოვინიზმში, სხვა ხალხების ეთნიკური ჯგუფების იგნორირებასა და დაჩაგვრაში. ამ თვალსაზრისით ილიას მრწამსის ნათელსაყოფად მხოლოდ ერთი აზრის მოტანას დავჯერდებით: „როგორც წარსულში ჩვენი ერი იბრძოდა არა სხვა ხალხების დამონაევებისათვის, არამედ საკუთარი დამოუკიდებლობის დასაცავად, ისე ახლა ჩვენი მამულისშვილები მოღვაწეობენ არა იმ განზრახვით რომ სხვანი დავთრგუნოთ და მათი დამცირებით ვისიამოვნოთ, არამედ იმისათვის, რომ ჩვენ ერსაც გავუკვლიოთ გზა გონების განვითარებისა, ზნეობის ამაღლებისა და კეთილ დღეობისა"[49].

ამ თვალსაზრისითაც ილია და მისი თანამოაზრენი ჩვენი მარადი თანამედროვენი არიან!

---

[1] მოცემულ შემთხვევაში, ცხადია, ვგულისხმობთ სიტყვის (phainómenon) მნიშვნელობას არაჩვეულებრივი მოვლენის, იშვიათი ფაქტის აზრით და არა ფართოდ გავრცელებულ ფილოსოფიურ მოსაზრებას.

[2] ოთარ ჭილაძე, ბედნიერი, ტანჯული ავტორის კრებულში: „ესე, პუბლიცისტიკა, ინტერვიუ", თბ., 2003, გვ. 13.

[3] იქვე.

[4] იხ. ავტორის სტატია „გაუსრულებელი წიწამური", „ლიტერატურული საქართველო", 12 – 19 დეკემბერი, 1997.

[5] ილიას სამრეკლო, თბ., 1988, გვ. 10– 11.

[6] იქვე, გვ. 22.

[7] ილია ჭავჭავაძე, ილია ემიგრანტთა თვალით, ტ. II, თბ., 1996, გვ. 54, 55, 58. იხ. აგრეთვე იოსებ იმედაშვილი, მისი აზრი გვიძღოდა წინ, გაზ. "კომუნისტი", 1986, 19 აგვისტო.

[8] ილია ემიგრანტთა თვალით, ტ. I, თბ., 1996, გვ.157.

[9] იხ. მასთან ინტერვიუ "დილის გაზეთში", 17 იანვარი, 2000 წელი.

[10] იხ. გაზ. "ახალი თაობა", 2000 წ., 26 იანვარი. აქედანვე ჩანს, თუ როგორ იცნობს იგი ძველ ქართულ ლიტერატურას.

[11] იხ. კრებული "საქართველო ათასწლეულების გზასაყარზე", თბ.,2005, გვ. 74-75. სხვათა შორის, ლ. ბერძენიშვილი მზადაა აღიაროს ილიას, როგორც ეროვნული მოღვაწის ფასეულობა, მაგრამ ამგვარი შენიშვნით: "ილია ჭავჭავაძე ცოცხალი რომ ყოფილიყო, თვითონვე არ დააკმაყოფილებდა საკუთარი ეროვნული კონცეფცია და აუცილებლად შეეცდებოდა მის სრულყოფას"-ო. "ლიტერატურული საქართველო", 2000, 14-20 აპრილი.

[12] იხ. ავტორის "ნოე ჟორდანია. პოლიტიკური პორტრეტი 1869 თბ., 1999, გვ. 29.

[13] იქვე, გვ. 31, იხ. აგრეთვე გვ. 134, 151.

[14] იქვე, გვ. 73.

[15] ორტეგა ი გასეტი, მასების ამბოხი, ბაჩანა ბრეგვაძისეული თარგმანი, თბ., 1993, გვ. 93– 94. ცნობილი ესპანელი მოაზროვნე აქ მოტანილ აზრს შემდეგნაირად აკონკრეტებს: "თუ თაობა აღზრდილია მშვიდობიან ვითარებაში, სადაც ბატონობს წინა თაობის, ესე იგი, მამების აზროვნების მანერა, მაშინ ის ცდილობს ახალი იდეები, მისწრაფებები და წარმოდგენები თავს მოახვიოს საზოგადოებრივი ცხოვრების ატმოსფეროს. თუ უფროსი თაობის იდეები, მისწრაფებები და წარმოდგენები ექსპერიმენტული ხასიათისაა, მაშინ ახალი თაობა ანტიექსპერიმენტულად და ანტირევოლუციურად იქნება განწყობილი, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რესტავრაციის მომხრე იქნება. სწორედ ესაა ახალი თაობის ნებისმიერი მოღვაწეობის არსი. რა თქმა უნდა, რესტავრაცია სულაც არ ნიშნავს წარსულისაკენ უბრალო "მიბრუნებას", რაც, კაცმა რომ თქვას, არც არასოდეს მოჰყოლია შედეგად არავითარ რესტავრაციას". იქვე, გვ. 94.

[16] ვაჟა შუბითიძე, ნოე ჟორდანიას პოლიტიკური შეხედულებები, სადოქტორო დისერტაციის ხელნაწერი, თბ., 2003, გვ. 70 – 71.

[17] იქვე, გვ. 64.

[18] იქვე, გვ. 60.

[19] ალ. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია (XIX ს.), ტფილისი, 1912, გვ. 112.

[20] იქვე, გვ. 113.

[21] იქვე, გვ. 110.

[22] ამ ნაწარმოების შესახებ თანამედროვე ინგლისელი ფილოლოგოსი დონალდ რეიფილდი აღნიშნავს: „შესაძლოა, ის არის საუკეთესო და ყველაზე ამაღელვებელი ბელეტრისტული ნაწარმოები, რაც კი დაწერილა ქართულ ენაზე". იხ. მისი „The Literature of Georgia. A history", second, revised edition, L., 2000, p. 162.

[23] სხარტულა (I), თსკ, ტ. III, გვ. 339.

[24] იხ. კრებული "ილია ჭავჭავაძე, ამას ვამბობ და ვღაღადებ...", ქუთაისი, 1997, გვ. 169.

[25] პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთ, თსკ, ტ. III, გვ. 91.

[26] ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, პაველე ინგოროყვასეული გამოცემა, თბ., ტ. X, გვ. 37.

[27] იქვე, გვ. 36.

[28] გრიგოლ ყიფშიძე მოგვითხრობს, რომ ილიას მისთვის ასე მოუყოლია: "წითელი ქარი გამიჩნდა და სახლიდან კარში ვერ გამოვდიოდი, მაშინ დაეწერე "დიმიტრი თავდადებულიო"; "განდეგილი" ხომ, ასე ვთქვათ, ჩემ თვალწინ დაიბადა. მაშინაც ილია სუბუქად ავადმყოფი იყო და სამსახურში არ დადიოდა". იხ. კრებული "ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება", ტფ., 1907, გვ. 98.

[29] ჩვენი ლიტერატურის დღევანდელი ყოფა, თსკ. ტ. III, გვ. 83-84.

[30] იხ. ავტორის საისტორიო ნარკვევი "ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია", ტფ., 1938, გვ. 16.

[31] იხ. ავტორის სტატია "ილია ჭავჭავაძე როგორც მებრძოლი ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისათვის", „ილია ჭავჭავაძე – საიუბილეო კრებული", თბ., 1939, გვ. 10– 11.

[32] იხ. მისი წინასიტყვაობა ილიას თხზულებათა ხუთტომეულისათვის, თბ., 1985, გვ. 15.

[33] გიორგი ლასხიშვილი, მემუარები, ტფ., 1934, გვ. 235.

[34] იხ. № 9, გვ. 139. მოტანილი ციტატა დაბეჭდილია შეცდომებით, მოგვაქვს შესწორებული სახით.

[35] თსკ, ტ. IX, გვ. 56.

[36] იქვე.

[37] თსკ, ტ. IX, გვ. 116.

[38] იხ. მისი სტატია "ილია ჭავჭავაძე – მგოსანი და მოაზროვნე" (პირველად დაიბეჭდა „სახალხო გაზეთში" 1913 წელს). იხ. კრებულში „ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში", III, თბ., 1958, გვ. 202-203.

[39] იქვე, გვ. 203.

[40] ნუთუ? თსკ, ტ. IX, გვ. 280. იხ. კრებული „ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში", III, თბ., 1958, გვ. 202-203.

[41] შინაური მიმოხილვა. 1879 წელი, იანვარი, თსკ, ტ. V, გვ. 18.

[42] პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში, თსკ, ტ. VII, გვ. 218 – 219.

[43] ამ ტერმინებს ქართულ ისტორიულ სინამდვილეში საკმაოდ განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე რუსეთში, ამიტომ მათ წინწკლებში ვხმარობთ.

[44] იხ. ალექსანდრე სიგუას ბროშურა "ვინ მოკლა ილია ჭავჭავაძე", თბ., 1991, გვ. 44. შევადაროთ ამონარიდი ილიასეული სტატიიდან "პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში", 1887 წ. 7 იანვარი: "ჩვენ მარტო, იმას უნდა ვეცადოთ, - პური იმოდენად მოვიყვანოთ, რომ სასყიდელი არ გაგვიხდეს და ჩვენ და ჩვენს შინაურს ბაზარს ეყოს". თსკ, ტ. VII, გვ. 218 – 219.

[45] იხ. კრებული "ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება", ტფ., 1907, გვ. 180.

[46] კონსტანტინე გამსახურდია, დიდოსტატ კონსტანტინეს მარჯვენა, თბ., 1990, გვ. 376.

[47] იხ. ავტორის „სოციალური ესთეტიკის საფუძვლები. ორგანოტროპიზმი", ტფ., 1925, გვ. 256.

[48] თსკ, ტ. II, გვ. 7.

[49] ყოველივე ზემოაღნიშნულის ფონზე პრიმიტივიზმია, სასაცილოა ნაციონალიზმის დეფინიცია, მოცემული უკვე მოხსენიებული ლ. ბერძენიშვილის მიერ: "ნაციონალიზმი არის ერთი ეთნოსის სხვა ეთნოსებზე აღმატებულების, მისი უფლებრივი უპირატესობის იდეოლოგია... ამ იდეოლოგიის არსი სწორედ იმის ქადაგებაა, რომ გარკვეულ ტერიტორიაზე ძირითადი ეთნოსის ხალხს მეტი პოლიტიკურ-კულტურული უფლებები

აქვს, ვიდრე სხვა ეთნოსებს". იხ. კრებული "საქართველო ათასწლეულების გზასაყარზე", გვ. 66. ანდა რა კომენტარი შეიძლება გაუკეთდეს ამავე ავტორის მტკიცებას: "ნამდვილი ნაციონალიზმი (ე. ი. შოვინიზმი – **გ. ყ.**) მონოეთნიკურ ხალხში ვერ იარსებებს"! იქვე. მაგრამ ვთქვათ მონოეთნიკურმა იაპონიამ ხომ თავის უახლოეს ისტორიაში ამის შესაძლებლობა აჩვენა.

თავი პირველი

ილიას ფენომენის გააზრების მოკლე ისტორია

„–რაც გინდ ოსტატურად ამრუდო სასწორი ჭეშმარიტებისა, ადრე იქნება თუ გვიან,გამრუდებულს სასწორს თავის ლარზედ დააყენებს ლოლიკა ერისა".

ილია

საკითხის ისტორია იწყება იმ ხანიდან (1857 წლიდან), როდესაც ახალგაზრდა ილიამ მის მიერ ნათარგმნი ლექსი „ჩიტი" დაბეჭდა ჟურნალ „ცისკარში". მერე და მერე, ტრადიციულ ქართულ კულტურაზე აღზრდილ ინტელიგენციას (თავადაზნაურულს) თვალში ეცა დამწყები ავტორის ახლებური ესთეტიკა. ერთ-ერთი მათგანის, გიორგი ბარათაშვილის შეფასებით, „ილია ბელინსკის ტომებით შეიარაღებული, ცოდნის გვირგვინის მაძიებელი დონ-კიხოტი იყო"[1]. ჩანს, მას და მისთანებს არ ესმოდათ ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია, რომელმაც ჭაბუკ ილიაზე ღრმა შთაბეჭდილება და ზეგავლენა მოახდინა. სხვანაირად ისინი ასე მკაცრად არ მოეპყრობოდნენ ახალგაზრდა პოეტს.

წინა თაობების წარმომადგენლები ვერ იწყნარებდნენ ილიას ნოვატორობას ენაში, მის მიერ მოხდენილ ცვლილებებს ორთოგრაფიაში. მოგეხსენებათ, გრიგოლ ორბელიანის წუხილი ისიც იყო, რომ ილიამ და მისმა თანამოაზრეებმა "წაბილწეს" ქართული ენა (მანამდე ასე ფიქრობდა კერძოდ ბარბარე ჯორჯაძე).

1870-იანი წლების დასაწყისში „მამათა და შვილთა" ბრძოლა ახალი ძალით გაჩაღდა, სხვათა შორის, ილიას ინიციატივით. ერთ-ერთმა პირველთაგან ამ მხრივ გრიგოლ ორბელიანმა გამოიდო თავი. ამაო მცდელობა იქნებოდა, რომ ძველი თაობის წარმომადგენელთა შეხედულებებსა და შეფასებებში ილიას ფენომენის ობიექტური, რამდენადმე ბოლომდე ადეკვატური ხედვა ვეძიოთ.

დიდად სამწუხაროდ, ილიას მრავალმხრივ ნიჭს სათანადოდ ვერ აცნობიერებდნენ თვით ისინიც კი (აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი და სხვანი), რომლებიც 1860-იანი წლების პირველ ნახევარში მხარში ედგნენ ილიას ძველი, ტრადიციული იდეოლოგიისა და ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგალითად, გიორგი წერეთელს მიაჩნდა, რომ უკვე

გაზეთ „დროების" გამოსვლიდან (1866 წელს) მოკიდებული ილიასეული პოზიცია, შეხედულებანი მოძველებული გახლდათ[2].

მოგვიანებით, 1894 წელს, გიორგი წერეთელი – ამჯერად ახალი, ე. წ. მესამე დასის „ხელთდამსხმელი" კელავ დაჟინებით იმეორებდა: „არ ვგონებ, რომ ჩვენზე უფრო ხანგრძლივად ვისმე თვალგაფაციცებით ეგდოს ყური (!) ჩვენის დამსახურებულის პოეტ-მწერლის ნიჭის თან-დათან დამწიფებისათვის! ამ ოცდახუთი წლის (!) განმავლობაში. მისმა შემოქმედებითმა ძალამ უმაღლეს წერტილამდე უკვე დიდი ხანია მიაღწია და ჩამოქვეითებაც კი დაეტყო. მას აქეთ, რაც მან შექმნა „გლახა ჭრიაშვილი" მომრიგებელ-მოსამართლესთან[3] სცენებში (1865 წელს – **გ. ყ.**), სხვა მისი ბადალი შემდეგ არა დაუწერია რა. აი, ამ დროიდან იწყება მისი შემოქმედებითი ძალის უკუმსვლელობა, უკან დახევა, და თუ ოდესმე სჭერია მას ხელში საქართველოს ერის მაჯა, ამას შემდეგ კი, ვეჭვობ, ხელიდან გავარდნია და ეეღარც უპოვია იგი..."[4]. მაგრამ ამ შემთხვევაში როგორ უნდა გავიაზროთ ილიასეული შედეერების „განდეგილისა" (1883 წელს) და „ოთარაანთ ქვრივის" (1887 წელს) შექმნა, ილიას მრავალმხრივი პუბლიცისტური შემოქმედება, რომელსაც ქართულ პუბლიცისტიკაში დღემდე გამორჩეული ადგილი უკავია? აღარას ვამბობთ დიდი ქართველის მნიშვნელოვან საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე.

გიორგი წერეთელი მისეულ ახირებულ პოზიციას კიდევ უფრო „ასაბუთებდა" სამი წლის შემდეგ „კვალში" (№ 46) დაბეჭდილ სტატიაში „კიტა აბაშიძე და ჩვენი ახალგაზრდობა". ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ახალ ხანაში, რაც მისი აზრითაც სწორედ 1861 წელს დაიწყო, ილია იყო პირველი დასის „უცებ აფეთქებული და უცებვე ჩამქრალი მაშინდელი ლიბერალური ახალგაზრდობის" (წრის), „მეთაური და ლუმანიტარული დროშის ამფრიალებელი". ამ ლიტერატურულმა წრემ (დასმა): I. „ხელოვნურ (მხატვრულ – **გ. ყ.**) ლიტერატურაში დაამკვიდრა სანტიმენტალურ-ტენდენციური მიმართულება"; II. „პოლიტიკო-ეკონომიურ თეორიაში გაატარა აზრები ბურჟუაზიული ეკონომისტებისა სესი (სეისისა – **გ. ყ.**) და ბასტიასი"); III. „საზოგადოებრივ წყობილების განვითარებაში გაატარა თავადაზნაურობის პატრიოტული პრინციპი წარმატებისა"; IV. „საკრედიტო დაწესებულებებში არჩია სათავადაზნაურო და საადგილ-მამულო გძელ-ვადიანი ბანკების დაარსება". თურმე ილიას ამ გზიდან არ გადაუხვევია შემდეგშიც, „ივერიის" რედაქტორობის

ჟამს. აღმავალი სოციალური ხაზი გაგრძელებულა 1866 – 1877 წლებში და განსაკუთრებით კი 1890-იან წლებსი საზოგადოებრივ ასპარეზზე მესამე დასის გამოჩენით.

სერგეი მესხის რედაქტორობით გამომავალ გაზეთ „დროებაში" (№ 8, 39) 1871 წელს ბიბლიოგრაფიის რუბრიკით დაიბეჭდა აღფრთოვანებული გამოხმაურება ილიასეულ „მგზავრის წერილების" დაბეჭდვასთან დაკავშირებით.

ნიკო ნიკოლაძის შეხედულებით, 1861 – 1863 წლებში „რაც კი რამე იყო ჩვენში ახალგაზდა, მხნე, ახალი წესის და ცხოვრების მოყვარე, ყველამ იცნო ის პატიოსანი მომავლის დროშა, რომელიც მხნედ ეკავა ილ. ჭავჭავაძეს"[5]. მაგრამ, მეორე მხრივ, „საუბედუროთ ეს თაობა ჩვენს ცხოვრებაში დაუმზადებელი (!) (მოუმზადებელი – **გ. ყ.**) შემოვიდა. იმან არც საზოგადოებრივი მეცნიერება იცოდა თეორიით, არც პრაქტიკული მდგომარეობა ჩვენი ხალხისა, არც ჩვენი საზოგადოების საჭიროება და სურვილი. იმას მარტო კეთილი გული და პატიოსანი სურვილი ჰქონდა, და გონების იარაღათ... იმას მარტო ორიოდე მეტნაკლებათ ნათელი აზრი მოუძღოდა: გლეხების განთავისუფლების სამართლიანობა, ბატონყმობის უვარგისობა, მამულის სამსახური...; „უწინდელი თაობა არა თუ მარტო დაუმზადებელი და დაუიარაღებელი (!) იყო, იმას საკმაო სიმტკიცე არ ჰქონდა ხასიათში, ის სიმტკიცე, რომელსაც კაცს მისი სიტყვის და მოქმედების თანხმობა აძლევს. სიტყვით უწინდელი ახალგაზრდობა ერთს ამბობდა, და საქმით მეორეს შვრებოდა. მის ზნეობით ცხოვრებაში რაღაც საზარელი განხეთქილება მოჩანდა, რომელიც თითქმის სრულიად აბათილებდა იმ ჩინებულ აზრებს, რომლის მქადაგებლებად ეს ყმაწვილები გამოდიოდნენ"[6].

ნიკო ნიკოლაძე ილიას მიმართ სხვა შენიშვნებსაც გამოსთქვამდა: თითქოს იგი ნაკლებ ყურადღებას აქცევდა პრაქტიკულ საქმიანობას, კერძოდ, ეკონომიკურ განვითარებას; საერთდ ეძებდა კომპრომისებს ძველ თაობასთან[7]. მეტიც, იგი ილიას აბრალებდა ყოველივე ქართულისადმი თაყვანისცემას, ამდენად სლავოფილური ყაიდის ვიწრო პატრიოტიზმს[8].

ეს ყოველივე დიდად უსაფუძვლო გახლდათ და მხოლოდ იმის დამამტკიცებელია, თუ როგორ უჭირდა ილიას ობიექტური გაგება და შეფასება თვით უდაოდ დიდი საღი გონების მქონე ნიკო ნიკოლაძესაც კი. განსაკუთრებით არაობიექტურია ილიას დადანაშაულება ე. წ. მუავე პატრიოტიზმში, რასაც უკანასკნელი ყოველთვის ებრძოდა (გავიხსენოთ ჯერ კიდევ „მგზავრის წერილების" შესაბამისი პასაჟი).

1880-იან წლებში ილიას წინააღმდეგ აქტიურად გამოდიოდა ფრიად

საშუალო დონის პუბლიცისტი დავით კეზელი (1854 – 1907). იგი იწუნებდა ილიას საბანკო მოღვაწეობას, „განდეგილს", „ოთარაანთ ქვრივს", პუბლიცისტიკას და ა. შ. სილოვან ხუნდაძე იწუნებდა ილიას ენას.

1892 წელს ივანე მაჩაბელმა გამოაქვეყნა ბროშურა სათაურით „თავადი ილია ჭავჭავაძე და მისი მოღვაწეობა", რომელშიც შეეცადა დაეხასიათებინა ილია, შეეჯამებინა მისი საზოგადოებრივი საქმიანობა. ივანე მაჩაბლის მიხედვით, ილია საზოგადოებისათვის კერპად იქცა, მრავალს „თავისუფლად გაჩხრეკა მათთვის სათაყვანებელ პირის ავკარგიანობისა მიუტევებელ ცოდვად მიაჩნიათ და ავტორიტეტის ხელ-შეხება შარა-გზაზედ ავაზაკობად'[9]. ბროშურაში ჩამოთვლილია ვითომდაც ილიასათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები: „ამბიციურობა, პირველობისადმი სწრაფვა, ლამის დიქტატორობის წყურვილი", „სიმართლისა და ჭეშმარიტების ფეხქვეშ გათელვა", უუნარობა საზოგადოებრივი დაწესებულებების გაძღოლისა, ასევე სრული უნაყოფობა გაზეთში მოღვაწეობისა, თითქოს მთელი ოცდაშვიდი წლის განმავლობაში „ვერ გაიცნო, ვერ შეითვისა ანაბანაც-კი ბანკის საქმისა"[10].

ივანე მაჩაბელი დიდი პათოსით აცხადებდა: „ჩვენ წინდაწინვე ეკისრულობთ (!) დამარცხებას იმ იმედით, რომ იქნება ოდესმე პირუთვნელმა ისტორიამ ჩვენის საზოგადო მოღვაწეობისამ თავისი უტყუარი მსჯავრი დასდოს და ყველას ღირსებისამებრ მიეზღოს"[11].

ასეთი მსჯავრი დიდი ხანია გამოტანილია, მაგრამ არა იმ სახით, როგორც ეს ივანე მაჩაბელს (აგრეთვე ნოე ჟორდანიას) მიაჩნდა!

1890-იან წლებში მსგავსი ტრადიცია განაგრძო ჟურნალისტმა ილია ბახტაძემ (ხონელმა) (1859 – 1900). 1893 წელს ჟურნალ „მწყემსში" (№ 2 – 3) ვინმე რ. დ. ღა-ძის ხელმოწერით დაიბეჭდა კრიტიკული წერილი „ფუტკრების დედო და თ. ი. გ. ჭავჭავაძე, გაზეთ „იევრიის" რედაქტორ-გამომცემელი".

თუ ილიას ფენომენი ასე არაობიექტურად, არაადეკვატურად აისახა იმ პირთა ცნობიერებაში, რომელნიც ილიასთან ერთად ეროვნულ მიმართულებას ეკუთვნოდნენ და თანამშრომლობდნენ კიდეც მასთან, მაშინ რაღა უნდა ითქვას ქართულ სოციალ-დემოკრატებზე (ესდეკებზე), რომლებიც საზოგადოებრივ ასპარეზზე 1892 – 1894 წლებიდან გამოვიდნენ და რომელთაც „პატრიოტიზმი", „ნაციონალიზმი", გნებავთ „მამული" (სამშობლოს მნიშვნელობით) სალანძღავ, სახელის გამტეხ სიტყვებად მიაჩნდათ.

ნოე ჟორდანიას შეხედულებით, ილია იყო გამოჩენილი პოეტი და მწერალი, რომელმაც საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მხოლოდ 1860-იან წლებში, შემდგომ კი იგი თავადაზნაურობას ამოუდგა მხარში და ამით კონსერვატორი (სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით) გახდაო. თუმცა ნოე ჟორდანია თავის თავს ნამდვილ მარქსისტად თვლიდა, მაგრამ კერძოდ ილიას მისეული გაგება-შეფასებისას ამ მოძღვრებიდან მიდგომას ვერ ვხედავთ. არ გადავჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ ამ კერძო შემთხვევაშიც საქმე გვაქვს მარქსიზმის ფრიად ზერელე გაგებასთან, რაც საერთოდ კარგად შეამჩნია ილიამ. მაგრამ უფრო დაწვრილებით აღნიშნულ საკითხზე ქვემოთ ვილაპარაკებთ.

ნოე ჟორდანიას მიერ წამოწყებული საქმე განაგრძო მისმა მეგობარმა და ბევრ მხრივ თანამოაზრემ (დიდი ხნის განმავლობაში) ფილიპე მახარაძემ. იგი ილიას პირველად მკვეთრად დაუპირისპირდა 1898 წელს, როდესაც „კვალში" (№ 31) დაიბეჭდა გამანადგურებელი გამოხმაურება სათაურით „საიუბილეო ბროშურა" (მცირე შენიშვნა ბ-ნ „მე გახლავარის" წიგნაკის გამო). შეგახსენებთ, რომ მიხეილ ნასიძის ეს ბროშურა დაიბეჭდა ილიას დაბადებიდან სამოცი და შემოქმედებითი (ლიტერატურული) და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ორმოცი წლისთავის აღნიშვნასთან დაკავშირებით. იუბილე ვერ გაიმართა, რის მიზეზიც იყო მეფის ხელისუფლება. ყოველ შემთხვევაში, მის ჩაშლას ხელი შეუწყო ესდეკმა (ცხადია, იმხანად ბოლშევიკი ვერ იქნებოდა) ფილიპე მახარაძემაც.

რეცენზიაში ვკითხულობთ: „დროა ზღაპრებს დავანებოთ თავი, ლათაიები უკუეაგდოთ და მართალი სიტყვა ვუთხრათ საზოგადოებას ჩვენი წარსულის შესახებ. აგერ მეოცე საუკუნე კარზე მოგვადგა, და ჩვენ ისიც კი არ ვიცით, თუ რას აკეთებდენ ჩვენი მამები ამ ოცი თუ ორმოცი წლის წინათ"; „ჩვენ ისეთ უბედურ ვარსკვლავზე ვართ დაბადებულნი, რომ ჩვენი წარსული ვითარების შესწავლა და გაგება სრულიად არ გვეხალისება და გვეინტერესება. ამისთანა გულ გრილი (!) ხალხი გაგონილა?" ფ. მახარაძის ოპუსში აგდებულადაა მოხსენიებული „მესამოცე" წლების „მოღვაწენი" (sic), ასევე სიტყვები: „ინტელიგენტი" და „ინტელიგენცია" ესდეკების ტრადიციისამებრ ბრჭყალებში არის ნახმარი. კონკრეტულად ილიას მიმართ აღნიშნულია: „რასაკვირველია, სხვადასხვა გარემოებათა გამო, ილ. ჭავჭავაძეს

ის დიდება და სახელი აღარა აქვს დღეს ჩვენ საზოგადოებაში, როგორც წინეთ, მაგრამ უმეტესობა მას მაინც პატივს სცემს". რეცენზენტმა ვერ გაიმეტა საქებარი სიტყვები თუნდაც ილიას როლის წარმოსაჩენად ბატონყმობის წინააღმდეგ იდეურ ბრძოლაში, ასეთი როლი თითქოს მხოლოდ და მხოლოდ „სურამის ციხის" ავტორ დანიელ ჭონქაძეს ეკუთვნოდა.

აღნიშნული ნაწარმოების განხილვას მიეძღვნა ფ. მახარაძის წიგნი „დანიელ ჭონქაძე და მისი დრო" (დაიწერა 1903, ხოლო დაიბეჭდა 1904 წელს). ჩვენი ღრმა რწმენით, ავტორის უპირველესი მიზანი გახლდათ ილიას განქიქება. ავტორის მიხედვით, ინგლისელების, გერმანელებისა და იტალიელებისაგან განსხვავებით, „არიან ისეთი ხალხნი, თითქო ისტორიის მიერ დასჯილნი და გაუბედურებულნი, რომელთაც არ ყოლიათ გენიოსი მწერლები თუ ხელოვნების წარმომადგენელნი და რომლებსაც თავის ისტორიულ ცხოვრებაში არ გამოუვლიათ არც ერთი ბრწყინვალე ხანა, როცა ხალხი ამოძრავებულიყოს რომელიმე მაღალი იდეალის სახელით და მისი მოგონება ღირს-სახსოვარი გამხდარიყოს შთამომავლობისათვის"[12]. ამგვარი ხალხის „წარსულ ცხოვრებას არ აცისკროვნებს და არ აბრწყინვებს არც ერთი შესანიშნავი პირი, რომლის ნაწარმოები ამაღლებდეს გრძნობა-გონებას და აღვიძებდეს ინტერესს წინსვლისადმი"[13], „რომლებიც თავიანთ ნაწარმოებით გიხატავდენ ხალხის ნამდვილ ცხოვრებას ან ასაზრდოებდენ მას რაიმე ახალი იდეით"[14].

თავის ოპუსში ფ. მახარაძემ ნიშანდობლივად, პირდაპირ გაკენწლა ილია. დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხეში" მოხსენიებულ „კნიაზ-ლიბერალს" (მსგავსი პირნი არსებობენო თანადროულ ხანაში, 1900-იანი წლების დასაწყისში) განმარტავდა როგორც სიტყვით „ლიბერალებს" და საქმით-კი ნამდვილ „კნიაზებს", რომელთაც ძლიერ უყვარდათ „მაღალი ფრაზები"[15]. ფ. მახარაძე განაგრძობდა: „ეს ისეთი დამახასიათებელი ნიშანია, რომ „კნიაზ-ლიბერალებში" ჩვენ პირველი შეხედულებითვე ვცნობილობთ (!) ეგრეთ წოდებულ მესამოცე წლების მოღვაწეებს. განა ვინ იყვნენ ესენი თუ არა „კნიაზ-ლიბერალები", რომლებსაც ყოველთვის პირზე აკერიათ „მაღალი ფრაზები", ჰუმანიური იდეები, ხალხი კეთილდღეობისთვის თავის გაწირვა და სხვა ამგვარები და საქმით კი სულ სხვა რამეს ემსახურებოდნენ. სხვისი რა მოგახსენოთ და ჩვენ-კი, როცა „კნიაზ-ლიბერალს" ვახსენებთ, მაშინვე ძველი „კნიაზ-ლიბერალი" და იმავე დროს მესამოცე წლების მოღვაწეთა მებაი-

რაღე, თ-დი ილია ჭავჭავაძე მოგვაგონდება ხოლმე"[16].

რასაკვირველია, ქართული საბჭოური მეცნიერება (ლიტერატურათმცოდნეობა და ისტორიოგრაფია) 1936 – 1937 წლებიდან მოყოლებული (ამ გარდატეხის მიზეზს მალე შევიტყობთ), მართალი იყო, როცა ფ. მახარაძის (ასევე ნოე ჟორდანიასი) შეხედულებანი ვულგარული მარქსიზმისა თუ ვულგარული სოციოლოგიზმის გამოვლინებად მიიჩნია. ამგვარი ყაიდის აზროვნებისათვის ძირითადი ამოსავალი პუნქტი შემდეგი გახლდათ: რაკი ილია ჭავჭავაძე სოციალური წარმოშობით თავადი იყო, ამიტომაც იგი უცილობლად მხოლოდ თავადაზნაურობის ინტერესების გამომხატველი უნდა ყოფილიყო და თითქოს ასეთი იყო კიდეც. მაგრამ ამ ორი „თავგადაკლული მარქსისტისათვის" ხომ ცნობილი იყო, რომ თვით მარქსიზმის შემოქმედნი მუშათა კლასიდან კი არ იყვნენ გამოსულნი, არამედ ერთი (კარლ მარქსი) ე. წ. ბურჟუაზიული ინტელიგენციის წრიდან გახლდათ გამოსული, მეორე კი (ფრიდრიხ ენგელსი) – ბურჟუაზიული კლასიდან. ასევე თავადაზნაურობიდან გამოვიდა გიორგი პლეხანოვი – რუსული სოციალ-დემოკრატიის მამა, აშკარად არაპროლეტარული წარმოშობისა იყო ვლადიმერ ლენინი და ა. შ.

ნოე ჟორდანია და ფილიპე მახარაძე უნდა დაფიქრებულიყვნენ იმაზეც, რომ მარქსიზმის კლასიკოსების მოძღვრება ოდენ კაპიტალიზმის განვითარებითა და მუშათა კლასის გაჩენით ვერ გაიგება. ამისათვის გათვალისწინებულ უნდა იქნეს აგრეთვე სათანადო იდეური (ფილოსოფიური, მეცნიერული, იდეოლოგიური) წანამძღვრებიც, რომ სახელდობრ გერმანული ფილოსოფია (განსაკუთრებით ჰეგელიანელობა, ლუდვიგ ფოიერბახის მოძღვრება), ინგლისური პოლიტეკონომია და ფრანგული სოციალიზმი წარმოადგენდნენ იმ იდეურ საფუძვლებს, რომლებზე დაყრდნობითაც წარმოიშვა მარქსიზმი. ვიმეორებთ, ილიას აზროვნების გაგება-გააზრებისას მხოლოდ მისი სოციალური წარმომავლობის მითითება არაფრის მთქმელია, აუცილებელი გახლავთ სხვა წანამძღვართა გათვალისწინებაც.

მაგრამ ფაქტია, რომ ე. წ. ქართული მარქსიზმის „მამები" სწორედ აღნიშნული პრიმიტიული თვალსაზრისით უდგებოდნენ ილიას ფენომენის გაგებას, ასევე იქცეოდა სხვა ესდეკების უმეტესობა, როგორც ზომიერები, ისე რადიკალები („ბოლშევიკები", კერძოდ: ალექსანდრე წულუკიძე, ლადო კეცხოველი, იოსებ ჯუგაშვილი, მალაქია ტოროშელიძე). უფრო დიდი უბედურება იმაში

მდგომარეობდა, რომ მსგავსმა იდეოლოგოსებმა (სიტყვის ცუდი მნიშვნელობით) სათანადო სოციალური საფუძველი – უბირი მასა – ჰპოვეს, რომელმაც „ზედმიწევნით" აღიქვა თავიანთ მოძღვართა შეხედულებანი.

თავდაპირველად საგანგებოდ შევჩერდებით ესდეკ (მენშევიკ) პეტრე გელეიშვილის (1870 – 1937) შესაბამის აზრებზე, რომლებიც მოგვიანებით იქნენ გამოთქმულნი. მისი შეხედულებით, ილია „დიდი პოეტია, ქართული ლიტერატურის დამამშვენებელი მწერალი, ქართული კულტურის დიდი მუშაკი"[17]. თუ მას დავუჯერებთ, „ჩვენი სოციალური და პოლიტიკური აზროვნების ისტორია მეცხრამეტე საუკუნეში ნამდვილ თვალ-გაუწვდენელ უდაბნოს წარმოადგენს, ის თვალ-უწვდენელი უდაბნოა!", მხოლოდ „ამ უდაბნოში ერთ-ერთი პატარა ოაზისი ილია ჭავჭავაძეა"[18]; „ეს ოაზისი ერთობ მცირეა, მისი წყაროს წყალი მეუდაბნოეს წყურვილის მოსაკლავათ არ ეყოფა, მისი ხის ჩრდილები სიცხე-პაპანაქებაში მგზავრს ვერ დაიფარავს, მაგრამ ეს ოაზისი მაინც არსებობს. ეს ცოტა იმედს მაინც უღვიძებს მეუდაბნოეს"[19].

საერთოდ კი ილია პირწმინდად კონსერვატორი (რეაქციონერი) ყოფილა, მას სურდაო ფეოდალური წესწყობილების შენარჩუნება, რომელსაც განამტკიცებდა ტრადიციული მორალი. გარდა თავადაზნაურობის კლასობრივი ინტერესების დაცვისა, ილია თურმე ეგოისტური მისწრაფებებითაც გამოირჩეოდა („ის კიდეე უფრო მეტ სარგებლობას მოუტანდა იმავე ქვეყანას, რომ მისი დიდი ნიჭისა და ენერგიის უდიდესი ნაწილი მისი პირადი უფლებების დაცვას (!) არ შესწიროდა"[20]). თურმე ილია ფიქრობდა „მხოლოთ ქართულ ერზე და არა ამ ერის შემადგენელ სხვადასხვა ნაწილებზე"[21], ცხადია, თავადაზნაურობის გამოკლებით. თითქოსდა ქართული აზროვნების გამოცოცხლებას ადგილი ჰქონია მხოლოდ XIX საუკუნის მიწურულში, სწორედ მაშინ დაწყებულა კრიტიკული მიმართულება (ლიტერატურასა და საზოგადოებრივ აზროვნებაში)[22].

ილიას შესახებ ქართული ბოლშევიკური აზროვნების საილუსტრაციოდ მოვიტანთ მალაქია ტოროშელიძის „აზრებს". მის მიხედვით, „კაკო-ყაჩაღში" ავტორი ყველაზე მეტათ ამხედრებულია მებატონის გულქვაობის წინააღმდეგ, რომელიც ისე დაბრმავებულია თავისი უფლებრივი სიდიადის გრძნობით, რომ ტყუილ-უბრალოთ იმხედრებს ყმას თავის წინააღმდეგ და მით ვნებს არა მარტო ყმას, არამედ თავის თავსაც. აქ რომ ამ უფლების ბოროტათ მოხმარას ადგილი არა ჰქონოდა, ძველებურათ

განაგრძობდენ პირველი ბატონობას, მეორე კი – ყმობას. ასეთია ამ პოემებში გატარებული ავტორის ტენდენცია"[23]. აქედან ასეთი დასკვნებია გაკეთებული: „მეტი ლმობიერება და მეტი გულკეთილობა გლეხებთან დამოკიდებულებაში – აი რას უქადაგებს თავად-აზნაურობას პოემის ავტორი. აქ არ არის დაგმობილი ბატონყმობა, როგორც სისტემა, როგორც რეჟიმი"[24]; „ი. ჭავჭავაძის იდეალი სწორეთ გაკეთილშობილებული ბატონყმობაა, ესე იგი განათლებული ფეოდალიზმია. მისი ძირიანათ უარყოფა, მისი საფუძვლის – მიწის საკითხის – რადიკალურად გადაჭრა არსად არ წამოსცდენია ავტორს"[25].

როგორც ვხედავთ, ჩამოთვლილ პირთა ნააზრევში ილიას როლი ძალზე იგნორირებულია, რაც გამომდინარეობდა პარტიული ინტერესებიდან და შესაბამისი იდეოლოგიიდან. მათი უფრო „ფუნდამენტური" შეხედულებების საფუძველი გახლდათ ეროვნული ნიჰილიზმი, ერის უარყოფა და მის ნაცვლად დაჩაგრული კლასის (ფენების) მნიშვნელობის გააბსოლუტურება. მაგრამ ეროვნული გრძნობისა და შეგნების ამგვარი იგნორირება პათოლოგიური (სოციალური) მოვლენაა და ფართო მასებში იგი მძლავრად ვერ მოიკიდებდა ფეხს. თუ ნოე ჟორდანია, ირაკლი (კაკი) წერეთელი, ფილიპე მახარაძე, იოსებ ჯუგაშვილი (მოგვიანებით), სერგო ორჯონიკიძე და სხვანი ამას ახერხებდნენ, თვით ბევრი გამოჩენილი ესდეკი (მენშევიკი) მაინც ასე თუ ისე ნორმალურად იქცეოდა. უპირველესად აღსანიშნავია ლადო დარჩიაშვილის ჯგუფი. თვით ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძემ შესძლო ილიას დასაფლავებისას შედარებით კარგად მოეხსენებინა განსვენებული. თუმცა მას დააავიწყდა რომაელთა მცნება De mortuis aut bene aut nihil (მიცვალებულთა შესახებ ან კარგი უნდა სთქვა ან არაფერი), კერძოდ, ჩვენებური, ქართული ტრადიციული ეთიკური ნორმა და დასაფლავებაზე აშკარა დისონანსად გაისმა მისი სიტყვები: „მაგრამ სიყვარულიც არის და სიყვარულიც, საზოგადოება, რომელიც შემოკრბა დღეს შენი ცხედრის წინაშე, იმდენათვე სხვა და სხვა გვარია, რამდენათაც მრავალმხრივი იყო თვით შენი წარსული. ჭეშმარიტებაზე (!) ძლიერ შორს იქნება, თუ ვინმე იტყვის: თითქო, ჩვენ ყველანი ერთნაირად უყურებდეთ შენს წარსულს, ყველანი ერთ რიგათ ვცემდეთ პატივს და ვაფასებდეთ შენს მოღვაწეობას. დაე, გიტიროს შენ, როგორც შეგნებული მესაკუთრე, თავად-აზნაურობამ, საზოგადოთ, ჩვენი საზოგადოების იმ ნაწილმა, რომელიც მშრომელ ხალხის შრომის ნაყოფით ცხოვრობს. დაე,

მოვიდენ და პატივი დაგდვან (!) შენ ძალაუფლების (!) ადგილობრივმა წარმომადგენლებმა როგორც თანამედროვე სახელმწიფოებრივი პრინციპის მომხრეს. დაე, გაქონ და გადიდონ შენ შოვინისტებმა როგორც მამულიშვილი. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ შეუერთდებით ასეთების ქება-დიდებას და მით უმეტესის სიცხადით აღვნიშნავთ იმას, რაც იყო შენი ჩვენთვის ძვირფასი"[26]. ძალიან კორექტული იყო ილიას დასაფლავებაზე სიტყვით გამოსვლისას ცნობილი ესდეკი („მენშევიკი") ვლასა მგელაძე.

„მენშევიკი" ივანე გომართელის მიერ გაზეთ „ჩვენი კვალის" 1908 წლის 36-ე ნომერში დაბეჭდილ სტატიაში „ილია ჭავჭავაძის პოეზიის ერთი მხარე", ასეთი სიტყვები გვხვდება: „ილ. ჭავჭავაძე უდიდესი პოეტია საკაცობრიო აზრებით, საკაცობრიო გრძნობითა და იდეალებით გამსჭვალული"[27]; „დიდი საკაცობრიო გრძნობები, ბედისაგან დაჩაგრულთა სიყვარული, მათი ტვირთის შემსუბუქებისათვის ზრუნვა და მათი ცხოვრების გაუმჯობესების წყურვილი — აი, რა ახასიათებს პირველი სტრიქონიდანვე ილ. ჭავჭავაძის პოეზიას. ერის დაჩაგრულ ნაწილს ჩვენს პოეზიაში არა ჰყოლია უკეთესი ჭირისუფალი"[28]; „პოეტის ნაწერებში უხვად არის გაბნეული სიყვარული დაჩაგრულთადმი და ღრმა რწმენა, რომ მომავალი მათია"[29]; „პოეტი მტერია მარტო ბატონყმობისა კი არა, წოდებრივი წყობილებისაც, მისი იდეალია ისეთი ცხოვრება, საცა არავითარი წოდებები არ არსებობენ, არამედ ყველა ტოლი და თანასწორია"[30].

ილიას ფენომენის მეცნიერული გააზრება სცადეს სოციალისტ-ფედერალისტებმაც. კიტა აბაშიძემ 1897 წელს გამოაქვეყნა სტატია „ცხოვრება და ხელოვნება (ჩვენი ახალგაზრდობა)", სადაც დადებითადაა წარმოჩენილი დიდი ქართველის შემოქმედება და მოღვაწეობა.

არჩილ ჯორჯაძის მიხედვით, განვლილი სოციალური მიმდინარეობანი, გიორგი წერეთლისეული სქემისაგან განსხვავებით, ასე იყო წარმოდგენილი: 1) ნაციონალურ-ლიბერალური და ხალხოსნური — 1860-1880-იან წლებში; 2) მარქსიზმი 1890-იან წლებში და 3) სოციალისტურ-ფედერალისტური — მეოცე საუკუნის დასაწყისში[31]. აქედან ისე გამოდიოდა, რომ ილიას იდეების აქტუალურობა უკვე კარგა ხანია წარსულის კუთვნილება იყო, რომ მან თავისი ისტორიული როლი უკვე ითამაშა ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლაში და ეროვნული ვინაობის (თვითშეგნების) განმარტებით, თუმცა ამ უკანასკნელ მომენტს შემდგომაც დიდ

ყურადღებას აქცევდაო. სოციალისტ-ფედერალისტების ლიდერის შეხედულებით, ილიას თითქოს სათანადოდ არ ჰქონდა გათვალისწინებული მრეწველობის დიდი როლი და მხოლოდ სოფლის მეურნეობაზე იყო ორიენტირებული[32].

დიდად საგულისხმოა არჩილ ჯორჯაძის სიტყვები: „ილია ჭავჭავაძე სინთეზია წარსულ ეპოქისა. მის ნაწერების შესწავლა, შესწავლაა დიდის ეპოქისა. ვამბობ დიდი ეპოქისა, რადგან მე-19 საუკუნე იყო ის ხანა, როდესაც ქართველთათვის მეორედ შობა მოხდა და საქართველომ სცნო და იპოვნა თავისი დაკარგული სახე. ილია ჭავჭავაძე ამ შობიერების ბებიაც იყო, ამ დაკარგული სახის მაძიებელ-აღმადგენელიც. ილიას ზრახვათა შეგნება შეგნებაა ზრახვათა მეორედ შობილ და ახლად აღორძინებულ ქართველის ერისა. ამ ზრახვებში სიდუხჭირეც არის, სიხარულიც წარსულით გადმოცემული, შეცდომანი და შეცოდებანი, აწმყოთი მოვლინებული, ამ ზრახვებში ნათელი იმედიცაა მომავლისა...”[33].

როდესაც, ილიას ტრაგიკული აღსასრულის შემდგომ, ცნობილი ექიმისა და საზოგადო მოღვაწის მიხეილ გედევანიშვილის თაეკაცობით გამოიცა (1914 წელს) ილიას თხზულებების პირველი ტომი (სამწუხაროდ, პირველი მსოფლიო ომის დაწყების გამო დანარჩენების გამოცემა ვერ მოხერხდა), ბიოგრაფია დაწერა გრიგოლ ყიფშიძემ, ხოლო ძირითადად მხატვრული შემოქმედება განხილული იქნა კიტა აბაშიძის მიერ[34]. ასე რომ, ილიას მთლიანობაში გააზრებას წიგნში ადგილი ნაკლებად აქვს.

ამდენად, დიდი ხნის განმავლობაში ილიას ფენომენის გააზრება-გაცნობიერება სათანადო მეცნიერულ და ფილოსოფიურ დონეზე ვერ მოხერხდა. თუმცა ამისათვის, ყოველ შემთხვევაში 1921 წლამდე, თავისუფალი აზროვნებისათვის პირობები არსებობდა. თითქოს ეს შესაძლებელი იყო ყოველდღიური ცნობიერების, ე. წ. საღი აზრის დონეზე. მაგრამ ქართველობის ფართო ფენები ამ მხრივაც დიდად დაბნეულნი იყვნენ. თუ ერთი ნაწილის მიხედვით ილია გახლდათ გამოჩენილი პოეტი და მწერალი, დიდი მამულიშვილი, საზოგადო მოღვაწე, რომელსაც თვალსაჩინო წვლილი შეჰქონდა ანდა შეტანილი ჰქონდა ჩაგრული ქართველი ერის თანადროულ ცხოვრებაში, მეტიც, იგი იყო „ერის მამა”, „უგვირგვინო მეფე”, მეორე ნაწილის თანახმად, იგი იყო რეტროგრადი, ჩამორჩენილი მოღვაწე, ხელის შემშლელი ჩვენი ქვეყნის წინმსვლელობისა. ცხადია, ამგვარი ცნობიერების ჩამოყალიბებაში „ლომის წილი” ჰქონდათ შეტანილი ქართველ ესდეკებს (როგორც „მენშევიკებს”, ისე „ბოლშევიკებს”).

საერთოდ, ქართველობისდა საბედნიეროდ და ბევრ მხრივ თვით ქართველი ესდეკების საწინააღმდეგოდ, ისტორიული პროცესი ისე განვითარდა, რომ რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციიდან მოყოლებული საქართველო დაადგა განვითარების ნორმალურ გზას, სწორედ ისეთს, რომელიც შეესაბამებოდა ილიასეულ იდეალებს. მაგრამ დიდად სამწუხაროდ, 1921 წლის თებერვალ-მარტის შემდგომ საქართველო შედგა (ცხადია, საგარეო, რუსეთის ფაქტორის მეშვეობით) სხვანაირ გზაზე, რომელიც მკვეთრად განსხვავდებოდა დიდი ქართველის იდეალებისაგან.

მანამდე, 1921 წელს იქნა დაბეჭდილი ისტორიკოს სარგის კაკაბაძის წიგნი „საქართველოს მოკლე ისტორია. ახალი საუკუნეების ეპოქა". მასში ეკითხულობთ, რომ 1860-იან წლებში თავადაზნაურობის მოწინავე ახალგაზრდობა, უპირველესად ილიას ნაწარმოებებით – „კაცია-ადამიანი?!", „კაკო ყაჩაღი" და „გლახის ნაამბობი" გმობდა არსებულ ბატონყმურ ურთიერთობებს[35]. ავტორის აზრით, „ილია ჭავჭავაძე იყო შემომღები ლიბერალურ მიმართულებისა ქართულ მწერლობაში. პატრიოტიზმის და ნაციონალიზმის ქადაგებასთან ერთად ეს მიმართულება დიდს ყურადღებას აქცევდა თავად-აზნაურობის, როგორც საქართველოს მოწინავე წოდების, ინტერესების დაცვას"[36]. ამ მიმართულების გამგრძელებლები იყვნენ ეროვნულ-დემოკრატები, რომლებიც პოლიტიკურ სარბიელზე გამოჩნდნენ 1912 წლიდან[37]. მანამდე კი, 1866 წლიდან გაჩენილი ე. წ. მეორე დასი (ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერეთლის, სერგეი მესხისა და სხვათა მეთაურობით), შემოკრებილი გაზეთ „დროებისა" და ჟურნალ „კრებულის" ირგვლივ, იბრძოდა აგრეთვე გლეხობის ინტერესების დასაცავად[38]. სარგის კაკაბაძე, ჩანს, ამართლებდა ქართველ ესდეკთა შეხედულებებსა და მოღვაწეობას, როდესაც წერდა: „ბრძოლა მთავრობის რეჟიმთან შესაძლებელი იყო მხოლოდ ყველა ეროვნების დემოკრატიისათვის მისაღებ დროშის ქვეშ"[39].

მოგეხსენებათ, „რევოლუციური" საბჭოთა საქართველოსათვის ილიას იდეური მემკვიდრეობა ხშირ შემთხვევაში ზედმეტი აღმოჩნდა, ილიას დადებით კონტექსტში მოხსენიება იშვიათი იყო. მით უფრო შექმნილ მსგავს პირობებში ფართო გასაქანი ჰპოვა ფილიპე მახარაძის ანტიილიასეულმა შეხედულებებმა. მალე გამოჩნდნენ კონიუნქტურული, მედროვე ლიტერატურათმცოდნენი და კრიტიკოსები, რომლებიც "დიდად გაისარჯნენ" ილიას შემოქმედების განქიქებისათვის. მათი ასეთი „საქმენი საგმირონი" გრძელდებოდა

1936 – 1937 წლებამდე, როცა ზემოდან, კრემლიდან Deus ex machinaს მსგავსად წამოსული მითითებების შედეგად ზღვარი დაედო დიდი ქართველისადმი უდიერ დამოკიდებულებას (მიმართებას).

გვაქვს სრული საფუძველი ჩავთვალოთ, რომ 1921 – 1936 – 1937 წლები – ესაა ბრძოლა ილიასათვის. ერთ მხარეზე იდგა პატრიოტული, ეროვნულად განწყობილი ინტელიგენციის ნაწილი, ხოლო მეორეზე – ხელისუფლება და მის ფრთებ ქვეშ ამოფარებული მედროვე ან, უკეთეს შემთხვევაში (ზნეობრივი თვალსაზრისით) გონებაჩლუნგი კალმოსნები. ღირს, უთუოდ ღირს, დღევანდელ ქართველობას კიდევ ერთხელ შევახსენოთ იმჟამინდელ ქართველ პატრიოტთა მცდელობები, ილიას სახელისა და იდეური მემკვიდრეობის წარმოჩენას რომ ისახავდნენ მიზნად.

ამ თვალსაზრისით, უპირველესად, უნდა გავიხსენოთ ჩვენთვის უკვე ცნობილი მიხეილ გედევანიშვილის მცდელობა – გამოეცა ილიას თხზულებათა შემდეგი ტომები, მაგრამ მოულოდნელმა სიკვდილმა (1922 წელს) მას ხელი შეუშალა ამ იდეის ხორცშესხმაში.

1925 წელს ილიას „რეაბილიტაციის" მცდელობა განაგრძო ვახტანგ კოტეტიშვილმა. მისი შეხედულებით, ილია და მისი თანამებრძოლები იყვნენ რადიკალურად განწყობილი ხალხი. – „ეს პირველი შეხედვით პარადოქსისებური (!) აზრი, სერიოზული შესწავლის შემდეგ სრულიად ნათელი ხდება". თუმცა „დღევანდელი თვალსაზრისით მათ სოციალისტობას ბევრი რამ აკლდა"-ო[40]. ილიამო „შექმნა ეროვნული დოქტრინა, ფილოსოფია, თუ – პოლიტიკური პროგრამა. ამ საკითხის გარკვევის დროს ილია ჭავჭავაძეს არ ჩაუცვამს არც ერთი ფორმის ტანისამოსი, არ მიუკარებია რომელიმე პოლიტიკურ-სოციალური ჯგუფის რაიმე ნიშანი"[41].

ივანე გომართელი 1925 წელს დაწერილ სტატიაში „ილია ჭავჭავაძე და მისი მხატვრული შემოქმედება"[42] აღნიშნავდა, რომ ილია ადრე დემოკრატი იყო, 1880-იანი წლებიდან კი თავადაზნაურული ლიბერალი გახდაო.

ასევე დადებითად წარმოაჩენდა ილიას კონსტანტინე კაპანელი თავის წიგნში „ქართული სული ესთეტიკურ სახეებში" (დაისტამბა 1926 წელს)[43].

ისტორიკოსმა და ლიტერატურათმცოდნემ სიმონ ხუნდაძემ, თუმცა კი უარყო ძველი, სოციალისტურ-ფედერალისტური მრწამსი და კომპარტიის წევრი გახდა, მაგრამ ტიპური ბოლშევიკური

აზროვნების წარმომადგენელი არ გამხდარა. იგივეს გავიმეორებდით ილიასადმი მისეული მიმართების თაობაზეც.

უპირველეს ყოელისა, იგი შეეცადა ილიას ფენომენის უფრო ფართო საფუძვლებით გაგებას. ესენი გახლდათ ცვლილებები საქართველოს ეკონომიკასა და სოციალურ სტრუქტურაში, ასევე დასავლეთ ევროპის კულტურული ზემოქმედება საქართველოზე[44]. აქედან გამომდინარე, ახლებურად, დადებითი აზრით, გაიაზრებოდა ილიას მნიშვნელობაც. იგი წერდა: „ჩვენში, სამწუხაროდ, ილია ჭავჭავაძის აზროვნების შესახებ 60-იან წლებში მეტად ყალბი შეხედულებაა გავრცელებული; ამ შეხედულების მიხედვით, ილია ჭავჭავაძე არასოდეს არ ყოფილა არამცთუ თავად-აზნაურობის წინააღმდეგი, არამედ ბატონყმობის მოსპობის მომხრეც: მას მხოლოდ სურდა ბატონყმობისათვის უფრო ლმობიერი და ჰუმანური ხასიათი მიეცაო. ეს შეხედულება არ შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს და აშკარა გადამახინჯებაა (!) იმ სოციალ-პოლიტიკური პროგრამის, რომელსაც ილია ჭავჭავაძე იზიარებდა 60-იან წლებში"[45]. ადვილი მისახვედრია, რომ ამ შემთხვევაში სიმონ ხუნდაძე ეზოპეს ენით ლაპარაკობდა, რადგან 1860-იან წლებში მსგავს შეხედულებას ილიას შესახებ საქართველოში ადგილი არ ჰქონია და იგი გაჩნდა 90-იან წლებში, ქართველი ესდეკების თავებში.

სიმონ ხუნდაძის აზრით, „გასული საუკუნის მე-60 წლებამდე ქართველი ინტელიგენცია ერთ მთლიან ოჯახს წარმოადგენს. ეს თავად-აზნაურული ინტელიგენციაა, უმთავრესად აღზრდილი თავისი წოდების წიაღში და გაჟღენთილი წოდებრივი ინტერესებით"[46]. ბატონყმობის გადავარდნის შემდგომ კი „ჩვენი ცხოვრების ეკონომიურმა წარმატებამ ღრმა კრიზისი შეიტანა თავად-აზნაურულ წოდებაში და გამოიწვია მისი დიფერენციაცია. ეკონომიურ ცხოვრების სიღრმეში მომხდარმა ცვლილებამ ნაწილი თავად-აზნაურებისა გადახარა ახალი ეკონომიკის მიმართულებით და ფულის მორევში ჩაითრია. ეს მცირე ნაწილი ვერ შეურიგდა არსებულ წყობილებას და ცხოვრების დონის გაფართოებას მოითხოვდა. ამ ნიადაგზედ აღმოცენდა ქართული ლიბერალიზმი, რომელსაც შეტაკება მოუხდა რეაქციონური ინტელიგენციის წარმომადგენლებთან... თვით ცხოვრების სიღრმეში მომხდარმა უთანხმოებამ გამოიწვია იდეოლოგიურ ფრონტებზედაც ბრძოლა"[47]. მეორე მხრივ, „ინტელიგენციამ შეითვისა რუსეთის პროგრესული და ლიბერალურ-დემოკრატიული აზროვნება და მათი გადმონერგვა მოინდომა საქართველოს ნიადაგზე"[48]. ასე რომ, „არსებითად იგი (ე.

ი. ლიბერალიზმი – გ. ყ.) თავად-აზნაურულ ბურჟუაზიული შინაარსისაა და ამ რიგად ქართულ ლიბერალიზმში თავს იყრიდა როგორც თავად-აზნაურული ლიბერალიზმის ნაკადი,ისე ამომავალი კლასის ბურჟუაზიის აზროვნებაც"[49]. საკუთრივ ილიას თაობაზე სიმონ ხუნდაძემ ასე დაასკვნა: „მე-60 წლების ქართული ლიბერალიზმის საუკეთესო წარმომადგენელი არის ილია ჭავჭავაძე. ილია, როგორც პოლიტიკური მოღვაწე და პუბლიცისტი, ვერ იშორებს თავიდან სავსებით თავად-აზნაურულ იდეოლოგიას, მაგრამ ცდილობს შეუთანხმოს იგი ახალ ცხოვრების ქროლვას და შეარიგოს მიმავალი წოდება ახლად მომავალ პროგრესიულ ძალას, გამოაბას სასიკვდილოდ გამზადებული თავად-აზნაურობა ეკონომიურად მომქმედი სოციალური კლასის გემს"[50].

ჩვენი მხრივ დავსძენთ, რომ ამ შემთხვევაშიც საგრძნობი ხარკია გაღებული ვულგარული სოციოლოგიზმისადმი, რომელიც ერთ ხანს მარქსიზმის სახელით მოიხსენიებოდა. მაგრამ ფ. მახარაძის აბსურდულ შეხედულებასთან შედარებით ამჯერად უფრო წინგადადგმულ ნაბიჯთან გვაქვს საქმე. თუმცა საბოლოოდ ვერც სიმონ ხუნდაძე ასცდა იმ მცდარ მოსაზრებას, რომ 1870-იანი წლების ბოლოდან მოყოლებული ილიამ არსებითად გადახარა თავისი პოლიტიკა თავადაზნაურობის მხარეზე და ალექსანდრე III-ის რეაქციონურ (!) პოლიტიკას დაუჭირა მხარი[51] და ამდენად, იგი დარჩა ნახევრად პროგრესისტად, ნახევრად ლიბერალად და ნახევრად (!?) კონსერვატორადო[52].

საინტერესოა ცნობილი ფილოლოგოსის მიხეილ ზანდუკელის მცდელობა ჩვენთვის საინტერესო საკითხის გასარკვევად. პირველად ამას ვხედებით მისეულ წიგნში „თერგდალეულნი და ხალხოსნები ქართულ ლიტერატურაში"[53]. თერგდალეულთა შორის ილიას, რასაკვირველია, მასში ცენტრალური ადგილი ეთმობა და მრავალი გვერდი სწორედ მისადმია მიძღვნილი. ავტორი 1860-იანი წლების თავადაზნაურობას განიხილავს დიფერენცირებულად ("დიდი შემძლებელი, საშუალო ქონებისა და წვრილი აზნაურებისა"[54]), რომლებიდანაც მოხდა ინტელიგენტური წრეების დეკლასირება[55], გამოვიდნენ თერგდალეულები. გარდა შესაბამისი კლასობრივი, სოციალური წარმოშობისა, მათი აზროვნება განპირობებული იყო რუსეთის ცხოვრებით, კერძოდ რუსული საზოგადოებრივი აზროვნებით და დასავლური უტოპიური სოციალიზმით[56]. ავტორის შეხედულებით, ილიას თავდაპირველად ახასიათებდა დემოკრატიული ტრადიციები, რადიკალური იდეები[57], რადიკალურ-

დემოკრატიული პრინციპები[58], საერთოდ კი თერგდალეულები ლიბერალურ-პროგრესულ პოზიციებს ვერ გასცდნენო. 1876 – 1878 წლების შემდეგაც (ავტორს ძირითადად ამ პერიოდამდე მოპქონდა თხრობა) ლიბერალურ-ბურჟუაზიულ შეხედულებასთან ერთად, მათთან თანაარსებობდნენ აგრეთვე უტოპიური და ხალხოსნური ელემენტები.[59]

მიხეილ ზანდუკელმავე 1933 წელს დაბეჭდა წიგნი „ახალი ქართული ლიტერატურა" (I ტომი). იგი ცდილობდა „მკითხველთათვის მოგვეგონებინა თუ როგორ მწვავედ იდგა ეროვნული საკითხი მე-XIX-ე საუკუნეში, რომ ეროვნული განთავისუფლება ყოველთვის არ იყო რეაქციონური მოვლენა, არამედ გახლავთ „მთავარი მოქმედი და მამოძრავებელი ძარღვი 60-იანი წლების, ...შემკრები თავის გარშემო ჩვენი ცხოვრების ცოცხალ და მოქმედ ძალების'"[60]. რევოლუციონერი, რომელიც ამწვავებდა და აღრმავებდა ბრძოლას „ცარიზმთან" და ამით რევოლუციონურ მოძრაობას ხელს უწყობდა'"[61]. მეტიც, „...ამ საკითხის წამოყენებაგაშლით ისინი ჩვენს ხალხში რევოლუციონურ-დემოკრატიულ იდეებს უდაოდ ავრცელებდნენ"[62]. დაბოლოს, ავტორის აზრით, „პოლიტიკურად თავისუფალი, მთლიანი საქართველო ილიასათვის და სხვა თერგდალეულთათვის აუცილებელი პირობაა ქართველი ხალხის სამართლიანი მომავლის დამყარებისათვის'"[63].

სამწუხაროდ, ავტორი ვერ ასცდა კლასთა ბრძოლის შემდგომი გამწვავების აუცილებლობისათვის ხაზგასმას, თერგდალეულთა მხრივ უყურადღებობას მისადმი[64].

მსგავს მცდელობებს ჰქონდა ადგილი აგრეთვე ყოფილი „მენშევიკის", პროფესიით იურისტისა და ისტორიკოსის – გრიგოლ გიორგაძის (1870 – 1937) წიგნში „საზოგადოებრივი ურთიერთობანი საქართველოში" (გამოქვეყნდა 1928 წელს).[65]

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს ფილოლოგოს-ისტორიკოსის პავლე ინგოროყვასა და პოეტ ალექსანდრე აბაშელის ერთობლივი გმირობა, რაც გამოიხატა 1925 – 1929 წლებში ილიას ნაწერების სრული კრებულის ათტომეულის გამოცემით (გამომცემლობა „ქართული წიგნის" მიერ)[66]. აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა მოვიხსენიოთ ნიკო ნიკოლაძის – როგორც გამომცემლობა "ქართული წიგნის" ერთ-ერთი მოღვაწის დიდად ღირსეული საქციელი, რაზედაც მოგვითხრობს ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მწიგნობარი იოსებ იმედაშვილი (1876 – 1952). უკანასკნელის შეკითხვაზე: "პატივცემულო ნიკო, თქვენ ილიაზე ზრუნავთ, თქვენი ნაწერების

ტომებს როდისღა უნდა ვეღირსოთ?“ დიდ სამოციანელ მოჰიკანს ასე უპასუხნია: “ჩემი ნაწერები დროს გაჰყვა. დღეს ჩვენს ხალხს უფრო მეტად ილიას ნაწერები ეჯირვება... ეს უფრო მეტს გააკეთებს, ვიდრე ჩემი ნაწერები... ილია უნდა აღსდგეს...“[67]. ამით შეიქმნა ერთ-ერთი ძირითადი პირობა ილიას ფენომენის სრული გააზრებისათვის, რის თაობაზედაც არჩილ ჯორჯაძე წერდა: „ილია ჭავჭავაძის გაცნობა, შესწავლა და დაფასება მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი, როდესაც ამ დიდბუნებოვან ადამიანის აზროვნების ყველა ნიმუშებს დავაკვირდებით და როდესაც გვექნება სრული კრებული მის გონებრივ ნაწარმოებისა”[68].

ილიას „რეაბილიტაციის” შემდგომ, 1937 წელს, აღნიშნულმა პირებმა გამოსცეს ილიას ხუთტომეულის პირველი ტომი, დანარჩენი ტომები კი დაიბეჭდა პავლე ინგოროყვას რედაქტორობით (1941 – 1952, 1955 და 1962 წლებში). მისივე რედაქტორობით 1950 – 1961 წლებში გამოქვეყნდა ილიას თხზულებათა სრული კრებული.

მაგრამ აღნიშნული წინაპირობა სრულიადაც არ აღმოჩნდა საკმარისი ილიას ფენომენის ობიექტური, რამდენადმე ადეკვატური გაგებისათვის. ამისათვის, როგორც დავინახავთ, სხვა რამეც გახლდათ საჭირო, ოდენ აღნიშნულმა წინაპირობამ, ცხადია, არ იკმარა, კერძოდ, ფ. მახარაძის სწორი აზროვნებისათვის საკითხზე. სხვათა შორის, ღირს შეხსენებად იმის აღნიშვნა, რომ სწორედ ფ. მახარაძის „ნააზრევი” დაედო საფუძვლად „დიდი საბჭოური ენციკლოპედიის” პირველ გამოცემაში (ტ. 61, დაიბეჭდა 1934 წელს) მოთავსებულ სტატიას ილიაზე. აქ მის შესახებ აღნიშნულია: „19-ე საუკუნის შუახანების ქართული თავადაზნაურულ-ლიბერალური ლიტერატურის წარმომადგენელი”, „ლიბერალურ-პროგრესული თავადაზნაურობის უდიდესი (крупнейший) წარმომადგენელი”,[69] „60-იანი წლების თავადაზნაურობის საზოგადო მოღვაწე”, „მსხვილ მემამულეთა წრიდან”. თითქოს „ცხოვრებასა და კანონში” ილია იხრებოდა არისტოკრატიის „დემოკრატიზაციის” აზრისაკენ, ხოლო „90-იან წლებში გამწვავებული სოციალური წინააღმდეგობებისა და რევოლუციური მოძრაობის ზეგავლენით (!) ჭავჭავაძემ დაიწყო მოწოდებები კლასობრივი ზავის („ოთარაანთ ქვრივი”) და საერთო-ეროვნულ ერთიანობაზე”.

ლავრენტი ბერიას გახმაურებულ პლაგიატში „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის” (პირველად გამოქვეყნდა 1935 წელს) ფაქტობრივად გაზიარებულია გიორგი წერეთლისეული მოსაზრება სამი დასის თაობაზე: პირველი

— ქართული ინტელიგენციის ფეოდალურ-აზნაურული, ფეოდალურ-პროგრესული მიმართულება ილია ჭავჭავაძის მეთაურობით; მეორე — ბურჟუაზიულ-პროგრესული მიმართულება გიორგი წერეთლის მეთაურობით, რომლის მემკვიდრეს წარმოადგენდა შემდგომი პოლიტიკური მიმართულება (მესამე დასი)[70]. წიგნის შემდგომ გამოცემაში ლაპარაკია „წერეთელ (გიორგი) — ნიკოლაძის ჯგუფზე" და მათთან ერთად, სერგეი მესხსა და ილიაზე, როგორც „პირველი დასის — ფეოდალურ-პროგრესული მიმდინარეობის „მეთაურზე", იდეურ ბელადზე"[71]. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში გვერდი აქვს აცლილი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რაც ი. სტალინის ზეგავლენით მალე იქნა დამკვიდრებული.

მას შემდეგ რაც, 1936 წელს, გაზეთ „პრავდის" ფურცლებზე ილია ჭავჭავაძე გამოცხადებულ იქნა როგორც „საქართველოს ნაციონალ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უპოპულარესი მოღვაწე, ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მგზნებარე მებრძოლი", საუკეთესო წარმომადგენელი „მოწინავე ქართული ინტელიგენციისა, რომელიც გასული საუკუნის 60-იან წლებში გაერთიანდა რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, რომელიც ცდილობდა ქართველი ხალხის დამონებას"[72], ვიმეორებთ, ბოლო მოეღო ფ. მახარაძისა და „მისი სკოლის" აღვირახსნილ გამოხდომებს ილიას საწინააღმდეგოდ.

მაგრამ არც ისე იყო საქმე, როგორც ამას ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიკოსი მიხეილ გაფრინდაშვილი წერდა: „ქართული განმანათლებლობისადმი დოგმატურმა მიდგომამ საბოლოოდ დაუთმო ადგილი შემოქმედებით, ჭეშმარიტად მარქსისტულ-ლენინურ მიდგომას"[73]. უპირველესად გარკვევას მოითხოვს ის გარემოება, თუ როგორ თავსდება ასეთი შემოქმედებითობა უაზრო, არაბუნებრივ სიმბიოზში, რასაც მარქსიზმ-ლენინიზმს უწოდებენ. აგრეთვე გასაცნობიერებელი იყო, თუ რამდენად უნივერსალურია კლასობრივი ბრძოლის ფაქტორი, ილიას მოღვაწეობის საზრისი 1900 — 1907 წლებში და ა. შ.

შეცვლილი, ასე ვთქვათ, იდეოლოგიური ვითარებით ისარგებლა ალექსანდრე ჩავლეიშვილმა, რომელმაც 1937 წლის 29 მაისის ნომერში დაბეჭდა სტატია "ეულგარული სოციოლოგიზმის წინააღმდეგ ილიას შემოქმედების გაგებაში".

ერთ-ერთი „პირველი მერცხალი" ამ თვალსაზრისით გახლდათ ლიტერატურათმცოდნე და კრიტიკოსი შალვა რადიანი. ილიას თხზულებათა I ტომის წინასიტყვაობაში იგი აღნიშნავდა:

„ი. ჭავჭავაძე თავისი მსოფლმხედველობით გამოხატავდა გათვითცნობიერების გზაზე შემდგარ ქართველი საზოგადოების მოწინავე ფენების სულისკვეთებას"[74]; „ჩამორჩენილ, ბატონყმურ, კოლონიურ საქართველოში იგი გამოვიდა განათლების, თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის იდეებით"[75]; „ი. ჭავჭავაძის ჰუმანიზმი ატარებდა ძველი თავადაზნაურული, ბატონყმური საზოგადოებრივი წყობილების ღრმა დემოკრატიული კრიტიკის ხასიათს. ილიას ეს ჰუმანიზმი გამოხატავდა ფართო მასების მისწრაფებას ნამდვილი ადამიანური ცხოვრებისაკენ, მისწრაფებას მოწინავე და პროგრესული კაცობრიობისაკენ"[76]; „თავადაზნაურთა წრიდან გამოსულმა ი. ჭავჭავაძემ ჩაატარა რა ბატონყმური სინამდვილის დაუზოგველი კრიტიკა, ამით მან ობიექტურად გამოხატა თავისი დროის მშრომელი მოსახლეობის მისწრაფებები"[77].

რაც შეეხება დაპირისპირებულობას საზოგადოებაში, „ეს იყო, ერთის მხრივ, ძველი, დროგადასული პატრიარქალურ-ფეოდალური კარჩაკეტილობის, მხოლოდ საკუთარი თავისთვის მქადაგებელთა და დამცველთა, ხოლო მეორეს მხრივ, ახალი საზოგადოებრივი ცხოვრების, ცივილიზაციის, კულტურის ფართო პერსპექტივიანი იდეების წარმომადგენელთა ბრძოლა"[78].

მაგრამ შალვა რადიანის ნააზრევში კვლავ მნიშვნელოვანია ვულგარული სოციოლოგიზმის ტვირთი. მაგალითად, იგი წერდა: ილია „მრავალი მომენტით იყო დაკავშირებული თავისი ქვეყნის, თავისი კლასის და ეპოქის იდეოლოგიასთან"[79]. თითქოს მაინცდამაინც არაფერი საწინააღმდეგო არ უნდა გვქონდეს, მაგრამ ციტატა ამგვარად გრძელდება: „ილია ჭავჭავაძის მიერ ჩატარებული თავადაზნაურული კლასის და „სასტიკი საუკუნის" ჰუმანისტური კრიტიკა თავისთავად არ შეიძლებოდა ყოფილიყო „უკლასო". მწერლის მიერ თავისი კლასის განსაზღვრულობის დაძლევა არ ნიშნავს იმას, თითქოს იგი ხდება საერთოდ ზეკლასიური"[80].

მთლად გაუგებარია კრიტიკოსის შემდეგი აზრი: „მაგრამ სოციალისტური რეალიზმი თავისთავად არ დამყარებულა, – მას ჰყავდა წინამორბედნი წარსული საუკუნის კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენლების სახით. ამ წინამორბედთა შორის განსაკუთრებით საპატიო ადგილი ი. ჭავჭავაძეს ეკუთვნის, რომელმაც ქართულ ლიტერატურაში განამტკიცა რეალისტური მიმართულება"[81].

ცხადია, ეჭვს გარეშე დგას დიდი ქართველი ისტორიკოსისა

და მამულიშვილის ივანე ჯავახიშვილის უაღრესად დადებითი განწყობა და შეხედულებანი ილიას შესახებ. მაგრამ სპეციალურად იგი ამ თემაზე ვრცლად არ შეჩერებულა[82]. ილიას იდეური „რეაბილიტაციის" შემდგომ, 1937 წელს, ენიმკის საბჭოს სხდომაზე მან წაიკითხა მოხსენება „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია", რომელიც ერთი წლის შემდეგ ცალკე ბროშურის სახით დაიბეჭდა. მოხსენება ეხებოდა საკითხს — ილია, როგორც ისტორიკოსი. მაგრამ, ცხადია, გამოთქმული იყო სათანადო შეფასებანი. კერძოდ, ნახმარია სიტყვები: „ჩვენი დაუვიწყარი მოამაგე", „ქართული საზოგადოებრივი აზრის მესაჭე", „ჩვენი სახელოვანი მგოსანი და პუბლიცისტი"[83]. დიდი მეცნიერი აღნიშნავდა: „თუ თავდაპირველად ილია ჭავჭავაძე ახალი ქართული მწერლობისა და ქართველთა საზოგადოებრივი აზრის უცილობელ ბელადად ითვლებოდა, წარსული (ე. ი. XIX — **გ. ყ.**) საუკუნის დამლეევითგან მოყოლებული, როგორც ცნობილია, თავი იჩინა ისეთმა მიმართულებამ, რომელიც არამცთუ საზოგადოებრივი აზრის მის ბელადობას სრულებით უარჰყოფდა და მიწასთან გასწორებას ცდილობდა, არამედ პოეზიის დარგშიც კი მისი ღვაწლის მთლიანად გაქარწყლებას ლამობდა"[84].

როგორც ვხედავთ, ოდენ ილიას მოხსენიება დადებით კონტექსტში, თუნდაც მისი დაკავშირება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან, რაც უწინ შუბლმაგარი ესდეკებისათვის (როგორც „მენშევიკების", ისე „ბოლშევიკებისათვის") წარმოუდგენელი გახლდათ, ილიას ფენომენის გასაცხადებლად არ კმაროდა. როგორც უკვე მივუთითებდით, გასარკვევი რჩებოდა რიგი საკითხებისა. 1930-იანი წლების ბოლოს, ცხადია, მათი გარკვევა ვერ მოხერხდა. ენახოთ, თუ როგორ გაართვეს თავი პრობლემებს მეორე მსოფლიო ომის შემდგომ.

ქართველი ისტორიკოსების, ფილოლოგოსების, ფილოსოფოსების და მისთ. წინაშე აღიმართა რევოლუციურ-დემოკრატიის ფანტომი. მათ უამრავი შრომა და ენერგია შეალიეს ერთმანეთისა და სხვათათვის იმის დამტკიცებას — იყო თუ არა კერძოდ ილია რევოლუციონერ-დემოკრატი[85]. ასე რომ, არა თუ უწინ, ამჟამადაც კი გაურკვეველია შესაბამისი ცნების შინაარსი. მაგალითად, რუსულ ენციკლოპედიებში აღნიშნული ცნების დადგენას გაურბიან, მხოლოდ განმარტავენ რუს „რევოლუციონერ-დემოკრატთა" მოღვაწეობას. კერძოდ, ამ კატეგორიაში შეჰყავთ ალექსანდრ

გერცენი, ნიკოლაი ოგარიოვი, ბესარიონ ბელინსკი, ნიკოლაი ჩერნიშევსკი, ნიკოლაი დობროლიუბოვი და სხვანი[86], რომლებიც, როგორც ცნობილია, იბრძოდნენ რუსული, გლეხური სოციალიზმის რევოლუციური გზით დასამკვიდრებლად.

მაგრამ როგორ უნდა იქნას გააზრებული რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულება, ვთქვათ, XVII საუკუნის ინგლისში ანდა XVIII – XIX საუკუნეების საფრანგეთში, გერმანიასა და სხვაგან, როდესაც რევოლუციონერი იდეოლოგები და პრაქტიკოსები იმავდროულად დემოკრატიისათვისაც იბრძოდნენ? ბოლო და ბოლოს, თვითონ კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსიც ხომ ერთდროულად რევოლუციონერებიც იყვნენ და დემოკრატებიც? იგივე ითქმის ე. წ. რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის თაობაზე.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ მაგალითად, განმანათლებლობის, ლიბერალიზმის, კონსერვატიზმის, დემოკრატიზმის, გნებავთ ქრისტიანული დემოკრატიის და ა. შ. ცნებები ზოგადობის შემცველია და, რა თქმა უნდა, ერთ რომელიმე ქვეყანას არ ესადაგება, რევოლუციური დემოკრატიის ცნებაზე ასე როდი ითქმის. აღნიშნულმა გარემოებამ, ვიმეორებთ, ქართველ მეცნიერებსა და ფილოსოფოსებს დიდი თავსატეხი გაუჩინა.

სხვათა შორის, კერძოდ, ქართულ მეცნიერებაში ასევე სადავიდარაბოდ იქცა ლიბერალიზმის, კონსერვატიზმისა და დემოკრატიზმის ცნებათა გაგება-გააზრება. ბოლშევიკურ-კომუნისტური აზროვნების თვალსაზრისით ლიბერალიზმის შინაარსი ბუნდოვნად და უაღრესად დაკნინებულად წარმოიდგინებოდა (შესაბამისად, მით უფრო საბჭოური ყოველდღიური ცნობიერების დონეზე იგი უხერხემლობის, მერყეობის, უნიათობის სინონიმად იქცა. დიდად მომაკვდინებლად ითვლებოდა გამოთქმა „დამპალი ლიბერალიზმი"). ლიბერალიზმი ითვლებოდა დაბალ საფეხურად, რომლის ზემოთაც დემოკრატიზმს აყენებდნენ. აღარას ვამბობთ კონსერვატიზმზე, რომელიც პირწმინდად რეტროგრადობას, ჩამორჩენილობას, რეაქციონერობას ნიშნავდა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხარე კამათს იწვევდა და იწვევს ხოლმე კერძოდ ილიას მიკუთვნება ლიბერალიზმისა თუ დემოკრატიზმისადმი. აღარ დაგიდევდნენ იმას, რომ თვითონ ეს უკანასკნელი უყოყმანოდ მიიჩნევდა თავის ლიბერალობას (შეგახსენებთ, რომ ეს გარემოება გრიგოლ ორბელიანმაც მშვენივრად უწყოდა). მოვიგონოთ ისიც, რომ ილიასათვის იდეალური პოლიტიკოსი გახლდათ სწორედ ინგლისელი ლიბერალი უილიამ გლადსტონი

(1803). ისიც ფაქტია, რომ ილია დადებით კონტექსტში მოიხსენიებდა კონსერვატიზმს (ინგლისური პოლიტიკური გაგებით).

XIX საუკუნის ქართული განმანათლებლობაც ხომ XVII – XVIII საუკუნეების შესაბამისი სინამდვილის მთლად ადეკვატური როდი იქნებოდა და მას სხვაგვარი მნიშვნელოვანი მომენტებიც დაემატებოდა. გარდა თუნდაც რუსეთის ან საქართველოს თანადროული სინამდვილისა, ამ მხრივ გარკვეულ მოდიფიცირებას ექნებოდა ადგილი მოწინავე მსოფლიოს ზეგავლენითაც.

ილიას სოციალურ-პოლიტიკური პოზიციის აღსანიშნავად მოგვიანებით გაჩნდა ეროვნულ-დემოკრატიზმის ცნებაც[7], რაც მოდის დიდი ქართველის მიერ ჩაფიქრებული პარტიის სახელწოდებიდან.

ზემოთ ნათქვამს დავუმატებდით იმასაც, რომ XIX საუკუნის საქართველოს იდეური მოვლენების გასაგებად საჭიროა აგრეთვე თანადროული დასავლეთისა და რუსეთის უფრო ღრმა გააზრება. ეს კი ძალზე უჭირდათ ქართველ ისტორიკოსებს, მით უმეტეს ფილოლოგოსებსა და ფილოსოფოსებს. თუმცა ეს გარემოება მათ ხელს არ უშლიდა შეჭიდებოდნენ ურთულეს პრობლემებს. მაგრამ ილიას ფენომენის გაცნობიერებისას ასევე გარეისტორიული (სხვა ქვეყნების) იდეური ზეგავლენის გათვალისწინების ხაზგასმაც უდავოდ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა.

თუ უწინ, განსაკუთრებით ნოე ჟორდანიასა და ფილიპე მახარაძის გაუკულმართებული აზროვნებით, ჩვენი დიდი მოღვაწის მნიშვნელობის დაკნინება ხდებოდა, მისი „რეაბილიტაციის" შემდგომ, სახელდობრ მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან მოკიდებული, როდესაც ი. სტალინის დიდი ძალისხმევით განსაკუთრებით ე. წ. საბჭოთა ხალხებს შორის დამკვიდრდა „დიდი რუსი ხალხის" კულტი, თავი იჩინა ახალმა ტენდენციამ: ილია მარქსამდელ მოაზროვნეებთან შედარებით წინ დაეყენებინათ, მაგრამ ისე რომ რუს „რევოლუციონერ-დემოკრატებზე" სწორება ყოფილიყო. აქედან გამომდინარე, კარგ, პატრიოტულ ტონად ითვლებოდა ილიას გამოცხადება რევოლუციონერ-დემოკრატად, მატერიალისტად, შესაბამისად ათეისტად, საზოგადოებისა და ისტორიის გაგებაში ლამის ისტორიული მატერიალიზმის მომხრედ (ჯერ კიდევ კარლ მარქსის, ფრიდრიხ ენგელსისა და მათი მომხრეების შრომების გაცნობამდე!), ლამის ჩამოყალიბებულ, დასრულებულ დიალექტიკოსად. აღიარებდნენ, რომ ილია რევოლუციონერი გახლდათ არა მხოლოდ ახალგაზრდობის ჟამს, არამედ შემდგომაც, მაგრამ არ ცდილობდნენ დაესაბუთებინათ მსგავსი მოსაზრება.

ყველაზე მკაფიოდ აღნიშნული მოსაზრებანი გამოჩნდა ისტორიკოს პროკოფი რატიანის ნაშრომებში, რომელთაგან პირველი „ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური და სოციალ-პოლიტიკური შეხედულებანი" გამოქვეყნდა 1949 წელს (მეორე და მესამე გამოცემანი – 1954 და 1965 წლებში). თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ავტორმა სამეცნიერო ბრუნვაში შემოიტანა ახალი ძვირფასი საისტორიო მასალა, შესაბამისად დაადგინა ახალი ფაქტები[88].

ილიას „ახლებური" გაგებისათვის თავი გამოიდეს ფილოსოფოსებმაც. 1954 წელს ამროსი (!) თავაძემ დასტამბა მონოგრაფია „ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური და ესთეტიკური შეხედულებანი",ალექსანდრე ქუთელიამ ამავე წელს ჟურნალ 'მნათობში" (№ 9) დაბეჭდა სტატია "ილია ჭავჭავაძე – რეეოლუციური დემოკრატი", სოხუმელმა ფილოსოფოსმა შოთა მისაბიშვილმა 1957 წელს – მონოგრაფია "ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ფილოსოფიური შეხედულებანი" (რუსულ ენაზე), ვახტანგ გაგოიძემ კი „ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა" (1962 წელს). რასაკვირველია, მათ კიდევ უფრო გაამყარეს ახალი შტამპი. კერძოდ, უკანასკნელს გაუჩნდა ილუსია იმისა, რომ „ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის შედარებით უფრო ობიექტურმა, უფრო პირუთვნელმა შესწავლამ და ყოველგვარი სუბიექტური ელემენტების გამორიცხვამ კვლევა-ძიების სფეროდან, შესაძლებელი გახადა ამ მსოფლმხედველობის დანახვა ისე, როგორც ის არის, მისი რადიკალურ-დემოკრატიული და მატერიალისტური შინარსის გახსნა"[89].

სამწუხაროდ, ამის შემდგომ ქართველ ფილოსოფოსებს აღნიშნული თემისათვის თავი დიდად აღარ გამოუდვიათ, რაც დღემდე გრძელდება. მიზეზი ამისა, ალბათ, გახლავთ ის, რაზედაც თვითონ ილია წერდა: „შექსპირი, გეტე, ბაირონი და სხვა მეცნიერთაგან დიდი ხანია გარჩეულია მრავალგვარად. ამაზედ მრავალი უწერიათ, მრავალი უთქვამთ. მაშასადამე, ამათზედ ასეთისა თუ ისეთის აზრის შედგენა მეტის-მეტად ადვილია და აზრის საბუთის პოვნაც არ არის ძნელი. აქ ყველაფერი, აზრიც, და საბუთიც, მზად არის, თქვენ ოღონდ იმოდენა ღონე იქონიეთ, რომ მოჰკრიბოთ, ერთი-ერთმანეთს შეუფარდოთ, შეუწონოთ და ყოველივე შეკრებილი, შეფარდებული და შეწონილი ერთს ძნად შეჰკრათ და ისე მიართვათ მკითხველსა. რა თქმა უნდა, რომ ამასაც ჭკუა, ცოდნა უნდა და მცირეოდენი ხელოვნებაც, მაგრამ აქ თვითმოქმედება უფრო ხელისაა, თუ ესე ითქმის, ვიდრე იმ სულიერის ძალ-ღონისა, რომელიც თითონ

ჰქმნის, თითონ სჯის, თითონ სწლავს, თითონ სჭრის და თითონ ჰკერავს. აქ ყველაფერი უჯრა-უჯრად უწყვია ევროპის ლიტერატურის სალაროში მზა-მზარეულად, ოღონდ იმ სალაროში შესვლის ღონე მოიპოვეთ და,რაკი ეს გექნებათ,ხელის გაწედენის მეტი არა არის-რა საჭირო, რომ უჯრა გამოსწიოთ და რაც გსურთ, ის გამოიღოთ"[90]. მართლაც, პლატონზე, არისტოტელეზე, კანტზე და მისთ. წერა ადვილია,რამეთუ მათზე ზღვა (ოკეანე) ლიტერატურა არსებობს, ილიაზე წერა კი ქართველ ფილოსოფოსთათვის, როგორც ჩანს, ძალზე ძნელია. ილიასი არ იყოს, "აქ ყველაფერი საკუთარი ჭკუით უნდა ჰზიდოთ და ყველაფერს საკუთარის გონების შუქი მიაყენოთ"[91].

ფილოსოფოსთაგან ილიას შესაბამისი ნააზრევის წარმოჩენა სცადა რევაზ ბალანჩივაძემ წიგნში "ადამიანის ფილოსოფიური კონცეფცია ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში" (1977 წელი). ილიას მსოფლმხედველობის რიგი საკითხებისა პოპულარულად გადმოსცა პროფ. შალვა ხიდაშელმა[92]. 2000 წელს გამოქვეყნებულ "ქართველ ფილოსოფოსთა ლექსიკონში" ილიას შესახებ დაწერილ მცირე სტატიაში (ავტორები, პროფესორები მერი ჭელიძე და ვახტანგ გაგოიძე) ლაპარაკია ილიაზე, როგორც "დიდ ქართველ მოაზროვნეზე", რომ "ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური შეხედულებების შემოსაზღვრა რომელიმე თეორიის ან მიმართულების ჩარჩოებით არ არის გამართლებული", რომ საზოგადოების გაგებაში თითქოს იგი მონისტური (მატერიალისტური) გაგების მომხრე გახლდათ, თითქოს ის გადაჭრით იდგა იმ თვალსაზრისზე, რომ "ისტორიის შემოქმედი და ნამდვილი სუბიექტი, უწინარეს ყოვლისა, ეროვნებებია, ხალხია"[93]. ასე რომ, როგორც ვხედავთ, მიტოვებულია ქართველ ფილოსოფოსთა რიგი ძველი სტერეოტიპებისა ილიაზე.

რასაკვირველია, მსგავსი მცდელობები ხშირ შემთხვევაში უსაფუძვლო იყო. ამიტომაც სხვადასხვა სპეციალობების ავტორები თავს ვერ აბამდნენ ილიას ცხოვრებასა და შემოქმედებასთან დაკავშირებულ დიდ ფაქტებს. მეორე მხრივ, ამიტომაცაა, რომ ილიას გაგება-გააზრების ისტორიის გაცნობისას თავისებური კალეიდოსკოპის განცდა გვეუფლება,რომელშიც ლოგიკის,საერთო ხაზის, აზრის მდინარების დაჭერა შეუძლებელია (ამაში დარწმუნება ძალზე ადვილია თუნდაც მიხეილ გაფრინდაშვილის უკვე დასახელებული წიგნის წყალობით).

ილიას სახელსა და დამსახურებას გააბსოლუტირება ქართველი

ერის წინაშე არც იმ თვალსაზრისით სჭირდება, რომ ყოველივე ახალი დიდი სიახლე მხოლოდ მას დავუკავშიროთ. ასეთი რამ ჩვენს კულტურას, თვითონ ილიას სახელს არ ესაჭიროება. გამოჩენილი ენათმეცნიერი არნოლდ ჩიქობავა თვლიდა, რომ ახალი ქართული ენის განვითარების პროცესი არსებითად XVII საუკუნის ბოლოს დამთავრდა, რაც, სამწუხაროდ, შეფერხდა ანტონ კათალიკოსის „სამი შტილის" თეორიით[94]. ნიკოლოზ ბარათაშვილი რომ ილიას დიდი სულიერი წინამორბედი გახლდათ, ამას ილიაც აღიარებდა. ცნობილია ისიც, რომ თვითონ უკანასკნელი საქართველოში ევროპეიზმის (კულტურის განვითარებაში) წამომწყებად დავით გურამიშვილსა და ნიკოლოზ ბარათაშვილს მიიჩნევდა. აქვს სერიოზული საფუძველი იმ აზრს, რომ ქართულ ლიტერატურაში კრიტიკული რეალიზმის დამწყებად ჩაითვალონ გიორგი ერისთავი, დანიელ ჭონქაძე და რაფიელ ერისთავი.

გამოჩენილ ქართველ ისტორიკოსს ნიკო ბერძენიშვილს ილიასა და სხვა „თერგდალეულთა" ეროვნული იდეები ახალ პირობებში მეცხრამეტე საუკუნის მეორე მეოთხედის მოღვაწეთა (ალექსანდრე ჭავჭავაძის, იაგორ ჭილაშვილისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის) სამოქმედო პროგრამის უშუალო განვითარებად მიაჩნდა. საერთოდაც, მას მიუღებლად ეჩვენებოდა ილიას ფენომენის გაგება წინამავალი ისტორიული პროცესისაგან მოწყვეტით[95]. დაბოლოს, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ილიას სულიერ წინამორბედთა ერთი ნაწილი და ბევრ მხრივ თანამოაზრენიც კი (გრიგოლ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, ვახტანგ ორბელიანი, გაბრიელ ეპისკოპოსი და სხვანი) მის გვერდით ცხოვრობდნენ და აქტიურად იღვწოდნენ საზოგადოებრივ და კულტურულ ასპარეზზე და რომ თვითონ ილია მათს ღვაწლს დიდად აფასებდა (ამ თემაზე ჩვენ საგანგებოდ შევჩერდებით).

დაე, ზემოაღნიშნულის თაობაზე თვითონ ილიას მოვუსმინოთ. გაზეთ „დროების" ათი წლისთავის აღსანიშნავად მოწყობილ შეკრებაზე მან წარმოსთქვა: „ყველას სამართალი ითხოვს, რომ ყველას თავისი მიეწყოს. თუმცა იმ დროშაზედ, რომელზედაც უფ. მესხმა მოიხსენა, ეხლანდელთა „დროების" მოღვაწეთა თავის მიმართულება ზედ წააწერეს, მაგრამ თვით დროშა კი მემკვიდრეობით გვაქვს გადმოცემული განსვენებულის სოლომონ დოდაყვისაგან, გიორგი ერისთავისაგან. საუკუნოდ იყოს ხსენება მათი ჩვენში!"[96]

ერთი სიტყვით, ილიას წინადროული საქართველო აზროვნების, საერთოდ სულიერი განვითარების თვალსაზრისით უდაბნოს როდი

წარმოადგენდა. იგი გახლდათ ერთ-ერთი მძლავრი წანამძღვარი ილიას ფენომენის წარმოქმნისა. თავის მხრივ კი იგი გვიხსნის იმას, რომ რუსეთის იმპერიის მთავარ ქალაქებში მრავალი ხალხის წარმომადგენლები სწავლობდნენ, მაგრამ განსაკუთრებით ილია, როგორც ქართველი, მათგან გამორჩეული აღმოჩნდა.

ილიას ფენომენის გაყალბება უფრო უარესადაც სცადეს: ცდილობდნენ, საქმე ისე წარმოედგინათ, თითქოს ჩვენი დიდი წინაპრის იდეალებმა სრული განხორციელება სწორედ საბჭოთა საქართველოში ჰპოვა. ეს გრძნობა კოლექტიურად იყო გაცხადებული ქართველ მწერალთა მიმართვაში იოსებ სტალინისადმი ე. წ. ოქტომბრის რევოლუციის ოცდამეათე წლისთავზე:

> „ბნელს იქით სჩანდა ნათელი – რიჟრაჟი თავისუფლების.
> ამ რიჟრაჟს სჭვრეტდა ილია, უმღერდა მის დამკვიდრებას,
> ქართული სიტყვის მედროშე, ჩვენი მწერლობის დიდება!"[97]

ცხადია, ილიას თემაზე ფიქრობდნენ და წერდნენ ჩვენი პოლიტიკური ემიგრანტები, რომლებიც გახაზავდნენ ილიას ფენომენის დიდ მნიშვნელობას, ამუშავებდნენ დიდი საკითხის ცალკეულ ასპექტებს. ისინი თავისუფალი იყვნენ საბჭოური იდეოლოგიური, კერძოდ, ე. წ. მარქსისტულ-ლენინური შტამპებისა და მუხრუჭებისაგან. მაგრამ მეორე მხრივ მათ არ გააჩნდათ სათანადო მასალა საკითხის მთელი სიგრძე-სიგანით დასამუშავებლად, ბევრი მათგანისათვის მიუწვდომელი იყო ილიას თხზულებათა სრული კრებულები, საქართველოში მიღწეული შესაბამისი შედეგები. ამიტომაც არცაა გასაკვირველი, რომ ილიასმცოდნეობის მრავალი საკითხი მათ მიერ დაუმუშავებელი, გაუცნობიერებელიც კი დარჩა, რომ არც ერთ მათგანს არ შეუქმნია ვრცელი მონოგრაფია ილიას შესახებ[98].

რაც შეეხება ფილოსოფიურ, სოციოლოგიურ მიდგომას, მათთვის (სპირიდონ კედია, ისიდორე მანწკავა, ალექსანდრე მანველიშვილი და სხვ.) დამახასიათებელია ორგანიცისტული სოციოლოგია (მანამდე საქართველოში ამას სისტემურად გადმოსცემდა მიხაკო წერეთელი). რიგ ავტორებზე მონოგრაფიის შესაბამის თავებში შეეჩერდებით, ამჯერად კი შედარებით რელიეფურად წარმოვაჩენთ ალექსანდრე მანველიშვილის ნააზრევს.

ალექსანდრე მანველიშვილი სწორად შენიშნავდა: „ილია ჭავჭავაძის ეროვნული მსოფლმხედველობის ძირები უმთავრესად უნდა ვეძიოთ ქართველი ერის წარსულსა და აწმყოში. გამაგრებული და ჩამოყალიბებული თანამედროვე აზროვნების მიღწევების სრული ცოდნით.

ილია თავისი დროის შვილი იყო და, ცხადია, ის ვერ გაექცეოდა გავლენას ამ დროისა. მაგრამ დიდი შეცდომა იქნება მის მსოფლმხედველობაში დავინახოთ მხოლოდ თანამედროვეობის ანარეკლი. ყველაფერი ამტკიცებს, რომ ილიას ეროვნულ მოძღვრებაში, უწინარეს ყოვლისა, გადატყდა ქართველი ერის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე დამუშავებული (!) შეგნება საზოგადოებისა და მის მამოძრავებელ და წამყვან ძალებზე"[99].

გონებამახვილურია ალ. მანველიშვილის დაკვირვება ასე ვთქვათ საბჭოურ ილიასმცოდნეობაზე: „ის (ილია – გ. ყ.) ბოლომდე დარჩა მატარებელი ეროვნული მოძღვრებისა. ხოლო ამ მოძღვრების სათანადო აუხსნელობამ, მისი თანამედროვე მოწინააღმდეგენიც და დღეს ბევრი მისი მკვლევარნიც პარადოქსალურ მდგომარეობაში ჩააყენა"[100]. ამ გაუგებრობათაგან იგი ჩერდებოდა შემდეგ გარემოებაზე: „ყველა გაკვირვებული იყო და არის, რომ „კაკო ყაჩაღის", „ოთარაანთ ქვრივის", „გლახის ნაამბობის" და სხვათა ავტორი, თითქოს, შემდეგში სცდილობდა თავად-აზნაურობისა და გლეხთა ინტერესების მორიგებას. თუ ეს ზოგმა ილიას „რეაქციონერობაში" ჩამოართვა, მეორეთ ის ილიას „უტოპიზმით" ახსნეს, რადგან, მათი აზრით, შეუძლებელი იყო ამ ორი წოდების ინტერესთა მორიგება. ამავე დროს ყველა თანახმაა იმაში, რომ ილიაზე ძლიერად და ნიჭიერად არავის გაუკრიტიკებია მაღალი წოდება და დაუცავს გლეხობა. ამიტომ ერთნი მას აღიარებდნენ მტრად თავად-აზნაურობისა. (თუმცა, მან თავის „კაცია-ადამიანს" შემდეგი ანდაზა წაუმძღვარა: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს ზურგს უკანაო"). ზოგმა ის თავად-აზნაურობის დამცველად გამოაცხადა, ზოგმა გლეხთა იდეოლოგად (რაკი მუშათა კლასი არ არსებობდა) და ზოგმა კიდევ ახლად ამომავალი ბურჟუაზიის იდეოლოგად. ყველა ამ დამფასებელთ მიუძღვით თავთავიანთი სიმართლე. ხოლო ამ მდგომარეობამ ილიას დღევანდელი კრიტიკოსები უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა, რადგან მათი მსოფლმხედველობის თანახმად, შეუძლებელია ადამიანი ერთ და იმავე დროს იყოს სამი სხვა და სხვა კლასის იდეოლოგი!..."[101]

აღნიშნული ლოგიკური ჩიხიდან ალ. მანველიშვილი ასეთ

გამოსავალს ჰპოულობდა: „ამ პარადოქსიდან თავის განთავისუფლება ადვილია, თუ ილიას ეროვნულ მოძღვრებას სწორად გავიგებთ. ამაზე ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ. ხოლო, საკვირველია, რატომ არ სჯერათ: ილიას სიტყვითაც და წერითაც ათასჯერ უთქვამს, რომ მე არა ვარ ჩვენი ერის რომელიმე ფენის წარმომადგენელი, მე მთელი ერის ინტერესებს ვიცავო. ერთი ასეთი განცხადება გააკეთა მან რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში[102], მიუხედავად იმისა, რომ ის იქ წარგზავნილი იყო როგორც უმაღლესი წოდების წარმომადგენელი!"[103].

ალექსანდრე მანველიშვილმა სასტიკად გააკრიტიკა ისტორიკოს პროკოფი რატიანის უკვე დასახელებული წიგნი (მისი მეორე გამოცემა)[104]. მართლაც, ვიმეორებთ, აქ იგრძნობა არა მხოლოდ საერთოდ ავტორის მიერ ხარკის გაღება საბჭოური მარქსიზმისა თუ ე. წ. მარქსიზმ-ლენინიზმისადმი, არამედ, კერძოდ, სწრაფვაც — ილია და სხვა თანადროული მოაზროვნენი და მოღვაწენი განხილულ ყოფილიყვნენ ქართველი სოციალ-დემოკრატების იდეურ წინამორბედებად, რაც, რასაკვირველია, დიდად მიულებელი, მკრეხელური აზრი გახლავთ! ხომ წარმოუდგენელია ნოე ჟორდანიას, ფილიპე მახარაძისა და მისთანათა აზროვნება გამოყვანილ იქნას აგრეთვე ილიასაგან, ნიკო ნიკოლაძისაგან, აკაკი წერეთლისაგან (მსგავსი რამის თქმა ოდენ გიორგი წერეთელზე თუ შეიძლება). აღნიშნული „მარქსისტების" და სხვათა აზროვნება, თვითონ ილიასი არ იყოს, „რუსული მარქსიზმისაგან" (არავითარ შემთხვევაში ავთენტური მარქსიზმისაგან!) მოდიოდა.

მოგვიანებით თვით საქართველოში ასეთი ტენდენციის წინააღმდეგ სამართლიანად გაილაშქრა ისტორიკოსმა, ძველი ისტორიის სპეციალისტმა გიორგი მელიქიშვილმა, რომელიც შეეცადა საერთოდ ახლებურად გაეაზრებინა საკითხი. 1968 წელს დაბეჭდილ სტატიაში იგი წერდა: „არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ თერგდალეულთა შეფასებაში ხშირად ჭარბობს რომელიმე კარგად ცნობილ სქემაში მათი მოთავსების სურვილი. რამდენადაც იმდროინდელი ქართული სინამდვილე, რომლის ნაყოფსაც ეს მიმდინარეობა წარმოადგენს, ღრმად თავისებურია, ყოველ შემთხვევაში იმ ცნობილი ქვეყნების ვითარებასთან შედარებით, საიდანაც აღებულია ხოლმე ეს სქემები, გასაგებია, რომ თერგდალეულთა მიმდინარეობის ბუნების გაგებაც ამ გზით არ შეიძლება ნაკლოვანი არ იყოს. პირველ ყოვლისა სწორედ ქართული და მასთან ტიპოლოგიურად ახლო მყოფი სინამდვილის ღრმა ცოდნა მოგვცემს თერგდალეულთა

იდეოლოგიის სწორად გაგების გასაღებს. ღრმა განსხვავება, კერძოდ, რომელიც არსებობდა რუსეთისა და საქართველოს სინამდვილეს შორის, ორივე ქვეყნის პროგრესული ძალების წინაშე მდგომი განსხვავებული ამოცანები, განსხვავება მოძრაობაში მონაწილე ძალების სოციალურ ბაზაში და სხვ., ვფიქრობთ, საეჭვოდ ხდის ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების ნ. ჩერნიშევსკისა და ტ. შევჩენკოს ტიპის (?!) რევოლუციურ-დემოკრატობის აზრს. არ შეიძლება აგრეთვე მათი სულ სხვა ნიადაგზე აღმოცენებული მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული მიმდინარეობის წინამორბედად გამოცხადება"[105]. სამწუხაროდ, სტატიაში ავტორი მხოლოდ ამ განცხადებით კმაყოფილდებოდა.

ათი წლის შემდეგ გ. მელიქიშვილი კვლავ მიუბრუნდა აღნიშნულ საკითხს. გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებულ საიუბილეო (ილიასადმი მიძღვნილ) სტატიაში „ეროვნული თავისუფლების მედროშე"[106] იგი გახაზავდა: „თავიანთი ეროვნული და სოციალური იდეების მისაღწევად კერძოდ ილიას ჯგუფი უარყოფდა ძალმომრეობის, რევოლუციის გზას (ამიტომ შეცდომაა, როდესაც მათ რევოლუციონერ-დემოკრატებს უწოდებენ"). მოღვაწეობის დასაწყისში ისინი დიდ ანგარიშს უწევდნენ სოციალურ საკითხს, შემდეგ კი – ეროვნულს. საერთოდ კი, გ. მელიქიშვილის აზრით, „ჩვენი საზოგადოება ერთნაირი პატივისცემით ეპყრობა და დღევანდელი დღის შემოქმედად მიაჩნია განმათავისუფლებელი მოძრაობის ორივე ნაკადის მოღვაწენი".

მაგრამ ეს აზრები, თანაც გამოთქმულნი მცირე მოცულობის სტატიებში, რიგ სერიოზულ შესიტყვებებს იწვევს. მაშ როგორ უნდა იქნას გაგებული ილიას დადებითი აზრი რევოლუციის მნიშვნელობაზე (იხ. „მგზავრის წერილები"), დედააზრი „ქართველი დედისა", რომელშიც მთავარ იდეალად არის დასახული კავკასიის ხალხების ერთობლივი აჯანყება მეფის რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ. სოციალური, ეროვნული ერთიანობა ქვეყნის შიგნით გულისხმობდა სწორედ მკვეთრ დაპირისპირებას გარეშე მჩაგვრელი ძალისადმი – რუსეთის იმპერიისადმი. ილიას მსგავსი მიმართება საკითხისადმი შემდგომშიც, რუსეთის პირველი რევოლუციის დროს, გამოჩნდა. ამ პერიოდში ჩვენმა დიდმა წინაპარმა კვლავ სათანადო ყურადღება მიაქცია სოციალურ საკითხსაც. დაბოლოს, დღეს ჩვენ თანაბარ პატივს როდი მივაგებთ ერთი მხრივ ილიასა და მის თანამებრძოლებს და მეორე მხრივ ხალხოსნებსა და ესდეკეებს („მენშევიკ" - „ბოლშევიკებს").

გ. მელიქიშვილი კვლავ დაუბრუნდა აღძრულ საკითხებს ამავე წელს დაბეჭდილ სტატიაში[107]. ავტორი კვლავ გახაზავდა სქემატიზმს, რასაც ადგილი ჰქონდა XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის შეფასებისას, კვლავ იმეორებდა შეხედულებას, რომლის მიხედვითაც ილია და მისი თანამოაზრენი არ ყოფილან რევოლუციონერ-დემოკრატები, მეტიც, რევოლუციონერებიც კი[108]. მისი აზრით, ყველასათვის, ვინც კი თავის უპირველეს მიზნად ცარიზმის დამხობას (= რევოლუციის მოხდენას) და სოციალური თავისუფლების მიღწევას ისახავდა მიზნად, აშკარა უნდა ყოფილიყო, რომ იმპერიის ესა თუ ის ჩაგრული ერი დამოუკიდებლად ვერ დაისახავდა და განახორციელებდა ასეთ მისანს, რომ აქ აუცილებლად საჭირო იყო მთელი იმპერიის ხალხთა ერთობლივი ბრძოლა, ერთ მჭიდროდ შეკავშირებულ რაზმად მათი მობილიზაცია. „ამიტომაც, - მისი აზრით, - მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ნიჰილიზმი მათთვის თავისთავად მაინცდამაინც აუცილებელი რამ არ იყო, ეროვნული საკითხის უკანა პლანზე გადაწევა მაინც კანონზომიერი ჩანდა"[109].

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ძირითადად სწორი ყოფილან კერძოდ ქართველი ესდეკები („მენშევიკებიც" და „ბოლშევიკებიც") და არა ილია და მისი თანამოაზრენი. საქმეს ვერ შველის სიტყვები: „აღმოჩნდა, რომ ორივე მიმდინარეობამ ისტორიულად პროგრესული როლი შეასრულა - სოციალური და ეროვნული თავისუფლების მოპოვების მაღალ იდეალს სამსახური გაუწია"[110].

დასასრულს, ილიას მხოლოდ განმანათლებლად გამოცხადება ძალზე ზედაპირულია.

როგორც ვხედავთ, მიუხედავად გ. მელიქიშვილის ამბიციური განცხადებისა, დიდი საკითხის სერიოზული გააზრება მან ვერ შესძლო. ამისათვის პირველ ყოვლისა საჭიროა ილიას შეხედულებათა და პრაქტიკული ნაღვაწის მთელი სიგრძე-სიგანით გაცნობიერება. ოდენ მისეული ცალკე გამონათქვამებით კი ფონს გასვლა შეუძლებელია. აღარას ვამბობ პლუს სათანადო თეორია-მეთოდოლოგიის საჭიროებაზე.

საბჭოური წყობილების გადაგება-გადაშენების კვირაძალზე ოპოზიციურ, ეროვნულ მოძრაობას თვალსაჩინო სტიმული მიეცა 1987 წელს ფართოდ ჩატარებული ილიას იუბილით. ფაქტია, რომ პირველი, ასე ვთქვათ ნახევრად ლეგალური პოლიტიკური გაერთიანება სწორედ ილიას სახელს ატარებდა, მას მოჰყვა „წმიდა ილია მართლის საზოგადოება" (შეიქმნა გარკვეული ვიწრო

პოლიტიკური მოტივით)[111]. იმხანად ცხოველ ინტერესს იწვევდა დიდი ქართველის მკვლელობის ახლებური გაგება, რისთვისაც ამავე 1987 წელს საგანგებო კომისიაც კი შეიქმნა. განვლილი პერიოდის განმავლობაში ამ თვალსაზრისით გარკვეული ნაბიჯები იქნა გადადგმული – 1990 წელს, ჯერ წერილების სერიალის, მომდევნო წელს კი წიგნის სახით დაიბეჭდა ისტორიკოს შოთა ბადრიძის „წიწამურის ტრაგედიის გამოცანები"; იურისტმა ალექსანდრე შუშანაშვილმა დაბეჭდა ორი წიგნი: „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა" (1996 წელს) და „წიწამურის ტრაგედია" (2000 წელს), რომლებშიც, ფაქტობრივად, ძველი თვალსაზრისია გატარებული; გამოქვეყნდა წინამდებარე წიგნის ავტორის „წიწამურის ტრაგედიის საიდუმლო" (2004 წელს), მომდევნო წელს კი - ისტორიკოს გივი ჟორდანიას „მარტვილობა მესიისა" და ფილოლოგოს გიორგი აბაშიძის „ილია ჭავჭავაძე". მანამდე იყო ცდებიც ილიას შემოქმედება-ნააზრევის ცალკეული მხარეების გადმოცემისა – ეკონომისტ ტარიელ სართანიას ილია ჭავჭავაძე" (გამოიცა ორჯერ, 1992 და 2000 წლებში) და ავთანდილ თელიას "ქართული სათავადაზნაურო ბანკი და ილია ჭავჭავაძე" (1989 წელს), ფილოლოგოს მაია ნინიძის „მადლის წყარო" (1997 წელს), ლადო მინაშვილის „ილია ჭავჭავაძე" (2000 წელს), ეკონომისტ მურმან კვარაცხელიას „ილია ჭავჭავაძე და ეროვნული ეკონომიკა" (2001 წელს), ელდარ ბუბულაშვილის ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეკლესიის საკითხი" (2003 წელს) და მისთ.

დასასრულს შევჩერდებით თანამედროვე დასავლური ქართველოლოგიის ორ წარმომადგენელზე, რომელთაც თუმცა ილიას შესახებ რაიმე სპეციფიკური ნაშრომი არ დაუწერიათ, მაგრამ თავიანთ წიგნებში შეეხენ აღნიშნული თემის რიგ ასპექტებს.

ამერიკელი ავტორის რონალდ სიუნის (სხვათა შორის, სომხური წარმოშობისა გახლავთ, რაც იგრძნობა კიდეც მისეულ ნაშრომებში) მიხედვით, ილია თავიდან ასე თუ ისე ლიბერალი იყო, მაგრამ 1870-იანი წლების მეორე ნახევარში უფრო კონსერვატორი გამხდარა[112]. მეტიც, თითქოს „ჭავჭავაძე იღვწოდა თავიდან აცილებულიყო ქართველი თავად-აზნაურობის დაცემა". ჩანს, აქედან გამომდინარე,ილია ლოიალური,ერთგული გახდაო მეფის რუსეთის ხელისუფლებისადმი[113].

1900 წლისათვის საქართველოში გამოკვეთილა სამი სოციალური ტენდენცია: მარჯვენა მხარეს იდგა ქართველ თავად-აზნაურთა „ნოსტალგიური ნაციონალიზმი" ილია ჭავჭავაძის

მეთაურობით, ცენტრში - „რეფორმისტული ლიბერალიზმი" ნიკო ნიკოლაძისა და გიორგი წერეთლის თავკაცობით, ხოლო მარცხნივ – რევოლუციური მოძრაობა ესდეკებით სათავეში[14]. თითქოს ილიას მხოლოდ კულტურული საქმიანობის სფეროდა რჩებოდა[15].

თანამედროვე ამერიკელი ქართველოლოგოსის (ისტორიკოსის) სტივენ ჯოუნსის შეხედულებითაც, ილია თუ უწინ რადიკალიზმით გამოირჩეოდა, შემდგომში „კონსერვატორული ლიბერალი" გახდა და მხარს უჭერდა რუსეთსა და მის საიმპერიო ხელისუფლებას. ასე რომ, გამორიცხავდაო მის წინააღმდეგ რევოლუციურ გამოსვლას. თითქოს მის მხრივ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ოდენ უფრო მეტ კულტურულ თავისუფლებას (ენის, სკოლებისა და ეკლესიის ფუნქციონირებაში) გულისხმობდა[16].

მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნული მიღწევებისა, კვლავ გავიმეორებთ, დიდი პიროვნების სინთეტიური, კომპლექსური გაგება-გააზრების პრობლემა კვლავ დღის წესრიგში დგას. უპირველეს ყოვლისა, ამ მხრივ უნდა ირჯებოდნენ ქართული საზოგადოებრივი აზროვნების მკვლევარნი. მაგრამ, დიდად სამწუხაროდ, საისტორიო მეცნიერების (ძირითადად) ეს დარგი, რომელიც ჩვენში საკმაოდ ხანგრძლივი და მდიდარი ტრადიციისაა (განსაკუთრებით არჩილ ჯორჯაძიდან მოყოლებული), ამჟამად ლამის ჩამკედარია და ამ მხრივ ილიასმცოდნეობაში თვალსაჩინო წარმატებას ვერ დაველოდებით. შევეცდებით, გარკვეულწილად შევავსოთ აღნიშნული ხარვეზი.

---

[1] ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, I, თბ., 1957, გვ. 11.

[2] კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა, გიორგი წერეთელი, რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. I, თბ., 1947, გვ. 145 – 146.

[3] შევნიშნავთ, რომ პიესაში მოქმედი პირია არა მომრიგებელი მოსამართლე, არამედ მომრიგებელი შუამავალი, რამეთუ პირველი სათანადო რეფორმის შედეგად, 1868 წლიდან გაჩნდა.

[4] ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, I, გვ. 394.

[5] ნიკო ნიკოლაძე, ჩვენი მწერლობა, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 59-60.

[6] ახალი ახალგაზრდობა, იქვე, გვ. 204, იხ. აგრეთვე გვ. 220.

[7] იქვე, გვ. 220.

[8] ნიკოლაძე, ჩვენი მწერლობა, თხზ., ტ. 3, გვ. 220.

[9] იქვე, გვ. 50, იხ აგრეთვე გვ. 15, 17.

[10] დასახ. ბროშურა, გვ. 84, 85, 83-84, 25.

[11] იქვე, გვ. 7.

[12] დასახ. წიგნი, მეორე, 1929 წლის გამოცემა, გვ. 2.

[13] იქვე.

[14] იქვე, გვ. 48 – 49.

[15] ფ. მახარაძე, დანიელ ჭონქაძე..., გვ. 49. სხვათა შორის, ამავე გვერდ'ზე მოთავსებულ სქოლიოში "მესამოცე" წლების "იშვიათ, ნამდვილ, გულწრფელ" მოღვაწედ მიჩნეულია გიორგი წერეთელი.

[16] იქვე.

[17] პეტრე გელეიშვილი, ილია ჭავჭავაძე, როგორც პოეტი და პუბლიცისტი, ტფ., 1914, გვ. 20.

[18] იქვე, გვ. 13.

[19] იქვე. შევნიშნავთ, რომ მოგვიანებით, 1936 წელს, ავტორმა გამოაქვეყნა ნაშრომი "მე-18 საუკუნის ქართული ლიტერატურის მემკვიდრეობიდან. ალ. ამილახვარი, როგორც პოლიტიკური მოღვაწე, მწერალი და მოაზროვნე", რომელშიც ნაჩვენებია ქართული აზროვნების საკმაოდ მაღალი დონე უკვე იმ პერიოდში.

[20]პეტრე გელეიშვილი, ილია ჭავჭავაძე, როგორც პოეტი და პუბლიცისტი, გვ. 91.

[21] იქვე, გვ. 36.

[22] იქვე, გვ. 80.

[23] იხ. ავტორის "ილია ჭავჭავაძის შემოქმედება და მისი ნაწერების საერთო ხასიათი", სამტრედია, 1914, გვ. 17. შევნიშნავთ, რომ მანამდე იგი თავის აზრებს ლექციების სახით ქადაგებდა.

[24] იქვე, გვ. 18, იხ. აგრეთვე გვ. 13, 24, 27.

[25] იქვე, გვ. 24.

[26] იხ. კრებული "ილია ჭავჭავაძე. სიკვდილი და დასაფლაევება", ტფილისი, 1907, გვ. 204 – 205, აგრეთვე მისი სტატია კრებულში "ილია ემიგრანტთა თვალით", ტ. I, 1896, გვ. 52 – 54. დუშეთის მაზრის უფროსი– ილიას მკვლელობის საქმის ერთ-ერთი გამომძიებელი ყარამან ფალავა აღნიშნავდა, რომ ილიას მკვლელობას დიდად განიცდიდნენ კარლო ჩხეიძის გარდა ესდეკები– გოგიტა ფალავა და კირილე ნინიძე. იხ. ალ. სიგუა "ვინ მოკლა ილია ჭავჭავაძე", თბ., 1991, გვ. 19.

[27] ციტირებულია წიგნის– ივანე გომართელი, რჩეული თხზულებანი, ტ. I, წერილები ლიერატურასა და ხელოვნებაზე, თბ., 1966 – მიხედვით, გვ. 338. შევნიშნავთ, რომ მანამდე (1902 წელს) ავტორმა ჟურნალ "კვალში" (№ 35 – 36) დაბეჭდა სტატია "თ. ილია ჭავჭავაძე და მისი პოეზია".

[28] იქვე, გვ. 338 - 339.

[29] იქვე, გვ. 339.

[30] იხ. ჟურნალი "მოამბე", 1897, № 7, 10.

[31] იხ. მისი „მეოთხმოციანნი" და „მეოთხმოცდაათიანნი", თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მეორე, ტფ., 1911.

[32] პუბლიცისტი – ილია ჭავჭავაძე, დასახ. წიგნი, გვ. 121.

[33] მცირე შენიშვნა (ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემის გამო), თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მეხუთე, ტფ., 1914, გვ. 281.

[34] განზრახული იყო გამოცემაში არჩილ ჯორჯაძის მონაწილეობაც,

რაც სრულად ვერ განხორციელდა უკანასკნელის სიკვდილის გამო.
[35] დასახ. წიგნი, გვ. 200.
[36] იქვე, გვ. 202.
[37] იქვე, გვ. 210.
[38] იქვე, გვ. 202 - 203.
[39] იქვე, გვ. 206.
[40] ვახტანგ კოტეტიშვილი, რჩეული ნაწერები ორ წიგნად, თბ., 1965, გვ. 303.
[41] იქვე, გ. 315.
[42] დაბეჭდილია ჟურნალ "ახალ კავკასიონში" (№ 1 – 2).
[43] იხ. გვ. 132, 142, 159.
[44] სიმონ ხუნდაძე, ქართველი ინტელიგენციის პროფილი მეცხრამეტე საუკუნეში, ტფ., 1927, იხ. აგრეთვე გვ. 7, 30 - 31.
[45] იხ. ავტორის „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში", ტ. I, ტფ., 1927, გვ. 243.
[46] ქართველი ინტელიგენციის პროფილი..., გვ. 40.
[47] სიმონ ხუნდაძე, ქართველი ინტელიგენციის პროფილი..., გვ. 49.
[48] იქვე, გვ. 52.
[49] იქვე. იხ. აგრეთვე გვ. 105.
[50] იქვე, გვ. 52 – 53, 53.
[51] იქვე, გვ. 53.
[52] იქვე, გვ. 54.
[53] გამოქვეყნდა თბილისში, 1928 წელს.
[54] დასახ. წიგნი, გვ. 66, აგრეთვე გვ. 98 – 99.
[55] იქვე, გვ. 66.
[56] იქვე, გვ. 62.
[57] დასახ. წიგნი, გვ. 66.
[58] იქვე, გვ. 103.
[59] იქვე, გვ. 178 – 179.
[60] დასახ. წიგნი, იქვე, გვ. 44.
[61] იქვე, გვ. 103.
[62] იქვე.
[63] სიმონ ხუნდაძე, ქართველი ინტელიგენციის პროფილი მეცხრამეტე საუკუნეში, ტფილისი, 1928, გვ. 107. უთუოდ ღირს შეხსენებად, რომ როდესაც საქართველოს სკოლებში ილიას არ ასწავლიდნენ, ბატონ მიხეილ ზანდუკელის პირველ საცდელ-საჩვენებელ საშუალო სკოლაში გამონაკლისი იყო დაშვებული. რეპრესიებიც გარდაუვალი აღმოჩნდა, 1929 წლის მაისში იგი და სხვა ოთხი პირი (ასევე მოსწავლეთა მიერ ანდრია ყარაშვილის "სამშობლოს" შესრულების გამოისობით) მოხსნილ იქნენ სამსახურიდან. ამის თაობაზე იხ. პროფ. ვახტანგ პარკაძის მოგონება 'უნდა ვაღიაროთ", "კომუნისტი", 26 მაისი, 1990.
[64] იქვე, გვ. 178 – 180. საერთოდ, მიხეილ ზანდუკელი მკვეთრად უპირის პირდებოდა ფ. მახარაძის შესაბამის შეხედულებებს, რამაც, ჩვენი აზრით,

დიდი როლი ითამაშა მეცნიერის რეპრესირებაში სწორედ უკანასკნელის აქტიურობით. ამის თაობაზე იხ. ვახტანგ გურგენიძის წიგნი "ჯვარს ვაცვით ილია", თბ., 1991, გვ. 66.

[65] იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 111, 216, 423, 317, 326, 329, 397. [66] ფ. მახარაძემ შეძლო ნსკ-ის IX ტომში (დაიბეჭდა 1928 წელს) შეეტანა თავისი უტიფარი სტატია „თავის მართლებაც ასეთი უნდა! (პასუხად თ-დ ილია ჭავჭავაძეს)".

[67] იხ. ავტორის "ჩემი ცხოვრების წიგნი", თბ., 1978, გვ. 185.

[68] მცირე შენიშვნა (ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემის გამო), თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მეხუთე. ტფ., 1914, გ.279.

[69] ამ შემთხვევაში, როგორც ეხედავთ, იგრძნობა სიმონ ხუნდაძის აზრის ზეგავლენა.

[70] დასახ. წიგნი, გვ. 14.

[71] იხ. წიგნის მეხუთე შევსებული გამოცემა, თბ., 1939, გვ. 13, 231.

[72] იხ. გაზეთის 1936 წლის 4 სექტემბრის ნომერი.

[73] მ. გაფრინდაშვილი, ეროვნული და კლასობრივი ილია ჭავჭავაძის განმანათლებლურ-რევოლუციურ-დემოკრატიულ და უტოპიურ-სოციალისტურ მსოფლმხედველობაში, თბ., 1987, გვ. 52.

[74] დასახ. წიგნი, გვ. I.

[75] იქვე.

[76] იქვე, გვ. XXIII.

[77] იქვე, გვ. XLI.

[78] იქვე, გვ. XVI.

[79] იქვე, გვ. XLI.

[80] დასახ. წიგნი, გვ. XLI.

[81] იქვე, გვ. XIII.

[82] ძმები გრანატებისა და K°-ის ენციკლოპედიისათვის (ტ. 17) დაწერილ საქართველოს ისტორიის მოკლე მიმოხილვაში ივანე ჯავახიშვილი გაკვრით შეეხო ილიასა და მისი დასის, როგორც ლიბერალების მოღვაწეობას.

[83] ივანე ჯავახიშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია, ტფ., 1938, გვ. 16.

[84] ივანე ჯავახიშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია, გვ. 16.

[85] როგორც აწ განსვენებული მიხეილ გაფრინდაშვილი მიუთითებდა, უპრიანია სწორედ ამ ტერმინის და არა "რევოლუციურ-დემოკრატის" ხმარება.

[86] რუსულ ენციკლოპედიებსა და საერთოდ საცნობარო ლიტერატურაში უწინ არარუსთაგან "რევოლუციონერ-დემოკრატად" მოიხსენიებდნენ ილიასაც. უახლოეს პერიოდში კი მისთვის ასეთი "აღმატებული" ტიტული ვეღარ გაიმეტეს, ხოლო არარუსთაგან იგი "დაუნარჩუნეს" უკრაინელ ტარას შევჩენკოს და სომეხ მიქაელ ნალბანდიანს, უცხოელთაგან – სუნ იატსენს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში, ვთქვათ, ინდოელებს – მაჰატმა განდის ან ჯავაჰარლალ ნერუს.

[87] რამდენადაც ვიცით, უახლოეს პერიოდში ამის პირველი მცდელობა ქართულ მეცნიერებაში ეკუთვნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების მკვლევარ ლევან გორგილაძეს. შეგახსენებთ, რომ 1901 წელს არჩილ ჯორჯაძემ დაწერა სტატია „ეროვნული დემოკრატიზმი", რომელშიც ნათელყოფილია ეს საკითხი. მაგრამ ცენზურის გამოისობით იგი არ დაბეჭდილა. დაბეჭდილია მკვლევარ-ისტორიკოს ვლადიმერ წოწელიას წიგნში „არჩილ ჯორჯაძე, ცხოვრება და მოღვაწეობა), თბ., 1992, გვ. 53-57.

[88] გვეტყვით იმასაც, რომ შესაბამისი ხასიათის ნაშრომის დაწერა ავტორს შთააგონა ცნობილმა ისტორიკოსმა სიმონ ჯანაშიამ – მისმა სამეცნიერო ხელმძღვანელმა. შესაძლოა, თავის მხრივ, ეს დავალება ხელისუფლებიდან მოდიოდა. თვითონ სიმონ ჯანაშიას რაიმე ორიგინალური აზრი ჩვენთვის საინტერესო საკითხზე არა ჰქონია, იგი მხოლოდ იმეორებდა ლ. ბერიას პლაგიატში გატარებულ შეხედულებას ფეოდალურ-პროგრესული და ბურჟუაზიულ-პროგრესული მიმართულების თაობაზე. იხ. ავტორის სტატია "თბილისის პარტიული ორგანიზაცია" "ბსე"-ს 53-ე ტომში (1946 წ.).

[89] იხ. ავტორის დასახ. წიგნი, გვ. 24.

[90] რა მინდია, რომ კრიტიკა არა გვაქვს, თსკ, ტ. III, გვ. 155.

[91] იქვე.

[92] ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის საკითხები, ე. „საქართველოს კომუნისტი", 1987, № 7.

[93] დასახ. წიგნი. ა. კიკვიძე. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნეში (ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა) გვ. 216, 218 – 219, 220.

[94] არნოლდ ჩიქობავა, ილია ჭავჭავაძე ენის შესახებ, ტფ., 1938, გვ. 3, 7.

[95] ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1955, გვ. 485 – 486; იხ. აგრეთვე გვ. 474, 481,483,484. სხვაგან ნიკო ბერძენიშვილი ხარკს უხდიდა საბჭოურ სტერეოტიპს, როცა აღნიშნავდა: "–თერგდალეულებმა, იმ დროის საქართველოს სპეციფიკურ პირობებში, ვერ დასახეს რევოლუციური გამოსავალი და კლასთა ბრძოლის ნაცვლად კლასთა შეთანხმების ქადაგება თავს იდვეს. ამის შემდეგ თერგდალეულთ, რა თქმა უნდა, არ შეეძლოთ მდგარიყვნენ რევოლუციურ-დემოკრატთა პოზიციაზე, ე. ი. იმ პოზიციაზე, რომლის ერთადერთი სწორი შემდგომი განვითარება იქნებოდა მარქსიზმი ანუ რევოლუციური კლასთა ბრძოლის აღიარება საზოგადოებრივი პროგრესის ერთადერთ გზად. ამდენადვე თერგდალეულები ვერ შერჩნენ მარქსიზმის წინამორბედთა პოზიციებს". იხ. "ქართული ისტორიოგრაფიისათვის", საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი III, თბ., 1966, გვ. 341.

[96] „დროება", № 24, 7 მარტი, 1876.

[97] საბჭოთა პოეტი სანდრო ეული (ქურიძე) წერდა (მტკვარს ამღერებდა):

"ჩემო კარგო ქვეყანავ
აღარ მოგვიწყენია,
რადგან, აწმყო ჩვენ გვწყალობს
მომავალიც ჩვენია".

[98] სასიამოვნო ფაქტია, რომ მათი სათანადო ნააზრევი, თავმოყრილი ორ წიგნად სათაურით "ილია ემიგრანტთა თვალით", უკვე გამოცემულია (1996 წელს) საქართველოში.

[99] იხ. მისი სტატია "ილია ჭავჭავაძის ეროვნული მოძღვრება" კრებულში "ილია ემიგრანტთა თვალით", I, თბ., 1996, გვ. 186 – 187. შევნიშნავთ, რომ სტატია პირველად გამოქვეყნებულ იქნა ჟურნალ "ერის დიდებაში", № 5, 1958, პარიზი.

[100] დასახ. კრებული, გვ. 192.

[101] დასახ. კრებული, გვ. 192 - 193.

[102] სინამდვილეში ილია სათათბიროს კი არა, არამედ სახელწიფო საბჭოს წევრი გახლდათ, მოტანილი სიტყვები კი მან პეტერბურგის გაზეთების ჟურნალისტებს განუცხადა.

[103] იქვე, გვ. 193.

[104] იხ. "ილია ემიგრანტთა თვალით", თბ., 1996, II, გვ3 – 24.

[105] საქართველოს ისტორიის შესწავლა ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავზე, ავტორთა კრებულში „საისტორიო წერილები", ნაკვეთი პირველი, თბ., 1968, გვ. 27.

[106] დაიბეჭდა 1978 წლის 28 მაისს.

[107] ზოგიერთი განმარტება, მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1978, № 4.

[108] აქ ეკითხულობთ: "ჭეშმარიტად რევოლუციასა და რევოლუციონერებზე რეალურ წარმოდგენას უნდა იყოს მოკლებული ადამიანი, რომელიც მოინდომებს ილია ჭავჭავაძისა და მისი დასის რევოლუციონერებად გამოცხადებას", გვ. 122.

[109] ზოგიერთი განმარტება–, გვ. 119, აგრეთვე 123. მათგან განსხვავებით, თითქოს „ვ. ი. ლენინი და მისი უახლოესი თანამებრძოლები ეროვნულ საკითხსაც სწორად ითვალისწინებდნენ", გვ. 122.

[110]იქვე,გვ. 119.

[111] პარადოქსია, რომ აღორძინებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მესვეურები თავიანთ დიდ პოლიტიკურ წინაპრად მიიჩნევდნენ არა ილიას, არამედ იტალიელ ჯუზეპე მაძინის. ეს კი ხდებოდა ოდენ პოლიტიკური მოსაზრებით - ორი დასახელებული საზოგადოების ჯინაზე!

[112] იხ. მისი „The Making of the Georgian nation", second edition, 1994, Bloomington and Indianapolis, p. 130 .

[113] იქვე,გვ. 132.

[114] იქვე. წიგნის 340-ე გვერდზე „მეორე დასი" განმარტებულია,როგორც 1870-იანი წლების პროგრესული პუბლიცისტები და მწერლები.

[115] რონალდ სიუნის თანახმად, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება" თურმე იაკობ გოგებაშვილს დაუარსებია. იხ. გვ. 133.

[116] Stephen F. Jones, Socialism in Georgian Colors. The European Road to Social Democracy 1883 – 1917, Cambridge (Mass.), London, 2005, p. 37.



ყვარლის საერთო ხედი

ილიას მამაპაპეული სახლი

თავი მეორე

დიდი ცხოვრების მოკლე მატიანე
(1837 წლიდან 1890-იან წლებამდე)

"ილია ჭავჭავაძე ცენტრალური ფიგურაა ახალი საქართველოს ცხოვრებაში. მის მოღვაწეობაში, ცხოვრებაში, შემოქმედებაში თავს იყრიან საუკუნეთა სიღრმიდან მომდინარე გზები – ყველა ნაკადი, ყველა განშტოება საქართველოს საზოგადოებრივი და სულიერი ცხოვრებისა, "ქართლის ბედისა" და "ქართლის ჭირის ყველა წყეული კითხვა".

გურამ ასათიანი.

ჭავჭავაძეთა საგვარეულო „წარჩინებულად" მოიხსენიება ჯერ კიდევ ერთიანი საქართველოს ხანაში, ალექსანდრე დიდის (მეფობდა 1412 – 1442 წლებში) მიერ გაცემულ სიგელში. საგვარეულოს ძირების თაობაზე ქართულ მეცნიერებაში ერთიანი აზრი არაა. ფიქრობენ, რომ ძველად ისინი კახეთის მთიანეთში სახლობდნენ – მაგრამ კონკრეტულად სად – ხევსურეთში, ფშავსა თუ თუშეთში – ვერ დაუდგენიათ. ილიას ერთ-ერთი სერიოზული მკვლევრის პავლე ინგოროყვას მიხედვით, ჭავჭავაძეთა საგვარეულოს თავდაპირველი საცხოვრისი ერწო-თიანეთი (კონკრეტულად რომელი მხარე?) გახლდათ. რაკი მათ ჰქონდათ სამოურავო აგრეთვე თუშ-ფშავ-ხევსურეთის ჩათვლით, სწორედ ამიტომ ეწოდებოდათო „მთის კაცნი"[1].

ფილოლოგოსმა სარგის ცაიშვილმა გამოსთქვა ვარაუდი, რომ ჭავჭავაძენი თავდაპირველად ქართლში, კერძოდ, თეძმის ხეობაში (სადაც არსებობს ნასოფლარი ჭავჭავისი) სახლობდნენ, საიდანაც გადასახლებულან ფრონეს ხეობაში, სოფელ ნულში, სადაც მართლაც დღესაც სახლობენ ამ გვარის წარმომადგენლები, მხოლოდ გლეხური წარმომავლობისა. თვითონ ილია მის მიერ დაწერილ ავტობიოგრაფიაში (1903 წელს ბროკჰაუზ-ეფრონის ენციკლოპედიისათვის) არაფერს არ გვეუბნება.

კახეთის გაღმამხარში – ყვარელ-შილდის ტერიტორიაზე – ჭავჭავაძენი ჩანან 1529 წლიდან. მათი ფუნქცია იყო დაეცვათ შიგნი კახეთი ლეკთა შემოსევებისაგან, რასაც ისინი ჩინებულად ართმევდნენ თავს.

ამ საგვარეულოს მეორე შტო დასახლდა წინანდალში.

გარდა აღნიშნულისა, ჭავჭავაძეებს საკმაოდ მაღალი თანამდებობები ეკავათ ჯერ კახეთის, ხოლო შემდგომ გაერთიანებული ქართლ-კახეთის სამეფოებში. სახელდობრ, იყვნენ მეფის კარისკაცნი, მრჩეველები, დესპანები, სარდლები და მაღალი რანგის სასულიერო პირები[2]. თვითონ ილიას მამა და ბიძებიც სამხედრო სამსახურში იყვნენ გამწესებულნი, ოღონდ, ცხადია, რუსეთის იმპერიის ხელისუფლებისა. მამამისს – გრიგოლ პაატას ძე ჭავჭავაძეს თავიც კი გამოუჩენია ამ სარბიელზე, მაგრამ 42 წლის ასაკში თავი გაუნებებია სამხედრო სამსახურისათვის და სოფლის მეურნეობისათვის მოუკიდნია ხელი. ჩანს, რადგან ძმები ადრე დახოცილან (ბრძოლებში), გრიგოლი იძულებული გამხდარა გაუყოფელი ოჯახის მართვა-გამგეობა თვითონ ეკისრა. მაგრამ ძმებს, თავიანთი ხელგაშლილი ცხოვრების გამოისობით, იმდენი ვალები დაგროვებიათ, რომ მათი გასტუმრება გრიგოლს ვეღარ მოუხერხებია.

ჩვენი დიდი ეროვნული მოღვაწე „ავტობიოგრაფიაში" ასე წერდა: „მამაჩემი რამდენადმე განათლებული კაცი იყო, აფიცრად მსახურობდა ნიკოგოროდის დრაგუნთა პოლკში და რუსული კარგად იცოდა"[3]. მის პიროვნებაში შეზავებული ყოფილა ნამეტანი გულჩახვეულობა და მხიარულება, იუმორის დიდი გრძნობა. გრიგოლ ჭავჭავაძე რომ მთლად ჩვეულებრივი, ორდინარული კაცი არ ყოფილა, ეს მშვენივრად ჩანს ილიას შემდგომი მოგონებიდან – მამამისის სიტყვებით, „ყველას უყვარს, შვილებო, თავისი ქვეყანა, და როცა უჭირს, ძნელია კაცმა უმტყუნოს და თავი არ გამოიმეტოსო"[4].

გავრცელებული შეხედულებით, ილია დაბადებულა 1837 წლის 27 ოქტომბერს (ძველი სტილით). მაგრამ ამ საკითხშიც არაა სრული ერთიანობა. საეკლესიო ჩანაწერის მიხედვით ეს თარიღი გახლავთ 1837 წლის 20 იანვარი[5]. მაგრამ თვითონ ილიასა და მისი დის – ელისაბედის თანახმად, სწორედ 1837 წლის 27 ოქტომბერია ფართოდ აღიარებული. ამას დავუმატებთ შემდეგ არგუმენტსაც, რაც ჩვეულებრივად იგნორირებულია. ეკლესიის საბუთში (შედგენილია 1863 წლის 21 აპრილს), რომელშიც რეგისტრირებულია ილიასა და ოლღას ქორწინება, აღნიშნულია: „სასიძო თ. ილია გრიგორის ძე ჭავჭავაძე, მართლმადიდებელ სარწმუნოების მქონებელმა იქორწინა პირველ ქორწინებითა, 25 წლისა"[6]. ასე რომ, ამ დოკუმენტის მიხედვითაც 1837 წლის 20 იანვარი გამორიცხულია.

ილიას დედა – ქალიშვილობაში მაგდანა, შემდეგ მარიამი, თბილისელი აზნაურის ქრისტეფორე ბებურიშვილის ასული იყო. თავის მხრივ, ქრისტეფორე წარმოშობით კახეთიდან ყოფილა, მაგრამ თბილისში გადასახლების შემდგომ სომხური, მონოფიზიტური რჯულის აღმსარებელი გამხდარა (პავლე ინგოროყვა). თბილისელი ბებურიშვილები რომ ეროვნებით (კერძოდ, ეროვნული შეგნებით) არ ყოფილან სომხები, ეს გარემოება კარგად ჩანს ილიას შემდეგი მოგონებიდანაც: „დედაჩემმა მშვენივრად იცოდა მაშინდელი ქართული მწერლობა. სულ ზეპირად ჰქონდა დასწავლილი თითქმის ყველა ლექსი და ყველა ძველებური მოთხრობა და რომანი, რომელიც კი იშოვებოდა მაშინ ან დაბეჭდილი და ან ხელნაწერი"[7]. ზეპირი გადმოცემით, ბებურიშვილის ოჯახში მხოლოდ ქართულად ლაპარაკობდნენ. ასეთ რამეებს კი, რასაკვირველია, სომხური (ეროვნებით) წარმოშობის ოჯახში ადგილი არ ექნებოდა.

ილია თავის დაწყებით განათლებას განსაკუთრებით უმადლოდა დედამისს, და არა მხოლოდ უკანასკნელის განსწავლულობით ქართულ ენასა და ლიტერატურაში[8]. ილიასავე მოგონებით,იგი „საღამოობით დაგვსხაედა ბავშვებს და გვიკითხავდა მოთხრობებსა და ამბებს; წაკითხვის შემდეგ გვიამბობდა შინაარსს და მეორე დღის საღამოზედ გვკითხავდა: აბა, ვინ უფრო კარგად მიამბობს, რაც გუშინ გაიგონეთო. ვინც კარგად ვუამბობდით, გვაქებდა და ამ ქებას ჩვენ დიდად ვაფასებდით"[9].

ილიას ყვარლის ასე ვთქვათ, დაწყებით სკოლაშიც უსწავლია. მისივე მოგონებით, ადგილობრივ მთავარდიაკონს შეუკრებია ექვსი - შვიდი ბიჭუნა (რვა წლის ილიას ჩათვლით) და მათ ასწავლიდა კერძოდ საღვთო რჯულს, საისტორიო ამბებს. უფრო მეტ დროს კი ბავშვები თამაშობანას ანდომებდნენ. აღნიშნული გარემოების შედეგიც ყოფილა ილიას დიდი დემოკრატიზმი (ადამიანებთან ურთიერთობების აზრით), აგრეთვე ღრმა შთაბეჭდილებანი, საფუძვლიანად რომ დაედვნენ „მეფე დიმიტრი თავდადებულის", „საშობაო მოთხრობისა" და „გლახის ნაამბობის" ერთი თავის დაწერას.

გრიგოლ ჭავჭავაძის საკმაოდ მაღალ ინტელექტს მოწმობს ის ფაქტიც, რომ არ ცდილა ვაჟებისათვის – კონსტანტინესა და ილიასათვის საგვარეულოსათვის ტრადიციული სამხედრო საქმისათვის მოეკიდებინა ხელი. კონსტანტინე სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტში, თერთმეტი წლის ილია კი ჩამოიყვანა თბილისში და კერძო სასწავლებელთა შორის საუკეთესო რაევსკისა

და ჰაკკეს პანსიონში (თეითონ ილიას მოგონებით) მისცა.

ჩვენი დიდი წინაპარი განსაკუთრებით გახაზავდა ჰაკკეს (ეროვნებით გერმანელის) დამსახურებას: „ჰაკკე სასტიკი კაცი იყო, მაგრამ თან იმოდენად მამობრივს მზრუნველობას იჩენდა თავის შეგირდების მიმართ, იმოდენას სცდილობდა და ყურს უგდებდა მათს ზნეობრივსა და გონებრივ განვითარებას, რომ თითქმის მთელს თავისუფალ დროს, კლასში მეცადინეობის შემდეგ, იმათ ანდომებდა, ხან ემუსაიფებოდა, ხან ართობდა მუსიკით და მართავდა ხელდახელ (სახელდახელო - **გ. ჯ.**) კონცერტს როიალზედ, რომლის დაკვრაც საუცხოოდ იცოდა"[10]. ამ სასწავლებელში ილიამ დაჰყო ოთხი წელი, შემდეგ კი (თხუთმეტი წლის ასაკში) გიმნაზიაში შევიდა. ასე რომ, რაევსკისა და ჰაკკეს სასწავლებლის სახით ილიამ თავისებური პროგიმნაზია დაასრულა, რის შემდეგაც გიმნაზიის მეოთხეკლასელი გახდა, ბინით კი კვლავ აღნიშნულ პანსიონში ცხოვრობდა.

ილიას აშკარად ვერ გაუმართლდა მშობლების სიცოცხლის მხრივ: საყვარელი დედა გარდაეცვალა ოცდაათი წლის ასაკში, 1848 წელს, მამამისი კი ოთხი წლის შემდეგ – ორმოცდაერთი წლის ასაკში[11]. დედის გარდაცვალების შემდგომ გრიგოლმა თავის ოჯახში გადმოიყვანა დაი მაკრინე, არაგვის ერისთავის ქვრივი, რომლისადმიც ილია ყოველთვის დიდ პატივისცემას გამოხატავდა. მაკრინეს დიდი შემართება იმაშიც გამოჩნდა, რომ თუმცა გრიგოლის გარდაცვალების შემდეგ ოჯახს კვლავ სოლიდური ვალები ჰქონდა, რის გამოისობითაც ადგილ-მამულის გაყიდვის საფრთხე იყო, მაგრამ თავისი მუყაითობითა (მეურნეობის სათანადო გაძღოლით) და ნათესავების დახმარებით საოჯახო საკუთრება კელავ დაინარჩუნა.

გიმნაზიაში ილიას სწავლის დროის (1852 – 1856 წლები) „მთავარი მემატიანეა" მისი ნათესავი და თანაგიმნაზიელი კოხტა (ალექსანდრე) აფხაზი. იგი ჰყვებოდა: „გემნაზიაში ილია ნიჭიერ და გონებაგახსნილ შეგირდათ ითვლებოდა, მაგრამ ზარმაციც დიდი იყო, არასოდეს გაკვეთილებს არ ამზადებდა და მარტო, როდესაც მოახლოედებოდა გამოცდა, მაშინ ბეჯითად შეუდგებოდა სწავლას და ორს სამს საათში იმოდენას შეისწავლიდა და დასძლეედა, რომ სხვას ამისათვის ორი დღეც მოუნდებოდა. გასაკვირველი ის იყო, რომ ამგვარი შესწავლა, როგორც მოსალოდნელია, არ იყო ზერელე, პირიქით, რასაც კი შეისწავლიდა, უსათუოდ ზედმიწევნით"[12]. მაგრამ სიტყვა „სიზარმაცე" მოცემულ შემთხვევაში უადგილოა, რამეთუ ილია სავალდებულო საგნების მიღმა თავისთვის

საინტერესო წიგნებს კითხულობდა. ამგვარი "დაუდევრობა" იმაშიც გამოჩნდა, რომ ილიას გიმნაზიის სრული კურსი არ დაუმთავრებია, რის გამოც შემდეგ, პეტერბურგის უნივერსიტეტში შესვლისას, მოუხდა დარჩენილი გამოცდების ჩაბარება.

კოხტა აფხაზისვე მოგონებიდან, ამ ხანას რომ ეხება, საინტერესოა ილიასათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები:
1) „მეტის-მეტი მოსწრებული ხუმრობა იცოდა და თუ კი ვისმე სასაცილოდ აიგდებდა, მართლადაც რომ მიწასთან გაასწორებდა";
2) „ამხანაგებს აგრერიგად არ უახლოვდებოდა, მაგრამ ამხანაგის გამტანი და მხარის დამჭერი კი ყოველთვის იყო"[13]. ამავე პირის მონათხრობით, – არ ჩანს, სახელდობრ, ილიას რომელ ასაკს ეხება: „ილიას საზოგადოდ ნადირობა არ უყვარდა. მახსოვს, ერთხელ ალაზანზედ წავედით რამდენიმე კაცი სანადიროდ, დავდექით ნომრებზე. ჩემს გვერდით, ცოტა მოშორებით იდგა ილია. ხშირი და დიდი ტყე იყო. ძაღლებმა უკვე დაჰყეფეს, როგორც ეტყობოდა კვალს მიაგნეს. გაფაციცებით ველი ნადირს და არ გავიდა ბევრი ხანი, რომ გამოჩნდა დიდი ირემი, მაგრამ ხეებს ისე იყო მოფარებული, რომ ვერ ვესროდი, ილიასათვის კი ირემი მეტად მარჯვედ იდგა. ველი გულის ფანცქალით, რომ აი ან ეხლა გავარდება ილიას თოფი, ან ეხლა მეთქი. თქვენც არ მომიკვდეთ. კარგი ხანი გავიდა, იდგა, იდგა ირემი, მერმე დაიფრუტუნა და გადახტა და გაჰქრა ტყეში. გავქანდით ილიასაკენ, დაუწყე ჯავრობა: „კაცო, რა ჰქენი, რატომ არ ესროლე? – „უხ,ისეთი ლამაზი,ისეთი მოხდენილი იყო, რომ მაგას როგორ ვესროდი, როგორ გავიმეტებდიო!!!"[14]

თითქოსდა ერთი შეხედვით ამ უბრალო ფაქტში ჩანს ილია, მისი ჰუმანიზმი, რომელიც არა თუ ადამიანთა საზოგადოებას, არამედ ცხოველთა სამყაროსაც სწვდებოდა (მოვიგონოთ გიორგი მთაწმიდელის მსგავსი შეგონება)!

ილიამ გიმნაზია დაამთავრა 1856 წელს და მოინდომა შემდეგ წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში შესულიყო. მაგრამ, საუბედუროდ, ჭავჭავაძიანთ ოჯახს საამისო ფინანსური სახსრები არ ჰქონდა. კოხტა აფხაზისაგე მოგონებით, ამ გარემოებით უსარგებლია ყვარლელ მემამულე სოლომონ ჭავჭავაძეს და ჩანს, ილიას მამიდა მაკრინეს შეთანხმებია, რომ იმ პირობით, თუ ილია მის ქალიშვილს შეირთავდა, ილიას პეტერბურგის უნიეერსიტეტში სწავლის მთელი ოთხი წლის მანძილზე ყოველთვიურად გაუგზავნიდა ხოლმე ოთხ თუმანს. საქართველოში დაბრუნებისას ილიამ ეს ვალი გადაიხადა, ისე რომ სოლომონ ჭავჭავაძის

ქალიშვილი აღარ შეურთავს[15] (ისე, ცნობისათვის: უკანასკნელი გათხოვდა ოფიცერ მარჯანიშვილზე, რომლისაგანაც ეყოლა მომავალი დიდი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი).

ჩვენი თხრობისათვის კვლავ მოვიხმობთ იმავე კოხტა აფხაზს, რომელიც პეტერბურგის უნივერსიტეტში ილიას წამოსვლის შემდგომ ჩავიდა და სწავლობდა იმავე ფაკულტეტზე (იურიდიული). მისი გადმოცემით, ილიას კვლავ გაუგრძელებია გიმნაზიისდროინდელი „ტრადიცია": „უნივერსიტეტში ილიას განსაკუთრებით პოლიტიკური და ეკონომიური საგნები აინტერესებდა. აქაც იგივე ჩვეულება ჰქონდა, – მთელი წელიწადი სამოსწავლო საგნებს ყურადღებას არ აქცევდა და სულ სხვა წიგნების კითხვაში იყო გართული, კითხულობდა სხვათა შორის ბევრს ძველ ქართულ წიგნებს. მოახლოვდებოდა ეგზამენები და ილია სწავლას შეუდგებოდა. დღე-ღამეში ხშირად 18 – 20 საათს მუშაობდა და რამდენჯერ დამინახავს, რომ წიგნთან მჯდომარეს ჩასძინებია"[16].

თუმცა პეტერბურგის უნივერსიტეტი იმ ხანად, მით უფრო შემდეგში, საუკეთესო გახლდათ მთელს რუსეთის იმპერიაში, მისი აღზრდილი ნიკო ნიკოლაძე უნივერსიტეტის პროფესორთაგან ბევრს როდი გამოჰყოფდა. გამოარჩევდა ნ. კოსტომაროვს (რუსეთის ისტორიის მკვლევარს), გ. სტასიულევიჩს (შუა საუკუნეების ისტორიის სპეციალისტს) და ვ. სპასოვიჩს[17]. „სხვანი, – განაგრძობდა ნიკო ნიკოლაძე, – რაღაც უფერულები იყვნენ, უძველო-უფხონი, წელმოწყვეტილები. კითხულობდენ რაღაც უხალისო საგნებს სრულიათ უხალისო ხმით... კაცს ეგონებოდა, – წიგნი აუღიათ, ცუდათ მოუნიშნავთ გაკვეთილი, და შიგ კითხულობენო..."[18]. ამის შემდეგ რაღა უნდა გაგვიკვირდეს ილიას მსგავსი საქციელისა!

ამავე თემას ეხება კომიკური სიტუაცია, რასაც გადმოგვცემს იგივე მთხრობელი. ერთხელ, როდესაც რომელიღაც უფროსკურსელს ნიკო ნიკოლაძე წაუსწრია ჟურნალ „სოვრემენნიკის" კითხვისას, პირველს დიდად მენტორული ტონით უთქვამს: –„გაიხსენე ჩემი სიტყვაო, - მითხრა, - თუ შენც ისე არ წახდე, როგორც ი. ჭავჭავაძე წახდა. ისიც აქ შილლერის, ბაირონის და ვალტერ-სკოტის (!) კითხვის მეტს არას შვრებოდა და, დაესხა თავსლაფი, ისე წავიდა, რომ კურსი ვერ შეასრულა: უდიპლომოთ წაბრძანდა... აბა ეხლა რა ადგილი უნდა მიიღოს იმან?.."[19]

უნდა ითქვას, რომ ჩვენთვის საინტერესო საკითხზე ნიკო ნიკოლაძე უფრო საინტერესო მთხრობელია და თანაც მეტს გვიყვება,

ვიდრე კოხტა აფხაზი და ამიტომაც უფრო ერცლად მას მოვიხმობთ.

ჩვენი მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ჩანს, იმ პერიოდის პეტერბურგის ქართველი სტუდენტობის უმეტესი ნაწილი „პრაგმატულად" იქცეოდა და არც დიდი ინტელქტითა და სიბეჯითით გამოირჩეოდა. ნიკო ნიკოლაძე განცვიფრების გრძნობით მოგვითხრობს: „...1861 წლის ზაფხულზე, როცა გლეხები თავისუფლდებოდენ, როცა სტუდენტობის მოძრაობა მზადდებოდა, როცა მთელ ევროპას ის უცხო ალი ჰქონდა მოდებული, რომელიც გარიბალდის გმირობამ აანთო, პეტერბურგში, რუსეთის სატახტო ქალაქში, ოცზე მეტი ჩვენი ახალგაზრდა იდგა, და მათ მუსაიფში, მათ სიტყვებში ერთი უბრალო ხსენება არ ყოფილა რაიმე საზოგადო მიზნისა, ან საზოგადო საქმის, ან მოვალეობისა, ანდა მზადებისა. გინდ მათ შორის ყოფილიყო კაცი, გინდ მთიულებს შუა, მივიწყებულ და მიყრუებულ ოსურ სოფელში, სულ ერთი იყო: ლაპარაკი ნიადაგ უმნიშვნელო, საყოველდღეო (ყოველდღიურ - **გ. ყ.**) კერძო საქმეზე ბრუნავდა, კერძო თავმოყვარეობაზე, კერძო ინტერესებზე, და მეტზე კი არაფერზე"[20].

მეორეგან ნიკო ნიკოლაძე უფროსი სტუდენტების „პრაქტიკულ მრწამსზე ასეც წერდა: „...ჯერ ლექციები უნდა შეისწავლოს სტუდენტმა,დიპლომი მიიღოს,კარგი შემოსავლიანი და გავლენიანი ადგილი იშოვოსო სამსახურით, და მერე, თუ უნდა, ხალხის ბედზე იფიქროს, ან იზრუნოს!"-ო[21].

ამათთაგან განსხვავებით, ნიკო ნიკოლაძისავე მოგონებით, „პირველი კაცი, რომელმაც პეტერბურგში პირველი კაცური სიტყვა მითხრა, – ის სიტყვა, რომელიც ცხოვრების ყოველდღიურ ხასიათს ერთბაშად მიგავიწყებს და უცებ იდეალისკენ აგწევს, აგაფრენს, გაგაუმჯობესებს"-ო[22], ყოფილა პოლონელი სტუდენტი, რომელიც, ჩანს, პოლონეთის 1862 წლის აჯანყების დროს დაღუპულა[23].

ამ თაობის ქართველი სტუდენტობის უმეტესობაში, ნიკო ნიკოლაძის მიხედვით, „წიგნების კითხვა იმ დროს იშვიათი და უჩვეული საქმე იყო"[24]. მხოლოდ ერთი როდი ყოფილა ისეთი „ჭკუის კოლოფი", რომელმაც ნიკო ნიკოლაძეს ილიას შესახებ ზემოთ მოტანილი სიტყვები უთხრა. დამწყებ სტუდენტ ნიკო ნიკოლაძეს სხვა უფროსი თაობის სტუდენტებიც „შეაგონებდნენ": „მაგ კითხვაში დროს ნუ ჰკარგავო, შენი სასწავლელი ისწავლეო, აი როგორც შენი ამხანაგები შვრებიანო"[25].

აკი თვითონ ილიაც ხომ წერდა ბესარიონ ღოლობერიძისადმი მიძღვნილ ნეკროლოგში: „მას მიუძღოდა წინ არა მარტო დიპლომის

ილია - სტუდენტი

ილია პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა ჯგუფში

მოპოება, როგორც მრავალ სხვა მოსწავლეს (ე. ი. სტუდენტს – **გ. ყ.**), არამედ მის სტუდენტობის დროშაზედ წარწერილი იყო: ცოდნა, ცოდნა ყოველისფრისა, რისაც კი შეიძლება, ცოდნა ვრცელი და საფუძვლიანი, შემკული განუქრობელის სიყვარულით საყოველთაო ბედნიერებისადმი"[26].

ყოველივე ამის შემდგომ არ უნდა გაგვიკვირდეს ის ამბავი, რომ ილიას გვერდით მყოფ სტუდენტთაგან ერთი თუ ამბობდა დანანებით: – „სანამ ი. ჭ. იყო აქ, – მეტყოდა ხოლმე ფილიპე[27], – მსჯელობას და ლაპარაკს ქე მაინც გაიგონებდა კაცი, ხანდისხან, მამულის სიყვარულზე. ის წავიდა, და ეხლა რაიზნერზე ან გოზეზე[28] თუ გაიგონებ სჯას, მეტზე არაფერზე..."[29].

კოხტა აფხაზიც ადასტურებს: „ჩვენ სტუდენტები ხშირად ვიკრიბებოდით და ვბაასობდით როგორც საზოგადო კითხვებზედ, აგრეთვე ჩვენს დაბეჩავებულს სამშობლოს მომავალზედ. ვკითხულობდით ხშირად ქართულ წიგნებს"[30]. სრული საფუძველი გვაქვს აღვნიშნოთ, რომ ამგვარი შეკრებების სული და გული გახლდათ ილია და მასთან ერთად ბესარიონ ღოლობერიძეც (ამავე მთხრობელის თანახმად).

ნიკო ნიკოლაძისავე მოგონებით, ჩანს, 1859 წელს, პეტერბურგის კავკასიელ სტუდენტობაში ამტყდარა დავა იმის თაობაზე, თუ რა სახის – საერთოკავკასიური თუ მხოლოდ ქართული – სათვისტომო დაეარსებინათ, რომელსაც, წესდების თანახმად, ექნებოდა ბიბლიოთეკა, საერთო სალარო და ამხანაგური სასამართლოს ფუნქციაც. ბესარიონ ღოლობერიძეს სურვებია ყველა კავკასიელი სტუდენტის გაერთიანება, ილიასა და ნიკო ღოლობერიძის მოსაზრებით კი, ქართველებს ცალკე სათვისტომო უნდა ჰქონოდათ. გაუმარჯვნია სწორედ ამ უკანასკნელ აზრს[31].

მაინც ილიას იმდროინდელ სულიერ განწყობილებებს უფრო კარგად გვისურათებს მისეული ლირიკა. აქ თვალში საცემია პესიმიზმი. ჩანს, ილია დიდ სულიერ მერყეობას განიცდიდა, რასაც აძლიერებდა მძიმე მატერიალური (ფინანსური) პირობებიც.

აი მაგალითები. 1857 წლის 16 დეკემბრით დათარიღებულ ლექსში „სანთელი" ადამიანის ცხოვრება შედარებულია სანთლის წვასთან:

„ეგრეთაც კაცი ძლიერი ჰქრება,
რა ეწევა მას სიკვდილი - მტერი;
მშვენიერ არსის მაგიერ გვრჩება
ერთი მუჭა-ღა გამხმარი მტვერი".

ლექს „გუთნის-დედაში" (დაწერილია 1858 წლის 4 ივნისს) ავტორს თავისი თავი შედარებული ჰყავს მხვნელ ხართან:

„მეც შენებრ მიწას დავყურებ თვალით,
რადგანაც ზეცა წამართვეს ძალით;
შენებრ მეც მელის მიწა ეით მსხვერპლსა,
სიკვდილის შემდეგ დასავიწყელსა";
„მე ჩემის ჭირის, ჩემის წუხილის,
ჩემის კაცობის გულის დუღილის
სიტყვანი გულში მებადებიან,
მაგრამ გულშივე უხმოდ ჰკვდებიან.
შენ ვერ გაიგებ მეტყველის ტანჯვას,
როცა სიტყვასა მართალს გულში ჰკლავს!...
აქ მენდე, ლაბავ, ჩემი უღელი
შენს უღელზედა უფროა ძნელი".

ლექსში „სიმღერა" (დაწერილია 1857 წლის 4 ივნისს) მდინარისადმი ასეთი მუდარაა გამოთქმული:

„ორსა ობლად მცურავსა,
მე და ჩემს მცირე ნავსა,
ჰოი, გვეღრეს, მდინარეო,
იმ დიდ ზღვაში ნუ შეგვრეო!"

ამავე წლის 5 ნოემბერს დაწერილ ლექსში ვკითხულობთ:

„მარტო მივცურავ ცხოვრების ზღვაში,
თითქო უსურვლოდ და უფიქრელად;
და ზღვის ღელვაში, გრიგალთ ქროლაში
არარა აქვს რა ჩემს გულს იმედად".
„და ურგებს ჩემს კვალს იგი ('ზღვა - **გ. ყ.**) სიჩქარით
სქლადა დაჰფარავს ზვირთთა კამარით...
თუ ეგრე წარვხდე, ნუ ატირდები,
მე იმ ცრემლებად არ ვეღირები!..."

შემართება ჩანს 1858 წლის 26 დეკემბერს დაწერილ ლექსში, სადაც ასეთი სტროფია:

„ყველას გავუძლებ, როგორც კლდე ქვისა,
ბედთანა ბრძოლა ეით მეშინება?!

ხოლო ჩემ თაეის არაფრობისა
არ ძალმიძს, ძმანო, ვერ რით გაძლება!"

უფრო მკვეთრად არის გამოხატული მსგავსი განწყობილება ლექსში „ქართველის დედას" (დაწერილია 1858 წლის 15 დეკემბერს):

„მას ნუღარ ესტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა;
მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ეშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს..."

აქ უკვე ჩვენთვის ნაცნობი ილიაა, აგრეთვე ჩანასახი ეროვნული პროგრამისა, რაც უფრო აშკარად იკვეთება „მგზავრის წერილებში".

1859 წლის 19 იანვარს დაწერილ ლექსში „გავსწორდეთ,ბედო!" ვკითხულობთ:

„ეჰ, ჩემო ბედო! ჩემ სიცოცხლეში
სულ შენს ნებაზედ მითამაშნია;
მოგიკლავს ბევრი კარგი ნუგეში,
ტკბილ ოცნებებზედ გინავარდნია.
„გეყო!... მოვიდა დრო ანგარიშის,
მოდი, გავსწორდეთ, ნუ მემალები[32],
წარვიდნენ დღენი შენის უფლების...
დროა დავსცვალოთ ჩვენ ადგილები!..."

აღნიშნულ ლექსთან შედარებით კიდევ უფრო მეტი შემართებაა გამოხატული ილიასეულ „პოეტში" (დაწერილია 1860 წლის 23 ივლისს):

„მისთვის არ ემღერ, რომ ვიმღერო;
ვით ფრინველმა გარეგანმა[33];
არამარტო ტკბილ ხმათათვის
გამომგზავნა ქვეყნად ცამა";
„მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის,
მიწიერი ზეციერსა;
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,
რომ წარეუძღვე წინა ერსა";

„ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,
მეწოდეს მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით
დამედაგოს მტკიცე გული...”

ილიასეულ სტუდენტური ხანის ლექსებში აღსანიშნავია აგრეთვე ანტიბიუროკრატიული განწყობილება. 1857 წლის 27 დეკემბერს არის დაწერილი ლექსი „ხმა სამარიდამ”, რომელშიც დაფარულია პატარა, მცირე რანგის ჩინოვნიკის - დიამბეგის ამაზრზენი სახე.

ლექსის „გმირი” აცხადებს:

„სამართალს ფულითა ესჯრიდი,
გროშისათვის კაცს გავყიდდი,
თვით ძმას ორმოს გაეუთხრიდი
და ჩემს ჯიბეს ნელ-ნელ ვზრდიდი;
საზრდოს გლეხსა წავართმევდი,
მშიერს, მწყურვალს დავაგდებდი,
თუ შიმშილით მოკვდებოდა,
მე ის არ დამნანდებოდა.
რაც კი რამ ჰქონდა საწყალსა,
ჩემს ჯიბეს აძლევდა ხარჯსა;
ჩემი ჯიბე ეტენე, ეტენე,
ისე მოვკვდი, ვერ გავეტენე”.

და ა. შ.

ზუსტად ამავე თემას აგრძელებს 1860 წელს ნანას სახით დაწერილი ლექსის ნაწყვეტი. იგი ეხება დიამბეგის პატარა შვილს – „დიამბიკოს”[34].

ლექსში „ჩემი თარიალალი”, რომელიც ალექსანდრე ჭავჭავაძისადმი მიბაძვითაა დაწერილი, პირდაპირი მოწოდებაა სტუდენტი ახალგაზრდობისადმი, რომელთა უმეტესობა, როგორც ნიკო ნიკოლაძის მონათხრობიდან დავინახეთ, სწორედ რომ ბიუროკრატიულ ლტოლვილებას ამეღავნებდა:

„დაეეხსნათ ჩინის ძებნასა,
ემაგ ფუჭსა დიდებასა;

ილიას ერთერთი ყველაზე საყვარელი პიროვნება
ჯუზეპე გარიბალდი

ჩინოვნიკი სულ ძილს ფიქრობს
და ჩვენ კი - გამარჯვებასა".

მიუხედავად პეტერბურგის უნივერსიტეტის თვალსაჩინო ნაკლოვანებებისა, მაინც აქ მიღებული ცოდნა და გამოცდილება ილიასა და სხვა გამორჩეულ ქართველ სტუდენტთათვის დიდი იყო. „მგზავრის წერილებში" აღნიშნულია: „იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია! პირველი, რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშორებია. მეორე, ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხიდია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული... ო, ძვირფასო ოთხო წელიწადო! ნეტავი იმას, ვისაც შენგან გადებული ბეწვის ხიდი ფეხთა-ქვეშ არ ჩასტყდომია, ნეტავი იმას, ვინც შენ რიგიანად მოგიხმარა".

ბოლოს და ბოლოს, სწორედ პეტერბურგში გატარებული სტუდენტური ეს ოთხი წელიწადი, პლუს დამოუკიდებელი მუშაობით შეძენილი ცოდნა გახლდათ ის უმაღლესი საფუძველი, რითაც ილია და მისთანანი აღემატნენ შინგაზრდილ (საქართველოში) „ინტელექტუალებს", გაამარჯვებინეს მათ ე. წ. „მამათა" და „შვილთა" ბრძოლაში.

ფრიად გავრცელებული შეხედულებების საწინააღმდეგოდ, ილიას მთელი ოთხი წლის განმავლობაში გაბმულად როდი დაუყვია პეტერბურგში. თუმცა ქართველი სტუდენტობის უმეტესობა ასე აკეთებდა, რადგან იმხანად პეტერბურგსა და თბილისს შორის სარკინიგზო მიმოსვლა არ არსებობდა, ხოლო ტრადიციული ტრანსპორტით ამ ქალაქებს შორის მიმოსვლას ორი-სამი თვე უნდებოდა და, ცხადია, ფინანსურადაც ძნელი იყო, ამიტომ ზაფხულს პეტერბურგის შემოგარენ ადგილებში (პავლოვსკში, ტიარლევოში და სხვაგან) ატარებდნენ.

რაკი საზოგადოების ფართო ნაწილმა ძალზე ცოტა რამ იცის ილიას ცხოვრების აღნიშნული ეპიზოდის შესახებ, ამიტომ ამაზე უფრო დაწვრილებით შევჩერდებით[35].

1859 წლის აპრილის ბოლოსა და მაისში ილია დაავადდა, მას აღმოაჩნდა ჭლექის ნიშნები, ჰქონდა სისხლის ღებინება. თუმცა ექიმი (ნიკოლოზ არენდი) ბევრს ეცადა და მკურნალობამ გარკვეული დადებითი შედეგი მოიტანა, საბოლოო განკურნებისათვის მან ურჩია სამხრეთული მშრალი ჰაერით ესარგებლა. ამიტომაც მოხდა, რომ ოცდაორ ივნისს ილიამ თხოვნა

შეიტანა უნივერსიტეტის ინსპექტორის სახელზე ავადმყოფობის გამოისობით გამოცდების გადავადების შესახებ, რაზედაც დათანხმდნენ. ამ თვის ბოლოს ილია რუსეთის იმპერიის დედაქალაქიდან სამშობლოში გამოემგზავრა. 26 ივლისიდან 3 ოქტომბრამდე იგი იმყოფებოდა თბილისში, ყვარელში, კარდენახში, დაესწრო ალაევერდობის დღესასწაულსაც.

ამ ხნის განმავლობაში ილიამ თარგმნა გერმანელი პოეტის ფრიდრიხ რიუკერტის (1788 – 1866) ორი ლექსი, დაწერა ლექსი „მტკვრის პირას" (უნდა ვიფიქროთ, ნიკოლოზ ბარათაშვილის ცნობილი ლექსის შთაგონებით). ზაფხულში (ჩანს, თარიღის მეტი დაკონკრეტება ძნელია) ილიას თაოსნობით თბილისის გიმნაზიის შენობაში გამართულა ცოცხალი სურათები „ძველი აღთქმიდან" და „მეფე ლირიდან", რომელშიც მთავარი როლი (ლირისა) თვითონ ილიას უთამაშია.

ოქტომბრის შუა რიცხვებში ილია დაბრუნდა პეტერბურგში და ჩააბარა დარჩენილი გამოცდები.

ვიმეორებთ, ილიას არც ამჯერად „უღალატია" თავისი ძველი „ჩვეულებისათვის" და გიმნაზიისდაგვარად, არც უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სრული კურსი დაუმთავრებია. ამის თაობაზე თვითონ იგი თავის „ავტობიოგრაფიაში" ასე წერდა: „1861 წელს უკვე მეოთხე კურსზედ ვიყავ, მაგრამ გავანებე თავი უნივერსიტეტს მაშინ საუნივერსიტეტო არეულობის მიზეზით"[36]. ამასთან დაკავშირებით კოხტა აფხაზის ცნობა ფრიად ბუნდოვანია. იგივე ითქმის მრავალი ავტორის შესახებაც, რომლებიც ილიას ცხოვრების აღნიშნულ დროით მონაკვეთს ეხებიან. ვითარებაში კარგად გვარკვევს ნიკო ნიკოლაძის „მოგონება". მის მიხედვით, იგი პეტერბურგში ჩასულა 1861 წლის 9 მაისს, როცა ილია იქიდან უკვე გამომგზავრებული იყო. ჯერ კიდევ მანამდე ხელისუფლებამ გადასწყვიტა საუნივერსიტეტო რეჟიმის შეცვლა, სახელდობრ ე. წ. მატრიკულების შემოღება, რათა პოლიციას გაადვილებოდა სტუდენტობაზე თვალთვალი. სტუდენტობამ ეს ვერ მოითმინა და ზოგიერთმა მათგანმა, მათ შორის ილიამაც (ასევე კოხტა აფხაზმა) გადასწყვიტეს პროტესტის ნიშნად უნივერსიტეტი დაეტოვებიათ და საქართველოში წამოსულიყვნენ[37].

პეტერბურგელ სტუდენტთა ცნობილი მღელვარება დაიწყო 1861 წლის 25 სექტემბერს, რაც ოქტომბერშიც გაგრძელდა. ამ თვის 13 რიცხვში დაპატიმრებულ იქნა 240 კაცი, მათ შორის ქართველებიდან: ისარლიშვილი, ნ. ნიკოლაძე, ალხაზიშვილი, ბ. ღოღობერიძე, გ. წერეთელი,

ა. ჩოლოყაშვილი, დ. ღოღობერიძე და კ. ლორთქიფანიძე[38]. ისინი ჩასვეს პეტრე-პავლეს ციხეში, შემდგომ კი გადაიყვანეს კრონშტადტში. ვიმეორებთ, ილია ამ დროს პეტერბურგში აღარ იყო და რამდენიმე თვის მანძილზე (მაისიდან) უკვე საქართველოში იმყოფებოდა; გაზაფხულის დანარჩენი ნაწილი და ზაფხულის ნაწილი მან თბილისში გაატარა, შემოდგომა კი – კახეთში[39].

ფრიად ცნობილმა მკვლევარმა, ილიას თხზულებების გამოცემასა და შესწავლაში დიდად ღვაწლმოსილმა პავლე ინგოროყვამ ყურადღება მიაქცია იმას, რომ ილიას წერილს „პასუხი" მიწერილი აქვს „14 მაისი, 1861 წელი, თბილისი", ლექსზე „ჩემო კალამო" მიწერილია „1861 წელი, ოქტომბერი, ყვარელი"[40]. ამდენად, მოსაზრება, რომლის თანახმადაც ილია 1861 წლის შემოდგომაზე პეტერბურგში ჩავიდა, სავსებით მოკლებულია საფუძველს. ცნობილი მკვლევარისავე შეხედულებით, ილიას უნივერსიტეტიდან გარიცხვის თარიღი – 1861 წლის 12 ოქტომბერი ტრაფარეტულია, ასევე გახლავთ საერთოდ სტუდენტთათვის გაცემული მოწმობა (ამავე დღისა) მათ მიერ მოსმენილი კურსის შესახებ[41]. პავლე ინგოროყვა აგრეთვე მიიჩნევდა, რომ მეფის ხელისუფლებამ ისარგებლა შემთხვევით და ანგარიში გაუსწორა ილიას თავისუფალ მოაზროვნეობის გამო[42].

სამშობლოსაკენ მომავალი ილიასეული განცდები მშვენიერადაა გადმოცემული „მგზავრის წერილებში": „როგორ შეეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე, - ვიფიქრე. რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე? ვინ იცის: იქნება მე ჩემმა ქვეყანამ ზურგი შემომაქციოს, როგორც უცხო ნიადაგზედ გადარგულსა და აღზრდილსა? იქნება ზურგიც არ შემომაქციოს, იქნება მიმითვისოს კიდეცა, რადგანაც ჩემში მაინც-და-მაინც ჩემის ქვეყნის დვრიტაა დადებული. მაგრამ მაშინ რა ვქმნა, რომ ჩემმა ქვეყანამ მამიყოლოს და მიამბოს თავის გულის-ტკივილი, თავისი გლოვის დაფარული მიზეზი, თავისი იმედი და უიმედობა, და მე კი, მის ენას გადაჩვეულმა, ვერ გავიგო მისი ენა, მისი სიტყვა? იქნება მიმიღოს კიდეც და, როგორც თავის შვილი, გულზედაც მიმიკრას და ხარბად დამიგდოს ყური, მაგრამ მე შევიძლებ კი, რომ მას ღვიძლი სიტყვა ვუთხრა და იმ სიტყვით გულისტკივილი მოვურჩინო, დავრდომილი აღვადგინო, უნუგეშოს ნუგეში მოვფინო, მტირალს ცრემლი მოვწმინდო, მუშაკს შრომა გავუადვილო; იმ სიტყვით ვასმინო, რომ არის მრავალი ქვეყნები, ჩვენზედ უფრო უბედურად გაჩენილნი, მაგრამ უფრო ბედნიერად მცხოვრებნი; და ის თითოეული ნაპერწკალი, რომელიც არ შეიძლება, რომ ყოველს კაცში არა

ულავდეს, ერთ დიდ ცეცხლად შეეაგროვო ჩემის ქვეყნის გაციებულის გულის გასათბობლად. შეეიძლებ კი? შეეიძლებ გასაგონის ღვიძლის სიტყვის თქმასა?" ილია აგრძელებს: „გადაეწყვიტე, რომ ჩემი ქვეყანა მიმიღებს და მიმითვისებს კიდეც, იმიტომ რომ იმისი სისხლი და ხორცი ვარ; იმის სიტყვასაც და ენასაც გავიგებ, იმიტომ რომ მამულის სიტყვას მამულის-შვილი ყურს უგდებს განა მარტო ყურითა, გულითაცა, რომლისათვისაც დუმილიც გასაგონია; ჩემს სიტყვასაც გაეაგებინებ, იმიტომ, რომ შვილის სიტყვა ყოველთვის ესმის. მაგრამ ამას სულ სიტყვაზედ ვლაპარაკობ, საქმე კი საქმეშია. შენმა ქვეყანამ რომ საქმე მოგთხოვოს, მაშინ რასა იქმ?..."[43]

ისტორიკოს-მკვლევარ პროკოფი რატიანის მოსაზრებით, ილია თითქოს ნიკოლაი ჩერნიშევსკის სპეციალური დავალების აღსასრულებლად იყო გამოგზავნილი – მოემზადებინა საქართველო და მთლიანად კავკასია ასაჯანყებლად[44]. თუმცა თვითონ ილია „მგზავრის წერილებში" მართლაც ამბობდა: „სიტყვამ „რევოლუცია" არ შეგაშინოს, მკითხველო! რევოლუცია იმისთვის არის გაჩენილი, რომ მშვიდობიანობა მოაქვს. ღვინო ჯერ უნდა ადუღდეს, აირიოს-დაირიოს და მერე დაწმნდება ხოლმე. ესეა ყველაფერი ამ ქვეყანაზედ"[45]. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ახალგაზრდა ილიას უთუოდ სურდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა მალე მოეპოვებინა და ამისათვის ეროვნულ აჯანყებაზეც, მეტიც, კავკასიის ხალხების ერთიან გამოსვლაზეც კი ოცნებობდა, მაგრამ, ვფიქრობთ, ჩვენი დიდი წინაპარი შორს იდგებოდა ნ. ჩერნიშევსკის ჩანაფიქრის პრაქტიკული განხორციელებისაგან (ისიც კი არ ვიცით, თუ რამდენად ახლოს იდგა ილია გამოჩენილ რუს მოაზროვნესა და მოღვაწესთან).

ერთი სიტყვით, იმედები დიდი იყო, მაგრამ სულ სხვა იყო სასურველობა, ოცნება, ერთი მხრით და რეალური ისტორიული ვითარება, მეორე მხრით. ასე გახლდათ პეტერბურგის ქართველ სტუდენტობასთან მიმართებაში და მით უმეტეს საქართველოსთან დაკავშირებით, რაშიც ილია მალე დარწმუნდა. სულ სამიოდე თვე თუ იყო გასული, რაც იგი საქართველოში ჩამოვიდა და ამ მოკლე ხნის განმავლობაშიც კი ბევრი რამ გაიცნობიერა. 1861 წლის 6 აგვისტოს დაწერილ ლექსში „მას აქეთ,რაკი..." მწარედ აღმოხდა:

„მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი,
ის არი მხოლოდ საეალალო და სამწუხარო,

რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში კაცი არ არი,
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განეუსიარო!..”

როგორც ვიცით, ილია ერთ „დიდ ცეცხლზე” (ცხადია, მეტაფორული აზრით) ფიქრობდა, რეალობამ კი აჩვენა, თუ როგორი ეული აღმოჩნდა იგი (საქართველოში) თავისი ფიქრებითა და მისწრაფებებით. ქვეყანაში შექმნილი სოციალურ-ფსიქოლოგიური ვითარება ილიას ცნობიერებაში გუბისა და წუმპის ასოციაციებს იწვევდა. მოვიტანთ შესაბამის ადგილებს “კაცია-ადამიანი?!“-ს წინასიტყვის ვარიანტებიდან: გუბეში ‘მრავალი ცხოველი მოჩანდა; მათ შორის ორფეხიანი მხეცნი იყვნენ; ამ ორფეხიან მხეცებში კაცის სახის მქონენიც იყვნენ, მაგრამ ძალიან ცოტა“[46]; ‘ამ წუმპეს აქაურები სამასხაროდ ცხოვრებას ეძახიან, როგორც იმ ორფეხა ცხოველებს, რომელნიც შიგა ლპებიან, ადამიანებსა. აგე იქით რომ ხედავ ხალხსა ჯგუფადა, ისინი კი, ღვთის წინაშე, ადამიანები არიან: მათ შორის ყმაწვილებიც არიან და პატიოსანნი, გულმხურვალე მოხუცნიცა, მაგრამ ხომ ხედავ, რომ ისინი ისე ცოტანი არიან, რომ სხვანი ვერც კი ხედავენ, თუ კარგად გონიერად არ დააკვირდნენ; იმათ, იმ გულმხურვალეთ, ამ წუმპელებში პატივი არა აქვთ. ახლო რომ მივიდნენ, (მისულან კიდეც ბევრჯერ, მივლენ კიდენაც), მაშინვე ლაფს შემოასხამენ“[47].

ასეთ პირობებში კი ლოზუნგს – „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს” განხორციელება უახლოეს ისტორიულ პერიოდში არ ეწერა. პასუხი კითხვაზე: „როდემდის დამრჩეს ეს ტკივილი გულში, როდემდის? ოხ, როდემდის, როდემდის?... ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მამეც ამის პასუხი!” – შორეულ დროით პერსპექტივაში იწვევდა.

თუ ისტორია ისეთი გულუხვი არ აღმოჩნდა, როგორიც ილიასა და მისნაირად განწყობილთ სურდათ, მათს აქტიურობას მაინც საკმაო სარბიელი ექმნებოდა, რამეთუ რუსეთის იმპერია აღარ იყო მთლად უწინდებურად ტრადიციული საზოგადოება. შესაბამისად, აღარც საქართველო იყო ასეთივე ქვეყანა და აქ პიროვნების აქტიურობას გარკვეული ასპარეზი უჩნდებოდა.

სულ მალე ილია ქართველი საზოგადოებრიობის ყურადღების ეპიცენტრში მოექცა. საქმე იმაში გახლავთ, რომ 1861 წლის აპრილში, ჯერ კიდევ პეტერბურგიდან თბილისში ჩამოსვლამდე, ჟურნალ „ცისკრის” მეოთხე ნომერში გამოქვეყნდა ილიას კრიტიკული სტატია „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვის მიერ „შეშლილის” თარგმანზედა”. ახალგაზრდა პოეტი

და ლიტერატურის კრიტიკოსი იწუნებდა არა ოდენ თარგმანის ხარისხს, არამედ სათარგმნელად ამგვარი ნაწარმოების შერჩევასაც. იგი თვლიდა, რომ უკანასკნელი ნიკოლაი კარამზინის (1766 – 1826) სუსტი სანტიმენტალური ლიტერატურული სკოლის საშუალო (посредственный), მდარე თხზულებას წარმოადგენდა. ამგვარ შეფასებაში კი თავი იჩინა ახალმა ესთეტიკამ, ლესინგის, ბესარიონ ბელინსკისა და სხვათაგან რომ მოდიოდა. აშკარად გამოჩნდა აგრეთვე ფართო გონებრივი ჰორიზონტი, რითაც ახალთაობის ლიდერი დაუპირისპირდა ადგილობრივ, შინგაზრდილ ინტელიგენტებს (ვსარგებლობთ კვლავ ძველი შესაბამისი ტერმინით).

ილიას ეს გამოსვლა, რომ იტყვიან, მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას დაემსგავსა. ატყდა მწვავე პოლემიკა. ჟურნალის მომდევნო (მეხუთე) ნომერში დაიბეჭდა ძველი თაობის წარმომადგენლების – ბარბარე ჯორჯაძის, რევაზ ერისთავისა და გიორგი ბარათაშვილის წერილები. მათზე პასუხი გასცა 14 მაისს პეტერბურგიდან ახლად დაბრუნებულმა ილიამ. პოლემიკა კვლავ გაგრძელდა არა თუ ამ წელს, არამედ 1862 წელსაც. მასში ჩაებნენ ილიას მომხრეებიც – კირილე ლორთქიფანიძე,სამსონ აბაშიძე („ცისკრის" მეხუთე ნომერში), აკაკი წერეთელი (მეექვსე ნომერში). ყველა ესენი წერილებს ხელს აწერდნენ „თერგდალეულის" ფსევდონიმებით[48]. მოგვიანებით მათ შეუერთდა გიორგი წერეთელიც.

სანამ შესაბამის მოვლენათა მსვლელობას გადმოვცემდეთ, ვიტყვით, რომ ამავე (1861) წელს ილია ცდილობდა ახალთაობის წარმომადგენლებთან ერთად დაეარსებინა ლიტერატურული საზოგადოება, რომლის მიზანი იქნებოდა ხალხში ქართული წერა-კითხვისა და წიგნების გავრცელება. მაგრამ ასეთი საზოგადოების (მომავალი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" პროტოტიპი) დაარსებაზე ხელისუფლებამ უარი განაცხადა[49].

თვალნათლივ გამოიკვეთა, რომ ილიასა და მის თანამოაზრეთათვის ძველ, დახავსებულ „ცისკარში" თანამშრომლობა შეუძლებელი იყო[50]. ილიამ მიიღო მტკიცე გადაწყვეტილება – დაეარსებინა ახალი, საკუთარი ორგანო. ჟურნალის გამოსაცემად ნებართვის მისაღებად მან მიმართა მეფისნაცვლის საქმეთა მოვალეობის აღმასრულებელს გრიგოლ ორბელიანს[51]. უკანასკნელმა კი თავისი საბოლოო დასკვნა წარუდგინა კავკასიის კომიტეტს. შესაბამის დოკუმენტში აღნიშნულია:

„Отношение и. д. наместника Кавказского, Ген. адъют. Орбелиани, к члену Кавказского комитета, управляющему делами онаго, от 28-го февраля 1862 года, № 113.

Кн. Илья Чавчавадзе обратился с просьбою о дозволении ему издавать новый журнал на грузинском языке под заглавием: „Грузинский Вестник“.

Кавказский Цензурный Комитет, разсмотрев и одобрив представленную кн. Чавчавадзе программу этого журнала, испрашивает разрешение на издание онаго“[52].

მომავალი ჟურნალის „პროგრამა” დაიბეჭდა 1862 წლის „ცისკრის” მეათე ნომერში და ოფიციოზ „კავკაზის” დამატებაში (№ 83). ახალ ორგანოს უნდა ჰქონოდა შემდეგი „ნაწილები” (განყოფილებანი): 1) წმინდა სალიტერატურო (ლექსები, მოთხრობები, დრამები, კომედიები, ორიგინალურნი (ქართულენოვანი და ნათარგმნი); 2) საისტორიო (ზოგადი (მსოფლიო) ისტორია, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიქცეოდა საქართველოს და ერთობ კავკასიის ისტორიას); 3) საპოლიტიკო (პოლიტიკური) და სოფლური (სასოფლო ეკონომია) იმდენად, რამდენადაც დრო და საჭიროება მოითხოვდა; 4) კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, რომელშიც განხილულ-შეფასებული იქნებოდა უცხო ენებზე და ქართულად დაწერილი წიგნები; 5) სხვადასხვა „ანბავი” და 6) დამატება, სადაც დაიბეჭდებოდა ძველი ქართული რომანები. როგორც ვხედავთ, ჩამონათვალში არაა დასახელებული პოლიტიკა. გრიგოლ ორბელიანთან მიღწეული თავისებური „ჯენტლმენური” გარიგებით, ეს განყოფილება გამოირიცხებოდა, რითაც, ცხადია, „საქართველოს მოამბე” დიდად აგებდა. აღნიშვნის ღირსია ის გარემოებაც, რომ საისტორიო განყოფილების რედაქტორობა იკისრა ნიკო ღოღობერიძემ, სხვადასხვა „ანბებისა” დავით ყიფიანმა (დიმიტრი ყიფიანის ძმისწულმა), ხოლო პოლიტიკური და სასოფლო ეკონომიისა ივანე სერებრიაკოვმა (ოქრომჭედლი-შვილმა). ჟურნალი გამოვიდოდა ყოველთვიურად, მოცულობა ექნებოდა 7 – 10 თაბახი (112 – 160 გვერდი), შესაძლოა გაზრდილიყო კიდეც. იგი ერცელდებოდა ხელმოწერებით – ფასი მთელი წლის განმავლობაში იქნებოდა ერთი თუმანი, გაუგზავნელად – 9 მანეთი.

რასაკვირველია, თუ ახალთაობის მოწინავე წარმომადგენლები აღფრთოვანებით შეხვდნენ „საქართველოს მოამბის” გამოსვლას, „ცისკრის” გარშემო შეკრებილი ლიტერატორები და მათი თანამგრძნობნი დიდ შეშფოთებას გამოხატავდნენ. ზოგიერთი მათგანი ქირქილებდა და დღენაკლულობას უწინასწარმეტყველებდა ახლად

დაბადებულ ჟურნალს. მაგრამ მათ ჯინაზე „საქართველოს მოამბის" თორმეტი ნომერი გამოვიდა, რითაც ახალი მიჯნა წარმოჩნდა ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა და კულტურის განვითარებაში. დიდად სამწუხაროდ, საბოლოოდ მაინც გამართლდა კონსერვატორ-რეტროგრადების ქირქილი, – მეთორმეტე ნომრის გამოსვლის შემდეგ ახალმა ჟურნალმა არსებობა შეწყვიტა, მაშინ როდესაც „ცისკარი" 1875 წლამდე გამოდიოდა და თანაც „დამატებითურთ".

რაში უნდა ვეძიოთ „საქართველოს მოამბის" ასეთი ხანმოკლე გაბრწყინება და დაცემა? ქართულ ისტორიოგრაფიასა და ლიტერატურათმცოდნეობაში დღემდე გავრცელებულია შეხედულება, რომ ამის მიზეზი მდგომარეობდა უმკაცრეს საცენზურო პირობებში. მაგრამ, ჩვენი მოსაზრებით, მოვლენის ასახსნელად ეს ცოტა რამეს თუ გვიხსნის. მთავარი მიზეზი იმაშია საძებნი, რომ ცხადია, კარგი ჟურნალის გამოსაცემად მხოლოდ რედაქტორი, რაგინდ ნიჭიერი და ენერგიულიც უნდა ყოფილიყო იგი (ილია კი უთუოდ ასეთი გახლდათ), არ კმაროდა. იაკობ მანსვეტაშვილის მოგონებით, თურმე თვითონ ილია ამბობდა: „კამბეჩის ჯიშისა ვარ, რაც უნდა მძიმედ დატვირთული ურემი იყოს, უკან არ დავიხევ, ხრამიდგანაც ამოვიტან, თუ უღელში შესაფერი ტოლები მეყოლებიან, მხარს დამიჭერენ"-ო[53]. ამასთანავე საჭირო იყო მის გვერდით მდგარიყო ნიჭიერ, შემომქმედ ადამიანთა დასი. ჟურნალის ნორმალური ფუნქციონირებისათვის სწორედ ამაზე ოცნებობდა იგი: „ღმერთმა მოაპოვებინოს მრავალი თანამშრომელი, რომ ჩვენის ქვეყნის და ხალხის სიყვარულის სახელითა ძმურად ურთიერთს მხარი მისცენ და არ დაიეიწყონ, რომ ხალხი დაბალი, თუ მაღალი – ყველა მოყვასია ჩვენი, შეძლებისამებრ ყველამ უნდა ეუშველოთ..."[54]. ასეთები კი იმ ხანის საქართველოში ნაკლებად იყვნენ. უკვე მივუთითებდით იმ პირებზე, რომლებიც „საქართველოს მოამბის" „ნაწილებს" (განყოფილებებს) განაგებდნენ. არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ არც ერთი მათგანი არ გამოირჩეოდა თვალსაჩინო შემოქმედებითი აზროვნებით, რაც შემდგომში ნათლად გამოჩნდა. იგივეს ვიტყოდით ილიას მაშინდელ წრეზე, რომელსაც განასახიერებდნენ პეტრე ნაკაშიძე, გიორგი ყაზბეგი, ივანე პოლტარაცკი, მიხეილ ყიფიანი, ივანე ბერიძე, დავით ყიფიანი, გიორგი ჩიქოვანი, ალექსანდრე სავანელი, მიხეილ ჩიკვაიძე, ილია წინამძღვრიშვილი და ვახტანგ თულაშვილი. ესენიც არ იყვნენ ისეთნი, რომლებიც ილიასთან ერთად „ახალ ცასა და ახალ ქვეყანას" დაიპყრობდნენ.

ერთი სიტყვით, არსებული სალიტერატურო ძალებით „საქართველოს მოამბე", ვიმეორებთ, მიუხედავად რედაქტორის გენიალობისა, დიდხანს ვერ გასტანდა. აღნიშნულ გარემოებას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ იმდროინდელ ქართულ საზოგადოებაში მცირე ნაწილი, თუნდაც ხელმომწერლის დონეზე, თუ თანაუგრძნობდა „პასიონარიებს". ჯერ კიდევ ჟურნალის გამოსვლამდე ილია თავის შეყვარებულ ოლღა გურამიშვილს წერდა: „...გაინტერესებდა ჩემი ჟურნალის წარმატების ამბავი. ჩემი ჟურნალი არც ისე სულელური იქნება, თუ კი ღრმად პატივცემული საზოგადოება ყურადღებას მიაპყრობს იმას, რაც წაკითხვის ღირსია. გამოცემისათვის სახსრები საკმარისია – 5290 მანეთი. თუ ჩვენ (მე და ჩემი ამხანაგები) კეთილსინდისიერად ვიშრომებთ, მაშინ მომავალ წელს ხელმოწერა შეიძლება გაიზარდოს 10.000 მანეთამდე"[55]. უბრალო მათემატიკას (არითმეტიკას) თუ მოვიშველიებთ, გამოდის, რომ ჟურნალის გამოცემამდე ხუთასამდე ხელისმომწერნი თუ შეგროვილა, შემდეგში კი რედაქტორს იმედი ჰქონია ათასისა. მაგრამ ილიას ვარაუდი უსაფუძვლო აღმოჩნდა.

ჟურნალის გამოცემის სიძნელეებზე ილია ლაპარაკობდა მეთერთმეტე ნომერში (1863 წლის დეკემბრისა): „წარსულმა დრომა მრავალ ჯერ დაგვიმტკიცა, რომ რასაც ჩვენ თითონ ვჰსთხოვდით ჩვენს ჟურნალსა, რასაც მისგან მოველოდით, – ამას ყველაფერს წინ კედელი დახვდა... ჟურნალის საქმეში ზოგი იმისთანა დაბრკოლებაა, რომელიც უნდა ჰსძლიოს რედაქციამა და რომლის ძლეეაც შეიძლება; ზოგი იმისთანაა, რომელთანაც ყოველი ბრძოლა, მეცადინეობა და თავგამოდება უქმია"[56]. მათთან ბრძოლისას უძლური აღმოჩნდა ილიასეული განწყობა: „როგორც გონება ჩვენი ჰსჯრიდა, როგორც გული გვითხრობდა, – ისე ვლაპარაკობდით, როცა კი შეგვეძლო და კვლავაც ისე მოვიქცევით – თუნდ რომ ამით ჩვენს ჟურნალს ბოლოც მოეღოს"[57].

ეს დღეც დადგა – 1864 წლის 12 მარტს გაზეთ „კავკაზში" (№ 20) გამოქვეყნდა რედაქტორის განცხადება „საქართველოს მოამბის" დახურვის თაობაზე.

ჩვენი მტკიცე ფიქრით, ჟურნალის დახურვის ნამდვილი მიზეზი აჩვენა მწერალმა გიორგი წერეთელმა: „ისეთი ჟურნალის დაცემა, როგორიც იყო „საქართველოს მოამბე", რასაკვირველია, ბევრს ჩამოაყრევინებდა ფრთებს და აფიქრებინებდა, რომ ჩვენში ჟურნალები ჯერჯერობით ვერ იხეირებენო. საქმეზედ კარგად უნდა მოიფიქროს „მნათობის" რედაქციამ, – იმან, მგონია, უნდა იცოდეს – რომელი მიზეზებისა გამო მოკვდა ასე მალე „საქართველოს მოამბე", იმიტომ,

ილიას მეუღლე
ოლღა გურამიშვილი



სამების ეკლესია ტბილისში, სადაც ილიამ და ოლღამ ჯვარი დაიწერეს (1863 წლის 10 აპრილს)

რომ იმას მოაკლდა თანამშრომლები. ჟურნალი უკანასკნელ დროს გათხელდა, სტატიები შემსუბუქდნენ; ამის გამო მეორე წელიწადს რომ ეცოცხლა, რასაკვირველია ხელის მომწერნი მოაკლდებოდნენ: მესამეს, შეიძლება ოციც აღარ ეყოლებოდა და შემდეგ დაიწყებდა ჭაპან-წყვეტით ფორთხვას. ამ ძაღლურ ცხოვრებას „საქართველოს მოამბემ" ისევ ის ამჯობინა, რომ ერთბაშად მოესპო თავისთავის არსებობა"[58].

იგივეს შენიშნავდა ნიკო ნიკოლაძეც. მისი შეხედულებით, „საქართველოს მოამბის" „თანამშრომლებს, საზოგადოთ რომ ვთქვათ, არც დიდი ნიჭი ჰქონიათ, არც დახელოვნებული (!) ცოდნა. ისინი რიცხვითაც მცირენი იყვნენ და ძალითაც", ასე რომ, მხოლოდ ილია ჭავჭავაძეს ჟურნალის ამოქმედება არ შეეძლო[59].

აღნიშნული გარემოება ჩანს ილიას გვიანდელი წერილიდან პეტრე უმიკაშვილისადმი (1872 წლის 30 აგვისტო): „...თუ სამსახურიდამ გამოვალ, მარტო იმისათვის, რომ ჟურნალი გამოვცე-ვფიქრობ, ვფიქრობ და ეგ გამოცემა ვერ მომიხერხებია. აი სრულიადი დაბრკოლება ჩემი, რომელიც ხელსა და ფეხს მიკრავს. თუ ორიოდ და სამიოდ რიგიანს (სად არიან?) მწერლებზედ იმედი მექნება, ანუ ეკეთ, მომეცემა, მაშინვე დავკრავ ფეხს, გადავვარდები ბახტრიონ გალავანსედა"[60].

აღმოჩნდა ისიც, რომ ილია სწორი ყოფილა, როდესაც (1862 წელს) იმდროინდელი ქართული საზოგადოების ჭრიანტელს (რუსულ „окрошка"-ს) შეადარა: „როგორც ჭრიანტელს თავისი მასალა, ისე ჩვენს საზოგადოებას თავისი წევრნი ცოტად თუ ბევრად თავის გემოს აძლევენ, და არ ითქმის – რომ ის გემო ერთობ გემრიელი იყოს"[61]. იგი სვამდა კითხვას და იქვე პასუხობდა: „ჩვენი საზოგადოება-და რისთვის არის? ამის ახსნა მეტად ძნელია. ჩვენმა საზოგადოებამ რომ თითონვე იცოდეს ამის პასუხის გება, ხომ ჭრიანტელი აღარ იქნებოდა, არამედ იქნებოდა გონიერი მწყობრი, რომელმაც იცის, რისთვის არის, ე. ი. ერთი აზრი აქვს თვალწინ, ერთი საგანი, ერთი იდეალი, რომლის მისაწვდომელად საზოგადოთ (გაერთიანებული ძალებით – **გ. ყ.**) იბრძვიან. ვაი იმ ხალხს, რომელმაც არ იცის, რისთვის ცხოვრობს, რომელიც ხავსს იკიდებს ერთს დამპალს გუბეში და არ იცის, რომ გუბეს გარეთ მინდვრებია ამწვანებული და ჰაერი ცხოერების მიმნიჭებელი; უფრო ვაი იმ საზოგადოებას, რომელმაც არამც თუ ეს, ისიც არ იცის, რომ უნდა ცხოვრობდეს 'ეთუოდ რისთვისამე!'"[62].

დადასტურდა „აჩრდილში" (X ხანა) ნათქვამი სიტყვებიც:

„აგერ ორ-სამ კაცს რაღაც უგრძვნიათ,
ქვეყნისა სახსრად (საშველად – **გ. ყ.**) ერთად მოდიან,
ერთის საქმისთვის გაუღვიძნიათ
და ერთმანეთს კი არ ენდობიან.
ერთმანეთისა მათ სიკეთე პშურთ,
თუმც ერისათვის თითქო იღვწიან;
თვით ამბობენ მას, რის აღდგენაც პსურთ,
თვით პშველიან მას, რასაც ებრძვიან".

ცხადია, მცირე ხანში ისტორიული ვითარება მკვეთრად ვერ შეიცვლებოდა და ქართული საზოგადოების მნიშვნელოვან ამოძრავებას საკმაო დრო დასჭირდებოდა.

მაინც, მიუხედავად ზემოთქმულისა, იმჟამინდელი საქართველოს მდგომარეობა მთლად უიმედო როდი იყო, დაისახა განვითარების სერიოზული პერსპექტივა. „განთავისუფლება ზემოდან", რაც ბატონყმობის "გადავარდნაში" (როგორც მაშინ და შემდგომში ამბობდნენ) მდგომარეობდა და თვით რუსეთში დაიწყო, შემგომ გავრცელდა საქართველოშიც[3]. რაკი ასე მოხდა და „ძალა აღმართსა ხნავს", თვით ჩვენმა მცონარე თავადაზნაურობამაც კი „ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა" და საჭიროდ სცნო წარსულის საზარელი გადმონაშთის – ბატონყმობის გაუქმება. დაიწყო კიდეც სათანადო სამზადისი ამის განსახორციელებლად. ამდენად დღის წესრიგში დაისვა საკითხი, რაზედაც ილია და მისი თანამოაზრენი უკვე რამდენიმე წლის წინად წერდნენ. აპრილის დასაწყისში იგი ეცნობა და კრიტიკულ შენიშვნებს უკეთებს თბილისის გუბერნიაში საგლეხო რეფორმის დებულების პროექტს.

ილიასმცოდნეობაში დღემდე საკამათოდ რჩება საკითხი: ილია იზიარებდა თავადაზნაურობის უმრავლესობის თვალსაზრისს გლეხთა უმიწაწყლოდ განთავისუფლებაზე თუ უმცირესობისას – მიწა-წყლით გათავისუფლების შესახებ. თითქოს ჭეშმარიტების დასადგენად გვაქვს ქრისტეფორე მამაცაშვილის უტყუარი ცნობა, რომლის თანახმადაც თავადაზნაურობის ორ საგანგებო კრებაზე, რომელზედაც წყდებოდა აღნიშნული დილემა, ადგილი ჰქონია შემდეგ ინციდენტებს. პირველი: „...ჯერ დაიწყო კამათი. წამოდგა ახალგაზრდა პოეტი და პუბლიცისტი ილია ჭავჭავაძე, და ხმა მაღლა განაცხადა, რომ გლეხს მიწა უნდა მიეცესო. კრების უმეტესობა ამ კადნიერმა აზრმა ააშფოთა, ერთმა თავადმა ხანჯალი იშიშვლა და ლანძღვა-გინებით ილიასაკენ გაიწია და ყვიროდა: „გამიშვით, გამიშვით! ეხლაკე უნდა მოვკლაო". გაგიუებული თავადი

ეროვნული ენციკლოპედია
ILIA
ILIA
ILIA

შეაკავეს და ძლივს-ძლივობით გაიყვანეს კრებიდან.

ქრისტეფორე მამაცაშვილი განაგრძობდა: "მე გომბორში ვმსახურობდი. ზემოხსენებული ამბავი შემატყობინა ილია წინამძღვრიშვილმა, რომელიც მწერდა: ჩქარა ტფილისში ჩამოდი, რომ ახალგაზრდობა ილიას გარშემოვერტყათ და ბატონ-ყმობის მოსპობის საქმე დავიცვათო. მეც ჩამოვედი. რამდენიმე ახალგაზრდა და მათ შორის ან. ფურცელაძე და წერილის ავტორიც მუდმივ შორი ახლოს მივსდევდით ილიას და მზათ ვიყავით დაგვეცვა ახალგაზრდა პოეტი"[64]. თავის მხრივ ამას ანტონ ფურცელაძეც ადასტურებს: "...როცა ხდებოდა თავადაზნაურობის კრებაზედ ბატონყმობის გადავარდნის შესახებ მსჯელობა, სადაც მაშინ სრულიად ახალგაზრდა, ნიჭითა და ენერგიით აღსავსე ილია გამოვიდა გლეხების ენერგიულ დამცველად, რითაც გამოიწვია შფოთი და მღელვარება თავადაზნაურობაში. ილიას ემუქრებოდნენ მოკვლასაც. ჩვენ ვიცოდით ესა, და რომ მართლა არ შეამთხვიონ რა ამ მაღალი აზრებით გატაცებულს ახალგაზრდას, ჩვენ, მე და ქრისტეფორე მამაცაშვილი... დავდევდით შორი ახლოს იარაღით ხელში, რომ დაგვეცვა მისი სიცოცხლე შმაგი ხელისაგან"[65].

კვლავ ქრისტეფორე მამაცაშვილი მოვიხმოთ: „მეორე კრებაზე გლეხთა განთავისუფლების წინააღმდეგ ილაპარაკა გენ.-ლეიტ. ივ. მუხრანსკიმ. მან განაცხადა, რომ უმიწოთ გლეხთა განთავისუფლებას მთელი თავადაზნაურობა მიემხრობაო, მიწიანად კი – მხოლოდ ორიოდე კაცუნაო. ილია ჭავჭავაძემ ორატორს ხელი სტაცა, მოაბრუნა თავისკენ და ჰკითხა: „ვინ არიან ეგ კაცუნები?" მუხრანსკიმ მიუგო, რომ ის შესცდა და „რამდენიმე კაცუნას" მაგივრად უნდა ეთქვა „რამდენიმე კაცი"[66].

რომანოზ ფანცხავა (ხომლელი) 1915 წელს წერდა: "რუსეთის მაშინდელი წლების საუკეთესო ჟურნალიც "Современник"-ი და იმისი შესანიშნავი ეკონომისტი ნიკ. გ. ჩერნიშევსკი, რომელსაც სტუდენტი ილია დაახლოვებით (ახლოს - **გ. ყ.**) იცნობდა და იმ წრეში მხურვალე მონაწილეობას იღებდა, რომელსაც მეთაურობდა ჩერნიშევსკი, როგორც ეს ჩემთვისა და ნიკო თად. ხიზანაშვილისათვის უთქვამს განსვენებულს, იმას ქადაგებდა მუდამ ხმა მაღლა, რო ყმა მიწიანათ უნდა განთავისუფლდესო. ჩვენი ილიაც ამ აზრს ემსახურებოდა და იმისთვის იბრძოდა უკანასკნელ სისხლის წვეთამდი"[67].

გვაქვს ამის დამადასტურებელი სხვა ფაქტებიც. ჯერ თვითონ ილიას მოვუსმინოთ. „ნუთუ?"-ში (დაწერილია 1905 წელს) იგი წერდა:

„მართალია, მე საკუთრივ ცოტა თუ ბევრი ყმები მყავდა კახეთში, მაგრამ ყმათა განთავისუფლების პირველ ხანებში მთელი მათ მიერ ხმარებული საკომლო, სახლ-კარის მიდამო, მათი ხვედრი ვენახები, უსასყიდლოდ დავუთმე და ხელშეუხებელ საკუთრებად დავუმტკიცე და ამით მოვსპე ყოველივე ბატონ-ყმური ნაშთი ჩემსა და ჩემთა ნაყმევთა შორის. ხიზნებიცა მყავდა თიანეთის მაზრაში. ხაზინა შემომევაჭრა მათ მიერ ხმარებულ მამულს და მე მარტო მაშინ მივყიდე, როცა ჩემი ხიზნები სხვა, მათ მიერ არჩეულ და მოწონებულ სახელმწიფო მამულში გადავიყვანე და დავაბინავე თ. ლევან ჯანდიერის შემწეობით, რომელიც მაშინ მაზრის უფროსად იყო"[68].

ილიას ნამოურავალი ნოშრევან ჯაფარიძე იგონებდა: „ილიასაგან ნაყმევებს ნაჩუქარი ჰქონდათ ნადელები, ვენახები და სამოსახლოები"[69]. ამას კი ადგილი ჰქონდა ყვარელში.

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება დავეთანხმოთ ისტორიკოს პროკოფი რატიანს იმაში, რომ ამიერკავკასიის ცენტრალურ საგლეხო კომიტეტში წარდგენილი „თბილისის გუბერნიაში მემამულეთა მიწებზე დამკვიდრებული გლეხების მიწათმოწყობის ადგილობრივი დებულების წინასწარი პროექტის მუხლებზე კრიტიკული შენიშვნების" ნამდვილი ავტორი გახლდათ ილია და არა მისი ნათესავი ნიკო ჭავჭავაძე[70].

1864 წლის 10 აპრილს ილია ინიშნება (კავკასიის მეფისნაცვლის სამმართველოს ინიციატივით) იმერეთში საგანგებო მინდობილობათა მოხელედ ქუთაისის გუბერნატორთან. ამის თაობაზე მის „ავტობიოგრაფიაში" ვკითხულობთ: „1864 წლის დამდეგს, როცა განიზრახეს გლეხკაცობის განთავისუფლების რეფორმა საქართველოში, გამგზავნეს იმერეთს ქუთაისის გუბერნატორის ცალკე მინდობილობათა მოხელედ და დამავალეს გამომერკვია, თუ რა ურთიერთობა სუფევდა მემამულეთა და გლეხკაცთა შორის ბატონ-ყმობისაგან წარმომდგარი"[71]. (იქნებ ღირდეს შეხსენებად, რომ თუ აღმოსავლეთ საქართველოში ბატონყმობის „გადავარდნა" 1864 წლის ოქტომბერში გამოცხადდა, დასავლეთ საქართველოში ეს 1865 – 1871 წლებში მოხდა). მაისის შუა რიცხვებში იგი ქუთაისს გაემგზავრა. ნოემბრის დასაწყისში ილია ინიშნება მომრიგებელ შუამავლად თბილისის მაზრაში, სამუშაო უბნებად ჰქონდა სართიჭალისა და მცხეთის უბნები. თვის ბოლოს კი იგი ამავე თანამდებობაზე იქნა გადაყვანილი დუშეთის მაზრაში, სადაც დაჰყო 1868 წლამდე. ამ წლის თებერვალში, სასამართლო რეფორმის საფუძველზე (რუსეთში შესაბამისი რეფორმა უფრო ადრე გატარდა), იგი დაინიშნა

მომრიგებელ მოსამართლედ დუშეთისავე მაზრაში. აღნიშნულ თანამდებობაზე იგი მუშაობდა ხუთი წლის განმავლობაში, 1873 წლის 14 მაისამდე[72].

როგორც ვხედავთ, ილიას დიდად აქტიური ნატურის სარბიელი ერთობ შეზღუდული აღმოჩნდა, რაც იმდროინდელი ქართული საზოგადოებრიობის ჩამორჩენილობასთან ერთად აიხსნება მძიმე მატერიალური შეჭირვებითაც, ნათლად რომ ჩანს მის წერილებში ოლდა გურამიშვილისადმი. თუ ლიტერატურული შემოქმედების სფეროში ეს წლები ნაკლებნაყოფიერი იყო (სხვათა შორის, მაინც ახერხებდა შეეკრიბა ფოლკლორული მასალები), სამაგიეროდ, ილიამ კარგად გაიცნო მოსახლეობის ფართო მასების ცხოვრება, რაც შემდგომში მას, ვითარცა საზოგადო მოღვაწეს და პუბლიცისტს, ძალიან გამოადგა.

თუმცა ილიას მიერ ქვეყნის ცენტრის მიტოვება, მიყრუებულ პროვინციულ ცენტრში ცხოვრება უარყოფითად აისახა ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაზე, მაგრამ, დიდად საბედნიეროდ, ეს პროცესები მთლად როდი ჩამკვდარა. 1866 წლიდან თბილისში გამოდიოდა (1875 წლამდე კვირაში ერთხელ) გაზეთი „დროება"[73]. 1866 – 1869 წლებში მისი რედაქტორი გახლდათ გიორგი წერეთელი, 1869 – 1873 წლებში – სერგეი მესხი, 1873 – 1874 წლებში – კირილე ლორთქიფანიძე. გამომცემელი კი იყო სტეფანე მელიქიშვილი. 1869 – 1872 წლებში (ასევე თბილისში) გამოდიოდა ხალხსნების ყოველთვიური ჟურნალი „მნათობი" ნიკო ავალიშვილის რედაქტორობით. 1871 – 1873 წლებში ნიკო ნიკოლაძის ინიციატივითა და გიორგი წერეთლის რედაქტორობით გამოდიოდა ყოველთვიური ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „კრებული". რასაკვირველია, მიუხედავად წერილმანი საქმეებით დატვირთულობისა, ილია საკმაოდ აქტიურად მონაწილეობდა „დროებისა" და „კრებულის" მუშაობაში.

1872 წლის 30 აგვისტოს ილია პეტრე უმიკაშვილისადმი გაგზავნილ წერილში აყენებდა იდეას, „რომ მწერლებს ჟურნალის გარდა სხვა კავშირიც ერთმანეთთან ჰქონოდათ, მაგალ. რომ ქალაქში (ე. ი. თბილისში - **გ. ყ.**) ერთი იმისთანა სახლი მოხერხებულიყო, საცა შესაძლო ყოფილიყო მწერლებისა და სხვათა თანამგრძნობელთ ერთად თავისმოყრა თვითეულის გონების საუნჯის აღებ-მიცემობისათვის. ჩვენდა საუბედუროდ, არც ესა ხერხდება"[74].

ცალკე საგანგებოდ ვილაპარაკებთ „მამათა" და „შვილთა"

შორის ბრძოლის ახალ ტალღაზე, რაც კელავ ილიამ წამოიწყო თავისი „გამოცანებით". ამას კი 1871 წელს ჰქონდა ადგილი.

მაგრამ საქართველო ოდენ „ცისკრის" ამარა ვერ დარჩებოდა. 1866 წელს გიორგი წერეთელმა დააარსა გაზეთი „დროება", ხოლო 1872 წელს – ჟურნალი „კრებული". საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოჩნდა ახალთაობის უფრო აქტიური წარმომადგენლები, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ილიას, როგორც მეთაურს, ლიდერს ვერ შეედრებოდა. კარგია, რომ ეს გარემოება მათაც კარგად გააცნობიერეს. ერთ-ერთი ამათგანი ნიკო ნიკოლაძე 1915 წელს იგონებდა: „საზღვარგარეთიდან რო დავბრუნდი და ქართული ჟურნალისტიკის გაცხოველება განვიზრახე (70-იან წ.), ილია ჭავჭავაძეს სრულებით მიტოვებული ქონდა ჩვენი ჟურნალ-გაზეთები. ის... დუშეთს ცხოვრობდა, საცა მომრიგებელ მოსამართლის თანამდებობას ასრულებდა. ჩემი პირველი ნაბიჯი ის იყო, რომ ყველა მაშინდელი ახალთაობის მომხრენი შევაგროვე და დავაჯერე – დუშეთში ავიდეთ, ილია ჭავჭავაძე მოვიყვანოთ და ისევ ქართულ მწერლობას დავუბრუნოთ, ქართული საქმეების სათავეში ჩავაყენოთ მეთქი. ამ აზრით და მიზნით 1871 – 1873 წლებში ხუთჯერ მაინც ავსულვართ დუშეთს. „გროვით" ქართული მწერლობის და აღორძინების მოტრფიალენი (ლუარსაბ, ანუ შაქრო მაღალაშვილი, სანდრო ერისთავი – „ამერიკელი", გიორგი ყაზბეგი, ნიკო მესხიშვილი, სერგეი მესხი, გიორგი წერეთელი, აკაკი, ნიკო ღოღობერიძე და თქვენი უმდაბლესი მოსამსახურე). ბევრჯელ დაგვიპატიჟნია: მოდით, მეთაურათ გაგვიხდით, გვიწინამძღვრეთ, გვიმსახურეთ თქო... „განახლებული, გაღვიძებული „დროება" და სხივმოსილი „კრებული"– საქართველოს საქმეს ვუძღვენი და ილიკოს ხელში ჩავაბარე..."[75]. თავის მხრივ ილიასაც ერთი სული ჰქონდა თავი დაენებებინა სამსახურისათვის, „მოშორებოდა სუდის ნაწილის სიდამპლესა და სიმყრალესა" (წერილი ოლღასადმი, 1873 წლის 8 თებერვალს)[76], მაგრამ წყეული სიღარიბე, მატერიალური შეჭირვება გასაქანს არ აძლევდა. რასაკვირველია, ახალგაზრდათა გუნდის (დააკვირდით: მათში მხოლოდ ორი – გიორგი ყაზბეგი და ნიკო ღოღობერიძე თუ აღმოჩნდნენ ილიას თანამოაზრეთა ძველი პლეადის წარმომადგენელთაგან) მიწვევა თბილისში ილიას ძალზე გაუხარდა და ეს გრძნობა გამოხატა კიდეც თავის მშვენიერ ლექსში (უახლოესი ხანის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ქართველთა არაოფიციალურ ჰიმნად რომ იქცა) „ჩემო კარგო ქვეყანავ..." მასში როცა ლაპარაკია „თუმცა ძველნი დაგშორდნენ,ახალნი ხომ შენია";

ილია დუშეთის საზოგადოებრიობაში
(1873 წელი)

„წერილ-შვილნი წამოგესწრნენ, ნაზარდნი, გულ-მტკიცენი,
მათის სრულის საგანი შენ ხარ და შენ იქნები,
არ გაიმტკიცებენ შენა, თუ-კი მათ მიენდები.
მათი ღვაწლით შეგექმნეს სახე ბედით მთენია".

და ა. შ., სწორედ ახალთაობის ეს ჯგუფი იგულისხმება[77].

ამასობაში თანდათან მომძლავრდა ერთი აზრი, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში ბატონყმობის „გადავარდნას" უკავშირდება. გლეხკაცთა პირადი განთავისუფლების სანაცვლოდ რუსეთის ხელისუფლებას თავადაზნაურობისათვის უნდა გადაეხადა ორი მილიონი მანეთი, აქედან პირდაპირ უნდა მიეცა 1,8 მილიონი, ხოლო 160.000 გამოეყო თავად-აზნაურთა ბანკის დასაარსებლად. წესდება ამ ბანკისათვის დაწერა ილიამ. მეტიც, მას მთელი ათი თვე (1873 წლის ივნისის მეორე ნახევრიდან 1874 წლის 20 თუ 22 აპრილამდე)[78] დასჭირდა მოსკოვსა და პეტერბურგში გაეტარებინა, რათა შეესწავლა საბანკო საქმე და მიეღწია წესდების პროექტის დამტკიცებისათვის.

საყურადღებოა ილიას ცხოვრების შემდეგი მომენტი: როდესაც 1873 წლის მაისის ბოლოს მან თავი დაანება დუშეთის მაზრის მომრიგებელ მოსამართლეობას, პეტერბურგში ბანკის საქმეების მოსაგვარებლად გამგზავრებამდე, ყვარელში იმყოფებოდა და ორგანიზებას უკეთებდა სახლ-კარის საამშენებლო სამუშაოებს. აქედან წასვლის შემდგომ კი ესენი ოლღას მიანდო. რაკი ბანკის საქმეების მოგვარება ძალზე გაჭიანურდა,ილია პესიმიზმმა შეიპყრო და ერთი ხანობა მომავალი ცხოვრება სხვაგვარად წარმოედგინა. წლის ბოლოს (15 დეკემბერს) პეტერბურგიდან ოლღასადმი გამოგზავნილ წერილში იგი წერდა: „ხომ იცი, რომ ჩემი ნატვრა ის არის, რომ სოფლად ვიცხოვრო და ხილად ქალაქში ჩავდიოდეთ"[79]. მაგრამ ცხოვრებამ სხვანაირად „განსაჯა" და ჩვენი პირველი ბანკი იურიდიულად გაფორმდა.

ცნობილი ფაქტი გახლავთ, რომ ახლადდაფუძნებული (1875) ბანკის პირველი თავმჯდომარე (არჩევითი) ილია გახდა და მას ეოველ სამ წელიწადში ირჩევდნენ ხოლმე. ასე რომ, ამ თანამდებობაზე მან ოცდაათი წელი (1905 წლის პირველი ნახევრის ჩათვლით) დაჰყო. ჩვენს დიდებულ ეროვნულ მოღვაწეს ხშირად უკიეინებდნენ და ახლაც კი წამოაძახებენ ხოლმე, რომ დიდი შეცდომა იყო მის მხრივ ბანკირად გახდომა და ამდენად უსარმაზარი ნიჭის „გაფლანგვა" ამ უაღრესად პროზაული საქმისათვის.

მაგალითად, იაკობ მანსვეტაშვილი (1855-1939), ილიას თანამოღვაწე „ევერიაში" და მისი ერთ-ერთი თაყვანისმცემელი, მოსთქვამდა: „1875 წელი შავ-ბედით წლად უნდა ჩაითვალოს ილიას ცხოვრებაში. ოჰ, რა დიდი სიამოვნებით ამოვგლეჯდი ილიას ცხოვრებიდან, ისტორიიდან ამ ფურცლებს, სადაც ეს წელია ჩაწერილი. ეს ის წელი იყო, როდესაც ილიამ პირველად ფეხი შესდგა ახლად დაარსებულ ქართულ საადგილმამულო ბანკში"[80]. ისე, თუ აზროვნების ამნაირ გზას დაადგებიან, იქნებ უფრო უპრიანი იქნებოდა მსგავსი რამ ესურვათ ილიას სახელმწიფო საბჭოს წევრად არჩევასთან დაკავშირებით. მაგრამ ისტორიკოსისათვის მსგავსი რამის დაშვების უაზრობა ცხადზე უცხადესია.

მაგრამ ილიასი არ იყოს, „ჯერ იმ ეპოქის ქერქში უნდა ჩავჯდეთ... "აქედან გამომდინარე, არ უნდა დავივიწყოთ იმ პერიოდის გაღატაკებული, რომ იტყვიან გაძვალტყავებული საქართველო, რომელზედაც არც „მამინაცვალი" სახელმწიფო – რუსეთის ხელისუფლება ზრუნავდა და რომელსაც არც ეროვნული ბურჟუაზია ჰყავდა (სამი-ოთხი კაცი კი ამინდს ვერა ჰქმნიდა). მაშინდელ, ასე ვთქვათ „ჩრდილოეან მთავრობაში" თბილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკები (უკანასკნელი დაფუძნდა პირველის წაბაძვით) საქართველოს „ფინანსთა სამინისტროს" წარმოადგენდნენ, რომლებითაც, განსაკუთრებით პირველის მიერ, ფინანსდებოდა მთელი რიგი ეროვნული დაწესებულებანი და წამოწყებანი. თვითონ ილია „ავტობიოგრაფია-ში" სიამაყის გრძნობით გახაზავდა: „ტფილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი თითქმის ერთადერთი ისეთი დაწესებულებაა საადგილმამულო კრედიტისა რუსეთში, რომლის წესდებითაც სრულიადაც უარყოფილია კერძო ინტერესი მოგებით სარგებლობისა საზოგადო სიკეთისა და საჭიროებისათვის"[81].

უფრო კონკრეტულად, შინაარსობრივად თუ შევხედავთ საქმეს, იგი, ილიას თქმით, ასე წარმოგვიდგება: „1875 წლიდან დაიწყო ბანკმა მოქმედება და, თუმცა ძირის თანხად ჰქონდა 240.000 მან., დღეს იმ მდგომარეობამდე მიაღწია, რომ ყოველწლივ 360.000 მანეთზედ მეტ მოგებას იძლევა. თან ძირის თანხაც, თავადაზნაურთაგან შემოტანილი ბანკის დასაფუძნებლად, უკვე უკან დაუბრუნდა თითოეულს დამფუძნებელს წევრს"[82]. გავიხსენოთ, რომ ბანკის მოგებიდან ფინანსდებოდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება", ქართული თეატრი, ქართული სათავადაზნაურო გიმნაზია (რომელიც, ამგვარი

ილია თბილისის სათავადაზნაურო ბანკის
თანამშრომელთა შორის



„ქართველთა ჭორის ნაკა – ქრთხეის გამაკრცელებელი საზოგადოებაა“ ღიდ ქედმაკრელ და სამანგანთლებელ საქმიანობას ეწეოდ. 1879 წლის 15 მაისს შედგა საზოგადოების პირველი კრება. რომელმა თავმჯდომარედ ეროსი-ად პირველი ღიმიტრი ყიფიანი. თავმჯდომარის (ამანანაგად) მოიღვწილ – ილია ჭავჭავაძე.

სახელწოდების მიუხედავად, წოდებრივი არ ყოფილა), წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლა და ა. შ., მთელი რიგი წამოწყებანი.

მიუხედავად დიდი დატვირთულობისა, ილიამ მაინც მიაღწია საწადელს – დაეარსებინა საკუთარი ორგანო. ასეთი გახლდათ 1877 წელს დაარსებული „ივერია", რომელიც ჯერ 1877 – 1878 წლებში ყოველკვირეული გაზეთი იყო, 1879 წლიდან 1886 წლამდე – ყოველთვიური ჟურნალი, 1886 წლიდან კი – ყოველდღიური გაზეთი.

როდესაც 1879 წლის 15 მაისს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება" დაფუძნდა, ილია არჩეულ იქნა საზოგადოების თავმჯდომარის თანაშემწედ (თავმჯდომარედ აირჩიეს დიმიტრი ყიფიანი).

1879 – 1880 წლებში ილიას დიდი რუდუნებით აღდგენილ იქნა მუდმივი ქართული თეატრი, ჩამოყალიბდა ქართველ მსახიობთა დასი, მისივე ინიციატივით დაარსებულ იქნა „ქართული დრამატული საზოგადოება". მის თავმჯდომარედაც ილია გახლდათ არჩეული.

მიუხედავად მძიმე საცენზურო პირობებისა, ილია ცდილობდა აშკარად ექადაგა თავისი სანუკვარი იდეა „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყულნეს"-ი. მაგრამ ამჯერად, საკვლევით გასაგები მიზეზების გამო, ავტონომიას სჯერდებოდა. 1877 წელს თავის ცნობილ სოციოლოგიურ-პუბლიცისტურ ნაშრომში „ცხოვრება და კანონი" (ის. მეოთხე წერილი) იგი წერდა: „ყოველი სახელმწიფო, თუნდ გვარტომობით ერთისა და იგივე ხალხით იყოს შემდგარი, მაინც, ადგილობრივის სხვადასხვაობისა გამო, ბევრს სხვადასხვა თვისების მხარესა და მხარეს (!) წარმოგვიდგენს. ყოველს მხარეს, ყოველს ნაწილს ერთისა და იგივე სახელმწიფოსას, თავისი საკუთარი ჭირი და ლხინი აქვს, თავისი გაჭირვება ადგია, თავის საკუთარი მზრუნველობა და ფიქრი უმძიმებს გულსა, თავისი საკუთარი ნეტარება აფხიზლებს და იბირებს... ცხადია, რომ უმაღლესს მთავრობას თითონ, სხვის დაუხმარებლად, ვერ შეუძლიან ვერც თვალი მიაწვდინოს დასანახავად ყველგან, ვერც ყური სასმენად, ვერც ხელი საშველადა"[30]; „სულ სხვა არის, როცა უმაღლეს მთავრობას თავის მეთვალყურედ, მოხელედ და ადგილობრივ საქმეთა გამგედ თვით ადგილობრივნი მცხოვრებნი ჰყვანან. მათ უკეთ იციან თავისი ვითარება, უკეთ იციან თავისი საჭიროება. უკეთ იციან თვისის თავის მოვლა, თვისთა საქმეთა პატრონობა. ამ შემთხვევაში, ერთის მხრით, ყოველის კუთხის ჭეშმარიტი საჭიროება, უტყუარი ტკივილი, გულწრფელი და მართალი წადილი მთავრობამდე მიღწეულია,

მეორეს მხრით – უმაღლესის მთავრობის საერთო მზრუნველობა ერთნაირის გულისტკივილით, ერთნაირის მადლით ყოველს კუთხემდე მიწედენილია, მორიგებული და მოდენილი"; „აქედამ ცხადია, სად უნდა დაიდვას საზღვარი უმაღლესის მთავრობისა და თვითმმართველობის შუა. უმაღლესი მთავრობა, რა სახისაც უნდა იყოს, საყოველთაო საქმეთა მზრუნველი და მოღვაწეა, ესე იგი იმა საქმეთა, რომელნიც არამც თუ ყოველს ნაწილს, არამედ ყოველს ქვეშეერდომს ერთნაირად და ერთგვარად შეეხება და რომელნიც საერთო, საყოველთაო კეთილდღეობისათვის ცნობილია. მაგგვარნი საქმენი ეკუთვნიან საყოველთაო კანონმდებლობის წარმოებასა, საყოველთაო ფინანსთა (შემოსავალ-გასავალის) მოძრაობასა და საყოველთაო მხედრობის (ე. ი. შეიარაღებულ ძალების – **გ. ჟ.**) განწყობილებასა. ესე ყოველი ხელშეუვალი კუთვნილებაა უმაღლესის მთავრობისა, და თვითმმართველობას, როგორც კერძო სამმართველოს, ამ საქმეში ხმა არა აქვს; იგი ემორჩილება ყოველს მას, რაც უმაღლესის მთავრობისაგან განგებულია, დაწყობილი და განწესებული. თვითმმართველობა ხელქვეითია ამ შემთხვევაში მთავრობისა და საერთო კანონის ადგილობრივი მცველია და აღმსარებელი"[84].

„ივერიის" 1881 წლის მარტის „შინაურ მიმოხილვაში" ილია წერდა: „რუსეთი ერთი იმისთანა სახელმწიფოა, საცა სხვადასხვა ტომისა და ენის ერნი ცხოვრობენ, და მერე ისე, რომ თავიანთ მამა-პაპეულ მიწა-წყალზედ შეჯგუფულნი არიან და არა შიგ-და-შიგ გაფანტულნი. ამიტომაც ერთს უდიდესს საპოლიტიკო საგანს რუსეთისას შეადგენს ჯერ ის, სხვადასხვა ტომის ერნი როგორ უნდა მოეწყონ შინაობაში სათითაოდ, და მერე – როგორ უნდა მოთავსდნენ სახელმწიფოსთან. დიდი ხანია მოსალოდნელი იყო ყველა თვალხილული კაცისათვის, რომ დღესა თუ ხვალე ეს ფრიად რთული და მძიმე საგანი მთელის თავისის სიგრძით და სიგანით წინ აეყუდებოდა რუსეთს და მის გადაუწყვეტლად მისი წინსვლა შეფერხდებოდა. ყველას უნდა წინასწარ სცოდნოდა, რომ დღესა თუ ხვალე ეს საგანი თავისას მოითხოვდა; რომ დღესა თუ ხვალე რუსეთი იძულებული შეიქმნებოდა დაენიშნა სამზღვარი სახელმწიფო მოქმედებისა საზოგადოდ და ეროვნობისა ცალკედ და ერთისა და მეორის მოედანი ცალ-ცალკე შემოეფარგლა. ამას მოითხოვდა არამც თუ მარტო ისტორიული მდინარეობა სამართლიანის აზრისა, არამც თუ მარტო შორმხედველობა დამჯდარის ჭკუისა, არამედ თითონ სახელმწიფოს პირდაპირი

ინტერესიცა. თუ რამ სამდურავი, გულის ტკენის ხმა, ჩივილი ისმოდა აწმყო მდგომარეობის შესახებ ამ ერცელის იმპერიის სხვადასხვა ადგილებში, ამის მიზეზი მარტო ის იყო, მთელი მოედანი საზოგადოების ცხოვრებისა მარტო სახელმწიფოს ეჭირა, და ეროვნება, რომელსაც თავის განსაკუთრებულს ცხოვრებაში თავისი საკუთარი საქმე აქვს, თავისი საკუთარი ჭირი და ლხინი, გულ-ხელ-დაკრეფილი იყო და ხმაამოუღებლივ სხვის მაყურებელი. რუსეთს არა ჰქონდა და არც დღეის-აქამომდე აქვს გამორკვეული და დადგენილი დედააზრი მასზედ, – თუ სად თავდება უფლება ეროვნობისა და სად იწყება სახელმწიფოსი"[85]. იგივენაირი აზრი ილიამ გაიმეორა „ივერიის" 1882 წლის მარტის „შინაურ მიმოხილვაშიც".

როცა ცარიზმის თვალსაჩინო იდეოლოგოსმა, „მოსკოვსკიე ვედომოსტის" რედაქტორმა მიხაილ კატკოვმა (1818 – 1887) აბუჩად აიგდო ქართველობის ეროვნული გრძნობები, სწორედ ილიამ გასცა გამანადგურებელი პასუხი.

ილიავე გახლდათ მთავარი ფალავანი, რომელიც 1880-იან წლებში მედგრად იბრძოდა კავკასიის სასწავლო ოლქის, პირადად მისი მზრუნველის კ. პ. იანოვსკის წინააღმდეგ, რომლებიც კიდევ უფრო ლახავდნენ ისედაც შელახული ქართული ენის უფლებას.

ილიამ თავი გამოიდო არქეოგრაფიის დარგშიც. მან (პეტრე უმიკაშვილსა და ალექსანდრე სარაჯიშვილთან ერთად) დაბეჭდა ქართული „ვისრამიანი". 1880-იან წლებში იგი მონაწილეობდა „ვეფხისტყაოსნის" დამდგენ კომისიაში, რომელმაც საქმე დააგვირგვინა 1888 წელს მეცენატ გიორგი ქართველიშვილის გამოცემით.

1885 წელს ილია სათაევში უდგება (ირჩევენ თავმჯდომარედ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას". და ამ თანამდებობაზე იგი დარჩა სიცოცხლის ტრაგიკულ აღსასრულამდე.

ცხადია, ილიას განსაკუთრებული როლი ქართველთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მეფის ხელისუფლების „ყურადღების" მიღმა ვერ დარჩებოდა. მასზე დაწესებულ იქნა ფარული მეთვალყურეობა, რაც დიდი ქართველი მოღვაწის ცხოვრების ტრაგიკულ ფინალამდე არ შეწყვეტილა[86]. კერძოდ, ეს დაწესდა 1884 წლის 15 აპრილიდან, რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტის გადაწყვეტილებით. აღნიშნული უწყება თბილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს სწერდა: „რადგან პოლიციის

დეპარტამენტს აქვს ცნობები... ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძისა და ეგნატე ონისიმეს ძე იოსელიანის[87] საეჭვო პოლიტიკური საიმედოვნების შესახებ... გთხოვთ.... დააწესოთ აღნიშნულ პირებზე ფარული მეთვალყურეობა და იმ შემთხვევაში თუ რომელიმე მათგანი წავა თქვენი მომსახურების რაიონიდან, მათ შესახებ აცნობოთ ადგილობრივ ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს"[88].

ქართული საზოგადოების წიაღში თვალსაჩინო ცვლილებები ხდებოდა. საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოდიოდა ახალი თაობა, რომელსაც სწორი სოციალური, კერძოდ, ეროვნული ორიენტირი უნდა შეერჩია. ჯერ კიდევ 1886 წელს დაწერილ სტატიაში ილია წერდა: „ცხოვრებამ ჩვენში ცოტად თუ ბევრად ფერი იცვალა. ახალმა დრომ ახალი მოთხოვნილება დაჰბადა ხალხის ცხოვრებაში. ძველი ცხოვრება თავის ნაკვალევიდამ გამოვიდა და ახალ გზასკი ჯერ ვერ გაუკვლევია, ახალი ცხოვრების კვალი ვერ მიუგნია. ძნელია, თუ კაცს გზა ერევა: უკან დაბრუნება უძნელდება და წინ წასვლაც ვერ მოუხერხებია"...[89] იგი განაგრძობდა: „უმრავლესობას შეიძლება თვალნათლად არც-კი ჰქონდეს გამორკვეული ეს ცვლილება, მაგრამ არ შეიძლება კი რომ თუ უმეცარია ბუნდად (!) მაინც არ ჰგრძნობდეს ამასა. მხოლოდ არც ცოდნა აქვს მას და არც იმოდენა გონებითი ძალღონე, რომ თავის-თავს თვითონვე უშველოს. აი აქ უნდა მიეშველოს ის, ვისაც იმოდენა ცოდნა და განათლება შეუძენია, რომ ახალი ცხოვრების მოთხოვნილება ესმის და გზის ჩვენებაც შეუძლიან. აი აქ უნდა გამოვიდეს საქვეყნოდ ის, ვისაც გული შესტკივა თავის უმეცარ მოძმესათვის. მადლობა ღმერთს, ამ ბოლო დროს ჩვენს ბედს ძალიან ვერ დავემდურებით. ცოტად თუ ბევრად ხომ ჩვენში ჰმატულობს ყოველ-წლივ მცოდნე და განათლებული წყობა ერისა. სად არის, სად იმალება ეს წყობა? რატომ არ ეშველება იმ ხალხს, რომელმაც იგი გამოზარდა და რომელსაც იგი ეკუთვნის?"[90]

როგორც ვხედავთ, დიდი მოაზროვნე აქ აყენებდა სოციალური ელიტისა და მასის საკითხს, თანაც ატყობდა, რომ ამ მხრივ იმდროინდელ საქართველოში საგანგაშო ვითარება იქმნებოდა. ამგვარმა ვითარებამაც არ დააყოვნა. ცნობილმა ლიტერატორმა ზაქარია ჭიჭინაძემ (1854 – 1931) გამოაქვეყნა ბროშურა, რომელშიც ნიჰილისტური აზრები განავითარა, დაუპირისპირა საზოგადოების დაბალი, უსწავლელი ფენები მაღალ, შეგნებულ ნაწილს. ილიამ დროულად შენიშნა მსგავსი უკეთური მოვლენა და მას გამოეხმაურა გამანადგურებელი სტატიით „სანდალას წიგნის გამო" (1888 წელს).

მასში შენიშნულია: „მაგისთანა კაცთა გაელენა, როგორიც ბ-ნი სანდალაა თავისის ნაწერითა, დროთა ნიშანია და ავთა დროთაცა, დაგვიჯერეთ"[91]; „...საქმე თითონ სანდალა არ არის. საქმე იგი ცხოვრებაა, რომელიც შესაძლოდა ჰხდის იმისთანა კაცის გაჩენასა და მოვლენასა"[92].

ილია გაკვირვებული ჰკითხულობდა: „ნუთუ ჩვენი პატიოსანი და ნამუსიანი, გლეხობა იგი ხეა, რომელიც ამისთანა ხილს ისხამს"! ვაი გლეხის შვილობავ, თუ შენს სისხლ-ხორცს ამისთანა კაცი უჩენია! ჩვენ არა გვჯერა ეს, და ღმერთმაც ნუ ჰქმნას. არავინ გლეხი, როგორც არავინ კაცი, ასეთის ლანძღვით და თრევით თავის მამა-პაპას საფლავიდამ არ ამოიღებს, ასე არ გააუპატიურებს თავისს დედ-მამის ხსენებას, ასე არ მოთხრის და არ მოსვრის ყველაფერს, რაც კი „წმიდათაწმიდას შეადგენს ადამიანისათვის"[93]. იგი კერძოდ ქართველ გლეხკაცობას მიმართავდა: „ამისთანა კაცი თქვენის სისხლისა და ხორცისა არ უნდა იყოს. იგი სხვა ჯიშისა და მოდგმის კაცია..."[94]

მაგრამ ამგვარ ოპტიმისტურ განწყობილებას ბრძენკაცი მაინც პესიმისტურ და საგანგაშო ვარაუდს უპირისპირებდა და წერდა: „დიაღ, ბატონებო, სანდალას ნაწერისთანა მოვლენა სახუმარო მოვლენა არ არის. ეგ ნაწერი, მართალია, ჩვენის ცხოვრების ჩირქია, უკვე მუწუკიდამ გამორწყული, რაკი დაიწერა, მაგრამ ვინ გვითავდებებს, რომ მაგ მუწუკს საზრდო და საკვებავი აღარა აქვს ჩვენში? ვინ გვითავდებებს, რომ რაკი გამოირწყა, მუწუკიც მოგვირჩა და ჩვენს ტანს ცხოვრებისას კელავ ზედ არ აზის ჩვენდა სამარცხვინოდ, ჩვენდა სატკივარად? სანდალასავით რომ ნაცარქექიები მოედანზედ გამოდიოდნენ, ეითარცა აზრთა აღებ-მიმღებნი და მოჭიდავენი, ეს ვერაფერი ნიშანია დანარჩენების ფალავნობისა: იმედი უნდა აიყარო ყველაფერზე და ხვალინდელი დღე აღარ უნდა იწამო. ვაი სანდალას და უფრო ვაი იმ საზოგადოებას, იმ ერს, იმ ქვეყანას, საცა სანდალასავით მბღავნავები შესაძლებელნი არიან! აი რას უნდა დაუფიქრდეს კაცი, აი რაზედ უნდა ივალალოს და ივაგლახოს!..."[95].

ამჯერად გონიერებამ გაიმარჯვა: ზაქარია (სანდალა) მიხვდა თავის უგუნურებას, მიატოვა ეროვნული ნიჰილიზმი, დაპირისპირებულობა საზოგადოების მოწინავე, შეგნებული ნაწილისადმი და დადგა ილიას მხარეზე. მსგავსი განწყობილება უფრო წიგნიერად და თანაც რუსეთში,1889 წელს „Северный Вестник"-ის ფურცლებზე გაიმეორა ყოფილმა ხალხოსანმა ივანე ჯაბადარმა

(სტატიით „Письма о Грузии"), რამაც განაპირობა დაწერა ილიას მშვენიერი საისტორიო-პუბლიცისტური ნაშრომისა „აი ისტორია". თითქოს ყველაფერი მიწყნარდა, მსგავსი გამოხდომები შეწყდა, მაგრამ, ილიასი არ იყოს, სად იყო საფუძვლიანი სოციალური გარანტია, რომ მომავალში უფრო მეტი და ჭკუანაღრძობი სანდალა არ გამოჩნდებოდა და ჩვენი ისტორიული განვითარების ხაზი სერიოზულად არ გამრუდდებოდა?!

ასეთი გახლდათ მოკლედ ცხოვრების ის დიდად შინაარსიანი გზა, რომელიც ჩვენმა დიდმა ისტორიულმა მოღვაწემ გამოიარა ორმოცდაათზე მეტი წლის განმავლობაში. მაგრამ აღმოჩნდა, რომ მუხანათი წუთისოფელი, უფრო კონკრეტულად, ჩვენი ტრაგიკული ისტორიის ზიგზაგი, ილიას უფრო მეტ განსაცდელს უმზადებდა. ამაზე ქვემოთ ჩვენ გვექნება საუბარი.

დიდი ცხოვრების მოკლე მატიანე
(გაგრძელება)

(1890 – 1900-იანი წლები)

"ყველაფრის სიკვდილი შეიძლება, – აზრისა კი თავის დღეში არა; მის აღმოშობის დრო შეიძლება შეაყენონ, მაგრამ სრულიად განადგურება კი ძნელად".

ილია

1860-იანი წლებიდან მოკიდებული ქართული ტრადიციული (ფეოდალური) საზოგადოება მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდიდა. ეს ეხება როგორც ეკონომიკურ და სოციალურ (სოციალური სტრუქტურის აზრით) ისე საერთო სოციალურ (ეროვნულ) ფსიქოლოგიას, სულიერ ცხოვრებას. აღნიშნული პროცესები, ცხადია, უფრო მეტად გაღრმავდა 1890-იანი წლებიდან. როგორც დავინახეთ, ეს გარემოება შეუმჩნეველი არ დარჩენია ილიას, რომელიც, აქედან გამომდინარე, ნატრობდა საზოგადოებრივი აზროვნების გამოცოცხლებას, სოციალურ ასპარეზზე ახალი, პროგრესული ძალების გამოსვლას. იგი სინანულით აღნიშნავდა: „შეჰხედეთ სხვა ქვეყნებს... ერთობ ყოველ დაწინაურებულ, განათლებულ ქვეყანაში თითქმის ყოველ ათს წელში ცხოვრება ფერს იცვლის... ყოველ ამ-გვარ მოძრაობას... ახალი მოთხოვნილება მოსდევს და საქვეყნო სარბიელზე ახალის დასის ხალხი გამოდის. ძველ თაობას ახალი სცვლის, ან გვერდში უდგება. ახალი-ახალის ცოდნით, ახალის ცხოვრების გამოცდილებით, მეტის ჯანის (!) და ღონით, ცხოველის ძალით არის შეჭურვილი და ამიტომ ცხოვრების მიმდინარეობას შესამჩნევ მოძრაობას აძლევს"[96] (შეადარეთ ორტეგა-ი-გასეტის აზრს. იხ. წიგნის წინასიტყვა).

აღნიშნულიდან გამომდინარე, თითქოს მსგავს რამეს მალე ჩვენშიც უნდა ეჩინა თავი. მაგრამ რაც მოხდა, ის გამაწბილებელი, დამთრგუნველი აღმოჩნდა ილიასათვის და მოწინავე, შეგნებული ქართველობისათვის საერთოდ. ეს გარემოება დღესაც კი გაოგნების გრძნობას ჰბადებს და ბევრი ჩვენგანი მას უბრალოდ ისტორიულ ანომალიად მიიჩნევს. თავის მხრივ ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ ისტორიული პროცესი ხშირად წარმოუდგენიათ, როგორც სწორხაზოვანი, მუდმივად აღმავალი ხაზით მიმდინარე. ესდეკებისათვის („მენშევიკ"-„ბოლშევიკებისათვის") და შემდეგ

საბჭოთა იდეოლოგებისათვის ამ შემთხვევაში გაუგებარი არაფერი არ ყოფილა ისტორიის ლოგიკის მხრივ: თითქოს ასპარეზზე გამოვიდა ახალი, "მარქსისტული" (შემდეგ ლენინურიც რომ დაუმატეს) იდეოლოგიით შეჭურვილი ახალგაზრდობა, რომელიც წინა თაობებთან შედარებით, ცხადია, აღმავალ სოციალურ განვითარებას განასახიერებდა. თითქოს, საბჭოური იდეოლოგიის თვალთახედვით, ასევე გახლდათ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918 – 1921 წლებში) საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკით შეცვლის შემთხვევაში.

მოწინააღმდეგენი, კრიტიკულად განწყობილნი, სჯერდებიან მხოლოდ იმას, რომ გადმოსცემენ შესაბამის პროცესს (კერძოდ, 1890-იანი წლებისას) ანუ პასუხს სცემენ კითხვას როგორ? მაგრამ სერიოზული ისტორიკოსის მცდელობა, აზროვნება ოდენ ამაზე არ უნდა შეჩერდეს, მან პასუხი უნდა გასცეს კითხვაზეც: რატომ? ე. ი. აღწერითობიდან გადავიდეს ახსნაზე, ინტერპრეტაციაზე. ამას კი ჩვენში ადგილი არ აქვს, რაც რელიეფურად წარმოაჩენს დღევანდელი ქართული ისტორიოგრაფიის ჩამორჩენილობას.

დავიწყებთ იმ ილუზიის კრიტიკით, რომელიც ჰქონდათ საქართველოში „მოელინებულ" ესდეკებს. თუ მათ დავუჯერებთ, საქართველოს იმდროინდელი საზოგადოება თუ ლამის განვითარებული კაპიტალისტური ქვეყანა არა, ყოველ შემთხვევაში მალე ჩადგებოდა ასეთთა რიგებში (ერთ-ერთი ასეთი მქადაგებელი გახლდათ ნოე ჟორდანია). პარადოქსია, რომ მსგავს ილუზიას იზიარებდნენ ე. წ. მარქსისტ-ლენინელი ისტორიკოსები და ფილოსოფოსები, რომლებიც (ძალზე იშვიათ შემთხვევაში!) ცდილობდნენ შესაბამისი პერიოდის ჩვენი ისტორიის ეკონომიკურ-სოციალური საფუძვლის გააზრებას.

აღნიშნული შეხედულების მცდარობის უმთავრესი საფუძველი ისაა, რომ დამყარებულია ნაწილის მთელთან გაიგივებასთან (pars pro toto); მხედველობაში იღებენ მხოლოდ ახლადჩენილ ეკონომიკურ და სოციალურ მოვლენებს და შესაბამისად იგნორირებენ საზოგადოების, როგორც სოციალური სისტემის უდიდესი ნაწილის რეალობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გარდამავალი ტიპის (ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე) საზოგადოებას ახლად (კაპიტალისტუ-რად) წარმოიდგენენ. ურყევი ფაქტია, რომ ამ თვალსაზრისით საკუთრივ რუსეთიც კი, რომლის სახელმწიფოებრიობა საკუთარი ბურჟუაზიის მიმართ პროტექციონისტულ პოლიტიკას ატარებდა, ჩამორჩენილ, ასევე

გარდამავალ საზოგადოებას წარმოადგენდა. რასაკვირველია, მით უფრო ითქმის ეს საქართველოს მიმართ, რომლის ეკონომიკურ წინსვლასაც (საზოგადოების სხვა მხარეებთან ერთად) ცარიზმი ძლიერ თრგუნავდა.

შეგახსენებთ, რომ საგლეხო რეფორმის შემდგომ საქართველოში რუსეთის სამეფო ხაზინას ეკუთვნოდა 3.862.723 ჰა მიწა, რაც ჩვენი ქვეყნის მთელი მიწის ფონდის 57,6 პროცენტს შეადგენდა. ქართველ თავადაზნაურობას საკუთრებაში ჰქონდა 2.091.354 ჰა. (36%), გლეხკაცობას კი – 418.110 ჰა (6,4%)[97]. ასე რომ, საქართველოს მიწა-წყლის უმეტესი ნაწილის მესაკუთრე დამპყრობელი სახელმწიფო იყო და ქართველობას რეალურად ხელი არ მიუწვდებოდა მასზე.

1909 – 1913 წლების სტატისტიკური მონაცემებით, ჩვენს ქვეყანაში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულება უდრიდა 85.806.500 მანეთს, რაც ერთობლივი შიდა პროდუქტის 60 – 65%-ს შეადგენდა[98]. ხომ მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ 1913 წლისათვის საქართველოს კაპიტალისტური მრეწველობის მიერ ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული პროდუქციის ღირებულება 22,5 მანეთს (!!!) თუ აღწევდა[99]. კვლავ თვალსაჩინოებისათვის მივუთითებთ, რომ ჩვენი იმჟამინდელი საზოგადოების ეკონომიკა დღევანდელი „შავი აფრიკის" ქვეყნების დონეზე იდგა. ამიტომაც სრულადაც არ ყოფილა პარადოქსული აზრი, რომელსაც ილია 1893 წელს გამოსთქვამდა: „ჩვენი ეკონომიური ძალ-ღონე ჯერ კიდევ სოფელია და სოფლური მეურნეობა"[100], „რადგანაც დღეს გამრჯელი, მწარმოებული (!) და მომცემი ჩვენში მარტო სოფელია და მისი საეკონომიო მოქმედებაა ერთადერთი სახსარი ჩვენის ცხოვრებისა, თავის რჩენისა და გამოკვებისა, ამიტომაც ჩვენი სრული ყურადღება მარტო სოფელს უნდა თავს დასტრიალებდეს, მარტო სოფელს უნდა ეკუთვნოდეს, თუ სამუდამოდ არა, ჯერ ხანად მაინცა"[101].

ცხადია, ეკონომიკის აღნიშნულ დონეს შეესაბამებოდა საზოგადოების სოციალური სტრუქტურაც. 1897 წლის საიმპერიო აღწერის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობა შეადგენდა 2.109.000-ს, საიდანაც სოფლად ცხოვრობდა 1.786.000 (84.7%), ქალაქებში კი – 322.000 (15.3%). სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო 70% (შეგახსენებთ, რომ სოფლად ცხოვრობდნენ აგრეთვე თავადაზნაურობის, სამღვდელოების უმეტესობა, აგრეთვე ხელოსნები).

1897 წელს ფაბრიკა-ქარხნებში დასაქმებული იყო 30.000 მუშამ-

დე და მოსამსახურე (მშენებლობაში – 8000, რკინიგზაზე – 3000, მომსახურების სფეროში – 19.000 დღიური და შავი მუშა). უფრო მეტი, 83.000-მდე დასაქმებული იყო სოფლის მეურნეობაში (მოჯამაგირეებად და სეზონურ მუშებად)[102].

XIX საუკუნის მიწურულს საქართველოში სოფლად არსებობდა ყველა სოციალური ფენის 316.000 საოჯახო მეურნეობა, საიდანაც უმეტესობა, ცხადია, გლეხური გახლდათ. უკანასკნელის ძირითად ბირთვს წარმოადგენდა საშუალო გლეხობა, რომელიც გლეხური მოსახლეობის თითქმის 60%-ს შეადგენდა[103]. გლეხკაცობის დაახლოებით 5 პროცენტი სოფლის ბურჟუებად („კულაკებად" ანუ ბობოლა გლეხებად) იქცა, ხოლო 35% ღარიბ და უღარიბეს გლეხობად ითვლებოდა[104].

სოფლის მეურნეობაში დასაქმებული 33.000 მუდმივი დაქირავებული „მუშა", ხოლო სეზონურად მომუშავე 50.000-ზე მეტი[105], ცხადია, ფლობდნენ მიწის გარკვეულ, თუნდაც მცირე, ფართობს. აქედან გამომდინარე, ესენი არ წარმოადგენდნენ პროლეტარიატს, ფსიქოლოგიურად ისინი „ნახევარპროლეტარებიც" კი ნაკლებად იყვნენ. შესაბამისი ხანის საქართველოს ეკონომიკური და სოციალური ისტორიის ცნობილი მკვლევარი, უკვე რამდენიმეგზის ციტირებული ალექსანდრე ბენდიანიშვილი სწორად შენიშნავს: „ქართველი გაღატაკებული გლეხობის დიდი ნაწილი ქალაქსა და სხვა ქვეყანას თავისი შრომითი საქმიანობის დროებით ასპარეზად მიიჩნევდა; ცდილობდა, მოგროვილი თანხით მიწა ეყიდა და მშობლიურ სოფელში თავისი მეურნეობა გაეფართოებინა. XIX – XX საუკუნეების მიჯნაზე მდიდარ გლეხთა ხელში მიწის საკუთრების კონცენტრაციის პარალელურად მიმდინარეობდა საკუთრების პარცელაციის პროცესიც. მინიატურულ მეურნეობათა რიცხვი იზრდებოდა. მაგრამ მათ ცალი ფეხი საკუთარ მიწაზე ედგათ, მეორე კი – დამქირავებლის წარმოებაში"[106].

ღირს შეხსენებად, რომ ილია და მისი მომხრეები სწორედ აღნიშნული სოციალური ტენდენციის გასამყარებლად იბრძოდნენ; მათთვის მიუღებელი გახლდათ ქართველი ესდეკების მისწრაფება გლეხობის დაჩქარებული პროლეტარიზაციისაკენ, სოფლების დაკნინებისაკენ.

დაბოლოს, ქვეყნის სრული სოციალური სურათის შესაქმნელად დავუმატებთ იმასაც, რომ თავადაზნაურობა შეადგენდა მოსახლეობის 5 – 6 პროცენტს[107], ბურჟუაზია კი (მსხვილი და საშუალო), ცხადია, ფრიად უმნიშვნელო გახლდათ.

აი, ასეთი იყო ის ეკონომიკური და სოციალური ფონი, რომლის გათვალისწინების გარეშე ილიასა და ქართველი ესდეკების დაპირისპირებულობის გაგება შეუძლებელია. რაგინდ პარადოქსულადაც უნდა ჩანდეს, საბჭოთა ე. წ. მარქსისტ-ლენინელი ისტორიკოსების და ა. შ. მიერ აღნიშნული მომენტი, ჩვეულებრივ, იგნორირებული იყო.

ჩვენთვის საინტერესო საკითხისადმი სერიოზული მიდგომა ჰქონდა ივანე ჯავახიშვილს თავის ნაშრომში „ზნეობრივი მოძღვრების ისტორია საქართველოში", რომელიც გაზეთ „ივერიაში" 1906 წელს გამოქვეყნდა. ავტორმა შეამჩნია, რომ ახალ ისტორიულ სიტუაციაში, 1890-იანი წლებიდან მოკიდებული რომ დადგა, ტრადიციული იდეური სტერეოტიპები დაიმსხვრა, ხალხის ფართო ფენებში, ქართული ეკლესიის დათრგუნვილობის გამო, შერყეულ იქნა რელიგიური შეგნებაც. ივანე ჯავახიშვილი აყენებდა აუცილებლობას ახალი სოციალური ელიტის გაჩენისა, რომელსაც შეეძლებოდა აეყოლიებინა ხალხის მასები[108]. მაგრამ მოწინავე, შეგნებული ქართველობის მოლოდინის საწინააღმდეგოდ, საერთოდ ქვეყნის საუბედუროდ, ეს „ელიტა", ხალხის წარმმართველი ძალა, სულ სხვა ხასიათისა აღმოჩნდა. თუ რატომ, ეს აიხსნება ისტორიული პირობებით.

აღნიშნულ გარემოებას თვითონ ილიაც მშვენიერად აცნობიერებდა. იგი წერდა: "უფლება-მოსილ წოდების საზოგადოებურ შნოსა და მის საპოლიტიკო სიბრძნეზეა დამოკიდებული, რამდენად დიდხანსაც (!) შეირჩენს ქვეყნის ცხოვრებაში როლს მეთაურ-თაოსანისა და ხელ-მძღვანელისას. ასეთის როლის შერჩენა კიდევ შესაძლოა მხოლოდ მაშინ, როცა უფლება-მოსილი წოდება ფეხდაფეხ მიჰყვება დროსა და ჟამს, ცხოვრების წარმატებას არც თვითონ ჩამორჩება უკან"[109]. მაგრამ ასე როდი ითქმოდა ქართველი თავად-აზნაურების მიმართ: "როცა უფლება-მოსილი წოდება, გაურბის, უარ-ჰყოფს თავის მოვალეობას საქვეყნო საქმის წინაშე და ერთხელა და ერთხელ (!) შეძენილს უფლება-უპირატესობას კი ირჩენს, ხელს არ უშვებს, მაშინ ზემოხსენებული წოდება გადაიქცევა მუქთა-მჭამელ და უსარგებლო წოდებად, რომელიც არა იშვიათად აფერხებს კიდეც ქვეყნის წარმატების საქმეს"[110].

დიდად სამწუხაროდ, ქართველმა თავადაზნაურობამ ვერ შესძლო ისეთი სოციალური ტრანსფორმაცია განეცადა, როგორც ეს მოხდა, ვთქვათ, ინგლისში (ჯენტრის გაჩენა) ანდა გერმანიაში

(სახელდობრ, პრუსიაში). მან ვერ გამოიყენა ახალი შესაძლებლობა, რასაც საერთოდ საბანკო კაპიტალი, განსაკუთრებით ადგილობრივი – თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების სათავადაზნაურო ბანკები იძლეოდა. ილიასა და სხვათა მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ამ ორი საკრედიტო დაწესებულების საქმიანობის წყალობით თავადაზნაურობა, მთლიანად აღებული, კიდევ უფრო დაკნინდა – მისმა თვალსაჩინო ნაწილმა, ბანკებში აღებული სესხების წყალობით, მამულები დაკარგა, ისე რომ სოფლის მეურნეობაში მეწარმეობის ნიჭი და სათანადო ენერგია ვერ გამოიჩინა.

უპირველეს ყოვლისა აღვნიშნავთ, რომ ნორმალური სოციალური ელიტის მთავარი დასაყრდენი უნდა ყოფილიყო ქართველი ბურჟუაზია. მაგრამ გასაგები მიზეზების გამოისობით საერთოდ საქართველოს იმჟამინდელი ბურჟუაზია სუსტი იყო, ასე რომ, მისი სოციალურ კლასად მიჩნევა უსაფუძვლოა. ეს მით უფრო ითქმის ქართული წარმომაელობის ბურჟუაზიაზე (მსხვილ და საშუალოზე), რომელიც სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობით თითებზე ჩამოსათვლელი გახლდათ. სხვა ამბავი იქნებოდა, თუ იგი ქართული და თანაც მრავალრიცხოვანი იქნებოდა, ამ შემთხვევაში ბურჟუაზია შესძლებდა თავადაზნაურობის ძველი, ტრადიციული სოციალური როლის აღსრულებას. შესაბამისად, ხალხის ფართო მასებს სწორედ იგი აიყოლიებდა, მით უფრო დაპყრობილ ქვეყნებში (ქვეყნის დაპყრობილობის გამო). ასე მოხდა ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში. ამიტომაც იყო, რომ ილია შენიშნავდა: "ჩვენებური ბურჟუაზია ყველა სხვა სახის (ალბათ, უნდა იგულისხმებოდეს სხვა ქვეყნის – **გ. ყ.**) ბურჟუაზიაზე უხამსი, უარესი და შეუწყნარებელია. ჩვენებური ბურჟუაზია რაღაც წვრილ-ფეხა დუქნური, მიკიტნური, ჩარჩული ბურჟუასიაა. ქმნა და შემოქმედობა მას ბედის დავთარში არ უწერია. ღმერთმა აქაურს ბურჟუაზიას ამისი შნო და უნარი, როგორც ეტყობა, არ აღირსა"[111].

უმწეო აღმოჩნდა ქართული წარმოშობის წვრილი ბურჟუაზიაც, რომელიც, ვერ უმკლავდებოდა რა მსხვილ უცხოურ კაპიტალს, ამის გამო მხარში ამოუდგა ანტიკაპიტალისტური, ანტიბურჟუაზიული იდეოლოგიის მატარებელ ქართულ სოციალ-დემოკრატიას.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ იმდროინდელი ქართველობის ფართო ნაწილის (მასის) დაბალი შეგნების დონეც. ცნობილია, რომ მეფის ხელისუფლებისათვის მით უმეტეს ქართველობა „გერს" წარმოადგენდა და მისი განათლებისათვის ძალზე ნაკლებად



ილია და ოლღა სიჭარმაგის ჟამს

ილიასა და ოლღასეული სახლი საგურამოში

ზრუნავდა. სასკოლო განათლება, თანაც ხანმოკლე, მოსახლეობის მცირე ნაწილს თუ მოიცავდა. შესაბამისად, ქართული ენის (მეტიც, ქართულ ენაზე) სწავლებას, მშობლიური ქვეყნის ისტორიის, ლიტერატურის, გეოგრაფიის და მისთ. ცოდნას ქართველთა ფართო მასები მოკლებულნი იყვნენ.

თვითონ ილიას აზრითაც, ყოველივე აღნიშნული "მიგვაჩნია ჩვენ მიზეზად, რომ ასე შეფერხებით მიდის ჩვენის **[ხალხის განათლება]** და პირველდაწყებითი სკოლის საქმე. ამ გარემოების ბრალია, რომ ჩვენ ვეღარა მოგვიხერხებია – რა, რომ წერა-კითხვას მაინც ვავრცელებდეთ ხალხში, **[რომელიც თანდათან ამავე მიზეზით უფრო და უფრო გეშორდება ჩვენ, განათლებულს საზოგადოებას, აღარ ეყურება-რა ჩვენი და არც რამ იმედი აქვს ჩვენგან. ან კი როგორ უნდა დაგვიახლოვდეს ჩვენი უმეცრებით გარემოცული ხალხი, უბრალო გლეხობა, – ეს უმრავლესობა ქართველობისა, ეს სული და გული ჩვენის ეროვნულის იმედებისა]**. განა ჩვენ ვეცადეთ, რომ ერთი სახალხო სკოლა მაინც დაგვეარსებინა, თუნდ ისე ჩვენაგან პატივცემულის გრ. ორბელიანის სახსოვრად, რომლის შემწეობით შესძლებდეთ ხალხსაც დაეფასებინა ჩვენთვის ასე ძვირფასი პოეტი, რომ მასაც ჩვენთან ეგლოვნა მძიმე დანაკლისი? ჩვენი ჭირი და გლოვა ჩვენ ჭირად და გლოვადვე დარჩა, ხალხი – კი, უმრავლესობა კი, ვერ მიაგნობდა ჩვენს წუხილს"[112]. ცხადია, ამ გარემოებამ განაპირობა ქართველთა ფართო მასის პატრიოტული, ეროვნული გრძნობა-შეგნების დაბალი ხარისხი. ეს ითქმის აგრეთვე ქართველი ესდეკების მიმართ, რომლებმაც „ინტერნაციონალისტობით" დიდად გამოიჩინეს თავი.

აღნიშნული გარემოება კარგად შენიშნა აგრეთვე დიდმა ქართველმა პედაგოგმა იაკობ გოგებაშვილმა: „მაგრამ სრულიად სხვა შედეგი მოსდევს ამგვარ ინტერნაციონალურს აღზრდასა მეთქი. მოწყვეტილნი სამშობლო (!) ენას, ლიტერატურას, გეოგრაფიას (იგულისხმება მათი უცოდინარობა – **გ. ყ.**), ისტორიას, აწმყოს და წარსულს თავისი დროისას, ქართველი ყმაწვილები კი არ რუსდებიან, ინტერნაციონალისტდებიან და ადვილად ხდებიან მიმდევრებად ფანტასტიკური ინტერნაციონალისტური გეგმებისა, პლანებისა, ხდებიან მოწაფეებად იმათი, ვისაც სურს აწინდელი კაცობრიობის მდგომარეობა ძირ-ფესვიანად ამოფხვრან, დაამხონ. ამას დიდ დანაშაულობად სთელის მთავრობა, სასტიკად დევნის ამ რევოლუციონერებს, მაშინ, როდესაც მათ მოვლენაში თვითონვეა დამნაშავე"[113].

როგორც უკვე აღნიშნული იყო, ამ მხრივ ვერც ქართულმა ეკლესიამ ითამაშა მნიშვნელოვანი როლი.

შექმნილ ისტორიულ პირობებში რელიგიას მნიშვნელოვანწილად ჩაენაცვლა სოციალიზმის მოძღვრება[114], რომელიც თითქოსდა მარქსიზმს ეფუძნებოდა. თავის მხრივ მასისათვის ამგვარი სოციალიზმის მთავარი ფასეულობა მდგომარეობდა მის ალტერნატიულობაში კაპიტალიზმის მიმართ. რაკი ასე იყო, შესაბამისი ყაიდის იდეოლოგოსებისა და ლიდერების გაჩენა საქართველოში ძნელი როდი გახლდათ და მსგავსი როლის აღსრულება შეეძლოთ საშუალო და კიდევ უფრო დაბალი ნიჭისა და განათლების ადამიანებს.

ახლა, დროის დღევანდელი გადასახედიდან, თუმცა ძალიან დაგვიანებით, ბევრი რამ ნათელი ხდება, მაგრამ იმუამად თვით ბრძენკაცი ილიასათვისაც კი მოვლენათა მსგავსი განვითარება მოულოდნელი აღმოჩნდა.

ეს საკმაოდ ვრცელი მეცნიერული, გნებავთ ფილოსოფიური თუ სოციოლოგიური ექსკურსი იმიტომ დაგვჭირდა, რომ თვალსაჩინო გაგვეხადა ილიასა და საერთოდ ქართველობის იმდროინდელი ტრაგედიის საფუძველი. ამის შემდგომ თვალი გავადევნოთ კონკრეტული, ფაქტობრივი ვითარების მსვლელობას.

1892 წელს დაარსებულ იქნა ყოველკვირეული გაზეთი „კვალი"[115], რომელიც გიორგი წერეთლის ხელმძღვანელობით გამოდიოდა და რომელმაც (უპირველესად გაზეთს ვგულისხმობთ), რომ იტყვიან, სიცოცხლე მოუშხამა ილიას. გიორგი წერეთელი, როგორც მწერალი, თვალსაჩინო მხატვრული ნიჭით არ გამოირჩეოდა[116], მაგრამ თავისი „შეგირდებისაგან" განსხვავებით პატრიოტულად განწყობილი კი უთუოდ გახლდათ. ერთ დროს იგი სამოციანელთა, ე. წ. „თერგდალეულთა" რიგებში იყო და მხარში ედგა ილიას, ასე რომ, აღიარებდა მის ბელადობას, ლიდერობას. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნავდით, მრავალ მათგანს იმ ხანის საქართველოში არ ასვენებდა ილიას გამორჩეულობა, პირველობა და მის წინააღმდეგ კინკლაობა-ბრძოლით საკუთარი პერსონის თვითდამკვიდრებას ცდილობდა. ერთ-ერთი ამათგანი იყო გიორგი წერეთელი, რომელიც თვალშიც არა თუ ილიასეული საერთო მაღალნიჭიერება, ლიტერატურული შემოქმედებასაც კი დიდი არაფერი ფასეულობა ჰქონდა.

მეტიც, გიორგი წერეთელმა თავისი უკეთური მცდელობისას გვერდში ამოიყენა ახალგაზრდობის ერთი ნაწილი, ესდეკების სახით. ასეთ დაახლოებას იდეური საფუძველიც გააჩნდა: საქმე იმაშია,

რომ თეოდორ მან უკრიტიკოდ, ბრმად იწამა მარქსისტული მოძღვრება, კერძოდ, კლასობრივი ბრძოლის აბსოლუტური მნიშვნელობა, რაც ასევე ქართველი ესდეკებისათვისაც „სახარებად" იქცა. კელავ ექვთიმე თაყაიშვილს მივმართავთ. იგი ამგვარად გადმოსცემდა გიორგი წერეთლისეულ კრედოს: „ეხლა ისეთი დრო დადგა, რომ ძველი მიმართულება უნდა უკუვაგდოთ, იქიდან მარტო ნაციონალური თავისუფლების მისწრაფება დავიტოვოთ და სხვა სოციალურ-ეკონომიურ საკითხებში მარქსისა და ენგელსის მიმართულება უნდა მივიღოთ. მარქსი ეკონომიურ საკითხში (!) და სოციოლოგიაში ისეთი ავტორიტეტია, როგორც დარვინი ბიოლოგიაში. მარქსისტები ენერგიული ხალხია და გაზეთის საქმეს უზრუნველ-გახდიან"[117].

ერთი სიტყვით, თუ აქამდე ილიასადმი გიორგი წერეთლის დაპირისპირებულობას მაინც ასე თუ ისე სპორადული ხასიათი ჰქონდა, ამიერიდან იგი (ეს დაპირისპირებულობა) სისტემატური ხასიათისა გახდა.

გიორგი წერეთლისა და მისი დასის (ასე თვლიდა ილია)[118] შესაგონებლად დიდი წინაპარი კელავდაკვლავ (კერძოდ, 1893 წელს) გახაზავდა: „წოდებათა შორის უთანხმოებისა და სიძულილის წამოყენება, რასაკვირველია, ვერსად ვერ დააარსებს კეთილსა და სასურველ განწყობილებას, მაგრამ ერთი-ასად უფრო მომაკვდინებელ ცოდვად ჩაითვლება ამ გრძნობის ხელოვნურად გამოწვევა და აღძრა ჩვენში!

ჩვენ, ისეც დაქსაქსულთა, ერთმანეთთან გადამტერებულთა რაღა წოდებრივის საგნების წამოსაყენებლად უნდა გვეცალოს!

მაგრამ ზოგიერთნი ძველნი და ახალნი მბღაჯვნელნი[119] ამ მარტივ აზრს ჯერაც ვერ მიმხვდარან"[120].

1894 წელს დაწერილ ილიასეულ „ორ-ხმიან საახალწლო ოპერეტში" ილია „კვალს" ასე ალაპარაკებს:

„მდიდარი პირქვე დავეცი
და ღარიბი აღვადგინე!";
„მინდა მაღალი დამდაბლდეს,
ამაღლდეს დამდაბლებული,
მდიდარი წყალმა წაიღოს,
ცხონდეს ღატაკი ვნებული.
ეს მცნება მე ჩემს დროშაზედ
მოქარგვით დამიწერია,
თურმე მის გამო მებრძოდა

მდიდართა ყმა „ივერია";
„კიდევ ვიტყვი, მე გავბედე
ღარიბთ სარჩლი, მდიდართ გმობა;
ბედნიერ ვარ: ამით ვპოვე
ახალგაზრდათ თანაგრძნობა!"

ილია ლექსში ხოროს პირით აცხადებდა:

„მაგ-გვარები ბევრს სხვა ცუღლუტს
წინადაც დაუწერია,
მაგ საკენკით მხოლოდ მარტო
ბღარტები დაუჭერია.
ეგ ეღარუნა არა-მცნება
მარტო ბალღთ საცდუნელია,
მაგისთანა მალაყები
არ ახალია, ძველია";
„სტყუის! ...ტყუილად ჰქადულობს (გიორგი წერეთელი - ბ. ყ.)
ახალთა თანაგრძნობასა
„კვალის" ეღარუნზე ვინ მოვა,
თუკი კაცია ცნობასა?
ვერ მოტყუვდება ახალი
ამისთანა გუნდრუკთ კმევით,
მის წინ „კვალი" ფონს ვერ გავა
ლაქუცით და კუდის ქნევით".

საერთოდაც, ილიას თქმით:

„თვალთ-ხედვის სულ არ ქონა სჯობს
„კვალის" თვალთ-ხედვით ცქერასა."

მაგრამ ყოველივე ასეთი შეგონება „მგლის თავზე სახარების კითხვას" ემსგავსებოდა: „კვალელები" თავიანთ ჯიუტ, შუბლმაგარ თავებში სხვაგვარ, მართლაც საღ და გონიერულ იდეებს არ უშვებდნენ. დიდად უპრიანია მოვიტანოთ ილიას აზრი, გამოთქმული სტატიაში „უარმყოფელობა ჩვენში", რომელიც თუმცა 1888 წელს დაიწერა, მაგრამ კიდევ უფრო მეტად ესადაგება 1890-იანი წლებისა და შემდგომი ხანის ვითარებას: „ჩვენ ადრევაც გვითქვამს, რომ ეხლანდელს დროს რაღაც ხიფათი შეემთხვა და ადამიანის ლოღიკამ გზა შეიშალა, თითქო ან მართულები მოეშალა, ან ღერძი

გადაუბრუნდაო. სულ ყველაფერი აირიე-დაირია, ტყუილი და მართალი ეეღარავის გაურჩევია, ქვენა-გრძნობანი ზენა-გრძნობათა ადგილას გამეფდნენ, ცოდვამ მადლის პირბადე ჩამოიფარა, ყალბი ხალასად გადის და ნაძირალა თავანკარად, თითქო ჭკუისა და გულის აღებ-მიცემობაში აღარ იშოვება საწყაო ცოდვისა და მადლისა, ტყუილისა და მართლისა"[121].

აღსანიშნავია, რომ მეფის რუსეთის ხელისუფლება „კვალის" საქმიანობას ლმობიერად ეპყრობოდა; მისი მოსაზრებით,გაზეთის თუნდაც რადიკალური სოციალური ხასიათის შეხედულებანი იმპერიის მთლიანობისათვის ნაკლებად სახიფათო იყო, ვიდრე „ოეერიის" „ნაციონალისტური", „სეპარატისტული" თვალსაზრისი, რომელიც იმპერიის მთლიანობას ძირს უთხრიდა.

დიდად გამაოგნებელია შემდეგი ფაქტი. მოგვიანებით, როგორც მეფისნაცვალი კავკასიაში (1905 – 1915 წლებში) ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი, ისე მეფისნაცვალი, დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვი (1915 – 1917) აღნიშნული მოტივით თანამშრომლობდნენ კიდეც ქართველ ესდეკებთან. ამიტომაც ცენზურა „ოეერიის" მიმართ ბევრად უფრო სასტიკი, ულმობელი იყო[122]. ამაზე ნათლად მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ 1896 წელს ეს ორგანო მთელი რვა თვით იყო შეჩერებული. მისგან განსხვავებით, „კვალის" გამოშვება მხოლოდ 1904 წელს შეწყდა. სხვათა შორის, აღნიშნულ გარემოებას თვითონ ნოე ჟორდანიაც აღიარებდა. „ჩემს წარსულში" იგი წერდა: „კვალი" გამოდიოდა ცენზურის ნებართვით. მიუხედავათ ამისა ყველა ჩვენს აზრებს, გარდა პირდაპირი მოწოდებისა, თავისუფლათ ვბეჭდავდით. ეს აიხსნება ორი გარემოებით: საცენზურო კომიტეტს ქონდა სპეციალური ცირკულარი პეტერბურგიდან, ყურადღება მიაქციონ განსაკუთრებით ნაციონალური ხასიათის პროპაგანდას. უმთავრესად ლექსები (?!) ხდებოდა ამ ბრძანების მსხვერპლი. ჩვენი პროპაგანდა კი იყო უმთავრესად ეკონომიკურ-სოციალურ-ისტორიული ხასიათის და ცენზურა დიდ ყურადღებას არ აქცევდა"[123].

როგორც უნდა იყოს, ილიას სხვა დიდ თავსატეხებს შორის ქართველი ესდეკებიც გამოუჩნდნენ, რომლებიც დიდ მოღვაწეს უაღრესად რადიკალურად დაუპირისპირდნენ.

ჯერ წლების განმავლობაში გრძელდებოდა ე. წ. ბანკობიადა, რომელსაც სათავეში ივანე მაჩაბელი ედგა. ამ საბანკო ბატალიებს ხშირად, ჩვენდა სამარცხვინოდ, კუთხურობის ელფერიც ჰქონდა (კერძოდ, კახელ და ქართლელ თავადაზნაურობას შორის).

თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველო დიდი თავგამოდებით იცავდა ზემოთ აღნიშნულ ინსტრუქციას. 1893 წლის 10 მარტს თბილისის გუბერნატორი პოლიციის დეპარტამენტს (პეტერბურგში) უგზავნიდა უწყისს პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ მყოფ პირთა შესახებ. უწყისში სხვა სამოცდათექვსმეტ პირს შორის აღნიშნულია ილია ჭავჭავაძეც, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო, და რომ მასზე მეთვალყურეობა უვადოდ არის დაწესებული[124]. მომდევნო წლის 1 მაისს თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი პოლიციის დეპარტამენტს საიდუმლოდ ატყობინებდა: „დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იმ მიმართულების მთავარი ხელმძღვანელი, რომლის მიზანიცაა ეროვნული მოძრაობის გაღვივება, არის თავადი ილია ჭავჭავაძე, ტფილისის სათავადაზნაურო ბანკის თავმჯდომარე (ამ ბანკის საშუალებით ინახება აღნიშნულ თავად-აზნაურობის სკოლა და აგრეთვე იგია რედაქტორი ქართული გაზეთის „იკერიისა".

თავადი ილია ჭავჭავაძე არის თვალსაჩინო ჭკუის და მდგომარეობის პატრონი. დიდი ავტორიტეტის მქონე ქართველებში საერთოდ და თავისუფლად მოაზროვნეთა შორის განსაკუთრებით. დადის ხმები, რომ მასთან დრო და დრო იმართება საიდუმლო კრებები, სადაც არკვევენ სხვადასხვა საზოგადო ხასიათის და სოციალურ კითხვებს"[125].

1895 წელს ადგილი ჰქონდა ასეთ ფაქტს: ჟანდარმერიამ გაჩხრიკა ილიას ბინა (თბილისში), ეძებდნენ რა ანტისახელმწიფოებრივ პროკლამაციებს[126].

კონკრეტულად ასეთი მკაცრი მეთვალყურეობის ერთ ფაქტზე, 1896 წლის მაისში გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავებასთან დაკავშირებით, ექვთიმე თაყაიშვილი მოგვითხრობს: „იმ დროს ქუთაისის პოლიცმეისტერად იყო, თუ არ ვცდები, ვინმე სიმონიშვილი, რომელსაც ქართველებს შორის ძალიან ცუდი სახელი ჰქონდა გავარდნილი, დამსახურებისათვის ყველაფერს ჩაიდენსო. ლევან ჯანდიერს[127] შეეტყო და ჩვენც გვაცნობა, რომ იმ სიმონიშვილს თბილისიდან ზედიზედ მოსდიოდა დეპეშები: „Следить за Ильей Чавчавадзе и записать каждое слово, что он скажет"[128]. ამიტომ იყო,რომ ილია ერიდებოდა ცნობილი ქართველი მოღვაწის დასაფლავებაზე სიტყვის წარმოთქმას, რასაც ადგილი ჰქონდა თითონ მთხრობელის „პროვოკაციის" შედეგად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ნათელია ის გარემოება, რომ ქართული საზოგადოებრიობის მცდელობა აღენიშნათ ილიას საზო-



ილია საგურამოში სტუმართა შორის



საგურამოელი გლეხკაცობა ილიას ულოცავს ილიაობას

გადოებრივი მოღვაწეობის ორმოცი წლისთავი (1898 წელს) მარცხით დამთავრდა. მთავარი მიზეზი გახლდათ, რასაკვირველია, მეფის ხელისუფლება. მაქსიმუმი, რაც ამ მხრივ ქართულმა საზოგადოებრიობამ შესძლო, ეს იყო თბილისის სათავადაზნაურო სკოლაში სალიტერატურო საღამოს გამართვა, უმთავრესად ილიას ნაწარმოებების წაკითხვით[129].

ისტორიკოს ფარნაოზ ლომაშვილის მტკიცებით, ილიაზე „ოხრანკა"-უანდარმერიის თვალთვალი თითქოს შეწყდა 1901 წელს[130]. მაგრამ მოვლენებს წინ გავუსწრებთ და აღვნიშნავთ, რომ მსგავსი თვალთვალი ილიაზე დოკუმენტურად დასტურდება დუშეთის მაზრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელ ყარამან ფაღავას მიერ (1907 წელს)[131].

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა პოლიტემიგრანტ, ცნობილ საზოგადო მოღვაწის გიორგი ჟურულის მოგონება. როდესაც, 1905 წლის ბოლოს, ილია პეტერბურგში გრაფ დიმიტრი სოლსკის კომისიაში მონაწილეობისათვის იყო მოწვეული, მის ბინაში (სასტუმროში), ჩანს, „ოხრანკის" თანამშრომელი მიუგზავნიათ. გიორგი ჟურული გამოტეხილად აცხადებს, რომ „ჩემის გამოუცდელობით „ოხრანკის" აგენტს ბევრი რამ ისეთი შევატყობინე, რომ თუ რევოლუციას მოესწრო (ალბათ აკლია „არ" – **გ. ყ.**), ილიას, მგონი, იაფად არ დაუჯდებოდა"[132].

ასევე კვლავ გრძელდებოდა დაპირისპირება ილიას, როგორც „იბერიის" რედაქტორსა და საცენზურო კომიტეტს შორის, რასაც ადასტურებს კუპიურები ილიას დაბეჭდილი სტატიებიდან (რასაკვირველია, ამას არა აქვს ადგილი ნოე ჟორდანიას „კვალში" დაბეჭდილ სტატიებში).

მკითხველებისათვის ალბათ უინტერესო არ იქნება გადმოვცე საცენზურო კომიტეტთან ილიას ერთი თავგანწირული შერკინების პერიპეტიები.

1893 წლის 17 მარტს „იბერიამ" (№ 56) გამოაქვეყნა კორესპონდენცია ხონის სემინარიაში მოსწავლეთა გაფიცვასა და მის ნამდვილ მიზეზებზე. ამან დიდად აღაშფოთა კავკასიის სასწავლო ოლქის ხელმძღვანელობა, მით უფრო იმ ფაქტის გამოაშკარავების გამო, რომ სასწავლო ოლქის მზრუნველის მოადგილე ზავადსკი დათანხმდა მოსწავლეთა მოთხოვნებს. ოლქის უფროსმა კ. პ. იანოვსკიმ მოითხოვა ზავადსკის ჩარევის ფაქტის უარყოფა. მეორე მხრივ საცენზურო კომიტეტის დადგენილებით „იბერიის" რედაქციას გაეგზავნა ზავადსკის მიერ რუსულ ენაზე შედგენილი „ოფიციალური

ილიას გერმანელი მეგობარი, მწერალი არტურ ლაისტი



ილიასეული სახლი თბილისში, ანდრიას ქუჩაზე

უარყოფა" და წინადადებას იძლეოდა იგი გამოექვეყნებიათ უახლოეს დღეებში. ილიამ არ დაბეჭდა „უარყოფა". გამოვიდა „ივერიის" რამდენიმე ნომერი, მაგრამ „უარყოფა" არ ჩანდა.

5 აპრილს საცენზურო კომიტეტმა შეკითხვით მიმართა გაზეთის რედაქტორს ზავადსკის „უარყოფის" დაბეჭდვის თაობაზე. რედაქცია კვლავ სდუმდა. აპრილის მეორე ნახევარში საცენზურო კომიტეტი კვლავ თავისაზე იდგა. 20 აპრილს რედაქციამ საცენზურო კომიტეტს გამოსაქვეყნებლად წარუდგინა გამზადებული „უარყოფის" ქართული თარგმანი. კომიტეტი კი მოითხოვდა რუსული ტექსტის დაბეჭდვას. 26 აპრილს ილია პირადად მივიდა საცენზურო კომიტეტში და უარი განაცხადა რუსული ტექსტის გამოქვეყნებაზე იმ მოტივით, რომ უფლება არა ჰქონდა ქართულ გაზეთში რუსული ტექსტის დაბეჭდვისა. საცენზურო კომიტეტი კვლავ ჯიუტობდა. 27 აპრილს „ივერიამ" გამოაქვეყნა „უარყოფის" რუსული ტექსტი, თუმცა ქართულ ენაზე დაიბეჭდა რედაქციის შენიშვნა – „იბეჭდება კავკასიის საცენზურო კომიტეტის განკარგულებით". ამის გამო კომიტეტმა კავკასიის მთავარმართებლობას მოსთხოვა სათანადო ზომების მიღება[33].

ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, თუ რა ფათერაკი დაემართა „ივერიას" 1896 წელს. მკაცრი ვერდიქტის გამოტანაში ჩაერია თვით კავკასიის მთავარმართებელი.

ამგვარმა გამუდმებულმა დაპირისპირებებმა, ცხადია, გავლენა იქონია ილიას ჯანმრთელობაზე და მას მოუხდა მკურნალობა უცხოეთში (გერმანიასა და ავსტრიაში).

მაგრამ მანამდე, 1900 წლის მარტ-აპრილში ილიას უმწვავესი შეტაკება მოუხდა „მესამე დასის" „ბელად" ნოე ჟორდანიასთან, რაც აისახა „ივერიასა" და „კვალში". ამაზე კი სპეციალურად ზემოთ შევჩერდებით.

20 ივნისს ილია მეუღლესთან ერთად (რიგის გავლით) სამკურნალოდ გაემგზავრა ბერლინსა და ვისბადენში. 15 ივნისიდან კი „ივერიის" რედაქტორობა ოთხი თვით ჩააბარა ვასილ სულხანიშვილს. უცხოეთიდან ილია დაბრუნდა 15 სექტემბერს, 12 ნოემბრიდან კი შეუდგა „ივერიის" რედაქტორობას. 1901 წლის ივნისის ბოლოსა თუ ივლისის დასაწყისში ილია მეუღლესთან, ნიკო ხიზანაშვილთან და ანტონ ფურცელაძესთან ერთად კვლავ სამკურნალოდ გაემგზავრა გერმანიაში.

1901 წლის 5 დეკემბერს ილიას რედაქტორობით უკანასკნელად დაიბეჭდა „ივერიის" 263-ე ნომერი. ამიერიდან „ივერიის" დროებითი

რედაქტორი გახლდათ ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე სარაჯიშვილი, ილია კი ჯერჯერობით მხოლოდ გამომცემლად დარჩა. ასე ჩამოშორდა ილია თავისი საზოგადოებრივი მოღვაწეობის ერთ-ერთ ბურჯს – „ივერიის" გამოცემის საქმეს.

1902 წლის 27 იანვარს ილიამ „ივერიის" 21-ე ნომერში „ახალ-მოსულის" ფსევდონიმით გამოაქვეყნა წერილი – „გომართელის ფილოსოფია და არჩილ ჯორჯაძის ფსიხოლოგია", 10 და 22 თებერვალს კი „ივერიაში" (№ 34, № 44) გააგრძელა არჩილ ჯორჯაძესთან პოლემიკა, უფრო სწორად პასუხი გასცა უკანასკნელის წერილებს, რომლებიც „ცნობის ფურცელში" დაიბეჭდა (№ 1720, 1721).

მაგრამ ცხოვრებამ, ისტორიის გონმა სხვაგვარად გაანგო. ამის შემდგომ ჩვენმა დიდმა მოღვაწემ ფაქტობრივად შეწყვიტა წერილების წერა და გამოქვეყნება. ამ ხანას ეხება მისი მეფუტკრე დანიელ მასლოვის მოგონება: ილიას ნათქვამს რომ ეხება: „არ არის უკვე ის შთაგონება, ის პირობები და მასთან ახალი თაობა მოვიდა ჩემზე უკეთესი... იყო დრო, როდესაც ადვილად ვწერდი, თითქოს ვინმე მკარნახობდა, ახლა კი ისე აღარ არის, თავის თავზე ძალის დატანება კი არაბუნებრივია და აქედან არაფერი არ გამოვა"-ო[134]. მაგრამ გონებრივ მუშაობას იგი კვლავ განაგრძობდა. ამის შესახებ მოვუსმინოთ ისტორიკოს ქრისტეფორე რაჭველიშვილს: „აქვე ვსარგებლობ შემთხვევით და მკითხველებს გადავცემთ პროფ. ივ. ჯავახიშვილისავე ცნობას, დამყარებულს განსვენებული სპ. ვირსალაძის[135] ნაამბობზე. სპ. ვირსალაძესთან პოლიტიკურ საკითხებზე კამათის დროს (ილიას სახლში) 1905 – 06 წწ.[136] ილია გასულა მეორე ოთახში, გამოუტანია დიდტანიანი ხელნაწერი და ნაწყენის, მაგრამ დინჯი კილოთი უთქვამს სპ. ვირსალაძისათვის: აი, ეს არის ჩემი უკანასკნელი შრომა, ქართული ლექსიკონი, ამას გავათავებ და მერე აღარაფერს დავეძებ, რაგინდ ადრე მოვკვდეო"[137]. ხსენებული ისტორიკოსი დასძენდა: „სად არის ნეტა ეს ლექსიკონი, იცოდა, ან იცის ვინმემ თუ არა მისი არსებობა დანამდვილებით? ეს საინტერესო საკითხი უეჭველად უნდა გამოირკვეს"[138]. საბედნიეროდ ეს ხარვეზი შევსებულია, დასახელებული ლექსიკონი (ქართულ-რუსული) (უფრო სწორად: სალექსიკონო მასალა) აღმოჩენილია ცნობილ ენათმეცნიერ შოთა ძიძიგურის მიერ[139].

ილიას ცხოვრების მატიანეში დიდად საინტერესოა 1905 წელი, როდესაც, როგორც ვიცით, დაიწყო რუსეთის პირველი რევოლუცია. ამდენად ჩვენს დიდ ისტორიულ მოღვაწეს და მის თანამებრძოლებს ჩაესახათ იმედი საქართველოს მიერ ავტონომიის მოპოვებისა.

თითქოს ისტორიას, ბოლოს და ბოლოს, პასუხი უნდა გაეცა უდიდესი მტკივნეული კითხვისათვის, „მგზავრის წერილებში" რომ არის დასმული: „როდემდის დამრჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? ოხ, როდემდის, როდემდის?... ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მამეც ამის პასუხი!..."

მაგრამ „ისტორიის ირონიამ" (ჰეგელი) სხვაგვარად ინება. ეროვნული მოძრაობის დიდი აზვირთების ნაცვლად საქართველოში კლასთა ბრძოლა გაჩაღდა გლეხობასა და თავადაზანურობას შორის – აგრარული საკითხის გამოისობით. ამაო იყო ილიას შეგონება: „...ეს დღევანდელი ამბავი დიდმიზეზიანი საგანია, დიდად გასაფხიზლებელი, დიდფათერაკიანი. აქ საქმე იმაში კი არ არის, ვინ უფრო შორს გადახტება. ამ დღევანდელს ამბავს დიდის გულდადებით და ღრმად უნდა ჩაუკვირდეს ადამიანი, მთელი სიგრძე-სიგანე გაუზომოს, თავით ბოლომდე თვალწინ დაიყენოს.

ეს დიდ პასუხისგების საგანია და ამ პასუხისგების შიშქვეშ თვით გლეხკაცობის წინაშე, დღევანდელ მოძრაობას თავი იქით უნდა უბრუნოს კაცმა, საითკენაც ჯერ არს, და არა იქით, რომ ერთმანეთს მივესიოთ და ციხესიმაგრე ჩვენი ჩვენვე შიგნიდამ გავტეხოთ. ამას თხოულობს არამცთუ სიკეთე და ბედნიერება ჩვენის ქვეყნისა საერთოდ, არამედ გლეხკაცობისაც საკუთრივ"[140]. მაგრამ ხალხის მასა და მისი „სოციალური ელიტა" – ესდეკები სხვანაირად ფიქრობდნენ.

ილია, ცხადია, ოდენ შეგონებებს არ სჯერდებოდა და აღნიშნული მიმართულებით პრაქტიკულადაც თავგამოდებით იღვწოდა.

„მოგზაურში" ბინძური პასკვილის დაბეჭდვამდე, 1905 წლის 6 მარტს, ქართველ თავადაზნაურთა კერძო თათბირზე ილიამ აშკარად განაცხადა: „ჩვენი ქვეყნისათვის კანონები აქვე უნდა იწერებოდეს ჩვენის ქვეყნის მიერ არჩეულ წარმომადგენელთა კრებულისაგან"[141]. მისივე ინიციატივითა და ავტორიტეტის გამოისობით მსგავსი მოთხოვნა თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებამაც გაიზიარა. ამის შესახებ ჯერ მოელენის თვითმხილველ კიტა აბაშიძეს მოვუსმინოთ: „მახსოვს მოძღვარი იმ დროს, როცა... პეტიციები ითხზებოდა. მახსოვს დიდებული კაცი, რომელმაც ჩვენ, მასზედ უფრო აღგზნებულებს, – გარეგნად მაინც, – თავისის დინჯის და წყნარის შენიშვნით ის ნაბიჯი გადაგვადგმევინა, რომელიც უიმედოდ მიგვაჩნდა იმ წრესა და იმ პირობებში, სადაც ვმოქმედებდით. პეტიცია თავად-აზნაურთა კრებებისთვის უნდა მიგვეღებინებინა. იმ თავად-აზნაურობისაგან, რომელმაც ისე

სამარცხვინოდ იდღესასწაულა სამგლოვიარო დღე მონობისა, არას გამოველოდით და ამიტომ ვცდილობდით, მეტად დიდი გასაბედავი არ მოგვეთხოვა, რომ მცირეზედაც უარი არ გვეთქმევინებინა და საქართველოს ერის უფლებები მხოლოდ კილოკავად მოვიხსენიეთ. მახსოვს მოძღვარი, რომელმაც განაცხადა: მე მაგას ხელს ვერ მოვაწერ, მანდ ქართველი ერისათვის არაფერია, ჩასწერეთ შიგ მოთხოვნილება ავტონომიისა და პირველი ვაწერ ხელსა... კი, მაგრამ, რომ არ მიიღოს კრებამ? — ამ ჩემს თავზე მიდვიაო"[142].

კრების მონაწილეებმა ჯერ დიპლომატიურ მიმიკრიას მიმართეს — წერილით მიულოცეს ნიკოლოზ II-ს ვაჟის დაბადება და ეფიცებოდნენ რა „საუკუნო ერთგულებას", აღნიშნავდნენ: „თავადაზნაურობა ზრუნავს რა სახელმწიფოს საზოგადო სარგებლობისა და საჭიროებისათვის, მტკიცედ დარწმუნებულია, რომ მშვიდობიანი და კულტურული განვითარება ქართველ ხალხისა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ საქართველოს, რუსეთის სახელმწიფოს ამ განუყოფელ ნაწილს და ნებაყოფლობით იმასთან შეკავშირებულს, მიენიჭება უფლება საკუთარ კანონებით მართვა-გამგეობისა"[143].

ანალოგიური მცდელობა მართლაც რომ გადამდები (სიტყვის უაღრესად დადებითი მნიშვნელობით) აღმოჩნდა და მსგავსი დადგენილებანი მიიღეს ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობამ და ამ ქალაქის თვითმმართველობამ. ეს გახლდათ ეპირველესად ილიას დიდი შემართების შედეგი!

უფრო უწინ, 1905 წლის თებერვლის ბოლოს, ილია სიტყვით გამოვიდა თავადაზანაურობის საკრებულოში, სადაც ბჭობდნენ, თუ როგორ აეღებინათ ხელი აჯანყებული გურიის წინააღმდეგ დამსჯელი რაზმის გაგზავნაზე[144].

9 მარტს კი თავადაზნაურთა კერძო თათბირზე ილია გამოვიდა წინადადებით გლეხების მიწებით დაკმაყოფილების თაობაზე[145].

მაგრამ „ქართველი იუდა" (როგორც მას არაერთგზის უწოდეს) ფილიპე მახარაძე „ეამს ეძიებდა" და 1905 წლის აპრილ-მაისში თვითონ და მისი ავან-ჩავანნი ჟურნალ „მოგზაურის" ფურცლებზე ბინძურად დაესხნენ თავს დიდ ეროვნულ მოღვაწეს[146]. მსგავსი სასახელო საქმე გააგრძელა ნოე ჟორდანიამაც (ნარის ფსეუდონიმით) ამ ორგანოში დაბეჭდილი სტატიით „ქართველ მოღვაწეებში", რომელშიც უხამსად მოიხსენია ილია (აგრეთვე ნიკო ცხვედაძე)[147].

თუ 1900 წელს ნოე ჟორდანიასთან და მასზე აყოლილ ბრბოსთან

(ჭეშმარიტების დადგენის შეძლების ილუზია რომ ჰქონდა) ილიას მხარში ამოუდგნენ გიორგი ლასხიშვილი და კიტა აბაშიძე,ამჯერად ილიას დასაცავად კრინტიც კი არავის დაუძრავს.

„ივერიამ" (ამ დროს რედაქტორობდა ფილიპე გოგიჩაიშვილი) 15 აპრილის ნომერში (№ 54), იმის მაგიერ, რომ საკუთარი ჟურნალისტური გამოძიება მოეწყო, კიდევ ერთხელ გაახმიანა ვიღაც ვიგინდარა ვასილ ნაცვლიშვილის (ფსევდონიმით „ვ. ნ.") ცილისმწამებლური ნაბღაჯნი და უხამსი ცილისწამებების მსხვერპლს – ილიას მიანდო თავის მართლება. მეტსაც ვიტყოდით, 1935 წელს ფილიპე გოგიჩაიშვილი ლიტერატორ ალექსანდრე სიგუას უყვებოდა: „1905 – 1906 წლებში (1905 წელს – **გ. ყ.**) ილიას წინააღმდეგ დაიწყო საშინელი კამპანია. „მოგზაურ'ში" დაიბეჭდა წერილი ილიას წინააღმდეგ. ილიამ დაწერა საპასუხო წერილი და გადმომცა „ივერიაში" დასაბეჭდად. „ივერიის" თანამშრომლებმა გაიგეს, რომ მიღებულია ილიას პასუხი, რომელიც „ივერიაში" უნდა დაიბეჭდოს. რედაქციაში იყვნენ თანამშრომლები, რომლებიც, მოითხოვდნენ, რომ თუ ილიას პასუხი დაიბეჭდებოდა გაზეთში, მაშინვე გაფიცვას მოვაწყობთო. ერთ-ერთი სასტიკი მოწინააღმდეგე იყო დიმიტრი ჯაში, რომელიც კატეგორიულად მოითხოვდა არ დამებეჭდა ილიას პასუხი. თუ მისი სურვილის წინააღმდეგ დაიბეჭდებოდა, მაშინ მე ის მემუქრებოდა ყველა მუშის საერთო გაფიცვით[148]. ვერ მოვახერხე ილიას პასუხის დაბეჭდვა „ივერიაში". ვფიქრობდი თავი დამენებებინა რედაქტორობისთვის, რადგან ვგრძნობდი: არ ღირს იმ რედაქციაში მუშაობა, სადაც არ დაიბეჭდება ილიას პასუხი-მეთქი.

მივმართე სხვა საშუალებებს, რათა დამებეჭდა ილიას პასუხი. წერილი ცალკე ავაწყვე ცალკე გვერდად და დამატების სახით ჩავდე „ივერიაში", თანაც შენიშვნა გავუკეთე, რომ ავტორის ზოგად მოსაზრებას რედაქცია არ იზიარებდა (აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ამით ილია განაწყენდა).

ეს შენიშვნა იმით იყო გამოწვეული, რომ შემენელებინა ილიას მოწინააღმდეგეების ყურადღება. ამ შენიშვნას სხვა მნიშვნელობა არ ჰქონია"[149].

რა თქმა უნდა, ფილიპე გოგიჩაიშვილის მსგავსი საქციელი სანაქებო როდია და ილიაც სავსებით საფუძვლიანად განაწყენებულა მასზე[150]. თუ ფ. გოგიჩაიშვილი ასე მოიქცა, მაშ რაღა უნდა ითქვას ბევრ იმჟამინდელ ინტელიგენტსა და, სამწუხაროდ, თავადაზნაურობის დიდ ნაწილსეც კი[151]. საზოგადოებამაც მაშინაც და შემდგომაც შესაბამისად მოიმკო!

როგორც დავინახეთ, ილია საზოგადოებრივი აქტიურობის მეორე საყრდენსაც – თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო ბანკსაც ჩამოშორდა. ასე რომ, მხოლოდ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება" დარჩა.

მაგრამ მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ილიას მოღვაწეობამ კიდევ უფრო დიდი რეზონანსი გამოიწვია.

1905 წლის დეკემბრის ბოლოსა და 1906 წლის იანვრის დასაწყისში ილია, სხვებთან ერთად, პეტერბურგს გაემგზავრა და, ვიმეორებთ, მონაწილეობა მიიღო გრაფ დ. სოლსკის თავმჯდომარეობით შემდგარ კომისიაში, რომელიც განიხილავდა პირველ სახელმწიფო სათათბიროში კერძოდ საქართველოს მონაწილეობის, დეპუტატების წარგზავნის საკითხს. ამ შემთხვევაშიც ილიამ დიდი შემართება გამოიჩინა (ამის თაობაზე არსებობს თვითმხილველის – გიორგი ჟურულის დაწერილებითი ნაამბობი).

1906 წლის 9 მარტს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო კრებაზე ილია, თუმცა მას არ ესწრებოდა, აირჩიეს სახელმწიფო საბჭოს ამრჩევად (выборщик). 6 – 8 აპრილს იგი მონაწილეობდა სახელმწიფო საბჭოს არჩევნებში, სადაც აირჩიეს მთელი ქართველი თავადაზნაურობის წარმომადგენლად.

მაგრამ ილია ვიწრო წოდებრიობიდან ამჯერადაც შორს იდგა. ამავე დღეებში რუსული გაზეთებისათვის მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა: „სახელმწიფო საბჭოში მე ამომირჩია თავადაზნაურობამ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ საბჭოში მე მარტო აზნაურ-თავადთა საჭიროებებზე ვილაპარაკებ. თუ ამას ჰფიქრობდენ ზოგნი ჩემი [თავად-აზნაურთა] ამომრჩეველნი აქაური რუსთა აზნაურნი – ეს დიდი შეცდომაა. სახელმწიფო საბჭოში თუ თავად-აზნაურთა სახელით შევდივარ – ეს მხოლოდ ფორმალური, იურიდიული მხარეა. არ დავფარავ და ვიტყვი: საბჭოში მთელ საქართველოს და ქართველთა ინტერესების დამცველი ვიქნები. საერთო კითხვებსაც შევწირავ ჩემს ღონეს"[152].

ამდენად, ახალ დიდ პოლიტიკურ სარბიელზე, თითქოს უფრო რეალური გახდა კითხვაზე: „როდემდე", „როდემდე"?[153] პასუხის გაცემის შესაძლებლობა. ამისათვის კი ილია ძალ-ღონეს არ ზოგავდა.

მაგრამ ქართველ დეპუტატებს [სოციალისტ-ფედერალისტ იოსებ ბარათაშვილის (პირველი დუმის დეპუტატი გახლდათ) გარდა] პირველი ორი მოწვევის სახელმწიფო სათათბიროში საქართველოსათვის დიდად მტკივნეულ საკითხზე თავი არ შეუწუხებიათ. ილია რუსეთის პარლამენტის ამ კონსერვატიული ზედა პალატის წევრთა შორის

ილია რუსეთის სახელმწიფო საბჭოს მემარცხენე ფრთის
წევრთა შორის

ჩადგა მემარცხენეთა მცირერიცხოვან „აკადემიურ" ჯგუფში, იბრძოდა რა აგრეთვე ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისათვის, აგრარული რეფორმისათვის, სიკვდილით დასჯის გაუქმებისათვის[154].

ყოველივე ეს მეტისმეტი იყო მთლიანად მეფის ხელისუფლებისათვის და ნაწილობრივ (განსაკუთრებით ავტონომიის საკითხში) ქართველი ესდეკებისათვის. ამას დაემატა ილიას მცდელობა სიკვდილით დასჯის გასაუქმებლად სახელმწიფო საბჭოში. მზაკვრული მიზნის განხორციელება ადვილი იყო იმ პირობებში, როცა ილიას ერთ-ერთი ბიოგრაფოსის გრიგოლ ყიფშიძის სიტყვებით, 'ძალნი ქვესკნელისა და ზესკნელისა, ძალნი ჯოჯოხეთ-ბნელეთისანი თითქო ერთად შეერთდნენ, რათა ქვეყანა უდაბნოდ გადაექციათ და ხალხი ეულიტ-ესრისათ. ისე თქრიალებდა სისხლი ადამიანისა, თითქო წყალიაო. ადარ იყო განკითხვა, სამართალი...". „ოხრანკა"-ეანდარმერია და ქართველი ესდეკები სასიკვდილო ქსელს ხლართავდნენ. ამაში ერთ-ერთ მთავარ რგოლს წარმოადგენდა ილიასეულ (და ოლღასეულ) საგურამოს მამულში თავიანთი აგენტის – გარეწარ დიმიტრი ჯაშის ჩანერგვა. სხვათა შორის, ილია მალე მიხვდა, რომ უკანასკნელი ბოროტი სული იყო და გარდა იმისა, რომ სოფლის მეურნეობისა არაფერი არ გაეგებოდა, გლეხებში ილიას საწინააღმდეგო პროპაგანდას ეწეოდა. ამიტომაც ილიას უნდოდა დ. ჯაშის დათხოვნა, რაც ჩანს ოლღასადმი მიწერილი წერილიდან (ივლისის შუახანებში) და მეფუტკრე დანიელ მასლოვის მოგონებიდან. დიდად სამწუხაროდ, ილიამ ეს ვერ მოახერხა, რაშიც თავი იჩინა იმ გარემოებამ,რის შესახებაც არტურ ლაისტი წერდა: „საზოგადოდ, ენერგიის სისუსტე და ის სიფიცხე შევამჩნიე, რაც მოხუცებულობას სჩვევია"[155]. გულგატეხილობა მოდიოდა იქიდანაც, რომ ჩიოდა: „ორიოდე წლის სიცოცხლეღა დამრჩენია"-ო[156].

ბოროტი ძალების ერთობლივი მცდელობით საქართველოს ისტორიაში ჩაიწერა შავბნელი ფურცელი – 1907 წლის 30 აგვისტო (ძველი სტილით)[157]. გარეწართა ნაწილი უბირი გლეხები იყვნენ, რომელთა მსგავსებზე ილია 1858 წელს დაწერილ ლექსში „ლოცვა" აღნიშნავდა:

„რომ მტერთათვისაც, რომელთ უნდა გულს ლახვარი მკრან,
გთხოვდე: „შეუნდე, - არ იციან, ღმერთო, რას იქმან!"

მაგრამ მკვლელობის ჩამდენმა მეორე ნაწილმა, მით უმეტეს ორგანიზატორებმა, ძალიან კარგად უწყოდნენ, თუ რას ჩადიოდნენ.



მიცვალებული ილია

ილიას საფლავი მთაწმინდაზე

ყველა ესენი მთელი ქართველი ერის წყევლა-კრულვას იმსახურებენ და მათი სახელები მუდამ ჩვენი ისტორიის მოღალატეთა გვერდით მოიხსენიებიან.

დამნაშავე (მეტ-ნაკლებად) იყო მთლიანად საზოგადოებაც, რომელმაც, პროფესორ გივი ჟორდანიას სიტყვებით: "გულგრილად დაუშვა გადაგვარებულ, ეროვნულ და ადამიანურ გრძნობადაკარგულ პირთა მიერ ერის მამის სიტყვით და კალმით დაკოდვა და წამება, ხოლო შემდეგ – წყეული "წიწამურის აქტი". საზოგადოებამ დაუშვა თავისი "მხსნელი მესიის" წამება და მოწამებრივი სიკვდილი –მარტვილობა მესიისა"[158].

საზარელი მკვლელობა მოხდა ილიასათვის ერთობ საყვარელი არაგვის ნაპირზე, სადაც „აჩრდილის" მიხედვით:

„და წმინდა სისხლი ქართველებისა
შენს (არაგვს მიმართავს - **გ. ჟ.**) კიდეებზედ გადასხმულია!"

თითქოს ილიას გაუმართლა იმ მხრივაც, რომ:

„წმინდაა იგი, ვისაც ეღირსა
მამულისათვის თავის დადება!...
ნეტა იმ ვაჟკაცს, ნეტა იმ გმირსა,
ის თავის ხალხში აღარ მოჰკვდება".

(პასაჟი ამავე პოემიდან).

ქართველი ერის მტრები (როგორც შინაური, ისე გარეშე) მოტყუვდნენ. ილიას მკვლელობით ქართული ეროვნული იდეა არ მომკვდარა და ქართველობასთან ერთად ცოცხლობს და იცოცხლებს ილიაც – ჩვენი მარადი სულიერი თანამგზავრი!

---

[1] იხ. ილია ჭავჭავაძე (ბიოგრაფიული ნარკვევი), თსკ, ტ. I, გვ. IX.

[2] უნდა ვიფიქროთ, რომ ილიას უთუოდ ჰქონდა გვაროვნული (საგვარეულო) სიამაყე. მეუღლეს – ოლღა გურამიშვილს 1873 წლის 29 ნოემბერს პეტერბურგიდან სწერდა: „მე ვიდრე პეტერბურგში მოვიდოდი, პოლტავაში დამიბარეს ბანკირთან მოსალაპარაკებლად და იქ ექვსი დღე ვიყავი... პოლტავის გუბერნიაში ბევრი ქართველები არიან, უწინდელი გადმოსახლებული და ძალიან მდიდრები, ბარათოვებიც არიან, ორბელიანებიც, მუსხელოვებიც და თითქმის ყველა გვარის კაცი, ჭავჭავაძიანთ გარდა. როგორც ეტყობათ, ჭავჭავაძიანთ უწინაც თავისი

ქვეყანა ჰყეარებიათ, რომ თავი არ დაუნებებიათ". თსკ, ტ. X, გვ. 325.

[3] თსკ, ტ. IX, გვ. 307.

[4] ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი. საახალწლო მოთხრობა, თსკ, ტ. II, გვ. 244 - 245.

[5] ილიას პირველი ბიოგრაფოსი მიხეილ ნასიძე თვლიდა, რომ ილია 1836 წლის 27 ოქტომბერს იყო დაბადებული (იხ. მისი ბროშურა „თ. ილია ჭავჭავაძე", ტფილისი, 1898, გვ. 5). შეგახსენებთ, რომ წიგნაკი დაიბეჭდა ილიას საიუბილედ, საზოგადოებრივი მოღვაწეობის ორმოც წლისთავთან დაკავშირებით. მაგრამ, გარკვეული მიზეზების გამო, იუბილე არ შედგა. ბიოგრაფოსის მსგავსი ლაფსუსი როდია საკვირველი: ბროშურაში სხვა შეუსაბამობანიც გვხვდება: თითქოს გრიგოლი „კარგი შეძლების თავადიშვილი" გახლდათ (იქვე), ცოლ-ქმარს ჰყოლიათ ხუთი შვილი (გრიგოლ ყიფშიძისა და პაველ ინგოროყვას მიხედვით კი – ექვსი, ნაბოლარა სეიმონი სრულიად მცირეწლოვანი გარდაცვლილა და ა. შ. ქართული გენეფლოგიის სპეციალისტის იური ჩიქოვანის წიგნში „თავადი ჭავჭავაძეები" (თბ., 2002) ილიას დაბადების თარიღად კვლავ გამეორებულია 1837 წლის 20 იანვარი. იხ. გვ. 32.

[6] ი. გორგაძე, ნ. გურგენიძე, ილია ჭავჭავაძე – ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე, თბ., 1987, გვ38.

[7] ავტობიოგრაფია, თსკ, ტ. IX, გვ. 307.

[8] ჩვენ მიერ უკვე მოხსენიებული მიხეილ ნასიძე ცდებოდა, როცა წერდა, რომ ქართული წერა-კითხვა და პირველი სიყვარულიც წიგნებისადმი პატარა ილიას მამიდა მაკრინემ ჩაუნერგაო. იხ. მისი დასახ. წიგნაკი, გვ. 6.

[9] ავტობიოგრაფია, თსკ, ტ. IX, გვ. 307.

[10] იქვე, გვ. 308 - 309.

[11]ილიას ახლობლის – ეკატერინე კრიჟანოვსკისას მოგონებით,გრიგოლს მეორე ცოლის შერთვა განუზრახავს, რაზედაც ილია დიდად აღშფოთებულა და საქმის ჩაშლა განუზრახავს. იხ. გაზ. „თემი", № 122, 1913. ამ ქორწინების შემდეგ გრიგოლი მალე გარდაცვლილა. აპოლონ მახარაძე, ილია ჭავჭავაძის ცხოვრება, თბ., 1984, გვ. 9– 10.

[12] კოხტა აფხაზის მოგონებანი ი. ჭავჭავაძის შესახებ, ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი I, ტფ., 1935, გვ. 563.

[13] იქვე.

[14] იქვე, გვ. 565.

მთხრობელი ილიას მამა გრიგოლს ასახელებს, მაგრამ იგი ამ დროისათვის უკვე აღარ იყო ცოცხალი.

[15] იქვე, გვ. 566.

[16] დასახ. წიგნი, გვ. 564– 565.

[17] ამათ დავუმატებდით ალექსანდრ პიპინს (რუსული და სლავური ლიტერატურების ისტორიკოსს).

[18] ნიკო ნიკოლაძე, სტუდენტობის პირველი დრო, წიგნში „მოგონე ბანი, პუბლიცისტური წერილები. 1865 - 1868". ტ. 1, ტფილისი, 1931, გვ. 86.

[19] იქვე, გვ 67.
[20] იქვე, გვ. 63.
[21] ნიკო ნიკოლაძე, დასახ. წიგნი, გვ. 77.
[22] იქვე, გვ. 46.
[23] იქვე.
[24] იქვე, გვ. 66.
[25] იქვე.
[26] თსკ, ტ. IV, გვ. 232.
[27] როგორც ჩანს, გამოგონილი გვარი და სახელია.
[28] იმ ხანის პეტერბურგში მცხოვრები ცნობილი თერძისა და მეჩექმის გვარსახელებია.
[29] ნიკო ნიკოლაძე, სტუდენტობის პირველი დრო..., გვ. 63.
[30] ლიტერატურული მემკვიდრეობა, I, გვ. 564.
[31] ნიკო ნიკოლაძე, სტუდენტობის პირველი დრო..., გვ. 69– 70.
[32] როგორც ვხედავთ, აქ აშკარა მიბაძვაა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსისა „სულო ბოროტო...“
[33] პაულე ინგოროყვას აზრით, ამ სტროფში ილია ეკამათება გოეთეს. იხ. თსკ. ტ. I, გვ. LXI.
[34] თსკ, ტ. I, გვ. 353.
[35] ვსარგებლობთ ილია გორგაძისა და ნოდარ გურგენიძის წიგნით „ილია ჭავჭავაძე. ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე. ბიობიბლიოგრაფიული ქრონიკა. 1837 - 1907 “, თბ., 1987, გვ. 21– 23.
[36] თსკ, ტ. IX, გვ. 309.
[37] ნიკო ნიკოლაძის დასახ. წიგნი, გვ. 92. პაულე ინგოროყვა ასახელებს აგრეთვე ილიას ჯანმრთელობის გაუარესების მიზეზსაც. თსკ, ტ. I, გვ. LIX. კრებულში „Государственный Совет.1906 – 1907 гг“ (ამ დროს,როგორც ცნობილია,ილია მისი წევრი გახლდათ) აღნიშნულია: „...Кн И. Г. Чавчавадзе родился в 1837г. Был в Петербургском Университете на камеральном отделении юридического факультета, но университета не окончил по независимым отнего обстоятельствам“, მკვლევარი ასახელებს აგრეთვე ილიას ჯანმრთელობის გაუარესების მიზეზსაც. თსკ, ტ. I, გვ. LIX.
[38] იქვე, გვ. 199.
[39] იქვე, გვ. LIX– LX.
[40]ნიკო ნიკოლაძის დასახ. წიგნი, გვ. LX.
[41] თსკ, ტ. I, გვ. LXII.
[42] იქვე, გვ. LXI.
[43] თსკ, ტ. II, გვ. 12.
[44] იხ. აეტორის „თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიიდან“, თბ., 1962, გვ. 125-130. რუსი საბჭოთა ფილოსოფოსი ე. გ. ბასკაკოვიც მიუთითებდა, რომ ილია ჭავჭავაძემ, როგორც ნიკოლაი ჩერნიშევსკის უახლოესმა თანამოღვაწემ, საქართველოში ჩამოაყალიბა „პირველი დასი“, როგორც არალეგალური რევოლუციური ჯგუფი, რომელმაც

„განავითარა მჩქეეარე რეეოლუციური საქმიანობა". იხ. მისი „Мировозрсние Чернышевского", М., 1956, გვ. 151.

[45] თსკ, ტ. II, გვ. 11.

[46] თსკ, ტ. II, გვ. 563, 567.

[47] იქეე, გვ. 567, იხ. აგრეთვე გვ. 565, 571.

[48] სხვათა შორის, მოგეხსენებათ, „თერგდალეულებში" გულისხმობდნენ ახალგაზრდებს, რომლებიც საქართველოს სამხედრო გზით, ე. ი. თერგის ხეობაზე გავლით რუსეთში მიდიოდნენ განათლების მისაღებად. ამ პირდაპირი, ფიგურალური აზრით აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე და გიორგი წერეთელი არ იყვნენ "თერგდალეულები", რამეთუ ისინი რუსეთში შავი ზღვით წავიდნენ. მაგრამ არსებითად კი ასე გახლდათ.

[49] ა. იოვიძე, ილია ჭავჭავაძე – დოკუმენტური მასალები, საისტორიო მოამბე, ტ. 3, 1947, გვ. 148.

[50] ჯერ კიდევ 1859 წელს ილია უფროს დას – ნინოს სწერდა: „იანვრის ცისკარ'ში ჩემი ლექსია დაბეჭდილი, წაიკითხე თუ არა. აი გინდოდა ჩემი ლექსი გენახა ცისკარში და აგისრულე, თორემ შენ ხომ არ გსურებოდა, არც მაგას დაეაბეჭდინებდი, იმიტომ, რომა ჩვენი ცისკარი ჯოჯოხეთის კარია და არა ცისა". თსკ, ტ. X, გვ. 9.

[51] უკანასკნელმა ასეთი დიდი „პატივი", ცხადია, დაიმსახურა ხელისუფლებისაგან. შეგახსენებთ, რომ მას მიღებული ჰქონდა გენერალ-ლეიტენანტის სამხედრო ჩინი.

[52] შესაბამისი, ნამდვილად ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი ფიგ'ურირებს ცნობილ საისტორიო კრებულში „Акты Кавказской Археографической Комиссии", т. 12, გვ. 238.

[53] იაკობ მანსვეტაშვილი, „მოგონებანი. ნახული და გაგონილი", ტფ., 1936, გვ. 85.

[54] საქართველოს მოამბეზედ, თსკ, ტ. III, გვ. 71.

[55] თსკ, ტ. X, გვ. 184 – 185. ისე, უბრალოდ, ცნობისათვის მოგახსენებთ: ჟურნალ „სოვრემენნიკის" ტირაჟი 1848 წლისათვის იყო 3.100, 1861 წლისათვის კი – 7.126. იხ. „БСЭ" (მესამე გამოც.), ტ. 24, წიგნი I, გვ. 61 – 62.

[56] იხ. „რედაქციისაგან", გვ. 1.

[57] „დროებაOO", 1869, № 19.

[58] "დროება", 1869, № 19.

[59] ახალი ახალგაზრდობა, თხზულებანი, 3, თბ., 1963, გვ. 202. იხ. აგრეთვე გვ. 206, 220.

[60] თსკ, ტ. X, გვ. 37 – 38.

[61] ცისკარი 1857 წლიდან – 1862 წლამდინა, თსკ, ტ. III, გვ. 451 – 452.

[62] თსკ, ტ. III, გვ. 452.

[63] საოცარია, რომ ილიასეული ლექსი „მესმის, მესმის" ბევრმა იმხანად და შემდეგშიც, ისე გაიგო, თითქოს აქ ავტორი ყმა-გლეხთა განთავისუფლებას გულისხმობდა საქართველოში, რუსეთში მოახლოებული მოვლენის მსგავსად.[64] ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლაეება, ტფ., 1907, გვ. 67.

[65] შესაბამისი დოკუმენტი, ხელნაწერის სახით, ინახება საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმში. იგი, რამდენადაც ეიცით, ე. წ. სამეცნიერო ბრუნვაში პირველად შემოიტანა ალექსანდრე ქუთელიამ თავის 1954 წელს "მნათობში" დაბეჭდილ სტატიაში, გვ. 137.

[66] დასახ. კრებული, იქვე.

[67] იხ. ავტორის "ილია ჭავჭავაძე, როგორც ლირიკოსი - პოეტი", ჟ. "განთიადი"; 1915, № 12, გვ. 21 – 22.

[68] თსკ, ტ. IX, გვ. 279. იგივეა ნათქვამი ოლღა გურამიშვილის შესახებაც. იქვე.

[69] მოგონება ილიაზე, ლიტერატურის მატიანე, წიგნი 1 – 2, თბ., 1940, გვ. 153. იხ. აგრეთვე ი. ანდრონიკაშვილის მოგონება, იქვე, გვ. 156-157.

[70] იხ. ავტორის „რჩეული ნაწერები", ტ. 3, 1985, გვ. 107.

[71] თსკ, ტ. IX, გვ. 309. ძალზე მოკრძალებული აღმოჩნდა ჩვენი დიდი მოღვაწის სამსახურებრივი კარიერა. ცნობილია, რომ მას, უდიპლომობის გამო, მხოლოდ უდაბლესი ჩინის დაკავება შეეძლო. 1867 წლის 21 აპრილს კავკასიის მეფისნაცვლის ბრძანებით წელთა ნამსახურობისათვის მას მიანიჭეს ყველაზე დაბალი, კოლეგიის რეგისტრატორის (коллежский регистратор) რანგი.

[72] საისტორიო მოამბე, ტ. 3, 1947, გვ. 275.

[73] გაზეთის გამომცემელ სტეფანე მელიქიშვილის ავტორიტეტული განცხადებით, მისი გამოცემის იდეა ილიასაგან მოდიოდა. იხ. „დროება", № 24, 7 მარტი, 1876.

[74] თსკ, ტ. X, გვ. 37.

[75] იხ. „ჩვენი ახალი ლიტერატურის ისტორიიდან". წერილი რომანოზ ხომლელისადმი, ჟ. „განთიადი", 1915, № 8, გვ. 21 – 22.

[76] თსკ, ტ. X, გვ. 262.

[77] სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ უფრო უწინ დაწერილ „კაცია-ადამიანის" წინასიტყვაობის მესამე ვარიანტში ლაპარაკია მცირერიცხოვან, პატიოსან, გულმხურვალე ადამიანებზეც, რომელთაც ლაფისა თავის დღეში არ შინებიათ და ლაფისაგან უკან არ დაუხევიათ". თსკ, ტ. II, გვ. 567.

[78] ი. გორგაძე, ნ. გურგენიძე, ილია ჭავჭავაძე..., გვ. 68 – 75.

[79] თსკ, ტ. X, გვ. 331.

[80] იაკობ მანსვეტაშვილი, „მოგონებანი. ნახული და გაგონილი", გვ. 162.

[81] თსკ, ტ. IX, გვ. 310.

[82] იქვე.

[83] თსკ, ტ. VI, გვ. 39 – 40.

[84] თსკ, ტ. VI, გვ. 40 – 41.

[85] თსკ, ტ. V, გვ. 79 – 80. აქვე (გვ. 80) ილია ცდილობდა თავისი გაბედული აზრის შერბილებას და ყველა უკეთურობას მხოლოდ ბიუროკრატიას აბრალებდა. ამასთანავე, თეითირონიულად შენიშნავდა:

„აქ უნდა შევწყვიტოთ ჩვენის ნებითვე სიტყვა, თორემ სხვანი

შეგვაწყვეტინებენ. ახლა იქნება მკითხველმა მკითხოს: ან ეგ რაცა სთქვი, რათა სთქვიო. რათა ვსთქვი!... პირველი, იმიტომ – რომ ენა ცოტად მექავებოდა; მეორე იმიტომ – რომ – მეორეს-კი უკაცრავად, ვერ მოგახსენებთ, და იციო რა მიზეზით? იმ მიზეზით, რომ ჩვენც თითონ არ ვიცით, ვისთვის და რისთვის ვლაპარაკობთ, როდესაც ყველაფერი ოთხ კედელ შუა თავდება ჩვენში. ამას კი ვიტყვით, - ამ წერილს თირკმელები განგებ ამოვაცალეთ და შუა წელი გამოვსჭერით, რომ თავსა და ბოლოს მაინც ნება ჰქონოდა ქვეყანაში გამოსვლისა. საკვირველი დროა ეს ჩვენი დრო. იტყვი რასმე, მაშინვე პირში მოგვარღებიან, - რას ამბობო, და არ იტყვი კიდევ, გიკიკინებენ – რატომ არას ამბობო. აი ამაზედ არის ნათქვამი: გავიქეცი – ქარიანი მქვიან და დავეჯდები – ლაჯიანიო. მოდი და ენდე ამ წუთისოფელსა". იქვე, გვ. 83 – 84.

[86] იხ. პაველ ინგოროყვას ბიოგრაფიული ნარკვევი ილიაზე, თსკ, ტ. I, გვ. CXXIII – CXXIV.

[87] იგულისხმება ცნობილი ხალხოსანი.

[88] ალექსანდრე კოჭლავაშვილი, უცნობი მასალები ილიაზე, „მნათობი", 1970, № 5, გვ. 145.

[89] თსკ, ტ. III, გვ. 290.

[90] თსკ, ტ. III, გვ. 290.

[91] სანდალას წიგნის გამო, თსკ, IV, გვ. 195.

[92] იქვე, გვ. 196.

[93] სანდალას წიგნის გამო, თსკ, IV, გვ. 196. .

[94] იქვე, გვ. 197.

[95] იქვე, გვ. 198-199. აღნიშნული თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და პუბლიცისტის ვასილ წერეთლის მონათხრობი, რომელიც ეხება 1889 წლის ბოლოსა თუ 1890 წლის დასაწყისს: "ერთ საღამოს ილიამ გულისტკივილით შეჩივლა ნიკო ხიზანაშვილს, რომელიც იყო მისი გულის მესაიდუმლე: "ნიკო, ცუდად არის საქმე, ვაი თუ ჩვენი ბედი კვლავ უკულმა დატრიალდეს, ცუდ ნიშნებს ვხედავ". ნიკომ ანუგეშა: "მე ვფიქრობ, რომ, პირიქით, საქმე კარგად მიდის: "ხომ ხედავ, რომ დემოკრატია გამოდის საზოგადოებრივ ასპარეზზე, მაშასადამე, უფრო ინტენსიური საზოგადოებრივი მოძრაობა გაჩაღდება". - საქმეც ის არის, - უპასუხა ილიამ, სწორედ დემოკრატიიდან გამოსული ჩვენი ნახევრად ნასწავლი ინტელიგენცია არ არის საიმედო". ვასილ წერეთელი, ლიტერატურული წერილები, მემუარები, თბ., 1898, გვ. 186. კვლავ როგორი განჭვრეტაა მომავლისა!

[96] ახალი დასის მოლოდინში, თსკ, ტ. III, გვ. 291.

[97] საქართველოს ისტორია (უძველესი დროიდან XIX საუკუნის დასასრულამდე), ნიკო ბერძენიშვილის რედაქტორობით, თბ., 1958, გვ. 541 – 542.

[98] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VI, თბ., 1972, გვ. 126, 43.

[99] იქვე, გვ. 107.

[100] ჩვენი სოფლის მეურნეობა და შეკავშირების საჭიროება, თსკ, ტ. VII, გვ. 31.

[101] იქვე, გვ. 31 – 32.

[102] ეს მონაცემები მოტანილი გვაქვს ალექსანდრე ბენდიანიშვილის წიგნიდან "საქართველოს ისტორია. 1801 - 1921", თბ., 1999, გვ. 149.

[103] ალექსანდრე ბენდიანიშვილი, "საქართველოს ისტორია. 1801 - 1921", თბ., 1999, გვ. 136, 148.

[104] იქვე.

[105] იქვე.

[106] იქვე.

[107] იქვე, გვ. 148.

[108] ამ საკითხის თაობაზე უფრო დაწერილებით იხ. ჩვენი „წიწამურის ტრაგედიის საიდუმლო", თბ., 2004, გვ. 62 – 63.

[109] მოვალეობა ჩვენის თავად-აზნაურობისა, 'იევრია", № 20, 1893.

[110] იქვე.

[111] მეთაური წერილი, "იევრია", № 259, 1897.

[112] შინაური მიმოხილეა 1883 წელი, აგვისტო, თსკ, ტ. V, გვ. 281 - 82.

[113] იაკობ გოგებაშვილი, უცნაური ბრალდება (წერილი რედაქციის მიმართ) რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, თბ., 1977, გვ. 129.

[114] ეს ტენდენცია კარგად შეამჩნია ცნობილმა ბელგიელმა სოციალისტმა ემილ ვანდერველდემ (1866 - 1938) 1920 წელს საქართველოში ყოფნისას. მთლიანობაში მიუღებელია თანამედროვე ინგლისელი ისტორიკოსის ჯეფრი ჰოსკინგის აზრი: „თავიანთი უფლებების ბოლომდე მიყვანაში ქართველებს განუვითარდა თავისებური ფორმა ნაციონალიზმისა, რომელიც – რაგინდ პარადოქსულიც უნდა იყოს, - დაფუძნებული იყო მარქსიზმზე"; „მარქსიზმი პასუხობდა მათს ინტერნაციონალურს (!) და ანტიკაპიტალისტურ მისწრაფებებს". იხ. მისი წიგნი „Россия, Народ и империя (1552 – 1917), Смоленск, 2001, გვ. 399. მაგრამ იგი ვერ ამჩნევს ილიასა და მისი დასის ნაციონალიზმს. თუმცა ნაწილობრივ მართალია იმაში, რომ „ქართულ ნაციონალიზმს ჰქონდა ანტიკაპიტალისტური შეფერილობა, და ეს გახლდათ აშკარა შედეგი სომხებთან (მხოლოდ? – ბ. ჯ) შეჯიბრებისა". იქვე.

[115] ექვთიმე თაყაიშვილი ჰყვება, რომ აღნიშნული გაზეთის დაარსების თაობაზე შუამდგომლობა აღძრეს და უფლება მიიღეს თვითონ მან, ივანე მაჩაბელმა, პედაგოგმა ალექსი ჭიჭინაძემ, გამოცემის საქმე კი გიორგი წერეთელს ჩააბარეს. „მაგრამ მან მალე იცვალა მიმართულება და გაზეთი მესამე დასელების ორგანოდ გახდა"-ო. იხ. ექვთიმე თაყაიშვილი, რჩეული ნაშრომები, ტომი I, თბ., 1968, გვ. 287.

[116] სხვათა შორის, აკაკის დაკვირვებით, „გიორგი წერეთელს ორი თავი აქვს, ერთი ჭკვიანი და მეორე სულელი. ხან ერთს ხმარობს და ხან მეორეს" -ო. ნიკო ნიკოლაძე კი მასზე ამბობდა: „ყველაფერი საქმე გამოუვა ხელიდან: კარგიცა და ავიცაო". იხ. დასახ. წიგნი. იქვე. რაც მართალია მართალია – ესენი სულაც არ შემცდარან!

[117] დასახ. ორგანო, გვ. 58. როცა გიორგი წერეთელს საყვედურობდნენ ესდეკებისათვის თავგამოდებას, უკანასკნელი თურმე პასუხობდა: ეგ არაფერი, მესამე დასელები გამოსწორდებიან, პოლიტიკურად გაიზრდებიან და ძლიერ ეროვნულ მოძრაობას შექმნიანო. იხ. ვასილ წერეთელი, ლიტერატურული წერილები, მემუარები, თბ., 1998, გვ. 206.

[118] ილია გიორგი წერეთელზე წერდა:

„ბებერი, მაგრამ მაინცა
თავი ახალის დასისა"-ო.

მეორეგან: "კვალის" სიტყვით:

„მე ჩვენს ახალ თაობაში
ვპოვე ღონე ღერმეთელი,
შევკარ დასი, სარდლად მიეც
გეურქ-აღა წერეთელი".

[119] „ძველ მბღაჯვნელებში" უპირველესად,რა თქმა უნდა,გიორგი წერეთელი იგულისხმება, „ახალ მბღაჯვნელებში" კი ნოე ჟორდანია და „ძმანი მისნი".

[120] სოფლის მეურნეობის ქალთა სასწავლებელი. წოდებრიობის წინააღმდეგ განათლების საქმეში, თსკ, ტ. IV, გვ. 377.

[121] თსკ, III ტ. გვ. 297.

[122] იხ. აგრეთვე ნოე ჟორდანია, თხზულებანი, ტ. I, 1920, გვ. 256.

[123] იხ. წიგნის 1990წლის გამოცემა, გვ. 35. მომდევნო გვერდზე გამეორებულია: „ცხადი იყო,რომ საცენზურო კომიტეტს პატრიოტული ლექსები (?!) უფრო აფრთხობდა, ვინემ ეკონომიური საკითხი".

[124] საისტორიო მოამბე, ტ. 3, 1947, გვ. 235.

[125] ტფილისის სასულიერო სემინარია 1886 და 1893 წლებში, რევოლიუციის მატიანე, 1925, № 1, გვ. 89. საინტერესოა რედაქციის მინაწერი:

„რა თქმა უნდა, ჟანდარმერიას სრულიად უსაფუძვლოდ შეაქვს ეჭვი ილია ჭავჭავაძის არაკეთილსაიმედოობაში, მის სოციალისტობაში (!)". იქვე.

[126] ი. გორგაძე, ნ. გურგენიძე, ილია ჭავჭავაძე - ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე, გვ. 256.

[127] ილიას მეგობარი, ეკავა სხვადასხვა ადმინისტრაციული თანამდებობანი.

[128] ექვთიმე თაყაიშვილი, რჩეული ნაშრომები, ტ. I, 1968, გვ. 254. მანამდე, როდესაც 1885 წელს ილია სამეგრელოში იმყოფებოდა, თბილისის პოლიცმაისტერის თანაშემწე სოკოლოვსკი ამის თაობაზე თბილისის გუბერნატორს და ქუთაისის პოლიცმაისტერს უპატაკებდა. იხ. „საისტორიო მოამბე", III, 1947, გვ. 214. საფიქრებელია, რომ ილიას წრეში „ოხრანკა"-ჟანდარმერიას შეგზავნილი ჰყავდა ანდრია ღულაძე – 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შედეგად იგი გამოაშკარავებული იქნა, როგორც საიდუმლო პოლიციის აგენტი. დიდად სამწუხაროდ, მას ამ ბინძურ საქმეში, თავისდა უნებურად, ალბათ სხვაც, „ივერიის" ერთ-ერთი თანამშრომელიც უწყობდა ხელს.

[129] ექვთიმე თაყაიშვილი, რჩეული ნაშრომები, ტ. I, გვ. 264. ავტორის თქმით, ილიასათვის რომ გაგვემხილა ნამდვილი მიზანი, შეიძლება არც დასწრებოდა

საღამოს „და არც ნება დაერთო ასეთი საღამოს მოწყობისა, სიფრთხილის გამო"-ო. იქვე.

[130] ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ახალი დოკუმენტები, „საისტორიო მოამბე", № 47– 48, 1983.

[131] გ. ბერბიჭაშვილის საბჭოურ სასამართლო პროცესზე იგი აცხადებდა: „ჩვენ გუბერსკი ჯანდარმის ნაჩალნიკისაგან გექონდა მოწერილი, რომ გექონოდა საიდუმლო ზედამხედველობა ილია ჭავჭავაძეზე"; „შიფრის გასაღების შესახებ მე მაშინ (ჩანს, 1907 წლის აგვისტოში – **გ. ყ.**) არ მითქვია ილიასათვის, ეს არ შეიძლებოდა". ალექსანდრე შუშანაშვილი, „ილია ჭავჭავაძის მკველლობა", თბ., 1996, გვ. 255, 256.

[132] ილიასთან შორი-ახლოს დგომით, „ილია ემიგრანტთა თვალით", I, თბ., 1996, გვ. 112.

[133] ი. გორგაძე, ნ. გურგენიძე, დასახ. წიგნი, გვ. 227 – 228.

[134] ჩემი მოგონებანი ილიას შესახებ, ლიტერატურის მატიანე,წიგნი 1-2,თბ., 1940, გვ. 162.

[135] სპირიდონ ვირსალაძე გახლდათ ცნობილი ქართველი ექიმი და საზოგადო მოღვაწე (1868 – 1930).

[136] საფიქრებელია, უფრო 1905 წელს (დასაწყისში) და არავითარ შემთხვევაში ილიას „სიცოცხლის ბოლო დღეებში", როგორც ამას მიუთითებდა ბატონი აკაკი შანიძე თავის სტატიაში „ილია ჭავჭავაძე როგორც მებრძოლი ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისათვის".

[137] ქრისტეფორე რაჭველიშვილი, ილია ჭავჭავაძე (1837 – 1937). ბიოგრაფიული ნარკვევი, ტფ., 1937, გვ. 107. გრიგოლ ყიფშიძეც წერდა: „ილიას ქაღალდებში არა ერთი და ორი სია მოიპოვება სიტყვებისა და სხვა და სხვა გვარ გამოთქმათა, რომელიც გულ-მოდგინებით ამოუწერია თუ საღმრთო წერილის წიგნებიდანა და თუ სხვა საერო და სასულიერო თხზულებიდან".

[138] ქრ. რაჭველიშვილი, ილია ჭავჭავაძე..., იქვე.

[139] იხ. მისი სტატია „ილია ჭავჭავაძე, სალექსიკონო მასალა", „მნათობი", 1957, № 10.

[140] ნუთუ? თსკ, ტ. IX, გვ. 280.

[141] ილია ჭავჭავაძე, წერილი რედაქციის მიმართ, „ივერია", 1905, 9 მარტი.

[142] კიტა აბაშიძის შესაბამისი მოგონება სათაურით „დიდებული მოძღვარი" დაიბეჭდა გაზეთ „ისარში", 1907 წლის 20 სექტემბრის ნომერში.

[143] კრების ანგარიშზე იხ. „ივერია", 1905 წლის 2 აპრილი, აგრეთვე გაზ. „ცნობის ფურცლის" იმავე დღის ნომერი.

[144] ამის შესახებ არსებობს მიხეილ ჯავახიშვილისა და ილია ზურაბიშვილის მოგონებანი.

[145] „ივერია", № 20, 21. ამ თვალსაზრისით ცნობილია სხვა ფაქტებიც. მათ დავუმატებდით საგურამოელი გლეხის სანდრო ბედუკაძის მოგონებასაც. ილიას მისთვის უთქვამს: „აი, დაიხსომე ჩემი სიტყვა, ჩვენს გლეხებს მალე ეშველებათო. მე რო ყველას უთხრა ჩემი გულის ნადები,

მთავრობა და თავადაზნაურობა ჩამომახრჩობენ'-ო. მე მენდობა და იმიტომ მითხრა". ლიტერატურის მატიანე, წიგნი 1 – 2, თბ., 1940, გვ. 211.

[146] ამ არამზადას აღნიშნული თვალსაზრისით „საკმაო სტაჟი" ჰქონდა: 1898 წლის შემდეგ იგი ილიას აუმხედრდა 1901 წლის „კვალის" 22 იულისის (№ 30) და 21 ოქტომბრის (№ 43) ნომრებში.

[147] იხ. 3 ივლისის ნომერი (№ 24).

[148] აი, ვინ ჩაუნერგეს მოურავად ილიას!

[149] ალექსანდრე სიგუა, ვინ მოკლა ილია ჭავჭავაძე, თბ., 1991, გვ. 21. ამიტომ იყო, რომ ილიამ თავისი ბოლო წერილი „იმერეთის თავადაზნაურობის სულ-მოკლეობა" 1906 წლის 23 მარტს „ივერიაში" კი არა, არამედ „ცნობის ფურცელში" დაბეჭდა.

[150] ფილიპე გოგიჩაიშვილისა და სხვათაგან განსხვავებით,ისტორიკოსმა ბორის ესაძემ რუსულად თარგმნა "ნუთუ"? და 29 მაისს თავის Кавказский край-ს მეათე და მეთერთმეტე ნომრებში დაბეჭდა. სამწუხაროდ, ილიას პასუხის მთლიანად გამოქვეყნება ვერ მოხერხდა ჟურნალის დახურვის გამო. იხ. ელადიმერ წოწელია, ქართველი კავკასიოლოგები (ბორის და სიმონ ესაძეები), თბ., 1992, გვ. 85.

[151] იმჟამინდელ ქართველ პუბლიცისტებსა და ჟურნალისტებს შორის აქა-იქ ისმოდა ხმები ვასილ ნაცვლიშვილის ბინძური კორესპონდენციის შემოწმების თაობაზე. მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია. ილიას მკელელობიდან თითქმის ექვსი წლის შემდგომ გაზეთ "თემის" რედაქტორ-გამომცემელ გრიგოლ დიასამიძეს კვლავ გაუჩნდა იდეა: "...ჩვენის აზრით საჭიროა ახლავე დაუყოვნებლივ ჩვენმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ჯგუფებმა და ქართულმა პრესამ მიმართულების განურჩევლად აირჩიოს სათანადო პირები იმის გამოსარკვევად, თუ რა განწყობილება და ურთიერთობა არსებობდა ილიასა და გლეხთა შორის. ამ საქმეს ახლავე უნდა შეეუდგეთ, სანამ მოწმეები ცოცხალნი არიან და საჭირო მასალა არ გამქრალა" (იხ. გაზეთის 124-ე ნომერი, 1913 წლის 20 მაისი). მაგრამ, საზოგადოებრიობისდა სამარცხვინოდ, ამ იდეის განხორციელება არც ამჯერად უცდიათ.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, როგორი სულისშემძვრელია პასაჟი ილიას მიერ დავით მესხისადმი 1885 წელს გაგზავნილი წერილიდან.

[152] მალაქია ბოლქვაძე, ახლო წარსულიდან, ილია ჭავჭავაძე რუსეთში (1906 – 1907 წ.). ჟ. „განათლება", 1908, № 3– 4, გვ. 108.

[153] ამ კითხვას ილია სვამდა არა მხოლოდ „მგზავრის წერილებში". 1885 წლის თებერვალში დაწერილ „შინაურ მიმოხილვაში" ეკითხულობთ: „ეხლა კი საათი ქვეყნისა მოშლილია და არ ეიცი ამჟამად მამლის ყივილამდე ბევრი დრო დამრჩა კიდევ თუ არა. ეზიავარ და შეეყურებ სულთამხუთავს, ეზიავარ ლოდინით დაღალული და ვნატრობ მამლის ყივილსა. როდემდის უნდა ვილოდინო, როდემდის! შე დალოცვილო მამალო, რაღას უყურებ და არ დაიყივლებ!.." თსკ, ტ. V, გვ. 333.

[154] საოცარია, რომ ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული დონალდ რეიფილდი

და სტიენ ჯოუნსი რუსეთის სახელმწიფო საბჭოში ილიას უმთავრეს ძალისხმევას სიკვდილით დასჯის გაუქმების მცდელობაში ხედავენ. იხ. Donald Rayfield, The Literature of Georgia. A history, p. 162, Stephen Jones, Socialism in Georgian Colors, p. 37.

[155] არტურ ლაისტი, საქართველოს გული, თბ., 1963, გვ. 59.

[156] იქვე.

[157] ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, ტ. I, 1914, მიხეილ გედევანიშვილის გამოცემა, გვ. LXXXIV. ილიას ცხოვრების 1900-იანი წლების დროითი მონაკვეთის შესახებ უფრო ფართოდ იხ. ჩვენს მონოგრაფიაში „წიწამურის ტრაგედიის საიდუმლო".

[158] იხ. ავტორის "მარტვილობა მესიისა", თბ., 2005, გვ. 7, აგრეთვე გვ. 83, 84. აღნიშნულთან დაკავშირებით როგორი სულისშემძვრელია პასაჟი ილიას მიერ 1885 წელს დავით მესხისადმი გაგზავნილი წერილიდან: 'მაშ აღმართის მხვნელმა ძალამ რომ კაცი გასრისოს, შველა არ უნდა? ნუთუ ყოველი მოღვაწე ღვთის ანაბარად უნდა იყოს ჩვენში მიგდებული? ნუთუ არავის ქვეყნისათვის მოღვაწეს იმედი არ უნდა ჰქონდეს, რომ ფეხი წამოასხლეტინონ, მოძმენი ხელს მომაწვდიან და ფეხზე დამაყენებენო? თუ ასეა, იყოს ნება მათი, ვინც შველაზედ უარს ამბობენ". თსკ, ტ. X, გვ. 107.

თავი მესამე

ილიას სოციალურ-პოლიტიკური ნააზრევის რამდენიმე საკითხი

§ 1 ახალგაზრდა ილიას სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი

„ახალი კაცი ძლიერია თავისის აზრით, მსჯელობით, ცოდნით. იგი თავმოსაწონებელს სახელს ახალის კაცისას მართლა-და ახალის აზრით, მსჯელობით და ცოდნით იმსახურებს".

ილია

ილია ჭავჭავაძის შესახებ ქართულ მეცნიერებაში (ისტორიოგრაფია, ლიტერატურათმცოდნეობა, პოლიტიკური ეკონომია, სამართალმცოდნეობა და მისთ.) ბევრი რამ დაწერილა, განსაკუთრებით საბჭოთა პერიოდის განმავლობაში (ნაკებად ითქმის ეს ფილოსოფიის თაობაზე). კერძოდ, გამოვლენილია უამრავი ახალი მასალა, დადგენილია დიდი ეროვნული მოღვაწის შესახები მრავალი ფაქტი, შესწავლილი მრავალი კერძო საკითხი და ამ მხრივ მუშაობა კვლავაც გრძელდება. მაგრამ როგორც კი რაოდენობიდან თვისებრიობაზე გადავალთ, მდგომარეობა არც თუ ისე სახარბიელოა. მოგეხსენებათ, ილიას ფენომენი მეტად რთულია და აქედან გამომდინარე, მისი რამდენადმე ადეკვატური შემეცნება ადვილი როდია. ამასთანავე ჩვენში დამკვიდრდა ტრადიცია, რომლის თანახმადაც კერძოდ ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი, მრწამსი განიხილებოდა სტატიკურად, ევოლუციის გარეშე.

არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ ილიას ცხოვრებას, მოღვაწეობასა და მსოფლმხედველობას ხშირ შემთხვევაში იკვლევდნენ სათანადო მეთოდოლოგიის გარეშე. პრიორი ნათელია, რომ აღნიშნული რთული საკითხის შესწავლა ოდენ ემპირიული აზროვნების დონეზე, სათანადო მეთოდოლოგიური მიდგომის გარეშე წარმატებული ვერ იქნებოდა. მართლაც ასე მოხდა, რაზედაც უკვე ვლაპარაკობდით. თუ საბჭოური სინამდვილიდან ამოვალთ, იმთავითვე იგულისხმებოდა, რომ ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესწავლას უდგებოდნენ დიალექტიკური მატერიალიზმის

თვალთახედვით, ასევე, რასაკვირველია, ისტორიზმის პოზიციებიდან. მაგრამ ეს თვალსაზრისი ხომ გულისხმობს მოვლენის შესწავლას თავის წარმოშობასა, განვითარებას, ჩამოყალიბებაში და ა. შ. ამის ნაცვლად წარმოიდგენდნენ, რომ უკვე სტუდენტობის ხანაში (1857 – 1861 წლებში) ილიას შეხედულებანი, კერძოდ, სოციალურ-პოლიტიკური, უკვე ჩამოყალიბებული გახლდათ. ეს კი აშკარად მცდარია. როგორც ყველაფერი ამ ქვეყნად (სამყაროში), განვითარებას განიცდის, ადამიანის, თუნდაც დიდი მოაზროვნის, აზროვნებაც და ამ მხრივ, ცხადია, ილია ჭავჭავაძეც როდი იქნებოდა გამონაკლისი. გარდა ამისა პიროვნებაზე, რაგინდ გენიალურიც უნდა იყოს იგი, რასაკვირველია, ზეგავლენას ახდენს სოციალური გარემო, ისტორიის მსვლელობა. სინამდვილე ერთნაირად როდი აღიქმება ახალგაზრდობისა და მოწიფულობის ასაკში. ასევე ითქმის მოაზროვნის, მოღვაწის სოციალურ-პოლიტიკურ პოზიციებზე. უპრიანია მოვიტანოთ ცნობილი ფრანგი პოლიტიკოსის ჟორჟ კლემანსოს (1841 – 1929) აზრი იმის თაობაზე, რომ ვინც ახალგაზრდობაში რადიკალი არ ყოფილა, მას გული არა ჰქონია, ხოლო ვინც მოწიფულობაში ზომიერი არაა, მას – გონებაო.

ასევე იგულისხმებოდა, რომ ილია ჭავჭავაძის ფენომენს შეიმეცნებდნენ ისტორიული მატერიალიზმის თვალთახედვით და ამდენად ფიქრობდნენ, რომ ჩვენი დიდი წინაპარი გახლდათ პროდუქტი შესაბამისი სინამდვილისა. მაგრამ კითხვა ისმის: რომელი სინამდვილისა? ილია ცხოვრობდა საქართველოში, მაგრამ განსაზღვრულ წლებში – რუსეთშიც და ამდენად კიდევ უფრო მეტად განიცდიდა აქ განვითარებული ისტორიული პროცესების ზეგავლენას. მეტსაც მოგახსენებთ: ილიას აზროვნების თვალსაწიერი სწვდებოდა მთელს იმდროინდელ ისტორიულ სინამდვილეს, კერძოდ, დასავლეთ ევროპის, ამერიკის შეერთებული შტატების, აღმოსავლეთის და ა. შ. იგი კურსში იყო მთელი რუსული და დასავლეთევროპული მოწინავე აზროვნებისა. ასე რომ, ილია ჭავჭავაძის პიროვნება მხოლოდ ქართულ სინამდვილეს კი არ ასახავდა, არამედ პროდუქტი გახლდათ მოწინავე მსოფლიო საზოგადოებრივი აზროვნებისაც.

დიდად საბედნიეროდ, მეცხრამეტე საუკუნის საქართველო ძალზე განსხვავდებოდა მეთვრამეტე და მითუმეტეს წინა საუკუნეების საქართველოსაგან, როცა მისი ისტორიული გარემო საკმაოდ შეზღუდული და თანაც ჩამორჩენილი იყო. ცნობილია, რომ მეთხუთმეტე საუკუნიდან მოყოლებული ისტორია ნამდვილად

მსოფლიო ისტორიად იქცა და ამ მძლავრმა პროცესმა, ჯერჯერობით სუსტად, ჩვენი ქვეყანაც ჩაითრია. ერთი სიტყვით, თუ გვინდა რომ კერძოდ ილიას ცხოვრების ხანა (1837 – 1907) სათანადო მეცნიერული სიღრმით შევიმეცნოთ, შესაბამისი პერიოდის ქართული სინამდვილის გარდა უნდა ამოვდიოდეთ რუსული და დასავლეთევროპული ისტორიული სინამდვილეებიდა-ნაც. აქედან გამომდინარე, ილიას მსოფლმხედველობის გააზრება ოდენ წინამავალი ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ფონზე დიდად ნაკლოვანი იქნება. ჩვენი დიდი წინაპარი, როგორც უკვე მივუთითებდით, საკმაოდ კარგად იცნობდა მოწინავე ფილოსოფიურ, მითუმეტეს მეცნიერულ, პოლიტიკურ და ა. შ. იდეებს.

ამდენად, როგორც ისტორიული სინამდვილის, ისე საზოგადოებრივი აზროვნების გათვალისწინებისას მხედველობის არეში უნდა ვიქონიოთ ილიას დროინდელი დიდი რეალობანი. სამწუხაროდ, ქართულ მეცნიერებაში, კერძოდ, ისტორიოგრაფიაში, გაბატონებული ნამეტანი სპეციალიზაციის გამო, მსგავსი მიდგომა დღემდე გამორიცხული რჩება.

ვითომდა ისტორიული მატერიალიზმიდან გამომდინარე, ურყევად მიაჩნდათ, რომ კლასობრივად დიფერენცირებულ საზოგადოებაში პოლიტიკური თუ რელიგიური (საეკლესიო) მოღვაწე, ხელოვანი, მეცნიერი (ჰუმანიტარი) და მისთანანი ყოველთვის, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, გამოხატავდნენ მხოლოდ განსაზღვრული კლასის ინტერესებს. ამდენად, ავიწყდებოდათ, რომ თავისუფალი და დაპყრობილი, კერძოდ, იმდროინდელი საქართველო, აღნიშნული თვალსაზრისით ერთნაირი როდი გახლდათ. საკუთრივ ევროპის კონტინენტზე ვხვდებით რიგ შემთხვევებს (ირლანდია, პოლონეთი, თათარ-მონღოლთა უღლის პერიოდის რუსეთი, თურქეთის ბატონობის ქვეშ მყოფი რიგი სლავი ხალხებისა, რუმინელები, ბერძნები და მისთ.), როდესაც შესაბამისი ქვეყნის ისტორიის მსვლელობა გართულებული იყო ხოლმე საგარეო მომენტით – სერიოზული საფრთხით სხვა, უფრო ჩამორჩენილი, მტრული საზოგადოებების მხრივ, მით უფრო – დაპყრობის შემთხვევებში. პირველთა ისტორიული პროცესი კიდევ უფრო რთულდებოდა ეროვნული ორგანიზმის მცირე ზომების შემთხვევაში, სუსტი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ინტეგრაციისას, მოსახლეობის ეთნიკური და კონფესიური შემადგენლობის სიჭრელისას. ასეთ პირობებში კლასობრივი ბრძოლის კანონზომიერება, რასაკვირველია, მნიშვნელოვანწილად

მოდიფიცირდებოდა, სახესხვაობდა. ვიმეორებთ, ეს მნიშვნელოვანი გარემოება ქართველ მეცნიერთა და ფილოსოფოსთა გაგების მიღმა რჩებოდა.

რაგინდ პარადოქსულადაც უნდა გამოჩნდეს, აღნიშნულ გარემოებას ყურადღება მიაქცია ფრიდრიხ ენგელსმა (იხ. ქვემოთ). თათარ-მონგოლთა ბატონობის პერიოდის რუსეთის ისტორიის მიმართ ენგელსის ეს აზრი სისტემური სახით იქნა გატარებული გიორგი პლეხანოვის მიერ თავის ნაშრომში „История русской общественной мысли" (იხილეთ განსაკუთრებით შესავალი).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი ლიდერი კარლ კაუცკი წერდა: „მაგრამ ამგვარი ეროვნული პოზიციის გამო სუსტდება კლასთა ბრძოლა. თუ ერთი ერი იჩაგრება მეორის მიერ ერთი და იგივე სახელმწიფოში, მაშინ ადვილად მიიღწევა სოლიდარობა დაჩაგრული ერის ყველა კლასის მჩაგვრელთა მიმართ. კლასობრივი წინააღმდეგობანი იჩრდილება ანდა მახინჯდება, ისინი სრულიად არ ვლინდება ან ვლინდება შერყვნილი სახით"[1]. მეცხრამეტე საუკუნის 50 – 60-იანი წლების ვითარების თაობაზე თვით ვ. ი. ლენინიც კი,რომელიც ჩვეულებრივ გაზვიადებულად წარმოადგენდა ისტორიაში კლასობრივი ბრძოლის მნიშვნელობას, აღნიშნავდა: „რევოლუციური იყო სწორედ პოლონეთი მთლიანად, არა მარტო გლეხობა, არამედ თავადაზნაურობის მასაც"[2]. ამრიგად, ფ. ენგელსი, გ. ვ. პლეხანოვი, კ. კაუცკი და ვ. ი. ლენინიც კი სავსებით ნათლად მიუთითებდნენ გარკვეულ ისტორიულ სიტუაციებში მთელი ერის შეკავშირების შესაძლებლობასა და ფაქტს.

საქართველოს ისტორიაც ზემოაღნიშნულის ბრწყინვალე დადასტურებას წარმოადგენს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მსგავსი სიტუაციები ჩვენი ისტორიის მანძილზე ძალიან ხშირი იყო, შესაბამისად, ჩვენში კლასთა ბრძოლა უფრო დიდი ხნის განმავლობაში ინაცვლებდა ხოლმე უკანა პლანზე. და ეს გარემოება შეუმჩნეველი როდი დარჩენია უწინდელ ქართულ აზროვნებას; მასზე მიუთითებდნენ ივანე ჯავახიშვილი, არჩილ ჯორჯაძე[3], გრიგოლ ნათაძე, სერგი დანელია. ნაწილობრივ, არათანმიმდევრულად, ამასვე აღნიშნავდა ნიკო ბერძენიშვილიც, კერძოდ, სოლომონ II-ის მეთაურობით იმერეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის შესახებ[4]. აღნიშნულ მოძრაობას ჩვენი ცნობილი ისტორიკოსი აფასებდა, როგორც ქართველი ხალხის დიად ბრძოლას. იგი სავსებით სწორად შენიშნავდა: „თითოეულ კლასს ამ აჯანყებაში

თავისი ინტერესი ჰქონდა და სწორედ ამ ინტერესთა რეალიზაციისათვის ყველა ეს კლასები შეთანხმებული იყვნენ („сходятся" „на известных, определённых общих задачах"). ეს „общие задачи" იმერეთის აჯანყებაში „ქართველობის" აღდგენა ანუ „სამშობლოს განთავისუფლება იყო"[5]; „ამ აჯანყების მთავარ ლოზუნგად თავიდანვე იყო და ბოლომდის დარჩა სამშობლოს განთავისუფლება"[6]. ნიკო ბერძენიშვილის რეცენზიაში აბელ კიკვიძის წიგნზე ვკითხულობთ: „საქართველოში, მისი გრძელი ისტორიის მანძილზე, არა ერთი აჯანყება მომხდარა, როცა თავადაზნაური და გლეხი, მთა და ბარი, ერი და ბერი დამპყრობელის წინააღმდეგ ერთად ამდგარა. კლასობრივი წინააღმდეგობანი აჯანყებულთა დასებს შორის, რა თქმა უნდა, ამ დროსაც რჩებოდა, მაგრამ წინა პლანზე განმსაზღვრელ მომენტად დამპყრობელის წინააღმდეგ ბრძოლა დგებოდა, რომელიც მოწინააღმდეგე კლასებს დროებით აერთიანებდა იმდენად, რამდენადაც დამპყრობელი მეტნაკლებად ქართველი საზოგადოების ყოველ კლასს ემუქრებოდა"[7]. ასევე, 1949 წელს დაწერილ ნაშრომში „საქართველო XIX საუკუნის პირველ მეოთხედში" ნიკო ბერძენიშვილი აღნიშნავდა: „მოხდებოდა ხოლმე, რომ ეს ურთიერთის მოწინააღმდეგე კლასები ამა თუ იმ მომენტში საერთო პროტესტით გამოდიოდნენ და ასეთ შემთხვევებში საზოგადოებრივი მოძრაობაც საერთო, სახალხო მოძრაობის იერს იღებდა"[8].

აქ კითხვა დაისმის: როგორიც თანაფარდობა ეროვნული და სოციალური საკითხების გადაწყვეტისას აღნიშნულ სიტუაციებში? დგება ისინი თანაბრად, თუ სოციალური საკითხი მაინც წინა პლანზე იწევს. ამ კითხვაზედაც დამაჯერებელ პასუხს ვპოულობთ ფრიდრიხ ენგელსის თეორიულ ნააზრევში.

ფრიდრიხ ენგელსისა და სხვათა ავტორიტეტების გარეშეც ნათელი უნდა იყოს ის გარემოება, რომ ეთნოსის, ერის დაპყრობილობის შემთხვევაში უკანასკნელის მთელი ენერგია თავდაპირველად უნდა წარიმართოს უცხო დამპყრობთაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ, რომ სოციალური საკითხი ამჯერად უკანა პლანზე უნდა გადადიოდეს და გადადის კიდეც. უკანასკნელი გარემოება დღის წესრიგში დგება მხოლოდ ერის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ. ფრიდრიხ ენგელსს მოჰქონდა იტალიის, გერმანიისა და უნგრეთის მაგალითები და უჩვენებდა, რომ გასული საუკუნის 60-იან, 70-იან წლებამდე სოციალური განთავისუფლებისათვის ბრძოლა ამ ქვეყნებში ძალიან

ნელა მიდიოდა ეროვნული სახელმწიფოებრიობის არარსებობის, ამით ეროვნული თავისუფლების უქონლობის მიზეზით, რომ მხოლოდ ეროვნული თავისუფლების მოპოვების შემდეგ წავიდა აქ წინ სოციალური განთავისუფლების საქმე[9].

ამჯერად შევწყვეტთ საკითხის მეთოდოლოგიური ასპექტის თაობაზე მსჯელობას. როდესაც საქართველოს ისტორიულ პროცესში შესაბამის თემას ავითარებდნენ და ავითარებენ, ვიმეორებთ, ჩვეულებრივად, საკითხს სხვაგვარი მეთოდოლოგიური პოზიციიდან უდგებიან ხოლმე, არ ითვალისწინებენ რა ჩვენი ისტორიის სპეციფიკას, რითაც იგი საფრანგეთის, ინგლისისა და სხვა დასავლეთევროპული ქვეყნების ანალოგიური ისტორიული ეპოქებისაგან განსხვავდებოდა. გარკვეულ ვითარებაში, როგორც უკვე აღვნიშნავდით, კლასობრივად სტრატიფიცირებულ (დაშრევებულ) საზოგადოებაში კლასობრივი ბრძოლა სულაც არ ყოფილა პროპორციული კლასობრივი განშრევებისა, იგი უკანა პლანზე გადადიოდა ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და მოპოვებისათვის ბრძოლასთან შედარებით. საგარეო მომენტი იწვევდა პოტენციურად მებრძოლი მხარეების გაერთიანებას, მათი ინტერესების თანხვდენას. ამდენად, იქმნებოდა საფუძველი დაპირისპირებულთა ერთიანობისათვის. რასაკვირველია, აღნიშნული გარემოება აბსოლუტურად არ გამორიცხავს იმ აზრის ჭეშმარიტობას, რომ სოციალური პროგრესის უმთავრესი წყაროა კლასობრივი ბრძოლის ფართოდ გაშლა. აღნიშნულ სიტუაციებში სოციალური პროგრესი ფერხდება; ეთნოსის, ერის მთელი ენერგია ხმარდება თვით ეთნიკური, ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნებას, შემდგომი სოციალური განვითარების საქმე მისთვის ზედმეტი ფუფუნება ხდება. და რაც უფრო დიდხანს აქვს ადგილი აღნიშნულ გარემოებას, მით უფრო მეტ ხანს ხდება დაპყრობილი ეთნოსის განვითარების შეფერხება. ზემოაღნიშნულის გასაგებად, ვიმეორებთ, საქართველოს ისტორია კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს[10]. დიდად სამწუხაროდ, ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა, – როგორც მენშევიკებმა, ისე ბოლშევიკებმა, – ეს ელემენტარული ჭეშმარიტება ვერ გააცნობიერეს და ამ საფუძველზე ძალიან დაუპირისპირდნენ ილია ჭავჭავაძეს, რომელიც, რაგინდ პარადოქსულადაც უნდა გამოჩნდეს, ბევრად უფრო ახლო იდგა საკითხის მარქსისტულ გაგებასთან, ვიდრე ქართველი სოციალ-დემოკრატები.

ზემოთქმული ზოგადი მოსაზრებების შემდგომ გადავალთ უშუალოდ ჩვენთვის საინტერესო პრობლემაზე.

როგორც უკვე აღვნიშნავდით, დაპყრობილ ქვეყანაში უმთავრესი ხდება ხალხის, ერის ძალების მობილიზაცია ეროვნული განთავისუფლებისათვის. მაგრამ ჩვენმა შესაბამისმა ისტორიულმა სინამდვილემ ამაში გარკვეული კორექტივი შეიტანა. ფაქტია, რომ ახალგაზრდა ილია მკვეთრად გამოვიდა ისტორიულ ანაქრონიზმად ქცეული ბატონყმობის სოციალური ინსტიტუტის წინააღმდეგ. ეს აქტი სავსებით კანონზომიერი გახლდათ და გამართლებულია დღევანდელი ისტორიული გადასახედიდანაც.

როგორც ცნობილია, მეფის რუსეთის დამარცხებამ ყირიმის ომში (1853 – 1856) ქვეყნის მმართველი წრეები აიძულა საკმაოდ რადიკალური რეფორმები მოეხდინათ. უპირველეს ყოვლისა ეს შეეხებოდა ბატონყმობის გაუქმებას, რაც, თავის მხრივ, ერთ-ერთი მძლავრი წანამძღვარი უნდა გამხდარიყო კაპიტალიზმის განვითარებისათვის. ამგვარ ტენდენციას, ცხადია, ვერ გაექცეოდა მით უმეტს ახალგაზრდა, რადიკალურად განწყობილი ილია. მის მხატვრულ ქმნილებებში ანტიბატონყმური იდეოლოგია აშკარად არის გამოკვეთილი.

„კაკო ყაჩაღს" (ანუ „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ") (დაიწერა 1860 წელს) ეპიგრაფად აქვს შოთა რუსთაველის ცნობილი სიტყვები:

„მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები,
მიღვწიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები".

აშკარაა, რომ ახალგაზრდა ილიამ დიდი წინაპრის ამ სიტყვებს ახლებური ეღერადობა მისცა და იგულისხმა სწორედ ყმათა განთავისუფლება.

ყაჩაღობის გზაზე დამდგარი ზაქრო კაკოს ეუბნება:

„მხეცი რამ იყო ბატონი ჩვენი,
ერთი აჯამი, გულქვა, რეგვენი,
იმას კაცებრი გული არ ჰქონდა..."

მაგრამ ამგვარი ხასიათი მხოლოდ ერთეულ ბატონებს როდი აქვთ: ზაქრო ანზოგადებს:

„რა გაეგრძელო, თავადის-შვილი
კარგი რა არის, ავი რა იყოს?!"

პოემის იგივე პერსონაჟი აცხადებს:

„შენც, ძამო, ვიცი, გაგიგონია,
ყმის ბედი რარიგ სწრაფად იცვლება!
თუ ყმასა გუშინ ბედი ჰქონია,
არ იჯერებს, რომ დღესაც ექმნება.
ჩვენი წადილი, ჩვენი იმედი
ყოველთვის, ძამო, არის საფრთხეში,
გლეხკაცის და ყმის ლიტონი ბედი,
ვერა, ვერ გასძლებს ბატონის ხელში...”

აქ იგულისხმება, რომ მებატონეთა შორის ფსიქოლოგიურად რაღაც განსხვავებანი არსებობს, რაც აისახება მათსა და ყმა-გლეხებს შორის ურთიერთობაში (უწინ, რუსეთის მფლობელობამდე, ამ მხრივ ურთიერთობებში გარკვეული კორექტივები შეჰქონდათ ქართველ მეფეებს, განსაკუთრებით ერეკლე მეორეს). მაგრამ ეს ეპიზოდური ხასიათისაა, მთლიანობაში აღებული ბატონ-ყმური ურთიერთობანი აუტანელია, გლეხობის იდეალი გახლავთ თავისუფლება.

კაკო ამბობს: „მაგრამ იქ ყველა გვიადვილდება,
სადაც ჩვენვე ვართ ჩვენი ბატონი!”

ახალგაზრდა ილია ამჩნევდა ახალ ტენდენციას – ჩაგრული გლეხკაცობის მისწრაფებას გაერთიანებისაკენ, სოლიდარობის გრძნობისა და შეგნების გაღვივებას.

როცა მეურმე ზაქროს აფრთხილებს ყაჩაღ კაკოს არ გადაეყაროს, პირველი ასე პასუხობს:

„ – შენ ფიქრი ნუ გაქვს! ...მეც იმას ვეძებ,
მეც მისებრ, ძამო, მიღრინავს გული;
როგორც ის ცხოვრობს, ისე ვიცხოვრებ
ამ დღიდგან თავზედ ხელაღებული”.

მსგავსი განწყობილება არსებობს მეურმეში, მხოლოდ იგი ამას პასიურად გამოხატავს:

„თითქო შენატრდა იმას მეურმე,
„ახ, ნეტავი შენ!” – წაიდუდუნა.

და, გააქნივა რა თავი მერმე,
შურით ხარს შოლტი გაუტყლაშუნა,
და მერმე ისეე უფრო მწუხარედ
თვისი სიმღერა დაიღუღუნა".

„გლახის ნაამბობში"[11] გაბრო აცხადებს: „მაშინ რა ვიცოდი სულელმა, რომ უყროს-უმცროსობაში სიყვარული სიზმარია? რა ვიცოდი, რომა ბატონ-ყმობის შუა სიყვარულის ხიდი არ გაიდება? ეგრე ყოფილა ქვეყანაზედა, ცალს თურმე ცალმა უნდა უცალოს!... ეს რო მცოდნოდა, ღმერთსა ვფიცავ და ჩემ მამა-პაპის სალოცავსა, გულში ნაღველს ჩავიწურავდი და იმის (დათიკოს, – **გ. ჯ.**) სიყვარულს კი იქ არ გავიტარებდი. მაშინ რა ვიცოდი?..."[12] აქაც განსოგადებაა, თუმცა იგივე გაბრო გამონაკლისს უშვებს, როცა დათიკოს მამას იხსენებს: „ვიცი, ამას დათიკო იწყენს, მაგრამ რა ეუყოთ: შვილი მამისა არის. ამისთანა კეთილი იყო ის კურთხეული! ბატონის კაცის შვილი მამისა კი არ არის, ბატონისაა, მაგრამ ის კურთხეულის შვილი სხვა გულის პატრონი იყო..."[13]

აღნიშნული თვალსაზრისით დიდად საინტერესოა მღვდლისა და გაბროს დიალოგი. მღვდელი ეკითხება:

„...შენ ხომ ბატონის კაცი ხარ?
– ყმა გახლავარ.
მღვდელმა უგემურად გაიქნია თავი, თითქო შეწუხდაო"[14].

იგივე მოქმედი პირი დასძენს: „რაც უნდა იყო, მე და შენ კაცები ვართ, ღვთის შვილები"[15].

„გლახის ნაამბობში" სხვა ადგილას ვკითხულობთ:

„ტყუილად კი არ მითხრა, ეოცა ავთანდილის და შერმადინის ამბავი წავიკითხე და აღტაცებულმა უნებლით წამოვიძახე:
– ვენაცვალე შენს დამწერსა! აი, ბატონ-ყმობა თუ იყოს – ამისთანა.
– მოგწონს? – მკითხა მღვდელმა.
– აბა რა?
– მართალი ხარ! – მიბძანა იმან ნაღელიანად, – უარესს ეგა სჯობია.
ამის შემდეგ რაღაც ფიქრმა წაიღო მისი გონება და გული; მე თვალი მომარიდა და ჭერს გაუშტერა. კარგი ხანი დაჩუმებული იყო,
მერე კი თითქო უნებლიეთ, თავის-თავად უფრო დაღონებულად სთქვა:
– იმას კი არა შეედრება-რა, როცა ცა ქუდადა გაქვს და დედამიწა ქალამნადა"[16].

გაბრო თხრობას ასე განაგრძობს: „მე მაშინ არ მესმოდა, რას ამ-

ბობს. უეცრად ჩემკენ მოატრიალა თავალი. როცა კარგი ხანი კიდევ მოიფიქრა, მითხრა:

– ერთი ეს მითხარ: ხელში ნაპატივები მიმინო უფრო კარგია, თუ ის მიმინო, რომელსაც გაჩენის დღიდგან კაცის ხელი არ მოჰხვედრია?"[17]

ამის შემდგომ დიალოგი წარიმართება მიმინოს მოთვინიერებაზე და შემოდგომით მათს გაფრენაზე, ე. ი. გათავისუფლებაზე. მღვდელი მრავალ-მნიშვნელოვნად დასძენს: „დაილოცა ისევ შემოდგომის მადლიანობა! ყველა მაშინ დაბინავდება, მიმინოც კი, მიმინოც!..."[18]

ყველა აქ მოტანილ ციტატაში პირდაპირ ან არაპირდაპირ – ალეგორიულად ლაპარაკია ბატონ-ყმობის დაგმობაზე და ყმა-გლეხთა განთავისუფლებაზე. ცხადია, მღვდლის სიტყვებით აქ ახალგაზრდა ილია ჰღაღადებს.

ანტიბატონყმური იდეები კიდევ უფრო აშკარად, ვიდრე „გლახის ნაამბობში", გამოკვეთილია პოემა „აჩრდილში"[19]. ნაწარმოების XI თავში აღწერილია ბატონისა და მონის (ყმის) ურთიერთობის მძიმე სურათი. აქ ვკითხულობთ:

„მაგრამ ქვა არის ბატონის გული,
ვერ დაარბილებს მას შებრალება;
ვერა გაჰკურნოს მან მონის წყლული,
ვინც მონებას თვით ემორჩილება".

ყმა მოსთქვამს:

„-ვაი, ვაგლახი, ჭირნახულობა,
თმენა, ცდა, სიმხნე და უძილობა –
მარტო ბატონის თვალსა ახარებს
და თქვენ, ცოლ-შვილო, კი არას გარგებს".
„ვინა შრომობდა და ვინა ჰძღება,
ღმერთო, სად არის აქ სამართალი?!"

კიდევ უფრო მძაფრია ანტიბატონყმური განწყობილება პოემის მომდევნო, XII თავში. აქ აღწერილ სურათში ნაჩვენებია ყმათა ელემენტარული ადამიანური უფლებების ფეხქვეშ გაქელვა. უკვე წაშლილია ზღვარი ბატონყმობასა და თვით მონობას შორის. ილია ყმა-გლეხის მისამართით ამბობს:

„შენში კაცისას გრძნობას არ ხედვენ,
დედას ძუძუდგან შვილსა აჭლეჯენ,
ვინ იცის, სიდამ სად გაჰყიდიან...”

განა მსგავსმა ვითარებამ არ განაპირობა კერძოდ ზაქროს და გაბროს ტრაგედია, რის შედეგადაც ისინი ყაჩაღობის გზას დაადგნენ – კეთილი გულის მქონე ადამიანები კაცისმკვლელებად შეიქნენ.

ავტორის ჰუმანისტური მრწამსი შემდეგ სტრიქონებშია გაცხადებული:

„შრომისა შვილო, მძიმე უღელი
ქვეყნის ცოდვისა შენ გაწევს კისრად,
თუმცა ტვირთმძიმეთ შემწყნარებელი
შენის დახსნისთვის ჯვარს ეცვა ქვეყნად;
თუმცა ქვეყანას მისი მოძღვრება
დღეს მარტო სიტყვით უქმით პრწმენია,
მაგრამ ცხადად ჰხმობს მის წმინდა მცნება,
რომ მყოობადი მარტო შენია,”

1860 წელს დაწერილ ლექსში „მუშა” ილია ბედკრულ ადამიანს მიმართავს:

„ბატონის მათრახს ვერ გაუძელ, გამოქცეულხარ,
მოშორებულხარ ჯალაბობას, შენსა სახლ-კარსა,
მინდორს მამეულს და შეჩვეულს მიწასა, წყალსა?”

ყოველივე ზემოაღნიშნული ნათლად უჩვენებს, თუ ვის – ბატონისა თუ ყმა-გლეხის მხარეზე იდგა ილია მათი ურთიერთობის უმწვავეს ფაზაში (ბატონყმობის გაუქმების წინ). მაგრამ ამ ნათელ გარემოებას ვერ ამჩნევდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები (მოვიგონოთ მშვენიერი ქართული ანდაზა: „რაც არ უნდა მინდისაო, ყურში მძიმედ მისდისაო”).

მეტსაც ვიტყოდით. ილია ისტორიის ანაქრონიზმად ქცეულ ბატონყმობას მარტო ხელოვნების მეშვეობით, ასე ვთქვათ, თეორიულად როდი ებრძოდა, არამედ პრაქტიკულადაც იღვწოდა მისი გაუქმებისთვის. როცა საკითხი დადგა გლეხკაცობის უმიწა-წყლოდ თუ მიწა-წყლითურთ განთავისუფლებაზე, ილია, როგორც ვამბობდით, უყოყმანოდ დადგა მეორე პოზიციაზე, რითაც თავადაზნაურობის რისხვა დაიმსახურა[20].

რასაკვირველია, მსგავსი საპროტესტო განწყობილებით ახალგაზრდა ილია მკვეთრად დაუპირისპირდა ქართული საზოგადოების გაბატონებულ ნაწილს. მაგრამ ამ შემთხვევაში ოფიციალური ხელისუფლებაც ხომ, ისტორიის გონის წყალობით, მსგავსსავე თვალსაზრისზე იდგა. შეიძლება, აქედან გამომდინარე, ისეთი დასკვნა გაკეთდეს, რომ ილიას რევოლუციურ სულისკვეთებაზე ლაპარაკი გადაჭარბებულია. მაგრამ მივმართოთ სხვა ფაქტებს, რომლებშიც გაცხადებულია სწორედ ამგვარი პოზიცია და აშკარად ჩანს, რომ ილია არ ერიდებოდა რადიკალურ (იდეურ) დაპირისპირებას მეფის რუსეთის ხელისუფლებისადმი.

1858 წელს დაწერილ ლექსში „გაზაფხული" ეკითხულობთ:

„ვიშ, გაზაფხული
მოდის მორთული,
მოდის და მოაქვს
ცით სიხარული".

კერძოდ:
„ზამთრითა შეკრულს
წყალს დამონებულს
ყინვა ადნება,
მონებაც სწყდება.
მიდის აძლევს ბანს
ქვეყნის გალობას
და მით მადლს უხდის
თავისუფლობას".

აღნიშნულ ლექსში, „ჩიტში" და ა. შ. ალეგორიულად არის გამოხატული ილიას მისწრაფება თავისუფლებისადმი და აქედან გამომდინარე – რუსეთის თვითმპყრობელობასთან დაპირისპირებულობა. ასევე მეტად გამჭვირვალეა ილიას სათქმელი „გუთნისდედაში" (დაწერილია იმავე 1858 წელს):

„შენ პირუტყვი ხარ და მე მეტყველი?!...
ეგ, ჩემო ლაბავ, ნუ შეგშურდება...
რად მინდა ხმალი, თუნდა იყოს მჭრელი,
თუ სიმართლისთვის დამიჩლუნგდება?"

1858 წელსვე დაწერილ ლექსში „ჩემი თარიალალი" პირდაპირი

გამოწვევაა მეფის ხელისუფლებისადმი:

„რაგინდ რომ ცარი ღრინავდეს,
ჩვენის სისხლისთვის გრგვინავდეს,
ვერ შეგვაშინებს ჩვენ ცარი,
თუ გულში ძმობა ბრწყინავდეს";
„ცარმა რა ერთხელ ინება,
მორჯმულ კაცის დამონება,
თვის რჩეული კერპად დასვა,
სული ეშმაკთ მიანება";
„თუ ერთობა ჩვენ გვექნება,
ცარი წინ ვით დაგვიდგება;
ჩვენგანი ქართველის დამთრგუნველს
ან მოჰკლავს, ან შეაკვდება";
„ჰე, ძმანო, ვიყვეთ ერთ ბედით,
წინა წავიდეთ გაბედვით,
ცენზორი ვერას დაგვაკლებს
თვისის ბრმა წინასწარხედვით";
„ვემსხვერპლოთ ქრისტისა მცნებას,
ვაშოროთ ქართელი მონებას";
„სიბრიყვის კარი გავტეხოთ
მონარხთა გამოჯავრებით".

ასე რომ, ილია ოდენ კი არ ელოდებოდა მოვლენათა სასურველ განვითარებას, არამედ მზადა იყო აქტიური ჩარევით დაეჩქარებინა ეს პროცესი. ამ ფონზე უნდა გავიგოთ შემდეგი სტროფი „ჩემი თარიალალიდან":

„თუ დაევსწრათ გაზაფხულსა,
ჩვენგან ნათესს აღმოსულსა,
მეტი ჯილდო რაღად გვინდა,
თუ ესჯვრეტთ მამულს გაფურჩნილსა?!"

მომდევნო წელსაა დაწერილი ლექსი „ნანა" სადაც ასეთივე რადიკალური, რევოლუციური სტრიქონებია:

„შვილო, ყრმობის სიზმრები
ბრძოლაზედ გაგეცველება.
არ შემიდრკე მაშინა,
ნანა, შვილო, ნანინა!";
„შვილო, დედისა ნანა,

ხმლის ჟღერად შეგეცელება";
„აინთე ცეცხლით გული,
მტერსა დაეცი მეხად,
ან, ვით შვილი ერთგული,
დააკვდი მამულს მსხვერპლად!";
„დედათა გული ჩჩვილი
მამულისთვის მაგრდება,
რად მინდა იგი შვილი,
თუ მისთვის არ მოჰკვდება!";
„თუ ეგრე შენ მოჰკვდები,
ნუ გინდა ნურა ძეგლი,
ისეც უკვდავ იქმნები,
ვით დედის შენის ცრემლი!
ჩემი ნანა ეს არი,
შვილო, მას უერთგულე,
რაც მე სიტყვით გითხარი,
შენ საქმით აღმისრულე!"

„ქართველი სტუდენტების სიმღერაში" (დაწერილია 1860 წელს) ილია წერდა:

„მამულისა შვილნი ჩვენც ვართ
და მიტომ ვზრდით ჭაბუკს სულსა,
რომ ოდესმე გამოვადგეთ
დაობლებულს ჩვენს მამულსა".

„გამოდგომაში", ცხადია, უპირველესად სპეციალობათა დაუფლება, პროფესიონალიზმი კი არ იგულისხმება, არამედ საბრძოლო შემართებაც:

„მაგრამ ეხლაც საქმით, სიმხნით
სხვას არც ჩვენ დავუვარდებით;
ბრძოლად რომ მამულმა გვიხმოს,
ეხლაც კი გამოვადგებით".

იმავე წელს დაწერილ ლექსში,რომელსაც პირობითად „მესმის, მესმის" ეწოდა, ახალგაზრდა ილიას იდეალია ეროვნული განთავისუფლება, რომელსაც იმხანად რიგ ქვეყნებში (განსაკუთრებით იტალიაში) აჯანყებების სახით ჰქონდა ადგილი. ცნობილია, რომ ერთხანს იგი ჯუზეპე გარიბალდის ჯარში მოხალისედ წასვლასაც კი აპირებდა[21].

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ნათელია ახალგაზრდა ილიას პროტესტანტული, რევოლუციური შემართება მეფის ხელისუფლებისადმი, საერთოდ ცარისტული რუსეთისადმი. აქედან ცხადი ხდება დასკვნა, თუ ვინ იგულისხმება „ბნელ დემონში", რომელიც „აჩრდილის" თავდაპირველ ვარიანტშიც (XIII ხანაში) ფიგურირებს:

„ბნელო დემონო! აღავსე გესლით
ამ დაღლილ ხალხის სუსტი არსება
და ბოროტების ძლიერ მარჯვენით
პირველ შენ ჩარგე აქ ბოროტება;
მაცდურის ხელით მაცდური თასი
ღვარძლითა სავსე შენ ამ ხალხს ასეი;
და იმა თასის გრძნეულსა სიტკბოს
სად უძლო კაცმა, რომ [აქ] გაეძლოს?!
მიეც მშვენიერ გარესაცმელი,
ვერ გიცნო ხალხმა და იმავ წამსა
შეიქმნა ბრმადა შენი მლოცველი;
და ის, ვინც გუშინ მწარედ გწყეველიდა,
დღეს თვის დამხსნელად მხოლოდ შენ გზრდიდა!
ბრმადა მოგანდო მან თვისი გული,
გული დაღლილი, მაგრამ ერთგული!..
ბნელზედ გაცვალა ხალხმა ნათელი
და მონებაზედ სასუფეველი!
მას აქეთ წინ გზა დამონებისა
და უკან კვალი უმეცრებისა
ხალხს დაულოცე და დაუნიშნე,
ყოველი აზრი შენ მას მოუკალ,
და იმ იმედით დღეს დააძინე,
რომ დაიძინებს იგი კიდევ ხვალ".

თვითონ ავტორი „დემონს" სქოლიოში ასე განმარტავდა: „ამ დემონს იცნობს ყოველი, ვისაც კი საქმე ესმის". სწორედ მსგავს შემთხვევებზე ამბობენ, გამგები გაიგებსო. წინა, მეთორმეტე ხანაში კი ლაპარაკია თანადროული თბილისის მორალურად გადაგვარებულ ყოფაზე, რაც უმეტესწილად მხსნელად მოვლენილი ხელისუფლების დამსახურებაც გახლდათ. დაბოლოს, აღნიშნული გარემოება, პირველად, რამდენადაც ვიცით, შენიშნა ფილოსოფოსმა ალექსანდრე ქუთელიამ თავის აღნიშნულ სტატიაში.

პოემა „აჩრდილში" ილია სახავს მეორე იდეალს – „შრომის ახსნას", რომელიც მშვიდობიანი გზით როდი მიიღწევა. მის რევოლუ-

ციურ სულისკვეთებას ნათელყოფს შემდეგი სტრიქონები:

„შრომისა ახსნა – ეგ არის ტვირთი
ძლევამოსილის ამ საუკუნის,
კაცთა ღელვისა დიადი ზვირთი
მაგ ახსნისათვის მედგრადა იბრძვის.
ვეღარ განუძლებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ქროლას,
ვეღარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი
ჭეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას, –
და დაიმსხვრევა იგი ბორკილი
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,
და ახალს ნერგზედ ახლად შობილი
ესე ქვეყანა კვლავ აღყვავდების".

ახალგაზრდა ილია კარგად აცნობიერებდა, რომ თავისუფლების მოპოვება მძაფრ სოციალურ ჭიდილში ანუ კლასობრივი ბრძოლის გზით მიიღწეოდა. ამ გზაზე მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენდა კონსერვატიული ძალები, რომელთაც თავიანთი ეგოისტური ინტერესები ამოძრავებთ:

„მოძმეთა ხსნისთვის თავის-დადება
წმინდა ხვედრია მხოლოდა გმირთა
და მას ვით შესძლებს თავმოყვარება,
რომელიც იმა დიდკაცთა სჭირთა?
ის რად ინდომებს ქვეყნისა ბედსა,
როს მასა შველის მის ბედკრულება?
რად შეებრძვის ის სიბოროტესა,
როს მეოხებით მისით თვით ჰრჩება?"

იგივე თემა აშკარად ჩანს გამოკვეთილი პოემაში „ქართველის დედა (სცენა მომავალ ცხოვრებიდან)" (ილიამ მისი დაწერა დაიწყო 1860 წელს და დაამთავრა 1871 წელს). პოემაში ნამდვილი ჰიმნია აღვლენილი თავისუფლებისადმი:

„თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი,
შენ ხარ ჩაგრულის, წვალებულის წმინდა საფარი,
შენ ხარ მშვიდობა და სიმრთელე ამა ქვეყნისა,
შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა".

რამდენადაც დიდი ფასეულობაა თავისუფლება, იმდენად ძნელი გახლავთ მისი მიღწევა:

„რაღად ჰღერის დღესაც შენთვის სისხლსა ადამიანი?
რად შეიღებე კაცის სისხლით საშიშრად ჩვენდა
და რისთვის დახვალ ამა ქვეყნად პირსისხლიანი?
თვით ხარ მშვიდობა, უხვად მადლთა ქვეყნად მომფენი,
მაგრამ სისხლით კი იკვლევს გზასა მძებნელი შენი!
რად არ შენდება უსისხლოდა მისი ტაძარი,
მისი, რომელიც თვით მშვიდობის ღვთაება არი?..."

პოემაში კონკრეტულად ეროვნულ თავისუფლებაზეა ლაპარაკი. მაგრამ იგი განსახორციელებელი საქმეა და მომავალში უთუოდ განხორციელდება. იგი მიძღვნილია გამოჩენილი, ილიას სულისკვეთებისავე მქონე ადამიანის – პეტრე ნაკაშიძისადმი:

„აჰა, იმ დროთგან ერთი სახე ამოღებული,
რომელნიც ერთად გვინატრია უცხოეთში ჩვენ,
რომელთ იმედი, ღვთიურ სხივით გაბრწყინვებული,
დღესაც გულში გვაქვს მტკიცე რჯულად, ძმაო, მე და შენ"[22].

პოემა „ქართველის დედის" ეპიგრაფად მოხმობილია დიდებული ქართული ხალხური ლექსი:

„გაგვიძეღ, ბერო მინდიავ,
მუხლი მაიბი მგლისაო,
გაიყოლიე უმცროსნი,
ვისაც თავი აქვს ცდისაო".

პოემაში აშკარად ფიგურირებს აჯანყების გზით ეროვნული თავისუფლების მოპოვების იდეა. მაგრამ ამისათვის აუცილებელი წანამძღვარია კავკასიის ხალხების გაერთიანება. ეს მოტივი თავს იჩენს „აჩრდილში", სადაც ასეთი კითხვაა დასმული:

„როს იგი ტომნი ცად მიღწეულ მძლავრ კავკასისა
ერთისა აზრით, ერთის ფიქრით განდიდდებიან?"

„ქართველის დედაში" დედა ასეთ სიტყვებს წარმოსთქვამს:

„ჩემი მამული, საქართველო, დღეს მიცოცხლდება!
ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს,
კასპიის ზღვიდამ შავ ზღვამდინა ერთს ფიქრსა ჰფიქრობს, –
და ეგ ფიქრია მთელ კავკასის თავისუფლება!...
დიდია ხალხი, როს ეგ გრძნობა წინ წარუძღვება!"

იგივე აზრს შვილი (კიაზო) ასე გადმოსცემს:

„მოვიდა ჩვენი სანატრელი, დედავ, ამბავი:
ჩვენი ქვეყანა, საქართველო, გაღვიძებული,
მთელი კავკასი, მტერზედ რისხვით აღმომქშინავი,
ერთისა აზრით, ერთის გრძნობით აღელვებულა.
მომილოცნია!... გაგვითენდა ძლიეს ბნელი ღამე!"

ყოველივე ზემოაღნიშნული, რა თქმა უნდა, სულაც ვერ თავსდება ილიას შესახებ არსებულ მოარულ წარმოდგენაში, რომლის მიხედვითაც იგი მშვიდი კონსერვატორი (თანამედროვე დასავლური გაგებით) თუ ლიბერალი გახლდათ. ილიას დროს, მოგეხსენებათ, რევოლუციები (სოციალური თუ ეროვნულ-განმათავისუფლებელი) ხშირი მოვლენა იყო და შესაბამის სულისკვეთებას რომ თავი დავანებოთ, ილიასათვის შემეცნების დონეზეც იგი დიდად აქტუალურ, ფასეულ მოვლენას წარმოადგენდა. „მგზავრის წერილებში" (დაწერილია 1861 წელს, საბოლოო რედაქცია დადგინდა ათი წლის შემდგომ) ასეთ სტრიქონებს ვხედებით: „ერთის სიტყვით, ჩემს ტვინში სრული რევოლუცია მოხდა: ძირს მილაგებულნი ფიქრები მაღლა მოექცნენ, მაღლა დალაგებულნი ძირსა და მერე აირიენენ ერთმანეთში"[23]. აქ, როგორც ვხედავთ, სიტყვა „რევოლუცია" ნახმარია ფართოდ გავრცელებული მნიშვნელობით. მაგრამ მომდევნო სტრიქონებში იგი საზოგადოებისადმი არის მისადაგებული: „სიტყვამ „რევოლუცია" არ შეგაშინოს, მკითხველო! რევოლუცია იმისთვის არის გაჩენილი, რომ მშვიდობიანობა მოაქვს"[24]. აშკარაა აღნიშნული სოციალური მოვლენისადმი ილიას დადებითი დამოკიდებულება. მოთხრობაში ასეთ შედარებას ვხედებით: „ღვინო ჯერ უნდა ადუღდეს, აირიოს-დაირიოს და მერე დაწმნდება ხოლმე"[25]. შემდეგ კი ასეთი განზოგადებაა: „ესეა ყველაფერი ამ ქვეყანაზედ"[26]. თუ აქ მოცემულ სტრიქონებს ყოველივე ზემოაღნიშნულის ფონზე გავაცნობიერებთ, ნათელი გახდება ახალგაზრდა ილიას რევოლუციური სულისკვეთება. რასაკვირველია, ყირიმის ომის რუსეთისათვის მარცხიანად დამთავრებამ განაპირობა იმპერიაში რევოლუციური სიტუაცია (1859

– 1861 წლებში), რაც იმპერიის ხელისუფლებამ თვალსაჩინო სოციალური და პოლიტიკური რეფორმებით განმუხტა (1860 – 1870-იანი წლების განმავლობაში).

ილიას დადებით დამოკიდებულებას რევოლუციისადმი ადასტურებს ლექსი „1871 წელი, 23 მაისი" (კომუნის დაცემის დღე), რომელიც ამ ისტორიული ფაქტის მოხდენის ექვსი დღის შემდეგ დაიწერა. როგორც ვიცით, პარიზის კომუნას უარყოფითად შეხვდნენ არა თუ ძველი ყაიდის კონსერვატორები, არამედ ლიბერალებიც კი (მათ შორის ცნობილი ფრანგი მწერალი და პოეტი ვიქტორ ჰიუგო). მათგან განსხვავებით, ილიას პოზიცია, ვიმეორებთ, დადებითია. ლექსში ეკითხულობთ:

„ტვირთმძიმეთ და მაშვრალთ მხსნელი
დიდი დროშა დაიშალა...
კვლავ ქვეყნისა მჩაგრავ ძალამ
იგი დროშა დასცა დაბლა";
„კვლავ ძირს დასცეს იგი მცნება,
ქვეყნის ხსნად მოვლინებული,
რომლისთვისა თითონ ღმერთი
იყო ტანჯულ და ჯვარცმული";
„კვლავ შეფერხდა ისტორია,
განახლების შესდგნენ ძალნი,
და კვლავ დღესასწაულობენ
გამარჯვებულნი მტარვალნი".

თითქოს ყველაფერი ნათელია! მაგრამ ამ სიცხადის მიუხედავად, ქართველი სოციალ-დემოკრატები, მოგეხსენებათ, ილიას რეტროგრადად, რეაქციონერად წარმოიდგენდნენ. მაგრამ როგორ გავიგოთ მაშინ ილიას ზემოაღნიშნული აზრები, ისინი ხომ ახსნას საჭიროებენ? ილიას ოპონენტებისათვის აღნიშნული პრობლემა არ არსებობდა და ამდენად მათი თვალსაზრისიც, კერძოდ, ილიას შეფასებაც, მოკლებული იყო სერიოზულობას.

საერთოდაც, როგორც დასაწყისში უკვე აღვნიშნავდით, უმეტეს შემთხვევებში ახალგაზრდა ილიას გაგება და შეფასება შემდგომშიც ვერ მოხერხდა. ერთიან განზოგადების (გენერალიზაციის) ფონზე ეს გამოირიცხა, რამეთუ ლიბერალიზმის ცნებით ოპერირებისას ზემოაღნიშნული მრავალი ფაქტის ახსნა-გაგება ვერ ხერხდება. ამიტომაც მათზე თვალს ხუჭავდნენ.

ქართულ ისტორიოგრაფიაში იყო და არის მეორე შეხედულებაც, რომელიც ილიას ფენომენს რევოლუციურ-დემოკრატიზმის ცნებით

იაზრებს. ყველაზე ვრცლად და თანმიმდევრობით ამ პოზიციას იცავდა ისტორიკოსი პროკოფი რატიანი[27]. რასაკვირველია, მსგავსი თვალსაზრისი თავისებური ეროვნული პრესტიჟის მოსაზრებითაც იყო გაჩენილი. კერძოდ, თუკი რუსეთში, უკრაინაში, ბელორუსიაში, სომხეთში და ა. შ. იყვნენ ამ მიმართულების წარმომადგენელნი, ანალოგიურ ისტორიული პიროვნება (თუ პიროვნებანი) უნდა გამოძებნილიყო საქართველოშიც. მაგრამ ფაქტია, რომ თუ ილია მთლიანობაში, მთელი სიცოცხლის მანძილზე არა, ახალგაზრდობაში მაინც ესადაგება რევოლუციონერისა და დემოკრატის გამაერთიანებელ ტიპს[28].

თუ გავითვალისწინებთ რუსეთის იმპერიის იმდროინდელ ვითარებას, კერძოდ, 1859 – 1861 წლების რევოლუციურ სიტუაციას, რუსი „რევოლუციონერ-დემოკრატების" (ა. გერცენის, ბ. ბელინსკის, ნ. ჩერნიშევსკის, ნ. დობროლიუბოვის და სხვათა) უეჭველ გავლენას ახალგაზრდა ილიაზე და ბოლოს, ამ უკანასკნელის ხასიათის გარკვეულ ნიშან-თვისებას (შემართებულობას, მებრძოლურობას), მაშინ ყველაფერი ადვილად აიხსნება. მაგრამ, რა თქმა უნდა, როდესაც პროკოფი რატიანი და სხვანი ილიას იაზრებენ, როგორც „რევოლუციონერ-დემოკრატს" მთელი ცხოვრების მანძილზე, ამას ვერ გავიზიარებთ. ვერ გავიზიარებთ იმ შეხედულებასაც, თითქოს ახალგაზრდა ილიაზე ნ. ჩერნიშევსკის და სხვათა ზეგავლენა აბსოლუტური ხასიათისა გახლდათ. ჩვენი დიდი წინაპარი ახალგაზრდობაშიც დიდი სიბრძნე-გონიერებით იყო დაჯილდოებული და ამიტომაც მისი იმდროინდელი შეხედულებანი ორიგინალური იყო. კერძოდ, ილია არ იზიარებდა რუს „რევოლიუციონერ-დემოკრატთათვის" დამახასიათებელ მატერიალიზმს და ათეიზმს და იგი ყოველთვის რელიგიურ მორწმუნედ რჩებოდა. არც ის მიგვაჩნია სწორად, რომ ილია საქართველოში დაბრუნდა პრაქტიკული მიზნით – მოეხდინა რევოლუცია.

ჩვენი შეხედულებით, საკუთრივ საქართველოში იმხანად რევოლუციური სიტუაცია არ არსებობდა, ასე რომ, ჩვენი ქვეყანა ამ მხრივ რუსეთისაგან განსხვავებული იყო. შესაბამისად, არ იყო სათანადო სოციალურ-ფსიქოლოგიური განწყობა-განწყობილებანი. ამის ამსახველია „ელეგიის" (დაწერილია 1859 წელს) შემდეგი სტრიქონები:

„ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი,
როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!"

იმხანად პეტერბურგში მცხოვრებ ილიას საქართველოში არსებული თითქოსდა რევოლუციური პოტენციალის თაობაზე რამდენადმე ადეკვატური წარმოდგენა ვერ ექნებოდა. საჭირო იყო არსებული ამგვარი ძალების შეკავშირება. „მგზავრის წერილებში" ვკითხულობთ, რომ: „მაგრამ შევიძლებ კი... და ის თითოეული ნაპერწკალი, რომელიც არ შეიძლება რომ ყოველს კაცში არა ულავდეს, ერთ დიდ ცეცხლად შევაგროვო ჩემის ქვეყნის გაციებულის გულის გასათბობლად. შევიძლებ კი? შეეიძლებ გასაგონის ღვიძლის სიტყვის თქმასა?"[29]

როდესაც ილიამ იმდროინდელი ქართული სინამდვილე სათანადოდ გააცნობიერა, სულ სხვაგვარი (აღნიშნული მხრივ) სურათი დაინახა. „აჩრდილში" ამის თაობაზე იგი წერდა:

„აგერ ორს-სამს კაცს რაღაც უგრძვნიათ,
ქვეყნისა სახსრად ერთად მოდიან,
ერის საქმისთვის გაუღვიძნიათ
და ერთმანეთს კი არ ენდობიან.
ერთმანეთისა მათ სიკეთე ჰშურთ,
თუმცა ერთისათვის თითქო იღვწიან;
თვით ამხობენ მას, რის აღდგენაც ჰსურთ,
თვით ჰშველიან მას, რასაც ებრძვიან".

ამდენად, ძალზე სუსტი აღმოჩნდა საქართველოში მყოფი პროგრესული ძალები და მათი გაერთიანებაც, მით უმეტეს ცნობილი ფსიქოლოგიური (ეროვნული) ნიშან-თვისების გამო, შეუძლებელი აღმოჩნდა, რამაც მალე თვით „თერგდალეულთა" რიგებშიც იჩინა თავი. ბუნებრივია, ამან ასახვა ჰპოვა ილიას სამოქმედო ეროვნულ სტრატეგიაშიც. 70-იანი წლების დასაწყისშივე ეს უკვე ნათელი გახდა. როდესაც რუსულმა "ნაროდნიკობამ" ქართველი ახალგაზრდობის ნაწილიც აიყოლია და ისინი მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა ორგანიზაციებში („კავკასიელთა წრე", „კავკასიელთა ჯგუფი", „კავკასიის სოციალ-რევოლუციური საზოგადოება" და მისთანანი) ილია მათ არ გაჰკარებია. ამის მიზეზი გახლავთ ჩვენი დიდი წინაპრის განსხვავებული, სინამდვილესთან მისადაგებული, მრწამსი. ამიერიდან საქართველოს განთავისუფლების საქმეც ილიამ სხვანაირად წარმოიდგინა. ისტორიულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ ჩვენი ქვეყნის გათავისუფლების საქმე არც ისე ახლო მომავლისა და ადვილად განხორციელებადი პერსპექტივა ყოფილა. ჯერჯერობით მთავარ მიზნებად უნდა დასახულიყო 'ჩვენი ვინაობის" შენარჩუნება და

ავტონომია. ამდენად, რუსეთისა და საქართველოს მოაზროვნეთა და მოღვაწეთა საზრუნავი არ შეიძლებოდა ერთნაირი ყოფილიყო.

1880-იანი წლების დასაწყისში, ერთ-ერთ თავის საპროგრამო წერილში ილია წერდა: „...ჩვენ ქვეყანას სულ სხვა ტკივილი აქვს, სულ სხვა ფათერაკი სდევს... ჩვენებური დღევანდელი დღე სულ სხვასა თხოულობს, სულ სხვასა ჰღაღადებს... ბრძოლის საგნად ის „სხვა რამე" უნდა ყოფილიყო და „მამებსა და შვილებს" შუა მიჯნა დადებულიყო. ის „სხვა რამე" იყო – ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზედ დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელი ფათერაკისაგან. რომ ეგ ფათერაკი მოსალოდნელი იყო და დღესაც თავიდამ არ აგვცდენია, – ყველასათვის ცხადზე ცხადია... რომ ეგ მიმართულება იქნება ახალი იმ დრომდე, მინამ ჩვენი ვინაობა თავის შესაფერს და კუთვნილს ადგილს არ დაიჭერს ჩვენს ცხოვრებაში და საზოგადო საქმეთა სათავეში არ მოექცევა. სხვა საგანი ამაზე უმძიმესი, ამაზედ უსაჭიროესი არა აქვს ეხლანდელს საქართველოს შვილს..."[30] ამ თვალსაზრისით ჩვენთვის მისაბაძი უნდა ყოფილიყო მაგალითად ჩეხების, ხორვატების, პოლონელების და სხვათა საქმიანობა ავსტრია-უნგრეთის იმპერიის შემადგენლობაში, რასაც ილია პირდაპირ აღიარებდა.

ახალი სამოქმედო პროგრამიდან გამომდინარე, ილია სათავეში ჩაუდგა მთელ რიგ ეროვნულ დაწესებულებებს. თავისი მხატვრული ქმნილებებითა და პუბლიცისტიკითაც იგი, რასაკვირველია, აგრეთვე ამზადებდა ნიადაგს საქართველოს ფეხზე დასაყენებლად. როგორც კი ახალი, შესაფერისი მომენტი დადგა (ვგულისხმობთ 1905 – 1907 წლების რევოლუციას), ილიამ სულ სხვანაირი სულისკვეთება და შემართება გამოამჟღავნა, რაც სულაც ვერ თავსდება მის შესახებ არსებულ ჩვეულებრივ წარმოდგენებში. ამჯერადაც კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ პიროვნება, რაგინდ დიდიც არ უნდა იყოს იგი, თავის აზროვნებასა და სოციალურ-პოლიტიკურ აქტიურობას უფარდებს შესაბამის ისტორიულ სინამდვილეს. პარადოქსულია, რომ ქართულ მეცნიერებაში, კერძოდ ისტორიოგრაფიაში, ამ გარემოებას ხშირად ივიწყებენ ხოლმე. სწორედ ამით აიხსნება ილიას შესახებ ჩვენი ცოდნის დიდი ნაკლოვანებანი, მათ შორის ახალგაზრდა ილიას ფენომენის არაადეკვატური გააზრება.

(1998 წელი)

§ 2 ეროვნული და სოციალური განთავისუფლების საკითხი ილიას ნააზრევსა და პრაქტიკულ ნაღვაწში

„დიდება ილიასი მით უფრო იმატებს, რაც უფრო ზედმიწევნით გაიცნობს ქართველობა ნამდვილს ილიას, შეიგნებს იმის დიდებულს და წმინდა ქართულს ენას, მის მაღალ აზრებს, პროგრესიულს იდეალებს, მის დემოკრატიულს მიმართულებას, წმინდა ეთიკას სრულის ადამიანობისას".

იაკობ გოგებაშვილი.

ილიას ნააზრევისა და პრაქტიკული მოღვაწეობის საზრისის გაგება და შეფასება დიდი ხანია გაცხოველებულ ინტერესს იწვევს. ასევე დიდი ხანია, რაც ამ გაგებასა და შეფასებაში ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებები არსებობს. ილია, მის მოწინააღმდეგეთა მიხედვით, გახლდათ იდეოლოგი და პრაქტიკული მოღვაწე თავადაზნაურთა კლასისა. სიმონ ხუნდაძის თანახმად, ილია 60-იან და 70-იანი წლების პირველ ნახევარში იყო ბურჟუაზიული ლიბერალურ-დემოკრატიული მიმართულების, ხოლო შემდეგ — თავადაზნაურული ლიბერალიზმის მომხრე. აბელ კიკვიძე,ალექსანდრე ქუთელია, იური კაჭარავა და სხვ. ილიას აზროვნებასა და მოღვაწეობას ობიექტურად ბურჟუაზიული განვითარების ხელშემწყობ ფაქტორად მიიჩნევენ. ზოგიერთი მკვლევარის შეხედულებით კი ილია გლეხკაცობის, როგორც კლასის იდეოლოგი გახლდათ. ამათგან განსხვავებით, ნიკოლოზ ბერძენიშვილი თავს იკავებდა ილიას მსოფლმხედველობის რომელიმე სოციალურ კლასთან მიკუთვნებაზე[11]. გიორგი მელიქი'შვილი სამართლიანად აღნიშნავს ილიას გაგება-გააზრებისას რომელიმე აპრიორული, ნაცნობი სქემიდან მიდგომისაგან განთავისუფლების საჭიროებას, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი, ფაქტობრივად, წინასწარ შემუშავებული სტერეოტიპით, მხოლოდ ილიასეული ორიოდე აზრით, ამ უკანასკნელის ნააზრევის მთელი კონტექსტის გაუთვალისწინებლად, ცდილობს ილიას მსოფლმხედველობის კვინტესენციის გაგებას. კერძოდ, იგი სათანადოდ ვერ აფასებს ილიას რევოლუციურ სულისკვეთებას თუნდაც სტუდენტობის პერიოდში, ასევე მასზე რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების რადიკალური შეხედულებების ზეგავლენას[12].

1987 წლის 11 მაისს გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებულ სტატიაში „ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობისათვის" ლევან გორგილაძე აღნიშნავს, რომ ილიამ რევოლუციურ-დემოკრატიზმ-

თან, რევოლუციურ განმანათლებლობასა, რევოლუციურ-უტოპიურ ჰუმანიზმთან და ა. შ. ერთად „სათაევ დაუდო ეროვნულ-დემოკრატიულ მოძრაობას", „ეროვნულ დემოკრატიზმს", „რევოლუციურ ეროვნულ-დემოკრატიულ აზროვნებას", როგორც იდეურ მიმდინარეობას. მაგრამ სტატიის ავტორი არ შლის, არ ავითარებს სათანადოდ, თუ რა აზრი იგულისხმება აღნიშნულ ცნებებში[3]. თუ ბევრნი ჩვენს დიდ მწერალსა და მოაზროვნეს სოციალურ კონსერვატიზმს უკიჟინებდნენ, ზოგიერთები მას დიდ რევოლუციონერად სთვლიან (ასეთ შეხედულებას სათაევ დაუდო „პრავდის" 1936 წლის 12 სექტემბრის ნომერში აღნიშნულმა ილიას შეფასებამ). რატომ ხდება ასე?

აი რამდენიმე მიზეზი: 1) ფართოდ გავრცელებული შეხედულების თანახმად, კლასობრივად გათიშულ საზოგადოებაში მოაზროვნე და პრაქტიკული მოღვაწე უცილობლად რომელიმე სოციალური კლასის ან ფენის ინტერესებს უნდა გამოხატავდეს. აქედან გამომდინარე, ილიას აუცილებლად თანადროული ქართული საზოგადოების ერთი რომელიმე კლასი ან სოციალური ფენის ინტერესი უნდა გამოეხატა; 2) იმისდა მიხედვით, თუ როგორ განწყობა ჰქონდათ და აქვთ პუბლიცისტებსა და მკვლევარებს ილიასადმი, გაგება და შეფასებაც ამის შესაბამისი გახლავთ. ე. ი. თუ ეს განწყობა და მიმართება სიმპათიით ხასიათდება, მაშინ ილია მოწინავე კლასის ან გლეხკაცობის ინტერესების გამომხატველად და რევოლუციონერად ცხადდება, ხოლო თუ შესაბამის განწყობასა და მიმართებას ანტიპათია განსაზღვრავს (ჩვენი ისტორიის სამწუხაროდ, უწინ ეს გრძნობა ჭარბობდა), მაშინ ჩვენი დიდი ეროვნული მოღვაწე და მოაზროვნე გაბატონებული კლასის (თავადაზნაურობის) წარმომადგენლად და იმდროინდელი სოციალური და პოლიტიკური status quo-ს დამცველად ესახებათ; 3) შეხედულებათა ასეთ სხვადასხვაობას ნაწილობრივ განაპირობებს თვით გასააზრებელი ობიექტის – ილიას მემკვიდრეობის (თეორიულისა და პრაქტიკულის) სირთულე (სტრუქტურის მნიშვნელობით). სათანადო სუბიექტური განწყობისას მკვლევარს ადვილად შეუძლია მონახოს ისეთი ადგილები და ფაქტები ილიას ნააზრევიდან და პრაქტიკული საქმიანობიდან, რომლებიც „ადვილად დაადასტურებენ" მის აპრიორულ და სუბიექტივისტურ მოსაზრებას. თანაც ილიას აზროვნება ცვალებადობას განიცდიდა. ჩვენს წინაშეა ამ ცვალებადობის პროცესის მდინარება მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე და ამ პროცესს ობიექტურობითა და მთელი სერიოზულობით სჭირდება თვალყურის გადევნება. ამ პროცესის გააზრებისას, ცხადია,

მკვლევარი გათავისუფლებული უნდა იყოს ყოველგვარი აპრიორული მოსაზრებისაგან, ან, ყოველ შემთხვევაში, თუ იგი რაიმე სქემით, "იზმით" შეეცდება იხელმძღვანელოს, ინტუიციამ უნდა 'უკარნახოს მას ამ რომელიმე სქემით, "იზმით" ილიას მემკვიდრეობის გააზრების შეუძლებლობა, აქედან გამომდინარე, სხვა შესაბამისი სქემით თუ სქემებით ოპერირების აუცილებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნული, ე. ი. ასეთი სხვადასხვაობანი ილიას გაგებასა და შეფასებაში, პარადოქსულად გამოიყურება იმის ფონზე, თუ გავითვალისწინებთ ილიას პიროვნების მონოლითურობასა და პრინციპულობას (მოვიგონოთ ვაჟა-ფშაველას სიტყვები: „ილია სამარემდის მთლიან ადამიანად დარჩა, როგორც ზოდი ოქროსი'). საერთოდ, აზრთა ასეთ სხვადასხვაობას არავითარ შემთხვევაში არ ექნებოდა ადგილი, ილია რომ თანადროული ქართული საზოგადოების მხოლოდ ერთი რომელიმე კლასის იდეოლოგი და პრაქტიკული მოღვაწე ყოფილიყო. და რომ ილია მთელი ქართველობის წინამძღოლი და მოამაგე იყო, ეს ბევრი პუბლიცისტის და მკვლევარისაგან განსხვავებით, კარგად იცოდა ვაჟა-ფშაველამ, არჩილ ჯორჯაძემ, მიხაკო წერეთელმა, კიტა აბაშიძემ, იროდიონ ევდოშვილმა და სხვებმ.

საკითხის მეთოდოლოგიისათვის. როგორც დავინახეთ, ჩვენი დიდი მწერლისა და მოაზროვნის ნაფიქრალ-ნააზრევისა და პრაქტიკული ნაღვაწის გაგებაში შეხედულებათა ნამეტანი სხვადასხვაობა სუფევს. ამ ნააზრევისა და პრაქტიკული ნაღვაწის გაგება და შეფასება საფრანგეთის შესაბამისი ეპოქის (დიდი რევოლუციის წინახანების) სინამდვილით, სახელდობრ, ვოლტერის ან ჟ. ჟ. რუსოს მეშვეობით, ან შესაბამისი პერიოდის რუსეთის ისტორიული სინამდვილით, კერძოდ. ნ. გ. ჩერნიშევსკის ან ნ. ა. დობროლიუბოვის მაგალითებით, შეუძლებელია. ვოლტერისა და რუსოსაგან განსხვავებით ილია, მოგეხსენებათ, ცხოვრობდა სხვა ისტორიულ, უფრო ზუსტად, სხვა მსოფლიო-ისტორიულ ვითარებაში, როცა განმანათლებლობისა და კერძოდ, საფრანგეთის დიდი რევოლუციის იდეალებმა კრახი განიცადა, როცა ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, ძმობა, ერთობა, თავისუფლება „უქმ სიტყვებად" იქცნენ და ამ კრიზისმა და ახალმა სინამდვილემ ახალი იდეალები წარმოშვა. ნ. გ. ჩერნიშევსკისა და ნ. ა. დობროლიუბოვისაგან განსხვავებით კი ილიას ცხოერება უხდებოდა არა ისეთ ქვეყანაში, სადაც ძლიერი იყო თემური (სასოფლო ფორმით) საკუთრება და შესაბამისი სოციალური ფსიქოლოგია (როგორც ამას რუსეთში ჰქონდა ადგილი), არამედ საზოგადოებაში, სადაც გლეხკაცობას მიწასე კერძო საკუთრების ხანგრძლივი ტრადიცია

გააჩნდა და რომელსაც საფრანგეთისა და რუსეთისაგან განსხვავებით, ეროვნული დამოუკიდებლობა დაკარგული ჰქონდა. განა ეს მომენტი – ქვეყნის დაჩაგრულობა – თავისუფლება ასეთი უმნიშვნელო გარემოება გახლავთ, რომელსაც არ შეუძლია სათანადო დაღი არ დაასვას შესაბამისი ქვეყნის საზოგადოებრივ აზროვნებას? ზემოაღნიშნული ფრანგი და რუსი მოაზროვნეები მიმართავდნენ ფრანგი და რუსი ერების ერთ (მართალია უდიდეს) ნაწილს, მაგრამ მათი სამშობლო რომ დაპყრობილი ყოფილიყო უცხო მოძალადეთა მიერ, მაშინ ისინი, ცხადია, მთელი ერის სახელით ილაპარაკებდნენ. ჩვენ გვაქვს თვალსაჩინო მაგალითი იმისა, თუ როგორ მოიქცა მსგავს სიტუაციაში საერთოდ მესამე წოდების წარმომადგენელი, ცნობილი ფილოსოფოსი იოჰან ფიხტე (1762 – 1814) ნაპოლეონის საფრანგეთის მიერ თავისი ქვეყნის (გერმანიის) ოკუპაციის პირობებში: ასეთ სიტუაციაში ფიხტე თავის ცნობილ წერილებში მთელ გერმანელ ერს მიმართავდა.

ერთი სიტყვით, სოციალური და ეროვნული საკითხების თანაფარდობა ერთნაირად როდი დაისმის ყველგან და ყოველთვის. ერთია ეროვნულად თავისუფალი ქვეყნის ვითარება და მეორეა დაჩაგრული ქვეყნის მდგომარეობა. სამწუხაროდ, ქართველი პუბლიცისტებისა და მკვლევარების დიდი უმეტესობა ამ გარემოებას ივიწყებდა და ივიწყებს, მათ მიხედვით სოციალური საკითხი ყველგან და ყოველთვის წინა პლანზე დგას ხოლმე და ამას მარქსიზმის კლასიკოსების ავტორიტეტზე დამყარებით ასაბუთებენ. მაგრამ მოვუსმინოთ თვითონ მარქსიზმის უდიდეს ავტორიტეტს – ფ. ენგელსს. იგი 1875 წელს (ე. ი. სრულიადაც არა ახალგაზრდულ ასაკში!) წერდა: „სანამ სიცოცხლისუნარიანი ხალხი შებორკილია უცხოელი დამპყრობელის მიერ, იგი მთელ თავის ძალებს, მთელ თავის მისწრაფებებს, მთელ თავის ენერგიას აუცილებლობით წარმართავს საგარეო მტრის წინააღმდეგ; და სანამ მისი საშინაო ცხოვრება ამგვარად პარალიზებული რჩება, მას არ შეუძლია იბრძოლოს სოციალური განთავისუფლებისათვის. ირლანდია, რუსეთი თათარ-მონღოლთა უღლის ქვეშ და ა. შ. იძლევიან ამ მდგომარეობის ნათელ დადასტურებას“[34]. აღნიშნულ მაგალითებს ენგელსი უმატებდა XIX საუკუნის პოლონეთის მდგომარეობასაც. სხვაგან იგი წერდა: „ეროვნული ჩაგვრის მოშორება ძირითადი პირობაა ყოველი ჯანსაღი და თავისუფალი განვითარებისათვის”[35]. აქედან გამომდინარე ენგელსი დაასკვნიდა: „მანამ, სანამ არ არის მიღწეული ეროვნული დამოუკიდებლობა, დიდ ხალხს ისტორიულად

არ შეუძლია რამდენადმე სერიოზულად განიხილოს რაიმე საშინაო საკითხები"[36]; „...მხოლოდ მას შემდეგ, რაც პოლონეთი ხელახლა მიაღწევს თავის დამოუკიდებლობას, მხოლოდ მაშინ, როცა იგი ხელახლა იქნება განმკარგულებელი თავისი ბედ-იღბლისა როგორც დამოუკიდებელი ერი, – მხოლოდ მაშინ ხელახლა დაიწყება შინაგანი განვითარების პროცესი"[37].

1921 წელს ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ მსოფლიო რევოლუციის მომავალი გადამწყვეტ ბრძოლებში დედამიწის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მოძრაობა წარიმართება ჯერ ეროვნული განთავისუფლებისათვის, ხოლო მიზნის მიღწევის შემდეგ – კაპიტალიზმის წინააღმდეგ[38]. თათარ-მონღოლთა პერიოდის რუსეთში რუსი მოსახლეობის გაერთიანებას საგარეო მტრის წინააღმდეგ, შესაბამისად კლასობრივი ბრძოლის განუვითარებლობას მიუთითებდა გ. ვ. პლეხანოვი თავის ცნობილ „რუსული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში"[39].

ამრიგად, ქვეყნის დაჩაგრულობა-დამონებულობის პირობებში ერის ყველა ნაწილის საგარეო მტრის წინააღმდეგ გაერთიანების მიზანშეწონილობასა და ფაქტს არაერთგზის აღნიშნავდნენ ფ. ენგელსი, ვ. ი. ლენინი და გ. ვ. პლეხანოვი. მათი შეხედულება საკითხზე კი, ვიმეორებთ, ქართველ პუბლიცისტებსა და მკვლევარებს ყოველთვის ყურადღების გარეშე რჩებოდათ და რჩებათ.

ზემოაღნიშნულ გარემოებას მშვენივრად აცნობიერებდა ჯერ კიდევ ახალგაზრდა ილია „აჩრდილში". იგი წერდა:

„ორი რამ იყო, რისთვისაც ძე შენი იღვწოდა, –
ბედმა უწყალომ სხვა საქმისთვის არ მოაცალა, –
მამულისა და რჯულისათვის იგი იბრძოდა,
ორივ დაიცვა, მაგრამ ყველა მათ ანაცვალა".

ცხადია, ასეთი სიტუაციისას საზოგადოება, ერი სოციალური და პოლიტიკური განვითარების საკითხში აგებს, მაგრამ მაინც ნორმალურ გზად მისთვის რჩება უპირველესად საგარეო მტრის უღლის მოშორება. მწერლის, პოეტის, მოაზროვნისა და თვითონ რიგითი წარმომადგენლის მთელი ძალისხმევის წარმართვა ამ მიმართულებით სრულიადაც არ ნიშნავს სოციალურ რეტროგრადობას.

აღნიშნული მაინც არ ნიშნავს იმას, რომ XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართველ მწერალს, მოაზროვნეს და ა. შ. მხოლოდ ეროვნულ საკითხზე ეფიქრა. ჩვენი ქვეყნის საზოგადოების

სოციალური მდგომარეობა ისეთი იყო, რომ სოციალური საკითხებიც (განსაკუთრებით ბატონყმობის გაუქმება) საჭიროებდა გარკვეული ზომით ინტერესის გამახვილებას. ვიმეორებთ: დღის წესრიგში იდგა ორივე საკითხი, მაგრამ პრიორიტეტი მაინც პირველს, ე. ი. ეროვნულ საკითხს ჰქონდა[40].

ეროვნული და სოციალური საკითხების თანაფარდობის ევოლუცია ილიას ნააზრევში. როგორც ცნობილია, გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლო ხანასა და 60-იანი წლების დასაწყისში რუსეთის იმპერიის ცხოვრება ძალზე დაძაბული იყო. ყირიმის ომში დამარცხებამ კიდევ უფრო გამოავლინა რუსეთის იმპერიის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ჩამორჩენილობა. მმართველი ფენების მოწინავე ნაწილმა მთელი სიგრძე-სიგანით შეიგნო სერიოზული რეფორმების გატარების აუცილებლობა. საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორც ინტელიგენცია ისე გლეხკაცობა, რევოლუციური სულისკვეთებით განიმსჭვალა. ასეთივე სულისკვეთება ახასიათებდა პეტერბურგში მოსწავლე ქართველი სტუდენტობის უმეტესობას, რომელიც უთუოდ განიცდიდა ნ. გ. ჩერნიშევსკისა და ნ. ა. დობროლიუბოვის იდეურ გავლენას. ასეთ განწყობილებას, ცხადია, ვერ გაექცეოდა მითუმეტეს ახალგაზრდა, დიდი შემართების ილია. უნდა ვიგულისხმოთ, რომ სწორედ ამ მიზეზით ვერ დაასრულა სრული საუნივერსიტეტო კურსი. მაგრამ რუსი რევოლუციონერ-დემოკრატებისაგან განსხვავებით, ილიას მომავალი რევოლუცია წარმოედგინა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლადაც, აჯანყებადაც. იგი კარგად გრძნობდა, რომ სოციალური და პოლიტიკური status quo აწყობს საზოგადოების გაბატონებულ ფენებს, რომლებიც კლასობრივი ეგოიზმით არიან შეპყრობილნი:

„მოძმეთა ხსნისთვის თავის-დადება
წმინდა ხვედრია მხოლოდა გმირთა
და მას ვით შესძლებს თავმოყვარება,
რომელიც იმა დიდკაცთა სჭირთა?
ის რად ინდომებს ქვეყნისა ბედსა,
როს მასა შველის მის ბედკრულება?
რად შეებრძვის ის სიბოროტესა,
როს მეოხებით მისით თვით ჰრჩება?!"

თავის მშვენიერ ოდაში თავისუფლებისადმი (იხ.„ქართველის დედა (სცენა მომავალ ცხოვრებიდამ") ილია კარგად ხვდებოდა, რომ თა-

ეისუფლება მშვიდობიანად, უსისხლოდ არ მოდის:

„თვით ხარ მშვიდობა, უხვად მადლთა ქვეყნად მომფენი,
მაგრამ სისხლით კი იკელევს გზასა მძებნელი შენი!
რად არ შენდება უსისხლოდ მისი ტაძარი,
მისი, რომელიც თვით მშვიდობის ღვთაება არი?"

იგივე ნაწარმოებში ვკითხულობთ:

„თავისუფლების მშოვნელი,
ამ ქვეყნად მარტო თოფია,
შინ უღლით გაქნილს მშვიდობას
ომში სისხლის ღერა სჯობია!"

1858 – 1861 წლებში დაწერილ ლექსებში („ჩემი თარიალალი", „ნანა", „მესმის, მესმის", „ ქართველ სტუდენტების სიმღერა", „გაზაფხული" და სხვ.) მშვენივრად ჩანს ილიას რეოლუციური განწყობილება, სიძულვილი ცარიზმისადმი, ეროვნული აჯანყების გზით თავისუფლების მოპოვების სურვილი. მოვიგონოთ „ქართვლის დედის" (დაწერილია 1960 წელს, საბოლოო რედაქცია გაუკეთდა 1871 წელს) ეპიგრაფად საბრძოლო განწყობილების ქართული ხალხური ლექსის სტრიქონების წამძღვარება:

„გაგვიძეღ, ბერო მინდიავ,
მუხლი მაიბი მგლისაო,
გაიყოლიე უმცროსნი,
ვისაც თავი აქვს ცდისაო".

ილიამ კარგად იცოდა, რომ უზარმაზარი იმპერიის – „ხალხთა საპყრობილის" წინააღმდეგ ოდენ ქართველობის შეიარაღებული გამოსვლა არა კმაროდა, საჭირო იყო მთელი კავკასიის გაერთიანებაც. იმავე „ქართველის დედაში" მომავლის ასეთი სურათია დახატული:

„ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს,
კასპიის ზღვიდამ შავ ზღვამდინა ერთს ფიქრსა ჰფიქრობს, –
და ეგ ფიქრია მთელ კავკასიის თავისუფლება!..";
„მთელი კავკასი, მტერზედ რისხვით აღმომქშინავი,
ერთისა აზრით, ერთის გრძნობით აღელვებულა".

მოვიგონოთ პასაჟი „მგზავრის წერილებიდან: „სიტყვამ „რევოლუცია“ არ შეგაშინოს, მკითხველო! რევოლუცია იმისთვის არის გაჩენილი, რომ მშვიდობიანობა მოაქვს. ღვინო ჯერ უნდა ადუღდეს, აირიოს-დაირიოს და მერე დაწმნდება ხოლმე. ესეა ყველაფერი ამ ქვეყანაზედ”[41]. ამავე ნაწარმოებში, როგორც ვიცით, ილიასათვის ბევრად უფრო სიმპათიურია თერგის, ვინემ მყინვარის სახე. იგი დასძენს: „მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი...”[42].

ეროვნული განთავისუფლების პარალელურად ახალგაზრდა ილია აყენებდა სოციალური განთავისუფლების საკითხსაც. ამ მხრივ მისი პოზიცია ყველაზე ნათლად გამჟღავნდა „აჩრდილში”. ეს განთავისუფლება ეხება არა მხოლოდ ისტორიულ ანაქრონიზმად ქცეულ ყმა-გლეხობას (სოციალურ ჩაგვრას), არამედ „შრომის ახსნას”. იგი წერდა:

„შრომისა ახსნა – ეგ არის ტვირთი
ძლევამოსილის ამ საუკუნის,
კაცთა ღელვისა დიადი ზვირთი
მაგ ახსნისათვის მედგრადა იბრძვის”;
„ეღარ განუძლებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ქროლას,
ეღარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი
ჭეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას, –
და დაიმსხვრევა იგი ბორკილი
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,
და ახალს ნერგზედ ახლად შობილი
ესე ქვეყანა კელავ აღყვავდების”.

საზოგადოების ილიასეული იდეალი არაა რუსეთის იმპერიის რეფორმირებული საზოგადოება, თუნდაც მოწინავე დასავლეთ ევროპის მდგომარეობა. ჩვენს დიდ მოაზროვნეს აქ სოციალისტური იდეალი ჰქონდა მხედველობაში. მიხ. წერეთელი ჯერ კიდევ ოთხმოცი წლის წინ აღნიშნავდა, რომ ილიას მრავალ თხზულებაში თვით სოციალიზმის პრინციპებიც კი არის გატარებული, რომ „შრომის ახსნა” – აი რა იყო ილიას იდეალი[43]. ამდენად, ილიამ უცილოდ განიცადა უტოპიური სოციალიზმის გავლენა.

მაგრამ საერთოდ ილია პრიორიტეტს ანიჭებს ეროვნულ განთავისუფლ-ებას. ამ პერიოდშიც კი იგი უფრო ხშირად მასზე

ლაპარაკობს. შესაბამისად, სავსებით კანონზომიერი გახლავთ, რომ იმავე „აჩრდილში" პოეტი ჯერ ეროვნულ სატკივარს ეხება.

როგორც ცნობილია, რუსეთში გატარებული მნიშვნელოვანი რეფორმებით რევოლუციური სიტუაცია საკმაოდ განიმუხტა, იგივე რეფორმები, თუმცა შეკვეცილი სახით, საქართველოშიც გატარდა. ამით ბოლო მოეღო ანაქრონიზმად ქცეულ ბატონყმობის ინსტიტუტს. აქედან გამომდინარე, როგორც იმპერიამ მთლიანად, ისე საქართველომ კერძოდ განვითარების თვალსაჩინო იმპულსები მიიღო. ალექსანდრე მეორის მიერ განხორციელებულ რეფორმებს, მიუხედავად მისი შეზღუდულობისა, კერძოდ საქართველოს მიმართ, დიდად აფასებდა ილია. ეს მას არაერთგზის აღუნიშნავს. ასე მაგალითად, „ცხოვრება და კანონში" იგი წერდა: „...ამ უკანასკნელს ათს წელიწადში, სახელდობრ 1864 წლიდან, ჩვენში ბევრგვარი ცვლილება მოხდა, რომელთ აზრად ჰქონდათ და აქვთ საზოგადო ურთიერშორისი წყობილება უკეთესს და უფრო უმართლესს ნიადაგზედ დაედგინა. ამ ცვლილებას ჩვენში ყოველი გონიერი და მიხვედრილი კაცი დიდის სიხარულით და აღტაცებით მიეგება"[44]. ამგვარად, ილიას სიჭაბუკის დროინდელი რადიკალიზმი შერბილდა, მისი შეხედულებანი უფრო რეალისტური გახდა. მან მშვენიერად გააცნობიერა ის გარემოება, რომ ქართული საზოგადოების მდგომარეობა განსხვავდებოდა რუსეთისაგან სოციალურადაც და ეროვნულადაც. იგი აღნიშნავდა: „...ხოლო ჩვენი აზრი ის არის, რომ ყოველს სწავლასა და ცოდნას საძირკვლად საკუთარის მწერლობისა და ვითარების ცოდნა უნდა დაედოს ...ახლად ფეხადგმულმა საზოგადოებამ საკუთარი ვინაობა უნდა შეისწავლოს"[45]. მაშასადამე, ილიას დასკვნით, საჭირო იყო ერის ძალების გაძლიერება და თავმოყრა ერთიანი მიზნისათვის. თუმცა ძველი განწყობილება, შემართება კვლავ ჩანს 1872 წელს დაწერილ ლექსში „ჩემო კარგო ქვეყანავ", სადაც ილია ასპარეზზე გამოსული ახალი თაობის მისამართით წერდა: მათ თვის მკერდით შეჰმუსრონ მტერთა სიმაგრენია".

საქართველოს განვითარების მთავარ სოციალურ საკითხად რეფორმის შემდგომ პერიოდში ილია თვლიდა გლეხკაცობაზე მიწის საკუთრებად დამაგრებას. ამის თაობაზე იგი 1882 წელს აღნიშნავდა: „ყოველის განვითარების საფუძველად, სათავედ ყოველის რიგიანის წარმატებისა, – უნდა აღიარებულ იქმნას წვრილ მემამულეების (იგულისხმება გლეხობა – **გ. ყ.**) გათახსირება (ე. ი. გაღატაკება – **გ. ყ.**) კი არა, ბოგანო მუშის გამრავლება კი არა,

არამედ ისა, რომ სოფლის მცხოვრებთა მიწა და მიწათმოქმედება მტკიცედ ხელთ ეპყრას'[46].

ცნობილია როგორი ვნებათაღელვა გამოიწვია ქართველ თავადაზნაურობაში საკითხმა იმის თაობაზე, თუ როგორ გაენთავისუფლებინათ გლეხობა – მიწა-წყლით თუ უმიწაწყლოდ. არსებობს დოკუმენტი „კრიტიკული შენიშვნები საგლეხო რეფორმის დებულების პროექტზე", რომლის ავტორი გლეხების მიწა-წყლით გათავისუფლებას მოითხოვდა. მაგრამ დაუდგენელია ამ დოკუმენტის ავტორის ვინაობა. ზოგი მკვლევარი „კრიტიკული შენიშვნების" ავტორად ნიკო ჭავჭავაძეს მიიჩნევს, ზოგი კი – ილიას. თუ გავითვალისწინებთ ილიას რადიკალურ განწყობილებას რეფორმის გატარების წინ და პერიოდში, ასევე დოკუმენტის რიგი ადგილების თანხვედენას ილიასათვის ჩვეულ გამოთქმებთან და ა. შ., ვფიქრობთ, რომ აღნიშნული დოკუმენტის ავტორი ილია უნდა ყოფილიყო[47] (ამასვე ადასტურებს ქრისტეფორე მამაცაშვილის ცნობილი მოგონება). როგორც ვიცით, გლეხთა მიწიანად განთავისუფლება ვერ მოხერხდა. მაგრამ რაც შეეხება პირადად ილიას, მან თავის ყმა-გლეხებს განთავისუფლების პირველ ხანებშივე მათ მიერ ხმარებული საკომლო (სახნავ-სათესი), კარმიდამო, ვენახი უსასყიდლოდ დაუთმო, ამ უკანასკნელთ ხელშეუხებელ საკუთრებად დაუმტკიცა და ამით მოსპო ყოველგვარი ბატონ-ყმური დამოკიდებულება მასსა და ყოფილ ყმებს შორის[48].

ილიას კარგად ესმოდა ქართველი გლეხკაცობის დიდი ნაწილის გაჭირვებული მდგომარეობა თვით საგლეხო რეფორმის შემდგომ ხანებშიც კი, სახელდობრ მისი უმეტესობის მცირემიწიანობა. ამის შესახებ იგი არაერთხელ აღნიშნავდა. რადიკალურად აგრარული საკითხის დაყენება კი ჯერჯერობით არ შეიძლებოდა. როცა სათანადო სიტუაცია მომწიფდა, რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში, ილიამ ეს გააკეთა (ამის შესახებ იხ. ქვემოთ). თუმცა, რასაკვირველია, ილია არ მისულა თავად-აზნაურთა საკუთრების ექსპროპრიაციის იდეამდე.

შევჩერდებით ილიას შეხედულებებზე თავადაზნაურობის შესახებ. მისი აზრით ჩვენს ქვეყანაში ფეოდალიზმის („ფეოდალობის") წარმოქმნასა და ხანგრძლივად არსებობას საფუძვლად ედო გარკვეული საზოგადოებრივი ფუნქციების შესრულება – თავადაზნაურობას, ილიას მხატვრული გამოთქმით, ხელში ეკავა ხმალი, ე. ი. კლასი უძღვებოდა ქვეყნის თავდაცვის საქმეს, ხოლო გლეხკაცობის მთავარი საქმიანობა გახლდათ გუთანი, ე. ი. უშუალო მატერიალური წარმოება. აქ გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება. თვით

მეცხრამეტე საუკუნის დიდი პერიოდის განმავლობაშიც კი საქართველოს განვლილი ისტორიული პროცესი მხოლოდ პოლიტიკური ისტორიის შინაარსით ჰქონდათ წარმოდგენილი. ჩვენი ისტორიის ეკონომიკური და სოციალური მხარეები ჯერჯერობით თითქმის ყამირს წარმოადგენდა. როგორც ივანე ჯავახიშვილი შენიშნავდა, „საქართველოს ისტორიოგრაფიას მის (ილიას – **გ. ყ.**) დროს არამც თუ ამ თვალსაზრისით (ჩვენი უდიდესი ისტორიკოსი გულისხმობდა საქართველოს ისტორიის ეკონომიკური საფუძვლის გამორკვევის აუცილებლობას – **გ. ყ.**) ჩვენი ქვეყნის თავგადასავალის გაშუქება აზრადაც-კი არ მოსვლია, ის მაშინ იმდენად უმწეო მდგომარეობაში იყო, რომ, ასეთი საკითხის წამოყენების შემდგომაც, პასუხის გაცემა ვერავინ შეძლო"[49].

ამიტომაც როდესაც ილია ხმლისა და გუთნის კონცეფციას ავითარებდა, აღნიშნავდა: „ჩვენგან დიდი კადნიერება იქნებოდა, რომ ამ მძიმე საქმის (ჩვენი ეკონომიკური და სოციალური ისტორიის – **გ. ყ.**) გამოკვლევას შევსდგომოდით მოკლე წერილში. სწორედ მოგახსენოთ, ამისათვის არც მომზადება გვაქვს და არც საჭირო წყარო. ხოლო ფიქრად მოგვდის ორიოდე აზრი, ისიც ვარაუდობით ცნობილი, და ვგონებთ მეტი არ იყოს ის ორიოდე აზრი მკითხველსაც გავუზიაროთ"[50]. ამავე ხარვეზს გულისხმობდა ილია რვა წლის შემდეგაც, როცა წერდა, რომ კრიტიკული აზრის უქონლობაა „მიზეზი, რომ ვერც ჩვენის ისტორიის შესწავლა და კვლევა ვერ დამდგარა ჯერჯერობით ნამდვილს გზაზე..."[51].

ცხადია, რაც იმდროინდელ ქართულ ისტორიოგრაფიას არ გაუკეთებია, იმის მოთხოვნა ილიასაგან უსამართლობა იქნება. სწორედ ეს გარემოება ხსნის ჩვენს ეკონომიკურ და სოციალურ ისტორიაზე ილიას შეხედულების ნაკლოვანებებს. მისი წარმოდგენით საქართველოს ისტორიის უმეტეს სიგრძეზე მიწა-წყალი ძირითადად გლეხკაცობის ხელში იმყოფებოდა, თანაც სათემო (სასოფლო) საკუთრების სახით, ამდენად თავადაზნაურობა მიწის საკუთრებას თითქოსდა მოკლებული იყო[52]. ისე გამოდის, რომ ჩვენში ფეოდალიზმი კი არ არსებობდა, არამედ აზიური, აღმოსავლური წარმოების წესი მისთვის დამახასიათებელი პოლიტიკური ხელისუფლების გაუცხოებით თვით საზოგადოების მაღალი ფენებისაგან (აღნიშნული თვალსაზრისი, როგორც ცნობილია, განავითარეს კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა. რა თქმა უნდა, ილიამ არაფერი არ იცოდა აღნიშნული კონცეფციის თაობაზე). დასავლეთ ევროპის ისტორიაში კი ილია სავსებით ნათლად ხედავდა „ფეოდალობას"

(ფეოდალიზმს) მისი მთავარი ნიშან-თვისებით – საკუთრების კონცენტრაციით გაბატონებული კლასის ხელში. ეს მომენტი დასავლეთევროპულმა ისტორიოგრაფიამ დიდი ხანია დღესავით ნათელი გახადა. შემდეგში ჩვენი სოციალური და პოლიტიკური (სახელმწიფო წყობილების) ისტორიის შესახებ, განსაკუთრებით ივანე ჯავახიშვილის შრომების წყალობით, ბევრი რამ გაირკვა, რითაც ისარგებლეს ილიას ოპონენტებმა ჩვენი დიდი მოაზროვნისა და მოღვაწის სახელის გასატეხად.

ეს რაც შეეხება თავადაზნაურობის სოციალურ ფუნქციას წარსულში მეფის ბიუროკრატიის საქართველოში გაბატონების შედეგად კი ქვეყნის თავდაცვა, ადმინისტრაცია და სამართალწარმოება ამ უცხო ძალის მეშვეობით ხორციელდებოდა. ამდენად ჩვენს თავადაზნაურობას საზოგადოებისათვის აუცილებელი, საჭირო ფუნქციები ხელიდან გამოეცალა, რითაც მან თავისი raison d'etre დაჰკარგა. მაგრამ იყო შესაძლებლობა შეცვლილ სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიტუაციაში აღნიშნულ კლასს ახალი სოციალური ფუნქციები შეესრულებინა – განევითარებინა სოფლის მეურნეობა ახლებურ საწყისებზე, შეევსო ინტელიგენციის რიგები. ამრიგად, ისევე როგორც ქართველმა თავადაზნაურობამ დაჰკარგა წოდებრიობის ნიშან-თვისებები, ასევე იგი თანდათანობით გაჰქრებოდა როგორც კლასი, მისი შემდგენელი ნაწილი აქტიურად ჩაებმებოდა ახალ საზოგადოების ცხოვრებაში. ისევე როგორც ეს გააკეთა მაგალითად ინგლისისა და პრუსიის თავადაზნაურობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა. თუმცა ილიას მახვილი თვალი კარგად ამჩნევდა, რომ ჩვენს თავადაზნაურობას სოციალური ენერგია არ ემატებოდა, პირიქით, რის გამოც მას ხელიდან ეცლებოდა საკუთრება. 1886 წელს იგი წერდა: „ვინ არ იცის, რომ, თუ სადმე უქმობაა მარჯვენისა და მხნეობა-მოკლებულობა, უფრო მდიდართა შორის არის"[53]. და ამას აღნიშნავდა იგი სწორედ ჩვენი თავადაზნაურობის მიმართ. უფრო ადრე, 1887 წელს, იგი წერდა: „არ არის ქვეყანაზედ არც ერთი ერი, რომლის შემძლებელი ნაწილიც ასე გულაცრუებული, ასე გულგრილი იყოს საზოგადო საქმეების შესახებ, როგორც ჩვენები არიან"[54]. მაგრამ ილია გულს მაინც არ იტეხდა და მოელოდა თავად-აზნაურთა ფსიქოლოგიის მკვეთრ ტრანსფორმაციას, რაც ამ კლასში ვერ მოხერხდა.

ახლა იმის შესახებ, თუ როგორ აყენებდა ილია ეროვნულ საკითხს რეფორმიდან მოყოლებული 1905 – 1907 წლების რევოლუციამდე.

ილიას სტუდენტური ხანის ოცნებას, რომ ცარიზმი რევოლუციის გზით დამხობილიყო და შედარებით უსისხლოდ თუ შეიარაღებული აჯანყების გზით შესაძლებელი გამხდარიყო მთელ კავკასიასთან ერთად საქართველოს განთავისუფლება, განხორციელება ვერ ეწერა. მაგრამ ისტორიამ რეფორმის შემდგომ ხანაში ქართველობისთვის რაღაც პოზიტიური მაინც გააკეთა. იზოლირებული, განცალკევებული ქართველობა გაერთიანდა, მას გაუჩნდა გაცნობიერებული საზოგადოებრივი, ეროვნული ინტერესი და მიზანი. გაჩნდა იდეურად ახალი ქართული პრესა, დაარსდა მთელი რიგი ეროვნული დაწესებულებანი (საადგილმამულო ბანკი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, თავად-აზნაურთა საზოგადოება ღარიბ მოსწავლეთათვის, ქართული თეატრის დასი, დრამატული საზოგადოება). ამ ახალი მოვლენების გამო ჩვენი უდიდესი ეროვნული მოღვაწე კმაყოფილებით აცხადებდა: „ერთობის მღაღადებელთა არ გაუცუდდათ ღაღადება და აი დღეს იმასა ვმკით, რაც ყმაწვილკაცობის უანგარო ღვაწლით წინა წლებში დათესილი იყო"[55]. შეგახსენებთ, რომ ეს სტრიქონები დაიწერა 1879 წელს და რომ "ყმაწვილკაცობაში" კი ნაგულისხმევია ილიას მეთაურობით ისტორიის არენაზე გამოსული თაობა.

რუსეთის იმპერიაში გასული საუკუნის 60 – 70-იან წლებში განხორციელებული რეფორმები, მეტადაც რომ გაღრმავებულიყო, ილიას, რასაკვირველია, ვერ დააკმაყოფილებდა, თუ ისინი არ შეეხებოდა ეროვნულ საკითხს. 1881 წლის შინაურ მიმოხილვაში იგი წერდა: „ერთს უდიდესს საპოლიტიკო საგანს რუსეთისას შეადგენს ჯერ ის, რომ სხვადასხვა ტომის ერნი როგორ უნდა მოეწყონ შინაობაში სათითაოდ, და მერე, როგორ მოთავსდნენ სახელმწიფოსთან"[56]. შემდეგ განაგრძობდა: „ყველას უნდა წინასწარ სცოდნოდა, რომ დღესა თუ ხვალე ეს საგანი თავისას მოითხოვდა; რომ დღესა თუ ხვალე რუსეთი იძულებული შეიქმნებოდა დაენიშნა სამზღვარი სახელმწიფო მოქმედებისა საზოგადოდ და ეროვნობისა ცალკედ და ერთისა და მეორის მოედანი ცალ-ცალკე შემოეფარგლა"[57]. ამასვე იმეორებდა ილია მომდევნო წლის მარტის შინაურ მიმოხილვაში[58]. სხვანაირად რომ ვთქვათ, ილია უკვე აყენებდა ფედერაცია-ავტონომიის იდეას.

სამწუხაროდ, ამ იდეის განხორციელება ილიას და საერთოდ, იმდროინდელ ქართველობას საკუთარი ძალებით არ შეეძლო. ეს ვერ შესძლო უფრო მრავალრიცხოვანმა პოლონელმა ერმა (მოვიგონოთ პოლონეთის უკანასკნელი, 1863 წლის აჯანყების

მარცხი). საჭირო იყო დალოდება იმ დროისა, როცა რუსეთის იმპერიაში რადიკალური დემოკრატიული ცვლილებები მოხდებოდა. ამის თაობაზე ილია 1883 წელს წერდა, „ეხლა კი საათი ქვეყნისა მოშლილია და არ ვიცი ამჟამად მამლის ყივილამდე ბევრი დრო დარჩა კიდევ თუ არა. ვზივარ და შევყურებ სულთამხუთავს, ვზივარ ლოდინით დაღალული და ვნატრობ მამლის ყივილსა. როდემდის უნდა ვილოდინო, როდემდის! შე დალოცვილი მამალო, რაღას უყურებ და არ დაიყივლებ!"[59] საბედნიეროდ, ილია მოესწრო „მამლის ყივილს" – 1905 – 1907 წლების რევოლუციას, როცა ქართველ პატრიოტებს მანამდე არნახული ასპარეზი გადაეშალათ ეროვნული და სოციალური საკითხების გადაჭრის საქმეში. მაგრამ მანამდე კიდევ რამდენიმე მომენტს შევეხებით.

ხშირად, როგორც უკვე მივუთითებდით, ილიას წარმოიდგენენ ხოლმე კონსერვატორად, სახელდობრ, თავად-აზნაურთა კლასის დამცველად, უკეთეს შემთხვევაში ბურჟუაზიულ იდეოლოგად და მოღვაწედ, რომელიც ოცნებობდა ჩვენს ქვეყანაში ბურჟუაზიული საზოგადოების დამყარებაზე,პრინციპულად წინააღმდეგი იყო კლასთა ბრძოლისა. ზოგიერთ მწერალს ილიას მსოფლმხედველობის დედააზრად მიაჩნია მხოლდ და მხოლოდ განმანათლებლობა. კერძოდ, მწერალი ელგუჯა მაღრაძე წერს: „ილია ჭავჭავაძეს ადრეულ ჰუმანისტთა (ავტორი აქ გულისხმობს განმანათლებელებს – გ. ყ.) დარად სწამდა, რომ წერა-კითხვის გავრცელება, ჟურნალ-გაზეთების გამოცემა და განათლების შეტანა ხალხში უზრუნველყოფდა სოციალური უსამართლობის მოსპობას. ეს გახლდათ მისი „მშვენიერი ტრაგიკული" შეცდომა. მისი აზრით, ვინც განათლებასა და კულტურასთან შეიქნებოდა წილნაყარი, იგი უსამართლობას აღარ ჩაიდენდა. მისი აზრით, განათლების გავრცელებას თან უნდა მოჰყოლოდა ადამიანთა ზნეობრივი სრულყოფილება, ზნეობრივი სიქველე კაცთა, სრული ჰარმონიის დამყარება სწავლის დანერგვითა და განათლებით"[60]. მაგრამ ეს შეხედულება სულაც არ არიან შეუვალი კრიტიკისათვის.

ზემოთ ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ახალგაზრდა ილიას განწყობილებასა და ნააზრევზე საგლეხო რეფორმის წინა პერიოდში. ასე რომ, ამაზე აღარ შევჩერდებით. ილია აღიარებდა და კანონზომიერად თვლიდა კლასობრივ ბრძოლას ფეოდალური დასავლეთ ევროპის ისტორიულ სინამდვილეში, სადაც საკუთრება უმეტესწილად, მისი აზრით, გაბატონებული ფენების ხელში იმყოფებოდა. კიდევ მეტი, ილია ყოველთვის კრიტიკულად იყო

განწყობილი ბურჟუაზიის როგორც კლასის მიმართ, აკრიტიკებდა ამ უკანასკნელის ექსპლუატატორულ ბუნებას განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში – ინგლისსა, საფრანგეთსა და გერმანიაში. ასე მაგალითად, საფრანგეთის დიდი რევოლუციის გამარჯვების შედეგად დამყარებულ სოციალურ ვითარებაზე, ახალი სახის უსამართლობაზე ილია ამბობდა: „ამ ბურჟუაზიამ კიდევ ისე წარმართა საზოგადო და სახელმწიფო საქმე, რომ ეჩოსავით სულ თავისკენ მოითალა და ის კი, რამაც საკუთრივ შეჰქმნა იგი მოძრავი სიმდიდრე, წრეს გარეთ დარჩა. ის წრეს გარეთ დარჩომილი – შრომა არის და მისი წარმომადგენელი კიდევ მუშაკაცია"[61]. მოგვიანებით, 1895 წელს, ეს აზრი მის მიერ ასეა განვითარებული: „საქმე იმაშია, რომ დღეს საჭიროება ეკონომიურ ცვლილებისა საკმაოდ გავრცელებულია საფრანგეთში... უნუგეშოდ ყოფნა და ძალზე გაჭირვებული ცხოვრება მშრომელისა და გამრჯე ხალხისა ამ ცვლილებას ჰღაღადებს იმოდენად ხმამაღლა, რომ თვით დაწინაურებულნი წარმომადგენელნი ეგრეთწოდებულ ბურჟუაზიისა – მონარქისტებია, თუ რესპუბლიკელნი – ჰგრძნობენ, – რა ჭექა-ქუხილის ღრუბელი იკრიბება ამ მხრით საფრანგეთის თავზე საერთოდ და ბურჟუასიასზე საკუთრივ"[62]. საერთოდაც, ილიას შეხედულებით: „...ევროპაში მიზეზია – და დიდ საბუთიანიც, – წოდებათა შორის დაჯახებისა, ერთმანეთთან შეხეთქებისა, ერთმანეთის ცილობისა"[63]. ილია ლაპარაკობს მეოთხე წოდებაზე, ე. ი. მუშათა კლასზე: „დღეს ეგ წოდება იბრძვის, იბრძვის სასტიკად და მედგრად თავისის დედააზრისათვის (ე. ი. პრინციპისათვის – **გ. ყ.**) და იმედიცა აქვს გამარჯვებისა"[64]. საყოველთაოდ ცნობილი გახლავთ ილიას პოზიცია პარიზის კომუნის დამარცხების თაობაზე, რომელიც (ეს პოზიცია) გადმოცემულია მის მშვენიერ ლექსში. სწორედ ამას გულისხმობდა მიხ. წერეთელი ილიას დასაფლავებისას წარმოთქმულ სიტყვებში: „მაშინ როდესაც საუკეთესო დემოკრატებიც კი მთელი ევროპის პარიზის კომუნას უშვერად, ურცხვად და ცინიკურად იხსენიებდნენ, – ილია მის დამცველად, მისი დიდების ქართულ ჩანგზედ მომღერლად გამოვიდა ჩვენში"[65].

1899 წელს დაწერილ წერილში „მეცხრამეტე საუკუნე" ილია აღნიშნავდა: „დღეს ღარიბსა და მდიდარს შორის, ძლიერსა და უძლურს შორის უფრო დიდი ზღვარი არის, ვიდრე ოდესმე ყოფილა, და აქ არის იგი სიმწვავე იმ ტკივილისა, რომლის მორჩენაც მეცხრამეტე საუკუნემ უანდერძა აწ მომავალს საუკუნეს"[66]. ამავე

წერილში ვკითხულობთ: „ამ მეცხრამეტე საუკუნემ სოციალურის წყობილების იდეალად გამოსახა გაუქმება ქონებისა და შემოსავლის მეტ-ნაკლებად განაწილება ადამიანთა შორის, გაუქმება ყოველის კლასობრივის ბატონობისა და, შეძლებისამებრ, ყოველის კლასობრივის სხვადასხვაობისა, ფეხზე წამოყენება და ხელშეწყობა გამრჯე და მშრომელ კლასებისა წარსამატებლად"[67].

ილიასეული ასეთი გამონათქვამები, მათ შორის საქართველოში მოქმედი სავაჭრო და სავახშო კაპიტალის, ადგილობრივი, სომხური და უცხოური ბურჟუაზიის კრიტიკის თაობაზე, მრავლად შეგვეძლო მოგვეტანა. მაშ როგორ შევუთავსოთ ისინი ფართოდ გავრცელებულ წარმოდგენას, რომლის მიხედვითაც ილიას სოციალური იდეალი იყო ბურჟუაზიული საზოგადოება? ამ წარმოდგენის მქონე მკვლევარები საჭირო სიღრმე-სიგანით ვერ ითვალისწინებენ იმ გარემოებას, რომ ილიას აზროვნება მხოლოდ ქართული სინამდვილის ასახვა, პროდუქტი როდი გახლდათ, არამედ მთელი თანადროული მოწინავე საზოგადოებისაც (პირველ რიგში დასავლეთ ევროპისა), რომ იგი თანადროული მოწინავე სოციალური და პოლიტიკური თეორიებისა და საერთოდ სოციალური და პოლიტიკური პრობლემების კურსში იყო და ამიტომაც ხედავდა მკვეთრ განსხვავებულობას საქართველოს, რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ისტორიულ სინამდვილეებს შორის. შესაბამისად, ეს ისტორიული სინამდვილეები სხვადასხვაგვარ ამოცანებს, პრობლემებს აყენებდნენ.

საკუთრივ საქართველოს ვითარების მიმართ ილია აღნიშნავდა: „ჩვენი ხალხი უმთავრეს ნაწილად მეურნეობას (იგულისხმება სოფლის მეურნეობა – **გ. ყ.**) მისდევს. მეურნეობა შეადგენს ჩვენის ქვეყნის სიმდიდრეს, ეს არის ჯერ ერთადერთი წყარო შემოსავლისა... მრეწველობა და აღებ-მიცემობა ჯერჯერობით ძლიეს ისახება, ასე რომ სათქმელი არც კია"[68]. აქედან გამომდინარე, ილია არ ცნობდა ჩვენში კაპიტალიზმის წარმოების წესად, ეკონომიკური ცხოვრების საფუძვლად ჩამოყალიბებას, შესაბამისად ბურჟუაზიისა და მუშათა კლასების არსებობას, ამ ნიადაგზე კლასთა ბრძოლის გაშლას (თანადროულ თბილისში მიმდინარე პოლიტიკური ბრძოლის, ქალაქის თვითმმართველობის თაობაზე, საფუძვლად ილია მიიჩნევდა ეროვნებათა შორის ბრძოლას). ასეთ თვალსაზრისზე იდგა იგი არა მხოლოდ აღნიშნული სტრიქონების წერისას (1887 წელს), არამედ სიცოცხლის უკანასკნელ წლებამდე. ეს შეხედულება ილიას სრულიადაც არ შეუცვლია კ. მარქსის, ფ. ენგელსის, ფ. ლასალის,

კ. კაუცკის, გ. ვ. პლეხანოვის, ედ. ბერნშტაინის, გ. შმოლერის, ვ. ზომბარტისა და სხვათა შეხედულებების გაცნობის შედეგადაც. ამავე დასკვნებს აკეთებდა ილია რუსეთის მიმართაც. ამ მხრივ დასავლეთევროპული სინამდვილე ილიას სულ სხვაგვარად წარმოედგინა, და სოციალიზმის იდეალის განხორციელების შესაძლებლობას პირველ რიგში ამ ისტორიულ რეგიონს უკავშირებდა. საქართველოსათვის კი, ილიას აზრით, სოციალიზმი შორეული პერსპექტივა გახლდათ ჯერ-ერთი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ჩამორჩენილობის გამო და მეორე, ქართველობისათვის მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა უპირველესად ეროვნული თავისუფლების მოპოვება, რაც ერის კონსოლიდაციას და არა კლასთა ბრძოლის გაშლას საჭიროებდა.

უტუყარი საისტორიო წყაროს თანახმად, როდესაც სოციალისტ-ფედერალისტებს ილიასათვის გაუცვნიათ თავიანთი პარტიის გეგმა რუსეთის იმპერიის შიგნით საქართველოს ავტონომიურად მოწყობის თაობაზე, ეს გეგმა ილიას მოსწონებია, სათანადო მატერიალური დახმარებაც აღუთქვამს საზღვარგარეთ პარტიის ორგანოს (გაზეთის) გამოცემის საქმეში, მხოლოდ თურმე არ ეჭაშნიკა, როცა შეიტყო, რომ აღნიშნული პარტიის მთავარი მოღვაწე უნდა ყოფილიყო არჩ. ჯორჯაძე[69]. ეს იყო 1903 წელს. ორი წლის შემდეგ, როგორც ცნობილია, რუსეთის იმპერია მძლავრმა რევოლუციამ შესძრა. ხალხის მასების ენერგიული გამოსვლებისა და მარცხიანი ომით (იაპონიასთან) დასუსტებული ცარიზმი იძულებული გახდა, საზოგადოების მნიშვნელოვან რადიკალურ გარდაქმნაზე წასულიყო. შექმნილ ისტორიულ სიტუაციაში ილიას აქტიურ ნატურას სათანადო გასაქანი მიეცა. მის უპირველეს საზრუნავად იქცა საქართველოსათვის ავტონომიის მოპოვება (საკუთარი ცენტრალური არჩევითი წარმომადგენლობით, ე. ი. პარლამენტით, კანონმდებლობით, ადმინისტრაციით, ქართული ენის გაფართოებული უფლებებით ამ სფეროებშიც). მანვე მოითხოვა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. ეს საკითხები ილიამ დააყენა როგორც თავადაზნაურობის, ისე ქართველობის სხვადასხვა ფენის მოწინავე წარმომადგენელთაგან შეკრებილ პირთა და რუსეთის სამღვდელოების უმაღლესი იერარქების წინაშე. ეროვნული ავტონომიის საკითხს იგი სვამდა საკუთარი ოფიციალურად თვით იმპერიის სატახტო ქალაქში. ფართოდ არის ცნობილი ილიას შემართება თვითმპყრობელობის წინაშე გურიის გლეხკაცობის გამოსვლასთან დაკავშირებით[70].

ილიამ საკმაოდ რადიკალური მოთხოვნები წამოაყენა სოციალურ სფეროშიც. კერძოდ, მოითხოვა ქართველი გლეხკაცობისათვის სახელმწიფო მიწების დაკავების უფლების მიცემა, მათ შორის ქართული ეკლესიისათვის კუთვნილი მამულების დაბრუნება, ბატონყმობის ნაშთების საბოლოო ლიკვიდაცია. მთელი ქართველი ერის დიდ მოამაგეს არ გამორჩენია მუშათა ინტერესებიც, მათთვის დააყენა საფაბრიკო-საქარხნო კანონმდებლობის გაფართოება, სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევა, გაფიცვების, ორგანიზაციების, კრებების თავისუფლება, რვასაათიანი სამუშაო დღე. ყველა ეს მოთხოვნა ილიამ შეიტანა მის მიერ შედგენილ პროგრამაში, რომელიც ორიენტირად, სახელმძღვანელოდ უნდა გამხდარიყო პროგრესისტთა ქართული ეროვნულ-დემოკრატიული (კონსტიტუციურ-დემოკრატიული) პარტიისათვის[71].

1907 წლის ზაფხულში ილიამ ჩაიფიქრა კოოპერაციის შესახებ საგანგებო ნაშრომის შექმნა და შეუდგა კიდეც საამისო მუშაობას. წიგნისათვის ისტორიული ნაწილის დაწერა კი დაუვალებია მომავალი დიდი ეროვნული მოღვაწის - ივანე ჯავახიშვილისათვის[72].

ერთი სიტყვით, ილიამ 1905 – 1907 წლებში, მიუხედავად ხანდაზმულობისა და შერყეული ჯანმრთელობისა, უდიდესი ენერგია გამოაელინა (მათ შორის საიმპერიო პოლიტიკურ სარბიელზე, კერძოდ, სახელმწიფო საბჭოში, სადაც მემარცხენე ფრთასთან ერთად გამოდიოდა რადიკალური მოთხოვნებით, აგრეთვე სათათბიროში). ილიას რომ კვლავ ეცოცხლა, კიდევ ახალ საინტერესო ფაქტებს ექნებოდა ადგილი მის ბიოგრაფიასა და ამით მთელი ქართველი ერის ცხოვრების მატიანეში. მაგრამ ეს პერსპექტივა უწყალოდ აღკვეთა 1907 წლის 30 აგვისტოს (ძვ. სტ.) წიწამურთან გარეწრების მიერ გასროლილმა ტყვიებმა...

§ 3 თაობათა დაპირისპირებულობა და ერთიანობა

(ილიასა და წინა თაობების მაგალითზე)

„რაც გინდა სთქვით, როგორც გინდა მოიქეცით, ოღონდ ახალ-თაობის წმინდა სახელს ნუ მოჰფენთ უკადრისს ქცევასა, უკადრისს სიტყვასა. ახალი თაობა სხვა არის, სხვა ნუგეშია, სხვა იმედია. ყველა ჩხაკანა ახალ-თაობა არ არის. ახალი თაობა გონიერებაა. ახალი თაობა პატიოსნებაა, ახალი თაობა ცოდნაა, მეცნიერებაა, ახალი თაობა საქმეა და არა ჩხავილი. ვისაც ყოველივე ეს ცოტად თუ ბევრად არა სჭირს, შორს

მანძილს ვერ გაირბენს მარტო იმით, რომ ბალღები ატყუოს, - ახალი თაობის კაცი ვარო".

ილია.

ილიასა და მის თანამებრძოლთა ბრძოლას წინამავალ თაობასთან ხშირად არასწორად აღიქვამენ. იგი წარმოუდგენიათ აბსოლუტური მნიშვნელობით, თითქოს ეს დაპირისპირება სამკვდრო-სასიცოცხლო ხასიათისა იყო წინა თაობის სიცოცხლის ბოლომდე, რაც თითქოს გამორიცხავდა მათს თანამშრომლობას.

სინამდვილეში აღნიშნულ თაობებს ბევრი რამ ჰქონდათ საერთო, კერძოდ, ეროვნული გრძნობა-შეგნება, პატრიოტიზმი, ზრუნვა ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის. ამ თვალსაზრისით თუმცა საერთოდ ქართველი თავადაზნაურობის ერთი ნაწილის დენაციონალიზაცია ხდებოდა, მაგრამ უმეტესობას მეტნაკლებად ამგვარი განწყობა-განწყობილება უთუოდ ჰქონდა. სხვა საქმეა, რომ ახალი აზროვნებითა და ენერგიით ძველი თაობის წარმომადგენლები ჩამოუვარდებოდნენ „თერგდალეულებს" და ლიდერიც მათ ილიას რანგისა, ცხადია, არა ჰყავდათ. ისიც უნდა აღნიშნოს, რომ პრაქტიკული საქმიანობითაც მათ რაღაცის თქმის საფუძველი ჰქონდათ: განსაკუთრებით თურქეთთან რუსეთის ომების შედეგად რომ საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის მნიშვნელოვანი ნაწილი უბრუნდებოდა, ამაში ხომ მათი დამსახურებაც (სამხედრო) იყო, რაც არ გამოჰპარვია გრიგოლ ორბელიანს (გავიხსენოთ მისი „პასუხი შვილთა"). ისინი მონაწილეობდნენ ჩვენს ისტორიულ მტერთან – ერანთან ომებშიც.

დაპირისპირებულობა უპირველესად მნიშვნელოვანი იყო სოციალურ საკითხში. ახალმა ისტორიულმა ვითარებამ, განსაკუთრებით რუსეთისათვის მარცხიანმა ყირიმის ომმა, აშკარად გამოავლინა რუსეთის იმპერიის ჩამორჩენილობა, რაც, პირველ ყოვლისა, ბატონყმობით აიხსნებოდა. ამ გარემოებას გრძნობდნენ ჯერ კიდევ ალექსანდრე პირველი და ნიკოლოზ პირველი, მაგრამ თავადაზნაურობის დიდი წინააღმდეგობის გადალახვას ვერ ბედავდნენ. ეს შესძლო ალექსანდრე მეორემ და მისმა გარემოცვამ, რის გამოც მას ილია „დიდი მეფის" სახელით მოიხსენიებდა. ამდენად, გლეხთა საკითხის გადაჭრა, ბატონყმობის გაუქმება 1860-იან წლებში საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსული თაობისათვის აშკარა იყო. ამაში მათ წინა თაობა ხანგრძლივად ჩამორჩებოდა,

მაგრამ როდესაც დიდი საკითხის გადაწყვეტა ასე ვთქვათ ისტორიის დღის წესრიგში დადგა და იგი დაიწყო „ზემოდან", წინა თაობამ, ცხადია, ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და მანაც დაიწყო რეფორმისათვის სამზადისი. მაგრამ როგორც საერთოდ რუსეთის იმპერიის მასშტაბით, ისე საქართველოს პირობებშიც ამჯობინებდნენ გლეხკაცობის მხოლოდ პირადად, უმიწოდ გათავისუფლებას. ამ თვალსაზრისით ახალი თაობის ერთ ნაწილს მეტი პროგრესი სურდა, მაგრამ ვერას გახდა.

დაპირისპირებულობამ უფრო უწინ თავი იჩინა ენისა და ორთოგრაფიის, ესთეტიკის საკითხებში. ჟურნალ „ცისკრის" ფურცლებზე ბრძოლის მთავარი თაოსანი ილია იყო. მისი და მისი მომხრეების გამოწვევა, ცხადია, უპასუხოდ არ დარჩენილა და ეს ბრძოლა მიმდინარეობდა შემდგომ წლებშიც, რასაც, როგორც უკვე ვამბობდით, დაემატა გლეხთა განთავისუფლების ხარისხის საკითხიც. გრიგოლ ორბელიანი წერდა: „ათი წელიწადი, გინდა ოცდაათიც რომ განვიდეს, სამწუხაროდ არ უნდა მიაჩნდეს არცა მმართებლობას (მმართველობას – **გ. ყ.**) – და არცა ხალხსა, რადგანაც ათასის წლის დაწყობილება, ჩვეულება, წესი, დებულება უნდა დაირღვეს და აშენდეს სხვა ახალი წესი და ახალი ცხოვრება საქართველოსი, რომელიც ამას იქით მიიღებს ახალსა სახესა და დაიწერება ახალი მისი ისტორია! და ესრეთი დიდად მძიმე და ძნელი საქმე როგორ უნდა დაბოლოვდეს მოკლე ხანში?"[72] მაგრამ, როგორც ვიცით, 1864 – 1866 წლების საქართველოში საგლეხო რეფორმა გატარდა და დიდი ენებათაღელვანიც უკვე ისტორიის კუთვნილება გახდა.

საერთოდ კი ახალი თაობა, მით უმეტეს ილია, თვალნათლივ აცნობიერებდა ძველი თაობის ღვაწლის მნიშვნელობას, კერძოდ, ქართული მწერლობის განვითარებაში. აკი თვითონ ყველაზე დიდი „თერგდალეული" ხომ წერდა: „...ძველის თაობის მწერლობამ თავისი ფერი დასდო ახალსაც, შესამჩნევი გავლენა იქონია ახალზე და ამ გავლენას ვერასგზით ვერ მივიჩნევთ მავნებელ გარემოებად"[73]. კონკრეტულად, პოეზიაში ეს ითქმის ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანების, რაფიელ ერისთავის და განსაკუთრებით გენიალური ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ. კერძოდ ვახტანგ ორბელიანის შემოქმედების მნიშვნელობის შესახებ ილია ამბობდა: „აწ განსვენებულმა ჩვენმა მწერალმა ვახტანგ ორბელიანმა მთელის თავისის მხურვალე გულისძგერით აღთქმად დასდვა, ანდერძად დაგვიტოვა, რომ ძმობა და ერთობა კლდეა და

ამაზედ ააშენეთ თქვენი ბედნიერებაო, ამაშია ჩვენი იმედი, ჩვენი სასოება"[74]. მწერლობის სხვა დარგების (დრამატურგიისა და რომანის) თაობაზე ეს ითქმის გიორგი ერისთავსა და ლავრენტი არდაზიანზე.

„მამათა" და „შვილთა" ბრძოლა მთელი ძალით განახლდა 1871 წელს, რომლის მთავარი ინიციატორი კვლავ და კვლავ ილია გახლდათ. მაგრამ უმთავრესი საფუძველი პოლემიკისა, რასაკვირველია, მისგან როდი მოდიოდა. ღირს გახსენებად, თუ როგორ და რატომ ატყდა ეს ამბავი.

ცნობილია, რომ 1871 წელს საქართველოს ესტუმრა იმპერატორი ალექსანდრე II (სხვათა შორის, ალექსანდრე I-ის გარდა, ყველა მომდევნო „რუსთ ხელმწიფემ" დაგვდო ამგვარი პატივი). თავადაზნაურობამ გადაწყვიტა, რომ მოემზადებინა ადრესი ამ „დიადი მოვლენის" აღსანიშნავად, „დიდად საპატიო სტუმრისათვის" მისართმევად. ამისათვის შედგა საგანგებო ყრილობა. ახალთაობის წარმომადგენელთა ზეწოლით თავყრილობამ დაადგინა მოეთხოვათ უნივერსიტეტის გახსნა. შედგენილი იქნა კიდეც სათანადო მიმართვაც. მაგრამ თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის მარშალმა რევაზ ანდრონიკაშვილმა, ასევე ბარონმა ალექსანდრ ნიკოლაიმ (სენატორი და კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსი) და თავად-აზნაურთა ერთი ჯგუფის სურვილით, გვერდი აუქციეს უწინ მიღებულ დადგენილებას და იმპერატორს სხვანაირი ადრესი წარუდგინეს, რომელშიც უნივერსიტეტის ნაცვლად მოითხოვდნენ კადეტთა კორპუსის გახსნას თბილისში[75]. ცნობილი გახდნენ ამ ცვლილების ავტორები. სწორედ ისინი იგულისხმებოდნენ ილიასეულ „გამოცანებში", რომლებიც დაიწერა 1871 წლის 7 დეკემბერს, დუშეთში (შეგახსენებთ, რომ ილია ამ დროს აქ მსახურობდა მომრიგებელ მოსამართლედ).

ილიასეულ „გამოცანებში" იგულისხმებოდნენ: 1) უკვე მოხსენიებული რევაზ ანდრონიკაშვილი; 2) გიორგი მუხრან-ბატონი (მუხრანსკი) – იმ დროს სენატორი, შემდეგ სახელმწიფო საბჭოს წევრი; 3) ივანე მუხრან-ბატონი – გენერალი, მსხვილი მემამულე; 4) პლატონ იოსელიანი – ცნობილი ისტორიკოსი, იდეური მრწამსით კონსერვატორი; 5) დიმიტრი ჯორჯაძე – კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი; 6) იასე ჭავჭავაძე – თბილისის გუბერნიის სამმართველოს წევრი; 7) ბესარიონ ღოღობერიძე – ერთ დროს „ახალი თაობის" კაცი, რომელმაც ამჯერად „ძველების" პოზიცია

დაიკავა[76] და 8) ფრიად ცნობილი გრიგოლ ორბელიანი.

მალე ამას მოჰყვა ილიას „კიდევ გამოცანები", რომლებშიც მწვავედ იქნენ გაკენწლილნი: 1) გრაფი მიხეილ ლორის-მელიქოვი[77] —დაიბადა და იზრდებოდა თბილისში, იყო გენერალ-ადიუტანტი, რუსეთის თვალსაჩინო სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, ამ დროს ასრულებდა თერგის ოლქის უფროსის მოვალეობას. 1878 წელს მიიღო გრაფის ტიტული, გახლდათ რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი და ჟანდარმერიის შეფი, სახელმწიფო საბჭოს წევრი.; 2) ლევან მელიქიშვილი – მთავარმართებელ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის თანაშემწე; 3) იასე თარხნიშვილი – გენერალ-ლეიტენანტი; 4) მიხეილ თუმანიშვილი (ბირთველიჩი); 5) დიმიტრი ყიფიანი და 6) დანარჩენი ფეოდალური არისტოკრატია საერთოდ. ილია ორივეგან თავის თავზეც ლაპარაკობდა, ოღონდ ანონიმურად, ისე, რომ მისი ავტორობა მხოლოდ დავით ერისთავმა (ცნობილი დრამატურგისა და საზოგადო მოღვაწის ძემ, თვითონაც მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ) იცოდა.

„გამოცანები" და „კიდევ გამოცანები" საზოგადოებრიობაში ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა, ნაბეჭდი სახით ისინი გამოქვეყნდა 1914 წელს, მიხეილ გედევანიშვილის მიერ გამოცემული ილიასეული „თხზულებების" პირველ ტომში.

რასაკვირველია, ჩამოთვლილ პირთა უმრავლესობა უთუოდ იმსახურებდა ილიას მიერ მწვავე უარყოფით შეფასებებს. ეს განსაკუთრებით ეხება დანარჩენ, უსახურ ფეოდალურ არისტოკრატიას:

„მათში ბევრი წურბელაა,
გველი, ხვლიკი, ლოკოკინა;
იციან რომ არ ვარგანან
და თავისთვის სხედან შინა.
ხროვა ეგე, ანუ ჯოგი,
საუბედუროდ, დიდია;
მათ ყველას ერთად ქვეყანა
შინვე ფეხებზედ ჰკიდია".

საბედნიეროდ, იყვნენ გამონაკლისები, რომელნიც ილიას შეუმჩნეველი არ დარჩენია. ასე მაგალითად, მერვე გამოცანაში იგულისხმებოდა გრიგოლ ორბელიანი, ვითარცა

„საქმით წმინდა გულმხურვალე,
სიტყვატკბილი, ჭკვამაღალი,

ძველთაგანა ეგდა დარჩა
გრძნობით სავსე, გონიერი,
მაგრამ გაუბედავია,
თუმცა უყვარს თვისი ერი.
ის ძველის და ახლის შუა
შემაერთავი ხიდია,
მაგრამ ამ კარგსაც ქვეყანა
ზოგჯერ ფეხებზედ ჰკიდია"[78].

ამ შემთხვევაში ილია, როგორც ყოველთვის, გულწრფელი იყო. მიუხედავად ცნობილი ნაკლოვანებებისა, გრიგოლ ორბელიანი უთუოდ იმსახურებდა ამგვარ „შელაკათიან" შეფასებას. იგი (ეს შეფასება) სრულიადაც არ მომდინარეობდა იქიდან, რომ, როგორც უკვე მივუთითებდით, სწორედ გრიგოლ ორბელიანი გახლდათ ის მთავარი ოფიციალური პირი, რომელმაც ნება დართო ახალგაზრდა ილიას გამოეცა „საქართველოს მოამბე" აღნიშნული პროგრამით, თუმცა „იმ პირობით, რომ მასში არ თავსდებოდეს არავითარი პოლიტიკური ამბები და მსჯელობა". შემორჩენილია სხვა შესაბამისი დოკუმენტიც, შედგენილი 1862 წლის 28 თებერვალს – კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებლის, გენერალ-ლეიტენანტ გრიგოლ ორბელიანის მიმართვა კავკასიის კომიტეტის საქმეთა მმართველისადმი[79].

აღსანიშნავია ისიც, რომ თუმცა გრიგოლ ორბელიანმა არ დაინდო ახალთაობის წარმომადგენლის გიორგი წერეთლის „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა", მაგრამ ამისაგან განსხვავებით წერდა: „რისგან მოხდა, რომ „საქართველოს ისტორია"[80] და „კაცია-ადამიანი" რამდენჯერმე წავიკითხე დიდის სიამოვნებით, და კიკოლიკის მგზავრობა მეჩუენა ესრეთ საზიზღრად"[81].

დიმიტრი ყიფიანის შესახებ „კიდევ გამოცანებში" ეკითხულობთ:

„ჩვენის ქვეყნის საკეთილოდ
მან მარტომან შეგვრძა ყველა,
ერთმანეთის მტრებს გვასწაელა
ერთმანეთის ძმური შველა...
ამ უკეთურ კაცთა შორის
მე იგი კაცად მგონია
მით, რომ საქმითაც ქვეყნისა
მას სიყვარული ჰქონია...
რაც არის, კიდევ ეგ არის
ჩვენში ხელმოსაკიდია,

მარტო მას, ეგონებ, ქვეყანა
ფეხებზედ არა ჰკიდია"[82].

ცხადია, ახალგაზრდა თაობისაგან ასეთი მწვავე გამოწვევა (თუმცა ანონიმურად) უპასუხოდ არ დარჩებოდა. ძველი თაობის მხრიდან პროტაგონისტის როლის შესრულება გრიგოლ ორბელიანმა, როგორც ყველაზე ავტორიტეტულმა და საკმაოდ განათლებულმა, იკისრა. 1872 წელსვე მან დაწერა „გამოცანების პასუხი", რომელიც „პასუხი შვილთა"-ს თავდაპირველ ვარიანტს წარმოადგენს. იგი ძალიან მწვავე გამოხმაურებაა. „შვილები" დახასიათებულია, როგორც „კოღო-ბუზები", „ჭკუით გლახები", „კატის კნუტები", „ვირები", „ჩხირ-პაიკები", „ცრუ პატრიოტები", „ჯაგლაგები", „უსწავლელნი", „სულითა და სწავლითაც სუსტნი", უეროვნონი. მათ მიმართ „ლიბერალები", „პატრიოტები", „საქართველოსთვის დიდად მზრუნველნი" მხოლოდ ირონიული შენიშვნებით არიან ნათქვამი. თუმცა ილია არაა ნიშანდობლივ დასახელებული, მაგრამ გრიგოლ ორბელიანი სწორედ მას გულისხმობდა სიტყვებში:

„ის ლიბერალი,
ბურთივით მრგვალი,
ზნეობის მცველი ამას ჰქადაგებს:
„ლოცვა რად გვინდა?
ღმერთი რად გვინდა?
ჩვენი გონება არს ჩვენი ღმერთი"[83].

კონკრეტულად არიან დასახელებულნი აკაკი წერეთელი (აკაკიები, ბაკაკიები), ნიკო ნიკოლაძე („რიონელი"), გიორგი წერეთელი („გოგიტელა").

უფრო მოზომილია გრიგოლ ორბელიანის პასუხის მეორე ვარიანტი – „პასუხი შვილთა", რომელიც ავტორმა „ძველი სემინარიელის" ფსევდონიმით 1874 წელს დაწერა და ამავე წლის ივლის-აგვისტოში გამოაქვეყნა „ცისკარში" (№ 8, 9). ამჯერადაც ილია ნიშანდობლივ არაა დასახელებული, მოხსენიებული არიან სერგეი მესხი („მესხი"), დავით მიქელაძე („მეველე") და სტეფანე მელიქიშვილი („მელიქ-აღა").

გრიგოლ ორბელიანმა, რა თქმა უნდა, მშვენივრად უწყოდა, თუ ვინ იყო ყველაზე გამოჩენილი ახალთაობელთა შორის, მათი ლიდერი. ალბათ სწორედ მას მიემართება ირონიულად ნათქვამი:

„რაღასა ელით?
რატომ გვირგვინით
არ შეიმოსვის ვინცა გყავთ ღირსი?...
რომ ბრძოლის ცეცხლი
ასტყდეს ფიცხელი;
ხმლისა ტრიალით, ძლევის ყიჟინით,
იმ თქვენმა გმირმა,
სულით ძლიერმა,
ხელთ ბაირაღით ძირს დასცეს ყარსი!
რომ მისმა ხმამა,
ქუხილის მძლავრმა,
შეაკრთოს ქვეყანა მის აღსადგენლად?"

ეს კი ნამეტანი იყო: ილიასაგან ომებში გამარჯვებასაც თხოულობდნენ!

გრიგოლ ორბელიანის პასუხს მოჰყვა ილიას „პასუხის პასუხი", რომელშიც ერთობლივ ახალთაობის სახელით „ძველთა" მისამართით აღნიშნულია:

„ჩვენ ვველეთ რუსეთი,
მაგრამ არც ერთი
ხელობა თქვენი არ გვისწავლია;
ჩვენი ქვეყანა
მკვდარი თქვენგანა,
თქვენებრ ჩინებზედ არ გაგვიცელია.
ლიბერალობა,
პატრიოტობა
სალანძღავ სიტყვად არ გაგვიხდია;
თქვენგან ჩაგრული,
დაბრმავებული
ერი ჯვრებზედ არ გაგვიყიდია...
ჩვენ მოკუნტულნი,
თქვენ გაბღენძილნი,
ვერა ვთავსდებით ერთმანეთშია".

დაპირისპირებულობა ხაზგასმულია რელიგიური (ქრისტიანული) გრძნობა-შეგნების თვალსაზრისითაც: თუ „ძველი" თაობის თვალში (და გონებაში) იგი ფარისეველურია, „ახლებისათვის" წმინდა და შეურყვნელია.

რაც შეეხება ქართული ენის დაცვას, ილიას მოჰქონდა მომაკვ-

დინებელი არგუმენტი – სწორედ ძველი თაობის რიგებში იყო „გამოჩენილი" ეროვნული რენეგატი გიორგი მუხრანსკი, რომელიც ქადაგებდა მცირე ერებისა და მათი ენების დიდი ერების და მათს ენებთან შერწყმის, ასიმილაციის კანონზომიერებას:

„პირველ თქვენგანმა,
იმა ბედშავმა მას (ე. ი. ქართულ ენას – **გ. ყ.**)
მკედრის სუდარა გადააფარა".

ამასთან დაკავშირებით ილია თვითკრიტიკულიც იყო, როდესაც წერდა:

„გვიან თუ მალე,
დღესა თუ ხვალე,
რაც ენას ეცოდეთ, ის გასწორდება".

და ამას (შეცოდებას ქართულ ენის მიმართ (ხმარებისას) ჩვენი დიდი ეროვნული მოღვაწე კვლავაც ხშირად იმეორებდა.

ლექსში „ჩემო კარგო ქვეყანავ..." (დაწერილია იმავე 1872 წლის 15 სექტემბერს) კვლავ ფიგურირებს დაპირისპირებულობა „ძველ" და „ახალ" თაობებს შორის:

„თუმცა ძველნი დაგშორდნენ, ახალნი ხომ შენია...
მათ ახალთ აღგიდგინონ შენ დიდების დღენია";
„წერილ-შეილნი წამოგესწრნენ ნაზარდნი, გულმტკიცები,
მათის ზრუნვის საგანი შენ ხარ და შენ იქნები,
არ გიმტყუნებენ შენა, თუკი მათ მიენდები";
„მათ თვის მკერდით შეპმუსრონ მტერთა სიმაგრენია".

თაობათა შორის ამ „მეორე ტალღის" დაპირისპირებამაც გადაიარა. ცხადი შეიქნა, რომ არ შეიძლებოდა მსგავსი დაპირისპირებულობის უკიდურესი გამწვავება, გააბსოლუტურება. მთავარი გახლდათ ერისათვის სასარგებლო იდეები, საქმეები, რომელთა ქონასა და აღსრულებისასაც მთავარი ასაკობრივი განსხვავებულობა როდი იყო. ილია ასეთ ბრძნულ დასკვნას აკეთებდა: „რადგანაც ყოველს საზოგადო აზრს, თუ საქმეს, ამყოლი, მოსარჩლე და მოძღვარი, ბერიცა ჰყავს და ერიც, ჭაბუკიც და მხცოვანიც, ახალიც და ძველიც, გუშინდელი და დღევანდელიც ერთსა და იმავე დროს, ამიტომაც ვერც ერთი და ვერც მეორე, ვერც ძველი და ვერც ახალი, ვერ მიაკერებს რომელსამე აზრს, თუ

საქმეს ცხოერებაში ასე თუ ისე მოარულს, თავისს სახელსა; პირიქით, თითონ აზრი, ან საქმე, აკისრებს ხოლმე თავისს სახელს თავის ამყოლსა და გამძღოლსა"[84].

კარგად არის ცნობილი ის თვალსაჩინო როლი, რაც ძველი თაობის რიგმა წარმომადგენლებმა (გრიგოლ ორბელიანმა, დიმიტრი ყიფიანმა (განსაკუთრებით), რაფიელ ერისთავმა, ეპისკოპოსმა გაბრიელმა (გერასიმე ქიქოძემ). დავით ჩუბინაშვლმა და სხვებმა ითამაშეს ქართულ ეროვნულ დაწესებულებათა დაფუძნებასა და საქმიანობაში. ამ მხრივ ძველი და ახალი (ერთ დროს) თაობების წარმომადგენლები მხარდამხარ ედგნენ ერთმანეთს. დაბოლოს, გავიხსენოთ დიმიტრი ყიფიანის დიდებული საქციელი, რითაც მან წამებულის გვირგვინი დაიდგა თავს, გახდა რა „ახალი დიმიტრი თავდადებული" (აკაკი).

ამიტომაც იყო, რომ გრიგოლ ორბელიანის დასაფლავებაზე წარმოთქმულ სიტყვაში ილია აღნიშნავდა, რომ მისმა სიკვდილმა: „ბლოვის ზარით გაიხმაურა მთელს საქართველოში და ყოველის ჭეშმარიტის ქართველის გული შესძრა მართლადა ჭეშმარიტის მწუხარებითა"[85]. განსვენებულის მიმართ მას ნახმარი აქვს სიტყვები: „სასიქადულო კაცი", „სახელოვანი შვილი", „სიტყვა-მაღალი მოძღვარი", „თვითმპყრობელი ჩვენის ქართულის ენისა", „მეუფე ჩვენის სიტყვიერების ძალ-ღონის და სიმდიდრისა", „მაღალი ნიჭით ცხებული", „იგი იყო მოძღვარი ჩვენი და ჩვენ – სასოებით მისი მსმენელნი",

„ვის არ შეეხო ზაკვის მორალი ძმისა განკითხვად,
სულითა წრფელი, მშვიდი გულით, ფიქრით განწმენდილ,
ვინც ძლიერებას მძლევის სიტყვით ამცნო სიმართლე
და ძმებს დაცემულთ მისცა ხელი აღსადგენადა"[86].

და ბოლოს, მიმართავდა: „მშვიდობით, ჩვენო სასიქადულო მამულისშვილო, ჩვენო სახელოვანო ქართველო, ჩვენო დიდებულო მწერალო"[87].

დიმიტრი ყიფიანის გარდაცვალების თაობაზე ილიამ „ივერიაში" გამოაქვეყნა სამი წერილი (1887 წლის 30 ოქტომბრის, 3 ნოემბრისა და 7 ნოემბრის ნომრებში). ავტორი გახაზავდა: „დიახ, დიმიტრი ყიფიანი იყო მართალი კაცი; იმიტომ, რომ მართალი მარტო ის არის, რომ „ჰო არა სთქვა", როცა გული „არას" ამბობს"; ამიტომაც ხასიათიან[88] კაცის წინაშე ყველა უნებლიეთ თავს ხრის მოწიწებით

და სასოებითა; ამიტომაც ყველა, დიდი თუ პატარა, უკან მისტირის, როცა ამისთანა კაცი მიდის უკან დაუბრუნებლად და სამუდამოდ...'[89]

საყურადღებოა შემდეგი გარემოებაც. თუმცა მეფის ხელისუფლების აღიარებით, დიმიტრი ყიფიანი მოჰკლეს ბანდიტებმა, თითქოსდა გაძარცვის მოტივით, მაგრამ იმ ხანის შეგნებულმა ქართველობამ მშვენიერად უწყოდა, თუ ვინ იყო საზარელი საქმის აღმსრულებელი. მაგრამ ამას აშკარად ვერ აღიარებდნენ, თუ აღნიშნულ ტექსტს ჩავუკვირდებით, ილია ამაზე მინიშნებას აკეთებდა, როცა წერდა: „კაცი მოკვდა ან მოჰკლეს!"; „ადამიანის სიკვდილის შვილია, და თუ ვინმე კვდება, თუნდა სხვისის ხელით...'[90] სწორედ მსგავს შემთხვევებზე ამბობენ – გამგები გაიგებსო. მეტის თქმა კი იმჟამინდელ მკაცრ საცენზურო პირობებში შეუძლებელი იყო.

შეგახსენებთ, რომ დიმიტრი ყიფიანის დამკრძალავ კომისიაში ილიაც დიდ მონაწილეობას იღებდა[91]. ცნობილია ილიას მიერ რაფიელ ერისთავის შემოქმედებისა და მოღვაწეობის დიდი შეფასება და როლი პოეტის იუბილის გამართვისას (1895 წელს).

გამოჩენილ ქართველ მეცნიერს (ენათმეცნიერსა და ლიტერატურათ-მცოდნეს) დავით ჩუბინაშვილს ილია პირადად ასე მიმართავდა: „ბევრს არას ვიტყვი, მე მხოლოდ ვახსენებ თქვენს ორ ღვაწლს სხვათა მრავალთა შორის. თქვენ ჩვენს სიტყვიერებას სამუდამო სალარო აუშენეთ, ჩვენის ჭკუისა და გულის მონაგარს, ჩვენს სულიერს განძს ბინა დაუდევით, თქვენ შეგვიდგინეთ ლექსიკონი, და შეგვიკრიბეთ ერთი საუკეთესო ბიბლიოთეკა. ამით სამართლიანი სახელი მოგვეცით ხელში, რომ საქვეყნოდ თავი მოვიწონოთ ჩვენის ენისა და მწიგნობრობის სიმდიდრითა და ჩვენცა ვსთქვათ, რომ ჩვენც ოდესმე ვყოფილვართ ჭკუით და გულით გვიცხოვრია. ღმერთმა ჰქმნას, რომ არც ერთი და არც მეორე ღვაწლი თქვენი არ დაეკარგოს საქართველოს'[92].

დაბოლოს, აღვნიშნავთ ილიას დიდებულ სიტყვას იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელის (გერასიმე ქიქოძის) დაკრძალვისას (1896 წელს).

სიტყვაში განსვენებული დახასიათებულია, როგორც „მადლით მოსილი კაცი, რომლის მარტო სახელის ხსენებაც-კი გვწურთნის ჩვენ. საკმაოა კაცმა გაიხსენოს მარტო სახელი გაბრიელ ეპისკოპოსისა, რომ გულში მადლი ჩაეფინოს, ვითარცა მზის შუქი'[93]; „...სიბრძნესთან ერთად ორი სიკეთე კიდევ ჰქონდა მიმადლებული ღვთისაგან. ერთი ისაა, რომ იგი იყო შვილი, სისხლი და ხორცი

ამა ერისა და, მაშასადამე, იცოდა, რა ტკივილით იმტკივნეულოს, რა სიხარულით ინუგეშოს, და მეორე ისა, რომ მოციქულობდა ჩვენის სამშობლოს სიტყვითა იმ ენითა, რომლითაც დღესაც ვადიდებთ ღმერთსა, ეპატრონობთ ქვეყანასა და სულსა და გულს ვაწვდით ერთმანეთსა საუკუნიდამ საუკუნემდე'[94].

ასე რომ, ილიას და წინანდელ თაობებს შორის დაპირისპირებულობა-ბრძოლაზე როდესაც ვლაპარაკობთ, უნდა გვახსოვდეს მისი შეზღუდული ფარგლები. უმეტესწილად ისინი ერთად იღვწოდნენ და ამის საფუძველს შეადგენდა ეროვნული იდეა – დაბეჩავებულ-დამონებული სამშობლო, რომლის „გამოხსნა-აღდგომისათვისაც" ისინი ოცნებობდნენ და შეძლებისამებრ კიდეც იღვწოდნენ. ამაში თავს იჩენდა ისტორიული ცხოვრების მემკვიდრეობითობა, ის კანონზომიერება, რომლის თანახმადაც „არ არის არც ერთი ამისთანა საქმე ქვეყანაზე, რომ წინა თაობის ნათესს მომდევარი თაობა არა მკიდეს'[95].

სულ სხვა ხასიათისა იყო ბრძოლა-დაპირისპირება ერთი მხრივ ილიას თაობასა და მეორე მხრივ 1890-იანი წლების დასაწყისიდან ნოე ჟორდანიასა და სხვათა მოთავეობით გამოსულ ახალგაზრდობას შორის. მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ ვილაპარაკებთ.

---

[1] К. Каутский, Национальное государство, империалистическое государство и союз государств, М., 1917, გვ 9.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, IV გამ., ტ. 6, გვ. 569 – 570.

[3] იგი წერდა: „ხალხი შეეიწროებული და შეხუთულია, ხოლო მოადგებოდა რა მას გარეშე მტერი, იგი იეიწყებდა თავის ვარამს, ხელს აძლევდა თავის მჩაგვრელს და მასთან ერთად მტერს ებრძოდა. ეტყობა, ის გარეშე მტერი მას უფრო მაენებელ მტრად მიაჩნდა, ვიდრე შინაური ბატონი, რომ მიუხედავად ნიეთიერ უთანასწორობისა, ჩვენი გლეხი რიღათითაც დაკაეშირებული იყო სხვა წოდებებთან და მას თავისი შინაურული მონობა ერჩივნა გარეშე „ძალის მონობას". იხ. არჩილ ჯორჯაძე, „სამშობლო და მამულიშვილობა", თბ., 1990, გვ. 315.

[4] იხ. ნიკო ბერძენიშვილის რეცენზია ნ. მახარაძის წიგნზე „Восстание в Имсрстии". ენიმკის მოამბე, XIII, 1942, გვ. 290.

[5] იქვე, გვ. 294.

[6] იქვე, გვ. 292.

[7] ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, 1955, გვ. 472.

[8] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, 1965, გვ. 430.

[9] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 35, გვ. 220.

[10] ამ საკითხის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. ქვემოთ.

[11] ამ ნაწარმოების წერა აეტორმა დაიწყო 1859 წელს (პეტერბურგში). 1862 წელს მან დაამუშავა მოთხრობის პირველი ნახევარი და ეს ნაწილი (I – VI თავები) 1863 წელს გამოაქვეყნა „საქართველოს მოამბეში". მოთხრობის მეორე ნაწილის წერა ილიამ დაიწყო 1872 წლის 9 დეკემბერს და დაასრულა 1873 წლის იანვრის დამდეგს. მთლიანად ნაწარმოები დაიბეჭდა 1873 წელს, ჟურნალ „კრებულში".

[12] თსკ, გვ. 40.

[13] იქვე, გვ. 41.

[14] თსკ, ტ. II, გვ. 56.

[15] თსკ, ტ. II, გვ. 75.

[16] იქვე, გვ. 76.

[17] იქვე, გვ. 77.

[18] ილიამ პოემის წერა დაიწყო 1859 წელს (პეტერბურგში) და დაასრულა 1872 წელს.

[19] ამ საკითხში ჩვენ ვიზიარებთ პროკოფი რატიანის თვალსაზრისს. იხ. მისი „ილია ჭავჭავაძე და გლეხთა განთავისუფლების პრობლემა", თბ., 1962.

[20] მოგვიანებით, როდესაც 1897 წელს ქართველმა სტუდენტებმა გადაწყვიტეს მონაწილეობის მიღება კუნძულ კრეტის განთავისუფლებაში, ჭარმაგი ილია უკვე სულ სხვა რამეს ურჩევდა. იხ. თსკ, ტ. X, გვ. 141 - 144.

[21] პოემის მეორე ადგილას ვკითხულობთ: „მყობადს აეხადე ერთი კუთხე დიდის ფარდისა და ეს ვიხილე..."

[22] თსკ, ტ. II, გვ. 11. შეენიშნავთ, რომ რევოლუციის განმარტება მოცემულია აგრეთვე „საქართველოს მოამბის" პირველ ნომერში.

[23] იქვე.

[24] იქვე.

[25] იქვე.

[26] იხ. მისი „თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიიდან", თბ., 1962.

[27] შეენიშნავთ, რომ ეს ცნება ძირითადად დადგენილია რუსეთის მაგალითზე, რაც მსოფლიო ისტორიის თვალსაზრისით ბევრ გაუგებრობას ჰბადებს,

[28] თსკ, ტ. II, გვ. 12.

[29] შინაური მიმოხილვა. 1881 წელი, მაისი. თსკ, ტ. V, გვ. 95 - 96.

* დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში", 1988, № 11.

[30] ნ. ბერძენიშვილი, „ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების მთავარი ხაზი", თეზისები, თბ., 1964.

[31] გ. მელიქიშვილი, „ზოგიერთი განმარტება", მაცნე, ისტორიისა... სერია, 1978, № 4.

[32] აკაკი სურგულაძე ხან აღნიშნავს, რომ ილია მთელი დაჩაგრული ქართველობის ინტერესების გამომხატველი იყო (რაც მას უტოპიურად მიაჩნია), ხან – მხოლოდ მესამე წოდებისა (იხ. ამ უკანასკნელის „ქართული

საზოგადოებრივი აზრი XIX საუკუნის მეორე ნახევარში", თბ., 1973; „ნარკვევები ქართული ინტელიგენციის ისტორიიდან", თბ., 1980). ასევე წინააღმდეგობრივ და გაურკვეველ აზრებს ავითარებს ელბერდ ბატიაშვილი სტატიაში „ილია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავისებურებანი" („მნათობი", 1986, № 12).

[33] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 18, გვ. 555.

[34] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 35, გვ. 221.

[35] იქვე, გვ. 230; იხ. აგრეთვე ტ. 22, გვ. 220.

[36] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 18, გვ. 555.

[37] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, IV გამ. ტ. 32, გვ. 614.

[38] მსგავს სიტუაციებში ეროვნული საკითხის წინა პლანზე წამოწევა ხაზგასმულია კომუნისტური და მუშათა მოძრაობის საერთაშორისო ჟურნალში „Проблемы мира и социализма", 1981, № 9, გვ. 76. უფრო დაწვრილებით აღნიშნული საკითხის თაობაზე იხ. ჩვენი „ეთნიკური თვითშეგნება და ტრადიციები", თბ., 1984, გვ. 16 – 20.

[39] ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ გავიზიარებთ გ. მელიქიშვილის მოსაზრებას: „რა თქმა უნდა, თვით ეროვნული თუ სოციალური ბრძოლისათვის უპირატესობის მიცემას თავის ღრმა მსოფლმხედველობრივი საფუძვლები ჰქონდა და განსაზღვრული იყო მნიშვნელოვანწილად იმ სოციალური ფენების თვალთახედვით, რომელთა მისწრაფებასაც ეს თვალსაზრისები გამოხატავდა". იხ. „ზოგიერთი განმარტება", მაცნე. ისტორიის... სერია, 1978, №4, გვ. 119. ყოველივე ზემოთქმულის შედეგად დაესძენთ, რომ საგანთა ნორმალური მსვლელობისას, მიუხედავად მსოფლმხედველობისა – ვიწროსი თუ ფართოსი, მატერიალიზმისა თუ იდეალიზმისა და ა. შ., სოციალურ სტატუსისა – გლეხკაცად, თავადაზნაურად თუ ინტელიგენტად და სხვ. ყოფნისა, დამონებული ქვეყნის ადამიანები უპირველეს მიზნად სამშობლოს განთავისუფლებას უნდა ისახავდნენ.

[40] თსკ, თ. II, გვ. 11. „საქართველოს მოამბის" პირველ ნომერში „რევოლუცია" უფრო კონკრეტულად, როგორც ჩანს, ილიას მიერ ასეა განმარტებული: „რევოლუცია" არის აღდგომა წინააღმდეგ მართებლობისა". შევნიშნავთ, რომ საფრანგეთის 1789 – 1794 წლების რევოლუციას ილია ჩვეულებრივად „დიდის" ეპითეტით მოიხსენიებდა ხოლმე.

[41] თსკ, ტ. II, გვ. 21.

[42] კრებული „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება, ტფილისი, 1907, გვ. 180.

[43] თსკ, ტ. VI, გვ. 8 – 9.

[44] თსკ, ტ. III, გვ. 315.

[45] თსკ, ტ. V, გვ. 199.

[46] ცნობილია, რომ ამ აზრს იცავდა კერძოდ ისტორიკოსი პროკოფი რატიანი.

[47] იხ. „ნუთუ?", თსკ, ტ. IX, გვ. 279.

[48] ივ. ჯავახიშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია, ტფ., 1938, გვ. 9.

[49] ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ, თსკ, ტ. IV, გვ. 176.

[50] კრიტიკული აზრის უქონლობა, თსკ, ტ. VIII, გვ. 256 – 257.

[51] სხვათა შორის, ილიასეული აღნიშნული შეხედულების თაობაზე ივანე ჯავახიშვილი დელიკატურად შენიშნავდა: „საქმე ის კი არ არის, სწორეა თუ არა თვით ილ. ჭავჭავაძის ზემომოყვანილი განმარტება. აქ ყველაზე საყურადღებო ის გარემოებაა, რომ მან ჯერ კიდევ 1880 წ. აღიარა ისტორიული პროცესის გასაგებად ეკონომიური საფუძვლის ცოდნის აუცილებლობა" (იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 10).

[52] თავად-აზნაურობის გულგრილობა სწავლა-განათლების საქმეში, თსკ, ტ. IV, გვ. 353.

[53] შინაური მიმოხილვა. 1882 წელი, მარტი. თსკ, ტ. V, გვ. 145.

[54] ვის ნათესსა ვმკით (მიმოხილვა 1879 წლისა). თსკ, ტ. V, გვ. 75.

[55] თსკ, ტ. V, გვ. 79.

[56] იქვე, გვ. 79 – 80.

[57] იქვე, გვ. 141 – 143.

[58] შინაური მიმოხილვა. 1885 წელი, თებერვალი. თსკ, ტ. V, გვ. 333. მოვიგონოთ „მგზავრის წერილების" დასასრული!

[59] იხ. "მოძღვართმოძღვარი ერისა", ლიტერატურული საქართველო, 1978, 28 მაისი; აგრეთვე თენგიზ ბუაჩიძე, 'მცირე პროზა ანუ ესეისტური ჩანაწერები, იქვე, 1986, 1 მაისი. ციტირებული აზრის პარალელურად ელგ. მაღრაძე სწორად შენიშნავს: „იგი (ილია – **გ. ყ.**) მშვენივრად ხედავდა, არსებულ სინამდვილეზე რა ცოტა ძალაუფლება ჰქონდა სინდისს, გონებასა და სამართალს". უნდა ვიფიქროთ, რომ აღნიშნული ძალას ინარჩუნებდა არა მხოლოდ ილიას თანადროულ საქართველოში, არამედ თვით განათლების მხრივ დაწინაურებულ დასავლეთ ევროპაში. ამ ლოგიკურ წინააღმდეგობას რომ თავი დავანებოთ, აშკარა უსამართლობა იქნებოდა მივაწეროთ ილიას მეთვრამეტე საუკუნის ფრანგი მოაზროვნეების (ყველასი არა!) გულუბრყვილო ოპტიმისტური შეხედულება.

[60] იხ. "ცხოვრება და კანონი", თსკ, ტ. VI, გვ. 54.

[61] პრეზიდენტისა და მთავრობის შეცვლა საფრანგეთში და მისი საზოგადოებრივი მიზეზები. თსკ, ტ. IX, გვ. 224.

[62] ცხოვრება და კანონი. თსკ, ტ. VI, გვ. 54.

[63] იქვე.

[64] იხ. კრებული "ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება", გვ. 180.

[65] თსკ, ტ. V, გვ. 9.

[66] იქვე, გვ. 8 – 9.

[67] პურეულის ყიდვა სამხედრო უწყების მიერ. თსკ, ტ. VII, გვ. 220; აგრეთვე გვ. 257 – 258.

[68] თედო სახოკია, "ჩემი საუკუნის ადამიანები", თბ., 1984, გვ. 27 – 28. ილიას მიაჩნდა, რომ არჩილ ჯორჯაძე კომპრომისულ პოზიციაზე იდგა მკვეთრად დაპირისპირებულ თვალსაზრისთა შორის. სხვათა შორის, აკაკი ბაქრაძის ვარაუდით, 1899 წლის ივნისში პალიკო ყიფიანის მიერ თბილისის

საადგილმამულო ბანკიდან ფულის გატაცება შესაძლოა იმაზე მიუთითებდეს, რომ თვითონ ილია ემზადებოდა მომავალი ეროვნული ბრძოლისათვის, სახელდობრ, იარაღის შეძენისათვის. როგორც ცნობილია, პ. ყიფიანი მონაწილეობდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი თავეკაცის გიორგი დეკანოზიშვილის ხელმძღვანელობით 1905 წლის შემოდგომაზე საქართველოში იარაღის შემოტანის საქმეში. იხ. აკაკი ბაქრაძე, ილია ჭავჭავაძე. წიწამური, 1984, გვ. 129 – 132*.

* ამჟამად ეს ვარაუდი მთლად უსაფუძვლოდ მიგვაჩნია.

[69] მიუხედავად იმისა, რომ „ოხრანკისათვის" ილია პერსონა non grata-ს წარმოადგენდა და მასზე 1884 წლიდან საიდუმლო მეთვალყურეობა იყო დაწესებული, 1900 წლის 11 მაისიდან ცარიზმის ამ ორგანომ თითქოს შესწავლა ილიაზე მეთვალყურეობა. იხ. ფ. ლომაშვილი,ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ახალი დოკუმენტები, „საისტორიო მოამბე", № 47 – 48, 1983. მაგრამ, ჩანს, ხელისუფლების თვალთვალი ილიაზე კვლავ გრძელდებოდა, მით უმეტეს რევოლუციის პერიოდში.

[70] ვახტანგ აბაშმაძე, სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლების ნათელი პროგრამა, "ცისკარი", 1985, № 12.

[71] ქრისტეფორე რაჭველიშვილი, ილია ჭავჭავაძე (1837 – 1937). ბიოგრაფიული ნარკვევი, თბ., 1937, გვ. 85.

[72] გრიგოლ ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1959, გვ. 307 – 308.

[73] "თერგდალეულნი" და ახალი თაობა. თსკ, ტ. III, გვ. 312.

[74] სიტყვა ილია ჭავჭავაძისა ტფილისის ქართული საადგილ-მამულო ბანკის წლიურ კრებაზე 20 მაისს 1895 წელს, თსკ, ტ. IX, გვ. 262.

[75] კადეტთა კორპუსი წარმოადგენდა დახურული ტიპის პრივილეგიურ სამხედრო-სასწავლო დაწესებულებას, რომელშიც ღებულობდნენ თავადაზნაურთა შვილებს, საოფიცროდ ან ოფიცერთა სკოლებში მოსამზადებლად. იგი მართლაც გაიხსნა თბილისში 1875 წელს.

[76] ბესარიონ ღოღობერიძის მსგავსი საქციელი ეპიზოდური აღმოჩნდა და შემდეგში ილიას არაერთგზის შეუქია იგი.

[77] დაიბადა და იზრდებოდა თბილისში, იყო გენერალ-ადიუტანტი, რუსეთის თავლსაჩინო სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, ამ დროს ასრულებდა თერგის ოლქის უფროსის მოვალეობას. 1878 წელს მიიღო გრაფის ტიტული, გახლდათ რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი და ჟანდარმერიის შეფი, სახელმწიფო საბჭოს წევრი.

[78] Nota bene: ბევრის მიმართ ამგვარი განწყობილება ქვეყნისადმი ილიას მუდმივ, პერმანენტულ ქცევად მიაჩნდა.

[79] იხ. აპოლონ მახარაძე, ორი მივიწყებული ეპიზოდი ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობიდან, „ლიტერატურული გაზეთი", 20 ივლისი, 1937. სხვათა შორის, იონა მეუნარგიას მოგონებით, რაც თავის მხრივ ილიას მონათხრობიდან მოდიოდა, როდესაც ჭაბუკი ილია რუსეთში სასწავლებლად მიდიოდა, მლეთის აღმართზე შემოხვდა რუსეთიდან თბი-

ლისში მომავალი გრიგოლ ორბელიანი. იხ. კრებული „მოგონებები გარდასულ დღეთა, თბ., 1987, გვ. 489.

[80] იგულისხმება ილიასეული „რა ვაკეთეთ, რას ეშვრებოდით ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტე საუკუნისა".

[81] გრიგოლ ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1959, გვ. 330.

[82] ამ მხრივ, როგორც ვხედავთ, დიმიტრი ყიფიანი განასახიერებდა საკუთრივ ილიას ისეთ ნიშან-თვისებას, რაზედაც, ორივე შემთხვევაში, ილია ინკოგნიტოდ წერდა.

[83] გრიგოლ ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1959, გვ. 151. ჩანს, ილიას ძალიან მოსწონებია ამგვარი დახასიათება. ოლღა გურამიშვილს დუშეთიდან გამოგზავნილ წერილში (1873 წლის 4 მაისს) იგი სწერს: „მე კლასიკური-სახელი მაქვს, გ. ორბელიანისაგან მოცემული: ის ლიბერალი, ბურთიევით რგვალი. სხვა სახელს არა ვეისრულობ". თსკ, ტ. 10, გვ. 282.

[84] წერილები ქართულ ლიტერატურაზე, თსკ, ტ. III, გვ. 199.

[85] თსკ, ტ. III, გვ. 247.

[86] იქვე, გვ. 248.

[87] იქვე.

[88] ნაგულისხმევია რუსული სიტყვა "с характером". მსგავსი ნეოლოგიზმი, როგორც ვიცით, ვერ დამკვიდრდა ქართულ ენაში.

[90] თსკ, ტ. IV, გვ. 222 – 223.

[91] ექვთიმე თაყაიშვილი, რჩეული ნაწერები, ტომი I, გვ. 241. მისსავე მოგონებაში ვკითხულობთ, რომ დასაფლავებაზეო „მოელოდნენ ილიას სიტყვასაც, მაგრამ მას არაფერი უთქვამს. ისე კი გვითხრა რამდენიმე კაცს: „რა ამბავსაც დღეს აქ ვუყურებთ, ამას არავითარი სიტყვა არა სჯობიაო!". „მართლაც, უამრავი ხალხი იყო დაკრძალვაზე მოსული, ნამდვილად მთელი საქართველო! ილიას მიერ სიტყვით არ გამოსვლა ზოგმა მის სიფრთხილეს მიაწერა. ისიც კი გაიხსენეს, რომ ერთ დროს მას ყიფიანთან პოლემიკა ჰქონდა, მაგრამ ერთიცა და მეორეც, რა თქმა უნდა, ცილისწამება იყო..." იქვე, გვ. 242 – 243.

[92] გაზ. "დროება", 1881, № 195.

[93] თსკ, ტ. IV, გვ. 251.

[94] იქვე, გვ. 255.

[95] მეთაური წერილი, „ივერია", № 55, 1890.

თავი მეოთხე

ილია, როგორც მოაზროვნე

„...ის მწერლობა უქმი და მკედრად ნაშობია, რომელსაც საძირკვლად საკუთარის ვითარების შესწაელა არ დაუდვია".

„შესაძლოა კაცს მრავალი ცოდნა ჰქონდეს და ის უნარიკი, რომელიც თავისით ჭრასა და კერვას მოასწავებს გონების საქმეში, არ გახსნოდეს, არ გაშლოდეს სამოქმედოდ".

ილია.

§ 1 უზოგადესი მოსაზრებანი

ილია, ვითარცა მოაზროვნე, აშკარად გამოკვეთილად ჩანს თვით მის მხატვრულ აზროვნებასა და შემოქმედებაში. ამის თაობაზე კარგად წერდა ცნობილი ეროვნულ-დემოკრატი სპირიდონ კედია: „მისი პოეზია ატარებს თავის ავტორის თავისებურ დაღს: შემთხვევითი და უცებ ნათქვამი აქ არაფერია. გრძნობის მიერ მიღებული ემოცია, მის მიერ აკრეფილი ჟღერა ცხოვრების, თუ ბუნებისა, აქ პირდაპირ და გონების გარეშე გამოტარებული კი არ არის გრძნობისავე საქმეთა მილებითა, როგორც ეს სხვაგან და სხვებში ხდება ხოლმე; არამედ საგანგებოდ შეჩერებულნი არიან იმ საკონტროლო სადგურზე, რომელსაც გონება ჰქვიან. აქ ისინი ხალისდებიან, შეიწონებიან, ზედ გონების ნიჭს დაიკეცავენ და ასე, ამ ახალი სასწაულით დამშვენებულნი, დაიძვრიან და ჩვენამდე მოდიან...

ილია ეკუთვნის ადამიანის უაღრესად ინტელექტუალურ ტიპს და მის პოეზიასაც ამ გონებრიობის დაღი აზის. ილიას პოეზიის „სიმძიმე" მისი ამ ზედმეტი ღირებულებისაგან (!) წარმოსდგება"[1].

ასევე პოლიტემიგრანტ შალვა კალანდაძის მიხედვით, ილიამ თავისებური სინთეზი მოახდინა ფილოსოფიისა და მხატვრული აზროვნებისა, „...როგორც პლატონი და ნიცშე აზრის მაქსიმალური დაძაბულობის მომენტებში პოეტური ენით დაიწყებენ მეტყველებას ...შექსპირი, გოეთე, დანტე, რუსთაველი, ვაჟა-ფშაველა, ილია ჭავჭავაძე კი ამ გაგებით – ფილოსოფოსთა ენით. პოემა „განდეგილი" არა მარტო სრულქმნილი მხატვრული ნაწარმოებია, არამედ აგრეთვე უაღრესად ღრმა რელიგიურ-ფილოსოფიური"[2].

აღნიშნული საკითხით ჯერ კიდევ ილიას თანამედროვენი დაინტერესდნენ. ცნობილი ფილოლოგოსი და ისტორიკოსი ალექსანდრე ხახანაშვილი წერდა: „ბუნებისაგან ძლიერი ლოღიკურის გონებითა და მტკიცე ხასიათით დაჯილდოებულმა, იშვიათი ნიჭის პატრონმა და შორს გამჭვრეტელმა, ილია ჭავჭავაძემ დაუღალავი შრომითა და საფუძვლიანი მეცადინეობით განავითარა თავისი მდიდარი ნიჭი"[3].

ილიას გერმანელი მეგობარი არტურ ლაისტი გვამცნობს,რომ „ილია ღრმა მოხუცებულობაშიც ბევრს კითხულობდა არა მარტო ლიტერატურულ თხზულებებს, აგრეთვე სამეცნიერო შრომებსაც. მისი ცოდნი სალარო ძალიან მდიდარი და მრავალფეროვანი იყო. ყველაფერი აინტერესებდა, რაც კი კაცობრიობას ეხებოდა. ქებას უძღვნიდა გოეთეს უნივერსალურ ცოდნას"[4].

მოვიტანთ ჯერ ილიას თანამოაზრისა და ერთ-ერთი პირველი ბიოგრაფოსის გრიგოლ ყიფშიძის აზრს ილიას ენაზე, როგორც მისი აზროვნების გამოხატულებაზე: „ქვეყანას აკვირვებდა და ჰხიბლავდა მეტადრე ილიას ქართული, მისი საოცარი ენა-მზეობა. ჰკითხულობ მის ნაწერს, არა თუ ბელეტრისტულს, სიტყვა-კაზმულს, არამედ პუბლიცისტურს და, ასე გასინჯეთ, მეცნიერულსაც-კი („ქვათა ღაღადი", „აი ისტორია") და პირველ ყოვლისა თქვენს ყურადღებას დიდის ძლიერებით იზიდავს ბრწყინვა და ელვარება ქართულისა, სიუხვე ფერადებისა, ნამდვილ ქართულ მიმოხვრა-გამოთქმისა. ასე გგონია, გამოსულა კაცი თესვად და აბნევს თვალსა და მარგალიტსაო. ქართული ილიას ხელში, მეტადრე ბოლოსა და ბოლოს, თავის თავს აჭარბებს, განვითარების უმაღლეს ხარისხამდე ადის და ოქროს სხივებივითა ბრწყინავს. თითქო „სილბო აქვს ნაქსოვისა და სიმტკიცე ნაჭედისა", ხან ციალობს და ნარნარებს, ხან გრგვინავს, თითქო ცას მოუქურუშნია და ისა რუხრუხებსო"[5]. ამ სტრიქონების ავტორი გახაზავდა ილიას აზროვნების ერთ ნიშან-თვისებასაც: „...ილია ერთის სიტყვის ჩართვით, ერთის რაიმე მაგალითის მოტანით, ან მოსწრებულის, მარილიანის ან მახვილის ნართაულით შუქს ჰფენდა და არკვევდა ფრიად ბნელს საგანს საზოგადოებრივ ურთიერთობისას..."[6]. ვასილ ბარნოვი შენიშნავდა: „ჰაზრთა წყობა მათემატიკურად თანისთანი (თანამიმდევრული – **გ. ყ.**), ნაფიქრთ წრეები უნაკლოდ ჭდობილნი მთელ მსჯელობაში, მჭიდროდ ნაკავშირებნი, ფიქრთა ჯინჯილი მკვიდრად ნაკვერი"[7].

მაგრამ ილია ნამდვილი მოაზროვნე გახლდათ მხატვრული აზროვნების (პოეზიისა და პროზის სფეროების) გარეშეც. მისი

მსოფლმხედველობა და აზროვნება დღესაც ცხოველ ინტერესს იწვევს და კვლავაც საგანგებო შესწავლას საჭიროებს. როგორც წიგნის წინასიტყვაში მივუთითებდით, თავის დროზე, ილიასა და ესდეკების დაპირისპირებისას, უკანასკნელთ ეს საკითხი ძალიან ნაკლებად აინტერესებდათ. ისე, კაცმა რომ სიმართლე თქვას, დაინტერესებულობის შემთხვევაშიც კი, ვეჭვობთ, რომ ისინი მის სიღრმეს რამენაირად ჩასწვდომოდნენ. მათთვის ხომ მთავარი იყო საკითხისადმი იდეოლოგიური (სინამდვილის არაადეკვატური, დამახინჯებული ფორმით) ასახვა, რეაქციულად გამოეცხადებინათ ილიას სოციალურ-პოლიტიკური და ა. შ. შეხედულებანი. ისინი უბირ მასას მიმართავდნენ და ამანაც, დიდად სამწუხაროდ, იოლად დაიჯერა მსგავსი იდეოლოგოსების (თანაც „ბელადების") უსაფუძვლო მოსაზრებანი.

ილიას აზროვნების შემეცნებას შეეცადა არჩილ ჯორჯაძე. თუმცა ვერ ვიტყოდით, რომ ამ მხრივ მისეული ცდა წარმატებული იყო. იგი აღნიშნავდა: ილია ჭავჭავაძის აზროვნების ხასიათი რეალისტური ხასიათისაა (!), მისი გონება დასტრიალებს ამ ქვეყანას და "საგანთა სამეფო" არის ასპარეზი მისი ვარჯიშობისა... რეალიზმი ჭავჭავაძისა მატერიალისტური მიმართულებისა არ არის, პირიქით, იგი ხშირად რომანტიულ-იდეალისტური სამოსით იმოსება"; „იგი გაურბის საიდუმლოებას და ბუნდოვანებას. მას უყვარს ხილული და ხელშესახები"; "რელიგიას სრულად გარეგნულად აღიარებდა. მე არ (!) ვხედავ ილიას ნაწერებში რელიგიურ მსოფლმხედველობას". ილია ყოფილა "სკეპტიციზმით გაჯერებული ფილოსოფოსი", "ანტირელიგიური მიმართულების მწერალი და "ფილოსოფიაში თითქოს პოზიტივისტი"[8]. მითუმეტეს უკანასკნელი მტკიცებულება მთლად უმართებულოდ გვეჩვენება, თვითონ ა. ჯორჯაძე არც კი ცდილობს მის გამყარებას.

საკითხის სერიოზულ გაგება-გააზრებას შეეცადა 1913 წელს გერონტი ქიქოძეც, რომელიც შენიშნავდა: „ილია ჭავჭავაძე ღვიძლი შვილია განათლების (ე. ი. განმანათლებლობის – **გ. ყ.**) ეპოქისა, ამიტომ მის მსოფლმხედველობას ისე აშკარად არაფერი ახასიათებს, როგორც შეურყეველი რწმენა გონების ძლიერებისადმი"[9]. ამდენად, ხაზგასმულია ილის რაციონალიზმი (ცხადია, ფილოსოფიური გაგებით). სხვათა შორის, ეს მომენტი კარგად შეამჩნია გრიგოლ ორბელიანმაც, როცა უპირველესად ილიას მიმართ აღნიშნავდა:

„ლოცვა რად გვინდა,
ღმერთი რად გვინდა,
ჩვენი გონება არს ჩვენი ღმერთი".

გერონტი ქიქოძისავე შემდგომი ხანის განცხადებით, ილიას სარწმუნოების მეტაფიზიკური საფუძველი არ უწამებია, მაგრამ არც მატერიალისტი გამხდარა"[10].

ყოფილი „მენშევიკის" სეით დევდარიანის (შესაბამის პოლიტიკურ მიმართულებაში იგი სერიოზულ თეორეტიკოსად ითვლებოდა) მიხედვით, "პოეტი გაურბის ემპირიულ მატერიალიზმს, ამ უთუოდ რეაქციულ მოვლენას, და თავშესაფარს ეძებს დინამიურ, მოძრავ იდეალიზმში, ამ უთუოდ იმდროინდელ პროგრესიულ მსოფლმხედველობაში". მაგრამ "ეს იდეალიზმი... ვერსად ვერ ეხმარება ამ მწერალს კანონზომიერების გაგებაში, წარსულის, აწმყოს და მომავლის ერთი მეორეზე გადაბმაში"[11]. ეს კი აშკარა უსაფუძვლო განცხადებაა, რაც ეწინააღმდეგება ილიასეულ ისტორიზმს.

გავიდა ათეული წლები. როგორც ვიცით, 1936 – 1937 წლებიდან მოკიდებული, გარკვეულ პოლიტიკურ საფუძველზე, ილიას სახელმა „რეაბილიტაცია" ჰპოვა. ამიერიდან დაიწყეს დიდი წინაპრის შემოქმედება-აზროვნებაში ახალ-ახალი დადებითი მომენტების წარმოჩენა, რამაც აპოგეას მიაღწია მეორე მსოფლიო ომის შემდგომ. რუსი ხალხის (ერის) არაჩვეულებრივი განდიდების ფონზე დიდად გაიზარდა რუსი ე. წ. რევოლუციონერ-დემოკრატების ავტორიტეტი. სწორედ მათთან იქნა მისადაგებული ილიას აზროვნებაც, კერძოდ სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი.

თუ იმ პერიოდის საქართველოში მსგავსი უაზრობანი შესიტყვებებს ვერ ხვდებოდა, – ვფიქრობთ, საბჭოური იმპერიალიზმით გათანგულ ჩვენი საზოგადოების „პატრიოტულ მისწრაფებებს" კიდეც შეესატყვისებოდა იგი, –უცხოეთში ქართველ ემიგრანტთა შორის ასეთმა „აზრებმა" მკაცრი პროტესტი გამოიწვია.

კერძოდ, გივი კობახიძემ სასტიკად გააკრიტიკა ამროსი (!) თავაძის მონოგრაფია „ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური და ესთეტიკური შეხედულებები" (გამოქვეყნდა 1954 წელს). კრიტიკოსის აზრით, ავტორი „თვით ილიას ციტატებს იყენებს ისე სპეკულანტურად, რომ მკითხველს მის (ა. თავაძის – **გ. ყ.**) უკეთლსინდისიერებაში (არაკეთილსინდისიერებაში – **გ. ყ.**) ეჭვიც არ შეეპარება"; „საბჭოთა მწერალი ერთი კალმის მოსმით ცდილობს, ილია უღმერთო ათეისტის სკამზე დაასკუპოს"; „კომენტარები არც კია საჭირო ამგვარი

„აზროვნების" გასაბათილებლად. მკითხველი თვით დაინახავს და იგრძნობს საბჭოთა „თეორეტიკოსის" სიგრძე-განს"[12].

გივი კობახიძე ასევე მკაცრად აკრიტიკებდა ისტორიკოს პროკოფი რატიანის 1954 წელს (ხელმეორედ), უფრო გავრცობილად დასტამბულ წიგნს „ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური და პოლიტიკური შეხედულებანი". იგი ასეთ კითხვას სვამდა: „განა ზემოხსენებულ და სხვა საბჭოთა მწერალ-კრიტიკოსთა მოქმედება არ ნიშნავს ილიას მეორე მოკვლის ცდას? მოკვლისა სულიერად, შემოქმედებითად?"[13].

ცნობილია, თუ როგორი წინააღმდეგი იყო თვითონ ილია მისი აზროვნების ამგვარი სქემატური გაგებისა. მანამდე ასევე ინტელექტუალურ პოლიტემიგრანტ ისიდორე მანწკავას სიტყვებს მოვიშველიებთ: „ჩვენს ხალხს, ერთბაშად ყველა ნასესხებ თეორიებსა და დოქტრინებისათვის ხელი უნდა შეეშვა, ჩვენმა მოგზაურებმა გულზე რომ ჩამოიკიდეს დიდი ლოცვა-კურთხევით და ამ აზრს ჩასცივებოდნენ მთელი მისი არსებით, მთელი მისი ჯიუტობითა და ამტანობით, მთელი მისი უტეხი ნებისყოფითა და მოღვედილი ძარღვებით. იმიტომ რომ ილიას ეგ აზრი ყველა თეორიებსა და დოქტრინებს სჯობდა და სჯობს, ჩვენი ქვეყნის გასანთავისუფლებლად და ამ თავისუფლების დასამაგრებლად (!), ჩვენი ეროვნული ცხოვრების გასაჯანსაღებლად, ჩვენი ეროვნული კულტურის წინ წასაწევად და გასამტკიცებლად"[14].

აღნიშნული საკითხის გასაგებად ერთ-ერთ ამოსავალ დებულებად უნდა დაისახოს ილიასეული შემდეგი აზრი: „როგორც ცალკე ადამიანი, ისე მთელი საზოგადოება სწრაფად გაივლის ხოლმე იმ სივრცეს ცხოვრებისას და მეცნიერების გზისას, რომელიც უკვე გამოუვლია სხვა საზოგადოებას და სხვა ერსა, თუნდ რომ უკანასკნელთ ამ სვლაში მოენდომებინათ მთელი საუკუნოებიცა"[15].

ახალი დროის ფილოსოფოსთაგან ილიასეულ ნააზრევში აშკარად შეინიშნება ფრენსის ბეკონის, ლაიბნიცის და განსაკუთრებით ჰეგელის გავლენა. იმ ფილოსოფოსთაგან და ისტორიკოსთაგან განსხვავებით, რომლებიც ილიას მატერიალისტად რაცხავენ, აღვნიშნავთ, რომ ილიაზე გავლენა არ მოუხდენია ლუდვიგ ფოიერბახს. ეს გარემოება კი კიდევ უფრო წარმოაჩენს მის დიდ განსხვავებულობას რუსი „რევოლუციონერ-დემოკრატებისაგან". სოციალურ ნააზრევში (საზოგადოების შესახებ) ადგილი აქვს ნაცნობობას განსაკუთრებით შარლ ლუი მონტესკიეს შეხედულებებთან. პოლიტიკურ ეკონომისტთაგან ილია კარგად იცნობდა ადამ სმიტის, დავით რიკარდოს, ფრედერიკ ბასტიას,

კარლ მარქსისა და სხვათა მოძღვრებებს. როდესაც ნოე ჟორდანიასთან პოლემიკის საჭიროებამ მოიტანა, ილია სპეციალურად ჩაუჯდა კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის სოციალურ ნააზრევს, მათი მიმდევრების შესაბამის ინტერპრეტაციებს.

მაგრამ ერთია ფართო განათლება (გნებავთ ენციკლოპედიზმი ვუწოდოთ) და სხვაა ნაღდი ნიჭით სინამდვილის, ფაქტების, მოვლენების გააზრება. ამის თაობაზე ილია წერდა: „შეიძლება კაცს აუარებელი ცოდნა და სწავლა ჰქონდეს და... აქ ერთი ფეხი ვერ წადგას, თუ ის „სხვა უნარიც" არა ჰშველის. ის „სხვა უნარი" იგია რასაც თვითმსჯელობას, თავისით მოქმედებას, თავისით სელას ეძახიან"[16]. ჩვენი დიდი მოღვაწე „ოთარაანთ ქვრივში" არჩილს ასე ათქმევინებს: „ამოვიკითხავთ წიგნებიდამ რაღაცას და გვგონია, – ეს-ეს არის ქვეყნის ღერძს ხელი ჩავკიდეთო. ქვეყნად ბევრი რამ არის უწიგნოდაც ნასწავლი, ამაებსაც ცოდნა უნდა. ჩვენ კი აღარც იქით ვიხედებით,აღარც აქეთ. რაკი წიგნი ხელთ გვიპყრია,თითქოს ჭკუა, თუ არ წიგნში სხვაგან აღარსად იყოს"[17].

იგივე ლიტერატურული გმირი ამბობს: „არც უწიგნობა ვარგა და არც მარტო წიგნებიდამ გამოხედვა. უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა და მარტო წიგნითაც საკმაოდ გრძელი არ არის. უკადრისობად მიგვაჩნია ჭკუა უწიგნო ტყაპუჭ-ქვეშაც ვიგულვოთ. ჩვენ ვთაკილობთ და არა გვჯერა, რომ ყველა გონიერი კაცი იგივ წიგნია. ყველა გონიერი კაცი, თუნდა უწიგნოც, ზოგჯერ მწიგნობარისათვისაც კი ოსტატია"[18].

სხვანაირად რომ ვთქვათ, ილია აზროვნების მთავარ ხიბლად ოდენ ფართო ცოდნას კი არ თვლიდა, გნებავთ ძველი და შემდგომი პერიოდების ფილოსოფოსთა ნააზრევის გადმოცემას, არამედ ჭეშმარიტ სიბრძნეს, რაც ნამდვილი ფილოსოფოსების იდეალი გახლავთ და რაც ნიჭიერებითაც მიიღწევა. უფრო კონკრეტულად 'თვითმსჯელობა, თვითმხედველობა გონებრივი უმაღლესი წერტილია ადამიანის განვითარებისა და წარმატებისა. შესაძლოა კაცს მრავალი ცოდნა ჰქონდეს, და ის უნარი-კი, რომელიც თავისით ჭრასა და კერვას მოასწავებს გონების საქმეში, არ გახსნოდეს, არ გაშლოდეს სამოქმედოდ"[19]. ილია უფრო კონკრეტულ მაგალითსაც მიუთითებდა: "ამ-გვარის მშრალის და უქმი გონების კაცი სახელოანმა გეტემ დაგვიხატა თავის ფაუსტში. ფაუსტში რომ გამოყვანილია ვაგნერი, სწორედ ზედგამოჭრილი სახეა იმ-გვარის კაცებისა, რომელთაც ცოდნა აქვთ და საკუთარის ჭკუით ტარების

უნარი-კი ღმერთს, თუ ბედს, იმათთვის არ მიუმადლებია"[20]. მაგრამ რაღა ეს შორეული მაგალითი, "...ჩვენს ინტელიგენციას სწორედ ეგ უნარი თვითმსჯელობისა, თვითმხედველობისა არა აქვს გახსნილი და გადაშლილი. ეგ ნაკლია მიზეზი, რომ ჩვენს საკუთარს საქმეში, ჩვენს საკუთარს ავ-კარგიანობაში ვერაფერი გაგვიგია, თავი და ბოლო ერთმანეთზედ ვერ გადაგვიბამს"[21].

რასაკვირველია, რაკი ასეთი ცოდნა ერთის მიერ მიიღწევა, სხვათათვის ადვილად როდი იქნება გასაგები. „სიბრძნე იმიტომ არის სიბრძნე, რომ კაცი პირველშივე ადვილად ვერ მიხვდეს"[22] – წერდა ილია.

უპრიანი იქნება აქ მოვიტანოთ ილიასეული აზრი: „რა არის პოეზია, ამას ვერა კაცი ვერ აგიხსნით, მთქმელიც ტყუილად მოსცდება და გამგონიცა. პოეზია საგრძნობელია და არა საცნობელი. ჩვენ მხოლოდ მისი ზედმოქმედება ვიცით"; „თითონ პოეზია რა არის – ეს კი არავინ იცის, პოეზია უცნაური მადლია და პოეტი ამ მადლით მოსილი კაცია"[23]. ასე რომ, პოეზიის ნამდვილ ფასეულობას მხოლოდ მშრალი ცოდნით კი ვერ გავიგებთ, არამედ უპირველესად ნაღდი პოეტური ნიჭის მეშვეობით. ვიმეორებ, ასევეა ნამდვილი ფილოსოფოსობა, ფილოსოფია როგორც ნამდვილი სიბრძნე, რომელიც საკუთარი თავის თვითშემეცნებიდან იწყება.

ილია აღნიშნავდა: „ძველნი ფილოსოფოსნი ამტკიცებდნენ და ახალნიც ემოწმებიან, რომ ყველაზედ ძნელი ადამიანისათვის თავისის-თავის ცნობა, თავისის-თავის ცოდნა არის"[24]. ამ შემთხვევაში უპირველესად, ცხადია, სოკრატე იგულისხმება. ჩანს, უკანასკნელის შეგონებას ილია ღრმად და უპირატესად თავის თავზე აცნობიერებდა[25] და თავს მეტ კითხვასაც უსვამდა: „ვინა ვარ, რა აზრისა ვარ, რა საქმის დადგენა მინდა, რისთვის გამოვდივარ მოედანზედ". აქედან გამომდინარე "–ვერ-გამკითხველი თავის-თავისა სხვის განკითხვასაც ვერ შესძლებს"[26]. აღნიშნულ აზრს იგი ამგვარად აგრძელებდა: „მართალია, დიდად წარმატებული გონება და გული უნდა ჰქონდეს, რომ კაცი შემძლებელი იყოს თავისი თავი გაითავისწინოს და თავის-თავს, მსაჯულად გაუხდეს პირუთვნელად, იმიტომ რომ იგი ერთსა და იმავე დროს მსაჯულიც უნდა იყოს, მოსარჩლეც, ბრალმდებელიც და ბრალდებულიცა"[27]. მეტიც, ილიას მიაჩნდა, რომ საზოგადოებასაც უნდა შესძლებოდა მსგავსი რამ, თუ არა და მისი „უქონლობა ვერც ცალკე კაცს წასწევს წინ წარმატების გზაზედ, ვერც საზოგადოებას, ვითარცა ცალკე კაცთა კრებულსა"[28].

ზემოთ მოტანილი იყო გერონტი ქიქოძის აზრი ილიას რაციონალიზმის (სიტყვის ფილოსოფიური მნიშვნელობით) შესახებ. მისი აღიარებით, "ბრმად თაყვანისცემა რისიმე, თუ ვისიმე, კერპთმსახურებაა და ყოველს მონობაზე უარესი და უკადრისი მონობაა"[29]; ამ აზრის ნათელყოფა შეიძლება შემდეგი მაგალითებით. იგი წერდა: „...ბრმად დაჯერება ყოველ იმისი, რასაც ავტორიტეტი ამბობს, რის შემოწმებასაც ყურისმგდებლის ჭკუა, გონება მისწვდება და რასაც ეს შემოწმება უარჰყოფს, – მართლა დიდი ხანია უგუნურობად არის მიჩნეული"[30]. შემდეგ იგი აღნიშნავდა: „...ბრმად დანდობა კი და აყოლა სხვისა იქ, საცა შენი საკუთარი გონება საბუთიანად სხვარიგად გიჭრის, – ეგ უწინდებური ცოდვაა, უგუნურობად მიჩნეული და სამართლიანად განდევნილი, უარყოფილი. აქაო და არისტოტელმა სთქვაო, და რაც უნდა აშკარად დასარღვევი საბუთი გქონოდათ, არისტოტელს სიტყვას ვერ შეუბრუნებდით, ცოდვად ჩაგითვლიდნენ, დიდი ხანია, ესე, ბრმად აყოლა, ესე დაძაბუნება ჭკუისა და გონებისა, ჩვენდა საბედნიეროდ, ჩაილულის წყალს გაჰყვა"[31]; „თვით იკვლიე, თუ შეძლება და გარემოება შეგწევს, მოსჩხრიკე, შეამოწმე, და თუ ავტორიტეტის აზრი გამართლდა, დაიჯერე მხოლოდ მაშინ, და ამ სახით შენს საკუთარ რწმენად გარდაჰქმენ სხვისაგან აღმოჩენილი და ნაკვლევი"[32]; „...ავტორიტეტები, ესე იგი, ყველასგან ცნობილნი, სახელმოპოებული მეცნიერნი ყოველთვის არიან და იქნებიან, და ამათი თაყვანისცემა არ დაილევა ქვეყნიერობაზედ, ვიდრე ადამიანის ჭეშმარიტს ღვაწლს და ზედმიწევნილ ცოდნას, მეცნიერებას, სიბრძნეს და ამათით მოპოებულს სახელს კაცის თვალში პატივი, ფასი და დიდება ექნება"[33].

საინტერესოა ილიასეული დაკვირვება აღმოსავლურ და დასავლურ ფილოსოფიაზე, რომელიც მან თავის გერმანელ მეგობარს არტურ ლაისტს გაანდო:

„ – განა ვერ ატყობ, რომ ჩემს აზრებში ბევრი რამ ინდოევროპულიაო, - მითხრა მან და ხანგრძლივი საუბარი დაიწყო აღმოსავლეთზე.

„ – აღმოსავლეთს არ შესწევს იმგვარი ფილოსოფოსობა, როგორც ის ევროპელს ესმის; – განაგრძო ილიამ. – ადამიანის ცხოვრებასა და საგნებზე ცივი, ფხიზელი მსჯელობა, გრძნობათა დაუხმარებლად, მგონია, შეუძლებელია აღმოსავლეთში"[34].

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ილიასათვის ფრიად დამახასიათებელი იყო კრიტიცისტული (კრიტიკული) აზროვნება.

იგი კატეგორიულად აცხადებდა: „...დასაბუთებულ ეჭვის ლახტით შერეცეა იმისი, რაც ყველას ხელზედ დახვეული აქვს, ვითარცა უცილობელი ჭეშმარიტება, მართლა რომ საქებური გაბედულებაა და სასახელო სამსახური"[35]. „კრიტიკულის აზრის უქონლობა იმოდენად შესამჩნევია ჩვენში, რომ არ შეიძლება ყურადღება არ მიაქციოთ, თუ ცოტათი მაინც ჩაუკვირდებით ჩვენს აზროვნებასა"[36]. დიდად სამწუხაროდ, დღევანდელი ქართული აზროვნებაც (საზოგადოებრივი) კელავაც მსგავსი მიდგომის დიდ დეფიციტს განიცდის.

კერძოდ, ასეთი ნიჭის გამოისობით ილიას არ შეეძლო ბრმად აყოლოდა თავისი დროის დასავლეთევროპულსა თუ რუსულ აზროვნებას. ვიმეორებთ, ამას გამორიცხავდა მისთვის დამახასიათებელი კრიტიციზმი, ღრმად გაცნობიერება იმისა, რომ „აზრი ცხოვრებისა იმაშია, რომ შეიტყო, შეიმეცნო: ჟამი რას ითხოვს: ტირილსა თუ სიცილსა, განყრას თუ შეკრებას, დუმილსა თუ მეტყველებას, სიყვარულსა თუ სიძულვილს, ბრძოლას თუ მშვიდობას და სხვათა და სხვათა ამისთანათა"[37].

მაგალითად, თუმცა ილია, ცხადია, დიდად აფასებდა ლევ ტოლსტოის მხატვრულ შემოქმედებას და ალბათ, აზროვნებასაც[38], მაგრამ ამასთანავე კრიტიკული პათოსით დასძენდა: „გრაფი ტოლსტოი, რომლის ფილოსოფიამაც დღეს ააყაყანა მთელი რუსეთი, თითქმის ამავე შრომაში ჰპოულობს საგანს ცხოვრებისას. მაგრამ კნეინა ნინოსა და ტოლსტოის შორის დიდი განსხვავებაა. პირველი მართლა გამრჯელი, საქმიანი, მუშა დედაკაცია, შეხორცთვისებული აქვს იგი საგანი ცხოვრებისა ასე, რომ მეორე ბუნებადა აქვს შექმნილი, მეორე – კი ეკეკლუცება მხოლოდ ამ საგანს ცხოვრებისას, იწყებს გარედამ და არ შეიხორცთვისებს. ტოლსტოისათვის ეგ საგანი ცხოვრებისა გამაძღარის, გულასუყებულის კაცის უხიაკობა, დაუინება და ნებივრობაა, კნეინა ნინოსთვის[39] კი – მის ბუნების წყურვილი, ბუნების მოთხოვნილება იყო. ტოლსტოის რომ იგი მის – მიერ ახლად ნაპოვნი საგანი ჩამოაცილოთ, არა დააკლდება-რა, ისე ის იქნება, რაც არის; კნეინა ნინოსათვის – კი რომ ჩამოგეცალათ, ჩამოაცლიდით თითონ სიცოცხლესაც, იმიტომ რომ სიცოცხლე და საგანი სიცოცხლისა ერთი განუყოფელი არსი იყო ერთისა და იმავე გეამისა, როგორც სული და ხორცი"[40].

ილია ჭარბად არ აჰყოლია ალექსანდრ გერცენის, ნიკოლაი ჩერნიშევსკისა და სხვათა შეხედულებებს 1860 – 1870-იან წლებში, მან კარგად უწყოდა, რომ ჩვენი ქვეყანა სხვა ისტორიულ სიტუაციაში იმყოფებოდა, „სხვა სატკივარი ჰქონდა".

ილია იმთავითვე სკეპტიკურად განეწყო რუსეთში წარმოშობილი ნიჰილიზმის მიმართაც (წამოიწყო დმიტრი პისარევმა), მისგან გაჩენილ დაპირისპირებულობას საზოგადოებაში (მოვიგონოთ თუნდაც ივან ტურგენევის რომანი „მამები და შვილები"). იგი აღნიშნავდა: „...ამისთანა მანერამ მწერლობაში დიდი ხანია იქაც (რუსეთში – **გ. ყ.**) თავისი დრო მოჭამა, საცა დაიარებოდა და საცა პირველ გაჩნდა ქვეყნის სასაცილოდ"[41]; „მაგას ერთ დროს ძალიან ხშირად ჰხმარობდნენ რუსეთში, მაგრამ მალე ჰნახეს, რომ მარტო ბელურების საფრთხალად თუ გამოდგება და დიდი ხანია თავი დაანებეს, ხოლო გამონაცვალს ჩვენები მიესიენენ და დაეპატრონენ"[42].

ილია ყოფილ ხალხოსან ივანე ჯაბადარის მისამართით შენიშნავდა: „დღევანდელი რუსული კრიტიკის თვალთა ხედვის ისრით ვერ გაიზომება „ვეფხის ტყაოსანი". ამას მეტი დაფიქრება, მეტი მოსაზრება უნდა. რუსული კრიტიკის ზენა-ქვერული (!) ნავარდობა აქ არ გამოდგება. აქ უფრო ღრმად უნდა საქმეს ჩახედვა. ვისაც რუსთაველზე წერა უნდა, იმან, უპირველეს ყოელისა, უნდა შეითვისოს იგი არა ჭკუით მხოლოდ, არამედ გულითაც, უნდა იგრძნოს მისი გმირების სულისკვეთება, ჩასწვდეს ქართველი [კაცის] გულის სიღრმეს, იგრძნოს მისი მაჯის ცემა. ეს იქნება ქართველი კაცის ნამდვილი სულისთქმა, მისი რწმენა, მისი სამართლიანი განსჯა და არა სკაბიჩევსკის კრიტიკა"[43].

ჩვენი დიდი წინაპრის აზროვნებაში გვხიბლავს ლოგიკურობა („სწორი ლარი და ხაზი"), მაგრამ, საუბედუროდ, მით უმეტეს სიცოცხლის ბოლო წლების მანძილზე მას ბედმა არგუნა სწორედ საწინააღმდეგო აზროვნების ადამიანებთან („მესამე დასთან") კამათი და ურთიერთობა. ამის გამო ბევრ ისტორიულ ფათერაკს გადავეყარეთ. მით უფრო ისტორიის ამჟამინდელ გადასახედიდან ცხადი გახდა, თუ რაოდენ სწორი გახლდათ ჩვენი ბრძენი წინაპარი.

ილიასათვის ფილოსოფია და მეცნიერება ოდენ თავისთავადი, თავის თავში ჩაკეტილი სფეროები როდი იყო, არამედ საშუალება ცხოვრების გარდასაქმნელად. ჯერ კიდევ ახალგაზრდა, 1862 წელს, წერილში "საქართველოს მოამბეზედ" იგი წერდა: "მეცნიერებამ უნდა გვიშველოს თავის გამოცნობილ ჭეშმარიტებაებით ცხოვრების ახსნა და გაგება; მან უნდა მოგვცეს პირდაპირი პასუხი ყოველ საჭირო კითხვაზედა. რაც კი პირდაპირ მოედგმება ცხოვრების ვითარებასა, რაც კი გადმოიღება ცხოვრებისათვის... სხვა რაღაც წარტოლვილ (აბსტრაქტულ, განყენებულ) ცნობაებში გაბმა და

ტრიალი ჩვენთვის სრულიად უფასო იქნება და გამოუსადეგი. ეგ იმან ინდომოს, ვინც სიტკბოებას ხედავს უქმის ჭკვის ვარჯიშობაში და ფრენაში"[44]. ეს შეგონება დღესაც დიდად აქტუალურია განსაკუთრებით ფილოსოფოსთათვის.

მისაბაძ მაგალითს იგი ხედავდა დაპყრობილ სლავ ხალხებში (პოლონელებში, ჩეხებში, სლოვაკებში, ხორვატებში, სლოვენებში და სხვ.). იგი წერდა: „სლავიანებმა... თავის ვინაობის აღსადგენად და ქვეყნის დასანახავად - თავისი წარსული ხელახლად ააყენეს საფლავიდამ, გამოსჩხრიკეს, მისხლობით ასწონეს, გოჯით გაზომეს ყოველისფერი, რაც ძველად ჰქონდათ, რაც მათს ეროვნებას, მათს ვინაობას, ნაციონალობას შეადგენდა და სარჩულად ედვა. გაუცოცხლეს თავიანთ ერს პოეზიის შემწეობით დიდებულნი სახენი ძველის გმირებისა, ქვეყნისათვის თავდადებულებისა, ძველის ქველობისა, ძველის კაცურ-კაცობისა. მოაგონეს, ისტორიის შემწეობით, დავიწყებულნი სახელოვანნი დღენი წარსულისა, აღადგინეს, გასწმინდეს, გააძლიერეს დედა-ენა, ჟამთა ვითარებისაგან გარყვნილი და შელახული. ამ გზით გამოაბრუნეს, გამოაცოცხლეს თითქმის სასიკვდილოდ გადადებული ერი. ერმა თავისი ვინაობა გაიგო, შეიტყო, რა ყოფილა, რა არის და რის იმედი უნდა ჰქონდეს; შეიტყო და ფეხზედ დადგა, ფრთა შეისხა"[45].

მოკლედ რომ მოეჭრათ, ამ ხალხებმა (ერებმა) დიდად იზრუნეს ენის შენარჩუნების, საისტორიო შეგნების, კულტურის შემდგომი განვითარებისათვის, ფასეული ეროვნული ტრადიციების შენარჩუნებისათვის. მათ მსგავსადო, ილიას თქმით, ახალი თაობის მოწინავე წარმომადგენლებმა, გაიცნობიერეს, რომ... „ჩვენ ქვეყანას სულ სხვა ტკივილი აქვს, სულ სხვა ფათერაკი სდევს. სცნეს, რომ ჩვენებური დღევანდელი დღე სულ სხვასა თხოულობს, სულ სხვასა ჰღაღადებს და,მაშასადამე,ჩვენებური ლიბერალობა სულ სხვა რასმეზედ უნდა მიიქცეს მთელის თავისის ძალ-ღონითა. და თუ აქაც ბეჟდისწერას ისე არ გადავრჩებოდით, რომ „მამა-შვილობა" არ გამართულიყო, ბრძოლის საგნად ის „სხვა რამე" უნდა ყოფილიყო და „მამებსა და შვილებს" შუა მიჯნად დადებულიყო. ის „სხვა რამე" იყო ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზედ დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელის ფათერაკისაგან. რომ ეგ ფათერაკი მოსალოდნელი იყო და დღესაც თავიდამ არ აგვცდენია, - ყველასათვის ცხადზედ ცხადია"[46].

ილია მთელი თავდაჯერებულობით დასძენდა: „ყოველი ჭეშ-

მარიტი ლიბერალი, ჩვენი კაცი, დღესაც მარტო მაგ მიმართულების მიმდევარი უნდა იყოს ჩვენში. ნურავის ნუ ჰგონია, რომ ეგ მიმართულება, რადგანაც დიდი ხნისაა, იმიტომ ძველია, და რადგანაც ძველია, იმიტომ უკადრისია და სათაკილო ლიბერალებისათვის"[47]. საერთოდაც, ილიას მიხედვით, საქმე, ჭეშმარიტება ოდენ „ძველში" და „ახალში" როდია, არამედ თვით საქმის, აზრის არსში. „ავსაც და კარგსაც, ტყუილსაც და მართალსაც თავისი საკუთარი ბუნება აქვს და თვითოეული თვისდა ბუნებისამებრ გაირჩეს და გამოიზომოს და არა სიახლით და სიძველითა"[48] – წერდა იგი.

ილიას, როგორც მოაზროვნის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანთვისებას წარმოადგენდა მეორე მხარის მოსმენის, დიალოგის უნარი. ამ თვალსაზრისით საინტერესოა არტურ ლაისტის დაკვირვება ილიაზე: „თუ თავისი აზრი საფუძვლიანად მიაჩნდა, ენერგიულად იცავდა და ადვილად არავის დაუთმობდა. მაგრამ სხვის აზრსაც ხალისით მოისმენდა, თუკი საქმე მისთვის უცნობ საგანს შეეხებოდა"[49]. ამდენად, ილიას, როგორც ჭეშმარიტებაზე ორიენტირებულ ადამიანს, ხელეწიფებოდა დიალოგის უნარი, რასაც ბევრი მასთან მოკამათე მოკლებული იყო. და არა მხოლოდ მაშინ!

კვლავ გავიმეორებთ: ყოველივე ზემოჩამოთვლილი ნიშანთვისება ილიას ოდენ ფილოსოფიის ისტორიის ზოგადი კურსებიდან, თუნდაც ცალკეულ ფილოსოფოსთაგან ზერელედ, მექანიკურად კი არ ჰქონდა შეთვისებული, არამედ აგრეთვე ღრმად, შინაგანად გათავისებული, რასაც ადასტურებს ილიას შეხედულებანი, გამოთქმული სინამდვილის სხვადასხვა მხარეზე.

§ 2 ილიას უმთავრესი ფილოსოფიური ორიენტაციის შესახებ

ბოლშევიკი მალაქია ტოროშელიძე წერდა: „ი. ჭავჭავაძემ სრულიათ გვერდი აუხვია მატერიალისტურ მოძღვრებას და ქრისტიანობის ელემენტებით გააესო თავისი ნაწარმოებნი"[50]. როგორც უნდა ვფიქრობდეთ ავტორზე, იგი ამ მხრივ სწორი იყო. მაგრამ, როგორც დავინახეთ, მისმა შთამომავალმა ე. წ. მარქსისტ-ლენინელებმა (ისტორიკოსებმა, ფილოლოგოსებმა, ფილოსოფოსებმა და მისთ.) საკითხი დიამეტრალურად შემოაბრუნეს.

ასე მაგალითად, პედაგოგიკური მეცნიერების წარმომადგენელი გიორგი თავზიშვილი აღნიშნავდა, რომ ილია ჭავჭავაძე „ქართული

ფილოსოფიური აზროვნებისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში უნდა ჩაითვალოს ისტორიული პროცესის მატერიალისტური გაგების უახლოეს წინამორბედად...”[51]; „ილია ჭავჭავაძე ისტორიულ-ფილოსოფიურ დარგში საერთოდ (!) ისტორიული მატერიალიზმის წინამორბედია. მაგრამ მეცნიერებისა და ხელოვნების გაგების საკითხში ის კიდევ უფრო ახლოს მივიდა დიალექტიკურ მატერიალიზმთან, მარქსიზმთან... ილია ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედება მისი საზოგადოებრივ-ი (?) იდეოლოგიისა და თეორიის საუცხოო ილუსტრაციას წარმოადგენს”[52].

ისტორიკოს პროკოფი რატიანის აზრით, ილიას „შეეძლო ზოგი რამ საერთო ენახა მის თეორიულ შეხედულებებსა და მარქსიზმის მოძღვრებას შორის”, „მთელ რიგ საკვანძო საკითხებში”, ხოლო თუ ილიამ ვერ შესძლო მარქსისტული თვალსაზრისის მიღება, ეს თითქოს იმით აიხსნება, რომ 1890-იან წლებში (მით უფრო 1900-იან წლებში) იგი „უკვე მოხუცებული და ჯანგატეხილი ადამიანი იყო. ამასთან... თვით მარქსისა და ენგელსის თხზულებათა ცოტად თუ ბევრად სრული კრებულები არა თუ თბილისში, არამედ მთელ მაშინდელ რუსეთშიც არ მოიპოვებოდა”[53]. კერძოდ, ილია „კლასთა ბრძოლის თეორიის გაგებაში... ჩამორჩებოდა არა მარტო მარქსსა და ენგელსს, არამედ ნაწილობრივ მის რუს მასწავლებლებსაც (!)”, რადგან მთელი ქართველი ერის განთავისუფლებაზე მეოცნებე „პატრიოტი მასში, გარკვეული აზრით, ხელს უშლიდა მოაზროვნეს, საღი და ფხიზელი აზრი ძირითადად გზას უთმობდა მგრძნობიარე გულს”[54].

ამ თვალსაზრისით შედარებით ნაკლებ კატეგორიული იყო ლიტერატურათმცოდნე გიორგი ჯიბლაძე, რომლის მიხედვითაც ილიას „მსოფლმხედველობა შეიცავს მატერიალიზმსაც (უფრო მეტად მატერიალიზმს) და იდეალიზმის ელემენტებსაც”[55].

ცნობილი ფილოსოფოსი შალვა ხიდაშელი აღნიშნავდა: „ილიას აზროვნების სრული დამოუკიდებლობით არის განსაზღვრული, ჩემი აზრით, მისი სტილის, წერის და ენის თავისებურებანი, რომელთა იქით დიდი სიბრძნე იფარება, რის გამოც ხშირად (!?) შეუძლებელია (ან არის კი საჭირო?) ილიას მსოფლმხედველობის მოქცევა რომელიმე „იზმის” ფარგლებში”[56].

მსგავსი აზრების მოტანა მრავლად შეიძლებოდა, მაგრამ მათს მოსახმობად თავს აღარ შევიწუხებთ. მაშ როგორი ფილოსოფიური ორიენტაციისა იყო ილია?[57]

ცხადია, სანამ დასმულ კითხვას პასუხს გავცემდეთ, მანამდე

მოვიტანთ შესაბამისი ილიასეული აზრების ნიმუშებს. ილიას მიხედვით, სამყარო არაა მატერიის თავისთავადი, იმანენტური ევოლუციის შედეგი, იგი ღმერთის შემონაქმედია. იგი ამბობდა, რომ „გულჩქარ" ქართველს „ის კი ავიწყდება, რომ ღმერთი ყოვლადშემძლებელია და იმანაც კი ექვსი დღე მოანდომა ქვეყნის[58] აშენებას"[59].

1861 წელს დაწერილ მისეულ სტატიაში ვკითხულობთ: „განა ყოველი საგანი თვის კვალობაზედ არ არის მაღალი, მაღალ ღვთაებრიობის სიბრძნის გამომთქმელი? პოლიპი,რომელიც ძლიეს აჩენს თავის სულიერობას, ისე ცხადად მოგვითხრობს ღვთის ძლიერებასა, როგორც მზე, ეს ქვეყნის მაცხოვრებელი მნათობი. ინფუზორია, რომელნიც მილიონობით არიან ერთ მუჭა წყალში, ისევე საკვირველნი არიან, როგორ მოძრაობა მედიდურ ცაში მილიონთა პლანეტთა[60]. ერთი მუჭა ლაფის ნაწილთა დაკავშირება ისეთი საკვირველია, როგორც ვარდის მშვენიერების გამოცხადება. არა, ბუნებაში ღმერთს არ შეუქმნია მაღალი და მდაბალი საგანი, ყოველი საგანი მაღალია თვის კვალობაზე და ერთნაირად მოგვითხრობს იმ დიდ სულზედ, რომელიც აცხოვრებს მთელს ქვეყანასა"[61].

მსგავსი აზრია გაცხადებული ილიას სიტყვებში: „მე მგონია, რომ ქვეყანაზედ დიდთან პატარაც არ გაჩენილიყო, ქვეყნიერობის მშვენიერებას და სავსებას ბევრი რამ დააკლდებოდა და თვით შემოქმედობის სიბრძნეზედაც ეჭვს შევიტანდით"[62].

„განდეგილში" მწყემსი ქალის პირით ნათქვამია:

„განა სწყინს ღმერთს, რომ კაცი შეჰხარის
ქვეყანას, ღვთითვე დაბადებულსა?
ვფიქრობდი: ნეტა მაშ რისთვის მორთო
ესე ლამაზად წუთის-სოფელი?"

წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გახსნისას (1883 წელს) ილია ამბობდა: „ღმერთმა რომ ქვეყანა გააჩინა, დედამიწას გული გადაუხსნა, შიგ აუარებელი სიმდიდრე ჩაუდვა და ადამიანს უანდერძა: „იშრომე, გაისარჯეო და ეგ სიმდიდრე დედამიწის გულიდამ ამოიღე და შენს სადღეგრძელოდ მოიხმარეო"[63]. იგივე აზრი მხატვრული ფორმით გადმოცემულია „ოთარაანთ ქვრივში". ნაწარმოების მთავარი მოქმედი პირი ამბობს „...ღმერთმა ადამიანი გააჩინა, უბრძანა: წადი, შენს თავს შენვე მოუარეო; შენ იცი და

შენმა წუთის-სოფელმაო; რაც წაგეკიდოს, შენი ბრალი იქნება, მე ნურას დამაბრალებო; მე ხელი დამიბანიაო; აქ ჩემთან რომ ამოხვალ, მაშინ სხვა არისო. ადუღებულ კუპრის ზღვაზე ბეწვის ხიდს გაგიდებ, თუ კარგი ხარ, – გაიცლიო; მადლი მხრებში შეგიჯდება და გაგატარებს-ო, კაი კაცს არ ჩაუწყდებაო"[64].

იგივე აზრები ილიას გამოთქმული ჰქონდა რუსულადაც. ამიტომ მათ თარგმნის გარეშე მოვიტანთ:

„Все необычное разнообразно созданного. Это разнообразие, не мешая единству мироздания в конечном итоге, составляет ту величайшую тайну бытия вселенной, в которой человек ищет и находит бога"[65]. სხვა ადგილას: «Когда бог сотворил вселенную, раскрыл грудь кормилице земле, вложил туда неснечние богатства и заповедал человеку: „Бодрствуй, подвизайся, черпай это богатство из недр земли и распоряжайся ими для собственного благоденствия"[66].

მოგვიანებით, 1886 წელს, დაწერილ ერცელ სტატიაში ილიას მოჰქონდა აღორძინების ეპოქის იტალიელი ფილოსოფოსის პიკო-დელა-მირანდოლას სიტყვები, რომლებიც თითქოსდა ღმერთს ეთქვას პირველი ადამიანის – ადამისათვის: "მე შენთვის, ადამო, საკუთარი სამუდამო ბინა და სადგური არ მომიცია, არავითარი სამუდამო და უცვლელი საქმე არ ამიჩენია. ეს იმისთვის, რომ საცა შენ გიამოს, იქ იცხოვრო, რაც გინდოდეს, ის საქმე აიჩინო. მე შენ არც სასიკეთილოდ გამიჩენიხარ, არც უკვდავად დამინიშენიხარ. ეს იმისთვის, რომ შენ თითონ იყო შენის თავის მკეთებელი და ისეთი სახე მიიღო, როგორიც შენ თითონა გსურს: შენ შეგიძლიან პირუტყვამდინაც ძირს ჩამოხვიდე და ანგელოზამდეც ზე ახვიდე". ამ სიტყვებს ილია ასეთ კომენტარს უკეთებს: "კაცმა რომ ჩაიხედოს ამ სტრიქონებში და ამასთან უნარიცა ჰქონდეს, გამოსარკვევი გამოარკვიოს და დასანახავი დაინახოს, ჩვენთან ერთად იტყვის, რომ ამაზედ მარტივად და ამაზედ ნათლად ძნელია კაცმა გამოსთქვას-ღა, როგორც ადამიანის არსებობის საგანი, ისეც ადამიანის ღირსება"[67].

ილიასეული მსგავსი შეხედულება კიდევ უფრო ფართოდაა წარმოჩენილი მისეულ წერილში თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორ სერაფიმესადმი (ერისკაცობაში იაკოვ მეშჩერიაკოვი). ილია წერდა: „ქვეყნიერების შემქმნელ ღმერთს სრულიადაც არ სურდა ეროგვარობა, რასაც ამტკიცებს შექმნის თვალუწვდენელი სხვადასხვაობა. ეს სხვადასხვაობა თავის საბოლოო ჯამში არ უშლის ხელს სამყაროს ერთიანობას და წარმოადგენს სამყაროს

ყოფიერების იმ უდიდეს საიდუმლოებას, რომელშიც ადამიანი ეძიებს და ჰპოვებს ღმერთს"[68]. ამ შემთხვევაში ჩვენი დიდი მოღვაწის მთავარ ინტერესს განყენებული, თეოლოგიური პრობლემის გარკვევა როდი წარმოადგენდა, არამედ ემპირიული, საამქვეყნო საკითხი – ბრძოლა ქართველობის რუსიფიკაციის წინააღმდეგ, რასაც ილია, დიპლომატიური მოსაზრებით, მხოლოდ კავკასიაში „მოღვაწე" მოხელეობას მიაწერდა და არა „უმაღლეს მმართველ წრეებს", „რუსეთის მიწაწყლის ჭეშმარიტ მოქალაქეებს", და ბოლოს „დიდსულოვან რუს ხალხს". „გარუსების იდეის მიყენება აქაური ჩინოვნიკების მიერ შეთვისებული აზრით, არ მოასწავებს განა ღვთაებრივი განგების წინააღმდეგ მოქმედებას, რომელმაც საჭიროდ სცნო დაესახლებია ქვეყნიერება სხვადასხვა ტომებით და ხალხებით, რასაკვირველია არა საერთო კაცობრიული ერთიანობის დასანგრევად (?!), არამედ სიკეთის, სიმშვენიერის და ჭეშმარიტების მისაღწევად თვითეული იმათგანის მეცადინეობით შემოქმედებისაგან საამისოდ მინიჭებული მისი ძალითა და ნიჭითა შესაბამისად"[69]. „ამ განცალკევებულ მეცადინეობაში მიმართულს ყველას და ყველაფრის ერთიან მიზანში შერწყმისაკენ, არ არის მცირე და დიდი, რაოდენობრივი გაგებით; ყველასათვის მისაწვდომია გასრულქმნილების გზები, ვინაიდან სახარების ღვთიური სიტყვით, ყველა არის მოწოდებული იმისათვის, რომ იყვეს სრულქმნილი ვითარცა მამა ჩვენი ზეციერი"[70]; „ღვთის ნება... გამჟღავნდება ღვთიურ მიზნებისათვის სხვადასხვაგვარი ტომთა და ხალხთა შექმნაში"; „და მართლაც ნუთუ ტომთა და ხალხთა ეს ნაირგვარობა არის განგების შეცდომა და ადამიანს წილად ხვდა მისი გამოსწორება? ან, ეგების დედამიწაზე სხვადასხვა ტომთა და ხალხთა არსებობა აღიარებულია მოვლენად, რომელიც წარმოშობილია ისეთ შემთხვევითობათა თამაშის შედეგად, რომელთაც არაფერი აქვს საერთო ღვთის ნებასთან" „ჩვენ ხომ მოგვიხდებოდა აქ დაგვეშვა, რომ ისეთი მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენები, როგორიც სხვადასხვა ტომთა და ხალხთა არსებობაა, შეიძლება წარმოშობილიყო სამყაროს შემოქმედების ნების გარეშე".

საკუთრივ საქართველოზე ილია წერდა: „ღმერთმა, რაც წყალობა იყო, უკვე მოიღო ჩვენზე, დანარჩენი თქვენ იცით და თქვენმა კაცობამაო"[71]. უფრო კონკრეტულად: „ჩვენთვის ღმერთს არა დაუშავებია რა, არა დაუზოგვია რა, არა დაუკლია რა; თუ ქვეყანაზე (მსოფლიოში – **გ. ყ.**) ერთი-ორი კუთხეა იმისთანა, რომ კაცს ეთქმოდეს, – ქრისტე-ღმერთმა თავისი კალთა უხვებისა აქ

დაიბღერტაო, იმათში უკანასკნელი საქართველო არ არის. რაც ღვთის შემძლებლობით არის და არა კაცისათი, ეს ყველაფერი უკვე მოგვმადლა ღმერთმა. ხელთ გვიჭირავს ეს მშვენიერი ქვეყანა, რომლის მნახავთ შეუძლიანთ სამართლიანად სთქვან: „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა"[72].

ჯერჯერობით ასეთი დასკვნა შეიძლება გაკეთდეს: ილიას აზრით, სამყარო, მათ შორის ადამიანი და საზოგადოება ღმერთის მიერ არის შექმნილი. აქ დამთავრდა დიდი შემოქმედების პირველი აქტი, მეორე აქტის შემოქმედი თვითონ ადამიანები, საზოგადოებაა. ილია წერდა: „იგი ქვეყანაა უფრო ბედნიერი, უფრო ღონიერი სულითა და ხორცით, რომელსაც თვითმოქმედება გაძლიერებული აქვს და ყოვლის მოძრაობის სათავედ შეჰქმნია"[73]; „...ამა ქვეყნის სუფრაზე ადგილი აქვს მარტო იმას, ვინც დამყარებულია თავის საკუთარ მხნეობაზედ, თავის საკუთარ მარჯვენაზედ და ვინც თავის-თავის იმედით ჰგლოვობს, ვინც თავის-თავის იმედით ომობს და იბრძვის ამ წუთისოფელში –არსებობისა და საპატიო ადგილის დაჭერისათვის"[74]; „ადამიანის ცხოვრება და ნამეტნავად ეკონომიური, გაუწყვეტელი ჭიდილია და გამარჯვებული მარტო იგია, ვინც მხნეა, საქმის კაცია და ხელიდამ რამ გამოსდის. ვისაც ეს ზნე არა სჭირს, იმას ამ ჭიდილში ფეხზედ არა დააყენებს-რა, რაც უნდა ულოლიაოთ და უაროთ"[75]. ასე რომ, ილიას შეხედულებით, სამყაროს შესაქმის შემდგომ ადამიანი, საზოგადოება ვითარდება საკუთარი თვითმოქმედებით (ეს სიტყვა ილიას შემოტანილი გახლავთ); განგება, პროვიდენციალიზმი აქ არაფერ შუაშია (თქმულიდან გამომდინარე, ცხადი ხდება ილიას მხრივ ღმერთისადმი მოხმობის აზრი (სხვა ამბავია ილიასეული ნაწარმოებების გმირთა მეტყველება). ეს ოდენ სიტყვის მასალა კი არა, არამედ რელიგიური გრძნობა-შეგძნების გამახვილება გახლდათ. მსგავსი მაგალითები კი ილიასეულ თხზულებებში ბლომად გვხვდება.

გავიხსენოთ ისიც, თუ რას უსაყვედურებდა გრიგოლ ორბელიანი თავის „პასუხი შვილთა"-ში ახალთაობას: ყრმებსო

„უსასოება,
ურწმუნოება,
უმანკოთ გულში ღრმად ჩაუნერგეს;
„ – ლოცვა რათ გვინდა?
ღმერთი რათ გვინდა?
ჩვენი გონება არს ჩვენი ღმერთი!"
„ღმერთი არ არის?..

შენთვის ნუ არის!
შენ რა გაწუხებს, რომ ჰსუფევს სხვისთვის?"

ამაზე ილია „პასუხის პასუხში" ასე პასუხობდა:

„სარწმუნოება
და სათნოება
ფარისეველობად არ შეგვიქმნია,
თქვენი სლოკინი,
ხელთა ფოტინი
ღვითსადმი ლოცვად არ მიგვაჩნია";
„იმით თამამობთ
რომ ბეზღით გვწამობთ
ურჯულოებას, ღვთის უარყოფას?
ღმერთი არმობის,
ღმერთი ყალბობის
არ ურწმუნია ჩვენსა თაობას;
ღმერთი მზაკვრობის
და თვალთმაქცობის,
ღმერთი უქმობის უარუყვია,
ღმერთი ხარბობის
და მძარცველობის
თქვენთა მსგავსთათვის მას დაუთმია". და ა. შ.

ჩვენეული დასკვნა ასეთია: ილია არ ყოფილა მატერიალისტი, არც უწინდელი, მარქსამდელი და არც მარქსისტული (დიალექტიკურ-მატერიალის-ტური) გაგებით. იგი გახლდათ დეისტი და ამ თვალსაზრისით ენათესავება ისეთ მოაზროვნეებს, როგორიც იყვნენ ვოლტერი, ჟან-ჟაკ რუსო, ბენჯამინ ფრანკლინი, მეცნიერებაში – ისააკ ნიუტონი და ა. შ. აღნიშნულს უკავშირდება ილიას მცდელობა რელიგიისა და მეცნიერების კონვერგენციისა, ურთიერთშეღწევა-სინთეზისა. ეს აზრი ყველაზე ნათლად მან გამოსთქვა გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავებისას (1896 წლის 20 მარტს) წარმოთქმულ სიტყვაში: „მე არ ვიცი იმისთანა სხვა კაცი, – საერო, თუ სამღვდელო, – რომლის გულშიაც მომეტებულის მშვიდობის-ყოფით, მომეტებულის და-ძმობით ერთად დაბინავებულიყოს სამოქმედოდ მეცნიერება და სარწმუნოება. განსვენებული ღრმად-მიწვენილი მეცნიერი იყო და იმოდენადვე ღრმად-მორწმუნეცა. აქ არის, ჩემის ფიქრით, მისი აღმატებულება (უპირატესობა – **გ. ყ.**), მისი მნიშვნელობა არამც თუ მარტო ჩვენთვის,

სხვისთვისაც, რადგან ბევრსა ჰგონია, რომ მეცნიერება და სარწმუნოება ერთმანეთ'ში მოურიგებელნი და მოუთავსებელნი არიანო. იგია მაგალითი ამ მორიგებისა და მოთავსებისა"[76]. დეისტური მსოფლმხედველობიდან გამომდინარე, ილიას ღრმად სწამდა, რომ შეიძლება არსებობდესო "გამეცნიერებული სარწმუნოება" და „გასარწმუნოებული მეცნიერება", და რომ ამგვარ კონვერგენციასა და სინთეზში მდგომარეობს კიდეც ჭეშმარიტი სიბრძნეო („სიბრძნე ჩემის ფიქრით, სხვა არა არის-რა, გარდა მეცნიერების და სარწმუნოების ერთმანეთში ბედნიერად მორიგებისა, ერთმანეთის შეუბღალავად და დაუმონებლად. ამისთანა სიბრძნეს სწვდებოდნენ მარტო იმისთანა გენიოსები, როგორც ნიუტონი და სხვანი მისებრი, ერთსა და იმავე დროს ღვთისა და ბუნებისმეტყველნი")[77]. თქმულის კონტექსტშია გასაგები ილიას მიერ ერთ-ერთი დიდი სქოლასტიკოსის (ფილოსოფოსის) აზრი: „ერთის ბრძენისა არ იყოს, ქვეყანაზედ ზოგი იმისთანა საგანია, რომ თუ არ დაინახავ, ვერ ირწმენ, და ზოგიც იმისთანაა, რომ თუ არ ირწმუნე, ვერ დაინახავ"[78] და იქვე დასძენდა: „ცასა, თუ ცას იქით, სწორედ იმისთანა ადგილებია მაძებარ გონებისათვის, რომ თუ არ ირწმუნე, ვერას დაინახავ"[79].

§ 3 დიალექტიკური აზროვნების მომენტები

მავანი ქართველი ავტორების წარმოდგენით, ილიას დიალექტიკური მეთოდის სრულყოფილი ფლობაც მიაწერეს. ასეთი დასკვნა კეთდებოდა ძირითადად იქიდან, რომ ილია საზოგადოების, ისტორიის ერთ-ერთ მთავარ მახასიათებლად მოძრაობას მიიჩნევდა. კვლავ გავიხსენოთ ცნობილი პასაჟი „მგზავრის წერილებიდან", რომელშიც ილია თერგს მიმართავს: „მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი..."[80]. უფრო დაწვრილებით მსგავსი აზრი გადმოცემულია მხატვრული ფორმით, სადაც მყინვარი (მყინვარწვერი) და თერგია შედარებული: „მყინვარი მთელის თავის დიდებულებით საკვირველია და არა შესაყვარებელი. აბა რად მინდა მისი დიდება? ქვეყნის ყაყანი, ქვეყნის ქარიშხალი, ქროლვა, ქვეყნის ავ-კარგი მის მაღალს შუბლზედ ერთ ძარღვსაც არ აატოკებს. ძირი თუმცა დედამიწაზედ უდგა, თავი კი ცას მიუბჯენია, განზედ გამდგარა, მიუკარებელია. არ მიყვარს არც მაგისთანა სიმაღლე, არც მაგისთანა განზედ გადგომა, არც მაგისთანა მიუკარებლობა. დალოცა ღმერთმა

ისევე თავზედ ხელაღებული, გიჟი, გადარეული, შეუპოვარი და დაუმონავი მღვრიე თერგი. შავი კლდის გულიდამ გადმომსკდარი მოდის და მობღავის და აბღავლებს თავის გარეშემოსა. მიყვარს თერგის ზარიანი ხუილი, გამალებული ბრძოლა, დრტვინვა და ვაი-ვაგლახი. თერგი სახეა ადამიანის გაღეიძებულის ცხოვრებისა, ამაღელვებელი და ღირსსაცნობი სახეც არის: იმის მღვრიე წყალში სჩანს მთელის ქვეყნის უბედურობის ნაცარ-ტუტა. მყინვარი კი უკვდავებისა და განცხრომის დიდებული სახეა: ციცია – როგორც უკვდავება და ჩუმია – როგორც განცხრომა. არა, მყინვარი არ მიყვარს, მით უფრო, რომ მიუკარებლად მაღალია. ქვეყნის ბედნიერების ქვაკუთხედი კი ყოველთვის ძირიდამ დადებულა, ყოველი შენობა ძირიდამ-ამაღლებულა, მაღლიდამ კი შენობა არსად არა დაწყებულა. ამიტომაც მე, როგორც ქვეყნის შვილს, თერგის სახე უფრო მამწონს და უფრო მიყვარს. არა, მყინვარი არ მიყვარს: მისი სიცივე ჰსუსხავს და სითეთრე აბერებს! მაღალიაო! რად მინდა მისი სიმაღლე, თუ მე იმას ვერ ავწვდები და ის მე ვერ ჩამომწვდება. არა, არ მიყვარს მყინვარი. მყინვარი დიდ გეტეს მაგონებს და თერგი კი მრისხანე და შეუპოვარს ბაირონსა[81]. ნეტავი შენ, თერგო! იმითი ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ. აბა პატარა ხანს დადეგ, თუ მყრალ გუბედ არ გადაიქცე და ეგ შენი საშიშარი ხმაურობა ბაყაყების ყიყინზედ არ შეგეცვალოს"[82]. მოვიგონოთ აგრეთვე ილიას მიერ დახატული თერგის სახე „აჩრდილიდან":

„თერგი მრისხანე, თერგი მბდღვინვარე
ქაფისა ზვირთთა მიაქანებდა,
ეით შმაგი ლომი დაჭრილი, ცხარე,
ჰრბოდა, ჰბღაოდა, მიღრიალებდა,
სჭექდა და ქუხდა...."

საინტერესოა ილიასეული ამ ორი შედარების შეპირისპირება ჰეგელის შთაბეჭდილებებთან. უკანასკნელმა შვეიცარიაში, ბერნში ყოფნისას (აქ კერძო მასწავლებელი გახლდათ) იმოგზაურა ალპების მთებში. მან თავის დღიურებში ასეთი ჩანაწერი გააკეთა: „ამ მარად მკვდარი მასების ხედმა ჩემში გამოიწვია მხოლოდ ერთფეროვანი და უსაზღვრო წარმოდგენა: ასე ყოველთვის". სამაგიეროდ გახაზავდა ჩანჩქერის (რაიხენბახის) მოძრაობას: თითქოს ერთნაირი სურათიაო, მაგრამ განუწყვეტლივ იცვლებაო[83]. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ილია იცნობდა ჰეგელის ამ აზრს,

რომელმაც გარკვეული ბიძგი მისცა ზემოაღნიშნულ შედარებას მყინვარსა და თერგს შორის.

'მგზავრის წერილებში" ასევე დაპირისპირებულია ღამე და დღე: "არა, წარიღეთ ეს ბნელი და მშვიდობიანი ღამე თავის ძილითა და სიზმრებითა და მომეცით მე ნათელი და მოუსვენარი დღე თავის ტანჯვითა, წვალებით, ბრძოლითა და ვაი-ვაგლახითა!"[84] როგროც ეხედავთ, პრიორიტეტი აქ ენიჭება დღეს სწორედ მოძრაობის გამოისობით.

ილია, ეგონებთ, პირველი იყო ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში, რომელიც შეეცადა რევოლუციის საზრისი (ოღონდ მხატერული ფორმით) გადმოეცა: „სიტყვამ „რევოლუცია" არ შეგაშინოს, მკითხველო! რევოლუცია იმისთვის არის გაჩენილი, რომ მშვიდობიანობა მოაქვს. ღვინო ჯერ უნდა ადუღდეს, აირიოს-დაირიოს და მერე დაწმნდება ხოლმე. ესეა ყველაფერი ამ ქვეყანაზედ"[85]. გვაქვს საფუძველი ვიფარაუდოთ, რომ ილია 1860-იანი წლების დასაწყისისათვის ელოდებოდა რევოლუციის მოხდენას რუსეთში, რომელსაც (რევოლუციას) გარკვეულ იმედებს უკავშირებდა კერძოდ საქართველოსათვის. თუმცა იმხანად ამას არა ჰქონია ადგილი, მაგრამ ილია, როგორც ვიცით, მოესწრო 1905 – 1907 წლების რევოლუციას რუსეთში და კერძოდ საქართველო-შიც. ერთ-ერთი თვალსაჩინო სოციალისტ-ფედერალისტის არჩილ ჯაჯანაშვილის მოგონებით, ილიას 1906 წელს თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოში განუცხადებია: „ბატონებო! რაც ჩვენში ხდება ყველგან მომხდარა. არ არის ერი, არც ერთი სახელმწიფო, ასეთი რევოლუციები რომ არ მომხდარიყოს. ქარტეხილი გაიელის და ცხოვრება ისევ კალაპოტში ჩადგება"[86]. ასე რომ, ილიას რევოლუციები კანონზომიერ მოვლენად მიაჩნდა.

მაგრამ რევოლუციის შინაარსის ამგვარი გაგება, რასაკვირველია, საკმაოდ შორსაა მისი ღრმა მეცნიერული გაგებისაგან. როგორც ცნობილია, მარქსიზმის კლასიკოსები რევოლუციას ზოგად პლანში განიხილავდნენ შინაარსისა და ფორმის კატეგორიების ურთიერთდამოკიდებულების, უფრო კონკრეტულად: განვითარებული საწარმოო ძალებისა და უკვე ჩამორჩენილი წარმოებითი ურთიერთობების თვალთახედვით. თითქოს ილია ნაწილობრივ გრძნობდა ამგვარი მიდგომის საფუძვლიანობას (ცხადია, მათი ზეგავლენის გარეშე), კერძოდ რუსეთის მიმართ იგი შენიშნავდა: „ახლად თვალხილულმა რუსეთმა ...ნახა, რომ მისის სნეულების სათავე – თითონ ცხოვრების წყობაა და აგებულება, ერთხელ

შემოღებული და გაუახლებლად დამკვიდრებული"[87]. რუსეთში დამკვიდრებულ სახელმწიფოებრივ ფორმას (დესპოტიას) და გაბატონებულ სამართლებრივ შეხედულებებს ერთ დროს ღრმა საფუძველი ჰქონდათ. მაგრამ ცხოვრების პირობები შეიცვალა, რის გამოისობითაც რუსეთმა „უარჰყო იგი წყობა, უარჰყო ყოველივე, რაც კი იმ წყობას შესწევდა და ხელს უმართავდა"[88]. ეს კი, თავის მხრივ, უწინარეს ყოელისა შესაბამისი საზოგადოების მოწინავე, შეგნებულ ნაწილში (ინტელიგენციაში) იქნა გაცნობიერებული (ამის შესახებ იხ. ქვემოთ). თითქოს აქედან გამომდინარეობდა რევოლუციის დადებითი საზრისიც რუსეთის პირობებში.

ხშირად ილიას წარმოადგენენ ხოლმე ჩვეულებრივ ლიბერალად (ამ თვალსაზრისის თანახმად, იგი შეიძლება წარმოდგენილ იქნას კონსერვატორა-დაც, ინგლისური გაგებით), რომელიც მხოლოდ რეფორმების გატარების გზით იაზრებდა საზოგადოებრივ პროგრესს. მაგრამ ილია მომხრე იყო რევოლუციისა არა ქართველი ესდეკების მსგავსად (მოვლენის საერთო რუსული მასშტაბით, ერთიანი პარტიის ხელმძღვანელობით მოხდენით), არამედ ეროვნული (საქართველოს, პოლონეთის, ფინეთის, ლიტვის და ა. შ.) საზღვრებში. სხვანაირად, იგი ემხრობოდა ეროვნულ-განმათავისუფლე-ბელ რევოლუციებს. ამის თაობაზე ზემოთ უკვე იყო საუბარი. აღნიშნული იყო ისიც, რომ ილიას მტკიცე რწმენით 1905 წლის საქართველოში მიმდინარე პროცესები მხოლოდ ეროვნულ კალაპოტში უნდა ჩაყენებულიყო.

მთავარი პრინციპის – მოძრაობის დიდი მნიშვნელობის აღიარებიდან გამომდინარე, ილიას ბუნებრივად წარმოედგინა მოწინავე, განვითარებულ ქვეყნებში ახალი თაობების გამოსელა კერძოდ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ასპარეზზე. ყოველ შემთხვევაში, „სანუგეშოდ ის მაინცა რჩება, რომ ცხოერება იქ დახავსებულ გუბედ არ გადიქცევა"-ო[89] – წერდა იგი. ამდენად, დაპირისპირებულობას ძველ და ახალ თაობებს შორის ილია ნორმალურად აღიქვამდა, ოღონდ, რასაკვირველია, ეს უნდა მომხდარიყო ქვეყნის (საქართველოს) სასიკეთოდ.

აღნიშნული გარემოება შემთხვევითი როდია, არამედ მოდის იქიდან, რომ ილიასეული დიალექტიკური აზროვნება გულისხმობდა დაპირისპირებულობათა ბრძოლასა და ერთიანობას, მათს ერთმანეთში გადასვლას, კერძოდ „ჰოსა" და „არას" ურთიერთჭიდილს. ეს ეხება არა მხოლოდ აზროვნებას, არამედ თვით ყოფიერების სფეროსაც. ილია წერდა: "მთელი ისტორია

კაცობრიობისა ყოველ-გვარს სფეროში, საცა-კი ადამიანს წარმატების ძლევამოსილობა მიუძღვის და არ მიუძღვის, სხვა არა არის-რა, გარდა გაუთავებელის ჭიდილისა 'ჰოსა და არას" შორის. ყოველივე ჭეშმარიტება, ყოველივე საქმე, რაც კი კაცობრიობას აღმოუჩენია კაცთა ცხოვრების გულის, გონების განსაკარგებლად, გასაძლიერებლად, წარსამატებლად... ჰოსა და არას ჭიდილით მოუპოვებია. ჭეშმარიტების აღმოჩენას, საქმეს ცხოვრების ასე თუ ისე განწყობისა (მოწყობისა – **გ. ყ.**) და გარიგებისა (დადგენისა – **გ. ყ.**) სხვა გზა არა აქვს ამ ერთად-ერთის მეტი"[90]; 'აზრთა მოძრაობაში, როგორც ყველაფერში ქვეყანაზედ, ერთი მეორეს ადგილს არ უთმობს უომრად, უბრძოლველად"[91]; 'რა საგანსაც, რა მოელენასაც-კი, კაცთა ხელიდამ, თუ გონებიდამ გამოსულს გულში ჩაჰხედავთ, დაინახავთ, რომ ჰო-არაობის ჭიდილსა და ქარცეცხლშია გამოტარებული. მართალია, გამარჯვება ერთისა თუ მეორისა, ჰოსი თუ არასი, ყოველთვის არა ჰნიშნავს ჭეშმარიტების გამარჯვებასა, მაგრამ მაინც ჰოსა და არას ჭიდილია ერთადერთი გზა ჭეშმარიტების აღმოჩენისა და პოვნისა"[92].

უფრო ვრცლად დაპირისპირებულობათა ბრძოლის იდეა ხაზგასმულია ილიასეული სტატიის „შინაური მიმოხილვა, 1881 წელი, მაისი" შემდგომ ადგილას: აქ ვკითხულობთ: „ყოველგან, საცა კი ისტორიის ღირსი ერი თავისითა სცხოვრობს, ორნაირი წყობაა აზრისა და ეგ ორნაირი წყობა აზრისა შეადგენს ცხოვრების მდინარეობასა. ერთი ის წყობაა, რომელიც ცხოვრებას უკვე აღმოუჩენია, დაუდგენია და დღეს მოქმედებს, მეორე ის – რასაც დღევანდელი დღე თხოულობს და საჭიროებს. ამ ორთა წყობათა მოქმედება დაუძინარია და მუდამი. როცა ის, რასაც დღევანდელი დღე თხოულობს, ყველას თუ არა – ბევრს მაინც ძვალსა და რბილში დაუვლის, შესმენილი და გაგებული ექნება, – მაშინ ეგ მეორე წყობა იმარჯვებს და ყოველ საქმეთა სათავეში მოექცევა ხოლმე, ეხლა ეგ წყობა დაიჭერს პირველს ადგილს ცხოვრებაში. რასაკვირველია, მინამ ეს ასე მოხდება, ცხოვრება მაინც მოქმედებს და ახალს საჭიროებას აჩენს. ამიტომაც ახლად გამარჯვებულ წყობასაც სხვა, ახალი წყობა გამოუჩნდება ხოლმე მოპირდაპირედ. ესე მიდის კაცობრიობის ცხოვრება და ამნაირ სვლას დასასრული არ აქვს. თითონ კაცობრიობის ისტორიაც სხვა არ არის-რა, გარდა ამნაირად ფეხის გადანაცვლებისა"[93]. მაგრამ საქართველოს ისტორიულ პროცესში, ილიას მიხედვით, საზოგადოების შინაგან დაპირისპირებულობას ნაკლებად ჰქონდა ადგილი, რამეთუ ამას

ენაცვლებოდა დაპირისპირებულობა ჩვენს საზოგადოებასა და ისტორიულ გარემოს შორის.

ილიასეულ "მოკლე კონსპექტში სიტყვისა სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ" ვკითხულობთ: "ჰო და არა, რაც თქმულა სიკვდილის თაობაზე, რომ სასწორზე დაიდვას, არა მგონია ისე თვალსაჩინოდ გადიხაროს ან ჰოსა და ან არასკენ, რომ ამ გადახრამ დაარწმუნოს ვინმე და სხ. სხ."[94]; "ჰო და არას საბუთებს შორის ერთი რამ არის ზოგადი: ერთიცა და მეორეც წარმოადგენენ მარტო მრწამსს როგორც ერთისას ისე მეორისას. აქ მარტო დიალექტური (!) ღონისძიებაა ერთმანეთის დასაჯერად მიმართული"[95].

ერთ ილიასეულ დაუმთავრებელ მოთხრობაში მოქმედი პირი ამბობს: "ჩემის ფიქრით, შრომა კაცის ბუნებას ეჯავრება და სიამოვნებას, სიტკბოებას კი კაცის ბუნება ეტანება. მთელი კაცობრიობის ცხოვრება ამ ორთა გრძნობათა ბრძოლაა, ერთ მხრივ იბრძვის შრომის სიძულილი, მეორე მხრივ სიამოვნების სურვილი"[96].

დაპირისპირება-წინააღმდეგობის მნიშვნელობას ყოფით დონეზე ათვალსაჩინოებს ილიას წერილი ოლღა გურამიშვილისადმი (1863 წლის მარტისა): "ბედნიერება, იცი, როდის არის ძვირფასი? როცა მას ბრძოლით ჰპოვებ, ტანჯვით იყიდი, როგორც პოეტები ამბობენ ხოლმე. გამარჯვება წინააღმდეგობის გარეშე გამარჯვება არ არის, ასე ამბობენ მხედართმთავრები. ჩვენც ხომ გვიხდება პატარ-პატარა წინააღმდეგობების დაძლევა, დავძლიოთ კიდევ, ჩემო მეგობარო!... ეს ბრძოლა, როგორც უნდა დასრულდეს, მაინც ადამიანისათვის ღირსების მიმნიჭებელია და თვით დამარცხების დროსაც სასახელოა"[97].

როგორც ვხედავთ, ილია ზოგადად უთუოდ იცნობდა ჰეგელის მოძღვრებას დიალექტიკაზე[98]. საერთოდ კი, ჩვენი აზრით, ილია ჰეგელის დიალექტიკას ღრმად არ იყო დაუფლებული. ამდენად გადაჭარბებულად მიგვაჩნია ფილოსოფოს ვახტანგ გაგოიძის აზრი იმის შესახებ, რომ ილია ჰეგელს მატერიალისტურად, ე. ი. ლამის კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის ყაიდაზე კითხულობდაო[99]. ასევე დიდად გაზვიადებულად ვთვლით მკვლევარ-ისტორიკოს ვახტანგ გურულის მოსაზრებას იმაზე, რომ კერძოდ „ენისა[100] და სახელმწიფოს გაგებაში ილია ჭავჭავაძე წმინდა წყლის ჰეგელიანელი იყო"-ო[101]. ილიას მიერ იდეალად საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დასახვა, მასზე ზრუნვა, რასაკვირველია, სულაც არ ნიშნავდა მის ჰეგელიანელობას.

საერთოდ, ჰეგელიანური იდეები არსებულის გონიერულობის თაობაზე,

რომლის გასაგებადაც მას ბესარიონ ბელინსკისა და ნიკოლაი ჩერნიშევსკის ნააზრევიც დაეხმარებოდა, ილიას თეორიულ მემკვიდრეობაში მრავალგზის გვხვდება: „ცხოვრება კი ძნელად თუ რასმეს ჰქმნის უაზროდ"[102]; 'ყოველისფერი თავის ადგილას არის კარგი"[103]; 'ჩვენ ვიცით, რომ რაც კი რამ არის დაარსებული ქვეყანაზედ – ყოველისფერს აქვს თავისი კანონი და მიზეზი; უკანონოდ და უმიზეზოდ არაფერი არ გაჩენილა და არც გაჩნდება"[104]; 'ყველას თავისი დრო აქვს, თავისი ჟამი, თავისი გარემოება და მიზეზი, და ამაებს თავზედ ვერვინ ვერ გადაახტება, იმიტომ რომ ამ ქვეყნიერობაზედ არაფერი ჰჩნდება, არაფერი იბადება სავსებით, სისრულით და დამთავრებით"[105]; '...რაც გინდ ოსტატურად ამრუდო სასწორი ჭეშმარიტებისა, ადრე იქნება თუ გვიან, გამრუდებულს სასწორს თავის ლარზედ დააყენებს ლოღიკა ერისა"[106]. წარსულის სათანადო მეთოდოლოგიით რეკონსტრუქციისას „ამ გზით იგი ხელს უწყობს გაგებას და ახსნას ეხლანდელისას (ჩვეულებისას – გ. ყ.), რომელიც თუმცა შერჩენია ცხოვრებას, მაგრამ არც თავი უჩანს, არც ბოლო, და სასაცილოდ-ღა ასაგდები გაგვხდომია, მაშინ როდესაც ერთ დროს თავისი შესაწყნარებელი მიზეზი ჰქონია და, მაშასადამე, საპატიო ყოფილა"[107]. რაც შეეხება ქართულ თანადროულ და ისტორიულ სინამდვილეებს, "ქართველები ისეთნი არიან, როგორიც უნდა იყვნენ, როგორც დროს და ისტორიას მოუტანია"[108]; 'შემცდარია ის, ვინც ჩვენ მამა-პაპათ მძინარეებს და ზარმაცებს ეძახის, ეგ სახელი იქნება ჩვენვე დაგვერქვას უფრო სამართლიანადაცა. ჩვენი წინაპრები ქართველნი იყვნენ ისეთნი, როგორიც უნდოდა იმ დროს: მტრის და მოყვრის დამხვედრნი"[109]. კერძოდ, ქართველობის როგორც ერის არსებობა შემთხვევითობის კი არა, არამედ სერიოზული ისტორიული საფუძვლის მქონეა, „იგი ორი ათასი წელიწადი სცხოერობს ისტორიულად და ნუ თუ ჰგონია ვისმეს რომ მისი ყოფა-ცხოვრება შემთხვევის საქმეა და არა ისტორიული მომჭირნეობისა, ჭირნახულობისა და გამონაცადისა. თუ ესეა, ნუ თუ ჰგონია ვისმეს, რომ მის ეკონომიურს თუ სხვა ფერს ყოფა-ცხოვრებას ღრმად გაჭრილი არა ჰქონდეს თავისი საკუთარი, თავისებური საძირკველი, რომელზედაც ერს დღეაბ-კირად უხმარია თავისი გამოცდილება და ქვათ – თავისი სულიერი და ხორციელი მიდრეკილება"[110].

ჩამოვთვლით დიალექტიკური აზროვნების სხვა ნიმუშებს ილიას ნააზრევში.

მშვენიერია მოსაზრება, რომლის თანახმადაც „თვით აზრიც სხვა

არა არის რა გარდა იმისა, რომ საქმეა ჯერ განუხორციელებელი, და საქმეც – აზრია, უკვე განხორციელებული"[111]. აღნიშნული თვალსაზრისითაა გააზრებული სიკეთისა და ბოროტების ურთიერთმიმართებაც. იგი შენიშნავდა: „რა არის ცოდვა და რა არის მადლი? რას ჰქვიან კეთილი და რას ბოროტი? რაც გუშინ ცოდვად აღიარებულა, დღეს ის მადლად მიგვაჩნია, რაც ერთს ქვეყანაში მადლად ჩაეთვლება ადამიანს, ის მეორეში ცოდვაა, რაც ერთ შემთხვევაში ცოდვაა მომაკვდინებელი, ის სახელოვანი საქმეა მეორეში"[112]. ილიასეულ აზრზე „გამეცნიერებული სარწმუნოებისა" და „გასარწმუნოებული მეცნიერების" შესახებ ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ.

ილიასეულ ნააზრევში აშკარად ფიგურირებს ურთიერთზემოქმედების კატეგორია. მის გარეშე წარმოუდგენელია საზოგადოების ცხოვრების სერიოზული გააზრება: „თავისთავად, კარჩაკეტილად ცხოვრება ნადირის საქმეა და არა ადამიანისა, რომელიც დანიშნულია მზგავსთანათა ცხოვრებისათვის და თუ არ „მე თქვენით და თქვენ ჩემით" არავითარი ღონე არა აქვს არც ცხოვრებისა და არც რჩენისა"[113].

მოვიტანთ აღნიშნულის საილუსტრაციო სხვა მაგალითებს. საპროგრამო წერილში „საქართველოს მოამბეზედ" ვკითხულობთ: „ეგრე ცხოვრებისაგან აღმოსულნი, მეცნიერების სიცხოველით ნაყოფად მოწეულნი, ისევ ცხოვრებასავე დაუბრუნდება ხოლმე წარმატებისათვის"[114]. „ცხოვრებაზედ ამოსულნი შტოები – მეცნიერება და ხელოვნება – ისხმენ ზედ ცხოვრების ნაყოფსა და როცა მოასწევენ სათესლოდ, ისევ ცხოვრებასვე გადმოსცემენ ახალის ცხოვრების გამოსაკვანძავად. ამისთანა დამოკიდებულება აქვს ცნობიერებას ცხოვრებაზედ და ცხოვრებასა თავის რიგზედ – ცნობიერებაზედ"[115]; მეცნიერება და ხელოვნება „იბადებიან ცხოვრებისაგან და არსებობენ ცხოვრებისათვის"[116]; „იგინი წინ მიდიან ცხოვრების ვითარებისა გამო და მერე თავის რიგზე და თვითვე წინ მიჰყავთ ცხოვრება"[117]; „რაც მაგათგან არის მოყვანილი ცნობაში და დამტკიცებული, ის გადადის ხალხში და იგი სცვლის ხალხის მდგომარეობასა და ცხოვრებასა"[118].

„ევერიის წინასიტყვაობაში" (!) აღნიშნულია: ცხოვრებისაგან, როგორც მასალისაგან „მეცნიერებითსა ძალას ადამიანისას გამოჰყავს დედა-აზრი (პრინციპი) და ამ დედა-აზრზედ ამყარებს მეცნიერების შენობასა, საიდამაც ეს დედა-აზრნი ისევ ცხოვრებაში უნდა გადმოვიდნენ"[119]; „რა ღონისძიებაა იმისთანა„ რომ (ჟურნალ-გაზეთობამ – გ. ყ.) დღე-მუდამის ცხოვრებისაგან მოგროვილი მასალა მეცნიერებას უზიდოს და მეცნიერებიდამ დედა-აზრნი

გადმოიტანოს ცხოვრებაში?"[120] და ა. შ.

ცალკე, თავის ადგილას, შევეხებით ილიასეულ მოსაზრებებს საზოგადოების, სახელმწიფოსა და სამართლის ურთიერთმიმართებებზე.

ჩანს, ილიასათვის ცნობილი გახლდათ უარყოფის უარყოფის დიალექტიკური კანონის (თეზისი-ანტითეზისი-სინთეზისი) მოქმედებაც. უზოგადეს პლანში, კაცობრიობის ისტორიული განვითარების დონეზე, ეს ამგვარად წარმოგვიდგება. ილიას შეხედულებით, თავდაპირველად საზოგადოება დაფუძნებული იყო საერთო საკუთრებაზე (განსაკუთრებით მიწაზე), რომელიც ყველა ისტორიულად განვითარებულ რეგიონში შესცვალა „ფეოდალობამ" (ფეოდალიზმმა), რომელშიც გაბატონებული გახდა კერძო საკუთრება მიწაზე, აქედან გამომდინარე ბატონყმობითურთ. მოძრავი ქონების (ფაბრიკა-ქარხნების) განვითარების შედეგად განვითარდა ბურჟუაზიული საზოგადოება, რომელიც მტკიცედ დამკვიდრდა შესაბამისი რევოლუციების შედეგად. მაგრამ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში წარმოიშვა „მეოთხე წოდება" – მუშათა კლასი. ილია წერდა: „დღეს ეს მუშაკაცი იბრძვის ევროპაში, რომ უპირატესობა სახელმწიფო და საზოგადოებრივს წყობაში არავის არა ჰქონდეს განსაკუთრებული და ამისათვის ყოველგვარის წყობის ქვაკუთხედად სდებს შრომასა, რომელიც ბუნებითად ყველას განმათანასწორებელია, რადგანაც ყველა უნდა მშრომელი იყოს. ამ სახით, დღეს ევროპაში წარმომდგარია მეოთხე წოდებაც, სახელდობრ მუშაკთა, რომელიც სიმრავლით ყოველს წოდებაზე უდიდესია. დღეს ეგ წოდება იბრძვის, იბრძვის სასტიკად და მედგრად თავისის დედაზრისათვის და იმედიცა აქვს გამარჯვებისა"[121].

მომავალში ილია შესაძლებლად თვლიდა ამ „წესწყობილების" გამარჯვებას[122]. მაგრამ, რასაკვირველია, ეს გარემოება სრულიადაც არ ნიშნავდა კერძოდ ქართველ ესდეკებთან თანადგომას.

აღნიშნული დიალექტიკური კანონზომიერება შეინიშნება, ილიას ნააზრევის მიხედვით, საქართველოს ისტორიულ პროცესშიც. მის მიერ დიდად იდეალიზირებულ წარსულში, თავისუფალ საქართველოში ცხოვრობდნენ მაღალზნეობრივი, პატრიოტული და თავისუფლების შეგნების მქონე ქართველები. ეს ვითარება გადმოცემულია „აჩრდილში", ილიასეულ რიგ ლექსებში, „მეფე დიმიტრი თავდადებულში". ჩვენი ისტორიის ბედუკულმართობამ, ერთიანი საქართველოს დაშლის შემდგომ, განსაკუთრებით ცარისტული რუსეთის უღელქვეშ, ქართველობა უაღრესად დააკნინა-

დააჩიავა (იხ. აღნიშნული პოემები, რიგი ილიასეული ლექსები). მყოობადში, მომავალში გაიმარჯვებს ახალი ისტორიული ტენდენცია; აღიზრდებიან ახალი ქართველები, რომლებიც დაამკვიდრებენ არა მხოლოდ დამოუკიდებელ, თავისუფალ, არამედ დღეს ახალ პრინციპებზე (ძმობა, ერთობა, თავისუფლებაზე) დაფუძნებულ საქართველოს[123].

და ბოლოს, აღნიშნულმა კანონზომიერებამ თავი იჩინა – აზროვნების (ფილოსოფიის) ისტორიაშიც. თუ ანტიკურ საზოგადოებაში ადგილი ჰქონდა „გონების თავისუფლად მსჯელობას, შუა საუკუნეების ისტორიის დიდ მანძილზე გაბატონდა სქოლასტიკა, როგორც უარყოფა წინა გონებრივი მდგომარეობისა[124]. „ეგრეთწოდებული „ეპოქა განახლებისა" (აღორძინება რენესანსისა) უარყოფა გახლდათ სქოლასტიკისა. ილია ასეთ კითხვას სვამდა: „განა ერთსაც და მეორესაც ერთსა და იმავე დროს თავისი ჰო არა ჰქონდათ, რომლის სახელითაც სხვის ჰოს უარსა-ჰყოფდნენ"[125]. საერთოდ კი, მოხდა ძველის განმეორება მაგრამ უბრალოდ, იმავე შინაარსით კი არა, არამედ ახალი შინაარსით.

ამდენად, როდესაც ილია სასტიკად ებრძოდა უარმყოფელობას (ამან რუსული საზოგადოებრივი აზროვნების ერთი მიმართულების მიბაძვით ჩვენშიც იჩინა თავი), მასში გულისხმობდა შიშველ, ცარიელ უარყოფას, რომელიც არც საზოგადოების განვითარებაში და არც აზროვნებაში არაფრის მომცემია. ილიას აზრით (ჰეგელისდარად) ნამდვილი უარყოფა მდგომარეობდა ამავდროულად ძველის დადებითი შინაარსის შენარჩუნებაშიც. ასე რომ, საქმე გვაქვს მოხსნა-შენახვის მომენტებთან.

ამ პარაგრაფში მოტანილი ილიასეული აზრები მხოლოდ იმას ადასტურებენ, რომ ჩვენი დიდი მოღვაწის ნააზრევში საკმაოდ უხვად გვხვდება დიალექტიკური აზროვნების მაგალითები (მოვიგონოთ ფრიდრიხ ენგელსის აზრი იმის თაობაზე, რომ დენი დიდროსა და ჟან-ჟაკ რუსოს ჰქონდა დიალექტიკური აზროვნების თვალსაჩინო ნიმუშები, რასაკვირველია, ჰეგელის მოძღვრებასთან რაიმე შეხების გარეშე). მათგან განსხვავებით გვაქვს სრული საფუძველი ვიფიქროთ, რომ ილია ზოგადად იცნობდა ჰეგელის ფილოსოფიურ მოძღვრებას, კერძოდ დიალექტიკას. თუმცა ილიას იდეური მოწინააღმდეგენი – ქართველი ესდეკები წარამარა ისროდნენ ფრაზებს დიალექტიკაზე, მაგრამ, მათგან განსხვავებით, ილიას შესაბამისი აზრები მექანიკურად დაზუთხულ-გაზეპირებული კი არა, არამედ საფუძვლიანად ჰქონდა გათავისებული. რა თქმა უნდა, ესეც

საკმარისი გახლავთ და ჩვენი გამოჩენილი მოაზროვნე, მისი სახელი სრულებითაც არ საჭიროებს ზედმეტის მიწერას.

§ 4 საზოგადოების გაგება-გააზრება

როდესაც ილიას მატერიალისტობის დამტკიცებას ცდილობდნენ, მოჰქონდათ რამდენიმე ამონარიდი, უმთავრესად 1862 წელს დაწერილი წერილიდან „საქართველოს მოამბეზედ". მასში ეკითხულობთ: „ცხოვრება ძირია, ხელოვნება და მეცნიერება მასზედ ამოსული შტოები არიან. როგორც მიწიდან ამოხეთქილი შტოები ისხამენ ნაყოფსა და როცა სათესლედ მოჰსწევენ, ისევე მიწას გადმოსცემენ, რომ ახალი ძირი გაიკეთონ და ამ ძირმა სხვა ახალი შტოები ამოხეთქოს, აგრეთვე ცხოვრებაზედ ამოსულნი შტოები – მეცნიერება და ხელოვნება – ისხამენ ზედ ცხოვრების ნაყოფსა და როცა მოწევენ სათესლოდ, ისევ ცხოვრებასვე გადმოსცემენ ახალის ცხოვრების გამოსაკვანძაეად. ამისთანა დამოკიდებულება აქვს ცნობიერებას ცხოვრებაზედ და ცხოვრებასა თავის რიგზედ – ცნობიერებაზედ"[126]; „თითონ ცხოვრება აღმოშობავს ხოლმე თავისათვის წესსა, განსაზღვრავს ხოლმე თავის რჯულსა და კანონსა"[127]. „...ცხოვრება თვითრჯულია, იგი არ გამოიჭრება ხოლმე კაცისაგან მოგონილ რიკრიკაზედ; ...თუმცა იგი ბერდება, მაგრამ იმ სიბერის გამოცდილებით ისევ თავის-თავად ახლდება და ჰყვავის; "...იგინი (მეცნიერება და ხელოვნება – **გ. ჯ.**) წინ მიდიან ცხოვრების ვითარებისა გამო და მერე თავის რიგზედ თვითვე წინ მიჰყავთ ცხოვრება"[128].

აღნიშნული თვალსაზრისით საინტერესოა ილიასეული ერთი აზრი: „ცნობიერება მხოლოდ ცხოვრების გამხილავი და გამომეტყველია"[129]. თუმცა ილია ძალზე დიდი აზრისა გახლდათ პოეტის „ციდან მოვლინებაზე", მის დანიშნულებაზე, რაც მშვენივრად ჩანს ლექსიდან „პოეტი",მიუხედავად ამისა მაინც აღნიშნავდა: „პოეტსა ხალხი დაჰბადავს და ხალხის ცხოვრება ძუძუს აწოვებს; ამ საფუძველით ამბობენ, პოეზია ხალხის ცხოვრების გამომთქმელიაო"[130].

მაგრამ საკითხავია: როგორ წარმოედგინა ილიას „ცხოვრება" – მარქსისტული თვალთახედვით, რომლის თანახმადაც ეკონომიკური ცხოვრება, როგორც ბაზისი განაპირობებს საზოგადოების („ცხოვრების") სხვადასხვა მხარეებს თუ „ცხოვრება" გაუდიფერენცირებლად, ეკონომიკური და რიგი „ზედნაშენური" მხარეების ერთიანობით, თანაბარმნიშვნელოვნად წარმოედგინა. რასაკვირველია, ამ უკანასკნელი აზრით. შესაბამისად, ილიას შეხე-

დულებით, არც ეკონომიკური ევოლუცია იყო გადამწყვეტი საზოგადოების (კაცობრიობის) საერთო განვითარებაში. ასე მაგალითად, „ივერიის" 1885 წლის წინასიტყვაობაში (!!) („მეთაურში") იგი წერდა: „ადრეც გვითქვამს და ეხლაც ვიტყვით: კაცობრიობის დიდებულ ნაღვაწთა თირკმლები რომ გაუსინჯოთ, მთელს კაცობრიობის ახოვან პროგრესს თავიდამ ბოლომდე გონების ნესტარი გაუტაროთ, ნახავთ, რომ ყოველივე ეს მართლა-და დიდებული ნაომარი კაცობრიობის ხელისა, გონებისა და მხნეობისა სხვა არა არის-რა, თუ არ ძლევამოსილი სვლა კაცებურ ღირსებათა, გრძნობის აღსამატებლად მიმართული: რამოდენაც ეს გრძნობა აღმატებულია, იმოდენად ძლიერია, როგორც ცალკე კაცი, ისე მთელი ერიც. ჩვენის ფიქრით, ყოველს-გვარს უბედურებას, უძლურებას ადამიანისას სათავედ ამ გრძნობის ძირს დაცემა აქვს. საცა ეგ გრძნობა ცოტად თუ ბევრად ფეხადგმულია, იქ კაცი არამც-თუ ვისმეს ან რასმეს გაექელვინება თითონ, არამედ სხვის გაქელვის დანახვაზედაც მთელის თავისი სამართლიანის გულის-წყრომით გამქელვველს გულ-და-გულ შეეფეთება, როგორც დამრღვეველს იმ ზნეობითის კანონისას, რომელიც საყოველთავო ღირსების ფარია და, მაშასადამე, მისიცა. როგორც სხვენი მზისაგან, ყველა ნიჭი და მადლი ადამიანისა, სულიერი თუ ხორციელი, ამ გრძნობიდამ წარმომდინარეობს და ყოველივე ისევ უკან მიერთმევა, ვით თავის დასაბამს"[131]. სხვა ადგილას იგი წერდა: „...არის ზოგიერთი ზნეობრივი კანონი, რომელიც კაცთა ერთმანეთობით (ურთიერთ – **გ. ყ.**) ცხოვრებას საძირკვლად უდევს და რომელიც ყველასათვის ერთნაირად სავალდებულოა, რა დასისა და რწმენისაც გინდა იყოს, და ერთი ამ კანონთაგანი ის არის რომ რაც შენ არ გინდა მოგივიდეს, იმას ნურც სხვისათვისაც მოინდომებო"[132]. ამდენად, ილიას შეხედულებით, გამოდის, რომ ცხოვრებისა და სოციალური პროგრესის საფუძველს ზნეობრიობა (მორალი) წარმოადგენს.

სხვაგან ჩანს, რომ ეკონომიკა და მორალი თანაბარმნიშვნელოვანი ფაქტორები ყოფილან: „მართალია, ერის არსებობისათვის დიდი რამ არის ნივთიერი ქონება, მაგრამ არის ერთნაირი სხვა ქონებაც, ურომლისოდაც ერი თავს ვერ დაიჭერს ამ წუთის სოფლის გზაზე... ის სხვა ზნეობაა და ზნეობრივი ქონებაც ისეთი აუცილებლობაა ერის მკვიდრად ფეხზე დგომისათვის და ხანგრძლივ ადამიანურ ცხოვრებისათვის, როგორც არსებითი პური"[133].

თვით ადამიანის ჩამოყალიბების, homo sapiens-ად ქცევის მიზეზ-

ბი თურმე მეცნიერების (საერთოდ ცოდნის) განვითარება ყოფილა. სახელდობრ, მეცნიერებამ „ნადირიკაცი ღვთის ხატად და მსგავსებად გარდაქმნა"[134] – წერდა ილია. იგივეს გულისხმობდა სიტყვებში: 'რა აახლებს, რა სცელის და – თუ ცხოვრება ჯანმრთელია – რას მიყავს წინ? ცოდნასა, მეცნიერებასა, რომელნიც თვითვე ცხოვრების ნაყოფნი არიან"[135].

სხვაგან ილია გადამწყვეტ ფაქტორად მიიჩნევდა სამართალს, უფრო სწორად, მართლმსაჯულებას. მის მიერ ხაზგასმულია „საკაცობრიო სამართალი, მართლმსაჯულება, რომელზედაც აშენებულია მთელი ადამიანური ურთიერთობა, მთელი ადამიანური ყოფა"[136].

ილიას ცნობილი პუბლიცისტური სოციოლოგიური ტრაქტატი „ცხოვრება და კანონი" იწყება ასე: "ბუნებამ, რაც უნდა სიმდიდრით მორთოს რომელიმე მხარე, ანუ ქვეყანა, რაც უნდა მრთელი ჰავა მისცეს ადამიანს საცხოვრებლად და ნაყოფიერი მიწა საზრდოებისათვის, მაინცდამაინც ხალხთა კეთილდღეობას სხვა მხრითაც ხელის შეწყობა სდომებია. კაცს მაგოდენად ვერა შეელის თურმე ვერც სიკეთე ჰაერისა, ვერც სიმსუქნე მიწისა, ვერც შეძლება ყოველგვარის წარმოებისა, თუკი კაცთა შორის კეთილად დადგენილი და ცხადად განსაზღვრული არ არის ურთიერთშორისი უფლება და მოვალეობა"[137]. შემდეგ ვკითხულობთ: „...რაც უნდა მდიდარი ქვეყანა იყოს ბუნებით, თუ იქ ჩემი და შენი, ესე იგი კაცთა უფლება და მოვალეობა, ძნელად გასარჩევია და არ არის საყოველთაოდ განსაზღვრული ცხადად და უცილოდ, იქ ხალხის წარმატება და კეთილდღეობა თუ ყოველდღე უკან არ იწევს, შეფერხებული ხომ არის და არის. ამისი მაგალითი თვით ჩვენი ქვეყანაა. ერთი მითხარით, რა არ მოუცია ღმერთს ჩვენის ბედნიერებისათვის? ყოვლისფერი უხვადა გვაქვს, მხოლოდ არა გვაქვს ურთიერთშორისი განწყობილება"[138], ე. ი. იგულისხმება იურიდიულად, სამართლებრივად მოწესრიგებული საზოგადოებრივი ურთიერთობანი.

უფრო უწინ დაწერილ „აჩრდილში" ვკითხულობთ:

„ესთქვი თუ: სადაც ცა ეგრე მჭვირვალებს,
ღამე ესეთის დილით თენდება,
სადც მზის ნათელი ეგრე ბრწყინვალებს,
იქ ძალებს კაცსაც ბედნიერება";
„თქვენს გარს მადლითა საესე ბუნებას
შეუკრებნია ყოველიფერი,

რომ მისცეს თქვენში ზრდა დიდ ცხოვრებას,
ჰყოს იგი ძლიერ და ბედნიერი.
ვიშ, ეს ქვეყანა, ხმელეთის თვალი,
დიდის სამოთხის კუთხე პატარა";
„ქართველის სამკვიდროვ, ქვეყნის თვალად დაბადებულო".

მაგრამ მხოლოდ ეს პირობა როდი კმაროდა განვითარებული საზოგადოების შესაქმნელად. თავი რომ დავანებოთ ეროვნულ დამონებულობას, ილია უაღრესად კრიტიკული თვალით უყურებდა ქვეყნის სოციალურ ვითარებას. მისი აზრით, ასე გაგრძელდებოდა მანამდე:

„ვიდრე ძე შენი არ გაიკვლევს ზოგად ცხოვრებას
და მცნების ნათლით ზე-აზიდულ, ამაღლებული
ჭკვით არ განსჭვრიტავს საზოგადო ცხოვრების დენას".

ამდენად, საქართველოს უკეთესი მომავალი, ილიას მიხედვით, დაკავშირებული იყო საზოგადოებრივი ცნობიერების, კერძოდ სამართლებრივის, გარდაქმნასთან,

იგივე აზრია განვითარებული შოტლანდიისა და სპარსეთის მაგალითებზე: „მთიულსა შოტლანდიისას გარს ახვევია გულდახურული, ღარიბი ბუნება. იგი დიდის შრომითა და ღვაწლით ართმევს ბუნებას იმ თითო ლუკმა პურს,რომელსაც აწვდის თავის ჯალაბს საზრდოებისათვის. იგი თავგადადებით, თავგამომეტებით დღედაღამ ებრძვის ბუნებას და ყოველი ესრეთ მოპოებული ლუკმაპური ძლევამოსილებაა მისის მხნეობისა, შრომისმოყვარეობისა. თუმცა ესრეთ აღამებს იგი დღესა და ათენებს ღამეს, მაგრამ იგი უფრო ბედნიერია და კმაყოფილი, ვიდრე სპარსელი, რომლისათვისაც ბედს შემოუფარგლავს უკეთესი ქვეყანა კაცთა საცხოვრებლად და საზრდოებისათვის. ერთი არის თავმომწონე, გამბედავი, თავისუფალი, მედგარი და გულდაგული კაცი, მეორე არის გულჩათუთქვილი, ილაჯგაწყვეტილი, ფრთხილი და გათელილი. ერთი – იმედით აღსავსე, სულ წინ იყურება და ყოველი მისი ფეხის წინ წადგმა ძლევამოსილობაა ხვალისათვის, მეორე – სასოწარკვეთილია, შიშით სულ უკან იყურება და გუშინდელს, მშვიდობით გატარებულს დღეს ნატრულობს და არა სწამს ხვალე. ერთი – სულით და ხორცით ყოველდღე წარმატებაშია, თუმცა ღარიბი ბუნება ახვევია, მეორე – სულითაც და ხორცითაც დალევაშია, თუმცა მის გარე ბუნება უხვია და მდიდარი. რა არის

ამის მიზეზი? ის არის, რომ ბედნიერმა შოტლანდიელმა იცის „ჩემი აქ თავდებაო და სხვისა აქ იწყებაო", უბედურს სპარსელს კი არც თავისი გაეგება და არც სხვისა.

რაც სხვისაა, – ჩემი მოვალეობაა, რაც ჩემია, – ეგ ჩემი უფლებაა"[139].

როგორც ამ ვრცელი ამონარიდიდან ჩანს, ილია ამჯერადაც გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა იურიდიულ, სამართლებრივ ურთიერთობებსა და შესაბამის მართლშეგნებას. მასთან შედარებით, როგორც საქართველოსთან მიმართებაში, გეოგრაფიული ფაქტორის მნიშვნელობა მეორე პლანზეა გადაწეული. საერთოდაც, უნდა ითქვას, რომ ილია საგანგებოდ არ ამახვილებდა ყურადღებას ამ ფაქტორზე, ჩანს, იგი ნაკლებად უწევდა ანგარიშს გეოგრაფიულ დეტერმინიზმს.

თავის მხრივ სამართალი, ე. ი. „უფლება და მოვალეობა, რომელნიც არიან პირველნი და უკანასკნელნი საგანნი ურთიერთშორის განწყობილებისა (დამოკიდებულებებისა – გ. ყ.), დაიდგინება და განისაზღვრება მხოლოდ ხალხის კანონმდებლობის ძალითა და ნიჭითა. ამ მხრით, რასაკვირველია, საბუთი აქვსთ მათ, ვინ ამბობენ, რომ მომქმედთა კანონთა უვარგისობა, თუ სიკეთე, თითონ ხალხის ბრალიაო, იმიტომ რომ თავი და ბოლო კანონებისა თვით ხალხიაო"[140]. როგორც ვხედავთ, მოცემულ შემთხვევაში შარლ ლუი მონტესკიეს „კანონთა გონი" იგულისხმება, მაგრამ არც აქ და, რამდენადაც ვიცით, არც სხვაგან ილიას არ უჩვენებია თავისი მიმართება ამ მოძღვრებასთან[141].

ასე რომ, ილია შორს იდგა საზოგადოების განვითარების ისტორიის მონისტური გაგებისაგან, რომლის წარმომადგენლები იყვნენ ჰეგელი (მონიზმის იდეალისტური ფორმისა) და მარქსიზმის ფუძემდებელნი (მატერიალისტური მონიზმისა). იგი ისტორიული პლურალიზმის ფაქტორების მომხრე გახლდათ. მოვიტანთ ამ თვალსაზრისის დამადასტურებელ სხვა ფაქტებს.

სტატიაში „თერგ-დალეულნი და ახალი თაობა" (დაწერილია 1888 წელს) ვკითხულობთ: „როცა, მაგალითად, ახალს თაობაზე ელაპარაკობთ, განა მარტო ის ორი ძალა – წინანდელი თაობა და უცხო მწერლობა, უნდა ვიქონიოთ მხედველობაში? არა, ეს ყოველად შეუძლებელია, რადგანაც ცხოვრებაში სხვა მრავალი ძალა მოქმედობს, და დროზე არის დამოკიდებული ერთისა ან მეორის ზედმოქმედების სიღრმე და სიგანე. ეს სხვადასხვა ძალა ზოგჯერ თანაბარად მოქმედებენ და ერთი მეორეს ხელს უწყობს, ხან ერთი მეორეს ეწინააღმდეგება და გზაზედ ეღობება, და აი სად არის

მიზეზი ცხოვრების მოვლენათა რთულობისა (სირთულისა – **გ. ყ.**) და მრავალ-ნაირობისა. ავიღოთ, მაგალითად, რომელიმე კერძო ადამიანი, ან კრებული (საზოგადოება – **გ. ყ.**) ადამიანთა, საქმე, ჩავუკვირდეთ თვითოეულის ვითარებას და დავრწმუნდებით, რომ იმათს შექმნაში მოქმედობს მთელი საშინაო და საზოგადო (გარეისტორიული – **გ. ყ.**) ვითარება"[142].

„აი ისტორიაში" (დაიბეჭდა 1889 წელს) აღნიშნულია: „ცივილიზაცია, ანუ წარმატებულობა ადამიანისა მიზეზი-კი არ არის, არამედ შედეგია ყოველ იმ ძალ-ღონისა, რომელნიც ერთად კრებულად მოქმედობენ კაცობრიობაში საზოგადოდ და თვითოეულ ერში ცალკე. ამგვარს ძალ-ღონეს სოციალურ ძალ- ღონეს ეძახიან. ცოდნა, გონებრივი და ზნეობრივი აღმატებულობა, მრეწველობის სიმდიდრის მეტნაკლებობა,რწმუნება (верования) იმ საგნების მიმართ, რომელიც (!) ადამიანისათვის უდიდესად მისაჩნევია, მმართველობა, წეს-წყობილება ოჯახებური, საზოგადოებური, სამოქალაქო, კანონები, ჩვეულებანი, ზნე-ხასიათი და სხვა ამისთანა სულ ერთად და ერთს დროს მომქმედნი, ჰქმნიან იმას, რასაც რომელისამე დროის მდგომარეობას ერისას, თუ კაცობრიობისას, ეძახიან, ანუ ცივილიზაციას თავისის მეტ-ნაკლებობით"[143].

ზემოაღნიშნული გარემოება კარგად შეამჩნია არჩილ ჯორჯაძემ, რომელიც წერდა: „ასე რომ, როგორც ეხედავთ, სოციოლოგიურ კითხვების გადაწყვეტაში ჩვენი ავტორი (ილია – **გ. ყ.**) უფრთხის ცალ-მხრივ დოკტრინალურ მოძღვრებებს. იგი ერიდება ცალ-მხრივ მოძღვრების საშუალებით რთულ და მრავალშტოიან ისტორიულ ცხოვრების განმარტებას. ამისათვის, ავტორი უარ-ჰყოფს სოციოლოგიაში როგორც აბსოლიუტურ იდეალიზმს, ისე აბსოლიუტურ მატერიალიზმს. მისის აზრით, მრეწველობის, სიმდიდრის მეტ-ნაკლებულობა (ეკონომიური ურთიერთობა და მწარმოებელ ძალთა ვითარება) ოჯახურ, საზოგადოებრივ წეს-წყობილებასთან ერთად ჰქმნიან ისტორიას"[144].

ილია ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდა საზოგადოების განვითარებაში კლასობრივი ბრძოლის მნიშვნელობას (მოგეხსენებათ, ამის აღმოჩენა ეკუთვნით რესტავრაციის პერიოდის ფრანგ ისტორიკოსებს და არა მარქსიზმის კლასიკოსებს). თუმცა იგი აღიარებდა "კლასობრივ" დაპირისპირებულობას (ბრძოლას) დასავლეთ ევროპაში "ფეოდალობისა" (ფეოდალიზმის) და კაპიტალიზმის პირობებში, მაგრამ აბსოლუტურად გაურბოდა მის არსებობას (თუნდაც ჩანასახოვანი სახით) საქართველოს ისტო-

რიაში. მეტიც, ამგვარ ბრძოლას კაცობრიობის ისტორიაში თითქოს უარყოფითი შედეგიც მოჰქონდა: „უმთავრესი და, იქნება ერთადერთი გარემოება, რომლის წყალობითაც დაიღუპნენ და აღიგვნენ დედამიწის ზურგითგან მრავალი ძლიერნი და სახელოვანნი ერნი, – იყო უთანხმოება და განსხვავება წოდებათა შორის"[145]. ილიას, უნდა ვიგულისხმოთ, პირველ რიგში ძველი საბერძნეთისა და განსაკუთრებით რომის იმპერიის დაღუპვა ჰქონდა მხედველობაში. მაგრამ ეს საკითხის გაუბრალოებული გაგება გახლავთ.

სხვათა შორის, თითქოს ასეთივე შედეგს განაპირობებს ხალხის (ერის) თავისებური სოციალური ფსიქოლოგიაც: „...უქმად წარმავალი გარჯა ჩვენი, უქმად წარხდომილი მხნეობა და ცდა, ქანცს უწყვეტს გამრჯელს და მის მაყურებელ ერს ხომ გული უტყდება, თავის თავზე სასოება და იმედი ეკარგება, და აქედამ განა დიდი მანძილიღაა სრულიად განადგურებამდე"[146].

და პირიქით, საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი საფუძველი თითქოს შემდეგში მდგომარეობს: 'თუ ცხოვრება, როგორცა ვსთქვით, ჯანმრთელია, თუ მასში არის უკეთესობის ნდომა და განახლების ცხოველი იმედი, ეგ თვით დაერდომილის აღმადგინებელი იმედი – მისნი ძალანი, მისნი ძარღვნი მარად დაუძინარნი არიან. იგინი დაუღალავად, დაუყოვნებლივ მოქმედობენ, მოძრაობენ, წარმოებენ, როგორც ყოველიფერი, რასაც კი სიცოცხლე აქვს მინიჭებული. თუ გარედამ აბრკოლებენ, უშლიან იმათ მოძრაობასა, მაშინ ისინი მაინც კიდევ თავისას არ მოიშლიან, მიწაში დაიფლებიანიმ მიწის სიბნელეშიაც მოქმედობენ იმ დრომდე, ვიდრე დარი არ დაუდგებათ, რომ გარეთ მზის სინათლეზედ გამოვიდნენ და უფრო ფართოდ გაშალონ მოძრაობის ფრთები"[147]. თუ როგორ წარმოედგინა ილიას ამ ფაქტორის მოქმედება აზიისა და ევროპის განვითარებაში, ამის თაობაზე ცალკე პარაგრაფში გვაქვს საუბარი.

ილიასმცოდნეობაში აგრეთვე მცდარად არის განმარტებული ილიას შეხედულება ვითომდაც ხალხის (მისი ფართო მასების) გადამწყვეტ როლზე ისტორიაში. თითქოს ხალხში (ერში) იგი ძირითადად გულისხმობდა მასას (საშუალო ადამიანთა ერთობლიობას, კრებულს). მოცემული აზრის დასამტკიცებლად ამოდიოდნენ ილიას ცნობილი წერილიდან (დაწერილია 1872 წლის ივლისში) დავით ერისთავისადმი: „ეგ ოხერი ჩვენი ისტორია... მარტო ომებისა დამეფეების ისტორიაა, ერი არსადა ჩანს, მე კი ასეთის აგებულების ადამიანი ვარ, რომ მეფეების და ომების სახე არ მიზიდავს ხოლმე. საქმე ხალ-

ხია და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არა ჩანს"[148].

მაგრამ თუ საკითხს უფრო მეტად ჩავუღრმავდებით, მაშინ სხვა რამ გამოჩნდება. ჩვენი დიდი მოღვაწე ხალხში (ერში) გულისხმობდა უპირველესად საზოგადოების მოწინავე, შეგნებულ ნაწილს (დღეს რომ „სოციალური ელიტით" აღინიშნება). იგი წერდა: „მძლედ მობურთალნი ქვეყნიერობის მოედანზედ მარტო დიდ-ხასიათის კაცნი არიან. ქვეყნის ღერძს მარტო ის ატრიალებს, ვისაც მიჰმადლებია გულთა-სრულობა, დიდ-ხასიათობა, იმისდა მიუხედავად, – ტრიალი ემარჯვათ თუ ემარცხათ. ყოველივე დიდებული საქმე, რითაც კი კაცობრიობა ჰქადულობს და თავს იწონებს, ქმნილია ხასიათიან კაცთა მიერ და არა ვისმე სხვისაგან. ამიტომაც ხასიათიან კაცის წინაშე ყველა უნებლიეთ თავს იხრის მოწიწებით და სასოებითა; ამიტომაც ყველა, დიდი და პატარა, უკან მისტირის, როცა ამისთანა კაცი მიდის უკან დაუბრუნებლად და სამუდამოდ..."[149]

სხვა ადგილას იგი აღნიშნავდა: „უკეთესნი და უდიდესნი მომქმედნი ერისა ხომ სხვა არა არიან - რა, თუ არ ერის გულის-ნადების და წყურვილის გამომხატველნი და გამახორციელებელნი, რომელნიც ამის გამო თითქო შემოქმედობენ, თითქო ჰქმნიან ისტორიასა. ამიტომაც ეს ამისთანა მომქმედნი, ვამბობთ ჩვენ, დაუვიწყარნი უნდა იყვნენ, თუ ერს კიდევ ერობა ჰსურს და დედამიწის ზურგიდამ მტვერსავით ასაგველად არ გადაუდვია თავი. დავიწყება ამათი – საკუთარის ვინაობის დავიწყებაა და თუ კაცს თავისი ვინაობა არ ახსოვს, რიღას მაქნისია?"[150]; "...უკეთესთა და უდიდესთა მომქმედთა მეოხებით და ღვაწლით ვცხოვრობთ დღესა და ესულდგმულობთ"[151]; "...ყველგან და ყოველ საქმეში მრავალნი არიან წვეულ და მხოლოდ მცირედნი რჩეულ"[152]. „ღონე ქვეყნისა მარტო ნიჭიერი და მხნე კაცია" – წერდა ილია და იმეორებდა ხოლმე ვოლტერის სიტყვებს: „უფულობა და უქონლობა კი არა, ნიჭიერ და მხნე კაცთა უყოლობა ჰქმნის ერსა უღონოდაო"[153].

ილიას აზრით, მოწინავე, კრიტიკული აზროვნებაც უპირველესად სწორედ საზოგადოების მოწინავე, შეგნებულ ნაწილში ჩნდება. კერძოდ, მეფის რუსეთში „ამ არსებულის უარყოფამ წამოიწია იმ წრიდან, რომელსაც გონებით მცხოვრებ საზოგადოებას (ინტელიგენციას – **გ. ჯ.**) ეძახიან, რომელიც ყველგან და ყოველთვის ნუგეშია და იმედი ყოველის ერისა და რომელიც ცხოვრების წარმატების თავში პირველი ჩადგება ხოლმე"[154]. ამგვარ ადამიანთა დეფიციტს პირველ ყოვლისა საქართველო განიცდიდა.

ალექსანდრე როინაშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ილია წერდა: „არავის ენატრება ამისთანა სამაგალითო კაცნი, როგორც ქართველობას, რომელმაც მარტო წუწუნი იცის და არა საქმის აჩენა, საქმის გატანა, საქმისათვის ბრძოლა, ომი და ჭიდილი"[155].

რაკი მითუმეტეს სიტყვამ მოიტანა, აღვნიშნავთ იმასაც, რომ საზოგადოების განვითარებაში ილია სათანადო როლს მიაკუთვნებდა არსებობისათვის ბრძოლის ფაქტორსაც. იგი ამას პირდაპირ აღიარებდა: „სახელოვანის ინგლისის მეცნიერის – დარვინის მიერ ეჭვეგარეთ დაყენებული კანონი, რომელსაც „ბრძოლას არსებობისათვის" ეძახიან, სათავეა ყოველის მოძრაობისა, რასაც-კი დღეს ჩვენის თვალითა ვხედავთ სახელმწიფოთა შორის"[156]. შეგახსენებთ, რომ ამ დროისათვის სოციალური დარვინიზმი არ ყოფილა სოციოლოგიის ცალკე მიმართულებად ჩამოყალიბებული, ჩანს, აღნიშნულ გარემოებას ილია თვითონ ანდა ჰერბერტ სპენსერის მეშვეობით მიხვდა.

მოვიტანთ ამ აზრის დამადასტურებელ მაგალითებს: „...ყოველი აზრი, ყოველი საქმე, ცხოვრებისათვის ასე თუ ისე შესაწყნარებელი, იმავ არსებობისათვის ბრძოლის კანონს ექვემდებარება, როგორც სხვა ყოველი ამ ქვეყნიერობაზე, და ისე არ იჩენს თავს, რომ ან ყოფილს აზრს, ან საქმეს წინ არ შეეხალოს და ომი არ გადაუხადოს ადგილის დასაჭერად"[157]; „ცხოვრება ცალკე ადამიანისა, თუ მთელის ერისა, უფრო წყვა-ბლეჯის ბაზარია. დღეს ეგრეა მოწყობილი და რას იზამ?"[158]; „ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების ბურთი და მოედანი... „დაინარჩუნა იმან, ვინც უფრო მალე მიუხვდა დროთა ბრუნვას, დროთა ჭირ-ბოროტს, ვინც დროთა ძარღვს მარჯვედ მიაგნო და დროთა ღაღადს შეალია ძალ-ღონე არსებობისათვის ბრძოლაში"[159].

თუ საკითხს ისტორიული თვალსაზრისით განვიხილავთ, კერძოდ საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების შედეგად, კონკურენციის გამოისობით, ეს ბრძოლა კიდევ უფრო გამძაფრდა. ეტიუდში „უცნაური ამბავი" (დაწერილია 1893 წელს) ილია აღწერდა თავად ამირინდო დებედაძისა და მისი მეუღლე სალომეს ცხოვრებას. ნაწარმოებში ეკითხულობთ: „ცოლიცა და ქმარიც ძველ დროის ადამიანები იყვნენ, ცოტას კმარებაც იცოდნენ და ბევრითაც თავს არ გადიოდნენ (გამოიდებდნენ – **გ. ყ.**). ეხლანდელს წვა-დაგვას არსებობისათვის ჭიდილისას ჯერ კარის ზარი ამირინდოსი არ დაერეკა"[160]. მათ ეს მოახერხეს მსხვილი საკუთრების მიზეზითაც (ჯერჯერობით).

მერე და მერე კი „ეკონომიური ბუნება ქონებისა ის არის – უძრავი ქონებაა თუ მოძრავი, – რომ უხერხო (მოუხერხებელი, უნიათო – **გ. ყ.**) და უმცდელ (გამოუცდელ – **გ. ყ.**) კაცისაგან ხერ-

ხიან და მცდელ კაცის ხელში გადადის. ამ კანონს ეკონომიურ ბუნებისას წინ ვერავინ დაუდგება, როგორც საერთო, ბუნებურ კანონსა"[161].

კონკურენციამ, ბრძოლამ არსებობისათვის, ილიას შეხედულებით, განსაკუთრებულ დაძაბულობას მიაღწია სახელმწიფოთა შორის, რაც გამოიხატა ლაგამამოუდებელ კონკურენციაში სამხედრო სფეროში. მაგრამ ილია, ვითარცა განმანათლებელი (რასაკვირველია, მხოლოდ ასეთი არა!) მაინც ოპტიმისტურად იყო განწყობილი და აცხადებდა: „მე არ ვეჭვობ, რომ დრო მოვა და თავისუფლება და სამართალი... დაემჯობინება მთელ სპა-ლაშკარსა და წინაშე მათთა ხმას გაიკმენდს თოფი და ზარბაზანი"[162].

დიდად სამწუხაროდ, კერძოდ, ილიასეული ამ იდეალისაგან ჯერ კიდევ შორს ვიმყოფებით!

§ 5 ჰეგელიანელობის გავლენა მსოფლიო-ისტორიული პროცესის გაგებაში

„...პოეზია ღვთაებრივი ღონეა, გულის სიღრმიდამ ადამიანის გრძნობათა მარგალიტების ამომტანელი, მხატვარია ცხოველმყოფელი და ხორცთშემსხმელი უსხეულო აზრისა, ფიქრისა, გრძნობისა, ერთის სიტყვით ადამიანის და მსოფლიო სულის (გონის – **გ. ყ.**) მოძრაობისა. ეს მსოფლიო სული – ზღვაა უძირო, არამც თუ თვალ, ფიქრ-მიუწვდომელიცა. ამ ზღვისათვის კაცი გემია, ნიჭი – აფრა და მეცნიერება საჭე, გემის მმართველი, ადამიანი ამ ზღვაზედ სიარულს გამარჯვებით შესძლებს მხოლოდ მაშინ, როცა სწავლითა და ცოდნით განსწმენდია „თვალნი ზე ზეცისა და ქვეყნისა საიდუმლოთა მხედველად, ყურნი ზესკნელისა და ქვესკნელისა უცნაურ ხმათა მსმენელად", ხელნი ცისა და ქვეყნის მაჯისცემის შემტყობად და ენა ყოველ ამის აღმომთქმელად და მთარგმნელად".

ილია.

ილიას, როგორც განმანათლებელს, ღრმად სწამდა სოციალური პროგრესის იდეა. პარადოქსია, რომ მის მოწინააღმდეგეთ (ესდეკები) ამის დანახვა არა და არ სურდათ და მოგეხსენებათ, იგი ფეოდალიზმის მომხრედ წარმოედგინათ. თვითონ ილიას, ჩანს, ჰეგელის ზეგავლენით, პროცესი წარმოედგინა უპირველესად თავისუფლების სფეროში. იგი აღნიშნავდა: "რა არის მთელი

პროგრესი კაცობრიობისა, თუ არის, რომ ადამიანის პიროვნება, ადამიანის სინიდისი, ყოფა-ცხოვრება, – უსაბუთოდ, უსაფუძვლოდ, არავისგან ხელშეხებულ არ იყოს, არავისაგან შემწიკვლულ, შეგინებულ და შევიწროებულ"[163]; "ღრმად რომ ჩავუკვირდეთ თითონ საზოგადოების არსებობის საგანსა და მიზეზს, დავინახავთ, რომ იგი სხვა არა არის-რა გარდა იმისა, რომ ადამიანის 'მე" თავის ჯეროვანს ადგილას დასვას ისე, რომ მის ცალკე ბედნიერებას, ცალკე კეთილდღეობას, სიკეთეს არა აბრკოლებდეს-რა, მის სულსა და გულსა ფრთის გაშლას არა უშლიდეს-რა. თუ რომ სხვის ბედნიერებას არას ერჩის და არას უშავებს. მთელი პროგრესი კაცობრიობისა ამაზეა მიმართული, მთელს მოღვაწეობას კაცობრიობისას საგნად მარტო ესა აქვს და სხვა არა-რა"[164].

მოვიგონოთ პასაჟი თავისუფლებისადმი ოდიდან (პოემა "აჩრდილიდან"):

"შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა".

„კაკო ყაჩაღში" ვკითხულობთ:

"მართალია ძმაე, კაცს მოსწყინდება
ძუნწი ცხოვრება ეს დასაცინი,
მაგრამ იქ ყველა გვიადვილდება?
სადაც ჩვენვე ვართ ჩვენი ბატონი!"

თავისუფლების საკითხი, ილიას მიხედვით, დამოკიდებულია სახელმწიფოს ფორმებთან: "დროთა მიმავლობაში ზოგან საქმე ისე წარემართა, რომ სახელმწიფომ იმძლავრა და სრულიად დაიმორჩილა საზოგადოება საერთოდ და ადამიანი ცალკედ, ყველაფერი თითონ მიითალა და საზოგადოება და ადამიანი ცარიელზედ დასვა[165]. ზოგან საზოგადოებამ თვისი კუთვნილი უფლება შეირჩინა და არ დაუთმო სახელწიფოს, და ადამიანი კი ცალკედ თვის ყურმოჭრილ ყმად გაიხადა. ზოგან კიდევ, როგორც სახელმწიფოში საზოგადოებას, ისეც საზოგადოებაში ცალკე ადამიანს, ანუ უკეთ ვსთქვათ – ადამიანის პიროვნებას, თავისი საკუთარი უფლება შერჩა. უკეთესი განწყობილება (ურთიერთობა – გ. ყ.) ის არის, როცა თვითოეულს ამათგანს თავისი კუთვნილი ადგილი უჭირავს, საცა თვითოეული მათგანი ისეა მოთავსებული, რომ თავის სრული უფლება მიწყული აქვს... ამისთანა სახელმწიფოში

გარდა სახელმწიფოსი – თითონ საზოგადოებაც თვის მფარველობის ქვეშ აყენებს ადამიანის პიროვნების უფლებასა და ყოველს შემთხვევაში ესარჩლება და ექომაგება. თუ იგი ვისგანმე უსაბუთოდ გაუპატიურებულია (შეურაცხყოფილი – **გ. ყ.**) და ხელშეხებული"[166]. სხვა ადგილას ვკითხულობთ: "უწმინდაესი მოვალეობა საზოგადოებისა, ესე იგი (!) მთავრობისა, რომლის წყალობითაც ადამიანი ადამიანობს, იგია, რომ ადამიანის "მე"-ს დღემუდამ მფარველობდეს, უმიზეზოდ, უდანაშაულოდ შინ არავინ შეუსიოს და არვის გააქელვინოს; მის სულიერს და ნივთიერს კუთვნილებაზედ (საკუთრებაზე – **გ. ყ.**) მშვიდობით და სხვის ხელშეუხებლად ამფლობელოს და ამით, რამოდენად შესაძლოა, სრულ ბედნიერ ჰყოს. თითონ მიზეზი და საბუთი საზოგადოების არსებობისა მარტო ეგ მოვალეობაა და სხვა არა-რა"[167].

სახელმწიფოს როლის გარდა, ადამიანის თავისუფლების განვითარებაში თავს იჩენს სამართლის მნიშვნელობაც. ჩვენი დიდი წინაპარი წერდა: "(კაცთაშორისი ურთიერთობის ნორმების დადგენის შემდგომ) ...წინ ფეხის გადადგმა კანონისა თუკი ასრულდა და განხორციელდა, მოასწავებს განზე გადგმას ადამიანობის მიჯნებისას ამ წუთისოფელში და ერთი უმთავრესი საგანიც ეს არის ეგრეთწოდებულ პროგრესისა, სხვათა შორის"[168]; "...საზოგადოება, რომელსაც ჭკუა და გონება შერჩენია და ცნობიერება გაჰღვიძებია იმას კი არ უნდა სჯერდებოდეს ...ვინ ვის რას ემართლება, ვინ ვის რას ერჩის, ვინ ვისზე სამართლიანად ხელს იწვდის. განა კაცთა ადამიანური ცხოვრება, ისტორია, პროგრესი და სხვა რაიმე სიკეთე შესაძლებელია, თუ ყოველთ უწინარეს კაცთა ურთიერთობაში ისინი არ მოიკითხა, ამაების პასუხი არ იძია"[169].

მოტანილი აზრებიდან ჩანს, რომ ილია იცნობდა შარლ ლუი მონტესკიესა და ჰეგელის (კერძოდ, მისეული სახელმწიფო სამართლის ფილოსოფიის) შესაბამის იდეებს. ვხედავთ იმასაც, რომ დესპოტური სახელმწიფოს კრიტიკისას მას, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში ჰქონდა ცარისტული რუსეთი,როგორც ამ სახელმწიფოებრივი ტიპის განსახიერება[170] (ამ მიმართებით მისი ისტორიული მემკვიდრე საბჭოთა რუსეთი (საბჭოთა კავშირი) გახლდათ).

ფრიად ორიგინალურ მოსაზრებას გამოსთქვამს ილია ადამიანისა და საზოგადოების პროგრესულ განვითარებაზე, რაც, თავის მხრივ, მისი ქრისტიანული მრწამსიდან გამომდინარეობს: "ვით მამა ზეცისა იყავენ შენც სრული" – აი თავი და ბოლო ადამიანის ცხოვრებისა. ვის რა მანძილი გაუვლია, ცალკე ადამიანია თუ მთელი ერი, – ამ

სისრულის გზაზე, ვინ რამოდენად წინ წამდგარა, ვის რამოდენად აღფრთოვანებული აქვს სულთა-სწრაფვა ამ გზაზე დაუღალავად სიარულისათის, – აი საყაო, როგორც ცალკე ადამიანის ღირსებისა, ისეც მთელის ერისა"[171].

ჰეგელის ზეგავლენა იგრძნობა აგრეთვე მსოფლიო-ისტორიული პროცესის მსვლელობის გაგებაში. უპირატესად ეს იგრძნობა საზოგადოების განვითარებაში გეოგრაფიული გარემოს ანუ „გეოგრაფიული საფუძვლის" (ჰეგელი) გააზრებისას. როგორც ჰეგელის, ისე ილიას მიხედვითაც, საზოგადოების, ისტორიული პროცესის გაგებისას უწინარეს ყოვლისა აქედან უნდა ამოვდიოდეთ. განსხვავებული გეოგრაფიული პირობები სათანადო დაღს ასვამენ არა თუ სხვადასხვა ქვეყნების განვითარებას, არამედ თვით ცალკე ქვეყნის სპეციფიკასაც კი (მაგალითად, ბარისა და მთიანეთის განვითარებას). მაგრამ მთავარი გახლავთ „სულის", „გონის" ცოდნის პროცესი. იგი წერდა: „მთელი დიდება კაცობრიობისა ცოდნის საქმეა, მთელი იგი სიკეთე, რომლითაც სამართლიანად თავი მოსწონს კაცობრიობას, ნაღვაწევია ცოდნისა, იმ ცოდნისა, რომელიც ადამიანსა ჰშველის მთელი უეტეი ბუნება თვისდა საბედნიეროდ დაიმორჩილოს და იმსახუროს ხორცისათვის..."[172]. ამ ფაქტორის წყალობით არახელსაყრელ ბუნებაში (მაგალითად შოტლანდიისაში) უფრო მეტ განვითარებას აქვს ადგილი, ვიდრე ხელსაყრელში (მაგალითად გვიანდელი ხანის სპარსეთში).

საზოგადოების (კაცობრიობის) თავდაპირველ მდგომარეობას წარმოადგენდა პირველყოფილობა, რომლის თაობაზეც ილია გარკვეული იყო რიგი გამოჩენილი ეთნოლოგების ნაშრომების მიხედვით. განვითარების ამ ფაზის მთავარი მახასიათებელი გახლდათ საზოგადოებრივი საკუთრების დომინანტობა და სახელმწიფოს არარსებობა. ამის შემდგომ იწყება ნამდვილი ისტორიული ცხოვრება, რომელთაც განასახიერებენ ისტორიული ხალხები (საკუთრივ საქართველოში ამას ადგოკი ჰქონდაო ორი ათასი წლის წინათ). ილია წერდა: „როგორათაც მთელი კავკასია, აგრეთვე განსაკუთრებით ჩვენი საქართველო მეცნიერების მხრით დიდად შესანიშნავი მხარეა. რა დროებაც კი მსოფლიო ისტორიას
ახსოვს, ამ დროს განმავლობაში და აგრეთვე ადრეც, როდესაც ყველა ახალი განათლებული ქვეყნები დაბალ ხარისხზე მდგარან, ჩვენი მხარე მოძრაობაში ყოფილა, ისტორიულის ცხოვრებით უცხოვრია; ყველა ძველად განათლებულ ხალხებთან დამოკიდებულება და კავშირი ჰქონია"[173].

ილიასავე მიხედვით, ეს პროცესი ამასთანავე ცივილიზაციის სახით, დაიწყო აღმოსავლეთში, აზიაში. იგი წერდა: "აზია, რომელიც ერთს დროს მამამთავარი იყო ცივილიზაციისა, და რომელსაც დღესაც ევროპის მეცნიერნი ცივილიზაციის აკვანად ჰხადიან, დიდი ხანია ჩრდილშია მიმდგარი..."[174]; ამჯერად იგი "მოხუცი ქვეყანაა", "რომელიც ერთს დროს მთელის ქვეყნის ბედის წარმატების სათავეში ედგა, და ეხლა იმ ქვეყნის შვილობა, სად პირველ ფეხი აიდგა ცივილიზაციამ და საიდამაც მისი შუქი მთელს ცასაქვეშეთს პირველ მოეფინა, სამარცხვინოდ მიაჩნიათ უფრო, ვიდრე სასახელოდ. ეხლა აზიელობა უფრო საბიაბრუო სახელია, ვიდრე თავმოსაწონებელი"[175].

ილია სვამდა კითხვას: "რამ დაჰმართა ეს ამბავი აზიას? რამ დაუხუთა მუხლი მსვლელობისა და ერთს დროს წინამავალი ქვეყანა, ეხლა ასე უკან რამ დააყენა?"[176] მისეული პასუხი ასეთია: "იმან თუ რომ თავისი საკუთარი ძარღვები დააწყდა, თავისი საკუთარი საგზალი წინმსვლელობისათვის შემოაკლდა, თუ სხვა რამ მიზეზმა მოსჭრა სულიერი და ხორციელი (მატერიალური – **გ. ყ.**) მუხლი, - ამის გამოძიებას ჩვენ არ შევუდგებით. ეს-კი აშკარაა, რომ მისი წარმატება შესდგა, შეჩერდა, და აზია დღევანდელს დღეს ანგარიშში მოსატანი არ არის,როცა ქვეყნის წინმსვლელობაზე ლაპარაკობთ. ამასთან აზიის უბედურება ის იყო, რომ ეს შედგომა, შეჩერება, თითქო ვერ იგრძნო, ვერ იცნო, – პირიქით, რაცა ჰქონდა, სასულიერო თუ სახორციელო (მატერიალური – **გ. ყ.**), იმას დასჯერდა და თავმოწონებული შეჰხაროდა, თითქო იმაზე უკეთესი სხვა აღარა ეგულება-რაო ქვეყნიერობაზედ. ამით კმაყოფილმა თავი ცალკე შეიკეტა და გარედამ აღარ მიიკარა არც ამაყვავებელი შუქი მზისა, არც გამაცოცხლებელი სიო"[177]. კერძოდ, "ამ ყოფაში ჩავარდა ჩინეთი, მისი მიმყოლი იაპონია, რომელთაც არავინ აღარ მიიკარეს და ამისათვის მაგარი ზღუდე შემოავლეს თავის არემარეს. თითქოს ამ ტყუილს თავმოწონებასა და კმაყოფილებას მიეცა სპარსეთიცა, საცა სასულიერო წოდებამ მოსლემინებისამ (sic) შეჰკრა და შეჰბოჭა გონება და გული მთელის ერისა და თვალები აუბა იმდენად, რომ თავისზედ უკეთესს სხვას არავის ჰხადოდა"[178].

სხვაგან, უფრო ადრე, ილია წერდა: "რაც მამა-პაპას უქნია, ის ჩვენ უნდა ვქნათო, - ეგ ჩინეთის ფილოსოფია არის; თუ მაგას მიეყევით, ჩვენ ჩინებსავით შევსდგებით ერთ ალაგზედ და წინ ფეხს ვერ წავსდგამთ"[179].

სახელმწიფოს გაბატონებულ ფორმას აღმოსავლეთში, ილიას

შეხედულებით, წარმოადგენდა დესპოტია. ამაშიც ჰეგელიანური ტრადიცია იგრძნობა. რუსეთიც, მის მიხედვით, ამავე პოლიტიკურ საფუხურს განასახიერებდა. დასავლეთ ევროპაში კი ადგილი ჰქონდა „მონარქიულ წარმომადგენლობითი თუ რესპუბლიკის სახის" მთავრობას[180].

თავისებური სოციალური (ეთნიკური) ფსიქოლოგიის გარდა ილია გახაზავდა რელიგიის უდიდეს მნიშვნელობასაც კერძოდ მაჰმადიანურ სამყაროში: "იმისთანა საქმეში, როგორც რელიგიაა, სარწმუნოებაა, რჯულია, რასაკვირველია – ულემობას, სამღვდელოებას, მთავრობას – ბევრი რამ შეუძლიან, მაგრამ ყველაფერი კი არა. საქმე თითონ ერია, ნამეტნავად მაჰმადის მადიდებელი ერი, რომელიც ჩვეულია – სახელმწიფო წყობილება, პოლიტიკა, და ერთობ ყველაფერი ქვეყნიერობაზედ, მარტო სარწმუნოებას დაუმორჩილოს, ქვეშ დაიყენოს და ანაცვალოს"[181].

მსოფლიო-ისტორიული პროგრესის განმასახიერებლად იქცა ევროპა. ილია სპეციალურად არ შეჩერებულა ანტიკურ სამყაროზე, მისი მსჯელობის საგნად იქცა ახალი ევროპა: "ესეც უნდა მომხდარიყო. ისტორია და წარმატება იმისი-კი არ არის, ვინც მარტო თავის-თავის ავკარგიანობას შეჰხარის, ვინც მარტო დღეანდელობას – ავია თუ კარგი – ჰკმარობს, ვითარცა ხელშეუვალს რასმე ანდერძს მამა-პაპეულს, არამედ იმისია, ვინც მას არა ჰკმარობს – რაც დღეს არის, და ვისაც დღეანდელობა მარტო ხიდად მიუჩნევია ხვალისათვის და არა ბინად, საცა კაცმა თავი უნდა შეიკეტოს, როგორც საიმედო სადგურში, სამუდამოდ გულზე ხელ-დასაკრებად და მოსასვენებლად"[182]. აღნიშნული ფსიქოლოგიური სიტუაციისაგან განსხვავებით, "ისტორია და წარმატება – მარჯვესი, გამრჯესი, მხნესი და მერმისისათვის მებრძოლის კუთვნილია. ამისთანად აღმოჩნდა ევროპიელი, და ბურთიც და მოედანიც იმას დარჩა. იგია დღეს გამგებელი ქვეყნიერობისა, იგია დღეს ქვეყნის უღლის მწველი და იგივეა ქვეყნის სიკეთის მკრეფავი და პატრონიცა"[183]. სწორედ აქ აქვს ადგილი ახალ შემართებასა და მეცნიერების განვითარებას: "ამ მეცნიერებასა და მხნეობას, ამ ჭკუასა და ხელს ამოქმედებს დაუღალავი წყურვილი ხვალის უკეთესობისა და მწვავი უკმარობა დღეანდელობისა. ამ ორ გრძნობათაგან წარმოსდგება ...ძლევამოსილი წინმსვლელობა, ...დიადი წარმატება"[184].

ევროპასთან ზემოქმედების შედეგად აზიაში დაიწყო მნიშვნელოვანი ცვლილებები: ცნობიერების გარდაქმნა, საკუთრების

უფლებისადმი პატივისცემა (ხელისუფლების მხრივ), ახალი კანონების შემუშაევებისადმი და საერთოდ რეფორმებისადმი მისწრაფება. ასე ხდებაო ჩინეთში, იაპონიაში. იმოწმებდა რა რუსი კორესპონდენტის აზრს, ილია აღნიშნავდა: "დღეს სპარსეთში იქაური სასულიერო წოდება, რომელიც აქამომდე მარტო გუნდრუკს უკმევდა ყველაფერს სპარსულს და უკადრისად იხსენიებდა სხვას ყოველს, რაც სპარსული არ იყო, ცოტად თითონაც გამოფხიზლდა და დაინახა, რომ თუმცა ევროპა ურჯულო ქვეყანაა, მაგრამ იქ ბევრი იმისთანა წესი და რიგია, რომელსაც კაცმა ცხვირის მაღლა აწევით გვერდს არ უნდა გაუაროს, პირიქით, უნდა დინჯის თვალით დაუკვირდეს და აწონ-დაწონვით მოსჩხრიკოს, - რა არის იქიდამ კარგი მისაღები და შემოსატანი და რა არის უარსაყოფელი და განსადევნი"[185].

როგორც ვხედავთ, ისტორიის აღმავალი განვითრების თაობაზე მსჯელობისას ილია ჰეგელის შეხედულებათა გამეორების გარდა გახაზავდა სოციალური – (ეთნიკური) ფსიქოლოგიის გადამწყვეტ მნიშვნელობას კერძოდ აზიისა და ევროპის ისტორიულ პროცესებში. მაგრამ ამ აზრის კომენტირება აქ ზედმეტად მიგვაჩნია.

აღნიშნული არ ნიშნავს, რომ ილიას მიხედვით ყოველი მოვლენა საზოგადოების, ისტორიის განვითარებაში „გონივრული", ე. ი. მთლად მისასალმებელი, მოსაწონი იყო (როგორც ცნობილია, ჰეგელის მსგავსი თეზისი ამგვარად გაიგო ცნობილმა რუსმა კრიტიკოსმა, ილიას მიერ დიდად დაფასებულმა ბესარიონ ბელინსკიმ, რითაც უკანასკნელი ცხოვრებისეულ ჩიხში აღმოჩნდა). ჩვენი დიდი წინაპარი ამჩნევდა ისტორიის ზიგზაგებს, უკეთურობებს. მაგალითად, 1887 წელს სტატიაში „ყალბი და ნამდვილი" იგი წერდა: „ლოღიკა თითქო ბაჟს ემალებაო, სადღაც გაექცა, სადღაც დაეკარგა ადამიანსა. ღრმად დაკვირვება არ არის საჭირო, კაცმა დაინახოს, რომ ადამიანის ჭკუას რაღაც გაუტყდა, ბუნებური მართულები მოეშალა, რაღაც სალტე ან მოჰშვებია, ან უფრო მეტად წასჭერია, რაღაც სოლი ამოვარდნია და ძირით თხემამდე თავი და ბოლო დაჰბნეევია. კაცს ეხლანდელ დროში ვერა გაუგია რა, ვერა გამოურკვევია-რა. ხედვით ერთსა ხედავს, სმენით სულ სხვა ესმის. არის ერთი არეულობა"[186]. აქ ლაპარაკია 1880-იანი წლების ინგლისზე. მსგავს ვითარებაზე საქართველოში რომ შეიქმნა 1888 წელს სანდალას (ზაქარია ჭიჭინაძის) წიგნაკის გამოსვლასთან დაკავშირებით და მასზე ილიას რეაქციაზე, ჩვენ უკვე ვლაპარაკობდით. იგივეს ვიტყოდით ქართველი ესდეკების, განსაკუთრებით ნოე ჟორდანიას საქართველოსათვის არაადეკვატურ შეხედულებებზე, 1905 – 1907 წლების მრავალ

მოელენაზე. ამდენად აღმოჩნდა, რომ ისტორიული პროცესი ბევრად უფრო რთული, ზიგზაგისებური ხასიათისა ყოფილა და არა სწორხაზოვანი.

§ 6 ისტორიული პიროვნების როლის გაგება

აღნიშნულ პრობლემას ილია პირველად შეეხო ლექსში „პოეტი" (დაწერილია 1860 წელს). მასში ლაპარაკია პოეტის უდიდეს დანიშნულებაზე, რაც არა მხოლოდ საკუთრივ პოეტურ შემოქმედებაში გამოიხატება:

„არა მარტო ტკბილ ხმათათვის
გამომგზავნა ქვეყნად ცამა"[17].

არამედ საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური როლითაც. ცხადია, კიდევ უფრო მეტის აღსრულება უწევს დაჩაგრული, დამონებული სამშობლოს შვილ პოეტს:

„რომ ერისა მოძმედ ვიყო,
ჭმუნვასა და სიხარულში";
„ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,
მეწოდეს მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით
დამედაგოს მტკიცე გული".

მეტიც, ამ შემთხვევაში პოეტს ერის მეთაურობის მისიაც კი ეკისრება:

„მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის,
მიწიერი ზეციერსა:
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,
რომ წარვუძღვე წინა ერსა".

მხოლოდ ამ სარბიელზე წარმატებისას თუ აქვს პოეტს უფლება განაცხადოს: „მოვსწმენდ ერსაც ტანჯვის ცრემლსა!"

მაგრამ მოტანილ სტრიქონებში ჯერჯერობით არ ჩანს, თუ რა გარემოებანია კიდევ საჭირო, რომ პოეტმა ასეთი დიდი მისია აღასრულოს.

დასმულ კითხვაზე პასუხს ვპოულობთ პოემა „აჩრდილში" (ვიმეორებთ, დაიწერა 1859 წელს, საბოლოო ვარიანტი შემუშავებულ

იქნა 1872 წელს). აჩრდილი ქართველებს ასე მიმართავს:

„მაგრამ, ქართველნო, სად არის გმირი,
რომელსაც ვეძებ, რომლისთვისაც ვსტირი?
იგი აღარ გყავთ... მის მოედანი
ჯაგით აღესილა, ვერანად ქმნილა,
გმირის დამბადი დიდი საგანი
თქვენში სპობილა და წაწყმედილა.
გადასდგომიხართ თქვენ ქართველობას,
დაგინგრევიათ დიდი მამული, –
რაღა დაპბადავს თქვენში დიდს გრძნობას?
რითი აღტკინდეს ქველისთვის გული?";
„რომ მისი ტრფობა თქვენში შემწყდარა;
რომ დაგიგდიათ უმწედ, უნუგეშ,
თქვენის სიავით დაწყლულებულა,
თქვენგან გმობილი, – უცხოს კალთის ქვეშ,
ვითა ობოლი, შეფარებულა"[188].

ილიას თქმით, საქართველოს ამგვარ უმწეო მდგომარეობაში გამოჩენილი ისტორიული პიროვნების გამოჩენა გამორიცხული უნდა ყოფილიყო.

ამდენად, საქმე მთლად ისე არაა, როგორც ილიასეულ ცნობილ ლექსშია ("პოეტი"):

"მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის,
მიწიერი ზეციერსა;
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,
რომ წარვუძღვე წინა ერსა".

პასუხი კიდევ უფრო დამაჯერებელია სტატიაში „საქართველოს მოამბეზედ" (დაწერილია 1862 წელს), ჯერ სათანადო ისტორიული სიტუაცია უნდა შეიქმნას, აქედან გამომდინარე, ხალხის მასამ უნდა იგრძნოს სიახლის, გარდაქმნის საჭიროება. მაგრამ ერთია ასეთი გრძნობა, ხოლო მეორე - ისტორიული გამოწვევის გაცხადება. ეს კი ხელეწიფება მხოლოდ გენიოსს: „მარტო გენიოსის მკერდი თუ გააპობს და შემუსრავს მას (ცხოვრების ტალღას – **გ. ყ.**), თორემ სხვისთვის ძნელია. შორმხედველობა, დროებაზედ უფლობა მარტო გენიოსის საქმეა. ის თავის თამამს სვლაში შემოიბღერტავს ხოლმე დროების მტვერსა, ... გულ-უშიშრად მიდის წინ, როგორც ბელადი წინ მიუძღვის ხალხსა და უნათებს თავის ჭკუის სხივებით გზასა"[189].

მაგრამ ილია კვლავდაკელავ გახაზავს: „ნურავინ ნუ იფიქრებს, რომ ჩვენ ამითი ვამბობდეთ, ვითომც გენიოსი ციდამ იყოს ჩამოსული. ისიც ისეთივე ნაყოფია თავის დროებისა, როგორც სხვანი, მხოლოდ ეგ ნაყოფი სრულია, დამწიფებულია. ის თავის ძლიერ მხრებით ამოიტანს, ამოზიდავს ხოლმე მას, რაც თითონ ცხოვრებაშია, ე. ი. ცხოვრების შიგ-მდებარებასა (შინაარსს – **გ. ყ.**); მასში არის მთელი აწმყო თავის დროებისა და თესლიც მომავალისა. არც ერთი გენიოსი ჩვენ ახალს არას გვეტყვის, ის მხოლოდ გვიხსნის მას, რაც თითონ ცხოვრებას ამოურიყავს თავის მდინარეობაში, რაც თავის დაუდგრომელ დულილში ამოუგდია ზედაპირზედა"[190]. აქედან გამომდინარე, ამიტომაც „ხანდისხან ამას უფრო იქნება დაეტყოს თავისი დროების ნიშანი ყველაფრისა: ცუდისა, თუ კარგისა..."[191].

ამდენად, გენიოსი, პოტენციურად დიდი ისტორიული პიროვნება მანამდეც შეიძლება იყოს, ვიდრე სათანადო ისტორიული სიტუაცია მომწიფდებოდეს: „თუ აქამდინ არ გამოჩნდა იგი, იმიტომ, რომ იმისი ძლიერი სულის შესაფერი საქმე არსად იყო; გამოჩნდა თუ არა საქმე, იმანაც გაშალა თვისი ძლიერი ფრთა და როგორც მზე გამობრწყინდა ცხოვრების გასანათებლად. ეს გოლიათი გონიერებისა თავისის ძლიერის მკლავით გადასწვდება მთელს ცხოვრების ნამუშავარსა; შემოაგროვებს ერთად, რაც ცხოვრებას გამოუჩენია; თავის გამჭრიახ თვალით თავიდამ ბოლომდინ განსჯვრიტავს, გაანათლებს იმ შემოგროვილსა, და ყოველს ცხოვრების კითხვას მისცემს შესაფერს პასუხს, ყოველ ფაქტსა, – ჭეშმარიტ მნიშვნელობას, ყოველს მიმართულებას – კუთვნილს გზასა და ღონისძიებასა, – ერთის სიტყვით, ახსნის, ცნობაში მოიყვანს მას, რაც ჩვენ შორისვე იყო და არ გვესმოდა. მაშინ იგი გამოანგრევს ძველის საძირკველსა და, ახალის საძირკველში რაკი ქვას დაამკვიდრებს, მიანებებს საქმეს უმცროსთა მუშაკთა"[192].

ჩვენთვის საინტერესო საკითხს ილია ეხება აგრეთვე სტატიაში „დავით აღმაშენებელი" (დაიწერა 1888 წელს). მასში ვკითხულობთ: „რამოდენაც დიდ-ბუნებოვანება (დიდი ისტორიული პიროვნებანი – **გ. ყ.**) ხშირია რომელისამე ერის ისტორიაში, იმოდენად უფრო უტყუარი საწყაო გვაქვს ხელთ ერის სიკეთის, ძალ-ღონის და შემძლებლობის აწყვისათვის"[193]. ცხადია, ესენი ციდან კი არ მოდიან, არამედ ნაყოფი გახლავთ შესაბამისი ისტორიული სიტუაციებისა. თავის მხრივ აღნიშნული გარემოება ისტორიულ ოპტიმიზმს ჰბადებს: „თუ გუშინ იყვნენ ჩემის სისხლისა და ხორცის დიდებულნი და სახელოვანნი კაცნი, რა მიზეზია, რომ ხვალაც არ გამოჩნდნენ",

თუ, რასაკვირველია, „გარემოებების იგივეობას ვიგულისხმებთ"[194].

ვაჯამებთ რა ყოველივე ზემოთქმულს, დავასკვნით, რომ ისტორიული პიროვნების გაგების საკითხში ილიას სწორი, საფუძვლიანი აზრი გააჩნდა და უნდა ვიფიქროთ, ესეც მას ჰეგელის მოძღვრებიდან ჰქონდა ათვისებული.

მაგრამ თითქოს ზემოთქმულის საწინააღმდეგო შეხედულებას ვხედებით ილიას მიერ 1883 წელს დაწერილ ლექსში „ბაზალეთის ტბა". აქ, როგორც ვიცით, გალექსილია მშვენიერი ხალხური ლეგენდა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ტბის ფსკერზე მდგარ აკვანში წევს ყრმა; მის გარშემო „უცხო" წალკოტი და მარადიული გაზაფხულია, ყრმას სირინოზნი უგალობენ. აკვანი თვითონ თამარ მეფეს ჩაუდგამს, ხოლო ტბა, ერის მიერ დაღვრილი ცრემლებით შექმნილა. ლექსში გამოთქმულია იმედი:

„იქნებ, აკვანში ის ყრმა წევს,
ვისიც არ ითქმის სახელი,
ვისაც დღე-და-ღამ ჰნატრულობს
ჩუმის ნატვრითა ქართველი?"

ეს მხოლოდ პოეტური ფანტაზიაა; ამ შემთხვევაში ლაპარაკობს გული, ემოციები და არა გონება, რაციონალიზმი. იგივე ითქმის ავტორის შენატვრაზე მათს მიმართ, ვინც პირველი ამოიღებს იმ აკვანს, ვინც ყრმას ძუძუს აწოვებს.

ილიასდროინდელ ქართველობას არ ესაჭიროებოდა სანატრელი ისტორიული პიროვნება, ვისაც ხელეწიფებოდა საქართველოს განთავისუფლება რუსეთის იმპერიისაგან. ცხადია, ასეთი პიროვნება პოტენციურად გახლდათ ილია. მაგრამ მხოლოდ ეს წინაპირობა როდი აღმოჩნდა საკმარისი, რაც კარგად გამოჩნდა კერძოდ 1905 – 1907 წლების რუსეთის რევოლუციის დროს, როდესაც ჩვენმა დიდმა წინაპარმა უდიდესი ძალისხმევა გამოიჩინა თავისი და სხვა მოწინავე ქართველების სანუკვარი ოცნების ხორცშესასხმელად. ასეთი წინა-

პირობები შეიქმნა შემდგომ, 1917 – 1918 წლებში. რაკი სათანადო ისტორიული სიტუაცია წარმოიქმნა, ჩვენი ეროვნული იდეალი აღსრულდა სრულიადაც არა ილიას მასშტაბის ისტორიული პიროვნებების მიერ.

§ 7 მიმართება "სოციალობის" (სოციალიზმის) მოძღვრებასთან

ილიას დაკრძალვისას ცნობილი პუბლიცისტი იაკობ ფანცხავა („ფხა"), მოკლედ მიმოიხილავდა რა ილიას პოეზიას, დასძენდა: „როგორც ვხედავთ, აქ ყველა მოტივი სოციალიზმის „მოძღვრებისაა და ეს „კაცთა სიკეთის მხურვალე რწმენა", რომელიც ილიას „ჭირში და ლხინში წინ მიუძღოდა", შემთხვევითი და ზერელე რწმენა კი არ იყო, არამედ ღრმა და მუდმივი"[195]

ორატორი, ვიმეორებთ, ამას, ცხადია, ზერელედ, ჰაიჰარად კი არ ამბობდა, არამედ განსაკუთრებით „აჩრდილიდან" და პარიზის კომუნის დაცემისადმი მიძღვნილი ილიასეული ლექსიდან გამომდინარე. ქართველ ესდეკებს მსგავსი აზრის გაგონებაც კი არ სურდათ, მათ მიერ ილიაზე შექმნილი ერთ-ერთი მყარი უარყოფითი სტერეოტიპი ხომ ამას აბსოლუტურად გამორიცხავდა.

შემდგომში, საბჭოთა საქართველოში ფილიპე მახარაძისა და მისი „ლიტერატურული ამქრის" პარპაშის დროს, ვახტანგ კოტეტიშვილი და სხვანი შეეცადნენ კელავაც წამოეწიათ ეს თემა, რასაც მოწინააღმდეგეები ამჯერადაც სრული იგნორირებით ანდა ხითხითით ხვდებოდნენ. მათთვის შესაბამისი ფაქტები არაფერს, აბსოლუტურად არაფერს არ ნიშნავდა და ჰეგელისა არ იყოს (მხოლოდ განსაზღვრული პირობებისას), ალბათ თელიდნენ, რომ მით უარესი ფაქტებისათვისო.

არადა, საკითხი ფრიად სერიოზული გახლავთ და საბჭოურმა დოგმატურმა აზროვნებამ მისი სერიოზული განხილვა ვერ შესძლო. აშკარაა, რომ ახალგაზრდა ილია გამოდიოდა ქრისტიანული სოციალიზმის მოძღვრებიდან, რაც სათავეს იღებს შესაბამისი რელიგიის სათავეებიდან.

ილია საზოგადოების ჩაგრულ ფენებს „აჩრდილში" ასე მიმართავდა:

„შრომისა შვილო, მძიმე უღელი
ქვეყნის ცოდვისა შენ გაწევს კისრად,
თუმცა ტვირთმძიმეთ შემწყნარებელი
შენის დახსნისთვის ჯვარს ეცვა ქვეყნად;
თუმცა ქვეყანას მისი მოძღვრება
დღეს მარტო სიტყვით უქმით ჰრწმენია,
მაგრამ ცხადად ჰხმობს მის წმინდა მცნება,
რომ მყოობადი მარტო შენია.

შრომა, აწ ქვეყნად ტყვედა პყრობილი,
მძარცველობის ქვეშ ჩაგრულ-ვნებულა,
ხოლო რღვეულა მისი ბორკილი
და დასამსხვრევად გამზადებულა".

ილიას შეხედულებით, ისტორია „ფერხდებოდა" და ქრისტიანული იდეალი (თავისებურად გაგებული სოციალიზმი) ვერ ხორციელდებოდა. კიდევ მეტი, ამ მცნებას ვერ აცნობიერებდა და ცხადია, ვერ აღასრულებდა თვით სამღვდელოებაც კი:

„აგერა მღვდელნიც – ერთა მამანი –
რომელთ ქრისტესგან ვალად სდებიათ
ამა ერისა სულის აღზრდანი,
რა-რიგ გულ-ხელი დაუკრებიათ!
სად არის სიტყვა დიდი სწავლისა,
სიყვარულის და სამართალისა,
რომ მათ ბაგეთგან არ მომდინარებს
და ერს დაცემულს არ აღამაღლებს?
სად არის იგი მღაღადებელი
ქვეყნის ხსნისათვის ჭეშმარიტება?
სად არის იგი ბიწის მდევნელი
ჯვარცმულის ღმერთის მაღალი მცნება?"

მაგრამ, ილიას შეხედულებით, ისტორიის დღის წესრიგში კვლავ დგება ქრისტიანული სოციალიზმის განხორციელების საკითხი და ამის აუცილებლობის შეგნება ფართოდ ვრცელდება:

„ალღო აიღო ქვეყანამ ძველმა,
რომ დღე-და-დღე მის წყობა ირღვევა,
და ამ ზვიადმა საუკუნემა
უნდა შვას იგი შრომის სუფევა".

მსგავს შეგნებას თან მოსდევს შესაბამისი პრაქტიკულის ქმედებაც:

„შრომისა ახსნა – ეგ არის ტვირთი
ძლევამოსილის ამ საუკუნის,
კაცთა ღელვისა დიადი ზვირთი
მაგ ახსნისათვის მედგარად იბრძვის".

ამის შედეგად:

„ვეღარ განუძლებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ქროლას,
ვეღარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი
ჭეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას, -
და დაიმსხვრევა იგი ბორკილი
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,
და ახალ ნერგზედ ახლად 'შობილი
ესე ქვეყანა კვლავ აღყვავდების";
„შრომის სუფევა მოვა მაშინა
ჭეშმარიტების მის ძლიერებით
და განმტკიცდება სოფელსა შინა
კაცთმოყვარების სახიერებით.
ყველასთვის იქმნეს იგი სუფევა
თანასწორადა ნიჭთა მფენელი;
მის მადლით წარწყმდეს ძარცვა და რბევა
და ერთგან სძოვდეს ცხვარი და მგელი.
მაშინ უქმ სიტყვად არ იქნებიან
ძმობა, ერთობა, თავისუფლება,
ეკლის გვირგვინით აღარ იულიან
კაცთმოყვარება და სათნოება".

პოემაში კიდევ უფრო დაკონკრეტებულია ასეთი მომავალი, განსაკუთრებით მშრომელი ხალხისათვის:

„მაშინ, მაშვრალო, შენც განკაცდები,
წართმეულთ ნიჭთა კვლავ მოიპოვებ,
სხვას ძირს არ დასწვევ, თვით ამაღლდები,
არც ვის ემონვი და არც იმონებ.
მაშინ ეგე ხმა შენის სიმღერის,
დაბლად ღულუნი დაღონებული,
მღერა, ვით კვნესა, საწყალი მეხრის,
შორი ხმა მწყემსის დაობლებული, –
მხიარულ ხმებად გარდაგეცვლების
და შენს გუთანზედ გულით ლმობილი
იტყვი სიმღერას თავისუფლების.
ეგ სიმღერაა ვით ლოცვა ტკბილი!..
მინდორნი, ტყენი, ნახნავნი, ველნი
შენის ლხენითა განიხარებენ,
შენგან შემკულნი იგი ყოველნი
შენს ტკბილს სიმღერას ბანს გამოსცემენ".

ილიას მიერ „აჩრდილის" თავდაპირველი ვრიანტი, როგორც ცნობილია, დაიწერა 1859 წელს. თორმეტი წლის შემდეგ არის დაწერილი ილიასეული ლექსი „1871 წელი 23 მაისი (კომუნის დაცემის დღე)". მაგრამ ილიას მიხედვით, თავისებური ქრისტიანული რევოლუცია კვლავ დამარცხდა, შესაბამისი იდეალი კვლავ განუხორციელებელი აღმოჩნდა:

„ტვირთმძიმეთ და მაშვრალთ მხსნელი
დიდი დროშა დაიშალა...";
„კვლავ ქვეყნისა მჩაგრავ ძალამ
იგი დროშა დასცა დაბლა";
„კვლავ ქვეყნისთვის დაიღვარა
წმინდა სისხლი წამებულის,
კვლავ დამარცხდა დიდი საქმე
ყოვლად მხსნელის სიყვარულის"[196].

იგივე მოტივია განმეორებული ილიასეულ „პასუხის პასუხში" (დაწერილია 1872 წლის 28 იანვრს):

„ხოლო გეწამს ღმერთი,
უქმთა წარმწყმედი,
ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა მხსნელი,
ღმერთი ტანჯულთა,
ღმერთი ჩაგრულთა,
ღმერთი უძლურთა შემწყნარებელი;
ყოველთა ძმობის,
თანასწორობის
მოძღვრობისათვის ქვეყნად ჯვარცმული,
ძლიერთ დამბმელი,
უძლურთ ამხსნელი,
თქვენებრ კაცთაგან გმობილ-დევნული;
ორგულობისა,
ორპირობისა
ძირსა დამღები და დამთრგუნველი,
ფარისეველთა,
სადუკეველთა,
გამაკიცხველი და გამდევნელი.
მან კუბოს მართულს,
შიგ სიმყრალით სრულს,
თქვენებრი კაცი არ დაადარა?!
ზაკეით სავსენო,

ავმორწმუნენო,
ის თქვენ სიტყვით გწამთ და საქმით არა".

ჩანს, ილია მსგავსი იდეალის აღსრულების მცდელობად თვლიდა ფრანგების შთამბეჭდავ ისტორიულ შემოქმედებას – საფრანგეთის დიდ რევოლუციასაც (1789 – 1794 წლები), რომელიც აღნიშნული თვალსაზრისით მარცხით დასრულდა.

ილია წერდა: "ამ რევოლუციამ წამოაყენა მესამე წოდება "ბურჟუაზია", რომელმაც მიწათმფლობელობას ჩამოაცალა უპირატესობა სახელმწიფო წყობაში, და მის მაგიერად დაადგინა მფლობელობა მოძრავის ქონებისა.

ამ ბურჟუაზიამ კიდევ ისე წარმართა საზოგადო და სახელმწიფო საქმე, რომ ეჩოსავით სულ თავისკენ მოითალა და ის კი, რამაც საკუთრივ შეჰქმნა იგი მოძრავი სიმდიდრე, წრეს გარეთ დარჩა. ის წრეს გარეთ დარჩომილი შრომა არის და მისი წარმომადგენელი კიდევ მუშაკაცია"[197].

ასევე განმეორდა გერმანიაში: "წყობა დღევანდელის დღისა, წარმომდგარი 1848 წლის რევოლუციისაგან, ეგრეთწოდებული 'ბურჟუათა" წყობაა. ეს მესამე წოდებად ცნობილი ნაწილი ერისა, რომელიც დღეს განაგებს თითქმის ყველგან შინაურ, თუ საგარეო საქმეებს სახელმწიფოებისას; მოძრავის თავნისა (კაპიტალის – **გ. ყ.**) და შეძლების პატრონების ნაწილია"[198]; მართლაც, "საცა კი მიიხედავთ, ყველგან ეგენი არიან: ქვეყნის გამგებლობას იკითხავთ – ეგენი არიან, კანონმდებლობას, მრეწველობას, ვაჭრობას, – სულ ყველგან ეგენი არიან ობსავით მოკიდებულნი, და რაც საიდან გამორჩომაა – არავითარს შემთხვევას არ ჰკარგავენ, რომ არ გამორჩნენ"[199]. აქედან გამომდინარე, "რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ბევრნი გულნაკლულად რჩებიან. აი ეს გულნაკლულნი, რომელსაც მეოთხე წოდებას ეძახიან, მუშა ხალხია, რიცხვით მრავალი, და იგი შეადგენს დღეს სოციალობის (სოციალიზმის – **გ. ყ.**) რაზმსა და დღევანდელს სატკივარსაც გერმანიისას". ცხადია, იგივე იგულისხმებოდა ევროპის დანარჩენი განვითარებული ქვეყნების მიმართაც.

რაკი სიტყვამ მოიტანა გერმანიის მაგალითი, შევჩერდებით ბისმარკის მიერ წამოწყებულ ე. წ. სახელმწიფო სოციალიზმზე. ილია წერდა: „ბისმარკი არაფერს არ ერიდება, რომ სოციალიზმს გერმანიაში აბრუ გაუტეხოს. ეერც მოძღვრება სოციალობისა შეუწყნარებია და ვერც უარ-უყვია'"[200]. ამ მიზნით, „ჯერ დაიწყო იქიდამ, რომ რკინისგზები რათ უნდა იყოსო კერძო კაცთა ხელში; მიჰყო ხელი რკინისგზების

გამოხსნას კერძო კაცთაგან სახელმწიფოდ; თამბაქოს კეთების, მზადების და აღებ-მიცემობის საქმე სახელმწიფოსათვის უფრო უპრიანიაო, ვიდრე კერძო კაცთათვის და შემოიღო თამბაქოს მონოპოლია, და დღეს ხომ არაყის მონოპოლიაც შემოაქვს სახელმწიფოს სასარგებლოდ; სახელმწიფომ თვით უნდა ჰხადოს, გადაწმინდოს და ჰყიდოს არაყი"[201]. ამით ბისმარკი „ორს კი არა, სამ კურდღელს იჭერსო": ავიწროებს ბურჟუაზიას, რომლის დაცვაც მისი უმთავრესი ინტერესია, ცდილობს მუშათა კლასის გული მოიგოს და ყოველივე ამით სახელმწიფო უფრო გააძლიეროსო[202]. საინტერესოა აღინიშნოს, რომ დიდი პოლიტიკოსის ამგვარი მცდელობის „ანკესზე წამოეგო" თვითონ სოციალისტი ფერდინანდ ლასალიც კი. მაგრამ, რასაკვირველია, ილიას მახვილ გონებას საქმის არსი არ გამოჰპარვია.

ფრანგმა მუშებმა ამჯერადაც გაიმეორესო "თავისუფლების, თანასწორობისა და ძმობის" განხორციელების მცდელობა:

„კვლავ ეწამა მოყვასთათვის
საოცარი იგი ერი,
კვლავ დაიდგა დიდ წამების
მან გვირგვინი მშვენიერი".

ასე რომ, ილიას აზრით:

„კვლავ შეფერხდა ისტორია,
განახლების შესდგნენ ძალნი,
და კვლავ დღესასწაულობენ
გამარჯვებულნი მტარვალნი".

რასაკვირველია, ილიასეული სოციალიზმის იდეალსა და მარქსისტულს (ე. წ. მეცნიერულ კომუნიზმს) შორის დიდი განსხვავებულობაა. მშრომელი მასიდან ილია, როგორც ვიცით, ძირითადად გამოჰყოფდა გლეხკაცობას. ისე, მუშის ცხოვრების თემას იგი შეეხო 1860 წელს დაწერილ ლექსში „მუშა". თუმცა იგი შეთხზულია პავლოვსკში (პეტერბურგის შემოგარენში), მაგრამ მასში თბილისური რეალიებია ასახული. პოეტი დაბეჩავებულ ადამიანს დიდი თანაგრძნობით მიმართავს:

„შენს სიცოცხლესა დააღამებ ესრეთს შრომაში,
კაცი კაცურად ვერ იცხოვრებ ვერც ერთსა დღესა...
მერე, ვინ იცის, რომელ ქოხში, რომელ სარდაფში

დაუწყებ ბრძოლას სასიკვდილოთ მოსულსა სენსა...
ეგრეთ უბრალოდ გაფუჭდები, – და ჩვენს ხსოვნასა
არაფერი არ მოაგონებს შენს „აქ" ყოფნასა".

თუმცა მუშის „დუმილშია იყო ღვთისა რისხვისა ზარი", მაგრამ „ულონო იყო... და ულონოს კაცი იბრიყვებს", ამდენად ამნაირ ადამიანთაგან საზოგადოების გარდაქმნის მოლოდინი, ილიას შეხედულებით, აბსოლუტურად გამოირიცხებოდა. მაშინაც კი, როცა მუშათა რაოდენობა კერძოდ საქართველოში შედარებით მომრავლდა.

ეიმეორებთ, ილია გულისხმობდა ქრისტიანულ სოციალიზმს. ცნობილი გახლავთ, რომ ქრისტიანული რელიგია წარმოიშვა რომის იმპერიაში, დაჩაგრულ ფენებსა და ხალხებს შორის, რომელთაც მომავალი საზოგადოება ესახებოდათ თანასწორობის სამეფოდ, ჩაგვრის, მდიდრებად და ღარიბებად დაყოფის გარეშე. ბევრ მხრივ მსგავს იდეურ სიტუაციას ჰქონდა ადგილი XIX საუკუნის პირველ ნახევრის დასავლეთ ევროპაში. აქედან ქრისტიანული სოციალიზმის ერთ-ერთი მთავარი წამრომადგენლის პიერ ლერუს (1797 – 1871) იდეები გავრცელდა რუსეთშიც. ვფიქრობთ, ილიაც მათ სტუდენტურ ხანაში გაეცნო[203].

ჩვენთვის საინტერესო თემას ილია დიდი ხნის განმავლობაში აღარ შეხებია. იგი მას დაუბრუნდა მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს. სოციალიზმზე ახლებურად მიდგომას ვხედავთ ილიას სტატიაში „მეცხრამეტე საუკუნე" (დაწერილია 1899 წლის 31 დეკემბერს). ამჯერად სოციალიზმზე მისეული წარმოდგენები თითქმის თავისუფალია რელიგიური (ქრისტიანული) ტრადიციისაგან.

სტატიაში ნაჩვენებია ის უზარმაზარი პროგრესი, რასაც კაცობრიობამ მიაღწია მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში. პროგრესმა თავი იჩინა სოციალურ-პოლიტიკურ აზროვნებასა და შესაბამის პრაქტიკულ სფეროშიც. სტატიაში ვხედებით ასეთ ადგილს: „ამ მეცხრამეტე საუკუნემ სოციალურის წყობილების იდეალად გამოსახა „გაუქმება ქონებისა და შემოსავლის მეტ-ნაკლებად განაწილებისა ადამიანთა შორის, გაუქმება ყოველის კლასობრივის სხვადასხვაობისა, ფეხზე წამოყენება და ხელშეწყობა გამრჯელ და მშრომელ კლასებისა წარსამატებლად"[204]. ეს ამონარიდი კი ეკუთვნის ცნობილ გერმანელ ეკონომისტს, კათედერ-სოციალისტს გუსტავ შმოლერს და იგი ფიგურირებს უკანასკნელის წიგნში „მეცნიერება სახალხო მეურნეობის შესახებ" (რუსულად ითარგმნა 1898 წელს).

მაგრამ უცილოდ საკუთრივ ილიასეული კი არის აზრი: „ერთი დიდი და სახელოვანი საქმე მეცხრამეტე საუკუნისა, სხვათა შორის, ის არის, რომ მაგარს საფუძვლზე დააყენა და ფრთა გააშლევინა იმ კაცთმოყვარულს მოძღვრებას, რომ ყოველი ადამიანი, რა წოდებათა კიბის საფეხურსედაც გინდ იდგეს, მაინც ადამიანია, თანასწორად შესაწყნარებელი და გულ-შესატკივარი. მართალია, ამ მოძღვრების დასაბამი დიდის ხნისაგან მოდის, მაგრამ ამ საუკუნემ ეს მოძღვრება განადიდა, გააძლიერა, გააფართოვა და, დაუდვა რა მეცნიერული საბუთი, ღარიბთა და უძლურთ სამწეო მოძღვრებად გარდააქცია"[205]. კვლავ შეგახსენებთ, რომ ამგვარი სოციალური მოძღვრების საწყისებს ილია ხედავდა ქრისტიანობაში (განსაკუთრებით ადრინდელში) და ამ მოძღვრების ფორმებად მიიჩნევდა შემდგომში განვითარებულ ქრისტიანულ სოციალიზმს, მარქსისტულ სოციალიზმს, კათედერ-სოციალიზმსა და ეთიკურ სოციალიზმს (განვითარდა დიდი გერმანელი ფილოსოფოსის იმანუელ კანტის ეთიკური მოძღვრების ბაზაზე).

კაცობრიობის განელილი ისტორია, განსაკუთრებით XIX საუკუნეში, ილიას მიხედვით, წარმოადგენს პროგრესს მოსახლეობის ფართო ფენების ცხოვრების დონის ამაღლებაში: „ამ გზაზე წინა საუკუნებს ერთად იმოდენი არა უქმნიათ-რა, რაც ამ ერთმა მეცხრამეტე საუკუნემ ჰქმნა თვისდა პატივის მოსახსენებლად"[206]. ამის შედეგად თუ ერთი მხრივ, 'მართალია, დღეს ადამიანი ერთობ (საერთოდ – **გ. ყ.**), ღარიბია თუ მდიდარი, – უფრო უკეთ არის მოწყობილი, უფრო მეტად მოსახერხებელია მისთვის წასვლა-წამოსვლა, ქვეყნიერობასთან (მსოფლიოსთან – **გ. ყ.**) გამოხმაურება, ქვეყნიერობასთან ურთიერთობის გაწევა; დღეს ადამიანი უფრო უკეთ იცვამს, იხურავს, უკეთ სჭამს და სვამს, მაგრამ ბედნიერება კი შორს არის. დღეს ღარიბსა და მდიდარს შორის, ძლიერსა და უძლურს შორის უფრო დიდი ზღვარი არის, ვიდრე ოდესმე ყოფილა, და აქ არის სიმწვავე იმ ტკივილისა, რომლის მორჩენაც მეცხრამეტე საუკუნემ უანდერძა აწ მომავალს საუკუნეს"[207].

დაბოლოს, ილიას შეხედულებით, „მეცნიერება, ადამიანის გონების წინსვლა, ზნეობის აღმატება, – ჯერ ბევრს სხვას კიდევ ძლევამოსილობით მოიქმედებს, მაგრამ ამ მეცხრამეტე საუკუნის ანდერძზე უაღრესს და უდიდეს საგანს სხვას ვერას აღმოაჩენს და არ გაუთვალისწინებს კაცობრიობას დღეის ამას იქით"[208].

მაგრამ, როგორც „ნუთუ?"-დან (დაწერილია 1905 წელს) ჩანს,

კერძო საკუთრებას ილია დრომოჭმულად როდი თვლიდა და მის არსებობას საკმაო ხანგრძლიობას უწინასწარმეტყველებდა. საერთოდ, ჩვენი დიდი მოაზროვნის მიხედვით, სოციალიზმის იდეის შემდგომი წარმატება დაკავშირებული იყო დასავლეთთან (ევროპასა და აშშ-თან) და არა რუსეთთან, მითუმეტეს საქართველოსთან, რომელსაც, ილიას მიხედვით, „სულ სხვა სატკივარი" ჰქონდა. ამ თვალსაზრისითაც ილიასა და ქართველი სოციალისტ-ფედერალისტების, მით უფრო ესდეკების შეხედულებანი კარდინალურად განსხვავდებოდა.

§ 8 დამოკიდებულება მარქსიზმთან

ზემოთ უკვე დავინახეთ, თუ როგორი არჩევანი გააკეთა ილიამ სხვადასხვა აზროვნებით მიმართულებას შორის, აქედან გამომდინარე, როგორი სტრატეგიული გზა დასახა მან საქართველოს მომავალი განვითარებისათვის. ილიას ახალგაზრდობაში და შემდგომაც, კარგა ხნის მანძილზე, ქართული აზროვნებისათვის უცნობი რჩებოდა მარქსიზმი. მაგრამ როდესაც კი ამ იდეურ-პოლიტიკური მიმართულების აქტუალურობა აშკარა გახდა, ჩვენმა დიდმა მოაზროვნემ იდეური სიტუაცია ამ თვალსაზრისითაც სათანადოდ გააცნობიერა.

დოკუმენტურად ილიას მიერ კარლ მარქსის მოძღვრების (ჯერჯერობით პოლიტიკური ეკონომიის) გაცნობა პირველად დასტურდება ილიას 1882 წლის დეკემბრის „შინაურ მიმოხილვაში. ბ-ნ მეისნერის პროექტი". იგი დაწერილია მარქსის „კაპიტალის" პირველი ტომის (იგი რუსულად გამოქვეყნდა 1872 წელს) ცოდნით. აქ გადმოცემულია ისეთი ეკონომიკური კატეგორიები, როგორიცაა: საქონელი, ღირებულება, ფული, ფასი, ვაჭრობა. ნახსენებია „ერთი გამოჩენილი მეცნიერი"[209], „ზემოვე ხსენებული მეცნიერი"[210], კვლავ „ერთი გამოჩენილი მეცნიერი"[211], თუმცა კარლ მარქსს, ალბათ ცენზურული მოსაზრების გამო, არ იხსენიებდა. შემდეგ, რუსულ ენაზე დაბეჭდვის კვალდაკვალ (1885 და 1896 წლებში), იგი „კაპიტალის" მომდევნო ტომებსაც გაეცნო.

ერთი შეხედვით, თითქოს შეიძლება დავასკვნათ, რომ ილიამ მარქსის სოციალური, კერძოდ ეკონომიკური თეორიის შესახებ შეიტყო ამავე წლის „ივერიაში" (იმხანად ჟურნალის სახით გამოდიოდა) გიორგი ზდანოვიჩის (მაიაშვილის) დაბეჭდილი სტატიით „წერილი ჩვენ საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ"[212], რომელშიც საუბარია კ. მარქსის სოციალურ მოძღვრებაზე. მაგრამ დიდად სა-

ეჭვოა, რომ ასე მცირე ხნის განმავლობაში (გ. მაიაშვილის სტატიის გამოქვეყნებიდან) ილიას მოესწრო „კაპიტალის" პირველი ტომის სერიოზული ათვისება. ეს ვარაუდი მტკიცდეაბა აგრეთვე პროფესორ ნოდარ ტაბიძის შემდეგი მოსაზრებითაც. 1877 წლის 26 მაისის „იერიაში" (მაშინ ჟურნალის სახით გამოდიოდა) დასტამბულია სტატია „ვინ არიან ოსნი", რომელიც, ჩანს, რედაქტორს – ილიას უთარგმნია რუსულ ჟურნალ „ზნანიეს" აღნიშნული წლის თებერვლის ნომერში მოთავსებული გამოკელევიდან (თავის მხრივ, იგი გადმობეჭდილი იყო წინა წლის ინგლისური სამეცნიერო ჟურნალიდან). რუსული ჟურნალის ამავე ნომერში კი დაბეჭდილი გახლდათ („ნ. ი."-ს ხელმოწერით) ერცელი გამოკელეეა „მარქსის ეკონომიკური თეორია". მართლაც, აბსოლუტურად დარწმუნებული უნდა ვიყვეთ, რომ ილიას მახვილ თვალს (უფრო სწორად: ცნობისმოყვარეობას) არ გამორჩებოდა ეს სტატია და შესაბამისად, მალევე დაინტერესდებოდა მარქსის დასახელებული თხზულებითაც[213].

როგორც ვხედავთ, ნოე ჟორდანია, ფილიპე მახარაძე და „ძმანი მათნი" სრულიადაც არ ყოფილან საქართველოში პირველნი, რომლებიც მარქსიზმს გაეცვნენ, რომ ნიკო ნიკოლაძე, გიორგი მაიაშვილი და ილია მათზე უფრო ადრე და უფრო საფუძვლიანადაც, იცნობდნენ ყოველ შემთხვევაში მის ეკონომიკურ თეორიას. მაგრამ, ცხადია, აქედან არ გაუკეთებიათ ის დასკვნები, რაც ქართველმა „მესამე დასელებმა" გააკეთეს. სხვა, სამწუხარო, ამბავია, რომ პირველთ თავიანთი ქადაგებისათვის „უკეთესი ნიადაგი" დახვდათ.

როცა ილიასა და ნოე ჟორდანიას შორის მწვავე კონფლიქტი მწიფდებოდა, ჩვენი დიდი წინაპარი შეეცადა სპეციალურად გასცნობოდა (1899 – 1900 წლებში) კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის მიერ შექმნილ ისტორიულ მატერიალიზმსაც[214]. ცხადია, ასე მოკლე დროში ეს ვერ მოხერხდებოდა თვით ისე დიდად ნიჭიერი კაცის, როგორიც გახლდათ ილია, შემთხვევაშიც კი. მაგრამ მთავარია, რომ საკითხს იგი მიუდგა ფართო თვალთახედვით და კრიტიკულად, რასაც ვერ ვხედავთ ოთხმოცდაათიანელ მესამე დასელებში. ცნობილია, რომ 1890-იან წლებში დასავლეთ ევროპისა და რუსეთის საზოგადოებრივ აზროვნებაში დიდი კამათი იყო ატეხილი ისტორიული მატერიალიზმის თაობაზე. ასე რომ, ილია შეეცადა ეს სოციოლოგიური თეორია გაეგო არა მხოლოდ თვითონ კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის, არამედ გიორგი პლეხანოვის, ედუარდ ბერნშტაინის, ანტონიო ლაბრიოლას, კარლ კაუცკის, თომაშ მასარიკის მეშვეობითაც.

თუ რამდენად სერიოზული გახლდათ ილიასეული მიდგომა საკითხისადმი, ეს კარგად ჩანს მისი ამონაწერების მიხედვით, რომლებიც დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტის ილიასეულ ფონდში[215]. რამდენადაც შესაბამისი ამონარიდები თვითონ ილიას ხელით რუსულადაა გადმოწერილი, ამიტომაც ამ ენით ვისარგებლებთ.

„Маркс-Энгельс

Русское Богатство № 9 (12) 18991) По мнению Бернштейна, экономический материализм известен в двух различных формах. Первая эта та форма, которую первоначально придали экономическому материализму его родоначальники Маркс и Энгельс. Вторая – эта последняя, окончательная, другая форма, которая постепенно вырабатывалась путем различных дополнений, важнейшие из которых содержались в письмах Энельса Конраду Шмидту, опубликованных „Der S. Akademiker", 1895, сентябрь (Есть русский перевод этих писем в журнале „Мир Божий", 1897/ 4, стр. 157"[216].

მეორე, მესამე, მეოთხე პუნქტებში ხაზგასმულია ჩვეულებრივი, ვიტყოდით მეტაფიზიკური დაპირისპირებულობა ერთი მხრივ ყოფიერებასა, წარმოების წესსა და მეორე მხრივ – საზოგადოებრივ ცნობიერებასა და საერთოდ, ზედნაშენებს შორის. კერძოდ, ეს ნაჩვენებია ედუარდ ბერნშტაინის მიხედვით.

მეხუთე პუნქტში აღნიშნულია: „Интересная аналогия между Марксом и Дарвином (см. Рус. Богатство, 1895, № 12, стр. 158 и 159"[217].

მეექვსე პუნქტში ფიგურირებს აზრი: „Маркс в тезисах статьи о Фойербахе видит главный недостаток созерцательного (теоретического – ი. ჯ.) материализма в том, что он (материализм теоретический) рассматривате мир „лишь в форме объекта или в форме созерцания, а не в форме конкретной человеческой деятельности, не в форме практики, не субъективно (208, ფურცელი 3)"[218].

7) „Фабричное законодательство, говорит Маркс (Капитал, т. 1, стр. 420) – это первое сознательное и целесообразное воздействие общества на самопроизвольные возникания (!) формы процесса производства" (См. Бернштейн, пункт 3-ий, ფურცელი

მე-3). Это и есть не экономический фактор (мое замечание – ი. ჯ.)"[219].

8) „Первым „не экономическим фактором" является политическая сила, которая по Марксу (Капитал, т. 1, 645) есть ничто иное, как „непосредственная сила, принадлежащая неэкономической сфере (стр. 11165).

В другом месте (Капитал, 111, 645) Маркс вновь указывает, что политическая власть является не только „надстройкой“ над экономикою, но и „экономическим деятелем“, говоря: „особенная хозяйственная форма, в которой неоплаченный прибавочный труд извлекается из непосредственных производителей, определяет отношение господства и подчинения, как оно возникает непосредственно из самого производства и со своей стороны оказывает определяющее влияние на последних (208, ფურცელი – 3) (стр. 165)”[220].

9) „Энгельс по мнению Бернштейна говорит тоже самое (i. W.). В письмах к Конраду Шмидту, говорит Бернштейн: Фридрих Энгельс прекрасно выяснил, – каким образом общественные учреждения, сами являясь продуктами экономического развития, в свою очередь делаются самостоятельными социальными силами, со своею собственною эволюциею, оказывают обратное влияние на экономическое развитие и могут то ускорить его, то тормозить, направлять по другому пути“ (стр. 165) ფურცელი მე-3 – 4“[221].

„Бельтов (გიორგი პლეხანოვი), „К вопросу о развитии монистического взгляда на историю“, 1895 г.

2) „Всякая классовая борьба есть борьба политическая“, говорит Маркс, как это указывает Бельтов (Плеханов) на стр. 168“[222].

3) „Принимая, что психология приспособляется к экономии общества, Маркс тем самым признавал ее огромное ни чем не заметное значение” (Бельтов, 172)[223].

4) „Только в популярной речи можно говорить об экономии, как о первичной причине всех общественных явлений. Далекая от того, чтобы быть первичною причиною, она сама есть следствие, „функция“ производительных сил (Бельтов, 173 стр.)“. (А производительные силы вырастают из земли, падают с неба или саморождаются что-ли?“[224] (შენიშნავს ილია. ამით სურს იმას გაუსვას ხაზი, რომ საწარმოო ძალები უბრალოდ ბუნების პროდუქტები კი არ არიან, არამედ გონებისა. ცხადია, თავის მხრივ უაზრობაა ეკონომიკიდან საწარმოო ძალების გამორიცხვა).

5) ილიას მიხედვით, „Экономия и психология общества, по мнению Бельтова (стр. 175), представляют две стороны одного и того-же явления. В этом Бельтов расходится с Марксом, который полагает, что „экономия есть реальная основа, на которой возвышается идеологическая надстройка” (175 стр. Но отчего зависит экономия?“[225] – კითხულობს ილია (იხ. აგრეთვე ზემოთ). მსგავსი აზროვნება, ვიტყოდით: მეტაფიზიკური, ნამდვილად მიუღებელი გახლდათ ილიისათვის, რომელსაც მიაჩნდა, რომ

„...ადამიანები განა მარტო მაყურებელნი არიან ცხოვრებისა, არამედ მომქმედნი პირნიცა. ცხოვრება არის თითონ ამ პირთა ქმნილება, ამ პირთა ნამოქმედარი და ჭირნახული"[226].

ბელტოვის (გ. პლეხანოვის) მიხედვით, „У Маркса и Энгельса был идеал и очень определенный идеал: подчинение необходимости – свободе, слепых экономических сил – силе человеческого разума"[227]. მაგრამ ავტორის აზრს ილია უპირისპირებს წინას, „что в развитии человеческой мысли, точнее сказать в с сочетании человеческих понятий и представлений есть свои особенные законы – этого насколько нам известно, не отрицал ни один из экономических материалистов (196)"[228].

ილია განსაკუთრებით გახაზავს კ. მარქსის აზრს: „Необходимость установить общественный контроль над извней силой природы для ее эксплуатации в больших размерах, для подчинения человеку посредством организованных человеческих усилий, играет самую решительную роль в истории промышленности" (Маркс, Капитал[229], 524 – 526, стр. немецкого издания) (Белтов (31)[7].

14) „Так как экономическое движение каждого общества имеет самобытный вид, вследствие самобытности условий, среди которых оно совершается, то не может быть никакой формулы прогресса, охватывающей прошедшее и предсказывающее будущее экономическое движение всех обществ (255)"[230].

ილიასეული ამონაწერი: „Представляет-ли капитализм роковую, неизбежную стадию, через которую должно пройти всекое человеческое общество? (На страницах от 250-257 Бельтов утверждает, что Маркс не признавал обязательности этой стадии)"[231].

15) „...Если Россия будет продолжать идти путем, избранным ею после 1861 г., он потеряет один из самых удобных случаев, который когда либо исторический ход давал народу для минования всех перипетий капиталистического развития " (письмо Маркса к редактору журнала[232]) (см. Бельтов, 255)"[233].

16). ილიას მოჰქონდა გუსტავ შმოლერის აზრი „Социальное расчленение на классы – этот важнейший в народно-хояйственном и социально-политическом отношении факт – никогда не может быть объяснено с одной только хозяйственной точки зрения, а лишь при помощи психологии и в связи со всеми общественными феноменами..."[234]

ზემოთ მოტანილ მარქსისეულ აზრს „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის წინასიტყვაობიდან" (რასაც იმოწმებს აგრეთვე ედუარდ ბერნშტაინი), უკანასკნელი, ილიას მიხედვით, „противопоставляет Марксу

позднейшие возражения Энгельса выраженные в двух письмах от 1890 и 1894 гг. (209 გვ.).

„Историческое событие, говорит Энгельс, представляет результат бесчисленных взаимноперекрещивающих сил, равнодействующего бесконечного количества параллелограмов сил и на нее, в свою очередь, можно смотреть, как на продукт силы, действующей в целом без сознания и воли. Ибо, то, чего хочет один, встречает препятствие во всех других, а в результате получается нечто такое, чего никто не имел в виду... политическое, правовое, философское, религиозное, литературное, художественное и т. д. развитие основывается на экономическом, но все они реагируют друг на друга и на экономический фундамент". Вест. Европы. Декабрь, 1899, стр. 637[235].

Нам (т. е. Марксу и Энгельсу) нужно было, говорит дальше Энгельс, в ответ противникам подчеркнуть отрицаемые ими главный прицип (экономическую сторону), и не всегда имели мы время, место и случай отдать должное остальным взаимодействующим факторам (стр. 4, стр. 634)"[236].

ილიას მოაქვს ბერნშტაინის შემდგომი აზრი: „Достигнутая ныне ступень экономического разивтия предоставляет идеологическим, и в осонебнности этическим факторам гораздо болльше свободы для самостоятельных действий, чем какая либо из прежных. Таким образом господство железной (?) необходимости в истории ограничивается" – стр. (63)[237].

ილიას მიხედვით, აღნიშნულს „რუსსკოე ბოგატსტვოში" მოთავსებული სტატიის ავტორი უმატებს: „Все его (сказанные Бернштейном) мысли ... новые для русской читательской публики"[238]. ცხადია, ეს კიდევ უფრო მეტად ითქმის ქართველ მკითხველთა შესახებ.

ამჯერადაც კვლავ გამეორებულია ბერნშტაინის აზრი, თვითონ ენგელსზე დაყრდნობით, სახელმწიფოს დიდ როლზე ეკონომიკისათვის განვითარების მიმართულების მიცემაში[239].

ილია ამასთანავე მიუთითებს, რომ 1885 წელს „რუსსკოე ბოგატსტვოში" დაბეჭდილ იქნა ნიკოლსკის სტატია სათაურით: „რა არის ისტორიული აუცილებლობა?" „Автор ее подобно Бернштейну указывает, что прямопропорциально росту понимания связи экономических явлений (!) растет и способность общества направлять экономическое развитие"[240].

6) „Затем Бернштейн переходит к критике учения Маркса, построенного на классовой борьбе и концентрации капиталов.

7) Бернштейн приводит примеры и статистические цифры, доказывающие, что концентрация капиталов далеко не оправдывается современностью (см. 641).

На основании этих цифр Бернштейн говорит: «После чего не может подлежать никакому сомнению, что во всей Западней Европе, как впрочем и в восточных штатах С. Амер. – Союза, повсюду мелкое хозяйство развивается, крупное делает шаг назад" (стр. 654)[241].

კონსპექტში აღნიშნულია ბერნშტაინის კრიტიკული დამოკიდებულებაც პროლეტარიატის (მუშების) მიერ ხელისუფლების აღებაზე[242].

დაბოლოს,ილიას შეხედულებით,„Бернштейн, нападая на важнейшие положения учения Маркса – Энгельса, в заключении отказывается и от их мировоззрения – материализма: „я, говорит он, действительно не ставлю победу социализма в зависимости от внутренней экономической зависимости". Напротив того, я не считаю нужным давать ему чисто материальное обоснование (178). „Я не могу подписаться под положением: „Рабочему классу не приходится осуществлять никаких идеалов, - напротив, я вижу в нем (в этом положении) плод самообмана" (187 Бернштейна, стр. 654, Русское Богатство) (209, 35)"[243].

კონსპექტში კვლავ გამეორებულია ბერნშტაინის წიგნზე („ისტორიული მატერიალიზმის შესახებ") გამოთქმული აზრები.

სტატიაში „Русское богатство", 1899 წ. დეკემბერი: „говорится, что в последнее время теория „экономического материализма" все более и более отступает от своей первоначальной, резко выраженной формы"[244].ამის დასადასტურებლად მოტანილია ამავე ჟურნალის იმავე წელს გამოქვეყნებული სტატიის „ბაზისი და ზედნაშენის" ერთი ადგილი: „Характерно, что новейшие теоретики экономического материализма, развивая свои взгляды, особенно подчеркивают именно историческую необходимость и важность надстроек и „идеологии"... иногда надстройка берет верх, оказыается сильнее экономики"[245].

ამ თვალსაზრისით ილიას მოაქვს თვით ბერნშტაინის აზრი: „исторический материализм вовсе не отрицает самостоятельного движения политических и экономических сил..."[246].

ისტორიული მატერიალიზმის გაგებაში წარმოქმნილ ამგვარ ჩიხს სრულადაც ვერ ნათელყოფს ილიას მიერ მოხმობილი იტალიელი მარქსისტის ანტონიო ლაბრიოლას აზრი: „Мораль, искусство, религия, знание (ე. ი. მეცნიერება – **გ. ჯ**) являются следовательно, только продуктами экономических условий, они – только высшее проявление этих условий. Диллетанты с удовольствием подхватывают такие грубые заявления... Только страсть к парадоксам неразрывно связываются со слепым усердием узких приверженцев внушать тот ложный взгляд, будто материалистическое

понимание истории стремится обнаружить только экономический момент, а все остальное отбрасывает как ненужный хлеб"[247].

აღარ მოვიტანთ ილიას მიერ მოტანილ პეტრე სტრუვეს, ვიქტორ ჩერნოვის (ესერთა ერთ-ერთი ლიდერის) და ჟან ჟორესის შეხედულებებს ისტორიული მატერიალიზმის შესახებ. ასევე გამოვტოვეთ ილიას აზრები, რაც მარქსის პოლიტიკურ-ეკონომიურ შეხედულებებს ეხება.

საბოლოოდ დავსძენთ, რომ ილიასეული მიდგომა მარქსიზმისადმი (კერძოდ, პოლიტიკური ეკონომიისა და ისტორიული მატერიალიზმისადმი) საფუძვლიანად განსხვავდებოდა არა მხოლოდ ქართველი ესდეკი „თეორეტიკოს-იდეოლოგებისაგან", რომელთა მთავარ ფალავანთან – ნოე ჟორდანიასთან მას ცხარე პოლემიკა ჰქონდა, არამედ საბჭოური ეპოქის შესაბამისი სფეროების წარმომადგენლებისაგანაც.

კერძოდ, ნოე ჟორდანიასადმი მიმართულ ილიასეულ ერთ-ერთ პოლემიკურ წერილში („უმეცრობის ფართი-ფურთი") გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერფურტის პროგრამის (მიღებულ იქნა 1891 წელს) თაობაზე აღნიშნულია: „ეს ის პროგრამაა, რომელიც მითამდა სახელოვანის მარქსის მოძღვრებაზეა აგებული და რომელსაც ერთს დროს გერმანიაში ცოტად თუ ბევრად ავალა ჰქონდა და ეხლა-კი თავის დრო მოჭამა და თავის პატრონს ჩაჰბარდა"[248]. მართლაც, ილიას სწორად შეუმჩნევია, რომ აღნიშნული პროგრამა ბევრ მხრივ არ ითვალისწინებდა მარქსისა და ენგელსის შეხედულებებს (მეტიც, პროგრამის შემდგენელთ არ გაუთვალისწინებიათ უკანასკნელის შენიშვნებიც კი). მაგრამ რაც ამ შემთხვევაში უფრო საინტერესოა, ის გახლავთ, რომ ცნობილი გერმანელი მენიერის მიმართ კვლავ ნახმარია ეპითეტი „სახელოვანი (სიტყვა „მითამდა" მიემართება პროგრამას), რომელიც სტატიაში ისევ მეორდება[249].

ავადსახსენებელი დიმიტრი ჯაშის მიხედვით, „ილია დიდ შეფასებას აძლევდა კ. მარქსის შრომებს ეკონომიკის, ფინანსების დარგში და „კაპიტალს" უწოდებდა დიდი ნიჭით, დიდი ერუდიციით შექმნილ შრომას"[250]. მთხრობელი, ცხადია, ამას მოისმენდა 1907 წლის ზაფხულში, როდესაც იგი აგენტად („ოხრანკა" – ჟანდარმერიისა და ქართველი ესდეკების მხრიდან), მოურავის სახით, იყო ჩანერგილი ილიას და ოლღა გურამიშვილის საგურამოს მამულში.

დაბოლოს, დავსძენთ, რომ მარქსიზმისადმი მსგავსი მიდგომა სერიოზული და მაღალინტელექტუალური იყო, რაც, ვიმეორებთ, დიდად

განსხვავდებოდა ქართველი ესდეკების შესაბამისი პოზიციისაგან. მარქსიზმის ასეთი აღქმა, ვიტყოდით: ლიბერალური, რაც ჭირიეით ეჯავრებოდათ ვ. ი. ლენინსა და ი. ბ. სტალინს), თუ უფრო ფართოდ გავრცელდებოდა, მაშინ გამოირიცხებოდა ის უარყოფითი როლი, რაც ამ მოძღვრების სახელით შეასრულეს ქართველმა ესდეკებმა („მენშევიკებმა" და მით უფრო „ბოლშევიკებმა"). მაგრამ, დიდად საუბედუროდ, ესეც კანონზომიერი იყო.

---

[1] სპირიდონ კედია, ილია ჭავჭავაძე (ერთი თვალის გადავლებით), იხ. კრებულში „ილია ემიგრანტთა თვალით", ტ. I, თბ., 1996, გვ. 17.

[2] იქვე, გვ. 197, 198.

[3] იხ. კრებული „ილიას სიკვდილი და დასაფლავება", გვ. 81. იხ. ავტორის საქართველოს გული, თბ., 1963, გვ. 51. ამის დამადასტურებელი გახლავთ ილიასეული მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელიც საგანგებოდ შეისწავლა ცნობილმა ბიბლიოგრაფმა თამარ მაჭავარიანმა. აღნიშნულის საილუსტრაციოდ მხოლოდ არტურ ლაისტის ერთ მონაყოლზე შევჩერდებით: „ერთხელ, როცა საგურამოში ეაპირებდი წასვლას, ილიამ მითხრა, თან მომყავს მესამე მეგობარი, რომელიც ძლიერ გაგავრთობსო. ეს მესამე მეგობარი აღმოჩნდა გერმანელი ბიზეს „ბუნების შეგრძნების განვითარების ისტორიის" თარგმანი. დასახ. წიგნი, გვ. 50 – 51. აქვე ლაპარაკია ფრიად საინტერესო სჯა-ბაასზე ილიასა და არტურ ლაისტს შორის აღნიშნული წიგნის შესახებ.

[4] არტურ ლაისტი, საქართველოს გული, თბ., 1963, გვ. 51.

[5] ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, ტომი I, ტფ., 1914, გვ. XLVIII – XLIX, მიხეილ გედევანიშვილისეული გამოცემა.

[6] იხ. კრებული „ილიას სიკვდილი და დასაფლავება", გვ. 94.

[7] იქვე, გვ. 221.

[8] ძირითადი მოტივები ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკისა (კრიტიკული განხილვა), გაზ. "სახალხო საქმე", 29 აგვისტო, 1917.

[9] იხ. კრებული „ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში", II, თბ., 1958, გვ. 207.

[10] რჩეული თხზულებები, ტ. III, თბ., 1965, გვ. 249 - 250.

[11] იხ. ავტორის სტატია "ილია ჭავჭავაძე", დაბეჭდილი 'ლიტერატურული საქართველოს" 1936 წლის 16 აგვისტოსა და 15 სექტემბრის ნომრებში.

[12] ილია ჭავჭავაძე, კრებულში „ილია ემიგრანტთა თვალით", I, გვ. 161.

[13] დასახ. წიგნი, გვ. 161,

[14] ილია ჭავჭავაძე, იქვე, გვ. 52 – 53.

[15] თფილისის სააადგილმამულო ბანკი. თსკ, ტ. VII, გვ. 373. მსგავსი აზრი ილიას გამოთქმული ჰქონდა 1861 წელს. იგი წერდა: "იქნება ფიქრობენ, რომ ჩვენი ლიტერატურა არ აღსდგება, თუ არ განიმეორა თავის განვითარებაში წარსულ დროთა სიცრუე და ცთომილება?! თუ ამას

ფიქრობენ, მაშ ისტორიას აღარა აქვს თავისი დიდი მნიშვნელობა“ და ა. შ. იხ. “ორიოდე სიტყვა თავად რეევაზ შალვას ძის ერითაიის კაზლოვის-მიერ “შეშლილი“-ს თარგმანზედა“, თსკ, ტ. III, გვ. 12.

[16] რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს. თსკ, ტ. III, გვ. 155 - 156.

[17] თსკ, ტ. II, გვ. 291. სხვა ადგილას არჩილი გიორგის სახავს წიგნად. იხ. გვ. 318.

[18] იქვე.

[19] რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს, თსკ, ტ. III, გვ. 156.

[20] იქვე.

[21] იქვე.

[22] ოინბაზობაა თუ სულელობა? „ივერია“, № 45, 1898.

[23] პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთ, თსკ, ტ. III, გვ. 90 – 91.

[24] ნინო ბაგრატიონი, თსკ, IV, გვ. 238.

[25] „ივერიის“ წინასიტყვაობა (I), თსკ, ტ. III, გვ. 256.

[26] დიმიტრი ყიფიანი. თსკ, ტ. IV, გვ. 229. შეგახსენებთ მსგავს სხვა გამონათქვამსაც: „სულელის უბედურობა ის კი არ არის, რომ სულელია, ის არის, რომ თავის თავს ვერ იცნობს და თავი დიდი რამ ჰგონია“. პასუხი, თსკ, ტ. III, გვ. 29.

[27] თსკ, ტ. IV, გვ. 227 – 228.

[28] იქვე, გვ. 228.

[29] ნუთუ? თსკ, ტ. IX, გვ. 272.

[30] პოლემიკური წერილები “ცხოვრება და კანონის“ გამო, თსკ, ტ. VI, გვ. 106.

[31] იქვე, გვ. 106 - 107. მაგრამ ილია ცდებოდა: ამგვარი დოგმატური აზროვნება მტკიცედ იკიდებდა ფეხს იმ ხანის საქართველოში, რაც მარქსიზმის ბრმად თაყვანისცემაში გამოიხატებოდა. ეს ტრადიცია გაგრძელდა საბჭოთა რეჟიმის პირობებში.

[32] თსკ, ტ. VI, გვ. 106.

[33] იქვე.

[34] არტურ ლაისტი, საქართველოს გული, გვ. 43.

[35] „Новое Обозрение“-ს წერილის გამო, თსკ, ტ. IV, გვ. 158.

[36] კრიტიკული აზრის უქონლობა, თსკ, ტ. VIII, გვ. 256.

[37] შინაური მიმოხილვა. 1885 წელი, თებერვალი, თსკ, ტ. V, გვ. 334.

[38] შეგახსენებთ, რომ ილია, როგორც რედაქტორი, „ივერიაში“ სისტემატურად ბეჭდავდა ლევ ტოლსტოის ნაწარმოებებს და წერილებს მისი ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

[39] იგულისხმება ნინო დადიანი, ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკის მეუღლე.

[57] ერთგან, ჩამოთვლის რა რამდენიმე ურთიერთდაპირისპირებულ “საზოგადოებურს აზრს და მიმართულებას“, ილია ლაპარაკობს “იდეალისტსა“ და “რეალისტზე“. ჩანს, ამ შემთხვევაში იგი გულისხმობდა დაპირისპირებულობას ფილოსოფიაში და “რეალიზმში“ მოიაზრებდა

მატერიალიზმს. იხ. 'წერილები ქართულ ლიტერატურაზე", თსკ, ტ. III, გვ. 198 - 199.

[58] აქ და შემდეგ შემთხვევებში სიტყვა "ქვეყანა" ნახმარია სამყაროს მნიშვნელობით.

[59] კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი, თსკ, ტ. VII, გვ. 42.

[60] იგულისხმება ვარსკვლავები.

[61] სარდიონ მესხიევის კრიტიკის გამო. თსკ, ტ. III, იქვე, გვ. 446.

[62] „დროება", № 260, 1884.

[63] თსკ, ტ. V, გვ. 288. ნარკვევში (მეორე) „ხიზნების საქმე" ვკითხულობთ: „მიწა კი რაც არის ღვთისაგან გაჩენილი, იმაზედ მეტს არც იმატებს და არც იკლებს". თსკ, ტ. VI, გვ. 139.

[64] თსკ, ტ. II, გვ. 277.

[65] ლიტერატურული ურთიერთობანი, II, თბ., 1969, გვ. 236 – 237, 242.

[66] საისტორიო მოამბე, ტ. III, თბ., 1947, გვ. 200.

[67] პედაგოგიის საფუძვლები, თსკ, ტ. IV, გვ. 302.

[68] ილია ჭავჭავაძე – გამოუქვეყნებელი წერილები თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორისადმი, შალვა გოზალიშვილის პუბლიკაციით და შენიშვნებით, „მნათობი", 1957, № 9, გვ. 154.

[69] ილია ჭავჭავაძე – გამოუქვეყნებელი წერილები..., გვ. 154.

[70] იქვე.

[71] თსკ, რა გითხრათ, რით გაგახაროთ? თსკ, ტ. V. გვ. 10.

[72] იქვე, გვ. 10 – 11. წინამძღვრიანთკარის სკოლის გახსნისას ილია დამსწრე გლეხკაცობას მიმართავდა: "თქვენში და თქვენგან ხშირად გამიგონია, რომ ქრისტე-ღმერთმა თავისი კალთა უხვებისა აქ, ამ ჩვენს პატარა ქვეყანაში დაიბღერტაო". თსკ, ტ. V, გვ. 288. როგორც დავინახეთ, ეს აზრი ილიას კრედოც იყო.

[73] თსკ, ტ. VII, გვ. 144.

[74] შინაური მიმოხილვა. 1892 წკუსა. თსკ, ტ. V, გვ. 336.

[75] თსკ, ტ. VIII, გვ. 225 – 226.

[76] თსკ, ტ. IV, გვ. 252.

[77] თსკ, ტ. IV, გვ. 252 – 253.

[78] წერილები ქართულ ლიტერატურაზე, თსკ, ტ. III, გვ. 217.

[79] იქვე.

[80] თსკ, ტ. II, გვ. 21. მოგვიანებით, 1886 წელს სტატიაში „ახალი დასის მოლოდინში" იგი აღნიშნავდა: „საცა მოძრაობაა, იქ სიცოცხლეც არის", თსკ, ტ. III, გვ. 291. იხ. აგრეთვე, იქვე, გვ. 139, 256. უფრო მოგვიანებით ილია წერდა: "არაფერია ამ ქვეყანაზედ მუდმივი ცვლილებების მეტი", "ივერია", № 201, 1894.

[86] „ლიტერატურული საქართველო", 1936 წლის 24 მაისი.

[87] შინაური მიმოხილვა. 1881 წელი, მაისი, თსკ, ტ. V, გვ. 88.

[88] იქვე.

[89] ახალი დასის მოლოდინში, თსკ, ტ. III, გვ. 291.

[90] თსკ, ტ. III, გვ. 301.
[91] თსკ, ტ. V, გვ. 88.
[92] იქვე, გვ. 301 - 302.
[93] თსკ, ტ. V, გვ. 90; იხ. აგრეთვე იქვე, გვ. 151 – 152.
[94] თსკ, ტ. X, გვ. 466.
[95] იქვე, გვ. 467.
[96] მოთხრობა. თსკ, ტ. II, გვ. 460.
[97] თსკ, ტ. X, გვ. 229.
[98] სხვათა შორის,ილიას ნაქონ წიგნებში მოიპოვება ჰეგელის ნაშრომი ესთეტიკის შესახებ.
[99] იხ. მისი „ფილოსოფიური აზრის ძირითადი მიმდინარეობანი XIX საუკუნის საქართველოში", თბ., 1964, გვ. 141.
[100] ალბათ, კორექტულ შეცდომასთან გვაქვს საქმე და უნდა იყოს „ერის".
[101] ვახტანგ გურული, ნოე ჟორდანია, პოლიტიკური პორტრეტი, თბ., 1999, გვ. 21. ზემოთ მოტანილ სიტყვებს ავტორი ასე აგრძელებს: „მას (ილიას – ზ. ყ.) კარგად ჰქონდა შეგნებული, თუ რით დამთავრდებოდა ეროვნული პროგრამის დაუფიქრებელი, ხელაღებით სოციალიზება (!)" (იქვე). მაგრამ რა შუაშია ეს ფრაზა ილიას ვითომდაც ჰეგელიანობასთან?
[102] თსკ, ტ. III, გვ. 59 - 60.
[103] ნსკ, ტ. IV, გვ. 310.
[104] იქვე, გვ. 329.
[105] თსკ, ტ. VIII, გვ. 276.
[106] თსკ, ტ. VIII, გვ. 272.
[107] აი ისტორია, თსკ, ტ. IV, გვ. 35.
[108] თსკ, ტ. II, გვ. 455.
[109] ნსკ, ტ. IV, გვ. 230.
[110] „ივერია", № 49, 1886.
[111] წერილები ქართულ ლიტერატურაზე, თსკ, ტ. III, გვ. 204.
[112] შინაური მიმოხილვა, 1885 წელი, თებერვალი, თსკ, ტ. V, გვ. 327.
[113] „ივერია", № 38, 1897.
[114] თსკ, ტ. III, გვ. 62.
[115] იქვე, გვ. 63.
[116] იქვე, გვ. 71.
[117] თსკ, ტ. III, გვ. 71.
[118] იქვე.
[119] იქვე, გვ. 256.
[120] თსკ, ტ. III, გვ. 257.
[121] ცხოვრება და კანონი, თსკ, ტ. VI, გვ. 54.
[139] ცხოვრება და კანონი, თსკ, ტ. VI, გვ. 7 – 8.
[140] იქვე, გვ. 8.
[141] აქვე აღნიშნულია: „რამოდენად მისაღებია ეს საბუთი, ჩვენ მაგის გამოძიებას არ შეუდგებით".

[142] თსკ, ტ. III, გვ. 310. როგორც ვხედავთ, ავტორი საზოგადოების საერთო სტრუქტურას იწყებდა ცოდნიდან - მეცნიერებიდამ და მორალიდან.
[143] თსკ, ტ. IV, გვ. 28 - 29.
[144] ილია ჭავჭავაძე, როგორც ჰუმანისტი, ჟ. „მოამბე", VII, 1901, გვ. 52. როგორც დავინახეთ, ამ ფაქტებს ასეთი თანმიმდევრობით როდი ჩამოთვლიდა.
[145] სოფლის მეურნეობის ქალთა სასწავლებელი, თსკ, ტ. IV, გვ. 376.
[146] იქვე, გვ. 40.
[147] ნსკ, ტ. IV, 1927, გვ. 69.
[148] თსკ, ტ. IX, გვ. 34. ამ ციტატაში ილიას ნაგულისხმევი აქვს ისტორიოგრაფია და არა თვით ისტორიული პროცესი.
[149] დიმიტრი ყიფიანი, თსკ, ტ. IV, გვ. 223.
[150] დავით აღმაშენებელი, თსკ, ტ. IV, გვ. 179.
[151] იქვე, გვ. 180.
[152] "შინაურ საქმეთა" გამო, თსკ, ტ. VIII, გვ. 248.
[153] თსკ, ტ. IV, გვ. 248.
[154] ნსკ, ტ. VI, 1927, გვ. 118.
[155] თსკ, ტ. IV, გვ. 262.
[156] თსკ, ტ. IX, გვ. 75.
[157] თსკ, ტ. III, გვ. 198.
[158] თსკ, ტ. V, გვ. 341
[159] თსკ, ტ. VII, გვ. 38.
[160] თსკ, ტ. II, გვ. 482.
[161] თსკ, ტ. VII, გვ. 40.
[162] თსკ, ტ. X, გვ. 568.
[163] შინაური მიმოხილვა. 1883 წელი, აპრილი. თსკ, ტ. V, გვ. 253.
[164] "შინაურ საქმეთა" გამო, თსკ, ტ. VIII, გვ. 244.
[165] მსგავსი ვითარების რეციდივს ილია ხედავდა ბისმარკის კანცლერობის ხანის გერმანიაში. უკანასკნელის პოლიტიკის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ „ყველაფერი სახელმწიფოსაგან უნდა წარმომდინარეობდესო და ყველაფერი მასვე უნდა მიერთმეოდეს და შეეწირებოდესო". ევროპა 1886 წელს, თსკ, ტ. IX, გვ. 109.
[166] შინაური მიმოხილვა. 1882 წელი, ივნისი, გვ. 166.
[167] "შინაურ საქმეთა" გამო, თსკ, ტ. VIII, გვ. 246 - 247. სხვათა შორის, 'ეგეევე წმინდა მოვალეობა კისრად ადევს ლიტერატურასაცა. ამის გარეთ ლიტერატურას ასაპარეზი არა აქვს". იქვე, გვ. 247.
[168] უკანონოდ-შობილთა უფლება, თსკ, ტ. VIII, გვ. 347.
[169] ნუთუ? თსკ, ტ. IX, გვ. 278 - 279.
[185] დღევანდელი სპარსეთი, თსკ, ტ. IX, გვ. 117.
[186] თსკ. ტ. VIII, გვ. 264. იხ. აგრეთვე იქვე, გვ. 269.
[187] ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებისას (1893 წლის 25 აპრილს) წარმოთქმულ სიტყვაში ილია ამბობდა: "ღმერთი რომ ერს,

ქვეყანას, მოწყალების თვალით გადმოხედავს, მოუვლენს ხოლმე კაცს, პოეზიის მადლით ცხებულსა". თსკ, ტ. III, გვ. 250.

[188] იგულისხმება სამშობლო, საქართველო რუსეთის კირთების ქვეშ.

[189] თსკ, ტ. III, გვ. 57.

[190] იქვე.

[191] იქვე.

[192] თსკ, ტ. III, გვ. 61.

[193] თსკ, ტ. IV, გვ. 180.

[194] იქვე.

[195] იხ. კრებული „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლაევება", გვ. 192.

[196] ოლღასადმი გაგზავნილ წერილში ილია წერდა: "მეწყინა ძალიან ფრანცუზების დამარცხება, მაგრამ რა გაეწყობა", თსკ, ტ. X, გვ. 257.

[197] ცხოვრება და კანონი, თსკ, ტ. VI, გვ. 54.

[198] ევროპა 1886 წელს, თსკ, ტ. IX, გვ. 107.

[199] იქვე.

[200] იქვე.

[201] ევროპა 1886 წელს, გვ. 108.

[202] იქვე.

[203] შეგახსენებთ, რომ აღნიშნული მოძღვრების ახალი ფორმა – ქრისტიანული დემოკრატია მსოფლიოში ამჟამადაც საკმაოდ ფრთოდ არის გავრცელებული.

[204] თსკ, ტ. V, გვ. 8.

[205] იქვე.

[206] თსკ, ტ. V, გვ. 9.

[207] იქვე.

თსკ, ტ. V, გვ. 9.

[208] შინაური მიმოხილვა.1882 წელი, დეკემბერი, თსკ, ტ. V, გვ. 220.

[209] იქვე, გვ. 222.

[210] იქვე, გვ. 229.

[211] იხ. № VII, VIII, IX.

[212] ნოდარ ტაბიძე, ილიას შემოქმედებითი ბიოგრაფიისათვის, გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი", 1887 წლის 23 ოქტომბერი. აქვე შეენიშნაეთ, რომ მარქსს უფრო ადრე, პირადად და ნაწერებითაც, იცნობდა ნიკო ნიკოლაძე. იხ. პაატა გუგუშვილის „კარლ მარქსი ქართულ პუბლიცისტიკასა და საზოგადოებრიობაში 1898 წლამდე", თბ., 1971, გვ. 88.

[213] ამაშიც თავი იჩინა ილიასათვის დამახასიათებელმა ერთმა ნიშანთვისებამ, რის შესახებაც იგი თავის თანამებრძოლ ელადიმერ მიქელაძეს

[235] იქვე, გვ. 301 – 302.

[236] იქვე, გვ. 302.

[237] იქვე.

[238] იქვე.

[239] იქვე.
[240] ტარიელ სართანია, ილია ჭავჭავაძე..., გვ. 303.
[241] იქვე.
[242] ტარიელ სართანია, ილია ჭავჭავაძე..., გვ. 303.
[243] იქვე, გვ. 304.
[244] დასახ. წიგნი, გვ. 304.
[245] იქვე.
[246] იქვე.
[247] თსკ, ტ. VI, გვ. 259.
[248] იქვე, გვ. 266.
[249] დარია ჯაში, მოგონებანი და დოკუმენტები ილია ჭავჭავაძის შესახებ 1907 წელში, შედგენილი 1963 -1965 წლებში, ხელნაწერი, გვ. 69. ამავე იდიოზური პირის გადმოცემით, ილია უკმაყოფილებას გამოსთქვამდაო მარქსზე მხოლოდ იმ აზრით, რომ იგი არ გამოხატავდა საქართველოს ინტერესებს რუსეთ-თურქეთის ომის დროს, 1877 – 1878 წლებში. მაშინ როდესაც რუსეთის არმია ათავისუფლებდა ქართულ მიწებს (ბათუმს, ახალციხეს (?!), არდაგანს და ჭოროხის ხეობას), იგი ამ ტერიტორიების განთავისუფლებას რუსეთის არმიისაგან თურქეთის შევიწროებად თვლიდაო. ასეთ დიდად განსწავლულ პიროვნებას კი შეუძლებელია არ სცოდნოდა ჩვენი ერის ისტორია და კულტურაო, მით უმეტეს, რომ ფრიდრიხ დიდმა იცოდა საქართველოს წარსული და დიდ შეფასებას აძლევდა მეფე ერეკლე მეორეს და მის მხედრულ ნიჭსო. და საქართველოსა და რუსეთის ხელშეკრულებაში (1783 წლისა), რომელსაც ევროპა იცნობდა, ხაზგასმული იყო რუსეთის მიერ ზემო-ქართლის, ე. ი. ჭოროხის ხეობის განთავისუფლების ვალდებულებაო. იქვე.

თავი მეხუთე

ილია ისტორიის თეორიული საკითხების თაობაზე

"მეცნიერებამ უნდა გვიშველოს თავის გამოცნობილ ჭეშმარიტებებით ცხოვრების ახსნა და გაგება".

"...აღდგენა ისტორიისა – ერის გამოცო-ცხლებაა, გამომხნეევებაა, აწმყოს გაგება და წარმართვაა, მერმისის გამორკვევაა სიბნე-ლისაგან";

"ისტორია იმითია დიდი, რომ გვაჩვენებს ჩვენ წინაპართა ცთომილებას, მასთანავე გვასწავლის ჭკვასა, როგორ უნდა მოვიქცეთ".

ილია.

1. სამწუხარო ფაქტია, რომ ქართული ისტორიოგრაფიის (საისტორიო მეცნიერების) ისტორია დღეს საეალალო მდგომარეობაში იმყოფება. არადა, ამ დარგს მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა ივანე ჯავახიშვილმა თავის 1916 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში: „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა" (მანვე 1935 წელს გამოაქვეყნა „ძველი სომხური საისტორიო მწერლობა"). რასაკვირველია, კონკრეტული ცოდნის დღევანდელ დონეზე ჩვენი ტრადიციული ისტორიოგრაფია (ძირითადად 1801 წლამდე, თუმცა მსგავს გარკვეულ ცდებს ამის შემდგომაც ჰქონდა ადგილი), ახლებურად გააზრებას საჭიროებს. მით უფრო ბევრად მეტის გაკეთებაა საჭირო XIX და XX საუკუნეების ქართული ისტორიოგრაფიის შესაწავლად. რიგი ისტორიკოსებისა საერთოდ შეუსწავლელია, ერთიანი განმაზოგადებელი ნაშრომი კი საერთოდ არ გაგვაჩნია.

ეს დიდად შეუწყნარებელი გარემოებაა ჯერ ერთი თავისთავად ქართული საისტორიო მეცნიერების თვალსაზრისით და მეორე, მომავალი ისტორიკოსების სწავლების აზრითაც. ამიტომაა რომ, თუმცა აღნიშნულ საუკუნეებში მოღვაწე ისტორიკოსთა ნაწილი ცალ-ცალკე შეისწავლება, მაგრამ მთლიანობაში მათი როლი და ადგილი გაურკვეველი რჩება. რასაკვირველია, უახლოეს წარსულში იყო ცდები ამ მიმართულებით, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ მათ მნიშვნელოვანი წარმატება ჰქონოდეთ. ეს კი იმ უბრალო მიზეზით მოხდა, რომ ამა თუ იმ ისტორიკოსის სოციალური კუთვნილების გააზრებას ცდილობდნენ ვულგარული სოციოლოგიზმის პოზიციებიდან.

ასე რომ, იშველიებდნენ ამგვარ სქემას: თავადაზნაურული (შემ-

დგომში გამოჰყვეს პროგრესულ-ლიბერალური და რეაქციული, კონსერვატული მიმდინარეობანი), ბურჟუაზიული, ხოლო ამის შიგნით – ასევე წერილბურჟუაზიული, შემდეგ პროლეტარული ანუ „მარქსისტული" მიმდინარეობანი. გარდა იმისა, რომ მსგავსი სქემა ძალზე აძნელებდა შესაბამისი ხანის ქართველ ისტორიკოსთა ნააზრევის გაცნობიერებას, ყურადღების მიღმა რჩებოდა საისტორიო ცნობიერების შინაარსი. მეცნიერები არ დაეობენ, რომ გამოჩენილი ფრანგი ორიენტალისტი მარი ბროსე გახლდათ ახალი ეტაპის შემქმნელი ევროპულ ქართველოლოგიაში და მართლაც, ამაში საკამათო არაფერია. მაგრამ მარი ბროსეს (1802 – 1880) მიერ დაწყებული ახალი ეტაპი საქართველოს ისტორიის შესწავლაში ხომ თავისთავად ქართულ ისტორიოგრაფიაშიც თვალსაჩინო ეტაპი იქნებოდა. განა მისი ევროპელი წინამორბედები შესაბამისი ეპოქის ქართველ კოლეგებს, რბილად რომ ვთქვათ, რამეთი ჩამორჩებოდნენ? უფრო არსებითად რომ ვიმსჯელოთ, მარი ბროსემ ქართულ ისტორიოგრაფიაში მკვეთრად დაამკვიდრა კრიტიკული (ისტორიულ-ფილოლოგიური) მეთოდი. ე. ი. მან ახლებურად გაიაზრა ქართული საისტორიო წყაროებისადმი მიდგომის საკითხი. აქედან გამომდინარე, ახლებურად გაიმართა ქართული არქეოგრაფიაც. გამოჩენილი ფრანგი სწავლული შეეცადა საქართველოს ისტორიის ახლებურ დაწერას. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ იმჟამინდელი ქართული საისტორიო აზროვნება ჩართული იყო თანადროულ დასავლეთევროპულ და რუსულ შესაბამის აზროვნებასთან, რაც, რა თქმა უნდა, მძლავრი სტიმული გახდა ქართული ისტორიოგრაფიის შემდგომი აღმავლობისათვის.

შექმნილ სამეცნიერო ბაზაზე დაყრდნობით საისტორიო აზროვნება გააგრძელა პროფესიონალმა ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ და მასთან ერთად ილიამ, რომელსაც მრავალ ნიჭთან (ტალანტთან) ერთად ისტორიკოსის ნიჭიერებაც ჰქონდა.

ამდენად, თუ უპირველესად საისტორიო აზროვნების შინაარსიდან ამოვალთ, მაშინ ნათელი გახდება ქართული ისტორიოგრაფიის საკმაოდ მაღალი დონე. ჩვენი იმჟამინდელი წინაპრებისათვის ცნობილი იყო ჰერბერტ სპენსერის, ჰენრი თომას ბოკლის, ჰენრი მენის და მრავალ სხვათა ნააზრევი. მალე საქართველოს ისტორიის ახლებურად დაწერას შეეცადა დიმიტრი ბაქრაძე (1826 – 1890), რომელმაც თხრობა X საუკუნის ჩათვლით აწარმოა (სამწუხაროდ, მას აღარ დასცალდა მეორე ტომის დაწერა).

ილიას, როგორც ისტორიკოსის შესახებ კამათი წარმოებდა

უპირველეს ყოვლისა, ჩვენი დიდი მოაზროვნისა და მამულიშვილის სოციალური კუთვნილების თაობაზე. დაასკვნიდნენ, რომ იგი გახლდათ წარმომადგენელი თავადაზნაურთა კლასისა (განურჩევლად მისი პროგრესული თუ რეაქციულ-კონსერვატიული მიმართულებისა), შემდეგ იგი ჩათვალეს ლიბერალური თუ პროგრესული თავადაზნაურობის წარმომადგენლად. იყო ცდაც ილიას გლეხობის, როგორც კლასის იდეოლოგოსად წარმოდგენისა. ამ პიროვნების ისტორიოგრაფიული (ფართო აზრით) ნააზრევი დიდად უფასურდებოდა მისი გამოცხადებით 1890-იან წლებში გამოსული თაობის (ნოე ჟორდანია,ფილიპე მახარაძე და სხვანი) წინამორბედად. ილუზია ამ უკანასკნელთა (აგრეთვე ალექსანდრე წულუკიძის, ლადო კეცხოველისა და იოსებ ჯუგაშვილის) ნამდვილი მარქსისტობისა და პროლეტარულობის თაობაზე იმდენად მძლავრად ბოგინობდა[1], რომ რეალურად ვერ აღიქვამდნენ მათს ნამდვილ ისტორიოგრაფიულ ნააზრევს. რა თქმა უნდა, a priori ცხადია, ეს ნააზრევი მაღალი ფასეულობისად ცხადდებოდა, მაგრამ თუ ამის ნამდვილობიდან გამოვალთ, მაშინ ისტორიოგრაფიის წინარე ეტაპი ძალზე ფერმკრთალდებოდა.

ცნობილია, რომ XIX საუკუნე ფრიად გარდამტეხი ფაზა გახლდათ აგრეთვე ქართული საზოგადოებრივი აზროვნების თვალსაზრისით. ეს ეხება, ცხადია, ქართულ ისტორიოგრაფიასაც. ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, სოლომონ დოდაშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, თეიმურაზ ბატონიშვილისა და სხვათა საისტორიო აზროვნება აშკარად სცილდება ძველ ტრადიციულ აზროვნებას, რომლის მიხედვითაც იწერებოდა „ქართლის ცხოვრება". ვიმეორებთ, მით უფრო ითქმის ეს მარი ბროსეს მიმართ. ამ პერიოდის ქართველი მოაზროვნენი კრიტიკულთან ერთად კარგად ფლობდნენ ისტორიულ-შედარებით მეთოდსაც. მსგავსი თეორიული ბაზა კი თავის მხრივ სოლიდური საფუძველი გახდა ახალი საისტორიო აზროვნებისათვის. კერძოდ, ასე დაიწერა ილიასეული „აი ისტორია" (1889 წელს) და „ქვათა ღაღადი" (1899 წელს), რომლებიც მიმართული იყო საქართველოს ისტორიული პროცესის ადგილობრივი – ივანე ჯაბადარის (1852 – 1913) და უცხო (ქეროპე პატკანოვისა და სხვათა წინააღმდეგ). თუ უწინ ილია ისტორიას გადმოსცემდა მხატვრულად („აჩრდილი", „მეფე დიმიტრი თავდადებული") და პუბლიცისტური სახით (მოვიგონოთ წერილები დავით აღმაშენებლის, ლუარსაბ წამებულის, გიორგი სააკაძის, ერეკლე მეორისა და სხვათა შესახებ), ამჯერად

ადგილი ჰქონდა სათანადო თეორიულ-მეთოდოლოგიურ ბაზაზე სერიოზული საისტორიო ნაშრომების შექმნას. ამდენად უეჭველი ხდება ილია ჭავჭავაძის ნამდვილი ისტორიკოსობა.

ამჯერად იმასაც დაეუმატებთ, რომ ზოგჯერ ისტორიკოსები (მათ შორის ნიკო ბერძენიშვილიც), ცდილობდნენ რა აღმავალი ლოგიკური ხაზის დანახვას დიმიტრი ბაქრაძისა და ილიას შემდგომ, ამას ხედავდნენ ქართველ მარქსისტთა შეხედულებებში (შევნიშნავთ, რომ ეს უკანასკნელნი ძირითადად XIX საუკუნის ისტორიული სიტუაციის გაცნობიერებით იფარგლებოდნენ, ხოლო თუ უწინდელ პროცესსაც შეეხებოდნენ (მაგალითად, ნოე ჟორდანია, ფილიპე მახარაძე), იმდენად მდარე აზრებს გამოსთქვამდნენ, რომ ამჟამად ღიმილის მომგვრელია. მეცნიერულადაც და ეროვნული თვალსაზრისითაც ილიასა და დიმიტრი ბაქრაძის ხაზი გააგრძელა ივანე ჯავახიშვილმა. სხვანაირად რომ ვთქვათ, მისეული „ქართველი ერის ისტორიის" ხუთტომეული და სხვა ნაშრომები ლოგიკური დაგვირგვინება გახლდათ წინამავალი ქართული ისტორიოგრაფიისა, რომლის ახალი ეტაპი დააფუძნა მარი ბროსემ.

2. ქართველ სამოციანელთათვის, განსაკუთრებით ილიასათვის, ისტორიოგრაფია ოდენ ცნობისმოყვარეობის წყურვილის დაკმაყოფილების საშუალება როდი იყო. იგი წარმოადგენდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეოლოგიის შემადგენელ ნაწილს. კითხვაზე: „რა არის ისტორია?" – ილია ასე პასუხობდა: „იგია მთხრობელი იმისა თუ რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყენეთ კეალავადაც. ისტორია თავის გულისფიცარზე იჭდევს მარტო სულისა და გულის მოძრაობას ერისას და ამ დაჭდევითა, როგორც სარკე, გვიჩვენებს იმ ღონეს და საგზალს, რომელიც მომადლებული აქვს ამა თუ იმ ერსა დღეგრძელობისათვის და გაძლიერებისათვის'[2]. იგივე აზრი მხატვრული ფორმით ასეა გადმოცემული: „ისტორია იგი დიდებული ტაძარია, საცა უწირავს ერთიან სულსა ერისას'[3]. აქედან გამომდინარე, გასაგებია, რომ „დაეიწყება ისტორიისა მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წაწყმედისაცა, წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო –მომავლისა. ეს სამი სხვადასხვა ხანა, სხვადასხვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთში გადაბმული, რომ ერთი უმეოროდ წარმოუდგენელია, გაუგებარია და გამოუცნობია... ეს სამთა ჟამთა ერთმანეთზედ დამოკიდებულება კანონია ისეთივე შეურყეველი და გარდუვალი, როგორც ყოველივე ბუნებური კანონი'[4].

როგორც ვხედავთ, ილიასათვის წარსული ოდენ თავისთავადი,

აწ უკვე არარსებული კი არაა, არამედ იგი მყოფობს, არსებობს აწმყოში და როგორც ასეთი, თავის დაღს ასვამს ერის მომავალ ყოფიერებასაც. აქედან გამომდინარე, ილიასათვის ნამდვილი ისტორიკოსი წარმოუდგენელია მხოლოდ როგორც არქივარიუსი, არამედ ჩართული და მონაწილე თანამედროვე ცხოვრებისა. რასაკვირველია, აუცილებელი გახლდათ სათანადო ნიჭიერებაც. ამ თვალსაზრისით დიდად საყურადღებოა ილიასეული აზრები: „ყველა დროს თავისი ტკივილი აქვს და გაგება ამ ტკივილისა ხვედრია მარტო ჩინებულ კაცებისა, და ჭეშმარიტი მეისტორიე, ვითარცა განმკითხველი, ჯერ იმ დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს და მერე განიკითხოს თვით დროების შვილნიცა"[5]; საპროგრამო წერილში „საქართველოს მოამბეზედ" კი ვკითხულობთ: „...ცხოვრება რაც გუში იყო, ის დღეს აღარ არის, რომ იგი იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველისფერისა. წესი, ჩვეულობა, აზრი, გრძნობა, ენა რომელიც მაგათი გამომეტყველია, ყოველიფერი იცვლება მის ძლიერ გავლენისაგან... დიდი გენიოსი უნდოდა და იმისი მახვილი ჭკვის თამამი გამჭვრეტელობა, რომ... მსჯელობით დროებაზედ მაღლა ავმართულიყავით, საზოგადო ცხოვრების წრის გარეთ გამდგარიყავით და გარემოების თვალთდამაბნელებელ ხაოსშია შეუმცდარად, წმინდა აზრით დაგვენახა საგანი ისე, როგორც არის და უნდა იყოს"[6]. ამდენად ილიასათვის ცხადზე ცხადი იყო ისტორიის (როგორც სინამდვილის პროცესის, ისე შესაბამისი აზროვნების) უძირითადესი კანონი, რომელიც წარსულის, აწმყოსა და მომავლის განუყრელ ერთიანობას გულისხმობს. ცხადია, ამას ფართო გონებრივი თვალსაწიერი (ისტორიული) ესაჭიროება და ილია ფლობდა ამას. ცხადია, ვიწრო სპეციალიზაციის პირობებში, მსგავსი ხედვა გამორიცხულია.

თვითონ ილიას, უეჭველია, გააჩნდა ისტორიკოსის ის ნიშან-თვისებაც, რომელიც გაცხადებულია სიტყვებში: ჭეშმარიტი „მეისტორიე, ვითარცა გამკითხველი, ჯერ იმ დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს და ისე გააცნობიეროს შესაბამისი ეპოქა და მისი მოღვაწენი. სხვანაირად შეფასებებს აზრი ეკარგება (ივანე ჯავახიშვილი ამის თაობაზე წერდა: „საისტორიო მეცნიერებაში ამას ისტორიული პერსპექტივის აუცილებლობა ეწოდება და მართლაც, ცხადია, რომ უამისოდ წარსულის არც ერთ შეფასებას ღირებულება არ ექნება"[7]).

გასაგებია, რომ აწმყოს მეცნიერული გაგება წარმოუდგენელია წარსულის გარეშე, რაც კიდევ უფრო აქტუალურს ხდის ისტორიის

შესწავლის საკითხს[8]. ილია წერდა: „არ არის არც ერთი მხარე ჩვენი ცხოვრებისა, როგორც სხვისაც, რომ რაიმე წარსულის ნაშთი ზედ არ შერჩენოდეს, ხოლო ამ ნაშთის დღეს ჩვენ აღარა გაგვეგება რა, ვიმეორებთ, იმიტომ, რომ დავიწყებული გვაქვს მისი ამხსნელი და განმმარტებელი ისტორია"[9]. ყოველივე ამის გამოა რომ „აღდგენა ისტორიისა ერის გამოცოცხლებაა, გამხნევებაა, აწმყოს გაგება და წარმართვაა, მერმისის გამორკვევაა სიბნელისაგან"[10].

ყოველივე ზემოაღნიშნული გვაძლევს სრულ საფუძველს დავასკვნათ, რომ ილიას აზროვნება ისტორიის სფეროში ისტორიის ფილოსოფიამდე იყო ასული. საერთოდ, იმ ხანის საქართველოში ფილოსოფიის ამ დარგის არსებობის თაობაზე იცოდნენ და, ცხადია, ილიას უსათუოდ დაეჯერება, როცა ამბობს, რომ ამას ბოროტად იყენებდნენ. იგი წერდა: „...ეს ხომ ანბანია ისტორიის ფილოსოფიისა, რომლის კალთას ხშირად გადიფარებენ ხოლმე ბალღების მოსატყუებლად გალაღებულნი უვიცნი, როცა ტყუილების ბადეში გაებმიან და სხვა გასამართლებელი არა აქვთ-რა"[11].

დაბოლოს ვიტყვით კიდევ ერთი მნიშვნელობის შესახებ, რომელსაც ილია ისტორიას (ისტორიოგრაფიას) ანიჭებდა: ჩვენის ფიქრით, „არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანებს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა. ერი ერთი ღვაწლის დამდები, ერთს ისტორიულს უღელში ბმული, ერთად მებრძოლი, ერთსა და იმავე ჭირსა და ლხინში გამოტარებული ერთსულობით, ერთგულებით ძლიერია"[12]. აქ, როგორც ვხედავთ, ისტორიის ერთობა ერის მნიშვნელოვან ნიშან-თვისებადაა გამოცხადებული და ამაში ილია ერთ-ერთი პირველი გახლდათ მსოფლიო მასშტაბითაც კი. ამის შესაბამისად მის მიერ წარმოჩენილია ისტორიოგრაფიის სათანადო მნიშვნელობაც.

3. გასაგებია, რომ ისტორიის (მეცნიერების) მსგავსი ხედვა, სათანადო ამოცანების დასახვა სხვაგვარ მსოფლმხედველობასა და მეთოდოლოგიას გულისხმობდა, ვიდრე ეს გააჩნდა ტრადიციულ ქართულ ისტორიოგრაფიას. უპრიანია აქ ვაჟა-ფშაველას აზრი მოვიხმოთ: „რა სანდობია თუნდ გულუბრყვილო მემატიანე, რომელიც ერთთავად ზეცაღმერთს (!) აბრალებდა ქვეყნის თავზე მოვლენილს უბედურებას, სიმშილობა, სნეულება ან მტრისაგან ქვეყნის აოხრება ცოდვათა ჩვენთა მოგვიელინესო, იტყოდა, დასწერდა და, სრულად დაკმაყოფილებული იმით, რომ მიზეზი აღმოაჩინა, დაასვენებდა ბატის კალამს"[13]. ისტორიის პროვიდენციალისტური გაგების მაგიერ

დღის წესრიგში დადგა მეცნიერული, კერძოდ, მიზეზ-შედეგობრივი განხილვა, რაც, ბუნებრივი ნიშან-თვისება გახდა ქართული ისტორიოგრაფიის ახალი ეტაპისათვის.

ძველ ქართველ მემატიანეთათვის მთავარი იყო პოლიტიკური ისტორიის ჩვენება. აქაც გამოირიცხებოდა ქვეყნის სოციალურად გაბატონებული ზედაფენა – თავადაზნაურობა და მთავარი ყურადღება ექცეოდა დინასტიათა (ფარნავაზიანების, ხოსროიანებისა და ბაგრატიონების) ურთიერთცვლასა და შესაბამისი მეფეების მონაცვლეობას, მათ საქმეებს (ძირითადად, რა თქმა უნდა, პოლიტიკურს). ილიამ ამ მხრივაც დიდად გააფართოვა ისტორიოგრაფიის შესამეცნებელი საგნის ფარგლები. იგი აღნიშნავდა: „ეგ ოხერი ჩვენი ისტორია... მარტო ომებისა და მეფეების ისტორიაა, ერი არსადა ჩანს, მე კი ასეთის აგებულების ადამიანი ვარ, რომ მეფეების და ომების სახე არ მიმიზიდავს ხოლმე. საქმე ხალხია და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში (იგულისხმება ისტორიოგრაფია – **გ. ყ.**) არა ჩანს. ვწუხვარ და ვდრტვინავ და განკითხვა არსაით არი"[14]. სხვაგანაც ეკითხულობთ: „ჩვენი ხალხისა და ქვეყნის ისტორია მეტად ბნელია და შეუმუშავებელი. ჩვენს ისტორიაში ან სულ არ არის ფაქტები ჩვენის ხალხის ცხოვრების შესახებ და, თუ არის კანტი-კუნტად სადმე, ისიც მეტად საეჭვოა. ჩვენ ვამბობთ მარტო იმისთანა ფაქტების თაობაზედ, რომელშიაც ერთობ ხალხი იჩენს თავის-თავსა, თავის თვისებასა, თავის მონაწილეობასა ისტორიაში.

ერთის სიტყვით, ჩვენის შიდა-ცხოვრების ისტორია ჯერ ფარდაუხდელია და უცნობი ჩვენგან. ჩვენი „ქართლის ცხოვრება" ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი, როგორც მომქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული". თითქო ხალხის ისტორიის შესამეცნებლად საკმაოა კაცმა იცოდეს მარტო მეფეთა ისტორია. თითონ მეფეთა მოქმედებაც ნაჩვენებია საგარეო საქმეთა შესახებ და არა შესახებ შიდა-საქმეთა"[15]. ილია ამჯერადაც, როგორც ვხედავთ, მოწინავე მსოფლიო-ისტორიოგრაფიულ დონეზე იდგა.

რასაკვირველია,როდესაც ილია ლაპარაკობდა ხალხის ამგვარ იგნორირებაზე ჩვენს ისტორიაში, გულისხმობდა ტრადიციულ ისტორიოგრაფიას, კერძოდ „ქართლის ცხოვრებას". მაგრამ ეს როდი ნიშნავს რომ ასევე იყო სინამდვილეში. ილიასათვის ეჭვსგარეშეა ხალხის თვალსაჩინო როლი ჩვენს ისტორიაშიც, თუმცა ეს მომენტი, გარკვეული მიზეზების გამოისობით, ისტორიოგრაფიაში არ ასა-

ხულა. ეს ხარვეზი კი უნდა გამოესწორებინა ახალ, აღორძინებულ ქართულ ისტორიოგრაფიას. თავის მხრივ ახალი ამოცანა გულისხმობდა ეკონომიკის, ჩვეულებების, ფოლკლორისა და ა. შ. სათანადო წარმოჩენას, რა ფაქტორებშიც „ხალხი" (გლეხკაცობასთან ერთად იგულისხმება თავადაზნაურობაც) იჩენს თავს.

4. ამდენად ილიას მიერ მკვეთრად გახაზულ იქნა ეკონომიკური ფაქტორის როლი ისტორიაში. კერძოდ „რა შეგვინახავდა ამ ერთ მუჭა ხალხ ამ ორიათას წელიწადს ამოდენა დაუძინებელ მტრებს შორის, რათ და როგორ შეგვარჩენდა ხარბობა უცხო თემთა ამ მშვენივრად შემკულს წალკოტსა, რომელსაც საქართველოს ეძახიან, თუ ჩვენს წარსულს ჩვენი ცხოვრების საძირკველში მაგარი ქვა არ ჩაედგა"[16]. ილია ამის ძირითად მიზეზს ხედავდა ჩვენს სპეციფიკურ ეკონომიკურ წყობაში, კერძოდ, საკუთრების (მიწაზე) სამართლიან განაწილებაში. მის მიხედვით საქართველოში ფართოდ იყო (თანაც დიდხანს!) გავრცელებული სასოფლო თემი, სადაც საზოგადო და კერძო მიწის ფონდები ზომიერად იყო გადანაწილებული. მაშინაც კი, როცა კერძო მფლობელობა გაბატონდა, ტყეზე და საძოვრებზე კვლავ საზოგადო საკუთრება გახლდათ გაბატონებული. ილიას აზრით, მსგავსი ვითარება განაპირობებდა ნორმალურ ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას, რის წყალობითაც ქართველობა თავს იცავდა უამრავ მომხდურ მტერთაგან. იმ პირობებში თუ ბოგანო, უმიწაწყლო მოსახლეობა მომრავლდებოდა, მაშინ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობაც დიდად დაქვეითდებოდა. იგივენაირ დადებით ეფექტს იძლეოდა შრომის სოციალური დანაწილება თავადაზნაურობასა („ხმალსა") და გლეხობას („გუთანს") შორის (იხ. „ცხოვრება და კანონი").

ჩვენ ამჯერად განზე ვტოვებთ საკითხს იმის თაობაზე, თუ რამდენად სწორია ილიასეული ამგვარი შეხედულება. მთავარია, რომ საკითხის ასეთი დაყენებით მან, დიმიტრი ბაქრაძესთან ერთად, ახალი სიტყვა თქვა ქართულ აზროვნებაში. მაგრამ აქედან ბევრმა ქართველმა ისტორიკოსმა, საბჭოური მენტალიტეტიდან გამომდინარე, დაასკვნა, რომ ილია თითქმის უკვე მიდიოდა ისტორიული მატერიალიზმის აღიარებამდე. ასეთი მტკიცება უაღრესად მცდარია და კრიტიკულ შემოწმებას ვერ უძლებს თუნდაც უშუალო ფაქტებით. სხვა ადგილას კითხვაზე: „რა აახლებს, რა სცელის და – თუ ცხოვრება ჯანმრთელია – რას მიჰყავს წინ?" – ილია

პასუხობდა – „ცოდნასა, მეცნიერებასა, რომელნიც თვითეე ცხოვრების ნაყოფნი არიან"[17]. სხვაგან კი იგი გახაზავდა მორალის, რელიგიისა და სახელმწიფოს გადამწყვეტ მნიშვნელობას. კერძოდ, იგი ამასაც აღნიშნავდა: „ჩვენ, რა თქმა უნდა, ჩვენს ხუროთმოძღვრებას ამისთანა (საბერძნეთისა და რომისას – **გ. ყ.**) მნიშვნელობას არ ეაძლევთ", „მხოლოდ ვამბობთ, რომ ერს შეხვდება ხოლმე დრო, როცა, თუნდ მონასტრებისა და ტაძრების შენებით – წყურვილს სულისას იკლავს ხოლმე. ეს საპატიო წყურვილია, იმიტომ რომ სათავე წარმატებისა ეს წყურვილია და სხვა არარა".[18] ილია შორს იდგა ისტორიის მონისტური გაგებისაგან, მით უმეტეს არ მდგარა ძირითადად მატერიალისტურ საფუძველზე, იგი იხრებოდა პლურალისტური გაგებისაკენ, რომლის მიხედვითაც ისტორიული პროცესის საფუძველი რამდენიმე მხარეში, ფაქტორში მდგომარეობს. ეს კარგად შენიშნა ივანე ჯავახიშვილმა, როდესაც აღნიშნავდა: „მას (ილიას – **გ. ყ.**) ისტორიული პროცესის საფუძველი და ამამოძრავებელი ძალა აინტერესებდა, ხოლო შემდეგ მოვლენათა შეფასებაც. ამასთანავე მისი რწმენით მთავარი ყურადღება შინაგანს, ე. ი. სოციალ-ეკონომიურსა და კულტურის პრობლემებს უნდა მიჰქცეოდა"[19].

5. ილიას საყვედურობდნენ, რომ იგი ისტორიაში კლასთა ბრძოლას უარყოფდა. ესეც გამოწვეული იყო საბჭოთა ისტორიკოსთათვის დამახასიათებელი დოგმატიზმით, რაც, ნაწილობრივ, სოციალ-დემოკრატებისაგან (როგორც „მენშევიკების", ისე „ბოლშევიკებისაგან") მოდიოდა, ნაწილობრივ კი ხდებოდა მხოლოდ მოარული შესაბამისი ციტატების მოშველიებით. სინამდვილეში კლასობრივი ბრძოლის კანონზომიერება დიდ მოდიფიკაციას განიცდიდა მცირერიცხოვან და მით უმეტეს დაჩაგრულ (ეროვნულად) ხალხებში. ამის გამოისობით წინა პლანზე წამოიწევდა ხოლმე საერთო მიზანი – ქვეყნის განთავისუფლება დამპყრობელთაგან, რის შედეგადაც სოციალური ანტაგონიზმი უკანა პლანზე ინაცვლებდა. ვიმეორებთ, ილია და სხვა თერგდალეულნი ამის აღიარებისას მართალნი იყვნენ (სხვათა შორის, აღნიშნულ გარემოებას თვითონ კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსიც აღიარებდნენ), ხოლო ცდებოდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები. რაც შეეხება ფეოდალური და ახალი, ბურჟუაზიული ხანის დასავლეთ ევროპას, ილია აშკარად მიუთითებდა წოდებათა და კლასთა ბრძოლას ჯერ თავადაზნაურობასა და მესამე წოდებას, ხოლო შემდეგ – ბურჟუაზიასა და მუშათა კალასს შორის.

შედარებით პლანში კი ილია აღნიშნავდა: თუ „დამოუკიდებელ ქვეყნებში კლასთა და წოდებათა ბრძოლას მოსდევს უფლებისა (პოლიტიკური ძალაუფლების – **გ. ყ.**) და ქონების გადასელა ერთი ნაწილიდან იმავე ერის მეორე ნაწილის ხელში და ქვეყანა ამით არას ჰკარგავს, ჩვენში კი შინაურ ბრძოლის გამწვავებას ის საკალალო შედეგი მოყვება, რომელიც დაემართა ორს მოჩხუბარს მამლაყინწას გურამიშვილის პოემაში". თუ ერთ დროს ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში აღნიშნული გარემოება დიდ დავას იწვევდა, ამჟამად, მწარე ისტორიული გამოცდილების შედეგად, ჩვენ უკვე ვუწყით ილიასეული პოზიციის ჭეშმარიტობა.

6. საზოგადოებაში კლასთა ბრძოლის საკითხის გაშუქებისას ილია მხოლოდ ამით როდი იფარგლებოდა; იგი პრობლემას განიხილავდა ხალხთა, ერთა ურთიერთობების ასპექტშიც. „მარქსისტ" დოგმატიკოსთაგან განსხვავებით, ისტორიული პროცესი ოდენ ერთი საზოგადოების გაგებით როდი შემოიფარგლება, არამედ უნდა გამოვდიოდეთ იმ მოსაზრებიდანაც, რომ ისტორია ეთნოსთა, ხალხთა, ერთა ბრძოლის არენაც გახლავთ. ამაში კი სოციალურ-დარვინიზმი სწორი გახლავთ. მართლაც, ისტორიაში ხდება ბრძოლა არსებობისათვის (ხალხთა შორისაც), სადაც იმარჯვებს უფრო სიცოცხლისუნარიანი ეთნოსი. მოგეხსენებათ, ამ საკითხზე საბჭოურ ფილოსოფიასა და ისტორიოგრაფიაში ტაბუ იყო დადებული, რასაც ვერ გადაურჩა ქართული ისტორიოგრაფიაც. ახლა დროა გავიხსენოთ ჩვენი დიდი წინაპრის აზრი ამ საკითხის თაობაზე. იგი წერდა,რომ ქონებას მოკლებული ერი „ღონემიხდილი ლომია, უხორთუმო სპილოა იმ მწვავეს და დაუნდობელ ომში, როგორსაც არსებობის ბრძოლას ეძახიან. ამ ბრძოლაში ყურთმაჯთ ბრიალი, ხმალთა ტრიალი, ცხენიდან ხტომა და კვლავ შეხტომა[20] ვერაფერი თამასუქია გამარჯვებისა, ვერაფერი ღონეა"[21]. მოვიგონოთ, რომ დიდი ინგლისელი ბუნებისმეტყველის ჩარლზ დარვინის მოძღვრების გავლენით მეცხრამეტე საუკუნეში წარმოიშვა ახალი მიმდინარეობა სოციოლოგიაში – სოციალურ-დარვინიზმი, რომლის პირველ მქადაგებლად მოგვევლინა ჰერბერტ სპენსერი (მანამდე, დარვინისაგან დამოუკიდებლად, მსგავს აზრს ავითარებდა თომას მალთუსი). ამ დიდი ინგლისელი ფილოსოფოსისა და სოციოლოგოსის აზრები კი სწრაფად და ფართოდ გავრცელდა იმდროინდელ მოწინავე მსოფლიოში, მათ შორის, რა თქმა უნდა, რუსეთსა და საქართველოში. ეჭვს გარეშეა, რომ ილია იცნობდა შესაბამის იდეებს. მაგრამ ოდენ თეორიული მომენტი როდია

მთავარი, იმდროინდელი მკაცრი ისტორიული სინამდვილეც იოლად საცნაურს ხდიდა მსგავს აზრს. ქართველობა, როგორც ვიცით, ერთი მხრით განიცდიდა რუსეთის დიდ დაწოლას, ხოლო მეორე მხრით – შეეიწროებას უცხოური, კერძოდ სომხური ბურჟუაზიისაგან. ყოველივე ამის შედეგად ილახებოდა ქართული კულტურისა და ხასიათის თავისთავადობა, საქართველო პოლიეთნიკური ქვეყანა ხდებოდა და დაბოლოს, მისი მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი სომხური და სხვ. პლუტოკრატიის ხელში ხვდებოდა. მაგრამ ამგვარი დაწოლით, ცხადია, მხოლოდ ილიას თანადროული საქართველო არ გამოირჩეოდა, ასე იყო ჩვენი ისტორიის უმეტეს პერიოდებში. ილიამ, როგორც ცნობილია, სცადა გაეაზრებინა ჩვენი ერის გადარჩენის მიზეზი, რაზედაც უკვე მოგახსენებდით.

ამრიგად, წარმოვაჩენთ რა სოციალური დარვინიზმის იდეებს ილიას ნააზრევში, ამით კიდევ უფრო გამოიკვეთება ის სოლიდური თეორიული ბაზა, რასაც ეფუძნებოდა ჩვენი დიდი წინაპრის საისტორიო შეხედულებანი.

7. ილიას დროს კერძოდ საზოგადოებრივ მეცნიერებებში დიდად გავრცელებული იყო ევოლუციონიზმი, რის გავლენასაც, ჰეგელიანიზმთან ერთად, განიცდიდა ჩვენი დიდი წინაპარიც. ეს მიდგომა გამოვლინდა მსოფლიო-ისტორიული პროცესის, განვითარების ერთნაირად წარმოდგენაში. იგი წერდა: „რაც უნდა ერთმანეთზედ დაშორებულნი ქვეყნები აიღოთ და სულ სხვადასხვა თვისებისანი, – ამბობს გამოჩენილი მეცნიერი ემილ დე-ლაველე – ნახავთ, რომ ეკონომიური მსვლელობა და განვითარება ყველგან ერთგვარი და ერთნაირი ყოფილაო. ამასვე ეთანხმება საფრანგეთის მეცნიერი ტოკვილი"[22].

თუმცა ილია მკვეთრად გახაზავდა სასოფლო თემის უძველესობას, საიდანაც განვითარება დაიწყო ყველა ხალხმა, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩნდება რიგი კითხვებისა. იგი, რასაკვირველია, კარგად ერკვეოდა იმაში, რომ პირველყოფილი საზოგადოებისათვის კარგა ხნის განმავლობაში მიწათმოქმედება უცნობი იყო. ამის თაობაზე მას კერძოდ ინგლისელ ეთნოლოგოსების (ედუარდ ტაილორი, ჯონ ლებოკი და სხვ.) საკმაო ცოდნა გააჩნდა. ამდენად უნდა ვიგულისხმოთ, რომ ილიასათვის სასოფლო თემი შემდეგ გაჩენილი მოვლენა იყო. კერძოდ, საქართველოში მსგავსი სიტუაცია თითქოს დიდი ხნის წინათ დამყარებულა. რაკი იგი ერთი მხრივ დამოუკიდებლად, სტიქიურად წარმოიშვა, სახელმწიფოც, თავის მხრივ, ილიას აზრით, ხელს უწყობდა მსგავსი სოციალური ინსტიტუტის

არსებობას, ე. ი. მიწის სამართლიან განაწილებას.

შევნიშნავთ, რომ კერძოდ საქართველოში სასოფლო თემის არსებობის იდეა და ერთ დროს მისი გაბატონებული ხასიათი ფრიად მისასალმებელია და ამ მხრივაც ილიას წვლილი ქართულ ისტორიოგრაფიაში დასაფასებელი გახლავთ. მაგრამ მეორე მხრივ საკითხავია ჩვენში მისი დიდი ხანგრძლივობისა და სიცოცხლისუნარიანობის მტკიცება თუ რამდენად უძლებს კრიტიკულ გამოცდას. თუკი ასეა, მაშინ ილიას თვალთახედვის მიხედვით გამოდის, რომ საქართველოში ფეოდალიზმი (ზოგჯერ მის შესატყვისად ილია ხმარობდა „ფეოდალობას") XI – XII საუკუნეებშიც კი არ ყოფილა, თუმცა ქვეყნის სოციალური და პოლიტიკური წინსვლა ამ ხანაში აშკარაა. ამდენად, თუ მარქსისტულ სოციოლოგიურ აზროვნებას მოვიხმობთ, მაშინ გამოდის, რომ აზიური წარმოების წესი ჩვენს ქვეყანაში არსებობდა დიდი ხნის წინათ, თვით XI – XII საუკუნეებშიც და რამდენიმე საუკუნეშიც. თუ ამას დაეუმატებთ ილიასეულ აზრს „ხმლისა და გუთნის" თანამშრომლობის შესახებ („ცხოვრება და კანონი") სათანადო ეკონომიკური ბაზის გარეშე, მაშინ ქართული ფეოდალიზმიდან დიდი არაფერი არ შეგვრჩება. როგორ ავხსნათ ეს გარემოება?

ისტორიკოს შოთა ბადრიძის შეხედულებით „ყოველად მოუხერხებელია (!) ფიქრი, რომ ილია ჭავჭავაძისათვის უცნობი იყო ქართული ისტორიოგრაფიის უთვალსაჩინოესი წარმომადგენლების: მ. ბროსეს, დ. ბაქრაძის, ნ. ხიზანაშვილის და სხვათა ნაშრომები, სადაც კარგა ხანია აღიარებული იყო ქართული საზოგადოების ფეოდალური ხასიათი, ჯერ კიდევ ადრესაშუალო საუკუნეებიდან მოკიდებული"[23]. იგი ასეთ ახსნას გვთავაზობს: „ილია ჭავჭავაძის ამ ისტორიოგრაფიულ სქემაში უმთავრესად საინტერესოა მისი პოლიტიკური მოტივი. ავტორს სურს ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით გამოძებნოს გზა ქართველი გლეხობის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ილია მოწადინებულია ქართული (!) გლეხობის პრობლემაზე ფიქრი მთავარ ამოცანად დაუსახოს ქართულ საისტორიო აზრს, რათა წარსულის სასიკეთო ტენდენციების გათვალისწინებით მეცნიერული ცოდნა ცოცხალი, პრაქტიკული საქმისათვის იქნეს გამოყენებული. შესანიშნავი მაგალითია იმისა, თუ როგორ ცდილობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეური ისტორია პოლიტიკის სამსახურში

ჩაეყენებინა"[24]. მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ გამოდის, რომ ილიასათვის მეცნიერება, ჭეშმარიტების ძიება ამ შემთხვევაში უკანა პლანზე გადასულა.

მაგრამ ჯერ შეეცადოთ გავარკვიოთ, თუ როგორ იაზრებდა ილია ფეოდალიზაციის პროცესს სხვა ქვეყნებში, კერძოდ, ინგლისში. ვიმეორებთ, თავდაპირველად ყველგან, არა თუ ევროპაში, არამედ აზიაშიც, ილიას შეხედულებით, გაბატონებული იყო მიწის საერთო, სათემო საკუთრება (ასე გახლდათ ინდოეთში, სლავ ხალხებში, ძველ გერმანელებთან და სხვაგან). თემის წევრები თვითონ განაგებდნენ თავიანთ ქონებას, ხოლო ეკონომიკური განსხვავებულობანი მიწის მესაკუთრეთა და მიწის დამმუშავებელთა შორის მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა[25]. განვითარების მომდევნო სტადიაზე თანასწორობა დაირღვა. უცხო ხალხთა შემოსევებმა და დამპყრობელთა მიერ მიწების დატაცებამ შექმნა მიწისმფლობელთა ფენა. კერძოდ, ასე მოხდა ინგლისში, საფრანგეთსა და იტალიაში[26]. აქედან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ ილიას აზრით ფეოდალიზმი განვითარდა დაპყრობის შედეგად. მაგრამ მსგავსი მტკიცება არაფერს გვიხსნის საქართველოს მიმართ, რამეთუ დაპყრობებს ამ შემთხვევაში ფეოდალიზაცია არ გამოუღიათ შედეგად. ქონებრივი დიფერენციაციის წყაროდ იქცეოდა აგრეთვე ახოს გატეხა, ტყის დაუმუშავებელი მასივების ათვისება, რის შედეგადაც მიწა ასევე იყრიდა თავს საზოგადოების მცირე ნაწილის ხელში[27].

ილია დაასკვნიდა: „საჭირო არ არის კაცი საისტორიო გამოძიებათა ბარდებში გაებას იმ უცილობელის და ყველასაგან ცნობილ ამბის დასამტკიცებლად, რომ პირველყოფილ დროს, როცა თავდაპირველ დაეწყვნენ კაცთა საზოგადოებანი, ზოგადს ელემენტს საკუთრებისას, თუ არ განსაკუთრებით, გადაჭარბებით მაინც, მეტი და უპირატესი ადგილი ეჭირა კაცთა ცხოვრებაში. სხვადასხვა საეკონომიო და საპოლიტიკო თვისების მიზეზთა გამო, მაგ ზოგადმა ელემენტმა საკუთრებისამ თანდათან გზა დაუთმო პირადსა, და პირადის ელემენტის გამარჯვება მთლად და უნაკლოდ გამოისახა მთელის თავისი სასტიკობითა ფეოდალობაში, რომელმაც შემოიტანა ბატონყმობა, ესე იგი იმისთანა წყობა, რომელიც მარტო უფლებაა უმოვალეობო, უსაზღვრო, პირობადაუდებელი, და რომელსაც სხვა საგანი არ ჰქონდა-რა, გარდა ცალკე კაცის პირადის კეთილდღეობას"[28]. ბატონყმობა კი, ილიას აზრით, საქართველოს მხოლოდ გვიანი საუკუნეების მანძილზე თუ ახასიათებდა.

კერძოდ ინგლისში ნორმანთა დაპყრობამდე ცხოვრობდნენ თავისუფალი მიწისმფლობელები, აზატები და მონები. ამდენად ქვეყანაში ფეოდალიზმს ჯერჯერობით თითქოსდა ადგილი არა ჰქონია. ნორმანთა დაპყრობების შემდგომ კი გამარჯვებულებმა მიწები დაიყვეს ერთმანეთში. ილიას მოჰქონდა გილიომ (ვილჰელმ) ნორმანელის მიერ 1086 წელს გამოცემული „საშინელი სამსჯავროს წიგნის" (Domesday book) მონაცემები, საიდანაც ჩანს, რომ XI საუკუნეში უკვე შეიცვალა წინანდელი სახე მიწისმფლობელობისა ინგლისსა და ვალისში (უელსში). ილიას შენიშვნით, ზემოხსენებული სამამულე სიგელის მიხედვით, მიწისმფლობელობა ინგლისში წარმოადგენდა შემდეგნაირ სურათს: 60.215 ე. წ. საბატონო მამული ყოფილა დაარსებული „კოროლის" მიერ. აქედან ეკლესიას და სამღვდელოებას ჰქონებია 28.115 მამული და დანარჩენი 32.100 – რაინდებს, იმ პირობით, რომ ამ წყალობის ნაცვლად სამსახური გაეწიათ მეფისათვის და ბეგარა ეხადათ. ეს მებატონეები გახდნენ ლორდები. წინანდელ მკვიდრთათვის, კერძოდ ანგლო-საქსებისა და ბრიტებისათვის „კოროლს" დაუტოვებია მათი მიწები, მაგრამ დაუმორჩილებია იმ მებატონეთათვის, რომელთა მამულშიც სახლობდნენ. მათ სახელმწიფოს წინაშე არავითარი ვალდებულება არა ჰქონიათ. თავის მხრივ მათი რაოდენობა მნიშვნელოვანი არ ყოფილა. აზატი „მემამულენი" (გლეხები) (socmen) სულ იყო 23.000, მოღალე და ვალდებული (villani) – 102.702. წინანდელ მკვიდრთა შორის ყოფილან ისეთნიც, რომელთაც ჩვენებური, ქართველი ხიზნებივით, სხვა მებატონის მამულზე ჰქონიათ ბინაც და სახმარი მიწაც (bordarii, cotarii). საზოგადოებაში იყენენ მონებიც (servi), რომელთაც მებატონეებისაგან მამული ჰქონდათ მიცემული დასამუშავებლად[29].

ილია დასძენდა: „მეცნიერნი ამბობენ, რომ ამგვარი წყობა ყველგან იყო ევროპაში და პირველი მაგალითი ინგლისი არ არისო"[30]. განსხვავებულობა თითქოს იმაშია, რომ ინგლისის სახელმწიფომ და დიდებულებმა უკანასკნელ ხანებამდეც კი ერთმანეთთან მტკიცე თანამშრომლობა შეინარჩუნეს, მაშინ როცა სხვა ქვეყნებში გაძლიერებულმა მიწათმფლობელებმა სახელმწიფო სამსახური, სამხედრო სამსახურის ჩათვლით, თავიანთი მხრებიდან ჩამოიხსნეს[31]. წვრილი და საშუალო მიწისმფლობელთა გაქრობა ინგლისში ხანგრძლივად მიმდინარეობდა, რაც იმით დასრულდა, რომ შეიქმნა, ერთი მხრივ, მსხვილ მიწათმფლობელთა დიდი მასა, რასაც ილია სტატისტიკურად ასე აჩვენებდა: „დღეს მთელის

ინგლისის მამულები, რომელიც ვალისთან (უელსთან – **გ. ყ.**) ერთად შეადგენს 37.324.015 აკრს, მარტო 30.766 კაცის ხელშია, საეკლესიო და სამღვდელოთა მამულების გარდა, მაშინ როდესაც რიცხვი დანარჩენთა მკვიდრთა ოცს მილიონზედ ცოტა მეტია, შოტლანდიის და ირლანდიის გარდა. ამ ოცს მილიონში ათს მილიონზედ ცოტა მეტი არიან ქალაქებში მცხოვრებნი და დანარჩენი სოფლად"[32]. ილიას დასკვნით, მიწათმფლობელთა საერთო რაოდენობა ინგლისში XIX საუკუნის მანძილზეც იმდენივე დარჩა, რამდენიც იყო 1086 წელს, – მაშინ როდესაც ამჯერად დანარჩენი ათმილიონიანი მასა მოიჯარადრე იყო, ე. ი. ფერმერი.

ილიას ნააზრევში ასეთ მტკიცებასაც ვხვდებით: თითქოს ინგლის-უელსის მიწათმფლობელნი არ იყვნენ ფეოდალები, მათ არავითარი პირადი უფლება არ გააჩნდათ მათს მიწაზე მოსახლეებზე, „პატრიმონიული სამართალი და გამგეობა (ე. ი. ადმინისტრაცია – **გ. ყ.**) ინგლისის ლორდებმა არ დაიჩემეს. თუმცა მათ გააღატაკეს დანარჩენი მიწათმფლობელები, მიიტაცეს რა სათემო მიწები. ასე რომ, ლორდები მიწათმფლობელთა ერთადერთ ფენად იქცნენ, მაგრამ ეს პროცესი ხდებოდა ფულის, სიმდიდრისა და სასამართლოს მეშვეობით. მაგალითად, შოტლანდიაში გრაფ სატერლენდს ეკუთვნოდა ნახევარი მილიონი აკრი მიწა. ქვეყნის უმსხვილეს მფლობელთა რაოდენობა კი 26-ს უდრიდა, საერთოდ მსხვილ მიწათმფლობელთა რაოდენობა – 7.273-ს[33]. ცნობილი აქტით „Clearing of estates" გლეხებს მიწა ჩამოართვეს და მას მთლიანად მებატონეები დაეუფლნენ. აღნიშნული პროცესი, შოტლანდიის არისტოკრატიის განსაკუთრებული პრივილეგიების წყალობით, ინგლისთან შედარებით სწრაფად მიმდინარეობდა, რასაც შედეგად მოჰყვა გლეხობის მასობრივი გაღატაკება და პროლეტარებად ქცევა.

მსგავსი პროცესები წარიმართა ირლანდიაში, რომლის დაპყრობაც ინგლისელთა მიერ დიდ ინტერესს იწვევდა. ეს ჯერ კიდევ XII საუკუნეში დაიწყო და დიდად გაძლიერდა დედოფალ ელისაბედ I-ის დროს, რასაც შედეგად მოჰყვა მამულების კონფისკაცია და ხალხის აყრა-გადასახლება. პროცესმა კულმინაციას მიაღწია ოლივერ კრომველისა და აირტონის ზეობაში, როდესაც აღნიშნულ გარემოებებს დაემატა ირლანდიელთა გაყიდვა ინდოეთში და ა. შ.

თუ ინგლისელთა მიერ ირლანდიის დაპყრობამდე აქ გაბატონებული იყო მიწაზე თემური საკუთრება (თემს განაგებდა არჩევითი უფროსი), XIX საუკუნეში, ილიას ანგარიშით, ქვეყნის 20.322.641 აკრი მიწიდან 15.575.270 ეკავა 5.400 მიწათმფლობელს, მა-

შინ როდესაც მთელს ირლანდიაში 1878 წლის აღწერით 5.350.000 მცხოვრები იყო. ამგვარმა მიწათმფლობელობამ მთელი მიწათმოქმედი ირლანდია უმიწაწყლოდ დასტოვა[34].

ჩვენ ასე დაწერილებით იმიტომ შევჩერდით ინგლისისა და ირლანდიის ფეოდალიზაციაზე, რომ ჯერ ერთი ამ საკითხს შეეხო ჩვენი დიდი მოაზროვნე და მეორე იმიტომაც, რომ ამისდა მიხედვით გვემსჯელა საქართველოს მიმართ. მაგრამ, დიდად სამწუხაროდ, ამ მხრივ გარკვეულობა არ შეიმჩნევა. რა თქმა უნდა, საქართველოში ფეოდალიზაცია უცხო დამპყრობელთა მხრივ გამორიცხულია. მაგრამ ფაქტია, რომ ბატონყმობა საქართველოში რუსეთს არ შემოუღია და იგი არსებობდა, ყოველ შემთხვევაში, წინა რამდენიმე საუკუნის განმავლობაში. ამდენად, საქმე გვაქვს აშკარად ჩამოყალიბებულ ფეოდალიზმთან. ეს დიდი (ისტორიული აზრით) მოვლენა ილიას აზრით დაიწყო „არეულობის" (ალბათ რუსულ „Смутное время"-ს თარგმნიდა ასე) დროს – ე. ი. თუ XIV საუკუნეში არა, XV საუკუნეში მაინც. მაგრამ უფრო კონკრეტულ მინიშნებებს ილიას ნააზრევში ვერ ეხედავთ. ფაქტია, რომ ამ დროს საქართველო დიდ დაქვეითებას განიცდიდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ილია, თავისი ცნობილი აზრიდან გამომდინარე, ამის მთავარ მიზეზად მიწის არათანასწორ განაწილებას ხედავდა[35]. სწორედ ამ დროს, XV საუკუნეში, „ზოგადმა ელემენტმა საკუთრებისამ თანდათან გზა დაუთმო პირადსა, პირადის ელემენტის გამარჯვება მთლად და უნაკლოდ გამოისახა მთელის თავისი სისასტიკით, ფეოდალიზმში, რომელმაც შემოიტანა ბატონყმობა"[36].

იდეა კაცობრიობის ერთიანი განვითარების გზისა ძალზე დაუსაბუთებელია დღესაც კი. XIX საუკუნის ევოლუციონურმა მოძღვრებამ იგი კი დააყენა, მაგრამ, ცხადია, ვერ გადაწყვიტა. აქ არაფერს არ ვამბობთ ვითომდა მარქსისტულ (სინამდვილეში ლენინურ-სტალინურ) მიდგომაზე, რომლის თანახმადაც კაცობრიობა ერთნაირ სოციალურ-ეკონომიკურ ფორმაციებს (პირველყოფილობის შემდგომ მონათმფლობელურს, ფეოდალურს და კაპიტალისტურს) გადიოდა. სინამდვილეში მსგავსი წარმოდგენა მითს წარმოადგენს და მისი მეშვეობით ისტორიის დაწერა შეუძლებელია. მაგალითად, ჩინეთის ისტორიის წარმოდგენა არ ექვემდებარება რიგორისტულ ევოლუციონისტურ თუ საბჭოურ ხედვას. ასევე ითქმის დანარჩენი აზიის მიმართაც. სხვათა შორის, ილია შეეხო აზიის გაქვავებულობას, ჩამორჩენილობას, კერძოდ ჩინეთში ძველი ტრადიციებისადმი მტკიცე ერთგულებას. მაგრამ ამ ფაქტის ახსნას რთულ პრობლემად თვლიდა

(იხ. წერილი „აზია წინათ და ეხლა"). ასე რომ, რაც ვერ მოხერხდა მეცნიერებასა და ფილოსოფიაში, იმის გადაწყვეტას ვერ მოვთხოვთ ილიას.

აღნიშნული თვალთახედვით ილია ეხებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა მხარეებსაც. კერძოდ, რელიგიის თაობაზე იგი აღნიშნავდა: „–ყველა ეს განსაცვიფრებელი ამბავი უმეცარი კაცისათვის საიდუმლოებაა, დაფარული, უხილავი ყოვლად-შემძლეობაა, და აქედამ დიდი მანძილი არ არის ამ უხილავის ძალის გაღმერთებამდე. სხვადასხვა რჯულთა, სხვადასხვა ერთა შედარება გვიმტკიცებს, რომ ადამიანის გონებას ყველგან ამ გზით უვლია და ყველა მოვლენასა თუ საგანში ცალკე მიუწვდომელი ძალი უგულვებია, და ცალკე ღმერთი შეუქმნია ამ ძალის მომასწავებლად, მიზეზად და დასაბამად"[37]. მაგრამ ფაქტია ისიც, რომ რელიგიის განვითარების ეტაპები თვით ცივილიზებული ხალხების ისტორიაშიც კი ერთნაირი როდი ყოფილა.

8. ილიამ და მისმა თანამებრძოლებმა მკვეთრად გაილაშქრეს ერთი თვალსაზრისის წინააღმდეგ, რომელიც დიდი კანონსომიერების აღმოჩენის პრეტენზიით გამოდიოდა. ცნობილმა ამერიკელმა ბუნებისმეტყველმა ჯონ-უილიამ დრეპერმა (1811 - 1862) თავის ჰუმანიტარული ხასიათის ნაშრომში „ევროპის ინტელექტუალური განვითარების ისტორია" (რომლის რუსული თარგმანი ორჯერ გამოიცა) წამოაყენა იდეა, რომლის მიხედვითაც ცალკეული ხალხების ისტორია ვითარდება „საუკუნეების განმაელობაში" კელეევა-ძიების, რწმენის, გონებისა და ა. შ. საფუძველზე, რომლებიც ყველა ხალხის ისტორიაში მეორდება. როგორც ვხედავთ, აქ აღებულია ოგიუსტ კონტის სქემა. მაგრამ ილიასა და სხვათათვის დიდ შესიტყვებას იწვევდა დრეპერის ის მოსაზრება, თითქოს ხალხების ევოლუცია ემსგავსებოდა ცალკეულ ინდივიდთა განვითარებას (ბავშვობა, ყრმობა, მოწიფულობა, სიბერე და სიკვდილი). ამ თვალთახედვით, კერძოდ ქართველობას სიბერე და სიკვდილი გველოდა. მსგავს შეხედულებას ჩაეჭიდა ცნობილი ხალხოსანი, ნიჰილისტი (ეროვნული) ივანე ჯაბადარი, რომლის შესახებაც ილია „აი ისტორიაში" წერდა: „აშკარაა, ავტორს ცოტად თუ ბევრად უწამებია უკვე დაძველებული და ბევრისგან გამტყუნებული აზრი დრეპერისა იმის თაობაზედ, რომ ერსაც, როგორც თვითეულს ცალკე ადამიანს, თავისი ასაკები აქვს: ბავშვობა, ყრმობა, ჭაბუკობა, ვაჟკაცობა და ბოლოს სიბერე, რომელსაც სიკვდილი მოსდევს აუცილებლად. დრეპერის აზრით, ეს ყველა ერისათვის გარდაუვალი კანონია, როგორც ცალკე ადამიანისათვის: ამას ვერც ერთი ერი ვერ წაუვა, ვერ გადასცდებაო"[38].

აღნიშნულ შეხედულებას ილია ასე ესიტყვებოდა: „ან რა აზრი აქვს ერის სიბერეს? რას გვიქვიან ერის სიბერე? აიღეთ ეხლანდელნი ერნი ინგლისისა, საფრანგეთისა, გერმანიისა, ამერიკელ-ინდოელისა (ამერიკელი ინდიელებისა – **გ. ყ.**), აფრიკის ზანგისა, არაბის ეთიოპელისა და გვითხარით, ამაში რომელი ვიგულისხმოთ ბებრად და რომელი ახალგაზრდად? მართალია, ამათში არიან ძველნი და ახალნი, და ეს სულაც იმ სიბერეს და სიყმაწვილეს არა ჰნიშნავს, რომ ერთს სიკედილის მეტი არა დარჩენონოდეს რა, როგორც ცალკე კაცს, სიბერეში ჩავარდნილს, და მეორე-კი ზრდაში იყოს, მინამ დაბერდებოდეს და სიბერეს თან გადაჰყვებოდეს. ეგ ძველ-ახლობა მარტო იმას მოასწავებს, რომ ერთი ერი ადრე გამოსულა საისტორიო სარბიელზედ და მეორე გვიან"[39]. და თუ ისტორიამ იცის მაგალითები ერების გადაგება-გადაშენებისა, ეს ხდებოდაო „შინაგან საქმეთა მოუწყობლობის, ურიგობის" ან უცხო ხალხების შემოსევების გამოისობითო. ასევე გონებით წარმოუდენელიაო მაგალითად ინგლისელების, ფრანგების და გერმანელების გადაშენება[40].

როგორც ვხედავთ, ილია შეეცადა რაციონალისტური აზროვნების გზით უარეყო დრეპერისა და კერძოდ მისი ქართველი მიმდევრის აზრი. იგი დასძენდა: „კულტურა და მასთან ერთად განუყოფელი ინტენსიური ცხოვრება კაცობრიობის ღონისა და სიმკვიდრის დედაბოძია, ქვაკუთხედია. იგია თითონა დაუშრობელი სათავე ღონისა, იგი ღონის-ღონეა ერისა, თუ ასე ითქმის, - იგი ფარია და ხმალი არსებობისათვის (კვლავ სოციალურ-დარვინისტული იდეა! – **გ. ყ.**) ჭიდილში"[41]. ასე რომ, ილიას წარმოდგენით ისტორიული შემოქმედება ამოუწურავია, ისევე როგორც – განახლება ბუნებაში. მისი ოპტიმისტური განცხადებით: „ერი თავისის სულით და გულით იმ ტურფა საბაღნაროს ჰგავს, საცა, რუსთველის სიტყვით, ერთი მიდის და მის მაგიერ სხვა მოდის, თვითონ ბაღნარი-კი არის და არის მუდამ მწვანე, მუდამ დაუჭკნობელი, მუდამ ყვავილოვანი, ია-ზამბახ-ვარდ გაშლილი, - როგორც ჩვენი ძველი პოეტი ბესიკი იტყოდა.

მართალია, ხან ცა მოულრუბლებს ხოლმე, და მშვიდობიანი, მორცხვი, კდემით მოსილი ია ნაღვლიანად თავს ჩაჰკიდებს..., მაგრამ ბაღნარში მაინც ბაღნარია, მაინც ჰყვავის, მაინც ფშვენს, მაინც სიცოცხლის ძარღვი დაუღალავად უცემს სიცოცხლისათვისვე და ემზადება კარგი დღისთვის, სხვა უკეთესეს დროსთვის. აბა ახლა მაშინ ნახეთ ერი, როცა ფირუზის ფრად გადაწმენდილი ცა, ულრუბლო და შუქმოფენილი, თავის უშველებელ ფრთებს ზედ გადმოაშლის ხოლმე, როგორც ფრინველი თავის ბღარტებს; მაშინ ნახეთ ის ტურფა საბაღნარო,

რომელსც მე, სული და გული ერისა დავარქვი, რა ყვავილების კონას შეკრავს! ნუთუ გინდათ ეს სული და გული დაგვიბერდეს!

ღმერთმა ნუ ქნას.

მაშ გაუმარჯოს დაუჭკნობელ სიჭაბუკეს აწ და მარადის!"[42].

ვიმეორებთ, რასაკვირველია, ილიასათვის ცნობილი გახლდათ მრავალი ფაქტი თვით განვითარებული ხალხების გაქრობა-გადაგებისა ისტორიის არენიდან. იგი შეეცადა ამ მოვლენის მიზეზები დაედგინა. ერთი მათგან იმაში მდგომარეობდა, რომ ხალხები ანდა მათი უმეტესი შემადგენელი ნაწილი სწყდებოდა საკუთარ მიწა-წყალს (ნაწილობრივ, ალბათ, მიწის საკუთრების კონცენტრაციით უმცირესობის ხელში), კერძოდ, ილიას თქმით, ასე დაემართათ ძველ ებრაელებს, რომაელებს, მონღოლებს და ა. შ[43]. აქედან გამომდინარე ისტორიის დიდი გაკვეთილი ის იყო, რომ კერძოდ ქართველობას უნდა ეზრუნა მიწის რაც შეიძლება მეტი სამართლიანი განაწილებისათვის. სხვანაირად რომ ვთქვათ, ილიას მიხედვით, საქართველოში პროლეტარიზაციას ნაკლებად უნდა ჰქონოდა ადგილი. ამიტომაც იყო, რომ ილია დიდად იღვწოდა, რომ ქართველობა კერძოდ შავიზღვისპირეთში უფრო მეტად დასახლებულიყო. მეორე მიზეზი გახლდათ ხალხის მიერ ისტორიის დავიწყება. მათგან, ვისაც იგი არ ჰქონია, „ულმობელი კანონი ისტორიისა ამისთანა ხალხს არ დაინდობს ეხლანდელს დროში"[44]; „თუ ესეთი არა, ბევრი მეტი აღარ არის იგი ერი, რომელსაც ისტორია ჰქონია და იგი ისტორია დაუვიწყნია; აღარც ამისთანა ერსა აქვს მკვიდრად მოკიდებული ფეხი არსებობისათვის საჭიდაოდ (კვლავ სოციალ-დარვინიზმი! – **გ. ყ.**), იმიტომ რომ, რა იყო – ის დავიწყებული აქვს და, მაშასადამე, რა არის – არც ის იცის"[45].

ილია და სხვა თერგდალეულნი, ცხადია, ოდენ შიშველი ოპტიმიზმით როდი ელოდნენ უკეთეს მომავალს, არამედ თავიანთი მოღვაწეობით ნიადაგს ამზადებდნენ მისთვის. ახალი ობიექტური პირობები, სათანადო სუბიექტური ფაქტორი საფუძველს ჰბადებდა ოპტიმიზმისათვის – საქართველოს განახლებისათვის.

9. ილიასათვის საკითხი არ იდგა უმთავრესად ასე: რა განსაზღვრავს ისტორიის მსვლელობას – ხალხი თუ ისტორიული პიროვნება. უფრო ღრმა საფუძვლად იგი თვლიდა ცხოვრებას, როგორც სხვადასხვა მხარეების ერთობლიობას და მის განვითარებას. ამდენად, იგი შორს იყო ისტორიული პიროვნების როლზე გაზვიადებული წარმოდგენისაგან. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია ილიას შემდგომი აზრი: „ცხოვრების ტალღა მეტად ძლიერია და ჩვეულებრივი კაცი მეტად სუსტი, რომ თან არ წაიყოლიოს იმ ტალღამ. მარტო

გენიოსის მკერდი თუ გააპობს და შემუსრავს მას, თორემ სხვისთვის ძნელია. შორმხედველობა, დროებაზედ უფლობა მარტო გენიოსის საქმეა. ის თავის თამამს სვლაში შემოიბღერტავს ხოლმე დროების მტვერსა, რომელიც ჩვენისთანა კაცსა უფარავს საგნის მნიშვნელობასა, გულ-უშიშრად მიდის წინ, როგორც ბელადი წინ მიუძღვის ხალხსა და უნათებს თავის ჭკუის სხივებით გზასა"[146]. მაგრამ თავის მხრივ გენიალური პიროვნება ისტორიაში შემთხვევით როდი ჩნდება – „ნურავინ ნუ იფიქრებს, რომ ჩვენ ამითი ვამბობდეთ, ვითომც გენიოსი ციდამ იყოს ჩამოსული. ისიც ისეთივე ნაყოფია თავისი დროებისა, როგორც სხვანი, მხოლოდ ეგ ნაყოფი სრულია, დამწიფებულია. ის თავის ძლიერ მხრებით ამოიტანს, ამოზიდავს ხოლმე მას, რაც თითონ ცხოვრებაშია, ე. ი. ცხოვრების შიგ-მდებარებასა; მასში არის მთელი აწმყო თავის დროებისა და თესლიც მომავლისა"[147].

ყოველივე აღნიშნული სრულიადაც არ ეწინააღმდეგება ლექსში „ბაზალეთის ტბა" (დაწერილია 1883 წელს) გამოხატულ დედააზრს, რომელსაც, განსაკუთრებით ფილოლოგოსები, ისე იგებენ, ითქოს ილია აქ გადამწყვეტ როლს ანიჭებდა ისტორიულ პიროვნებას. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს „ბაზალეთის ტბის" ამოგლეჯას ილიას შესაბამისი ნააზრევის მთლიანი კონტექსტიდან. ხოლო თუ ამ უკანასკნელს გავითვალისწინებთ, ადვილად დავასკვნით შემდეგს: საქართველოს უახლოესი ხანის ცხოვრება ამზადებდა ახალ შესაძლებლობებს, რომლის გამოყენება შეეძლო ყველა რიგით ქართველს კი არა, არამედ ნიჭიერებითა და ენერგიით გამორჩეულს. პოეტმა თავისი მრწამსი და სურვილი გააცხადა მშვენიერი ლეგენდის სამოსელში. მაშასადამე, არ გვჭირდება ამ შემთხვევაში ილიას სულიერ ევოლუციაზე (საკითხში) მითითება აღნიშნული „შეუსაბამობის" ასახსნელად.

10. საისტორიო წყაროების, ისტორიის საგნის და საერთოდ, მსოფლმხედველობის მნიშვნელოვანი გაფართოება, თავისთავად ცხადია, სათანადო მეთოდოლოგიასაც განაპირობებდა. როგორც ვიცით, ქართულ ისტორიოგრაფიაში კრიტიკული მეთოდი ჯერ კიდევ მარი ბროსემ დანერგა. ამ ტრადიციას აგრძელებდა ილიაც, რომელიც კერძოდ „ქართლის ცხოვრებას", როგორც ისტორიოგრაფიულ თხზულებას, აღნიშნული თვალსაზრისითაც კრიტიკულად უდგებოდა. ივანე ჯავახიშვილი წერდა: „იმ დროს როდესაც საქართველოს ისტორიის მაშინდელ მკვლევართ „ქართლის ცხოვრების" ყოველივე ცნობა სჯეროდათ და იქ ნაამბობს იმეორებდნენ, ილია ჭავჭავაძე „ქართლის ცხოვრებას" კრიტიკულად ეპყრობოდა და ყველაფერი, რაც იქ

მოთხრობილია, ჭეშმარიტებად კი არ მიაჩნდა, არამედ არა ერთხელ მას, იქ ჩართული ზოგი ცნობის მცდარობა აღუნიშნავს"[48]. კერძოდ, „აი ისტორიაში" (დაწერილია 1889 წელს) ილია ეჭვქვეშ აყენებდა ფარნავაზისა და მისი ღვაწლის ისტორიულ ნამდვილობასაც კი, როცა წერდა: „იქნება, და ძალიან შესაძლოც არის, რომ ყოველივე ეს ტყუილიც იყოს მატიანეს მთხრობელისა"[49]. და ეს მაშინ, როცა „აჩრდილის" დაწერისას (იხ. პოემის XX ხანა) ილია უყოყმანოდ მისდევდა „ქართლის ცხოვრების" შესაბამის ცნობებს.

ილია უფრო შორსაც მიდიოდა: „...თუ ისტორიის წინად-ყოფილ დროს ავიღებთ, ცხრა კლიტით დაკეტილი სალაროა და გასაღები ზღვაშია გადაგდებული. ადამიანის გონებამ მაინც იპოვა ეს გასაღები და ამ სალაროს კარი გაგეიღო ცოტად თუ ბევრად"[50]. იგი განაგრძობდა: „ეს გასაღები ზოგში იგი ამბებია, რაც ადამიანს დაუხსომებია ზღაპრულად. ეს ზღაპარ-ნარევი ამბები, თქმულობანი, რა თქმა უნდა, მოწმად და საბუთად მოსატანნი არ არიან რომელსამე ყოფილის საქმისა. ამ მხრით იგინი ძალიან ცოტად დასაჯერნი და სანდონი არიან, მაგრამ ხშირად ამისთანა ამბებში ვპოულობთ ბევრს მართლის აღწერას ზნე-ჩვეულებისას"[51].

ასე რომ, ილია არა მხოლოდ აღიარებდა კრიტიკული მეთოდის (ისტორიაში) მართებულობასა და საჭიროებას, არამედ მას პროფესიონალურად იყენებდა კიდეც.

იგივეს ვიტყვით ისტორიულ-შედარებითი მეთოდის თაობაზეც, რის შესახებ ჩვენი დიდი წინაპარი წერდა: „...ადამიანის გონებამ მიაგნო ერთს-გვარს გზას კვლევისას, რომელსაც „შედარებითი მეთოდი" ქვიან. ამ მეთოდმა, სიფრთხილითა და ცოდნით ხმარებულმა, ისეთი უტყუარობა, ისეთი ზედმიწევნილობა აღმოიჩინა, ისეთი სახელი დაიგდო, რომ არ არის მეცნიერება, რომელიც, საცა საჭიროა, ამ მეთოდს არა ხმარობდეს. ამ მეთოდით ბევრს წყვდიადსა და ბნელს ნათელი მოეფინა, ბევრი დაფარული გამომზევდა. ამიტომაც ამბობს ერთი მეცნიერი (ედუარდ ფრიმანი), რომ შედარებითი მეთოდი ერთი უდიდესი ძლევამოსილობაა გონებითად ჩვენის საუკუნისა"-ო[52]. ილია უფრო დაწვრილებით განმარტავდა აღნიშნული მეთოდის არსს: „თითონ სიტყვა „შედარება", ცოტად თუ ბევრად გვამცნევს – რა უნდა ვიგულისხმოთ, როცა ვამბობთ „შედარებითი მეთოდი". შედარება იმ მოქმედებას გონებისას ჰქვიან, როცა ორს ანუ რამდენსამე საგანს ერთმანეთს წაუყენებს, დაუპირისპირებს, რომ აღმოჩნდეს, რაში აქვთ მსგავსება, ერთნაირობა, და რაში სხვაობა და სხვანაირობა"[53]. ჩვეულებრივი, ასე ვთქვათ, სტატისტიკური მიდგომა და გაგება საკითხისა ფრიად უძლურია. ილიას აზრით, აქ სიტყვა

„შედარება" სრულიად ვერ გამოხატავს ამ მეთოდის არსს, ვინაიდან „ეს-გვარი კვლევა – შედარება კი არ არის, სწორედ ის არის, რომ კაცი კვალში ჩაუდგეს რომელსამე საგანს, ანუ მოვლენას, რომ ან სათავიდამ ბოლომდე ჩამოჰყვეს, თუ სათავე ვიცით და ბოლო არა, და ან ბოლოდამ სათავემდე აჰყვეს, თუ ბოლო ვიცით და სათავე არა, და ამისათვის კიბედ გაიხადოს ყოველივე შემთხვევა, ყოველივე დრო, ყოველივე ადგილი, სადაც კი ან საგანს, ან მოვლენას თავი გამოუჩენია"[54].

რასაკვირველია, აღნიშნული ილიასათვის ოდენ დეკლარაცია როდი იყო. კერძოდ ამ მეთოდით ხსნიდა იგი ხიზნობის წარმოშობასა და არსს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში[55]. მისი აზრით, ამგვარი ურთიერთობანი აგრარულ ცხოვრებაში ძველთაგანვე, ფეოდალიზმის განვითარების ადრინდელ ხანაშივე ჩაისახა. მისი აღიარებით „ერთის მხრით უმამულობა მიწისმომქმედისა და მეორის მხრით უხელობა მიწის მეპატრონეებისა იყო დასაბამი თითონ ბატონ-ყმობისა"[56]. ეს კი გაგებული იყო ფართო შედარებით პლანში.

ივანე ჯავახიშვილმა თავის ნაშრომში „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია" მიუთითა ილიას მიერ ორი მეთოდის – კრიტიკულისა და ისტორიულ-შედარებითის ცოდნასა და გამოყენებაზე. იგივეს იმეორებენ საკითხის დანარჩენი, შემდეგდროინდელი მკვლევრებიც (ავთანდილ იოსელიანი, შოთა ბადრიძე). მაგრამ ელემენტარული ფაქტია, რომ ჩვენი დიდი წინაპარი ცხოვრობდა ევოლუციონისტური მეთოდის ზეობის პერიოდში. ამ მეთოდს კი, ვიმეორებთ, იგი უკილობლად იცნობდა. და არა მხოლოდ იცნობდა, არამედ მას იყენებდა კიდეც. მეტიც, ისტორიულ-შედარებით მეთოდს იაზრებდა ამ უკანასკნელი მეთოდითაც.

აღნიშნულ მეთოდებს დავუმატებდით შემდეგსაც. ისტორიკოსისათვის რაიმე მოვლენისათვის თვალის გადევნება ყოველთვის ერთნაირ სიტუაციაში როდი ხდება. ზოგჯერ, როცა ცნობილია მოვლენის სათავე, დასაწყისი, იგი შემეცნებას იწყებს ამ მომენტიდან. მაგრამ არის მოვლენები, რომელნიც თავს იჩენენ გვიანდელ ფაზაში, მაშასადამე, პროცესის უფრო თვალსაჩინოდ განვითარებისას. ამ შემთხვევაში ისტორიკოსი შემეცნებას იწყებს ბოლოდან სათავისაკენ. ამ მეთოდს კი რეტროსპექტიული მეთოდი ეწოდება.

ამდენად, ილია ჭავჭავაძის მეთოდოლოგია უფრო მდიდარი გახლდათ, ვიდრე ჩვეულებრივ წარმოუდგენიათ.

დაბოლოს, ილიას საისტორიო აზროვნება უნდა განვიხილოთ განვითარების პროცესში. ეს ეხება მის თანადროულ ისტორიულ სინამდვილესაც. ამ აზრის ნათელსაყოფად მხოლოდ ერთ მაგალითზე შევჩერდებით. ცნობილია, თუ როგორი კრიტიკული სულისკვეთება

გამოაელინა ახალგაზრდა ილიამ ძველ თაობასთან მიმართებაში (60 – 70-იან წლებში). მაგრამ რამდენიმე ათეული წლის გასვლის შემდგომ იგი განსხვავებულად აფასებდა შესაბამის სიტუაციას. იგი აღნიშნავდა: „გამოფხიზლების ამ ჟამს – მოიკითხეს – რა წაიღო ძველმა და რა მოიტანა ახალმა. ამ მოკითხვამ შესძრა გონება მთელი მაშინდელი ყმაწვილ-კაცობისა. მოძრაობამ კიდეე შეჰკრა ის ბრწყინვალე წრე გონება-გახსნილ ყმაწვილკაცობისა, საიდანაც გამოვიდნენ თ. გრ. ორბელიანი, დ. ყიფიანი, ორნი გიორგი ერისთავნი, ზაქარია ერისთავი, ალ. და დიმ. ორბელიანები, თ. ნ. ბარათაშვილი, იოსებ და კონსტანტინე მამაცაშვილი და ბევრნი სხვანი... ამ წრის წმინდათა თვალი იყო სამშობლოს სიყვარული, რომელმაც ბოლოს თავდადებულ ტრფიალებამდე გაიწია"[57]. როგორც ვხედავთ, ამ სტრიქონებში გაცხადებული აზრი დიდ დისონანსშია კერძოდ ილიას ცნობილ ლექსთან „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტის საუკუნისა"[58]. ცხადია, როდესაც ილიაზე როგორც ისტორიკოსზე ვლაპარაკობთ, ეს მომენტიც – შესაბამისი სულიერი ევოლუცია უნდა გვქონდეს გათვალისწინებული.

სწორედ ილიას სათანადო „მეთოდოლოგიური აღჭურვილობის" გამოისობითაცაა, რომ ილიამ სწორად გაიგო მსოფლიო, განსაკუთრებით დასავლეთ ევროპის ისტორიული მოვლენები. სახელდობრ, იგი კარგად მიხვდა, რომ ირლანდიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ეფუძნებოდა აგრარულ საკითხს, რომ ბულანჟიზმის აღზევება საფრანგეთში განპირობებული იყო შესაბამისი სოციალურ-ფსიქოლოგიური ვითარებით (საფრანგეთის დამარცხება პრუსიასთან ომში), რომ დრეიფუსის საქმესთან დაკავშირებული ანტისემიტიზმი სათანადო ეკონომიკურ მოვლენას (ებრაელობაში მსხვილ კაპიტალისტთა დიდი რაოდენობით არსებობა) უკავშირდებოდა. ილიამ ასევე კარგად გაიგო ბისმარკის ხელისუფლების არსი და ა. შ.

საკითხს დავამთავრებთ ივანე ჯავახიშვილისეული დასკვნით: „ყველა ზემომოყვანილი იმედია დაარწმუნებს ყველას, თუ რამდენად საინტერესო ყოფილა ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა ისტორიის დარგშიც: როგორც ამ მეცნიერების ზოგადს ამოცანებსა და მეთოდოლოგიაზე, ისევე კერძოდ საქართველოს ისტორიასა დაისტორიკოსთა ამოცანებსა და სწორი მეთოდოლოგიით მნიშვნელოვანი შედეგის მოპოვების შესაძლებლობებზეც ჩვენს დაუვიწყარს მოამაგეს ფრიად საგულისხმო მოსაზრებანი ჰქონდა გამოთქმული"[59].

ყოველივე ზემოაღნიშნულის ფონზე ნათლად იკვეთება, რომ მარი ბროსეს, სულხან ბარათაშვილის, დიმიტრი ბაქრაძისა და ილიას

საისტორიო აზროვნების საზით ქართული ისტორიოგრაფია იმჟამად სრულიად ახალ საფეხურზე ავიდა. კერძოდ, ისტორიულ-თეორიული აზროვნების მხრივ იგი თითქმის უტოლდებოდა იმდროინდელ მოწინავე (დასავლურ და რუსულ) აზროვნებას. დიდად საბედნიეროდ, საისტორიო აზროვნების ასეთი აღმავალი ხაზი შემდგომშიც არ შეწყვეტილა და იგი განაგრძო ივანე ჯავახიშვილმა. მაგრამ ჩვენ რადიკალურად ვუპირისპირდებით ქართულ საისტორიო აზროვნებაში ძალზე დამკვიდრებულ სტერეოტიპს, რომლის თანახმადაც აღნიშნული აღმავალი ხაზის შემდგომი პროგრესი განახორციელეს ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა საზოგადოებრივ აზროვნებაში „მარქსიზმის" დანერგვით, (რომ შემდეგ, თითქოს, მარქსიზმ-ლენინიზმზე დაფუძნებით, საისტორიო აზროვნება კვლავ წინ წავიდა)[60]. ამდენად, თითქოს ეს პროგრესი უნდა ვეძიოთ ნოე ჟორდანიას, ფილიპე მახარაძის, ალექსანდრე წულუკიძის, იოსებ ჯუგაშვილის (სტალინის) და სხვათა აზროვნებაში, შესაბამისი პერიოდის წამყვან ისტორიკოსთა შრომებში. მაგრამ ასეთი მოსაზრება ოდენ პრიმიტიული ლოგიკური კონსტრუქციაა, რომელიც სერიოზულ კრიტიკულ აზროვნებას ვერ უძლებს და დროა, კარგა ხანია დროა, ქართული ისტორიოგრაფია გათავისუფლდეს ამგვარი ილუზიური წარმოდგენებისაგან.

---

[1] დიდად სამწუხაროდ, რიგმა ქართველი ისტორიკოსებისამ საკმაო ენერგია დახარჯა ქართული ისტორიოგრაფიის „ლენინური ეტაპის" წარმოსაჩენად.

[2] გაზ. „ივერია", № 17, 1888 წელი.

[3] იქვე, № 23, 1888.

[4] თსკ, ტ. V , გვ. 239.

[5] აი ისტორია, თსკ, ტ. IV, გვ. 66.

[6] თსკ, ტ. III, გვ. 56.

[7] იხ. მისი „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია", ტფ., 1938, გვ. 8.

[8] სხვათა შორის,ნიკო ნიკოლაძე თავის გაზეთ „Новое обозрение"-ში ხალხოსან ივანე ჯაბადარს საყვედურობდა: „რა საჭირო იყო ამოდენა დროსა და ენერგიის შელევა იმისთანა მკვდარი საგნისადმი, როგორც საქართველოს ძველი ისტორიაა"-ო, "კაცს, თუ მაინც და მაინც მოსცდებოდა, კიდევ მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნის ისტორია საქართველოსი მიეტევება, რომ გამოიძიოს და გამოარკვიოს"-ო. ილია პასუხობდა: „როგორ, სხვა საუკუნეები რაღათ უნდა მიგვაფუჩეჩებინონ, რაკი ჩვენის ისტორიის კვლევასა და გამოძიებაზეა საუბარი. ორში ერთი, ან ის სხვა საუკუნეები სულ არ ყოფილან, ან ყოფილან და ოდნადაც არ ღირებულან, თორემ რა სათქმელია, სამი ათასი წლის ისტორიაში მარტო ორის უკანასკნელის საუკუნის ავკარგიანობა გვეპატიება რომ იკელიო და იცოდე". თხზ. ტ. II, გვ. 209 – 210.

[9] თსკ, ტ. VI, გვ. 242.

[10] იქვე, გვ. 244.
[11] „აი ისტორია", თსკ, ტ. IV, გვ. 66.
[12] ოსმალოს საქართველო, იქვე, გვ. 9.
[13] ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, ტ. V. 1961, გვ. 98.
[14] წერილი დავით ერისთავისადმი, თსკ, ტ. X. გვ. 34.
[15] ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ, თსკ, ტ. IV, გვ. 175.
[16] თსკ, ტ. V, გვ. 241 - 242.
[17] საქართველოს მოამბეზედ, თსკ, ტ. III, გვ. 59.
[18] აი ისტორია, თსკ, ტ. IV, გვ. 67.
[19] ივანე ჯავახიშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია, გვ. 7.
[20] ადვილი მისახვედრია, რომ აქ ირონიით მოხსენიებულია პასაჟი გრიგოლ ორბელიანის ლექსიდან.
[21] თსკ, ტ. IV, გვ. 32.
[22] ხიზნების საქმე, თსკ, ტ. VI, გვ. 118 – 119.
[23] იხ. მისი „ილია ჭავჭავაძე როგორც ისტორიკოსი", თბ., 1887, გვ. 168.
[24] იქვე, გვ. 168 – 169.
[25] თსკ, ტ. VI, გვ. 119 – 120.
[26] იქვე, გვ. 130.
[27] იქვე.
[28] ირლანდია და ინგლისი, თსკ, ტ. VI, გვ. 142.
[29] თსკ, ტ. IX, გვ. 13.
[30] იქვე, გვ. 13.
[31] იქვე, გვ. 13 - 14.
[32] იქვე, გვ. 15.
[33] თსკ, ტ. VI, გვ. 20.
[34] იქვე, გვ. 29.
[35] ეს შენიშნა ივანე ჯავახიშვილმა, რომელიც წერდა: „და, როგორც ეტყობა, საქართველოს მერმინდელი პოლიტიკური დასუსტების ერთ მთავარ მიზეზად ჩვენ მგოსანს ეს გარემოება (უთანსწორობა მიწის განაწილებაში – გ. ყ) მიაჩნდა". იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 10.
[36] თსკ, ტ. VI, გვ. 161.
[37] აი ისტორია, თსკ, ტ. IV, გვ. 116 – 117.
[38] თსკ, ტ. IV, გვ. 19.
[39] თსკ, ტ. IV, გვ. 19.
[40] იქვე, გვ. 19 – 20.
[41] თსკ, ტ. IV, გვ. 22.
[42] ღმერთმა ნუ დაგაბეროთ, თსკ, ტ. III, გვ. 37 - 50. დრეპერის თვალსაზრისის კრიტიკასთან ერთად, ილია მიუთითებდა ეროვნული ნიჰილიზმის სხვა წყაროსაც: "ესეც გამოვიდა სლავიანოფილების მოძღვრება, მერე მარტო იგი ნაწილი ამ მოძღვრებისა, რომელიც დიდისა და პატარისაგან სასაცილოდ აგდებულია".
[43] ერი და ისტორია, თსკ. ტ. IV, გვ. 201.

[44] თსკ, ტ. V, გვ. 240.
[45] იქვე.
[46] საქართველოს მოამბეზედ. თსკ, ტ. III, გვ. 57.
[47] ივანე ჯავახიშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია, გვ. 7.
[48] ივანე ჯავახიშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია, გვ. 7.
[49] თსკ, ტ. IV, გვ. 63.
[50] აი ისტორია, თსკ, ტ. IV, გვ. 29.
[51] იქვე.
[52] თსკ, ტ. IV, გვ. 30 - 31.
[53] თსკ, ტ. IV, გვ. 31 – 38.
[54] თსკ, ტ. IV, გვ. 32.
[55] აღნიშნულ მოვლენას, ილიას მიხედვით, პრუსიაში, საქსონიასა და ჰესენში ეწოდებოდა Erbracht, იტალიაში – livello, პორტუგალიაში – aforamento, ჰოლანდიაში – beklem-regt, ირლანდიაში – ოლსტერის წესი, რუსეთში - ჩინში და ა. შ. თსკ ტ. VI, გვ. 128, 145.
[56] ხიზნების საქმე, თსკ, ტ. VI, გვ. 121.
[57] თსკ, ტ. II, გვ. 103.
[58] ჩვენი შეხედულებით, არაა გამორიცხული, რომ აღნიშნული საისტორიო-სატირული ნაწარმოები ილიამ დაწერა ცნობილი რუსი პოეტისა და მწერლის ალექსეი ტოლსტოის (1817 – 1875) ლექსის "რუსეთის სახელმწიფოს ისტორია გოსტომისლიდან ტიმაშევამდე" მიბაძვით. სხვათა შორის, აქაც დიალოგია გამართული პაპასა და შვილიშვილებს შორის. ლექსი დაწერილია 1868 წელს, მაგრამ დაიბეჭდა მხოლოდ 1883 წელს. ასე რომ, დროის ამ შუალედში მხოლოდ ხელნაწერის სახით ერცელდებოდა. როგორც უნდა იყოს, ფაქტია, რომ ილიასეული "რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით..." არანაკლებ ბრწყინვალეა ა. ტოლსტოის ლექსთან შედარებით.
[59] ივანე ჯავახიშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია, გვ. 15 – 16.
[60] ამ საკითხის შესახებ იხილეთ განსაკუთრებით ნიკო ბერძენიშვილის ნაშრომი "ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების მთავარი ხაზი" (1964), რომელიც შესულია მისეული "საქართველოს ისტორიის საკითხების" მესამე ტომში.

თავი მეექვსე

რამდენიმე მეცნიერული საკითხი ილიას ნააზრევის მიხედვით

§ 1 ილიას ნააზრევი ერის შესახებ*

"ერს ერთი სული, ერთი გული აქვს".

"მეცნიერებამ უნდა გვიშველოს თავის გამოცნობილ ჭეშმარიტებებით ცხოვრების ახსნა და გაგება; მან უნდა მოგვცეს პირდაპირი პასუხი ყოველ საჭირო კითხვაზედა".

ილია.

ილიას ერის თაობაზე, კერძოდ, მის ნიშან-თვისებებსა და წარმოშობაზე, სპეციალური ნაშრომი, თუნდაც სტატიის სახით, არ დაუწერია. მაგრამ მის ცალკეულ ნაწარმოებებში, განსაკუთრებთ კი პუბლიცისტიკაში, გვხვდება რიგი აზრებისა, რომლებიც საკმაოდ ნათელყოფენ აღნიშნულ საკითხს. ეს უკანასკნელი კი ილიას თანახმად, უძნელეს პრობლემათაგანია, ვინაიდან „ერის გული ზღვაზე უფრო ღრმაა და დიდი საქმეა, ვისაც ღონე შესწევნია და თავის საკუთარი გული და თვალი იქამდინ ჩაუწვდენია"[1]; „გული ერისა ზესკნელი და ქვესკნელია და ამიტომაც თვალისა, ყურის და ხელის იქამდინ მიწვდენა – ხვედრია მარტო რჩეულის კაცისა"[2].

ერის ნიშან-თვისებათა შორის ილია უპირველესად გამოჰყოფდა ენას „პირველი ასეთი ნიშანი ერის ვინაობისა – ენაა"[3]; „არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული ენაა"[4] – წერდა იგი. „ორხმიან საახალწლო ოპერეტში" (დაწერილია 1894 წელს) ილია იაკობ გოგებაშვილს ქართული ენის მნიშვნელობის თაობაზე ათქმევინებს:

„იგია ფუძე ქართველისა,
მაგარი ვითა ჯიქია"...[5]

ამ სტრიქონებში, რასაკვირველია, მხოლოდ „ბურჯი ეროვნებისას" ავტორის კრედო როდია გამოხატული, არამედ თვითონ ილიასიც. მისთვის ენა მხოლოდ ერის შემადგენელ წევრთა შორის აზრობრივი კომუნიკაციის ფუნქციის შემსრულებელი როდია, არამედ „...ცხოვრება ერისა გადაშლილია, გამომზევებულია მის ენაში, რომელიც უტყუარი სარკეა ყოველის მისის თავგადასავლისა და

ყოფაცხოვრების ცვალებადობისა"[6]; „ენა ადამიანისა, მისი სიტყვიერება (მეტყველება – **გ. ყ.**) მთელი ხელთუქმნელი ისტორიაა ერისა ცალკე და კაცობრიობისა საზოგადოდ"[7]. საერთოდ, ილიასეული შეფასებით „ენა საღეთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს"[8].

საესებით კანონზომიერად ეჩვენებოდა ჩვენს დიდ ეროვნულ მოღვაწესა და მოაზროვნეს ის გარემოება, რომ გასული საუკუნის სამოციან წლებში პირველი დიდი ძერა ქართველი ერის ცხოვრებაში სწორედ ჩვენი ენის განვითარებაში მოხდა: „...და, აი, სწორედ პირველმან ამან აიდგა ფეხი ჩვენში, შემდგომ კარგა ხნის დუმილისა"[9]. ცხადია, ილიას მხედველობაში ჰქონდა ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება, რითაც ქართველთა ენობრივი ერთობის გაშლა-განვითარების პროცესს მეტი გასაქანი მიეცა. ფართოდაა ცნობილი ამ საქმეში, ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარება-გავრცელებაში, თვითონ ილიას უდიდესი ღვაწლი.

ენის ფაქტორთან ერთად ილია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ისტორიის ერთობას – საერთო წარმოშობასა და ისტორიულ თანაცხოვრებას, თავგადასავალს. იგი აღნიშნავდა: „ყოველი ერი თავისის ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თავისის სულის ღონეს, თვისის სულის ბგერას, თვის ზნეობითს და გონებითს აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვისებას. ჩვენის ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გეარტომობისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა"[10], რომ „...ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდამ დაიწყება, როცა იგი თავისს ისტორიას ივიწყებს"[11]. ილიას მიხედვით, ისტორია მთელი ერის ისტორიული შემოქმედების პროდუქტია, მისი ხსოვნაც მთელს ერს უნდა ჰქონდეს: „ვინც უნდა იყოს, გლეხი, თავადი, ერი თუ ბერი, ისტორია ყველას ღვაწლია, საერთოდ მთელის ერის ნამოქმედარია, და იგი მამა-პაპა, რომელსაც თავისი სახელი ისტორიაში ასე თუ ისე მოუქცევია, ყველას მამა-პაპაა საერთოდ და განუყოფელად"[12].

სწორედ ისტორიის ერთობის შეგნების წყალობითაცაა, რომ უცხო დამპყრობთაგან დაცალკეეებული, დაქსაქსული ერი, მიუხედავად სახელმწიფოებრივი ერთობის უქონლობისა, მაინც ერთ მთლიანობად აღიქვამს და გრძნობს თავის თავს და ისწრაფვის, იბრძვის დაკარგული მთლიანობის აღსადგენად. ილია წერდა: „ერი, ერთის ღვაწლის დამდები, ერთს ისტორიულ უღელში ბმული, ერთად მებრძოლი, ერთსა და იმავე ჭირსა და ლხინში გამოტარებული – ერთსულობით,

ერთგულობით, ძლიერია. თუნდ დროთა ბრუნვას ერი განეყოს, დაერღვიოს, – მაგრამ მაინც რღვეულთა შორის იდუმალი შემსჭვალება, იდუმალი მიმზიდველობა იმოდენად სუფევს, რომ სამყოფია ხოლმე ერთი რაიმე შემთხვევა, რათა იფეთქოს, იჭექოს დაძინებულმა ისტორიამ და ერთსულობამ, ერთგულობამ თავისი ძლიერი ფრთა გაშალოს"[11]. კერძოდ, ილიას მხედველობაში ჰქონდა ქართველობის მაგალითი, როცა ოსმალთა მძლავრობამ მას ჩამოაცილა საგრძნობი ნაწილი. როგორც ცნობილია, ოსმალეთის ქართველობის დიდმა ნაწილმა დაჰკარგა ენა, შეიცვალა სარწმუნოება, რიგი ზნე-ჩვეულებებისა, მაგრამ, როგორც გარკვეული ეთნოსი, ქართველობა არ გამქრალა. ამაში, ილიას შეხედულებით, გადამწყვეტი როლი შეასრულა საერთო წარმოშობისა და ისტორიული თავგადასავლის შეგნებამ ანუ ისტორიის ერთობამ. ამ ერთობის შეგნებამ – განსაკუთრებით აჭარაში – გაუძლო თითქმის სამსაუკუნოვან ძლიერ დაწოლას აგრესორთაგან და რუსეთ-თურქეთის 1877 – 78 წლების ომის შედეგად, ეს ნაწილი, როგორც ქართველობა, კვლავ დაუბრუნდა დანარჩენ, ძირითად ქართველობას.

მაგრამ ილიას ზემოაღნიშნულ აზრებში აშკარა წინააღმდეგობაა. როგორც დავინახეთ, ერის ნიშან-თვისებათა შორის იგი უპირველესად გამოჰყოფდა ენის მნიშვნელობას, შემდეგ კი ასეთად ჩათვალა ისტორიის ერთობა. მაგრამ ეს საკითხი – ე. ი. რომელია უფრო მთავარი ერისათვის: ენის ერთობა თუ თვითშეგნება, ისტორიის ერთობის ჩათვლით, ვერ გადაუწყვეტია თანამედროვე აზროვნებასაც; ზოგიერთთა მიხედვით, ყველაზე მთავარი, რაც ადუღაბებს, განმსჭვალავს ერის შემადგენელ წევრებს, არის ენა, ზოგიერთების მიხედვით კი – ეროვნული თვითშეგნება, რომელიც მოიცავს ისტორიის ერთობის გაცნობიერებასაც (ჩვენ ამ უკანასკნელ თვალსაზრისს ვიზიარებთ). თუ ამ ორ ფაქტორს შორის რომელს უნდა მიეცეს უპირატესობა, ცხადია, ძნელია ამის გააზრება იმ ერების მაგალითებზე, რომლებიც ეროვნულად დამოუკიდებელნი დარჩნენ და, ცხადია, შეინარჩუნეს თავისი ენაც. მაგრამ გვხვდება სიტუაციები, როცა ისტორიის ბედუკუღმართობის წყალობით ზოგმა ერმა დაჰკარგა თავისი ენა. კერძოდ, ასე დაემართათ ებრაელობასა და ირლანდიელებს. ამ ერების უმრაველესობამ დაჰკარგა საკუთარი ენა, მაგრამ როგორც ცალკე ეთნოსები არ გამქრალან. ამაში კი გადამწყვეტი როლი შეასრულა ეროვნული თვითშეგნების ფაქტორმა. მაგრამ დაეუბრუნდეთ ჩვენს თემას. მთავარი ის კი არაა, რომ ილიამ ვერ გადაჭრა პრობლემა, თუ რომელ ფაქტორთაგანს უნდა მიეცეს პრიორიტეტი ერის

ცხოვრებაში – ენას თუ ეროვნულ თვითშეგნებას, კერძოდ ისტორიის ერთობას, – არამედ თვით საკითხის დაყენება, რომელიც, როგორც უკვე მივუთითებდით, უაღრესად აქტუალურია დღესაც კი.

ილია არაერთგზის ლაპარაკობდა ეროვნული ხასიათის არსებობაზე, როგორც ფაქტზე და მის მნიშვნელობაზე. ამ ფაქტორის გაგება-გააზრებისას იგი შორს იდგა რასისტული იდეოლოგიისათვის დამახასიათებელი ირაციონალიზმის, მისტიკისა და ნიჰილიზმისაგან (ე. წ. მცირე ერების მიმართ). იგი აღნიშნავდა: „...ყოველის თესლის ერს თავისი განსხვავებული ხასიათი აქვს და ზნე-ჩვეულება, იმიტომ რომ ხასიათის და ზნე-ჩვეულების ასე თუ ისე აგებაზედ მოქმედებს მთელი კრებული იმ გარემოებათა, რომელთ წრეშიაც სული და ხორცი დიდი ხანი უტრიალებია ერს და დღესაც ატრიალებს. შორს რომ არ წავიდეთ, ჯერ თუნდ ადგილმდებარეობა ვიქონიოთ სახეში, მიწა-წყალი, ერთობ კაცთ-გარეთი ბუნება. – ესეც კი ძლიერ მოქმედებს ადამიანის ხასიათისა და ზნე-ჩვეულების სხვადასხვაობის შესაქმნელად. ჯერ ერთისა და იმავე თესლის კაცი მთიული და ბარელი აიღეთ და ამათშიაც, ხასიათის მიხედავთ თუ ზნეს, თვალსაჩინო განსხვავებას იპოვით, და რაღა ითქმის იმ კაცებზედ, რომელნიც სულ სხვადასხვა თესლისანი არიან და სხვადასხვა ქვეყნის შვილნი. თუ ესეა, რაღა გვეთქმის ერის ისტორიასა, საოჯახო და საზოგადოებრივს წყობილებაზედ, და ერთობ იმ რთულ და მრავალგვართა ხილულთა და არა-ხილულთა ძალთა ყოვლად ძლიერ ზედმოქმედებაზედ, რომელნიც შიგნიდანვე ჰქმნიან ხასიათსა და ზნე-ჩვეულებასა ერთისა თუ მეორე ერისას"[14].

საკუთრივ ქართველობის მიმართ იგი შენიშნავდა: „ჩვენი, ქართველების, ხასიათი მართლა რომ ახირებული და მიუწვდომელი რამ არის. კარგი, მეტად ნიჭიერი, მეტად შორს გამჭვრეტი და გამოცდილებით სახელგანთქმული კალამია საჭირო, რომ გაიკვლიოს გზა ამ ხასიათის საცნობად და გამოსახატავად და ერთი რამ დასკვნა გამოიყვანოს იმ ერთი მეორის საწინააღმდეგო თვისებათაგან, რომელთაგანაც შემდგარია ეს ხასიათი, თითქო ათას ფეროვანი ჩუქურთმა არისო"[15]. ილია ერთი მხრივ აღნიშნავდა ქართველობის ხელგაშლილობას[16], გულწრფელობას, გატაცებულობას („გატაცების ხალხი ვართ"), მეორე მხრივ ინერტულობას, გულგრილობას, განსაკუთრებით საზოგადო საქმისადმი[17]. „კაცია-ადამიანში" იგი წერდა: „კარგი რამ არის ქართველი კაცი: ბედსაც და უბედობასაც თანასწორად ემორჩილება ხოლმე. არც ერთისთვის გაიხეთქს თავს და არც მეორისთვის დაიწყებს ბრძოლასა"[18]. სხვაგან ეკითხულობთ:

„თქვენგან არ გვიკვირს: სად ქართველი კაცი და სად ერთიანი გარჯა! სად ქართველი კაცი და სად საყოველთაო საქმისათვის ერთად, კრებულად თავის მოყრა და ერთად უღლის წევა!"[19]. აქვე აღნიშნულია: „...ასე იცის წყეულმა დაქსაქსულობამ, ასე იცის ერთმანეთის მიუკარებლობამ და გაუტანლობამ, ასე იცის იმ საყოველთაო გრძნობის არ ქონვამ, რომელიც საკრებულო (ე. ი. სოციალური – **გ. ყ.**) არსებას უნდა ჰქონდეს, აზარმაცსავით, რომ ამ წუთისოფლის საპალნე ადვილად ასწიოსა და ჰზიდოს"[20]. ქართველთა ხასიათის უარყოფითი მხარეები დაწერილებით არის ჩამოთვლილი ილიას პოეტურ შედეერში „ბედნიერი ერი".

მაგრამ ილია კარგად ამჩნევდა, რომ ქართველთა ხასიათის ეს უარყოფითი მხარე ჩვენი თანდაყოლილი და მოუშორებელი თვისება როდი იყო. იყო დრო, როცა საერთო საქმისათვის ქართველობას გული შესტკიოდა და იღვწოდა (ამის შესახებ ილია არაერთგზის წერდა „აჩრდილში"). მაგრამ ისტორიულმა ვითარებამ, ჯერ ერთიანი საქართველოს დაშლამ, შემდეგ მეფის რუსეთის კოლონიად ყოფნამ, ქართველთა ხასიათი ამ მიმართულებით აშკარად შესცვალა, ცხადია, უარყოფითი მიმართულებით. მოვიგონოთ ილიასეული „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით?..."

კიდევ მეტი, თუმცა ილია აშკარად გახაზავდა ქართველთა ეროვნული ხასიათის თავისებურებას, განსხვავებულობას სხვა ერებისაგან, მაგრამ განსხვავებულობას ხედავდა თვითონ ქართველობის შემადგენელ ნაწილებს შორისაც. სახელდობრ რაჭველებზე შენიშნავდა: „რაჭველი თავშენახული, შრომისმოყვარე, ფრთხილი, დამზოგველი, გონიერად ხელმოჭერილი და ხელღონიერი კაცია და ამ თვისებით ბევრს ჩვენში აღემატება"[21]. ილიასავე მახვილმა გონებამ კარგად შეამჩნია ჩვენს ტარდიციულ ფსიქოლოგიაში მომხდარი ძვრები, რასაც უფრო თვალსაჩინოდ დასავლელ ქართველობაში ჰქონდა ადგილი. ამიტომაც 1903 წელს სოხუმის ქართველ საზოგადოებას იგი ასე მიმართავდა: „დასავლეთ საქართველოს ქართველობამ აღმოსავლეთ საქართველოს მოძმეებს მაგალითი უნდა უჩვენოს სიფხიზლისა, ცხოვრებაში ბრძოლის უნარის გამოჩენისა, უნდა ასწავლოთ, რომ იმათაც ამავე გზით იარონ, იმათაც თქვენ მოგბაძონ"[22].

ილია აღნიშნავდა შოტლანდიელთა ხასიათის ისეთ თვისებებს, როგორიცაა თავმომწონეობა, გამბედაობა, თავისუფლების სიყვარული, სიმედგრე, „გულდაგულება", ოპტიმიზმი[23]. სპარსელი კი, მის მიხედვით, სულ სხვანაირი ხასიათისაა: გულჩათუთქული, ილაჯგაწყვეტილი,

ფრთხილი, გათელილი, სასოწარკვეთილი[24]. ილია სვამს კითხვას შოტლანდიელთა და სპარსელთა ხასიათების ასეთი მკვეთრი განსხვავებულობის მიზეზის შესახებ. ამის არსებობას იგი ვერ ხედავდა შესაბამის ბუნებაში, გეოგრაფიულ გარემოში – ბუნება სპარსეთისა, ილიას შეხედულებით, უკეთესია შოტლანდიისაზე. მთავარი მიზეზი, ილიას აზრით, ის არის, რომ „ბედნიერმა" შოტლანდიელმა იცის „ჩემი აქ თავდება და სხვისა იქ იწყებაო", „უბედურს სპარსელს კი არც თავისი გაეგება და არც სხვისა"[25]. ამდენად ამ განსხვავებულობათა მთავარ მიზეზს, ილიას ფიქრით, წარმოადგენს საკუთრების, საკუთრების ურთიერთობების მომწესრიგებელი სამართლის არსებობა-არარსებობა.

სტატიაში „საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიური მიზეზები" (დაწერილია 1897 წელს) ილია გადმოსცემდა ოსებისა და თათრების (აზერბაიჯანელების) ხასიათს.

ილია ხაზს უსვამდა ინგლისელის მხნეობაში სახელგანთქმულობას[26]. პირველ რიგში ინგლისელთა სიმპათიური ეროვნული ხასიათის გამო იყო, რომ ილია ინგლისს „დიდის" ეპითეტით მოიხსენიებდა[27]. ფრანგთა ეროვნულ ხასიათში იგი გამოჰყოფდა თავგამოდებას ჩაგრულ ერთათვის, ე. ი. ინტერნაციონალისტურ გრძნობასა და შეგნებას[28].

მეცნიერული ახსნა-გაგების თვალსაზრისით ყველაზე საინტერესო და ღრმა მაინც ილიას აზრებია ირლანდიელთა ხასიათის თაობაზე. იმ დროისათვის ფართოდ გავრცელებული შეხედულებით, ირლანდიელები თითქოს თანდაყოლილი ლოთები, მცონარენი, წინდაუხედავნი, მფლანგველები, ბედოვლათები და უმეცარნი იყვნენ. ინგლისელი ბურჟუაზიული იდეოლოგოსები ყოველნაირად გახაზავდნენ ხოლმე ირლანდიური ხასიათის სახელდობრ ასეთ მხარეებს. ჩამოთვლილი უარყოფითი ნიშან-თვისებები თითქოსდა მართლაც აშკარად წარმოაჩენდა თავს. ილია დასძენდა: „იქნება ესეც იყოს, მაგრამ ამას კი ივიწყებენ, რომ ბუდე ამისთანა თვისებისა სიღარიბეა და სიღარიბე, მიწათმოქმედის ერის უმამულობაა"[29]. ილია უფრო აკონკრეტებს მიზეზს: „გახიზნულმა (ემიგრანტმა – **გ. ჯ.**) ირლანდიელმა ცხადად დაუმტკიცა ქვეყანას, რომ თავისი უბედურების მიზეზი თვითონ ერის ბუნება და თვისება კი არ არის, როგორც ამტკიცებენ დღესაც ზოგიერთი მომხრენი მემამულეებისა, არამედ იგი არისტოკრატიული წესი მიწათმფლობელობისა, რომელიც ინგლისმა შეიტანა ირლანდიაში და რომელმაც გლეხობას ხელიდამ გამოაცალა მამული და ცარიელზედ დასვა"[30]. ამდენად სხვა პირობებში,

რამდენადაც ძლიერია თვით მის თავზე მოსული უბედურება და განსაცდელი"[39]. როგორც ცნობილია, ჩვენი უდიდესი ეროვნული მოღვაწე არა მარტო აზროვნებით, არამედ პრაქტიკული შემოქმედებითაც ამ გრძნობის გაღრმავება-გაფართოებისათვის წარმართავდა მთელს თავის ძალისხმევას.

ილიას შეხედულებით ერის ერთ-ერთ მაკონსოლიდირებელ, შემაკავშირებელ ფაქტორს წარმოადგენდა რელიგია. კერძოდ „ქრისტეს რჯული ქართველებისათვის მარტო სარწმუნოებითი აღსარება კი არ იყო, იგი ამასთან ერთად პოლიტიკური ქვითკირიც იყო საქართველეოს მრავალ ნაწილების გასაერთიანებლად და შემოსაკრებად. ერთობა სარწმუნოებისა ერთობას ერისას მოასწავებდა"[40]. სწორედ ამიტომ იყო, შენიშნავდა ილია, რომ „ქართველი ერი ამისათვის უფრთხილდებოდა თავის რჯულს, რომელიც, თავის შინაგან ღირსების გარდა, დულაბობას უწევდა ერთობასა"[41]. ასევე ირლანდიის ისტორიის თხრობისას ილია მკვეთრად გამოკვეთავდა ხოლმე სარწმუნოების მნიშვნელობასაც. ამ ერებისაგან განსხვავებით, რელიგია, ილიას შეხედულებით, კიდევ უფრო დიდ როლს ასრულებდა მაჰმადიან ერებში, რომელნიც ჩვეულნი იყვნენ რომ „სახელმწიფო წყობილება, პოლიტიკა, და ერთობ ყველაფერი ქვეყნიერებაზედ, მარტო სარწმუნოებას დაუმორჩილოს, ქვეშ დაუყენოს და ანაცვალოს"[42].

საერთოდაც, ილიას მიხედვით, ისტორიის მსვლელობაში რელიგიის როლი ყოველთვის ერთნაირი როდი იყო. ერის ისტორიის დასაწყისში ამ ფაქტორის მაკონსოლიდირებელი მნიშვნელობა გაცილებით მეტი იყო. ქართველობის ერად ჩამოყალიბების პერიოდის მიმართ იგი შენიშნავდა: „დრო იყო ამისთანა და სხვა არა-რა ელემენტი მაშინ შემძლებელ არ იყო ეს ჩვენის ისტორიის დასაბამიდან სასურველი ერთობა დაედგინა"[43]. მაგრამ შემდეგში ვითარება ამ მხრივ შეიცვალა. მაგალითად, რეფორმაციის ხანიდან მოყოლებული, დასავლეთ-ევროპელი ერების რელიგიურ ცნობიერებაში გათიშვა მოხდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ერის ერთობა მაინც განაგრძობდა მტკიცე არსებობას. ასევე საქართველოს ისტორიაში აგრესორთა მძლავრობით ქართველობის ნაწილს, როგორც უკვე აღვნიშნავდით, თავს მოეხვია უცხო, მაჰმადიანური რელიგია. მაგრამ გასული საუკუნის 60 – 70-იან წლებიდან ასე თუ ისე ფეხზე დამდგარი ქართველობისათვის ეს გათიშულობა იმდენად საშიში აღარ იყო. ამიერიდან, ილიას ოპტიმისტური განცხადებით, „სარწმუნოების სხვადასხვაობა ჩვენ არ გვაშინებს"[44].

ილიას შენიშნული ჰქონდა კულტურის ერთობის მნიშვნელობაც, რომელიც გამოხატულება იყო ერის ერთობისა. იგი წერდა: „უფროს-

ერის (უმეტეს – გ. ჯ.) შემთხვევაში ერთობა ენისა მოასწავებს ერთობას კულტურისას"[45]. გამონაკლისს იგი უშვებდა იმ ერების მიმართ, რომლებსაც კი გააჩნიათ საკუთარი კულტურა, მაგრამ ენა სხვა ხალხებთან ერთად საერთო ჰქონდათ (მაგალითად ინგლისურ ან ესპანურ ენაზე მოლაპარაკე ერებს). სამწუხაროდ, ილიას ნააზრევში სათანადოდ არაა გაშლილი საკითხი იმის თაობაზე, რელიგია და კულტურა ერთიან ნიშან-თვისებად უნდა ჩაითვალოს თუ ცალ-ცალკე ნიშნებად.

ილიას მოსაზრებით, ერის არსებობის ერთ-ერთი ნიშან-თვისება ტერიტორიაა, როგორც „ღვთაებრივი საუნჯე". იგი წერდა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება"[46]. მის მიერ სხვაგანაც ხაზგასმულია ერისათვის მიწა-წყლის მნიშვნელობა[47]. ამიტომაც, როცა რუსეთის იმპერიის დაშლა-დეზინტეგრაციის ძლიერი პროცესის დაწყებასთან ერთად საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა უტოპიიდან რეალურ შესაძლებლობად იქცა (თუმცა ჯერ ავტონომიის შესაძლებლობის სახით), ილიამ „პროგრესისტთა ქართულ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამაში" ჩაწერა ბათომის ოლქის, სოხუმისა და ზაქათალის ოკრუგების ერთიან საქართველოში გაერთიანების, უფრო სწორად ხელახლა გაერთიანების, აუცილებლობა, როგორც დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარი ქართველობის არსებობის აუცილებელი პირობა.

ილიას არ გამორჩენია რასობრივი, ანთროპოლოგიური ერთობის ფაქტორიც. მაგალითად, იგი აღნიშნავდა, რომ ქართველები „ერთხორცნი" არიან[48]. კიდევ მეტი, ერის აღნიშნულმა ნიშან-თვისებამ თავი იჩნია, ერის ილიასეულ დეფინიციაში – „ერი, როგორც კრებული ისტორიით შედუღებულ – ერთ-სულ და ერთ-ხორც მკვიდრთა"[49].

როდის და როგორ წარმოიქმნა ერი? ილიას ნააზრევში ამაზედაც ვპოულობთ პასუხს. ერთი მხრივ, ეს ფენომენი უშორეს ისტორიულ წარსულში წარმოიშვა, ჯერ კიდევ ველურობის ეპოქაში[50]. მაგრამ სხვაგან ერის წარმოშობის დრო უფრო აქეთ არის გადმოტანილი. ილია წერდა: „თავდაპირველი შემოქმედი ეროვნებისა და ერის სიმდიდრისა მარტო გუთანი და მიწა ყოფილა"[51]; „სხვა ყოველივე ფუჭია და წარმაეალი, ვერც ერის ვინაობას დაედება საძირკველად, და ვერც ერთი ჯიშის, ერთის სიხლისა და ხორცის ადამიანთ თავს ერთად მოუყრის და ვერც ერად შეჰქმნის"[52]. როგორც ვხედავთ, ილიას ერის წარმოშობის მოელენისათვის მატერიალური საფუძველიც მოუძებნია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ დავსძენთ, რომ ილია ერისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებად გულისხმობდა ენის, ისტორიის და საერთოდ ეროვნული თვითშეგნების, რელიგიის, ტერიტორიის, რასობრივი და ეკონომიკური თანაცხოვრების ერთობას. ეს ერთობა, ჩვენი დიდი მწერლისა და მოაზროვნის თანახმად, ფიქცია ანდა აბსტრაქცია კი არ არის, არამედ სავსებით რეალური, ემპირიული რამ თვით კლასებად, წოდებებად დიფერენცირებულ საზოგადოებაშიც კი. შესაბამისად იგი (ეს ერთობა) მეტ-ნაკლებად გაცნობიერებულია ერის მთელი შემადგენელი წევრების მიერ. აღნიშნული მითუმეტეს ეხება დაპყრობილ, დამონებულ ერს. აქედან გამოდინარეობს საერთო ეროვნული მიზნის არსებობაც. ილია პათეტიკურად აცხადებდა: „ვაი იმ ხალხს, რომელმაც არ იცის რისთვის ცხოვრობს, რომელიც ხავსს იკიდებს ერის დამპალს გუბეში და არ იცის, რომ გუბეს გარეთ მინდვრებია ამწვანებული და ჰაერი ცხოვრების მიმნიჭებელი; უფრო ვაი იმ საზოგადოებას, რომელმაც არამც თუ ეს, ისიც არ იცის, რომ უნდა ცხოვრობდეს უთუოდ რისთვისამე"[53]. ამ ილიასეულ ერემიადაში უპირველესად სოციალურად და კულტურულად ჩამორჩენილი და ეროვნულად დაჩაგრული ქართველი ერი იგულისხმებოდა. იგი კითხვას ასე სვამდა და პასუხობდა: „ჩვენმა საზოგადოებამ რომ თითონვე იცოდეს ამის პასუხის გაცემა, ხომ ჭრიანტელი აღარ იქნებოდა, არამედ იქნებოდა გონიერი მწყობრი, რომელმაც იცის, რისთვის არის, ე. ი. ერთი აზრი აქვს თვალწინ, ერთი საგანი, ერთი იდეალი, რომლის მისაწვდომელად საზოგადოდ იბრძვიან"[54]. აღნიშნულ კონტექსტში სავსებით გაცხადდება ილიასეული აზრი, რომ „სათითაოდ ყველას ერთნაირი დანიშნულება არა აქვს, სათითოოდ ყველას რაიმე დანიშნულება კი უსათუოდ აქვს"[55].

ილია სასტიკად აკრიტიკებდა ჯონ უილიამ დრეპერის იმხანად ფართოდ გავრცელებულ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც ერი, ერთეული ადამიანის დარად, გადის ბავშვობის, ყრმობის, სიჭაბუკის, დავაჟკაცებისა და სიბერის ასაკებს, რომლებიც აუცილებლად სიკვდილით მთავრდება. ამ თვალსაზრისს იგი „უკვე დაძველებულ და ბევრთაგან გამტყუნებულ აზრად" თვლიდა. ამ ყაიდისა და ფასეულობისად მიიჩნევდა ჩვენი დიდი მოაზროვნე სლავოფილთა მოძღვრებასაც. „ან რა აზრი აქვს ერის სიბერეს? რას გვიქვიან ერის სიბერე?" – კითხულობდა იგი და აქვე პასუხობდა: „სიბერე ერისა არამც თუ ბუნებური მოვლენაა, არამც თუ არსებობს, წარმოდგენითაც კი ყოვლად შეუძლებელია"[56]. და თუ რომელიმე ერი აღგვილა

ისტორიიდან, ამის მიზეზი, ილიას თანახმად, არის „შინაურ საქმეთა მოუწყობლობა, ურიგობა" და გარეშე მიზეზი – შემოსევანი.

ერი, ილიას შეხედულებით, უდიდესი ფასეულობაა კაცობრიობის საერთო ცხოვრებაში. იგი აღნიშნავდა: „არ არის ქვეყანაზე იმისთანა ერი, რომელიც, თუ ცოტაოდნად მაინც გონებად მოსულია, ცოტაოდენი ისტორია ჰქონია და კულტურაში ცოტაოდნად ფეხი მოუკიდებია, რითიმე გამოსადეგი არ იყოს სახელმწიფოში, რაც გინდ დიდი სახელმწიფო იყოს და მორჭმული თვისის სულიერ და ხორციელ ძალ-ღონითა"[57]. „ამიტომაც – განგრძობდა ილია, – დიდი ცოდვაა ადამიანს, თუნდ ცალკე პატარა ერს, ნიჭი შეუკრა, შეუბოჭო, სიკეთის ღონე შეუხუთო"[58]. უფრო კონკრეტულად ჩვენი ერის შესახებ ილიამ აღნიშნული აზრი ასეთი მხატვრული ფორმით გადმოსცა: „ძლიერია და მტკიცე მუხა, ფართოდ ფოთოლგაშლილი, თავ-კარავიანი, ამტანი ყოველ-გვარის ქარტეხილისა, მაგრამ განა რას დაუშლის მის ძლიერებას, რომ მის მახლობლად პატარა იაცა ჰყვაოდეს. ჩვენი ქვეყანა პატარაა, მაგრამ ტურფაა, როგორც ია, როგორც გაზაფხულის ყვავილი და ჩვენი ნატვრა მხოლოდ ის არის, რომ იცოცხლოს დიდის მუხის მახლობლად უვნებლად, თავისუფლადა"-ო[59]. ილიასეული აზრი კიდეე უფრო აქტუალურია დღევანდელობისათვის, დიდი და მცირე ერების ინტენსიური ურთიერთზემოქმედების ეპოქაში.

§ 2 ქართული ხასიათის შესახებ

„ჩემზე ამბობენ: „ის სიავეს ქართვლისას ამბობს,
ჩვენს ცუდს არ მალავს, ეგ ხომ ცხადი სიძულვილია!"
ბრიყვნი აბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს –
ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია!"

„ჩვენი, ქართველების, ხასიათი მართლა ახირებული და მიუწვდომელი რამ არის".

ილია.

ამ წერილში უფრო დაწვრილებით შევჩერდებით ქართული ხასიათის ილიასეულ გაგებაზე.

ჩვეულებრივ, ამ საკითხის გააზრებისას, ჯერდებიან ხოლმე ილიას სატირულ ლექსებს: „ბედნიერი ერი" და „რა ვაკეთეთ, რას ვშერებოდით ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტე საუკუნისა", საიდანაც შესაბამისი დასკვნები თავისთავად იგულისხმება. თუნდაც

პირველი ლექსის ერთ პასაჟზე შევჩერდეთ:

„ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!
ყველა უნჯი,
ყველა მუნჯი,
გულჩვილი და ლმობიერი;
თვალაბმული,
თავაკრული,
პირს ლაგამი ზომიერი;
ყველა ყრუი,
ყველა ცრუი
ჭკვადამჯდარი, გულხმიერი;
მცირე, დიდი,
ყველა ფლიდი,
ცუღლუტი და მანკიერი".

ეყრდნობიან აგრეთვე „კაცია-ადამიანს?!", რომლის მთავარ პერსონაჟებს ხშირად ქართული ხასიათის ტიპურ გამოვლინებად მიიჩნევენ[60]. შეიძლებოდა სხვა მაგალითების მოტანაც. მაგალითად, „არაევის ენატრება იმისთანა სამაგალითო კაცნი, როგორც ქართველობას, რომელმაც მარტო წუწუნი იცის და არა საქმის აჩენა, საქმის გატანა, საქმისათვის ბრძოლა, ომი და ჭიდილი"[61].

ილია ამჩნევდა მეზობელი, აღმოსავლური სახელმწიფოებიდან შემოსულ ერთ ნიშან-თვისებასაც: „...ჩვენ საწყალ ქართველებს ერთი სხვა საძაგელი სენიც გვჭირს – ყიზილბაშობა – გულის შემაზრზენი, კაცის ღირსების დამმდაბლებელი პირფერობა, ურცხვი ტყუილი ქება, საძაგელი კლაკვნა და პირიდამ ოფლის დენა, რომელსაც ქართველი „სრდილობას" ეძახის, – ესენი ერთად შტოები არიან დამპალ ყიზილბაშობისა. ისე უყვარს ქართველს ეს გამრყვნელი და წამახდენელი სენი, რომ თუ არ აქე, თუ არ მიეფერე, პირიდამ თაფლი თუ არ იდინე, სულ ყველაფერი უზრდელობა და ლანძღვა ჰგონია"[62].

მაშინ კითხვა დაისმის: თუ ქართველი ერი იმხანად (ლექსები დაწერილია 1871 წელს) ასეთი მანკიერი თვისებებით ხასიათდებოდა, მოკლებული იყო რაიმე დადებით ნიშან-თვისებას, მაშინ ხომ სულ წასული ყოფილა საქმე და თვითონ ილიას მიზანი – ფეხზე დაეყენებინა ქართველობა, მთლად სიზიფეს შრომას დამსგავსებულა.

მაგრამ აღნიშნულ ლექსებში აშკარა გაზვიადებაა. იმჟამინდელი ქართული საზოგადოება, ცხადია, ერთგვაროვანი არ ყოფილა და ყველა ფენა როდი იყო თანაბრად გადაგვარებული. მსგავს დახასიათებას იმსახურებდა ძირითადად თავადაზნაურობა, რომელსაც საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობამ და ფეოდალიზმის სისტემის მოშლამ (ჯერ კიდევ კაპიტალისტური წყობის გაჩენამდე) სოციალური ფუნქცია დაუკარგა. თუ უწინ სახელმწიფოს მართვა-გამგეობა, სამხედრო საქმე და მართლმსაჯულება თავად-აზნაურთა ხელში იყო, 1801 წლიდან, ვიმეორებთ, მათ ეს ფუნქციები დაეკარგა. დარჩა სამი გამოსავალი: უქმად ყოფნა ლურასაბსა და დარეჯანსავით, კარიერის კეთება სამხედრო საქმესა და სამოქალაქო ბიუროკრატიაში და აქტიურობა სოფლის მეურნეობის ბურჟუაზიულ ყაიდაზე გარდასაქმნელად (ინგლისელი ჯენტრისა და პრუსიელი იუნკრობის მსგავსად). თავადაზნაურობამ ძირითადად პირველი ორი გზა არჩია. აი ამ საფუძველზე და ამგვარ სარბიელზე ჩამოყალიბდა ლუარსაბისა და დარეჯანის ტიპები, ილიასეულ ორ აღნიშნულ ლექსში გაცხადებული უარყოფითი თვისებები.

თავადაზნაურობის ასეთმა გადაგვარებამ, რა თქმა უნდა, გარკვეული დაღი დაასვა მთლიანად ქართველი ერის იერსახეს, კერძოდ გლეხკაცობასაც, მაგრამ ეს უკანასკნელი მაინც ჯანსაღი რჩებოდა. ამ აზრზე ილია ურყევად იდგა. მოვიგონოთ გლეხთა როგორი ტიპები დახატა ილიამ ჯერ კიდევ ადრინდელ ნაწარმოებებში კაკოს,ზაქროს,გაბროს, ლელთ ღუნიას,მოგვიანებით კი ოთარაანთ ქვრივისა და გიორგის სახით. ეს კი წარმოუდგენელია იმ შემთხვევაში, თუ ილია ქართველ გლეხკაცობასაც „ბედნიერ ერში" გადმოცემული უარყოფითი ნიშან-თვისებებით წარმოიდგენდა. „მართლა-და, არც ისე ლუკმა-გაწყვეტილები ვართ, რომ, თუ არ თვითოეულმან ცალკე, ერთად მაინც საზოგადოებრივად ღონისძიება არ მოვიკრიფოთ ჩვენის აუცილებელის საჭიროების შესავსებად"[ფ].

ეს რომ ასე არ არის, ჩანს ილიას შემდეგი აზრებიდან: „ბევრი რამ ცუდი გვჭირს ქართველებს, ბევრგზით დაშხამული და მოწამლული გული გვაქვს, ჩვენდა საუბედუროდ, ბევრ გზით გულ-გატეხილები ვართ, ბევრი გზით ზნეობა-მოდუნებულნი, მაგრამ იმას-კი მის დღეში არ ვიფიქრებთ, რომ გროშმა სძლიოს ჩვენის ქვეყნის სიყვარულს, ჩვენს მამულის-შვილობას, ჩვენს კაცურ-კაცობას. მის დღეში გულშიც არ გავიტარებთ, რომ გროშისათვის მსუნაგობამ ქართველ კაცს ქვეყანა დააევწყოს და საკუთარს სიხარბეს ქვეყნის

სიკეთე ანაცვალოს. არა გეგონია, ამისთანა უბედური ბევრი იყოს ჩვენში და, თუ არის, ვაი ჩვენი ბრალი! მაგისთანაებშია დასაწყისი დასარულისა"[64].

ილიას შემოქმედებაში გვხვდება აგრეთვე განზოგადებული ხასიათის მსჯელობა გლეხობის შესახებ. „ოთარაანთ ქვრივში" არჩილი, თავადაზნაურობისაგან განსხვავებით, გლეხკაცობას ასე ახასიათებს: „ჩვენ რაცა ვართ, გაკეთებულნი ვართ, ისინი კი – შექმნილნი. ჩვენ დაბლანდულნი ვართ, ისინი კი გვირისტით შეკერილნი, იმ გვირისტით, რომელიც მარტო ბუნებამ იცის და ბუნება – ხომ იცი, რა ოსტატია. ისინი ჩაკირულნი არიან, ჩვენ – დონდლონი, დუნენი[65]; „იმათი ცოცხალი ნახევარი, ავად თუ კარგად, მაინც ჰსაქმობს, და ჩვენი კი უქმია. საქმეა სიცოცხლე... ეს არის იმათი კარგი და ამითი გვჯობნიან"...[66]; „ცხოვრება მაინც იმათშია: იქა ჰდუღს ძარღვებში მოარული სისხლი, იქა სცემს თითონ სიცოცხლის ძარღვიცა. მაშ რა სწნავს ამისთანა კაცურ-კაცს, როგორც გიორგი იყო, ან იმისთანა დედაკაცს, როგორც ოთარაანთ ქვრივია? მაგისთანა პური მარტო იმათს თონეში-ღა ჰცხვება, ჩვენი თონე კი მარტო ჩვენისთანა კუტ-პურს აცხობს"[67]. ცოტა მოგვიანებით სანდალას (ზაქარია ჭიჭინაძის) კრიტიკისას ილია წერდა: „ნუთუ ჩვენი პატიოსანი და ნამუსიანი გლეხობა იგი ხეა, რომელიც ამისთანა ხილს ისხამს! ვაი გლეხის შვილობავ, თუ შენს სისხლ-ხორცს ამისთანა კაცი უჩენია! ჩვენ არ გვჯერა ეს და ღმერთმაც ნუ ჰქმნას"[68]. გლეხკაცობას იგი ასე მიმართავდა: „ბევრს რასმე მოკლებული ხარ, ბევრი რამ წართმეული გქონდა და მარტო ერთი პატიოსანი და ნამუსიანი სახელი-ღა შეგრჩა"[69]. არტურ ლაისტი იგონებს: „თქმა არ უნდა,ილია დიდი მეგობარი იყო გლეხობისა, რომელთადმი უანგარო, გადაჭარბებული სიყვარული მას ხშირად ხდიდა გლეხის მიკერძოებულ მეგობრად; ილია თავგამოდებით იცავდა გლეხკაცის ღირსებას"; „საზოგადოდ, ყველა ის მოვლენა, რაც გლეხკაცის დადებით მხარეს მოწმობდა, დიდ სიხარულსა და სიამაყეს ჰგვრიდა (ილიას – **გ. ყ.**)"[70].

გაზვიადებაა ილიასეულ მეორე ლექსშიც „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით..." ერეკლეს გარდაცვალებიდან მოყოლებული ჩვენი ისტორია მთლად ასეთი როდი იყო, როგორც სატირულ ლექსშია გადმოცემული. ამ პერიოდს ავსებს თავად-აზნაურთა და გლეხთა ერთობლივი გამოსვლები, 1832 წლის გამოსვლა (შეთქმულება) თავად-აზნაურობისა,რომლის თაობაზეც ლექსში ვკითხულობთ:

„მერე როცა ამ წვა-დაგვამ
დღენი ჩვენნი მოგვაწბილა,
ტანჯვა ვეღარ ავიტანეთ,
სინიდისმაც გაგვამხილა, –
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
–შერცხვენილნი და დამწვარნი
აქა-იქა ეჩურჩულებდით.
მერე, როცა ეგ ჩურჩული
შეგვიტყვეს, თუ შეგვამცნიეს,
როცა ცხვრისა ფარასავით
მოგვკრიბეს და შეგვამწყდიეს,
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
–ფერმიხდილნი ბეზღობაში
ერთმანეთს ვეჯიბრებოდით".

როგორც უნდა იყოს, ილიას მიხედვით ამდენი უარყოფითი თვისება ჩვენი ერისა ისტორიის ცვალებადობამ, კერძოდ სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დაკარგვამ მოიტანა. ამ გარემოებებმა მნიშვნელოვნად ჩაკლეს ჩვენში გმირული, თავისუფლებისმოყვარული სული, განავითარა მონური ფსიქოლოგია. ლექსში „ქართველის დედას" (1858) ილია აღნიშნავდა დამოუკიდებლობის დროინდელი ქართველობის ისეთ თვისებას, როგორიცაა:

„..... მამაპაპური
მხნეობა, ხმალი, მკლავი ქველური,
სახელისათვის ამაყი თრთოლა,
მამულის მტერთან მედგარი ბრძოლა".

„აჩრდილში" ეკითხულობთ:

„შენთა შვილთა გული შენთა მტერთა შეაკლეს ზედა,
ორი-ათასის წლის ბრძოლაში მათ სისხლი ჰღვარეს,
მაგრამ ამაყი თვისი თავი ქვეყანაზედა
არავის წინა სამუდამოდ არ მოიხარეს";
„იყო დრო, როცა შენი გულისთვის
(იგულისხმება საქართველო – **გ. ყ.**)
თითონ სიკვდილსაც ლხინად ჰხადოდნენ
და თავდადებას მამულისათვის
ერთმანეთს ომში ეცილებოდნენ".

იგივენაირი აზრია გადმოცემული მოხუცი მეჩონგურის მიერ პოემაში „მეფე დიმიტრი თავდადებული".

ჩვენს წინაპრებს, დაცემული ხანის ქართველობის ჩათვლით, მისადაგება ილიას სიტყვები: „ვაუკაცობა უნდოდა, ვაუკაცნი ვიყავით. ხმალი უნდოდა, ხმლის ჭედვა ვიცოდით. აი, რამ შეგვაძლებინა, რამ გვიხსნა, რამ შეგვინახა!.. იმ დროთა ჩარხსე გაჩარხულნი ვიყავით, იმ დროთა ქარ-ცეცხლში გამოფოლადებულნი, იმ დროთა სამჭედურში ნაჭედნი. „სილბო გვქონდა ნაქსოვისა" – ვით ქრისტიანებს და „სიმტკიცე ნაჭედისა" – ვით მეომრებსა და მამულიშვილებს. ამით გავიტანეთ თავი, დროთა შესაფერი ღონე ვიცოდით, დროთა შესაფერი ხერხი, დროთა შესაფერი ცოდნა გვქონდა, დროთა შესაფერი მხნეობა და გამრჯეობა"[7].

წინაპართაგან განსხვავებით, ახლანდელი (ილიასდროინდელი) ქართველობა მოქალაქეობრივი, პატრიოტული შეგნებითა და გრძნობებით სულ დაჩიავებულა. ამის შესახებ „აჩრდილში" ეკითხულობთ:

„ეხლა რაღაა!... გაჰქრნენ ის დღენი,
გაჰქრა იგიცა ძალ-გულოვნება,
და საკვირველნი მამათ საქმენი
ეხლანდელ შენს შვილს არც აგონდება".

კონტრასტი ორ მდგომარეობას შორის „მგზავრის წერილებში" ლელთ ღუნიას პირით ასეა გადმოცემული: „ადრიდა ერი ერობდის, გული გულობდის, ვაჟაი ვაჟაბდის, ქალაი ქალაბდის. ადრიდა?! ერთ-ურთს დავეყუდნით, ერთ-ურთს ვიხვეწებდნით... აწინა ერობა დაიშალის, მეძავ-მრუშობაი ჩამოვარდნის, ხარბობაი, ანგარი გვერივნის, ერთ-სულობაი დავარდნის, მტრობა-ბძარვაი გახშირდნის". მოხუცი მეჩონგურე „მეფე დიმიტრი თავდადებულში" აცხადებს:

„ეხლა რა ვართ? საწველ ფურად
თაკი ჩვენი გადვიქციეთ.
ის სახელი, ის დიდება,
ის ოჯახი დავაქციეთ...
რაც ეყოფილვართ, ის აღარ ვართ,
რაც ვართ, ის ნუღარ ვიქნებით...".

მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, ილია მაინც ოპტიმისტურად უყურებდა მომავალს. იგი ამჩნევდა ტენდენციებს, რაც სასიკეთოდ

წაადგებოდა ქართულ ხასიათს. მაგალითად, მსგავსი ტენდენცია მეღავნდებოდა ქართველ სტუდენტობაში. ლექსში „ქართველი სტუდენტების სიმღერა" (1860) ილია წერდა:

„მამულისა შვილნი ჩვენც ვართ
და მიტომ ვზრდით ჭაბუკს სულსა,
რომ ოდესმე გამოვადგეთ
დაობლებულს ჩვენს მამულსა.
მაგრამ ეხლაც საქმით, სიმხნით
სხვას არც ჩვენ დაეუვარდებით;
ბრძოლად რომ მამულმა გვიხმოს,
ეხლაც კი გამოვადგებით".

ლექსში „ჩემო კარგო ქვეყანავ..." (1872) კონტრასტი ძველსა და ახალ თაობას შორის ასეა წარმოჩენილი:

„თუმცა ძველნი დაგშორდნენ, ახალნი ხომ შენია...
მათ ახალთ აღგიდგინონ შენ დიდების დღენია";
„წერილ-შვილნი წამოგესწრნენ ნაზარდნი, გულმტკიცები,
მათის ზრუნვის საგანი შენ ხარ და შენ იქნები,
არ გიმტყუნებენ შენა, თუკი მათ მიენდები.
მათის ღვაწლით შეგექმნეს სახე ბედით მთენია,
ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია?".

ახალი, მებრძოლი ტიპის ქართველების აღზრდაში ილია დიდ იმედებს ამყარებდა ქართველ დედაზე. ლექსში „ნანა" (1859) ილია დედას შვილის მიმართ ასე ათქმევინებს:

„აინთე ცეცხლით გული,
მტერსა დაეცი მეხად,
ან, ვით შვილი ერთგული,
დააკვდი მამულს მსხვერპლად!"

ერთი წლით ადრე დაწერილ ლექსში „ქართვლის დედას" ილია ქართველ დედას ასე მოძღვრავდა:

„აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,
საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას, –
შთააგონებდე კაცთა სიყვარულს,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას, –

რომ სიკეთისთვის გული უთრთოდეს
და მომავლისთვის ბედთანა ბრძოდეს...”

„ქართვლის დედაში” (პოემაში), რომელიც 1860 წელს არის დაწერილი, წარმოდგენილია საქართველოს და საერთოდ მთელი კავკასიის განთავისუფლების მომავალი სურათი, რომელიც (განთავისუფლება) სწორედ ახალი სულისკვეთების ადამიანებით უნდა გამხდარიყო შესაძლებელი და რეალიზებული. ამ გზით მოხდებოდა ქართველი ერის აღორძინება, ამიერიდან მის არსებობას საზრისი მიეცემოდა. ამ დღეს ილია, სამწუხაროდ, ვერ მოესწრო. საბედნიეროდ, ვერ მოესწრო დამოუკიდებელი საქართველოს დაღუპვასაც, რის შემდგომაც ქართულ ხასიათში ბევრი რამ კვლავ გადაგვარდა და დაუბრუნდა 1801 წლის შემდგომ მდგომარეობას. დღეს გვმართებს ამ ხასიათის კრიტიკული ხედვა და არა დითირამბულად წარმოჩენა. უპრიანია ამის თაობაზე მოვიგონოთ სიტყვები, რომლებიც „კაცია-ადამიანის?!” ბოლოსიტყვაობაში გვხვდება: „მე თუ შენ მიყვარხარ, მკითხველო, იმისთვის მიყვარხარ, რომ იმედი მაქვს ეგ გასწორების (ე. ი. გამოსწორების – **გ. ყ.**) განზრახვა, დღესა თუ ხვალე, შენში გაიღვიძებს. ამ იმედს ნუ წაგვართმევ, ნუ იფიქრებ, რომ ამ მოთხრობას შენი გაჯავრება უნდა. ამას მარტო ის უნდა, რომ შენ დაგანახვოს – რამოდენადაც შეძლება აქვს – შენი ცუდი, შენი ავი, რომ იცოდე, რა გაისწორო. მინამ სარკეში არ ჩაიხედავ, ან სხვა არ გეტყვის, ხომ ვერ გაიგებ, რომ პირზედ ურიგობა რამ გატყვია? ეს მოთხრობა სარკე იყოს და მე – თუ გინდა – მთქმელი ვიქნები. დააკვირდი, იქნება გენიშნოს რამე”[72].

ილიას თვალში თანადროული ქართველობა რომ საკმაოდ ფასობდა, ამის მაგალითები მის ნააზრევში ბევრი გვაქვს. 1877 წელს იგი წერდა: „მართლა-და, არც ისე ლუკმა-გაწყვეტილები ვართ, რომ, თუ არ თვითეულმა ცალკე, ერთად მაინც საზოგადოებრივად ღონისძიება არ მოვიკრიფოთ ჩვენის აუცილებელის საჭიროების შესაესებად”[73]. 1898 წლის „ივერიაში” (№ 267) ვკითხულობთ: „ბევრი რამ ცუდი გვჭირს ქართველებს, ბევრგზით დაშხამული და მოწამლული გული გვაქვს, ჩვენდა საუბედურად, ბევრ გზით გულ-გატეხილები ვართ, ბევრი გზით ზნეობა-მოდუნებულნი, მაგრამ იმას-კი მის დღეში არ ვიფიქრებთ, რომ გროშმა სძლიოს ჩვენს ქვეყნის სიყვარულს, ჩვენს მამულიშვილობას, ჩვენს კაცურ-კაცობას. მის დღეში გულშიაც არ გავიტარებთ, რომ გროშისათვის მსუნაგობამ ქართველ კაცს ქვეყანა

დაავიწყოს და საკუთარს სიხარბეს ქვეყნის სიკეთე ანაცვალოს. არა გვგონია, ამისთანა უბედური ბევრი იყოს ჩვენში...”

დასასრულს, ქართველი ერის ხასიათზე ჩვენი დიდი მოაზროვნისა და მამულიშვილის შეხედულებას დავაზუსტებთ მემუარისტული ლიტერატურით. არტურ ლაისტი გვამცნობს: „ილიასა და დავით სარაჯიშვილს შორის მეგობრული განწყობილება მუდამ სუფევდა: თუმცა ბევრ რამეში ერთმანეთს არ ეთანხმებოდნენ და ხშირადაც დავობდნენ. სარაჯიშვილს, როგორც მრეწველს, თავდაპირველად უნდოდა, რომ ქართველთ შორის ხელოსნობა, მრეწველობა, ვაჭრობა და სოფლის მეურნეობა განვითარებულიყო. რადგან ყველა ეს ძლიერ ნელა მიიწევდა წინ, ხშირად პესიმისტურ გუნებაზე დგებოდა ხოლმე. ამის გამო ილიასა და დავით სარაჯიშვილს ხშირად კამათი მოსდიოდათ”[74]. ამასთან დაკავშირებით უფრო კონკრეტულია ექვთიმე თაყაიშვილი, რომელიც იგონებდა: „დავითი, მართალია, კარგი ქართველი იყო და დიდი პატრიოტიც, მაგრამ ჩვეულებად ჰქონდა ქართველების საზოგადოდ დაწუნება, მათი ნაკლის გაზვიადება და, პირიქით, სამაგალითოდ ჩვენს მეზობლებს (იგულისხმება სომხები – გ. ყ.) ასხამდა ხოლმე ქებას. ქართველების მიმართ ძალიან გულგატეხილად მოჰქონდა თავი და თითონ იტყოდა ხოლმე, მე, ბატონებო, პესიმისტი ვარო! ნიკო ღოღობერიძე მას დაცინვით „великий пессимист”-ს ეძახდა. რა საგანზედაც არ უნდა ყოფილიყო საუბარი, დავითი მაშინვე მეზობლებს დააყენებდა მაღლა, იტყოდა, რომ ჭკვიანი ცხოვრება იციან, ბედოვლათები და მათხოვრები არ არიან, მუშა და გამრჯელი ხალხია, ყველა საქმეში გვჯობიან და მომავალიც მათია. ერთხელ, ნამეტანი რომ გადააჭარბა ასეთ ლაპარაკში,ილიას გული მოუვიდა და წამოიძახა: „ამისთანა გაგონილა?! ამ ოჯახში ქართველების ძაგების მეტს ვერაფერს გაიგონებ! თუ ერთი-ორი ვიღაც აწუხებს და ფულსა სთხოვს, ეს მთელ ხალხზე გადააქვსო!” აი, მაშინ კი აუწია ხმას ილიამ, მაგრამ – მაინც ცოტა”[75].

მით უფრო აუტანელი იყო ილიასათვის ქართველთა ძაგება უცხოელის მხრივ. დუშეთის მაზრის უფროსი (ილიას მკვლელობის ხანებში) ყარამან ფაღავა ჰყვებოდა, რომ ერთ-ერთ ილიაობაზე რუს პოეტს, გაზეთ „კავკაზის” რედაქტორს ველიჩკოს რაღაც საუგო უთქვამს ქართველობაზე - „ეს თქვა, რომ ქართველების შესახებ რაღაც ეთქვა და ილიას ეპასუხნა, ჩემი სტუმარი რომ არ იყო, შეურაცხყოფას მოგაყენებდი ქართველების ცუდად ხსენებისათვისო”[76].

დღეს, ქართველთა ასეთი გულგატეხილობა-აპათის ჟამს არ გვამ-

ართებს ერთი უკიდურესობიდან („რა ძალიან კარგები ვართ ქართველები!") მეორე უკიდურესობაში გადაევარდეთ („რა ძალიან ცუდები ვყოფილვართ ქართველები?!") და პირველის დამადასტურებელ არგუმენტად ილიას ნააზრევიც მოვიტანოთ. ჭეშმარიტება, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ორი ურთიერთსაპირისპირო თვალსაზრისს შორისაა და სწორედ ამგვარად იაზრებდა საკითხს ჩვენი დიდი მოაზროვნე და მამულიშვილი.

(1992 წელი)

§ 3 ილიას აზრები პროკრუსტეს სარეცელზე

(საქართველო-რუსეთის ურთიერთობანი)

"უნდა ვისწავლოთ ის, რომ არავის არ ვეპირფერეთ".

სტენდალი.

ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა ისტორია ყოველთვის დამახინჯებული, ტენდენციური სახით წარმოიდგინებოდა. მიაჩნდათ, რომ საქართველო რუსეთის ფაქტორის გარეშე აწ გადაშენებული იქნებოდა ისტორიის არენიდან, რომ ჩვენს ისტორიაში იგი ყოველთვის დადებით როლს თამაშობდა, განსაკუთრებით 1921 წლის შემდგომ, როცა დიდი ჩრდილოელი მეზობლის წყალობით კომუნიზმის აღთქმულ საზოგადოებას ვესიარებოდით. საკითხზე სხვანაირ და, ცხადია, ობიექტურ თვალსაზრისზე იდგა ჩვენი დიდი მეცნიერი და მამულიშვილი ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც სპეციალურად განიხილა იგი ნაშრომში „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-18 საუკუნეში". ეს ნაშრომი საბჭოური მენტალიტეტისათვის ერეტიკულად, მწვალებლურად ითვლებოდა და იგნორირებული იყო. ნიკო ბერძენიშვილი, სხვა მრავალი ქართველი კოლეგისაგან განსხვავებით, შეეცადა კომპრომისული ვარიანტი შეემუშავებინა (ი. ბ. სტალინის სანქციით), სთვლიდა რა რომ ჩვენი ქვეყნის რუსეთთან შეერთება (სინამდვილეში საქართველოს ანექსია რუსეთის მიერ) „უმცირესი ბოროტება" გახლდათ. მაგრამ შემდგომში აღნიშნული პოზიციაც მიუღებლად ჩასთვალეს. ედუარდ შევარდნაძე საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციას

(გაიმართა თბილისში 1976 წლის 20 ოქტომბერს) ასე მოახსენებდა: „ჩვენს პროგრესულ (!) ისტორიოგრაფიაში რუსეთთან საქართველოს შეერთებას ყოველთვის განმარტავდნენ საერთოდ როგორც პროგრესულ მოვლენას, მაგრამ ცნობილი ალტერნატივის (ბოროტება იყო იგი თუ სიკეთე – **გ. ყ.**) გადაწყვეტის გაშუქებისას განიხილავდნენ როგორც „ნაკლებ ბოროტებას". იმ სწავლულებმა და მოღვაწეებმა, რომლებმაც მეცნიერებაში დანერგეს ტერმინი „ნაკლები ბოროტება", როგორც ჩანს, ვერც თუ უკეთესი ტერმინი, შესაფერისი სიტყვები გამონახეს რუსეთთან საქართველოს შეერთების ისტორიული აზრის ყველა ასპექტის გამოსახატავად[77].

საქმე ის არის, რომ ჩვენს მეგობრობას, რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის ისტორიას არ უხდება სიტყვა „ბოროტება", როგორადაც არ უნდა შეეაფერადოთ იგი. ბოროტება ბოროტებაა, დიდი იქნება იგი თუ მცირე...

რუსეთთან საქართველოს შეერთების ისტორიის საკითხის გაშუქებას უნდა ჩამოვაცილოთ ე. წ. „ნაკლები ბოროტების" ჩენჩო და იგი თავისი ცეცხლით უნდა აკურთხოს ისტორიამ, რომელიც დიალექტიკის კანონებით, ხატოვნად რომ ვთქვათ, კეთილის აღმავალი დიალექტიკური სპირალით ვითარდება. ეს არის პრობლემისადმი ერთადერთი სწორი მიდგომა"[78]. რასაკვირველია, პოლიტიკოსის ამგვარი მოსაზრება ლაიტმოტივად გაჰყვა ნაფიც ისტორიკოსთა პუბლიკაციებსა და საჯარო გამოსვლებს შესაბამისი სამარცხვინო იუბილეს (1783 წლის ტრაქტატის) მზადების წლებში.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ფალსიფიკაციას ვერც ილია გადაურჩა. ამზეურებენ ხოლმე ჩვენი დიდი წინაპრის ორიოდე გამონათქვამს, სადაც დადებითად არის შეფასებული საქართველოს რუსეთთან „შეერთება". რა თქმა უნდა, ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ჩვენი 1801 – 1917 წლების ისტორია, რომელიც რუსეთის მძლავრი ზემოქმედებით ვითარდებოდა, ოდენ შავი ფერებით გამოვსახოთ. მაგრამ არც სულ ვარდისფერი შეფერილობით წარმოგვიდგენია. ჭეშმარიტება, როგორც ხშირ შემთხვევაში, ამჯერადაც ამ ორი პოზიციის შუაა, რაც, სამწუხაროდ, ქართულ ისტორიოგრაფიაში და საერთოდ საზოგადოებრივ აზროვნებაში დღემდე ვერაა გაცხადებული. საკითხისადმი ილიასეული მიდგომაც ამ კონტექსტში უნდა გავიაზროთ. როცა იგი ხაზს უსვამდა საქართველოს რუსეთთან „შეერთების" დადებით მნიშვნელობას, გულისხმობდა ჩვენს ქვეყანაში მშვიდობიანობის დამყარებას, მტრის შიშის გაფანტვას („დამშვიდდა დიდი ხნის

დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლ-შვილებზე, გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და ჰბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლება, მიეცა წარსულს და მარტო საშინელ და შემაძრწუნებელ სახსოვრად-ღა დაგვრჩა")[70], ხოლო მრავალ თანამდევ უარყოფით მოვლენაზე საჯარო, მითუმეტეს საზეიმო, გამოსვლებში ხშირად თავს იკავებდა. მაგრამ ჩვენ ხომ გვაქვს ილიას ნააზრევის ფაქტები მოცემულ საკითხზე.

ხშირად მიუთითებენ ხოლმე აგრეთვე ილიასეულ გამონათქვამებს რუსული ლიტერატურისა და მეცნიერების დიდ მნიშვნელობაზე ქართული კულტურის განვითარებაში. თუმცა ჩვეულებრივ იგნორირებენ, აჩუმათებენ ხოლმე ილიასეულ სიტყვებს: „რასაკვირველია, ამ ზედმოქმედებამ რუსულის ლიტერატურისამ მარტო იმას შესძინა სიკეთე, რომელმაც ყოველი გამონარკვევი ამ ლიტერატურისა თავის საკუთარ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა, ბრმად არ იწამა, ბრმად არ მიიჩემა და ამრიგად არ დაიხვია ხელზედ ცხოვრებაში იოლად წასელისათვის"[71]. ამდენად, ქართული მხარე კულტურის მხოლოდ პასიური მიმღები როდი გახლდათ. მაგრამ უკანასკნელი ხომ არანაკლებ კი არა, უფრო მეტად ვითარდებოდა დასავლეთევროპული ლიტერატურის, მეცნიერების, ფილოსოფიის და ა. შ. ზემოქმედებით, რასაც ილია მ'შვენიერად აცნობიერებდა და არაერთხელ აცხადებდა. ბოლოს და ბოლოს, იგი ხომ მხურვალე მომხრე გახლდათ ჩვენი კულტურის ევროპიზაციისა.

საკითხის გაშუქებას დავიწყებთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

ოცდაორი წლის ასაკში, 1859 წელს, ილიამ თარგმნა მიხეილ ლერმონტოვის „მწირის" პირველი ოთხი თავი. მაგრამ თარგმანი ზუსტი კი არაა, არამედ მასში გაცხადებულია ილიასეული პოზიციაც, რომლის მსგავსი,ცხადია,სულაც არ ფიგურირებს ლერმონტოვის ნაწარმოებში. ასე მაგალითად,თუ აქ აღნიშნულია „О славе прошлой" (საქართველოსი), „Как удручен своим венцом" (მეფე ერეკლეზეა ლაპარაკი), ილია ამ ადგილს ასე თარგმნის:

„რომელთ ნაწერნი მოგვითხრობს, გვამცნობს,
ვითარ ჰქონიათ ადრე დიდება,
ვით წართმევიათ ბედნიერება,
რაც ქართველთ მეფე ამა და ამ წელსა
რუსს აბარებდა თვის ერთგულ ერსა".

როგორც ვხედავთ, სიტყვები „ვით წართმეეიათ ბედნიერება" ილიას მიერაა შემოტანილი.

ლერმონტოვის პოემაში ვკითხულობთ:

„И божья благодать сошла
На Грузию! – она цвела
С тех пор в тени своих садов,
Не опасаясь врагов,
За гранью дружеских штыков".

ილიას მიერ კი ეს სტრიქონები ასეა თარგმნილი:

„მას აქეთ როცა კურთხევა ღვთისა
მიეცა ტანჯულს იევრიის ერს,
რაც კარგი ექნას რუსისა შტიკსა, –
ღმერთმა იმ რუსსა ასკეცად მისცეს ".

გონების დიდი გამჭრიახობა არაა საჭირო იმის დასანახავად, რომ პირველ ორ სტრიქონში მთარგმნელის ირონია გამოსჭვივის. ისიც ადვილად გასაგებია, რომ ილიას სიცოცხლეში ეს თარგმანი არ გამოქვეყნებულა.

ამავე წელს დაწერილ პოემა „აჩრდილში",როდესაც ლაპარაკია „მაკედონის გმირის" ლაშქრის მიერ ძველი ქართლის (იევრიის) დაპყრობასა და აქედან გამომდინარე მტრის მტარვალობაზე (ტირანიაზე), ახალგაზრდა ილია დასძენს:

„ვერა, ვერ ჰმართონ ვერსად ერი იმა მმართველთა,
ვისც არ აქვთ ერის სიყვარული და შეწყნარება".

ამ შემთხვევაში კი ოდენ წარსული კია არა, ქვეყნის აწმყოც იგულისხმება, პოეტის მრისხანე პათოსი მიმართულია რუსეთის ხელისუფლებისადმი. შესაბამისად პასაჟი:

„მოვიდა ის დღეც შურის-გებისა,
მტარვალს აღუდგა ქართველის ქველობა..."

არანაკლებ გულისხმობს საქართველოს მომავალ შემართებას ეროვნული განთავისუფლებისათვის.

მომდევნო წელს არის დაწერილი ილიას ლექსი „იანიჩარი".

ამ დროს, როგორც ვიცით, ილია სტუდენტი იყო და ცხოვრობდა პეტერბურგში. ერთხელ მას აქ ქართველი „კანვოელების" ვარჯიშობა უნახავს, რასაც შთაუგონებია დაწერა ლექსისა სათაურით „კანვოელი". ლექსის ტექსტში თავდაპირველად მეთორმეტე სტრიქონი ასე იკითხებოდა: „შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამლუპველს ჩრდილოეთსა".

მიმართვის ადრესატში იგულისხმებოდა ქართველი „კანვოელი", რომელიც რუსეთის იმპერიის სამსახურში იყო ჩამდგარი. მაგრამ ამგვარი განწყობილების ლექსს მაშინ ვინ დაბეჭდავდა და ამიტომ ავტორმა სალიტერატურო მიმიკრიას მიმართა: ლექსს სათაურად დაურთო „იანიჩარი", ხოლო მოტანილ სტრიქონში სიტყვა „ჩრდილოეთსას" ნაცვლად ჩასვა „ოსმალეთსა", და ასე გრძელდებოდა და ზოგჯერ გრძელდება დღესაც, რაც ამიერიდან აუცილებლად უნდა აღიკვეთოს.

ილიას ბრწყინვალე „მგზავრის წერილები" ძირითადად დაიწერა 1861 წელს, მაგრამ დაიბეჭდა ჟურნალ „კრებულში" ათი წლის შემდეგ, ე. ი. როცა ილია ოცდათოთხმეტი წლისა იყო. ცენზურამ, რასაკვირველია, დაასახიჩრა ტექსტი (მან კი მშვენივრად იცოდა თუ რას აკეთებდა): მაგალითად, პირველი თავი მთლიანად იქნა ამოღებული. ნაწარმოები მეორედ დაიბეჭდა 1892 წელს თხზულებათა კრებულის მეორე ტომში, სადაც ამჯერად ავტორმა მოახერხა შეეტანა ადრე ამოღებული ადგილები.

მოდით, შევჩერდეთ „მგზავრის წერილების" პირველ თავზე. ჯერ ავტორი, როგორც „მწირის" თარგმანისას მ. ლერმონტოვს, ამჯერად ეკამათება ალექსანდრე გრიბოედოვს სიტყვებისათვის „И дым отечества нам сладок и приятен" (იხ. „ვაი-ჭკუისაგან"). თანამედროვე ტერმინით რომ ვთქვათ, ამ სიტყვებში გაცხადებულია წმინდა წყლის ნაციონალიზმი (ოდიოზური, შოვინიზმის მნიშვნელობით) (შევნიშნავთ რომ ივან ტურგენევი საკითხზე სულ სხვა, ჭეშმარიტად ჰუმანისტური შეხედულებისა გახლდათ). ილია ასე ეპაექრება მოტანილი სიტყვების ავტორს: „კვამლის სიტკბოებაზედ კი უკაცრავოდ, და სიამოვნებაზედ კი ამას მოგახსენებთ, რომ კვამლი ფრიად სასიამოვნოა, – პირველი იმისათვის, რომ კვამლი თვალს ეფარება და მართლჭვრეტას უშლის, მეორე იმისათვის, რომ კვამლი ხშირად თვალიდამ ცრემლს გვაყრევინებს ხოლმე. ოჰ, მამულის კვამლო, მართლა-და ტკბილი და სასიამოვნო ხარ: ხანდისხან ისე აგვიბამ თვალებს ხოლმე, რომ ჩვენ ჩვენს საკუთარ უბედურობასაც ვერა ვხედავთ"[81]. საკამათო არ უნდა

იყოს ის გარემოება, რომ ამ სიტყვებში თავის სამშობლოსადმი კრიტიკულ დამოკიდებულებასთან ერთად, ილია ა. გრიბოედოვის სამშობლოს – რუსეთსაც ასევე უდგებოდა.

ვლადიკავკაზიდან გამოსვლისას ნაცნობი „ფრანსიელი" (დააკვირდით – მაინცდამაინც ევროპელი, კერძოდ ფრანგი) ილიას ასე მიმართავს:

„ – ეგ ეტლი ვისი მოგონილია? – მკითხა მან და მიმიშვირა ხელი ფოშტის პოეოსკაზედ, რომელზედაც ჯერ არ გამოფხიზლებული „იამშჩიკი" უგემურად სთვლემდა.

– რუსისა, – ვუპასუხე მე.

– მგონი, არა ხალხი მაგაში არ შეეცილოს. მებრალებით, რომ თქვენ იძულებული ხართ მაგას გაალაყებინოთ ტვინი და გაადღვებინოთ გულ-მუცელი.

– არა უშავს-რა. მთელი რუსეთი მაგით დადის, და მე რა ღმერთი გამიწყრება, რომ დამიშავდეს რამე.

– მაგით დადის?! იმიტომაც შორს არის წასული!.. ღმერთმა მშვიდობით მგზავრობა მოგცეთ. მე კი, სწორედ გითხრათ, თავს ვერ გამოვიმეტებდი, რომ მაგაში ჩავმჯდარიყავ"[82].

სცენა შემდეგ ასე ვითარდება:

„პოეოსკა ჩემს ჩაჯდომაზედ შეტოკდა. „იამშჩიკმა" თვალები ააახილა და მე ბღვერა დამიწყო. მერე აკრიბა სადავეები, „მწუო, მწუო", დაუწრუწუნა უჭმელობისაგან გადალეულს და ყურებჩამოყრილს ცხენებს და მოუღერა შოლტი. ცხენები მიდგნენ-მოდგნენ, მაგრამ ალაგიდამ არ დაიძრნენ. Ну, чо-о-рт, трогай што-ли! - დაიყვირა „იამშჩიკმა", აიქნიეა სადავეები და ფეხებითაც ტყაპუნი დაიწყო. შენც არ მომიკვდე, ცხენებმა ყურიც არ გაიბერტყეს, ამ ყოფას ის ჩემი ნაცნობი ფრანსიელი ფანჯრიდამ უყურებდა და სიცილითა სკდებოდა. რა უხაროდა იმ სულელს?

– მაგით დადის!.. ხა, ხა, ხა! – ხითხითებდა იგი, – ვიღა დაეწვევა!"[83]

როგორც ვხედავთ, მოტანილ ადგილებში დაპირისპირებულია რუსეთი და დასავლეთ ევროპა (საფრანგეთის სახით) და თუ რომელ მხარესაა აქ ილიას სიმპათიები, – ეს არავითარ ეჭვს არ იწვევს.

აღნიშნული თვალსაზრისით საყურადღებოა „მგზავრის წერილების" მესამე თავიც, კერძოდ „ყოველისმცოდნე" რუსი „აფიცრის" (პოდპორუჩიკის) ნათქვამი: „მადლობა ღმერთს, აფიცრობა და ჩინოვნიკობა ბევრი მოდის რუსეთიდამ თქვენს გასანათლებლად";

„ბარაქალა მართლმადიდებელ რუსეთს! სახელი და დიდება! საცა ფეხს შესდგამს, დაამყარებს ხოლმე ცივილიაზციას"[84]. კვლავ ევროპა-რუსეთის დაპირისპირებულობის ფონზე უნდა აღვიქვათ შემდეგი: რუსი ოფიცრის „დიდი ტექნიკური გამოგონება" – საშაქრეში ბუზების ჩასმით ცუღლუტ მსახურთა მხილება და თვით „დიდი გამომგონებლის" აღიარება: „ფრანსიელებმაც იციან ხოლმე მაგისთანა ეშმაკობის მოგონება, მაგრამ იმათის მაშინების ყიდვა ძვირია. ეს ჩემი ოსტატობა კი გროშიც არ დაჯდება"[85].

ამავე ნაწარმოებში ლელთ ღუნიას პირით ერთმანეთს უპირისპირდება დამოუკიდებლობის ხანა – ერობა და თანმედროვეობა – „რუსობა", როცა „ყველაი გაცუდდის, ყველაი გაუქმდის"; „ადრიდა" ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედ. ადრიდა ერი ერობდის, გული გულობდის, ვაჟაი ვაჟაბდის, ქალაი ქალაბდის. ადრიდა?! ერთ-ურთს დავეყუდნით, ერთ-ურთს ვეხვეწებდნით..."[86] ხოლო რუსეთის მიერ დამყარებული მშვიდობიანობის არგუმენტის თაობაზე ბრძენი მოხეევ პასუხობს: „რაის ვაქნევ ცარიალ მშვიდაბას, ცარიალ სტვამაქით. რაი არნ მშვიდაბა? უხმარ სატევარს ჟანგი დაედვის, უსრბოლო წყალჩი ბაყაყნი, ჭია-ჭუაი, ქვემძრომი გამრავლდის. უდეგარ, უსვენარ თერგჩი კი კალმახი იცის! რაი არნ მშვიდაბა ცოცხვალ კაცთათვის? რაი არნ მტერობა, თუ ერი ერობს?! ცარიალ მშვიდაბა მიწაჩიც გვეყოფის"[87].

ილიასეულ ბრწყინვალე სატირულ ლექსში „რა ვაკეთეთ,რას ეშვრებოდით" „ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტე საუკუნისა" რუსებზე („უცხო ხალხზე") ვკითხულობთ:

„მერე, როცა დაქსაქსულნი
უცხო ხალხმა ხელთა გვიგდო,
ქართელის ბედი ბურთსავითა
სათამაშოდ წინ გაიგდო..."
„მერმე, როცა გაგვიჭირდა
ყოფნა. უცხოს ხალხის ხელში,
როს საშველად მოწვეულმა
წაგვიჭირა თოკი ყელში, –
რა ვაკეთეთ? რას ეშვრებოდით?
– მაშინ მივხედით, რომ ყველანი
ერთს ტაფაში ვიწვებოდით".

1885 წელს რუსეთში მყოფ იონა მეუნარგიასადმი გაგზავნილ წერილში ილია რუსეთს მოიხსენიებდა „უმადურ და უსიხარულო ქვეყანად"[88].

ამავე წელს შეთხზულ ლექსში „ძვირფას კოლხიდელთ" (დაწერილია ქუთაისში, სამეგრელოდან გამოსვლისას). ილია წერს:

> „გამიკვირდა, არ ერია ერთიც იმათი ერთგული,
> ვინც დამცველად მოგეველინა და გულით გვმტრობს
> გაბასრული"[89].

როდესაც, 1887 წელს, ბულგარეთში ავსტრიასა და გერმანიასთან დაპირისპირებისას რუსეთმა მარცხი განიცადა, სოფრომ მგალობლიშვილის გადმოცემით, „ამ ცნობამ ილია ცას დასწია, სახე უბრწყინავდა, გახარებული იყო, რამეთუ „როგორც დიდს პატრიოტს, ილიას ამისთანა მომენტების დროს, იმედი დაებადებოდა ხოლმე საქართველოს ბედის შეტრიალებისა"[90].

ილია ძალზე კრიტიკულად აფასებდა მეფის რუსეთს, კერძოდ, მის ბიუროკრატიულ წესწყობილებას. სახელდობრ, რუსულ ბიუროკრატიას შეეხება ილიას მიერ დახატული გროტესკული სურათი,რომელიც ლიტერატორ ილია ზურაბიშვილმა შემოგვინახა (სურათში აღწერილია სახელმწიფო საბჭოს პირველი საზეიმო სხდომა): „უნდა გენახათ ეს დაჩამიჩებული ჩინოსნები, როდესაც ისინი „ბოუე ცარია ხრანის" მღეროდნენ. ელექტროლამპებით ალაპლაპებული მელოტები, „მირონცხებულისადმი" ყმური, ქვეშევრდომული ექსტაზით აღტყინებული სახეები, აცრემლებული მიმქრალი თვალები, ტბილებჩაცვივნული პირები, - ყოველივე ეს, ერთად აღებული, გამოსცემდა რაღაც უცნაურ ხმას საცოდაობისას და განწირულებისას... გადავხედე ამ საშინელ სანახაობას და გულში ვთქვი – ვაი იმ სამეფო ტახტს, რომელიც ასეთ ბურჯს ეყრდნობა-მეთქი"[91]. მათვე მიემართება ილიას მკვახე გამონათქვამი: „Со дня присоединения Грузии к России прошло целое столетие и на пространстве целого этого века не нашлось ни одного русского старшего брата (!) по вере общерусскому отечеству, который бы нашел для себя необходимым изучить грузинский язык для непосредственного понимания душевных и сердечных движений грузинского народа. Это ли не несчастье для грузин!..."[92]

ცხადია, ილია ნათლად აცნობიერებდა რუსეთის უარყოფით ზეგავლენას ქართულ საზოგადოებაზე. ამის თაობაზე ბევრის თქმა შეიძლება. მაგრამ მხოლოდ სამიოდე ფაქტზე შევჩერდებით.

1881 წლის სექტემბრის შინაურ მიმოხილვაში, გადმოსცემდა რა თბილისში შემდგარ არქეოლოგოსთა V ყრილობის მიმდინარეობის პერიპეტიებს, ირონიით წერდა: „ბ-ნ ილოვაისკის[93] სიტყვაში, რასაკვირველია, ხშირად იყო ხმარებული დიდებული რუსეთი და მართლმადიდებელი რუსეთი. საცა კი რუსეთი ახსენა, ან ერთი ზედშესრული[94] მიაკერა, ან მეორე. ყველაზედ მომეტებული ტაში ბ-ნს ილოვაისკის ერგო იმ დღეს და, სწორედ მოგახსენოთ, ღირსიც იყო, თუ არ გამიწყრებით"[95].

ილია მწვავედ აკრიტიკებდა ქართველ თავადაზნაურობას (მთლიანობაში) მეფის რუსეთისადმი ერთგულების ქვეშევრდომული გრძნობების გამო. გამოჩენილი ქართველი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი ჰყვებოდა ამბავს, რასაც 1901 წელს საქართველოს რუსეთთან „შეერთების" ასი წლისთავთან დაკავშირებით ჰქონდა ადგილი. მწერალი შეესწრო ილიასა და თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშლის დავით მელიქიშვილის საუბარს: „მას დროგამოშვებით ცხარე კამათის იერი ეძლეოდა. ეს ბაასი სიტყვა-სიტყვით აღარ მახსოვს, ხოლო მისი შინაარსი კარგად დამახსოვდა. მელიქიშვილმა ჭავჭავაძეს უსაყვედურა, თავადაზნაურთა საკრებულოს იშვიათად ეკარები, ხოლო იუბილეს მტრულად შეხვდიო.

– სასიხარულო არაფერია, – მიუგო ჭავჭავაძემ, – საქვეყნოდ თავი მოგვჭერით. თავიდანვე გითხარით, მე ჩემი გზა მაქვს-მეთქი.

– ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნოდეს, – გაიხსენა წინამძღვრიშვილმა[96] ჭავჭავაძის გზა, რომელიც მელიქიშვილის გზას თავიდანვე გაეყარა.

– გარდა ამისა, – სთქვა ჭავჭავაძემ, – ამ იუბილემ ქართველი ხალხი ორ ბანაკად გაარღვია. თქვენ, ერთი მუჭა ჩინოსანნი, გაღმა დგეხართ, ხოლო ხალხი გამოღმა დარჩა. მაგრამ ზოგი ჭირი მარგებელია... ამ იუბილეს წყალობით ხალხი მტერ-მოყვარის გარჩევას ისწავლის და მისი ეროვნული შეგნება საბოლოოდ ჩამოყალიბდება"[97].

აღნიშნული ფაქტის თაობაზე გვაქვს მეორე სანდო მოგონებაც, რომელიც ეკუთვნის ილიას ნათესავ ელენე აფხაზს და რომელიც ჟურნალ „კავკასიონის" 1978 წლის მეცხრამეტე ნომერში გამოქვეყნდა (ჩაწერილ იქნა ისიდორე მანწკავას მიერ). მთხრობელის მიხედვით, ილიასთან შეკრებაზე ყოფილან თავადაზნაურობის წარმომადგენლები, მათ შორის ზემოთ დასახელებული დავით მელიქიშვილიც. ილიას უთქვამს: „ჩემთვის ეს დღე – შეერთების,

არის უდიდესი გლოვის დღე"-ო[98]. მოსამსახურეებისათვის კი უბრძანებია, რომ „დღესასწაულის" განმავლობაში სახლში არც ერთი უცხოელი სტუმარი არ მიეღოთ. იმხანად პატარა ელენესათვის კი ასე მიუმართავს: „– აი შენც! ...წახვალ ამ რუსების დღესასწაულზე". მე მისი დამცინავი კილო მაშინ ვერ გავიგე"[99]. თვითონ ეტლით საგურამოში წასულა და სანამ „დღესასწაული" არ დამთავრდა, თბილისში არ დაბრუნებულა.

ელენე აფხაზი განაგრძობდა: „როცა რუსეთთან შეერთების დღესასწაული დიდის ამბით ჩათავდა, ნიკოლოზ მეორემ თავადაზნაურობა დააჯილდოვა სამოცი სტიპენდიით ელადიკავკავის კადეტთა კორპუსში. ილია დასცინოდა დ. მელიქიშვილს, საჩუქარი შესანიშნავი მიიღეთ, მეტის ღირსი არც კი იყავით. სამოცი სტიპენდია კადეტთა კორპუსში ეს იმას ნიშნავს, რომ სამოცი ქართველი გაარუსონ. ბარაქალა, შენს მარშლობას, დავით!"[100].

ინტერესმოკლებული არ იქნება კვლავ ელენე აფხაზსავე მოვუსმინოთ: „საგურამოში ილიასთან ხანდახან ერთი მწყემსის ბავშვი ჩამოდიოდა. ერთხელ ილიამ თავის მოურავს დაუძახა და ბავშვს მიმართა:

– მოდი აქ, პატარა, მოსე მოურავი სამუშაოს მოგცემს და დარჩი ჩვენთან...

– არა, ბატონო, არ მინდა თქვენთან. იქ თავისუფლებაა, გაიშვირა ხელი მთაში, – იქ მირჩევნია.

ილია მობრუნდა:

– აი, რას ნიშნავს თავისუფლება. ეს ბავშვი უფრო დიდი ადამიანია, ვიდრე მთელი ჩვენი თავადაზანურობა, რომელსაც ფაფუკი ხელები მუცელზე დაუწყვია, რუსების ჯაშუშები გამხდარან და გაიძახიან: მაჭამეთ, მაჭამეთო..."[101]

ხოლო თუ როგორი აზრისა იყო ილია მომავალ, განახლებულ რუსეთზე, ამის თაობაზე დაე ცნობილ სოციალისტ-ფედერალისტ გორგი ლასხიშვილს მოვუსმინოთ.

1895 წელს, ნიკოლოზ II-ის სამეფო ტახტზე ასვლის ახლო ხანებში ილია თურმე ამბობდა: „რუსის საზოგადოებაში და ხალხში დიდი პოტენციალური ძალაა, რომელსაც დღეს სძინავს და ამიტომ ჩვენ, არა რუსებს შესაძლებლობა გვაქვს ვიარსებოთ და ვისუნთქოთ. ახლა რუსეთი ვერ გვისწრებს წინ, ჩვენც ვახერხებთ და მივდევთ უკან. იმდენი პოლიტიკური და ეკონომიკური ძალა არ შესწევს, რომ საგრძნობლად გაგვისწროს და მერე, როგორც ჩამორჩენილი, ველური ხალხი, გადაგვყლაპოს და მერე ან გაგვარუსებს, ან აღვგვის დედამიწის

პირისაგანაო. აი, პოლონელებს და ფინლანდიელთ ვერას უზამს. ისინი ძლიერი არიან როგორც ეკონომიურად, ისე ეროვნული შეგნებით. აი ამათთვის საკონსტიტუციო რეჟიმი (რუსეთისა – **გ. ჟ.**) სასარგებლო იქნება, რადგან შესძლებენ და დიდ მეტოქეობას გაუწევენ რუსებს, ჩვენ-კი იმდენად სუსტნი ვართ ეკონომიურადაც და ნაციონალურის თვითშეგნებითაც, რომ თავისუფალი რეჟიმით წათამამებული და წახალისებული რუსეთი თავის ქერქში ვეღარ დაეტევა, სამხრეთ მდიდარ ქვეყანას გადმოხეთქავს და ჩვენ ადვილად წაგვლეკავსო"[ᲘᲐ].

თითქმის ამავე ხანებში ილია კვლავ იმეორებდა: „რუსეთში რევოლუცია ჯერ კიდევ ძალიან შორს არის, ხოლო თვითმპყრობელობის დაცემა და საკონსტიტუციო რეჟიმის დამყარება სახეიროს ჩვენ, ქართველებს, არას მოგვცემს. ჩვენთვის სჯობია კანონიერ ფარგლებს შევეგუოთ და ვეცადოთ, ჩვენი ეროვნული ვინაობა შევინახოთ. ამ მიზნისათვის ბრძოლა საჭიროც არის და ამგვარ ბრძოლისათვის ჩვენ პატარა ერს ძალაც შესწევს"[ᲘᲑ].

აქედან გამომდინარე, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ არა სჯეროდა რა „დემოკრატიული რუსეთისა", ილია უფრო მეტ იმედს ტრადიციულ მონარქიულ რუსეთზე ამყარებდა.

დავასკვნით, რომ დღევანდელ საქართველოში საქმე გვაქვს კვლავ უწინდელ საზიზღარ ტენდენციასთან – მივაჩუმათოთ საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ჩრდილოვანი მხარეები და იგი ოდენ ვარდისფრად წარმოვსახოთ, შესაბამისად – დავამახინჯოთ ჩვენი დიდი წინაპრების აზრებიც. განსაკუთრებით ასე ხდება დიდი ილიას ნააზრევთან მიმართებაში, რაც ყოვლად მიუღებელია. დროა, კარგა ხანია დროა, ქართველობა გათავისუფლდეს მონური კომპლექსისაგან (აზროვნებაში) და შეეშვას რუსეთის წინაშე ფინიასებურ კუდის ქიცინს.

(1993 წ.)

§ 4 ერთი ილიასეული აზრის გაგებისათვის

ჩვენში, განსაკუთრებით 1987 – 1988 წლებიდან მოყოლებული, ფართოდ გავრცელდა შეხედულება, რომ ჩვენს ეროვნულ სულისკვეთებასა და სამომავლო მიზანს ადეკვატურად გამოხატავს ილიასეული ტრიადა: „ენა, მამული, სარწმუნოება". პირველად ამას, ოღონდ სხვაგვარი თანამიმდევრობით, ვხვდებით ილიასეულ 1860 წელს დაწერილ ცნობილ სტატიაში „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას

ძის ერისთავის კაზლოვის-მიერ „შეშლილის" თარგმნაზედა", რომელშიც აღნიშნულია: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპითგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომაელობას?"[104]

ისე, შეგახსენებთ, რომ ჩვენს დიდ წინაპარს სხვაგვარი ტრიადაც ჰქონდა ფორმულირებული. ლექსში „ქართველის დედას" (დაწერილია 1857 წელს) იგი ასე ფიგურირებს: „ძმობა, ერთობა, თავისუფლება". ეს სიტყვები გამეორებულია „აჩრდილშიც" (XIV ხანაში)[105]. როგორც ვხედავთ, ილია აქ საკაცობრიო იდეალებს გულისხმობს[106]. უწინ, როდესაც ილიას მომხრეებს სურდათ ხაზგასმით აღენიშნათ ჩვენი დიდი მოღვაწის მრწამსის პროგრესული მნიშვნელობა, სწორედ აღნიშნულ ლოზუნგს მოიხსენიებდნენ ხოლმე.

1987 – 1988 წლებიდან მოკიდებული კი, ეროვნული მოძრაობის მძლავრი აღმავლობის კვალდაკვალ, როგორც ვიცით, წამოყენებული იქნა ფორმულა: „ენა, მამული, სარწმუნოება"[107]. შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ენის პირველადობა გაჩნდა 1978 წლი 14 აპრილის ცნობილი მოელენების დროს ან შემდგომ, როდესაც ჩვენი ისტორიის დღის წესრიგში სწორედ ენის უდიდესი მნიშვნელობის საკითხი და აქტუალურობა დადგა. ასევე შესაძლებელია, რომ ენა პირველ ადგილზე გაჩნდა ერის ი. ბ. სტალინისეული დეფინიციის ზეგავლენით („ერი არის ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა, წარმოშობილი ენის, ტერიტორიის, ეკონომიური ცხოვრებისა და იმ ფსიქიკური წყობის ბაზაზე, რომლის გამოხატულება კულტურის ერთობაა"[108].

მაგრამ ფაქტია, რომ ილიას ნაწერებში აღნიშნულ ტრიადაში პირველ ადგილზე ენა არასოდეს ფიგურირებს. თუმცა, ცხადია, ეს გარემოება სრულიადაც არ გამორიცხავს ილიას მიერ ენის დიდი მნიშვნელობისათვის ხაზგასმას. მის მიერ აღნიშნულია ხოლმე: „ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს"[109]; „პირველი ნიშანი ერის ვინაობისა – ენაა"[110]; „...არსებითი ნიშანი ეროვნობისა, მისი გული და სული – ენაა"[111]. თუმცა ამავდრულად ილია ასევე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ერისათვის ისტორიის ერთობის ფაქტორს: „ყოველი ერი თავისის ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თავისის სულის ღონეს, თვისის სულის ძგერას, თვის ზნეობითს და გონებითს ამატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვისებას"[112]; „ჩვენი ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა (ეროვნებისა – **გ. ყ.**) ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან,

როგორც ერთობა ისტორიისა"[113], ხოლო „ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდამ იწყება როცა იგი თავისს ისტორიას ივიწყებს"[114].

ერთ-ერთ ინტერვიუში ფილოლოგოსი და პარლამენტარი ლეკან ბერძენიშვილი აღნიშნავს: „ქართველმა ხალხმა მოგვიანებით, რიტმული მოსაზრებებით, ეს ფორმულა გაუსწორა ილიას და სხვაგვარად დააწყო: ენა, მამული და სარწმუნოება"[115]. იგი განაგრძობს: „ჩემი აზრით, ქართველი ხალხი არ ეკამათება ილია ჭავჭავაძეს, მაგრამ ეს ფორმულა უფრო მართებულია". თვითონ ლ. ბერძენიშვილი კი, როგორც მას სწვლია, ამჯერადაც კრიტიკულადაა განწყობილი ილიასადმი და, უკანასკნელისაგან განსხვავებით, გახაზავს ენის გადამწყვეტ მნიშვნელობას: „ენა არის სახელმწიფოზე უფრო მნიშვნელოვანი ელემენტი"; „ენა არის ეთნოსიდან (?!) ნაციის (!) ჩამოყალიბების საფუძველთა საფუძველი"; „ენა არის სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების მთავარი კომპონენტი"[116].

მაგრამ ვიდრე მავანი მსგავს რიხიან განცხადებას გააკეთებდეს, მანამდე პასუხი უნდა გაეცას კითხვას: რა შინაარსს გულისხმობდა ილია სიტყვა „მამულში?" იგი, ცხადია, არ მოიაზრებოდა ქვეყნის საერთო მიწა-წყლის, ტერიტორიის მნიშვნელობით. ასე რომ იყოს, მაშინ ერის ნიშან-თვისებათა ჩამოთვლისას, ასევე ეროვნული სულისკვეთების გამოსახატავად, ენა, ტერიტორიასთან შედარებით, ცხადია, წინ უნდა იქნას დაყენებული. ილია სიტყვა „მამულს" ხმარობდა როგორც სამშობლოს სინონიმს და ამდენად, – ფართო მნიშვნელობით. ამ შემთხვევაში „მამულში", „სამშობლოში", ცხადია, იგულისხმება არა მხოლოდ მიწა-წყალი, ტერიტორია, არამედ სხვა კომპონენტებიც და მათ შორის სათანადო ემოციური დამოკიდებულებაც (მიმართება) შესაბამისი ობიექტისადმი.

ლექსში „ნანა" „მამული" ამგვარი მნიშვნელობით მრავალჯერ ფიგურირებს:

„გაიგებ მამულისას,
ბედ-ქვეშ დაჩაგრულისას,
კვნესის ხმასა მწუხარეს,
შველის ძახილს მმუდარეს";
„და მამულს დაობლებულს";
„დააკვდი მამულს მსხვერპლად";
„დედათა გული ჩვილი
მამულისთვის მაგრდება";
„ვისაც ძე არ შეუკლავს,
როს მამულს სჭირებია,
შვილო, იმ ვაგლახ დედას

შვილი არ ჰყვარებია".
და ა. შ.

ამის დამადასტურებელი ფაქტები ილიას სხვა ლექსებშიც უამრავია:

„მამულისა შვილნი ჩვენც ვართ
და მიტომ ეზრდით ჭაბუკს სულსა,
რომ ოდესმე გამოვადგეთ
დაობლებულს ჩვენს მამულსა";
„ბრძოლად რომ მამულმა გვიხმოს,
ეხლაც კი გამოვადგებით..."

(ქართველ სტუდენტების სიმღერა)

„მამულო საყვარელო,
შენ როსღა აყვაედები?"
(გაზაფხული)
„მას აქეთ, რაკი შენდამი ეცან მე სიყვარული,
ჰოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება!";
„მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი,
ის არი, მხოლოდ საეალალო და სამწუხარო..."

(მას აქეთ, რაკი...)

„ქართელის დედაო! ძუძუ ქართელისა
უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა";
„მამულის მტერთან მედგარი ბრძოლა".

(ქართელის დედას)

„მამულისა სიყვარულმა
ძმობა გულში ჩაგვიყენა";
„ჩვენ ჩვენ მამულს ეეპატრონეთ";
„მამულს სიცოცხლე შევწიროთ";
„მეტი ჯილდო რაღად გვინდა,
თუ ესჭვრეტთ მამულს გაფურჩქვნილსა".

(ჩემი თარიარალი).

„ქართელის დედის" საბოლოო ვარიანტში დედა მწუხარებით წარმოსთქვამს:

"მართლა, მამული!.... იგი უფრო საყვარელია!"

პოემის პირველ ვარიანტში ასეა:

შვილი (აღტაცებით, დედა კი თანდა-თან სუსტდება, მაგრამ კი ცდილობს თავის დაჭერას):

„ჰოი, ძლიერო, დიდო სიტყვავ! შენს ღვთიურს ძალსა
ვინ დაუდგება?! კლდის სიმაგრეს აძლევ ჩვილ ქალსა!
ოდეს შენდამი სიყვარული დაიძვრის გულში,
თვით დედა შვილის სიყვარულს სნთქავს შენ სიყვარულში!
რა სხიეოსანი შენი შუქი აღმობრწყინდება
კაცის გულშია, ყოვლი გრძნობა მასში ინთქმება –
როგორცა მზეში უმცირესი მნათობი ცისა,
როგორცა ზღვაში დაცემული წვეთი წვიმისა!
ძლიერო სიტყვავ! ვთმობ დედასა, შენთან ვერთდები,
თუ შენთვის მოვკვდი, სრულიადა მე არ მოვკვდები!
მშვიდობით, დედავ! ხედავ, შენ შვილს უხმობს მამული,
როგორც მე შენი, ისე ჩემი სთმე სიყვარული".

და სხვა მრავალი.

პუბლიცისტის ენით ილია 1866 წელს წერდა: „მამული!.. ამ სიტყვის ყოვლად-მპყრობელი მნიშვნელობა ერცელია და ფართო. იქ, საცა ხალხობა დარღვეული არ არის და განთვითეულება – ეგ ჭირთაჭირი არ მეფობს, იქ მაგ სიტყვის აზრი ცხოვრების მიმნიჭებელი სულია, მთელის ხალხის ერთიანი მაჯის ერთიანი ძარღვია. იქ მაგ სიტყვის ხსენებაზედ თვითეულსა – მთელის ხალხისა და მთელს ხალხს – თვითეულისა ჭირი და ლხინი წარმოუდგება ხოლმე. იქ მაგ სიტყვის ხსენებაზედ დიდი და პატარა, ქალი და კაცი, თავის ქვეყნის ნაღვლითა ნაღვლობს, ლხენითა ლხინობს,დღეობითა და დიდებითა – დღესასწაულობს. იქ მაგ სიტყვაში ყოველია, და ყოველში ყველა არის".

ჩვენში? ჩვენშიაც მაგ სიტყვას მაგეთი მნიშვნელობა ჰქონია თურმე. იცი როდის? როცა ჩემი „მე" და შემი „მე" ჩვენის ერთიანის ხალხის ცხოვრების საყვარში ერთად ბმულა"[117].

მოგვიანებით, 1892 წელს, აღნიშნულის თაობაზე ილია ასე წერდა: „სამოციან წლებში ყველაზე უწინარეს გამობრწყინდა დავიწყებული სიტყვა „მამული" მთელის თავის გულთ-მიმზიდველ და დიდებულ მნიშვნელობითა. ვისაც-კი რაიმე ნიშან-წყალი ჰქონდა ღმრთის მიერ მინიჭებულ მადლისა და კალამი ხელთ ეპყრა, თითქმის

ყველანი იმ გზას დაადგნენ, რომ ქართველს გულში ჩაუსახონ მამული, რომელიც ჟამთა ვითარებამ უძრავ ქონების სახელამდელა დააქვეითა და დაამდაბლა. აგრე გაუპატიურებულმა სიტყვამ სამოციან წლების მოღვაწეთა მეოხებით და ღვაწლით კელავ დაიჭირა ჩვენში კუთვნილი ადგილი, ვითარცა მზემ, და თავისი სხივოსანი შუქი მოჰფინა მთელს სივრცეს ჩვენის ცხოვრებისას. რაკი „მამულს" ბინა დაედვა ქართველთა გულში, მისმა ცხოველ-მყოფელმა სითბომ და ნათელმა მთელი მრავალგვარობა ჩვენის ცხოვრებისა გაუთვალისწინა თვითეულს მოღვაწეს ცალკე და ყველას ერთად. არ დარჩა არც ერთი მცირეოდენი კუნჭული ეგრეთწოდებულ მოსაქმე ცხოვრებისა, რომ ან ერთს, ან მეორე მწერალს, ძველსა და ახალს, თვისი კალმის წვერი არ მიეწვდინა და დიდი ხნიდამ დადუმებული ჩიეილი დაჩაგრულ ადამიანობისა, მთა-ბარობა უსწორ-მასწორო ცხოვრებისა – არ გაეხადნა თავისის დაკვირვების და გულისთქმის საგნადა და ყოველივე ეს ცალკე თავის კალმის წვერზე არ აეგო.

აღდგენილმა მამულმა დაჰბადა მამულის სიყვარული, მამულის-შვილობა"[118].

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის" თანახმად, სიტყვა „მამულს" აქვს შემდეგი მნიშვნელობანი: 1) უძრავი ქონება, მიწა-წყალი, რომელიც ვისიმე საკუთრებას შეადგენს და მემკვიდრეობით გადაეცემა მამიდან შვილს // უძრავი ქონება საერთოდ (უპირატესად სოფელში; 2) სამშობლო; 3) რთული ფუძის შემადგენელი ნაწილი, მაგალითად სიტყვა „ადგილ-მამულში"[119]. როგორც ვხედავთ, ლექსიკონის შემდგენელთა მიხედვით, „მამულს" საერთო მიწა-წყლის, ტერიტორიის მნიშვნელობა ჩვენს ენაში დღესაც კი არ მოუპოვებია.

თუ სიტყვა „მამულს" ისტორიულ ჭრილში განვიხილავთ, თავდაპირველად იგი აღნიშნავდა ზედსართავს („მამისეული", „მამისა", „თვისტომი", „მშობლიური"), მაგრამ საკმაოდ მალე იგი არსებით სახელადაც იქცა (ჯერ საკუთრების (მიწაზე) მნიშვნელობით), შემდგომ კი – „სამშობლოს" აზრით[120]. „მამულის" ამგვარი ფართო მნიშვნელობიდან არის წარმომდგარი სიტყვები: „მამულიშვილი", „მამულიშვილობა", როგორც პატრიოტის, პატრიოტიზმის შესატყვისი ქართული ენობრივი ეკვივალენტები.

მავანთაგან განსხვავებით, ილია გახაზავდა ეკონომიკური ფაქტორის უდიდეს მნიშვნელობას ერის ჩამოყალიბებაში: „თავდაპირველი შემომქმედი ეროვნობისა და ერის სიმდიდრისა მარტო

გუთანი და მიწა ყოფილა და იქნება კიდეც"[121]; „...ჩვენი ძალ-ღონე, ჩვენის ცხოვრების და ვინაობის ბურჯი, ჩვენი მკვიდრი და უტყუარი შემნახველი, ჩვენი სიკეთე და სიმდიდრე, – მიწა და გუთანია. რომელს ერსაც ეს ორი საგანი ხელთ შერჩენია, იმას თავი იმოდენად კიდევ შეუნახავს, რომ შეუძლიან თავმოწონებით სთქვას: მე ერი ვარ და მკვიდრი ბინა მაქვს სადღეისოდაც და სამერმისოდაც. სხვა ყოველივე ფუჭია და წარმავალი, ვერც ერის ვინაობას დაედება საძირკვლად, და ვერც ერთი ჯიშის, ერთის სისხლისა და ხორცის ადამიანთ თავს ერთად მოუყრის და ვერც ერად შეჰქმნის. საქმე მიწაა და გუთანი"[122].

1883 წლის აგვისტოს „შინაურ მიმოხილვაში" ილია დიდი სიამოვნებით აციტირებდა ერთ რუს ავტორს: „საზოგადოდ, ინკორპორაცია ქვეყნისა, რომელსაც ჰქონია თავის ისტორიული ეროვნობა, ყოველთვის დიდ სიძნელეს წარმოადგენს და ხშირად უფრო მეტი ენება მოაქვს, ვიდრე სარგებლობა"[3]. ამ შემთხვევაში „ისტორიულ ეროვნებაში", სხვა კომპონენტებთან ერთად, ცხადია, იგულისხმება ენაც. იგი კვლავ აციტირებდა: „ეხლანდელ დროში ხომ, როცა ასე საყოველთად განმტკიცებულია და აღგზნებული ეროვნული გრძნობა და თავისუფლების სურვილი, ესე-გვარი საქმე უფრო ძნელ საქმეს წარმოადგენს. მოსპობა რომელიმე ერის დამოუკიდებლობისა და შერიცხვა მისი სხვა ერთა შინა, – ეგ იმას ჰნიშნავს, რომ ძალად და განზრახ აიღოს მან თავის-თავზე ხელი, დაივიწყოს თავისი უწინდელი ცხოვრება, თავისი მოგონებანი, თავისი დაცემული დიდება, თავისი ინტერესები, თავისი ზნე, ენა და სუყველა ეს მტრის გასახარელად, მტრის სასრგებლოდ. ეს საქმე აღემატება კაცთა შემძლებლობას"[123].

1888 წლის დასაწყისში ილია „ივერიის" მეცხრე ნომერში აღნიშნავდა: „–მამული და ეროვნობა, რჯულთან ერთად შეერთებული, რჯულთან შეხორც-თვისებული, უძლეველი ხმალია და შელეწილი ფარი მტრისა წინაშე". ჩვენთვის საინტერესო საკითხის გასგებად ფრიად მნიშვნელოვანია ილიასეული სტატია „ქართველი ერი და ღვაწლი წმინდა ნინოსი" (დაწერილია 1888 წლის 13 იანვარს)[124]. სტატიაში ეკითხულობთ: „ქართველმა ამ რჯულს (ქრისტიანობას – **გ. ყ.**), ამ ახალს აღთქმას, შეუერთა ძველსაგან ყოველივე ის, რაც კი რამ ძვირფასია ადამიანისათვის და რაც თავის-დღეში არ დაძველდება, მინამ ადამიანი ადამიანობს: შეუერთა მამული და ეროვნობა. ეს სამი ერთმანეთის ღირსი საგანი ისე ჩაიწნენ, ისე ჩაქსოვდნენ ერმანეთში, რომ რჯულის დაცვა საქართველოსათვის მიწა-წყლის დაცვად გარდაიქმნა და მიწა-წყლის დაცვა – რჯულის დაცვად. რჯული ჩვენის მამულის, ჩვენის ეროვნობის ხმლად იქცა ზედ მისევისათვის და ფარად

ზედ მოსეულთათვის"[125]. როგორც ვხედავთ, ამ ჩამონათვალში ენა საერთოდ არ ფიგურირებს და მის მაგიერ დასახელებულია „ეროვნობა" (რომელშიც, სხვა მომენტებთან ერთად, ენაცაა ნაგულისხმევი).

ილია განაგრძობდა: „ქრისტიანობა, ქრისტეს მოძღვრების გარდა, ჩვენში ჰნიშნავდა მთელს საქართველოს მიწა-წყალს, ჰნიშნავდა ქართველობას. დღესაც მთელს ამიერკავკასიაში ქართველი და ქრისტიანი ერთისა და იმავე მნიშვნელობის სიტყვები არიან. გაქრისტიანების მაგიერ გეტყვიან, – გაქართველდაო. ჩვენმა სამღვდელოებამ კარგად იცოდა, რომ მამული და ეროვნობა, რჯულთან ერთად შეერთებული, რჯულთან შეხორცთვისებული, უძლეველი ხმალია და შეულეწელი ფარი მტრისა წინაშე. სიტყვას ქადაგებისას, სწავლას, მოძღვრებას სულ იმაზედ მიაქცევდა ხოლმე, რომ მამული და ეროვნობა რჯულამდე გააპატიოსნოს, სარწმუნოებამდე აღამაღლოს, ასწიოს და ყოველივე ამ სამს წმინდას ამსახუროს, თავგანწირვით ამოქმედოს.

აი, სად და რაში ჰპოულობდა ჩვენი უწინდელი სამღვდელოება თავის სულიერს და ხორციელს ღონეს, თავის ძლიერებას, პატივისცემას! აი რით გაიმაგრა სამღვდელოებამ სარწმუნოება ქრისტესი ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც გარშემო ვეშაპი-მტრები ეხვევნენ და ჰლამობდნენ ქრისტიანობა ძირიანად ამოეგდოთ. აი რამ მოაგერიებინა ამ პატარა ქვეყანას აურაცხელი მტერი! მამული და ეროვნობა მიაშველა სამღვდელოებამ რჯულს, რჯული – მამულსა და ეროვნობასა და ეგრეთ მოძღვრებულმა ერმა ეს სამება წაიმძღვარა წინ, ათას ხუთასი წელიწადი ომითა და სისხლის ღვრითა გამოიარა და ქართველს ბინაც შეუნახა და ქართველობაცა"[126]; „ქრისტიანობამ შეგვინახა ჩვენ ჩვენი მიწა-წყალი[127], ჩვენი ენა, ჩვენი ვინაობა"[128].

ამავე წელს დაწერილ სტატიაში „სააღდგომო" ილია განაგრძობდა: „ყველამ იცოდა, რა მძიმეა ჯვარი ქრისტესი, ჯვარი მამულისა და ეროვნობისა, და სახლიც მოღვაწისა ამ სიმძიმეში იყო"[129]; „იმა უდიდესმა მოძღვრებამ, რომელიც ქრისტე-ღმერთს მოუვლინა ქვეყანას ხსნად და ცხონებად, თავისი ძლევამოსილი კალთა გადააფარა ჩვენში ჩვენს მამულს, ჩვენ ეროვნობას"[130]; 'და აი ათას ხუთასი წელიწადია ამ ძალ-ღონით ქრისტიანობამ შეგვინახა ჩვენ ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ენა, ჩვენი ვინაობა, ჩვენი ეროვნობა"[131]; „ქრისტიანობა გაგვიძღვა მამულისა და ეროვნობის შერჩენისა და ხსნისათვის"[132], რომ ამ მოძღვრებამ „იშვილა ჩვენი მამული, ჩვენი ეროვნობა, და ერთსაც და მეორესაც უპატრონა დღემდე"[133].

ამ შემთხვევებშიც, როგორც ვხედავთ, ენა ერთხელაც კი არაა დაყენებული პირველ ადგილზე.

მიუხედავად ამისა, ილია ენის დიდი მნიშვნელობის თაობაზე ასე წერდა: „რადგანაც არსებითი ნიშანი ეროვნობისა, მისი გული და სული – ენაა, ამიტომაც ტლანქი ხელი უმეცარის მოხელეობისა ყველაზედ უწინარეს ენას მისწვდა. თუ რომელისამე მოხელის ხელს ამ შემოხვევაში აზრი რამ ამოქმედებდა, ეგ ის აზრი იყო, რომ სახელმწიფოს ერთიანობა შეუძლებელია იქ, საცა ყველანი ერთსა და იმავე სახელმწიფო ენაზედ არ ლაპარაკობენო. უგუნურება ამ აზრისა ცხადია. იყო დრო, როცა რჯულის, სარწმუნოების სხვადასხვაობასაც ამასვე სწამობდნენ... რეფორმაციამ დაამტკიცა, რომ ეგ აზრი მარტო უმეცრების ნაყოფია... მოვა დრო, და გვგონია – დიდის ხნის ლოდინიც არ მოგვიხდეს,რომ ენის შესახებაც იმას იტყვიან, რასაც ეხლა რჯულის შესახებ ბრმანიცა და თვალხილულნიც ამბობენ ერთხმად. მოვა დრო, როცა უმეცარნი და ძალადმაცხონე მოხელეებიც კი დაინახვენ, რომ ჩეხს შეუძლიან თავისი სკოლა, თავისის შინაური საქმეები თავისი დედა-ენის შემწეობით მოაწყოს და ავსტრიის იმპერიის ერთობა ამით არამც თუ შეირყეს, უფრო გაძლიერდეს და განმტკიცდეს!"[134]

ამდენად ილია გამოკვეთავდა ქართული ენის მნიშვნელობის ამაღლება-გაძლიერებას რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში (ჯერჯერობით, საბოლოოდ კი „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს"-ში ჩვენი ქვეყნის სრული დამოუკიდებლობა იგულისხმებოდა).

დაბოლოს, შეგახსენებთ ერთ გარემოებასაც. როგორც ცნობილია, 1905 – 1906 წლების საქართველოში ადგილი ჰქონდა „პროგრესისტთა ქართული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" (მომავალი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის) ჩამოყალიბების ცდას, რომელშიც, კერძოდ პროგრამის შედგენაში აქტიურად მონაწილეობდა თვითონ ილია. ჯერ, მეხუთე პუნქტში, ქართულ ენაზე ზრუნვაა გაცხადებული: „ცოდნა ქართულის ენისა საკალდებულოდ იქმნას დაწესებული ყოველ კაცისათვის, რომელიც-კი მსახურობს საქართველოს საზღვრებს შორის იმ სახელმწიფო და საზოგადოებრივ სამმართველოებში, რომელთაც, მათდა სამსახურის საჭიროებისამებრ, პირდაპირ აქაურ მკვიდრთანა აქვთ საქმე.

შენიშვნა: ერთობ ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში მოსამსახურე მოხელემ უნდა იცოდეს იმ ადგილის ენა, საცა მსახურობს"[135].

მეცხრე პუნქტის მიხედვით კი აღიარებულია: „მიღებულ იქმნას საქართველოს საზღვრებს შორის, სახელმწიფო რუსულ ენასთან, ქართული ენა ენად სკოლისა, სასამართლო-სამსჯავროსი, ადმინისტრა-

ციის, პოლიციის და სახელმწიფო და საზოგადოებათა დაწესებულებებისა"[136].

ამის შემდეგ, 24-ე პუნქტში აღნიშნულია ქართული მიწა-წყლის ტერიტორიის ერთობა: „შეერთება ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებისა, ბათომის მხარესი, სოხუმის და ზაქათალის ოლქებისა ერთ ცენტრალურ საქართველოს ერობად"[137].

მომდევნო, 25-ე მუხლი კი ტერიტორიის ერთობასთან ერთად მოითხოვს: „განახლებას ივერიის ეკლესიის ავტოკეფალიის უფლებისა და აღდგენას მცხეთა-ივერიის ქათალიკოსობისა საქართველოს ადრინდელ საზღვრებ შორის ქათალიკოსის მეთაურობით, რომელიც უნდა ამორჩეულ იქმნას უკვე ყოფილ წესისამებრ და დამტკიცებულ უუმაღლეს მთავრობის მიერ"[138].

ასე რომ, თვალი გავადევნეთ რა ილიას ნააზრევს ჩვენთვის საინტერესო ტრიადის თაობაზე, ჩვენში ფართოდ გავრცელებული შეხედულების საწინააღმდეგოდ, პირველ ადგილზე არსად არ არის დაყენებული ენა[139], არამედ – „მამული", ფართო, სამშობლოს მნიშვნელობით. აქედან გამომდინარე, როდესაც საქმე მიდგება ილიასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნებოდეს: „მამული, ენა და სარწმუნოება"[140] თუმცა, რასაკვირველია, ეს არ გამორიცხავს ქართული ენის დიდ მნიშვნელობას ჩვენი ერის ჩამოყალიბებისა და არსებობის პროცესში".

§ 5 „ვეფხისტყაოსნის" ერთი საკითხის შესახებ (ილიასა და აკაკის პოლემიკა)

"ვეფხის-ტყაოსანი" თუ არის უკვდავი, არა მარტო თავის ფორმით, არამედ თავის შინაგან ღირსებაებით".

ილია.

ცნობილია, რომ გასული საუკუნის 1880-იან წლებში ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს შორის გაცხარებული პოლემიკა წარმოებდა „ვეფხისტყაოსნის" გარშემო. კერძოდ, კამათობდნენ პოემის გმირთა ხასიათების თაობაზე, მათს განპირობებულობაზე ვითომდაც საქართველოს ცალკეული კუთხეებით (ქართლი, იმერეთი, ზღვისპირეთი (ლაზეთი, აჭარა, სამეგრელო თუ გურია). ამ თემას დღემდე ძირითადად ფილოლოგოსები ეხებიან, რასაკვირველია, თავიანთი სპეციალობიდან გამოდინარე. მაგრამ მტკიცედ გვჯერა, რომ საკითხს უნდა შევხედოთ უფრო ფართო თვალთახედვითაც, სახელდობრ, ისტორიკოსის, ფილოსოფოსის, სოციოლოგოსის

(ზოგადი) პოზიციებიდანაც. განსაკუთრებით გვმართებს ეთნოფსიქოლოგიური მიდგომა. აღნიშნული თვალსაზრისით კი, ვიმეორებთ, პრობლემა ჯერჯერობით არ განხილულა. ამიტომაც, პირდაპირ რომ ვთქვათ, საკითხის გარკვევისას ხედავენ მხოლოდ მას, რაც ზედაპირზე ძევს, უფრო ღრმა შინაარსის წვდომა გაძნელებულია. ამდენად, შევეცდებით გარკვეულწილად შევავსოთ აღნიშნული ხარვეზი.

***

აკაკი წერეთელმა აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის (პეტერბურგის უნივერსიტეტში) დამთავრებისას საკანდიდატო (სადიპლომო) ნაშრომად წარადგინა „Несколько слов в пользу оригинальности „Барсовы кожи". ავტორი საყვედურს გამოსთქვამდა, რომ აღნიშნული პოემა დღემდე არ ყოფილა კრიტიკულად განხილული. კერძოდ მისიდროინდელი თაობა „Клевещет на нее, называя мистической, азиатской поэмой", მაშინ როდესაც „она написана в духе грузин и легко задевает за струны грузинское сердце"[141]. რასაკვირველია, აკაკი ამტკიცებდა „ვეფხისტყაოსნის" ორიგინალურობას და იმას, რომ მასში თითქოს აისახა მაშინდელი საქართველო „შვიდი სამეფოთი (!) და ხუთი სამთავროთი". ამას ადგილი ჰქონდა 1862 წელს.

ცხრამეტი წლის გასვლის შემდგომ აკაკი წერეთელი კვლავ საფუძვლიანად (ასე თუ ისე) დაუბრუნდა „ვეფხისტყაოსნის" თემას. 1881 წელს (მარტში) მან დაწერა სპეციალური ნაშრომი, რომელიც სამ ლექციად წაიკითხა თბილისში, არწრუნისეული თეატრის შენობაში – პირველი 19 მარტს, მეორე და მესამე – მომდევნო დღეებშივე. ლექციების ანგარიში მოათავსა გაზეთმა „დროებამ" იმავე წლის 7 აპრილის ნომერში (№ 74)[142]. აღნიშნული ლექციები აკაკიმ გაიმეორა ქუთაისშიც, 1887 წელს კი კვლავ თბილისში წაიკითხა.

აკაკი ფრიად საინტერესოდ იწყებდა თავის ლექციას. იგი აღნიშნავდა: „რასაკვირველია, კარგია, რომ ვიცოდეთ, თუ რა ვყოფილვართ ძველათ, მაგრამ ეს მაშინ, როდესაც გვეცოდინება, თუ რა ვართ ახლა. და ამაზე, უნდა მოგახსენოთ, მეტათ ხელცარიელათ გახლავართ. პირდაპირ, გამოტეხით მოგახსენებთ და ბოდიშსაც არ მოვითხოვ, რომ ჩვენი აწმყოსი არა გაგვეგებარა. არ ვიცით, თუ დღეს რა არის ქართველობა, რა შეადგენს მის

აკაკი

ზნეობითს და ფიზიკურს ან სისუსტესა და ან ძალას"[143]. ასე რომ, აკაკი საკითხის შესწავლას უდგებოდა რეტროსპექციული მეთოდით, რაც გულისხმობს უფრო გვიანდელი ფაზით, საფეხურით, მოვლენის, პროცესის წინამავალი ფაზის გაცნობიერებას, კერძოდ აწმყოს, თანადროულობის მეშვეობით წარსულის გააზრებას. ამასთანავე ავტორი უკიჟინებდა თანამედროვე ქართველობას: „თვითეულს ჩვენგანს მხოლოთ ის ადგილი და მისი ახლო მახლო გარემო მიაჩნია საქართველოთ, სადაც თვითონ დგას. იმ ენას რაცხს წმინდა ქართულ ენათ, რომელზედაც თვითონ და მისი მეზობლები ლაპარაკობენ, და ქართველების საერთო ზნეთ, ხასიათათ და ჩეულებათ – მათი კერძოობითი ზნე და ჩვეულებანი მიაჩნიათ. ამ გვარათ, იმერი ამერს ვერ იცნობს და ამერი იმერს და სხვა კუთხეები საქართველოსი ხომ სულ უფრო უცნობი იქნებიან"[144].

აღნიშნული საყვედური საფუძვლიანია თავისთავად, მაგრამ რეალურად მთლად ასე როდი იყო საქმე. ქართველთა ერთიანმა შეგნებამ, ჩამოყალიბდა რა XI – XII საუკუნეებში, მკაცრ ისტორიის საუკუნეებს გაუძლო და იგი არსებობდა XVIII საუკუნეშიც კი. მით უფრო იგი ახალ საფეხურზე ავიდა გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან მოკიდებული; ამას ხელს უწყობდა ქართული მიწა-წყლის (ტერიტორიის) დიდი ნაწილის გაერთიანება (თუმცა უცხო ძალის, რუსეთის მეშვეობით), კაპიტალისტური ეკონომიკური წყობის ჩასახვა, მოსახლეობის მიერ ეროვნული ჩაგვრის საერთო განცდა და მისთანანი. რასაკვირველია, არ უნდა დავიიწყოთ ისეთი სუბიექტური ფაქტორის არსებობა, როგორიც გახლავთ სამოციანელთა ბრწყინვალე თაობის გამოსვლა ისტორიის, საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე. ამ თაობაში კი, მოგეხსენებათ, აკაკის ერთ-ერთი საპატიო ადგილი ეჭირა. ამდენად, ყოველიეე აღნიშნული აბათილებს აკაკი წერეთლისეულ საყვედურებს. გარდა ამისა, დიდი უხერხულობა წარმოიშობა იმითაც, რომ, როგორც აკაკი აღნიშნავდა, „ამის შემდეგ სრულიათ გასაკვირელათ არ მიგვაჩნია, რომ უცხო ქვეყნელები ჩვენ ვერ გვცნობდნენ და არც უნდოდესთ (!) ჩვენი ცნობა"[145]. მართლაც, თუ ქართველობა თავიანთი ეროვნული ხასიათითა და შეგნებით ასე ამორფული და გაურკვეველი იყო, მაშინ ეს ხომ დიდად წაადგებოდა ჩვენი მტრების – უპირატესად რუსული იმპერიალიზმის საქმეს, ისინიც ხომ იმას გვიკიჟინებდნენ, რომ ქართველობა (ფართო გაგებით) იმხანადაც კი, ე. ი. გასული საუკუნეების ოთხმოციან წლებში და შემდგომაც ერთ ერს არ წარმოადგენდა.

მსგავს უხერხულობას აკაკი, რა თქმა უნდა, გრძნობდა და ამიტომაც ქართველობაზე წერდა: „კერძოთ, ცალ-ცალკე, ძალას და მნიშვნელობას მოკლებულნი არიან, მაგრამ შეერთებულათ კი შეადგენენ ძლიერსა და ერცელ საქართველოს!"[146] ერთი სიტყვით, მაინც გახაზავდა ერთიანობას. აღარას ვამბობთ ამ მხრივ მის ბრწყინვალე პოეზიაზე, კერძოდ შედარებაზე, რომ საქართველო თავისი კუთხეებით ანუ სიმებით ჩონგურს მოგვაგონებსო. მაგრამ, ვიმეორებთ, დიდად აჭარბებდა, როცა წერდა: „თვითეულს ამ მხარეთაგანს სხვა-და-სხვა ბუნების გაელენით, თავის საკუთარი ხასიათი, ჩვეულება, ზნე, და საკუთარი ცხოერების პირობები აქვს"[147]. ამ შემთხვევაში ძნელია გავიცნობიეროთ ერთიანობა, ერთიანი ხასიათი, რის აუცილებლობასაც აკაკი უთუოდ ხედავდა. ამიტომაც იგი წერდა: „აი, ამ გვარათ ჩვენ უნდა შევიტყოთ, თუ რა ვართ საზოგადოთ ქართველები, რა განსხვავებაა თვითეულ საქართველოს ერებთაგანში (!), ან რა ერთობაა ახლანდელ დაცემულ დროში და ან რა ყოფილა ადრე ძლიერების დროს"[148]; „ყველა, როგორც ქართლელი ისე იმერელი, ისე მეგრელი და ისე გურული ერთიანათ დღეს ცრუები არიან, მაგრამ მათ სიცრუეში განსხვავება არის და... იმ სიცრუეში გამოიხატება თვითეული მათგანის ხასიათი"[149]. როგორც ვხედავთ, აქ გახაზულია ქართველთა უარყოფითი ნიშან-თვისების ერთობა, რაც თითქოსდა მიგვანიშნებს ხასიათის გარკვეულ ერთობაზე. მაგრამ, დიდად სამწუხაროდ, მხოლოდ ამის აღნიშვნა, არა კმარა. ამ მხრივ კი პრობლემა დღესაც გადაუჭრელი რჩება – უნდა გავიცნობიეროთ როგორც ქართველობის ხასიათის ერთობა, ისე ცალკეული კუთხეების განსხვავებულობანი ხასიათის ნიშნით.

თავისებური რეტროსპექციული მეთოდიდან გამომდინარე, აკაკი ასეთ დახასიათებებს იძლეოდა. ქართლელის ხასიათის ერთ-ერთ ნიშნად იგი თელიდა: „ის არის ყოველთვის და ყოველ შემთხვევაში პირდაპირი, ხერხიანობაზე ხელაღებულია და როგორც სიარულში, ისე სიტყვა-პასუხში საქმეებშიაც პირდაპირობს და არ უყვარს მიხვეულ-მოხვეულობა"[150]. ზემოთ აღვნიშნეთ აკაკის მიერ ბუნებრივი გარემოს როლის ხაზგასმა ხასიათების ჩამოყალიბებაში, მაგრამ ამ თემას იგი ვერ აღრმავებდა და ამიტომაც კონკრეტულად ვერ ხსნიდა ცალკეულ ხასიათებს. კერძოდ, ასე ითქმის ქართლელთა ამგვარი ხასიათის მიმართაც. მიზეზად აქ მოხმობილია ისტორიული ძნელბედობანი, კერძოდ „სანამ შეიძლეს, ებრძოლეს დროთა ვითარებას და ბოლოს, როდესაც გაუტყდათ გული, გააქნიეს

უიმედობის ნიშნათ ხელი, თქვეს „რაც იქნეს – იქნესო, იყავნ ნება შენიო" და დაადგნენ პირდაპირობას"[151].

იმერლობაზე ლაპარაკისას აკაკი გახაზავდა ცბიერებას. მიზეზი კი ასე აქვს ახსნილი: „დროთა ვითარება გველეშაპათ აწვა თავზე იმერეთს. მრავალი საუკუნეების განმავლობაში ცდილობდა შეეყენებია მისი მსვლელობა თავისუფალ ცხოვრებაში. გზას ულობავდა და წასვლის ნებას აღარ აძლევდა, მაგრამ იმერელი არ გატეხილა გულით და სასოება არ დაუკარგავს ისე, როგორც ქართლელს"[152]. ამდენად ერთნაირმა მიზეზმა – ისტორიულმა ძნელბედობამ თითქოს ორი სხვადასხვა შედეგი გამოიღო: ხასიათის ინერტულობა ქართლელებში და აქტიურობა – იმერლებში. აკაკი განსაკუთრებით გახაზავდა უკანასკნელთა შურიანობას. საბოლოოდ კი დაასკვნიდა, რომ „მომავლისათვის ეს ხალხი[153] ყველაზე უფრო საიმედოა და პირველ ჭახრაკათ საგულებელი"[154].

მეგრელობის დახასიათება კი აკაკისეულ ლექციებში ასეა მოცემული: „რაც იმერლებზე ითქვა, ისევე ითქმის მეგრელებზედაც ცოტა რამ დამატებით"[155]. კერძოდ, „მეგრელი უფრო წვრილმან საქმეებს ჰკიდებს ხელს, ვიდრე იმერელი. იმერელზე მომეტებული გულის-ყური აქვს, მაგრამ „სიბრძნის ზღვაში" კი ისე ვერ მისცურავს, როგორც იმერელი. მეგრელი ხალისიანია და ვაჭრობის მიდრეკილებისა, ასე რომ ოდესმე, როგორც ყოველგვარი სახელოვნო-სახელოსნო რამეები, ისე ვაჭრობაც მეგრელების ხელში იქნება. სომხებს აღარას გაატანებენ, რადგანაც მათ სომხურ თვისებებთან ერთად თავისიც შეერთებული აქვთ. სომხურ თავიანობას, ანგარიშის ცოდნას, გროშის დევნას და ძუნწობას უმატებენ თავიან მეგრულ ღირსებებსაც: მაღალ ნიჭს, გამბედაობას, სიმართლეს და სხვა"[156]. ქართველთა აღნიშნული საერთო ნიშან-თვისება მეგრელობაში თითქოს ასეა მოდიფიცირებული: „რაც შეეხება დღევანდელ მის სიცრუეს, მეგრელი ისე არ ბაქიაობს, როგორც ქართლელი და არც ისე განზრახვით აქტიორულად იტყუება, როგორც იმერელი"[157]. ბუნების როლი ამგვარი ხასიათის ფორმირებაში ასეა ნაჩვენები: „აღტაცებაში მომყვანი ბუნება სამეგრელოსი მეგრელს პოეტურათ ჩაესახა გვამში და ისე არას იტყვის, რომ აღტაცებით არა თქვას, ცოტაც არის არ გაათამაშოს თავისი ფანტაზია"[158]. ესაა და ეს, ამ მხრივ აკაკი არც ამ შემთხვევაში მიდის წინ. „რაც შეეხება ნათესაობას და მეგობრობას, განსაკუთრებით მეგობრობა, ძლიერ იციან: მოყვრისთვის თავს გასწირავს და არას დაინანებს. ამ თვისებით მეგრელები დღესაც სჯობიან იმერლებსა"[159] – დაასკვნიდა

აკაკი. დაბოლოს, აღნიშნავს მეგრელთა თავმოყვარეობას.

რაც შეეხება გურულებს, ისინი „ბევრით ემსგავსებიან ამ ორგვარს ხასიათს (ე. ი. იმერლობისას და მეგრელობისას – **გ. ყ.**), მაგრამ მათსავით ხანგრძლივი და ფეხ-დადგმული ვერ არიან"[160]; „ვერც შრომას აიტანებენ ბევრსა; ისინი ყოველთვის და ყოველგან ჰფეთქენ თოფის წამალივით"[161]; „მოძრაობაში, სიტყვა-პასუხში თუ საქმეში ყოველგან მოსწრებულნი არიან"[162]. ერთი სიტყვით, აკაკის მიხედვით გურული „არის ლხინის შვილი და ჭირშიაც სიცილით მოგეხმარება. იმ ერთ იერიშზე და მერე, თუ იმ ერთი იერიშით ვერ გაარიგა-რა, მეორეთ იქ აღარ „გიყუნცალებს, ქე წავა მისდა შინისკენ"[163]. ესენიც „მამულისათვის დიდი საიმედო არიან"[164]. დასასრულს დასძენს, რომ „დანარჩენებზედაც საზოგადოდ ამასვე ეფიქრობთ"-ო[165]. მაგრამ ეს გაურკვევლობას იწვევს; როგორ მოხდა რომ ბუნების მრავალგვარობამ, ცხოვრების განსხვავებულმა პირობებმა და ა. შ. თავისი დაღი არ დაასვა შესაბამისი კუთხის შვილთა ხასიათებს[166].

აწმყო ვითარების ამგვარი გაგებიდან აკაკი გადადის წარსულზე. ამ მეთოდის (რეტროსპექციული) გამოყენებით იგი ამბობდა: „ნაპოლეონმა თქვა ერთ ხალხზე: „ცოტა გაფხიკე და თათარი ამოჰყოფს თავსაო"[167]. აგრეთვე შეგვიძლია დღევანდელ ქართველებზედაც ვთქვათ: ცოტა რომ გაეფხიკოთ – იგივე ძველი ქართველი გამოჰყოფს თავს. მართალია, დროთა ვითარების გამო, ის წმინდა ადგილები დაჰფარვია დღეს ქართველს გარედან შემოტანილი ტალახის წყალობით და ხანგრძლივი მუშაობაცაა საჭირო, რომ ის გაიფხიკოს, მაგრამ რუსთველის სიტყვები-კი, ნესტარიევით სამკურნალოთ, ადვილად წვდებიან იმ წმინდა ადგილს"[168].

თითქოს შოთა რუსთაველს „სურდა, რომ „ვეფხვის-ტყაოსანში" დაეხატა მთელი საქართველოს სურათი და გამოეყვანა მისი საიდეალო გმირი, როგორც მამაკაცის, ისე დედაკაცისაც"[169]. ბუნების როლი ამჯერადაც ასეა ხაზგასმული: „საქართველო რომ გაშლილი და თანასწორ ბუნებიანი იყოს, მაშინ ის (ე. ი. რუსთაველი – **გ. ყ.**) ერთ პირს აიღებდა გმირათ, მაგრამ, როგორც წინეთ ენახეთ, ის სხვადასხა ბუნებიანია და ხალხებიც სხვადასხვა ხასიათების მექონი, ამისათვის იმან საჭიროთ დაინახა, ერთი გმირის მაგიერ აეღო სამი, გადაეკავშირებია ერთმანეთთან, ერთი მეორით შეევსო და ისე წარმოედგინა ჩვენთვის"[170]. აკაკი თავისებურად, თითქოსდა იმდრონდელი საზოგადოებრივი აზრის შესწავლის საფუძველზე დაასკვნიდა: „არჩევანში რომ შევიყვანოთ ქართველები ამ სამი გმირის შესახებ, უეჭველია, ქართლელები ტარიელზე მიგვითითებენ,

უიმედობის ნიშნათ ხელი, თქვეს „რაც იქნეს – იქნესო, იყავნ ნება შენიო" და დაადგნენ პირდაპირობას"[151].

იმერლობაზე ლაპარაკისას აკაკი გახაზავდა ცბიერებას. მიზეზი კი ასე აქვს ახსნილი: „დროთა ვითარება გველეშაპათ აწვა თავზე იმერეთს. მრავალი საუკუნეების განმავლობაში ცდილობდა შეეყენებია მისი მსვლელობა თავისუფალ ცხოვრებაში. გზას უღობავდა და წასვლის ნებას აღარ აძლევდა, მაგრამ იმერელი არ გატეხილა გულით და სასოება არ დაუკარგავს ისე, როგორც ქართლელს"[152]. ამდენად ერთნაირმა მიზეზმა – ისტორიულმა ძნელბედობამ თითქოს ორი სხვადასხვა შედეგი გამოიღო: ხასიათის ინერტულობა ქართლელებში და აქტიურობა – იმერლებში. აკაკი განსაკუთრებით გახაზავდა უკანასკნელთა შურიანობას. საბოლოოდ კი დაასკვნიდა, რომ „მომავლისათვის ეს ხალხი[153] ყველაზე უფრო საიმედოა და პირველ ჭახრაკათ საგულებელი"[154].

მეგრელობის დახასიათება კი აკაკისეულ ლექციებში ასეა მოცემული: „რაც იმერლებზე ითქვა, ისევე ითქმის მეგრელებზედაც ცოტა რამ დამატებით"[155]. კერძოდ, „მეგრელი უფრო წვრილმან საქმეებს ჰკიდებს ხელს, ვიდრე იმერელი. იმერელზე მომეტებული გულის-ყური აქვს, მაგრამ „სიბრძნის ზღვაში" კი ისე ვერ მისცურავს, როგორც იმერელი. მეგრელი ხალისიანია და ვაჭრობის მიდრეკილებისა, ასე რომ ოდესმე, როგორც ყოველგვარი სახელოვნო-სახელოსნო რამეები, ისე ვაჭრობაც მეგრელების ხელში იქნება. სომხებს აღარას გაატანებენ, რადგანაც მათ სომხურ თვისებებთან ერთად თავისიც შეერთებული აქვთ. სომხურ თავიანობას, ანგარიშის ცოდნას, გროშის დევნას და ძუნწობას უმატებენ თავიან მეგრულ ღირსებებსაც: მაღალ ნიჭს, გამბედაობას, სიმართლეს და სხვა"[156]. ქართველთა აღნიშნული საერთო ნიშან-თვისება მეგრელობაში თითქოს ასეა მოდიფიცირებული: „რაც შეეხება დღევანდელ მის სიცრუეს, მეგრელი ისე არ ბაქიაობს, როგორც ქართლელი და არც ისე განზრახვით აქტიორულად იტყუება, როგორც იმერელი"[157]. ბუნების როლი ამგვარი ხასიათის ფორმირებაში ასეა ნაჩვენები: „აღტაცებაში მომყვანი ბუნება სამეგრელოსი მეგრელს პოეტურათ ჩაესახა გვამში და ისე არას იტყვის, რომ აღტაცებით არა თქვას, ცოტაც არის არ გაათამაშოს თავისი ფანტაზია"[158]. ესაა და ეს, ამ მხრივ აკაკი არც ამ შემთხვევაში მიდის წინ. „რაც შეეხება ნათესაობას და მეგობრობას, განსაკუთრებით მეგობრობა, ძლიერ იციან: მოყვრისთვის თავს გასწირავს და არას დაინანებს. ამ თვისებით მეგრელები დღესაც სჯობიან იმერლებსა"[159] – დაასკვნიდა

აკაკი. დაბოლოს, აღნიშნავს მეგრელთა თავმოყვარეობას.

რაც შეეხება გურულებს, ისინი „ბევრით ემსგავსებიან ამ ორგვარს ხასიათს (ე. ი. იმერლობისას და მეგრელობისას – **გ. ყ.**), მაგრამ მათსავით ხანგრძლივი და ფეხ-დადგმული ვერ არიან"[160]; „ვერც შრომას აიტანებენ ბევრსა; ისინი ყოველთვის და ყოველგან ჰფეთქენ თოფის წამალივით"[161]; „მოძრაობაში, სიტყვა-პასუხში თუ საქმეში ყოველგან მოსწრებულნი არიან"[162]. ერთი სიტყვით, აკაკის მიხედვით გურული „არის ლხინის შვილი და ჭირშიაც სიცილით მოგეხმარება. იმ ერთ იერიშზე და მერე, თუ იმ ერთი იერიშით ვერ გაარიგა-რა, მეორეთ იქ ალარ „გიყუნცალებს, ქე წავა მისდა შინისკენ"[163]. ესენიც „მამულისათვის დიდი საიმედო არიან"[164]. დასასრულს დასძენს, რომ „დანარჩენებზედაც საზოგადოდ ამასვე ეფიქრობთ"-ო[165]. მაგრამ ეს გაურკვეველობას იწვევს; როგორ მოხდა რომ ბუნების მრავალგვარობამ, ცხოვრების განსხვავებულმა პირობებმა და ა. შ. თავისი დაღი არ დაასვა შესაბამისი კუთხის შვილთა ხასიათებს[166].

აწმყო ვითარების ამგვარი გაგებიდან აკაკი გადადის წარსულზე. ამ მეთოდის (რეტროსპექციული) გამოყენებით იგი ამბობდა: „ნაპოლეონმა თქვა ერთ ხალხზე: „ცოტა გაფხიკე და თათარი ამოჰყოფს თავსაო"[167]. აგრეთვე შეგვიძლია დღევანდელ ქართველებზედაც ვთქვათ: ცოტა რომ გაეფხიკოთ – იგიეე ძველი ქართველი გამოჰყოფს თავს. მართალია, დროთა ვითარების გამო, ის წმინდა ადგილები დაჰფარვია დღეს ქართველს გარედან შემოტანილი ტალახის წყალობით და ხანგრძლივი მუშაობაცაა საჭირო, რომ ის გაიფხიკოს, მაგრამ რუსთველის სიტყვები-კი, ნესტარივით სამკურნალოთ, ადვილად წვდებიან იმ წმინდა ადგილს"[168].

თითქოს შოთა რუსთაველს „სურდა, რომ „ეეფხვის-ტყაოსანში" დაეხატა მთელი საქართველოს სურათი და გამოეყვანა მისი საიდეალო გმირი, როგორც მამაკაცის, ისე დედაკაცისაც"[169]. ბუნების როლი ამჯერადაც ასეა ხაზგასმული: „საქართველო რომ გაშლილი და თანასწორ ბუნებიანი იყოს, მაშინ ის (ე. ი. რუსთაველი – **გ. ყ.**) ერთ პირს აიღებდა გმირათ, მაგრამ, როგორც წინეთ ენახეთ, ის სხვადასხა ბუნებიანია და ხალხებიც სხვადასხვა ხასიათების მექონი, ამისათვის იმან საჭიროთ დაინახა, ერთი გმირის მაგიერ აეღო სამი, გადაეკავშირებია ერთმანეთთან, ერთი მეორით შეევსო და ისე წარმოედგინა ჩვენთვის"[170]. აკაკი თავისებურად, თითქოსდა იმდრონდელი საზოგადოებრივი აზრის შესწავლის საფუძველზე დაასკვნიდა: „არჩევანში რომ შეეიყვანოთ ქართველები ამ სამი გმირის შესახებ, უეჭველია, ქართლელები ტარიელზე მიგვითითებენ,

იმერლები ავთანდილს აირჩევენ და საზოგადოთ შავი ზღვის პირელები ფრიდონს მოიწონებენ. ეს მისი ბრალია, რომ ის განსაკუთრებითი ხასიათები, რომლებიც ამ სხვადასხვა კუთხის საქართველოს ხალხს ერომანეთისაგან განასხვავებენ.... ამ გმირებში იხატება და თვითეული კუთხე თავის საკუთარ, ახალ ნაცნობს ხედავს „მათში"[171].

სახელდობრ „ტარიელი რაღაც უცნაური ძალის მექონი გმირია! მის სურვილს ტყვილა ნურვინ ეწინააღმდეგება! რასაც კი თვალს მოჰკრავს და ხელს მოავლებს, პირდაპირ მიიწევს მასზე და დაუმსხვრეველ-გაუსრესელს არ გაუშვებს – ის ქარიშხალივით გააბნ-გამოაბნევს!... ყოველთვის და ყოველგან პირდაპირია, იცნობს მხოლოთ თავის საკუთარ გულს, მისი ამყოლია, ისა სწამს, იმას ემსახურება და უმისოთ ქვეყანა ჩალათ უჩანს. ეტირება – მოურიდებლათ ტირის მოთქმით და თუ ეცინება – იცინის. ერთი სიტყვით, ხილული ქვეყანა მისი სათამაშო ბურთია. მაგრამ, როცა გონების ძალღონეზე დგება საქმე, მაშინ კი ცოტათი აკლდება ფერი მის გმირობას"[172].

ამგვარად დახატული ტარიელი, აკაკის მიხედვით, განასახიერებს ქართლელთა ხასიათს. ტარიელისაგან განსხვავებით, „სულ ამის წინააღმდეგია ავთანდილი. ნაკლები ძალღონის არც ის არის, თუმცა სანდომიანობა კი აკლია მის გმირობას. ეს იმის ბრალია, რომ ყოველთვის და ყოველგან გული დამონებული არა ჰყავს (!) თავით. მისთანას არ იზამს, რომ ჯერ თავს არ დაეკითხოს; ასჯერ გაზომავს და მერე ერთხელ გამოჭრის. თავის თავს გარდა იმას სხვებიც ჰყავს ხოლმე სახეში და ამისთვის გულს უდროოთ და უადგილოთ გათამაშების ნებას არ აძლევს. იმასაც, ტარიელივით, გული გაუმეფებია, მაგრამ ვეზირათ მიუჩნევია მისთვის თავი და უმისოთ არ ამოქმედებს. ჭირში თუ ლხინში, ყოველგან ზომიერია... საძნელოსა და საბოლოოთ შეუძლებელს ვერსად ხედავს, გულს არაფრით არ იტეხს... ავთანდილი ჭკუა-გონების გმირია და ღირსეულადაც აფასებს თავის თავს, იცის, ვინც არის"[173]. ასეთ ხასიათს, კი, აკაკის მიხედვით, საერთოდ იმერლები განასახიერებენ.

რაც შეეხება ფრიდონს, „ის ამ ორ გმირს ცოტათი ჩამორჩება, არც ტარიელის ოდენი გული აქვს და არც ავთანდილი სწორი თავი. ის არის საყვარელი ბუნების მექონი: უშიშარი, მხნე, ღონიერი, ქეიფის მოყვარე და ტოლ-ამხანაგებისათვის თავგანწირული... სიყვარულს მაინცა და მაინც ძალიან არ გადაჰყვება. ის უფრო ქორ-მიმინოს და მწევარ-მეძებარს ეტანება. ქეიფობს თავისთვის.

ზღვა და ხმელეთი მისი სანადირო, საქეიფო მოედანია. თავის თავით მოქმედება არ შეუძლია, მაგრამ მხარს მიცემა კი უკეთესი არ იქნება"[174]. ერთი სიტყვით, „...თუმცა მცირეთ კი, მაგრამ მაინც ორივეს ჩამოჰგავს ფრიდონი, როგორც ავთანდილს, ისე ტარიელსაც"[175]. მასში განსახიერებულია შავი ზღვისპირელების ხასიათი[176].

„ვეფხვის-ტყაოსნის" გმირებშიც (ქალებში) ნესტან-დარეჯანი ქართლელია, ხოლო თინათინი – იმერელი[177]. რაც შეეხება ფატმანს, „ამგვარი ქალები ყოველთვის და ყოველგან არიან და, რასაკვირველია, საქართველოშიც, ქართველი ქალებიც, ზღვის პირათ, ბოღაზ ადგილებში გამოერეოდნენ ხოლმე"[178]. ფატმანისმსგავსნი არა მხოლოდ წარსულში, აწმყოშიც არიან. ზნეობის დეფიციტის მიუხედავად „საზოგადო ბედნიერების დროს ისინიც საკეთილოდ მოსახმარნი არიან და გამოიყენებს კაცი ისე, როგორც ავთანდილმა გამოიყენა. ქვეყნის დაცემის დროს კი ფატმანები საძაგლები არიან და ქვეყანას ბევრ ენებას აძლევენ (!). დღეს უფრო ვრცლათ ლაპარაკი ფატმანებზე მოუხერხებელია"[179].

აკაკის მიხედვით ასმათი კი „გვიხატავს ერთ იმ პირთაგანს, რომელნიც დღეს აღარ არიან, მაგრამ ძველათ კი იყვნენ"-ო[180]. მას უძნელდება ეთნოგრაფიულად ეს ტიპი,მხატვრული სახე რომელიმე კუთხეს მიაკუთვნოს უფრო ხსნის ბატონყმობით, რომელიც, აკაკის თანახმად, საქართველოში რბილი ხასიათისა გახლდათ, რამაც თითქოს განაპირობა ასმათის ერთგულება.

აღსანიშნავია,რომ აკაკის პირველი ლექციის მოსმენის შემდეგ გასეთ „დროების" 1881 წლის 1 აპრილის ნომერში საკმაოდ ვრცელი კორესპონდენცია დაიბეჭდა, ა. მოჩხუბარიძის (ალექსანდრე ყაზბეგის) ხელმოწერით. ამას მოჰყვა აკაკის მწვავე რეაქცია (№ 70) – „წერილი რედაქტორთან" (სხვათა შორის, ამ დროს რედაქტორებად იყვნენ ილია ჭავჭავაძე და სერგეი მესხი). აკაკი წერდა: „თუ ჩემი შენიშვნები 'ვეფხვის ტყაოსნის" გმირების შესახებ ოდესმე დაიბეჭდა, მაშინ, რასაკვირველია, მკითხველები თავისთავათ დაინახავენ, რომ „დროების" ' 69-ში დაბეჭდილი ბ-ნი მოჩხუბარიძის (!) სტატია, ჩემის ლექციების შესახებ, თავიდამ ბოლომდე ცილისწამება არის"[181]. და შემდეგ აგრძელებს: „არ ვიცი, განძრახვის ბრალია, თუ უცებობის (!), მაგრამ ეს კი ცხადია, რომ ავტორს გადაუსხვაფერებია ჩემი სიტყვები, ისეთ რამეებს ამბობს ჩემ ნათქვამათ შესახებ ქართლელებისა, იმერლებისა, აფხაზებისა, მეგრელების და სხვ., რომ მე აზრათაც არ მომსვლია. სხვის ნათქვამს

რომ თავი მოჰკვეთო, ბოლო მოჭამო (!), შუა-და-შუა ამოგლიჯო, შენი სურვილისამებრ დაამახინჯო და მერე სხვისათ აღიარო, მე მგონია კარგი არ უნდა იყოს!"[182].

მაგრამ აკაკის მხრივ თავის მართლება ამ შემთხვევაში უსაფუძვლოა. ალ. ყაზბეგმა ობიექტურად გადმოსცა ის, რაც პირველი ლექციის შემდეგ მოისმინა. იგი დიდი სიფრთხილით წერდა: „მე საჭიროთა ეხედავ,რომ ჯერ სამივე ლექცია მოვისმინო, გადმოგცეთ იმათი შინაარსი და მემრე შეუდგე იმათ გარჩევას"[183]. იმასაც აღნიშნავდა, რომ „დასაბოლავებელ სიტყვაში, წარმოსთქვა ა. წერეთელმა, რომ მას იმედი აქვს ახალი თაობა შეიმუშავებს თავთავისს ქვეყნის (ე. ი. კუთხეების - **გ. ყ.**) ხარაკტერისტიკას და ამითი ისინი მასალას დაუმზადებენ მომავალ შთამომავლობას ჩვენი ხალხის გასაცნობად"[184]. ერთი სიტყვით, მსმენელმა ალ. ყაზბეგმა გადმოსცა ქარლელების, იმერლების და მისთ. აკაკისეული დახასიათებანი და ამდენად, ვიმეორებთ, აკაკის გაცხარება გაუმართლებელია. რაც შეეხება კორესპონენტის დაპირებას, რომ სპეციალურად გაარჩევდა აკაკის სამ ლექციას „ვეფხისტყაოსნის" შესახებ, ეს აღარ განუხორციელებია. არ ვიცით შეუძლებლობის გამოისობით თუ უბრალოდ ვეღარ მოიცალა. სამწუხაროდ, კორესპონდენციაშიც არაა გამჟღავნებული მისეული პოზიცია.

უნდა აღინიშნოს, რომ აკაკის ლექციები „ვეფხისტყაოსანზე" რომ თავის დროზე არ გამოაქვეყნა „დროებამ", ამაში ილიას „დამსახურება" იყო, რასაც აკაკი არაერთგზის მიანიშნებდა. მაგრამ ილიას მიაჩნდა, რომ მსგავსი აზრები საზიანო იყო ქართველთა საერთო შეგნებისათვის და თვით რუსთაველის სახელისთვისაც. აპრიორი ცხადია, რომ მსგავსი აზრები ილიას უბიძგებდა საკითხის უფრო ღრმად გააზრებას. მართლაც, „დროება" 1884 წლის ოქტომბრის ნომერში (№ 22) პირველ გვერდზე იუწყებოდა, რომ ილია ჭავჭავაძე ამზადებსო ლექციას „ვეფხის ტყაოსანზე" და იგი თითქმის მზადაა. მაგრამ ფაქტია, რომ არც წაკითხვას და არც დაბეჭდვას ლექციისას ილია არა ჩქარობდა. ვფიქრობთ, ეს იმით აიხსნება, რომ ერიდებოდა აკაკის გაღიზიანებას, ჯერ ერთი, და არ სურდა საჩოთირო თემის წინ წამოწევა, მეორე. მაგრამ მას შემდეგ, რაც აკაკიმ 1887 წელს თავისი ლექციები „ვეფხისტყაოსანზე" რუსულადაც წაიკითხა თბილისში, ამავე წელს, ილიამ დუმილი დაარღვია.

***

1887 წლის 18, 19 და 20 აპრილ გაზეთ „ივერიაში" (№ 75, 76 და 77) ილია ჭავჭავაძემ დაბეჭდა თავისი პოლემიკური სტატია „აკაკი წერეთელი და „ვეფხის-ტყაოსანი". იმხანად, როგორც ცნობილია, აკაკის თავისი „ლექციები" ჯერ დაბეჭდილი არა ჰქონდა. თუ მას დავუჯერებთ, ილიას მისთვის პირადად არ მოუსმენია. ასე რომ, ამ უკანასკნელმა „ლექციების" შინაარსი სხვათა მიხედვით იცოდაო. ილია ასე აცხადებდა: „ჩვენ, ჩვენდა სამწუხაროდ, ხელთ არა გვაქვს იგი ლექცია,რომ პატივცემულს ლექტორს კვალ-და-კვალ მივყვეთ და მის მიერ თქმული ისე მოვიყვანოთ, რომ არც მეტი გამოვიდეს, არც ნაკლები. რადგანაც ამ შემთხვევაში მარტო ჩვენს ხსოვნას, ჩვენს მეხსიერებას უნდა ძალაუნებურად დავემყაროთ[185], ამ მიზეზით ყოველს თქმულს ლექტორისას ვერ გამოვუდგებით იმის შიშით, რომ შეცდომა რაიმე არ მოგვივიდეს. ამის გამო ჩვენ კვალ-და-კვალ მოყოლას თავს ვანებებთ და მარტო დედა-აზრის ბ-ნის აკაკის ლექციისას დავუკვირდებით"[186]. თვით დედა-აზრის„„აკიდოს" თაობაზე ილია წერდა: „ამ აკიდოზედ ბევრი მართალი მარგალიტები აასხა ლექტორმა გონებამახვილობისა, ლამაზის შედარებისა, როგორც ბ-ნ აკაკის ბედნიერის ნიჭის ამბავი მოგეხსენებათ, მაგრამ, ჩვენის ფიქრით, თითონ აკიდოს ღერო კი მეტის-მეტად სუსტი რამ არის და, თუმცა ზედ ასხმულს მარგალიტებს ჰზიდავს, მაგრამ კრიტიკის ხელშეხებას კი ვერ გაუძლებს"[187].

უპირველესად ილია აკრიტიკებდა აკაკის მიერ „ვეფხისტყაოსნის" გმირთა კუთხურ გაგებას: „იმ საბუთებით, რომ ტარიელი ზარმაცია, ავთანდილი წინდახედულია, და მებრეე სხვა, ძნელია იმისთანა მართლა სახელოვანი პოეტი, როგორიც რუსთაველია, კაცმა უბრალო ეთნოგრაფიის საჩხირ-კედელო საქმეზედ ჩამოახდინოს. ეს მეტისმეტი დაქვეითებაა პეგასზედ მჯდომ ცხენოსნისა"[188]. ილია მიუთითებდა რომ მწერალი, პოეტი მითუმეტეს დიდი გაქანებისა,ქმნის ზოგად ტიპს,რომელიც ყველა ხალხს მიეყენება. მაგალითისათვის მას მოჰქონდა შექსპირი და მისეული გმირი ფალსტაფი: „თუნდ ეგეც არ იყოს, – ეს ამისთანა გზა კელეეისა სად არ მიიყვანს კაცსა?! ფალსტაფს, რომელიც შექსპირს ტყუილებისა და კვეხნა-ბაქიაობის გუდად გამოუხატავს, განა ათასს მსგავსს ვერ მოეუპოვებთ ჩვენს საქართველოში?!"[189]; „აკი თითონ ბ-ნმა აკაკიმაც თავის ლექციებზედ დაგვაჯერა, ქართველები ტყუილების და კვეხნა-ბაქიაობის მოყვარენი არიანო. მართალიც არის: ჩვენში ტყუილებისა და კვეხნა-ბაქიაობისა ისეთი

ფალავნები არიან, რომ თითონ ფალსტაფი, – ეგ ზოგადი ტიპი ცრუ და მკვეხარა კაცისა, – ტაშს დაუკრავს მოწონებისას და შაგირდად მიებარება. ნუთუ ეს გარემოება ნებას მისცემს ვისმეს სთქვას: შექსპირმა ფალსტაფით ქართველები გამოსახაო"[190]. აქ ილია ასეთ დასკვნას აკეთებს: „მსოფლიო გენიოსნი მწერალნი იმიტომ არიან მსოფლიონი, რომ მათ ნახატში, რომელის ერისაც გინდათ, იმ ერის კაცს იცნობთ, იმიტომ რომ იგინი ადამიანის საზოგადო ტიპსა ჰქმნიან[191]; რამოდენადაც მწერლის შემოქმედობის ძალი სწვდება ამ ზოგადკაცობის ტიპსა,იმოდენად მწერალი დიდია, იმოდენად მსოფლიოა"[192].

აღნიშნული თვალსაზრისით ილია უკიდურესობამდე არ მიდიოდა, როგორც ეს მავან ლიტერატურათმცოდნეს წარმოედგინა, ამასთანავე იგი გახაზავდა თავისებურ ეროვნულ იერ-სახესაც. იგი ამბობდა: „თქმა არ უნდა, რომ ერი, რომელსაც ეკუთვნის ამისთანა მწერალი, თავისის სამკაულით აკაზმინებს, თავის საფერავით აფერვინებს პოეტს ყოველ ხატს, ყოველს ნამოქმედარს შემოქმედებისას, მაგრამ ეგ მარტო სამკაულია, ფერია და არა იგი შინაგანი ბუნება ხატისა, რომელიც ამ შემთხვევაში ზოგადია და არა კერძო, და რომელიც მარტო თავის საკუთარს კანონებს ექვემდებარება"[193]. ამდენად ილიას არ დავიწყნია, როგორც ახლა ვამბობთ, ზოგადისა და ერთეულის, ინტერნაციონალურისა და ეროვნულის ერთიანობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „...რაოდენად მდიდარი და ფართო მოედანია „ვეფხის-ტყაოსანი" ჭეშმარიტის კრიტიკის ფრთის გასაშლელად, თუ ეგ ფრთა-გასაშლელი სარბიელი თითონ კრიტიკამ შეცდომით, თუ განგებ, ვიწრო ფარგალში არ მოამწყვდია და ტარიელის, ავთანდილის და სხვათა ავკარგიანობაში ქართლელს, კახელს, პეტრეს, ივანეს ძებნა არ დაუწყო. ზოგადი სახე ადამიანისა, რამოდენადაც ამ შემთხვევაში უფრო წერილზედ დახურდავებული იქნება, მაგალითებრ, ზოგადი – კაცი რომელისამე ერის კაცად, ერის კაცი რომელისამე თემის კაცად, თემის კაცი რომელისამე გვარეულობის კაცად, გვარეულობის კაცი ოჯახის კაცად, ოჯახი კაცი ივანედ, ფრიდონად და მებრვე სხვა, – რამოდენად შემოქმედობა მწერალისა მაღლიდამ დაბლა ჩამოდის, იმოდენად მწერალი ნიჭ-ნაკლებია და დაქვეითებული"[194]; „მწერალმა, თუ სხვა ვინმე ხელოვანმა, რაც უნდა ზედმიწევნით და მშვენივრად გამოხატოს ერთი რომელიმე ცალკედ სახელ-წოდებული კაცი – ივანე, თუ პეტრე, ყოველთვის უპირატესობა

უნდა დაუთმოს იმას, ვინც ზოგადი გამოხატვის შემძლებელია"[195]. სხვათა შორის, ილიას თქმით, იგივეს აქვს ადგილი მხატვრობაში: „ამიტომაც პორტრეტის მხატვარი, დიდად სახელგანთქმული და გამოჩინებული", ყოველთვის უმდაბლესია, უმდარესია მასზედ, ვინც ზოგადის კაცის,ტიპის შემომქმედია,თუნდაც ხელთსაქმობით,ტეხნიკით ამისი თანასწორი იყოს. ამიტომაც თითონ პორტრეტების წერას, ესე იგი ცალკე კაცის ხატვას, მხატვრობაში უკანასკნელი ადგილი უჭირავს და თითქმის ხელოვნებადაც არ არის ცნობილი, რადგანაც ეგ უფრო ოსტატობაა, ვიდრე ხელოვნება"[196].

პირდაპირ აკაკის აზრის საწინააღმდეგოდ აცხადებდა: „მითამ შექსპირს განა იმით იწუნებს ვინმე და, პირიქით, განა იმითი არ ადიდებენ ყველანი და მსოფლიო გენიოსად არა სთვლიან, რომ კაცად-კაცნი გამოჰყვანდა თავის სახელოვანს დრამებში და არა შოტლანდიელი, ვალისელი და ინგლისელი!..."[197]. ამიტომაც „ვიწრო მოედანი მარტო პატარა ფალავნის სარბიელია და არა იმისთანა გოლიათისა, როგორიც შექსპირია და თუნდა ჩვენი რუსთაველიცა"[198]. ამიტომაც საკითხისადმი სულ სხვანაირი მიდგომაა საჭირო: „რუსთველის ტიპებს იმ პაწია ჯუჯრუტანიდამ სინჯვა-კი არ უნდა, საიდანაც მარტო ქართლელი, კახელი, იმერელი და სხვა ცალკე სახელ-წოდებული კაცი დაინახება, არამედ იმ უშველებელ სარკმლიდამ, რომ მთელს კაცად-კაცობას თვალი გადეევლებოდეს, მის სრულს სიგრძე-სიგანესა და სიღრმე-სიმაღლეზედ. და თუ აქ კრიტიკის შუქს ვერ გაუძლო რუსთაველმა, მაშინ და მარტო მაშინ ჩვენ მიერ უჯეროდ დადგმული გვირგვინი დიდებისა და სახელოვანებისა უნდა მოეხადოს თავიდამ"[199].

და კვლავ კუთხურობის საპირისპიროდ ილია აცხადებდა: „იქნება ქართლის მოძმენი იმერლები ბევრში ჰგვანდნენ ავთანდილსა, როგორც ბევრი ფრანგი ჰგავს, ბევრი ინგლისელი, ბევრი ამერიკელი და სხვა მილეთის ხალხი, რადგანაც კაცად-კაცის ზოგადი ტიპია, მაგრამ ამისათვის რა საჭირო იყო ავთანდილის და იმერელ-ქართველთა შორის ცბიერობის ხიდის გადება"[200]. ხოლო „რაკი ერთხელ ამ ხიდის გადებაზედ მიიქცა ბ-ნი ლექტორი,არ შეიძლება არ ეგრძნო,რომ ეს გზა მოლიპულია და ფეხის მოსასხლეტი და, გვგონია, იმიტომაც მოუნდა „ვეფხის-ტყაოსნისათვის" თავი დაენებებინა და უადგილო-ადგილას გრძელი ლაპარაკი მოერთო მასზედ თუ, – რა არის ცბიერობა და როდის არის იგი შესაწყნარებელი და როდის არა"[201]. თავის მხრივ „ეს ნაწილი ლექციისა მეტის-მეტად უგემური რამ გამოვიდა და მსმენელთათვის მეტად მოსაწყენი იყო"[202].

საერთოდაც აკაკი, ილიას თქმით, თავის „ლექციებში" შემოიფარგლა ოდენ პოემის მთავარი გმირების ხასიათების ჩვენებითა და მათი განპირობებულობით შესაბამისი კუთხეებით. მაგრამ რაკი დიდ თემას შეეჭიდა, აკაკის ხომ სხვა რამეც უნდა ეთქვა „ვეფხისტყაოსნის" და მისი ავტორის შესახებ. მით უფრო რომ მას გამოსვლა უხდებოდა საკმაოდ დაბალ, საკითხში გაუთვითცნობიერებელ აუდიტორიაში. ამის თაობაზე ილია აღნიშნავდა: „სხვა, რაც მწერლის განსაკუთრებულს ხასიათს გვანიშნებს, მის შემოქმედობის ძალსა, მის მხატვრობასა, მის სიტყვიერებას, მისთა აზრთა შემოხაზულობას, პოემის აგებულობას, ეპიზოდების ერთმანეთზედ დამოკიდებულებას, ერთის სიტყვით, – მანერას და თვისებას მწერლისას, შინაგან თუ გარეგან სიკეთეს მის ნამოქმედარისას, – ესენი ან სულ არ იყო ხსენებული, ან თუ იყო, ისე გაკერით და გზა-და-გზაობით, რომ გულში არავის არა ჩასჭდევია-რა"[203].

და ბოლოს, ილია მტკიცედ გახაზავდა: „ჩვენ რუსთაველის სახელი მეტის-მეტად დიდ სახელად მიგვაჩნია და მოგვიტევონ, რომ მის სახელს და დიდებას ადვილად ვერავის დავუთმობთ"-ო[204].

ილიას გამოსვლაზე აკაკი არ გაჩუმებულა და მან გასცა პასუხი (დაიბეჭდა „ივერიაში" 1887 წლის 28 ივნისს, № 138). მას ახლავს ასეთი სარედაქციო შენიშვნა, ცხადია, ილიას მიერ დაწერილი: „ვის მოუხსენებია ბ-ნ აკაკისათვის, რომ რაზედაც პასუხს იძლევა, ის ილია ჭავჭავაძისაგან იყოს დაწერილი. თუ ავტორს სურვებოდა გამოეცხადებინა თავისი სახელი, ხომ თვითონ გამოაცხადებდა და არა ბატონს აკაკის დაავალებდა ამის გამოცხადებასა. ბ-ნი აკაკი გამოცდილი ლიტერატორია და ეს პირველი მუხლი სალიტერატურო წესიერებისა როგორ დაჰვიწყებია. ერთობ ამ ბ-ნ აკაკის წერილზედ ჩვენ არა გვეთქმის-რა. თვითონ წერილი ჩვენზედ უკეთ ლაპარაკობს და საცა წერილია, დეე ამ წერილმავე გასწყვიტოს. ჩვენ კი არც ჰოს ვიტყვით, არც არასა და ბოლოდროინდელს სიტყვას ბ-ნს აკაკის დავუთმობთ შეუცილებლად. გრძლად ლაპარაკი გვიკიჟინა ბ-ნ აკაკიმ და მოკლედ თქმაც ეს არის"[205].

იგრძნობა, რომ აკაკი გრძნობდა თავის პოზიციის სისუსტეს. ეს ჩანს მისეულ გამონათქვამებში: „ჩვენს ქართველობაში ბევრი მეგულება ჩემზე უფრო ნასწავლი, ნიჭიერი და დახელოვნებული, როგორც საზოგადოთ ყველაფერში, ისე კერძოთ „ვეფხვის ტყაოსნის" შესახებაც და თუ ამ ჩემმა დღევანდელმა გამბედავობამ ისინიც როგორმე გამოიტყუა საასპარეზოთ, ჩემი სურვილი

დაკმაყოფილებული იქნება და მეც უფრო თამამათ შემეძლება ბოდიში მოვიხადო თქვენთან, თუ ნამეტანი ლაპარაკით თავი როგორმე შეგაწყინეთ[206]; „ბატ. ჭავჭავაძის სიტყვას, როგორც საგულისხმოსა და ყურად-საღებს ცალ-ყბათ მიგებება არ შეჰფერის და ჩვენ ჩვენი შეძლებისა და გვარათ სიმდაბლით, გულწრფელათ მივეგებებით"[207]; „ეგება ჩემი ნათქვამი ბუნდოვანი იყო და გაუგებარი, რადგანაც მე ვერ ვახერხებ კეცა-კეცათ საუბარს და ყოველთვის უბრალო სიტყვებით, მდაბიო ლექსებით გამოეთქვამ ხოლმე ჩემ აზრს?"[208]. დაბოლოს „.....ერთისა და იმავე არსების სიყვარული და დაფასება ერთსაც შეუძლია და მეორესაც, დიდსაც და პატარასაც; განსხვავება მხოლოთ ის არის, რომ თავ-თავის შეძლებისა და გვარათ აფასებენ. მე ჩემი პატარა აზრი წარმოეთქვი „ვეფხვის-ტყაოსნის" ზოგიერთ რაზედმე, შეიძლება, რომ ჭავჭავაძის თქმისა არ იყოს,მართლა მოლიპულ გზაზე დავდექ და ფეხი "ამისხლტა", საუბარიც მეტის მეტათ უგემური რამ გამოვიდა და მსმენელთათვის მეტათ მოსაწყენი..."[209].

ყველაზე რაციონალური მომენტი აკაკის პასუხში გახლავთ შემდეგი: „მაშ, რატომ არ შეიძლება, რომ „ვეფხვის-ტყაოსნის" გმირებიც ერთსა და იმავე დროს ქართველებიც იყონ და საზოგადო, საყოველთაო ტიპებიც. მე რომ სწორეთ ასე მგონია, ნუთუ მით რუსთაველის შემოქმედების ძალას ვამცირებ და ეჰკიცხავ მას? პირიქით, მე რომ ის ვიფიქრო, რომ რადგანაც რუსთაველს თავის გმირებში მსოფლიო, ზოგადი ტიპები გამოუსახავს და ამიტომაც ის გმირები ქართველები ვეღარ იქნებიან-მეთქი, მაშინ რა აზრის უნდა ვიყო ქართველებზე? ნუთუ მართლა ქართველები ისე ყოფილან, რომ მათგან ზოგადი ტიპი და მსოფლიო გმირი არ გამოიხატებოდეს?! ჭავჭავაძე კი, ჩანს, სულ სხვა აზრისა არის, სამაგალითოდ შექსპირის გმირები მოჰყავს და იმას კი ივიწყებს, რომ იულიოს კეისარი, ან ქარიოლანუსი (!) მართლა მსოფლიო ტიპები არიან, მაგრამ იმავე დროს ყველაზე უმალ რომაელებიც არიან და მათ ზოგადობას ეს არა თუ უშლის რასმე, კიდეც ეწევა!... ტიმონ ათინელი ბერძენია, ჰენრიკო – ინგლისელი და სხვა და სხვ...."[210] მაგრამ ამ საკითხზე სპეციალურად შემდგომ შეეჩერდებით. ფაქტია, რომ აკაკისთან ზოგადი, ინტერნაციონალური კერძოს, ქართულს კი არ გულისხმობს, არამედ ზოგადი ქართული ტიპები საერთოდ იკარგებიან და ქვეყნის ცალკეული კუთხეების მცხოვრებლებზე დაიყვანებიან. მეტიც, აკაკი კვლავ ჯიუტად იმეორებდა თავისას: „ყოველგვარ მოვლინებას (მოვლენას – **გ. ყ.**)

თავისი წინასწარი და შემდეგი მიზეზები (ალბათ უნდა ეთქვა „შედეგები" – **გ. ყ.**) აქვს; უამისობა არ შეიძლება და, მაშასადამე, ამ საზოგადო კანონს ვერც „ვეფხვის ტყაოსანი" გადაურჩებოდა. რუსთაველი და მისი თხზულება განა ზეციდან ჩამოგვივარდა და ქვეყნათ ნიადაგი არა ჰქონია? „ვეფხვის ტყაოსანში" გამოხატული გმირები ნუ თუ ნაოცნებარი და ჰაეროვანი არიან და არა ცხოველი, ნამდვილი არსებანი? თუ ავტორს მხედველობაში მიწის შვილები არა ჰყოლოდა, მაშინ მისი „ვეფხვის ტყაოსანი" ზღაპარი იქნებოდა, მისი გმირები ბაყბაყ-დევის მსგავსი რამ ნაოცნებარი და არა გულში ჩასარჩენი და შესაწყნარებელი პირები"[211].

მსგავსი სიყვედურის თქმა ილია ჭავჭავაძის მიმართ აშკარად გაუმართლებელია, რამეთუ იგი, როგორც ვიცით, ხელოვნებაში რეალიზმის წარმომადგენელი გახლდათ და მან კარგად უწყოდა, მხატვრული შემოქმედება თუ როგორაა განპირობებული შესაბამისი სინამდვილით. აქედან გამომდინარე, ილია ჭავჭავაძემ კონკრეტულად ისიც იცოდა, რომ რუსთაველის პოემა და მისი გმირები XII საუკუნის საქართველოს ცხოვრების ასახვა იყო. მაგრამ აქედან მათს კუთხურ გაგებამდე და შესაბამისად რუსთაველის ასე ეთქვათ ეთნოგრაფიულ მსოფლმხედველობამდე დიდი მანძილია. ამასაც რომ თავი დავანებოთ, აკაკისეული შეხედულება ისტორიული თვალსაზრისითაც ყოვლად გაუმართლებელია.

შეგახსენებთ, რომ აკაკიმ თავისი პასუხი გამოაქვეყნა ცალკე ბროშურის სახით ამგვარი სახელწოდებით „რამდენიმე სიტყვა ბატ. ილია ჭავჭავაძის საპასუხოდ ვეფხვის-ტყაოსნის გამო" (ტფილისი, 1887, გამოცემა ზაქარია ჭიჭინაძისა). იგივე ტექსტი, ე. ი. სამი ლექცია ილიასადმი პასუხის თანდართვით მან დაბეჭდა ჟურნალ „აკაკის კრებულში" (1898, №5 და 6). მაგრამ ილიას აღნიშნული საკითხის შესახებ ხმა აღარ ამოუღია და პასუხისპასუხი აღარ დაუბეჭდავს, რაც საესებით გასაგებია.

***

ამჯერად საბოლოო კომენტარებს გავუკეთებთ ჩვენი ორი დიდი წინაპრის პოლემიკას.

პირველ ყოვლისა, მცდარია აკაკის ამოსავალი დებულებანი ქართლელთა, იმერელთა და მეგრელ-გურულთა ხასათების შესახებ. რასაკვირველია, ხასიათის ზოგიერთი ნიშან-თვისება თვალში საცემია და მის შესახებ საქართველოში ყოველდღიური აზროვნების დონეზედაც კი იციან. მით უფრო ნათლად გაიცნობიერა ისინი

იაკობ გოგებაშვილმა თავის „ბუნების კარში". მაგრამ აქედან იმ დასკვნის გაკეთება, რომ ქართლელები მოკლებულნი არიან გონიერებას, ხოლო იმერლები კი – პირიქით, მით ხასიათდებიან, იმერლობას სიცრუე ახასიათებთდა ა. შ. უსაფუძვლოა. მითუმეტეს უსაფუძვლოა მსგავსი დებულებების მიყენება XI – XII საუკუნეების ქართლელთა, იმერელთა და მისთ. შესახებ. აკაკის არც კი უცდია საკითხის გააზრება საისტორიო და ლიტერატურული წყაროების მიხედვით. თუ აქედან გამოვალთ, ვთქვათ ქართლელთა აღნიშნული დახასიათება ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული. ხოლო რაც შეეხება იმერლებს, არ ჩანს რომ აკაკისეული დახასიათება მათ იმ ხანაში როგორმე მიესადაგებოდეს. თვით გეოგრაფიული ცნება „ლიხთ-იმერეთი" მხოლოდ მაშინ გაჩნდა („იმერეთი" მოგვიანო ხანაში). "ხალხთა" (უფრო სწორად ეთნოგრაფიული ჯგუფების) ხასიათების ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს. ამ მხრივ თვალში საცემია საქართველოს ბარისა და მთიანეთის განსხვავებულობა. ასე რომ, სვანთა, ხევსურთა, მოხეევთა და ა. შ. ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ საქართველოს ბარელთა ხასიათების განსხვავების მოძებნა და დანახვა სავსებით გამართლებულია. მაგრამ უაზრობაა განსხვავებული ხასიათების მტკიცება საქართველოს ბარელთა შორის ამ საფუძველზე. კერძოდ, როგორ უნდა გავიაზროთ ქართლელებისა და იმერლების ასეთი თითქოსდა დიდი განსხვავებულობა სოციალურ-ეკონომიკური პირობების მიხედვით? ამ მხრივ ხომ საქართველოს ეს ორი რეგიონი ერთნაირი გახლდათ. ვერც იმას ვიტყვით, რომ ქართლელებში იმ ხანად ქალაქების უფრო მეტად განვითარების გამო ხასიათი საგრძნობლად შეიცვალა.

ასევე მიუღებელია საქართველოს ზღვისპირელთა ხასიათის გამოკვეთა, რომელთაც თითქოს მეგრელები ან გურულები, ხოლო პიროვნულად ფრიდონი და ფატმანი განასახიერებენ. საქართველოს ზღვისპირეთს ისეთი როლი არ უთამაშია საქართველოს ისტორიაში, რომ აქ ეკონომიკური განვითარება (ხელოსნობა, ვაჭრობა, ზღვაოსნობა) ძალზე განვითარებულიყოს, ასე რომ, მას გამოეწვიოს განსხვავებული ხასიათების (ადამიანთა) ჩამოყალიბება. ერთი სიტყვით, აკაკისეული მსგავსი წარმოდგენა აბსოლუტურად გაუმართლებელია. ვიცით რომ ფატმანი ვაჭართა წრის წარმომადგენელია და მისი ხასიათის გარკვეული ნიშან-თვისებები ამ გარემოებით აიხსნება (იგივე ითქმის მის მოხუცებულ ქმარ უსენზე (ჰუსეინზე). ქვეყანა გულანშარო და მისი მცხოვრებნი უფრო რუსთაველის წარმოსახვის ნაყოფია და არა საქართველოს ზღვისპირეთის ასახვა.

უფრო საფუძვლიანია ხასიათის ეროვნულობა-ინტერნაციონალურობაზე ლაპარაკი. ფილოლოგოსი ლევან მენაბდე აღნიშნავდა: „მიუხედავად მრავალი ღირსებისა, ილიას წერილი არ იყო დაზღვეული ნაკლისაგან. პოლემიკით გატაცებულმა მწერალმა უყურადღებოდ დატოვა ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის უგულებელყოფამ რამდენადმე ჩრდილი მიაყენა მის ნარკვევს. მას მხედველობიდან გამორჩა, რომ ეროვნულისა და ზოგადსაკაცობრიოს ისეთი დაცილება, როგორიც მის წერილში შეინიშნება, არაა გამართლებული. სწორად შენიშნა ამის გამო ა. წერეთელმა: „რატომ არ შეიძლება, რომ „ევეფხვისტყაოსნის" გმირები ერთსა და იმავე დროს ქართველებიც იყონ და საზოგადო, საყოველთაო ტიპებიც?"[212] (სხვათა შორის, „ევეფხისტყაოსნის" გმირთა ხასიათებში ქართველთა დამახასიათებელ თვისებებს შენიშნავდნენ ნ. დადიანი, თ. ბაგრატიონი და მ. ბროსე, რაც აკაკისათვის უცნობი აღმოჩნდა). ფილოლოგოსები გიორგი ნადირაძე და მამია დუდუჩავა თავიანთ ნაშრომებში ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ზოგადადამიანური ტიპის განსახიერების ილიასეული გაგება ეროვნულსაც მოიცავს და ამდენად მსჯელობა ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ტიპების დაცილება-დაპირისპირებაზე შეუძლებელია[213]. მართლაც აქ ძალზე სერიოზული პრობლემა გვაქვს გადასაწყვეტი. ზოგადსაკაცობრიო ფასეულობანი, კერძოდ იდეალები და ხასიათები განყენებულად, აბსტრაქტულად როდი არსებობს, არამედ ეროვნულის მეშვეობით. ამდენად მხოლოდ ზოგადსაკაცობრიოზე მსჯელობა არაა სწორი. მაგრამ ილიაც ხომ საკრთოდ ამ აზრის იზიარებდა. მაშ აღნიშნულ ნაშრომში გამორჩა იგი?

ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ იმის თაობაზე, რომ ნარკვევში ილიალა-პარაკობდა მხატვრული ნაწარმოების ეროვნული კოლორიტის შესახებ. თავის ადრეულ დაუმთავრებელ მოთხრობაში „კაკო" ილია აღნიშნავდა: ტრახაძე "გოგოლის ბობჩინსკის ცოტად ჰგვანდა, და უფრო ეგვანებოდა რო ქართული კოლორიტი არა ჰქონოდა"; „ჩვენცა გვყეანან ქართველი ბობჩინსკები და დობჩინსკები, ჩიჩიკოვები, საბაკევიჩები და სხვანი, მაგრამ ამათ სუყველას ქართვლის სული უდის"[214]. ამდენად ხაზგასმულია გოგოლისეული მხატვრული ტიპების ქართული სპეციფიკურობა. ვფიქრობთ, ილიასეულ ნარკვევში ამ თვალსაზრისით მაინც გაურკვეველობას ვაწყდებით მაგრამ არც ისეა საქმე, როგორც მკვლევარ ლევან მენაბდეს წარმოედგინა: „ა. წერეთელმა სწორი შენიშვნა მისცა ი. ჭავჭავაძეს და დაიცვა თავისი თვალსაზრისი „ევეფხისტყაოსნის" გმირთა ქართული წარმომაელობის შესახებ, ამასთანავე პოემის გმირებს არ ჩამოაცილა ზოგადსაკაცობრიო ტიპების ნიშნები"[215]. მაგრამ აკაკი

ხომ არ ლაპარაკობდა გმირთა საერთოქართული ხასიათის შესახებ და ისინი ცალკეულ საკითხებზე დაჰყავდა. ასე რომ, აკაკი წერეთელი მეორე უკიდურესობაში ვარდებოდა.

თვითონ ილია არ გაურბოდა ქართველობის ორი დიდი ნაწილის – აღმოსავლელებისა და დასავლელების ხასიათების განსხვავებულობას. სოხუმის ქართველობასთან შეხვედრაზე იგი გახაზავდა დასავლელებში მეტ სოციალურ ენერგიას, რაც აღმოსავლელებისათვის მისაბაძი უნდა გამხდარიყო. მაგრამ ამის ახსნა იმით შეიძლება, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში თავი იჩინა შავი ზღვის დიდმა მნიშვნელობამ. კაპიტალისტური წყობის განვითარებისა და მცირემიწიანობის გამო დასავლელი ქართველობა ჩაება ჩვენთვის ნაკლებადტრადიციულ დარგებში, ხელოსნობა-მრეწველობასა და ვაჭრობაში (მათ შორის საგარეოში). საერთოდ, ახალმა სოციალურ-ეკონომიკურმა ძვრებმა ქართულ ხასიათში საკმაო ცვლილებები გამოიწვია. ამიერიდან მართლაც შეიძლებოდა ხასიათები გარკვეულ კუთხეებს მისადაგებოდა. მაგალითად, დავით კლდიაშვილის გმირები, ცნობილია, იმერლობის ერთ ნაწილს განასახიერებენ, რაც სავსებით გასაგებია: იმერეთში ხომ თავადაზნაურობა პროცენტულად ყველაზე მეტი იყო, ესენი კი სოციალური თვალსაზრისით უფუნქციოდ დარჩნენ. მიხეილ ჯავახიშვილი, მოგეხსენებათ, კვაჭი კვაჭანტირაძეს გარკვეულ გეოგრაფიულ ადგილს უკავშირებდა, რაც ასევე ახალი ეკონომიკური ურთიერთობებით უნდა აიხსნას. შემთხვევითი ალბათ არც „ჯაყოს ხიზნების" მთავარი გმირების – თეიმურაზ ხევისთავისა და მარგოს გეოგრაფიული წარმომავლობა იყო. მაგრამ ეს მაგალითები, ვიმეორებთ, შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური პირობებით იყო გამოწვეული. იგივეს თქმა, კვლავ გავხაზავთ, შოთა რუსთაველის ხანისათვის შეუძლებელია.

ასე გრძელდებოდა შემდგომშიც, თვით XX საუკუნის ჩათვლით. მაგრამ თუ ვთქვათ ეგნატე ნინოშვილმა თავის ნაწარმოებებში გურია ასახა, არ შეიძლება ითქვას, რომ მან მხოლოდ გურული ხასიათები გამოსახა. თუმცა, რა თქმა უნდა, მათში აშკარადაა გურული კოლორიტი (ბუნება, ხასიათის გარკვეული ნიშან-თვისებები, დიალექტი). მაგრამ ამის იქით ვეღარ წავალთ. უახლოესი ხანიდან დავასახელებდით ნოდარ დუმბაძეს, ოტია იოსელიანს, რევაზ ინანიშვილს, ნუგზარ შატაიძეს, რომლებიც შესაბამის კუთხეთა (გურია, იმერეთი, გარე კახეთი, ქართლი) კოლორიტს გადმოსცემენ. მაგრამ ამ შემთხვევაშიც აკაკისეული გაგება გამორიცხულია. ასე რომ, ამ თვალსაზრისით აკაკი წერეთელი „ამაოდ დაშვრა".

დაბოლოს, დავსძენთ, რომ აკაკი წერეთლისეული სამი ლექცია „ევეფხისტყაოსანზე" დიდად გაუმართლებელი იყო ეროვნული, პოლიტიკური თვალსაზრისითაც. აკაკის დიდ მხურვალე პატრიოტიზმში, რასაკვირველია, დაეჭვება შეუძლებელია, მაგრამ პარადოქსია, რომ მსგავსი აზრებით იგი რაღაცნაირად 'თანაუგრძნობდა" ქართველობის მტრებს. თურმე ქართველობა ერი არ ყოფილა არა მხოლოდ XI – XII საუკუნეებში, არამედ XIX საუკუნის 80-იან წლებშიც. რამაც განაპირობა თითქოს ის, რომ ქართული ზოგადი ხასიათები არც ჩამოყალიბებულა და, ცხადია, არც ასახულა მხატვრულ ლიტერატურაში. მაშ როდის უნდა მომხდარიყო მსგავსი რამ? აკაკის, ფაქტია, არც უცდია ამაზე პასუხის გაცემა.

საბედნიეროდ, რუს შოვინისტებსა და სხვა არაკეთილმოსურნეებს შეუმჩნეველი დარჩათ და ამიტომაც არ გამოუყენებიათ აკაკისეული შესაბამისი შეხედულებანი, თორემ ისინი ჩვენს ავისმოსურნეებში დიდ აჟიოტაჟს გამოიწვევდა.

აღნიშნული გარემოება არ გამოჰპარვია ილია ჭავჭავაძეს. ამიტომაც „ივერიაში" აკაკისეული ლექციები არ დაუბეჭდავს. თუმცა, თუ მკვლევარ-ფილოლოგოსს ლევან მენაბდეს დავუჯერებთ, „აღნიშნული ლექციები ადრევე უნდა დაბეჭდილიყო: „ივერიის" რედაქციის ცნობით, აწყობილიც კი იყო, მაგრამ „მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო" ვერ დაიბეჭდა"[216]. ცხადია, ცენზურა ამ შემთხვევაში გამორიცხული გახლდათ, მაშ რა იქნებოდა „ლექციების" დაუბეჭდაობის მიზეზი? რასაკვირველია, მისი არასასურველობა პატრიოტიზმის თვალსაზრისით.

ამრიგად, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის პოლემიკა ძალზე საინტერესოა და მისი სერიოზული განხილვა ოდენ ლიტერატურათმცოდნეობის თვალთახედვით შეუძლებელია. ჩვენ შევეცადეთ იგი გაგვეანალიზებინა აგრეთვე ისტორიკოსის, ფილოსოფოსისა და ეთნოლოგოსის პოზიციებიდან. დამოუკიდებლად ჩვენი მცდელობის წარმატებულობა-წარუმატებლობისა მხოლოდ ასეთი გზაა ნაყოფიერი, მისასვლელი ჭეშმარიტებისაკენ.

(1989 წელი)

* პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „ისტორია და გეოგრაფია სკოლაში", 1987, № 3.

[1] თსკ, ტ. III, გვ. 161.

[2] თსკ, ტ. III, გვ. 163.

[3] იქვე, გვ. 161.

[4] თსკ, ტ. V, გვ. 46.
[5] თსკ, ტ. I, გვ. 124.
[6] თსკ, ტ. IV, გვ. 300.
[7] იქვე, გვ. 29, იხ. აგრეთვე გვ. 30.
[8] თსკ, ტ. III, გვ. 27.
[9] წერილები ქართულ ლიტერატურაზე, თსკ, ტ. III, გვ. 206.
[10] ოსმალოს საქართველო, თსკ, ტ. IV, გვ. 9.
[11] ერი და ისტორია, იქვე, გვ. 200.
[12] იქვე, გვ. 196.
[13] თსკ, ტ. IV, გვ. 9. ილია ამ სტრიქონებს წერდა 1877 წელს. ხუთი წლის შემდეგ ცნობილმა ფრანგმა ისტორიკოსმა და მწერალმა ერნესტ რენანმა (1823 – 1892) სორბონის უნივერსიტეტში წაიკითხა ლექცია „რა არის ერი?", სადაც ერის ცხოვრებაში ისტორიის ერთობის მნიშვნელობა სათანადოდ იყო წარმოჩენილი. ეს ლექცია ჯერ გაზეთ „კავკაზის", შემდეგ კი „ივერიის" მიერ იმავე წელს იქნა გადმობეჭდილი. ილიასა და რენანის აზრების თანხვედნა მოცემულ საკითხში კარგა ხანია შემჩნეულია ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში.
[14] თსკ, ტ. III, გვ. 124 - 125. არტურ ლაისტის გადმოცემით, „ილიას ძლიერ იზიდავდა აგრეთვე ენების ფსიქოლოგია და ხშირად ამბობდა ქართულ ანდაზებს, რომლებშიც ისახებოდა ქართული ხასიათი და ქართველი ხალხის სული. გლეხების უბრალო საუბარში ხედავდა ხალხის ფსიქოლოგიას და მსოფლმხედველობას. ამიტომაც უყვარდა ილიას გლეხებთან საუბარი". იხ. მისი „საქართველოს გული", გვ. 50.
[15] თსკ, ტ. IV, გვ. 351. „კაცია-ადამიანში?!" ვკითხულობთ: „სიძუნწე და ქართველი ორივე ერთად მოთავსდება? ყინული და ცეცხლი ერთი-მეორეს არ დალეევენ?"
[16] თსკ, ტ. II, გვ. 131.
[17] თსკ, ტ. IV, გვ. 352.
[18] თსკ, ტ. II, გვ. 192.
[19] თსკ, ტ. VII, გვ. 181.
[20] იქვე.
[21] თსკ, ტ. VIII, გვ. 304.
[22] თედო სახოკია, ჩემი საუკუნის ადამიანები, თბ., 1984, გვ. 26.
[23] თსკ, ტ. VI, გვ. 7 - 8.
[24] თსკ, ტ. VI, გვ. 8.
[25] თსკ, ტ. VI, გვ. 8.
[26] თსკ, ტ. VII, გვ. 26 – 27. 1873 წლის 16 მატს ოლღა გურამიშვილისადმი გაგზავნილ წერილში ილია წერდა: „აბა ახლა მე და შენ ანგლიური გაზრდილობა გექონოდა, რარიგ უშიშრად დავიწყობდით (!) ბრძოლას ბედთანა და რა ძლევამოსილობით ბოლოს გავიტანდით!... და რადგანაც მე და შენ ანგლიელები არა ვართ და ვეკუთვნით უხეირო ხალხს,

რომელსაც ქართველობას ეძახიან, ამისათვის ხეალინდელის დღისა შიშიცა გვაქვს და ფიქრიცა და არც ჩვენს თაეზედა გვაქვს დანდობა და იმედი". თსკ. ტ. X, გვ. 272-73.

[27] თსკ, ტ. IX, გვ. 197.

[28] იხ. გ. ყიფშიძის ბიოგრაფიული ნარკვევი ილიაზე. ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, ტ. I, მიხ. გედევანიშვილისეული გამოცემა, 1914, გვ. XXI.

[29] თსკ, ტ. IX, გვ. 35.

[30] თსკ, ტ. VII, გვ. 34.

[31] თსკ, ტ. VII, გვ. 35.

[32] თსკ, ტ. VII, გვ. 259.

[33] იქვე, გვ. 373.

[34] თსკ, ტ. III, გვ. 168.

[35] თსკ, ტ. V, გვ. 344.

[36] თსკ, ტ. V, გვ. 160.

[37] თსკ, გვ. 146 - 147.

[38] თსკ, ტ. VI, გვ. 34.

[39] თსკ, ტ. VII, გვ. 59 - 60.

[40] თსკ, ტ. IV, გვ. 65 - 66.

[41] იქვე, გვ. 66.

[42] თსკ, ტ. IX, გვ. 126.

[43] თსკ, ტ. IV, გვ. 66.

[44] თსკ, ტ. IV, გვ. 13.

[45] თსკ, ტ. IV, გვ. 30.

[46] თსკ, ტ. III, გვ. 27.

[47] თსკ, ტ. IV, გვ. 97.

[48] თსკ, ტ. VII, გვ. 478.

[49] თსკ, ტ. VIII, გვ. 97.

[50] თსკ, ტ. IV, გვ. 25.

[51] თსკ, ტ. V, გვ. 176.

[52] იქვე, გვ. 174.

[53] თსკ, ტ. III, გვ. 452.

[54] იქვე.

[55] იასე ანდრონიკაშვილი, თსკ, ტ. IV, გვ. 246.

[56] აი ისტორია, თსკ, ტ. IV, გვ. 20.

[57] ქვათა ღაღადი, თსკ, ტ. VIII, გვ. 158 - 159.

[58] იქვე, გვ. 159.

[59] ილია ჭავჭავაძე. 1837-1907 (ბიოგრაფია), ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, ტ. I, მიხ. გედევანი'შვილისეული გამოცემა, 1914, გვ. LXXI. ცნობილია, თუ როგორი მწვავე რეაქცია გამოიწვია ილიას მხრივ გ. მუხრანსკისა და ი. ჯაბადარის ეროვნულმა ნიჰილიზმმა, კერძოდ ქართველი ერის მიმართ.

[60] რამდენადაც ვიცით, აღნიშნული შეხედულების ერთ-ერთი პირველი გამომთქმელი გახლდათ პუბლიცისტი სტეფანე ჭრელაშვილი (სანო),

რომელიც წერდა: „ავტორს მხოლოდ საზოგადო პირთანა აქვს საქმე, რომ ასე თუ ისე – ყოველი ქართველი დაგვანახოს ლუარსაბის სახით". იხ. კრებული „ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში",ტ. II, თბ., 1957, გვ. 343.

[41] თსკ, ტ. IV, გვ. 262.

[42] „ცისკარი" 1857 წლიდან – 1862 წლამდინა, თსკ, ტ. III, გვ. 456.

[43] იხ. 1877 წელს დაწერილი სტატია „საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის", თსკ, ტ. IV, გვ. 321 – 322.

[44] „ივერია", № 207, 1898.

[45] თსკ, ტ. II, გვ. 315.

[46] თსკ, ტ. II, გვ. 315.

[47] თსკ, ტ. II, გვ. 316. „ოთარაანთ ქვრივის" შესახებ მშვენივრად შენიშნა სამსონ ფირცხალავამ: „ამ მოთხრობაში ილია ჭავჭავაძე მისწვდა ჩვენი ხალხის სიღრმეს ისე, როგორც არ მისწვდომია არავინ. ამ უბრალო გლეხის ქვრივში პოეტმა აღმოაჩინა ის გარდაუვალი თვისებები, რომლებიც საუცხოოდ ახასიათებენ როგორც ქართველს გლეხს, ისე მთელს ქართველს ერს. ოთარაანთ ქვრივი პირმშო შვილია საქართველოს გაელილი ისტორიისა, სხვანაირი არ შეეძლო წარმოეშვა ჩვენს წარსულს". იხ. სიტყვა (ს. ფირცხალავა), დღიური – ოთარაანთ ქვრივი, როგორც ეროვნული სახე, „სახალხო გაზეთი". 1914, 16 მარტი, № 1141.

[48] თსკ, ტ. IV, გვ. 196.

[49] იქვე, გვ. 197.

[50] არტურ ლაისტი, საქართველოს გული,1963,გვ. 31. მოვიგონოთ აგრეთვე იაკობ მანსვეტაშვილის სიტყვები: „საზოგადოდ ილიას დიდად მოსწონდა გლეხების დარბაისლობა, ნამუსიანობა, ჭკვიანური, ზრდილობიანი სიტყვა-პასუხი. მეტადრე აკვირვებდა ილიას გლეხების ფილოსოფიური სიმაგრე, გულგაუტეხელობა, როდესაც რაიმე უბედურება ეწვეოდათ". იხ. მისი „მოგონებები...", ტფ., 1936, გვ. 134.

[51] რა გითხრათ? რით გაგახაროთ? თსკ, ტ. V, გვ. 12.

[52] თსკ, ტ. II, გვ. 222 - 223.

[53] საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის, თსკ, ტ. IV, გვ. 221 – 222.

[54] არტურ ლაისტი,საქართველოს გული,თბ.,1963,გვ. 24 – 25. საგულისხმოა ავტორისავე აზრი ილიაზე: „მეგობრული საუბრის დროს ხშირად მეუბნებოდა, ვგრძნობ ჩემს ნაკლსა და ვწუხვარ, რომ გამოსწორება არ შემიძლიანო. მისი აზრით, საკუთარი ნაკლი ზოგადქართული იყო, მის დაოკებას შეძლებისდაგვარად ცდილობდა".

[55] ექვთიმე თაყაიშვილი, რჩეული ნაშრომები, ტ. I, თბ., 1968, გვ. 271.

[56] ალ. შუშანაშვილი, ილია ჭავჭავაძის მკვლელობა, თბ., 1996, გვ. 255.

[57] სინამდვილეში „ნაკლები ბოროტების" იდეა სსრ კავშირის უმაღლესი ხელისუფლების დონეზე წარმოიშვა.

[58] იხ. გაზეთი „კომუნისტი", 1976 წ. 4 XII.

[79] ასის წლის წინათ, თსკ, ტ. IV, გვ. 216- 217.
[80] დედათა საქმე და ქალთა განათლება, თსკ, ტ. IV, გვ. 369 – 370.
[81] თსკ, ტ. II, გვ. 7.
[82] იქვე, გვ. 7 – 8.
[83] თსკ, ტ. II, გვ. 8.
[84] იქვე, გვ. 14, 15,
[85] იქვე, გვ. 19.
[86] იქვე, გვ. 28.
[87] თსკ, ტ. II, გვ. 28 – 29. იაკობ მანსვეტაშვილის „მოგონებებში" ვკითხულობთ, რომ ილიას მიერ დასმულ კითხვაზე: „მაშინდელი დრო სჯობდა თუ ეხლანდელი?" მასთან დღიურად მომუშავე ხევსურებს უპასუხნიათ: „რა სათქმელია: გარეთ ვერ გამოვდიოდით. სოფელს რომ გავცილებულიყავით, ან ლეკი დაგვიხვედებოდა ან შინაური ავი კაცი. სისხლი იღვრებოდა. მოსვენება არ გვქონდა, შველა არსაიდან იყო. აი დალოცოს ღმერთმა რუსის ხელმწიფე: ეხლა რა გვიშავს, აი, თქვენთანაც ჩამოვდივართ სამუშაოდ და ქალაქშიაც დავიარებით. თუ რამ გასაყიდი ან სასყიდელი გვაქვს, ხელს ვიმართავთ. გზაში ხელს არავინ გვახლებს". მემუარისტი დასძენს: „ცოტა არ იყოს წახდა ილია: მოელოდა წარსულის დიდებას, აწმყოს დაგმობას, პასუხი კი სულ სხვა მიიღო, კოჭი ალჩუზე ვერ დაუჯდა". იხ. წიგნის 1936 წლის გამოცემა, ტფ., გვ. 138.
[88] თსკ, ტ. X, გვ. 109.
[89] ეს ლექსი გვიანაა აღმოჩენილი (პროფესორ სოლომონ ხუციშვილის მიერ და ამიტომაც არ არის შეტანილი ილიას „თხზულებათა სრულ კრებულში". სხვათა შორის, ილია იმერლობას აქებს იმისთვისაც, რომ მათში „დედა-ენა არაა გადარუსებული"-ო.
[90] სოფრომ მგალობლიშვილი, მოგონებანი, ტფ., 1938, გვ. 167.
[91] ილია ჭავჭავაძე, საიუბილეო კრებული, თბ., 1939, გვ. 324.
[92] იხ. კრებული „ლიტერატურული ურთიერთობანი", თბ., 1969, გვ. 244.
[93] იგულისხმება რუსი ისტორიკოსი (1832 – 1920), დიდად მიღებული იყო რუსეთის ოფიციალურ წრეებში.
[94] ე. ი. ზედსართავი სახელი.
[95] თსკ, ტ. V, გვ. 115.
[96] იგულისხმება ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ილიას მეგობარი ილია წინამძღვრიშვილი (1834 - 1920).
[97] მიხეილ ჯავახიშვილი, მოგონებათა ნაწყვეტები. იხ. კრებული „ილიას სამრეკლო", თბ., 1988, გვ. 142.
[98] ილია ემიგრანტთა თვალით, ტ. II, თბ., 1996, გვ. 62.
[99] იქვე.
[100] იქვე.
[101] ილია ემიგრანტთა თვალით, ტ. II, თბ., 1996, გვ. 62 – 63.
[102] გიორგი ლასხიშვილი, მემუარები, თბ., 1992, გვ. 82.
[103] ამიტომაც იყო, რომ ქართველმა ესდეკებმა ხელზე დაიხვიეს ილიას

მსგავსი გამონათქვამები და მას, სხვა მრავალ ცილისწამებებთან ერთად, „მონარქისტობასაც" აბრალებდნენ. სხვათა შორის, გვაქვს ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ილია ნოსტალგიას გამოხატავდა ქართული მონარქიის მიმართ. ლექსში „იანიჩარი" ვკითხულობთ: „მეფე შენი თავის ქებით ჭაბუკს გულს არ გიხალისებს!...". იქვე, გვ. 93.

[104] თსკ, ტ. III, გვ. 26 – 27.

[105] პოემა, როგორც ვიცით, დაწერილია 1859 წელს, საბოლოო რედაქცია კი 1872 წელს ეკუთვნის.

[106] როგორც საერთოდ იმ პერიოდის ქართულ აზროვნებაში, ისე კერძოდ ილიას მიერაც ხშირად გამოტოვებულია საფრანგეთის დიდი რევოლუციის ლოზუნგის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი „თანასწორობა".

[107] როგორც ცნობილია, საქართველოში ამგვარი სახელწოდების საზოგადოებრივი ორგანიზაციაც არსებობს.

[108] ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 319.

[109] ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვის-მიერ „შეშლილის" თარგმანზედა", თსკ, თ. III, გვ. 27.

[110] წერილები ქართულ ლიტერატურაზე, იქვე, გვ. 206.

[111] შინაური მიმოხილვა, 1881 წელი, მარტი. თსკ, ტ. VI, გვ. 80.

[112] ოსმალოს საქართველო, თსკ, ტ. IV, გვ. 9.

[113] ოსმალოს საქართველო, თსკ, ტ. IV, გვ. 9.

[114] დავით აღმაშენებელი, იქვე, გვ. 179.

[115] იხ. გაზეთი „ახალი 7 დღე", 13 – 19 აპრილი, 2007.

[116] იქვე.

[117] ზოგიერთი რამ, თსკ, ტ. III, გვ. 77 – 78.

[118] წერილები ქართულ ლიტერატურაზე, თსკ, ტ. III, გვ. 225 – 226. თუმცა მთლად ასე როდი გახლდათ, რაც კარგად შენიშნა ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა ნიკო ბერძენიშვილმა: „შეგვიძლია არც იმაში დავეთანხმოთ მას (იგულისხმება ილია – **გ. ყ.**), რომ „მამული" როგორც „სამშობლოს" აღმნიშვნელი სიტყვა 30 – 40-იან წლებში საესებით დავიწყებული იყო (ამის საწინააღმდეგო მაგალითი არაერთი მოიპოვება და არც შეიძლება, რომ ილიას ეს არ სცოდნოდა). მაგრამ ეს ამ შემთხვევაში წვრილმანია და ჩვენი დიდი მოაზროვნე იმ მთავარსა და არსებითში უთუოდ მართალია, რომ მთელი თავისი სიღრმით, მთელი თავის მრავალსახეობით და ყოვლის შემცველობით „მამული" მხოლოდ სამოციან წლებში „გამობრწყინდა". იხ. ნიკო ბერძენიშვილის რეცენზია აბელ კიკვიძის ნაშრომზე „საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნეში (ეროვნულ-განმათავსიუფლებელი ბრძოლა", ივანე ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1955, გვ. 485.

[119] იხ. ქეგლ, ტ. 5, გვ. 38.

[120] „ქართლის ცხოვრება", სიმონ ყაუხჩიშვილისეული გამ., ტ. I, თბ., 1955, იხ. თანდართული ლექსიკონი, გვ. 20. შეადარეთ ბერძნული „pater"-დან (მამა) patria-ს (სამშობლო) – წარმოშობა; რუსული „отец"-დან,- „отчизна"; გერმანული

„vater" '! vaterland. მართალია,რუსულ ენაში „вотчина"-მ მიიღო სამემკვიდრეო მამულის „поместье"-ს მნიშვნელობა, მაგრამ აქედან ვერ განვითარდა „სამშობლოს" აღმნიშვნელი სიტყვა. რაც შეეხება ინგლისურ Mother Land-ს, მას შეესატყვისება ჩვენი „დედა-სამშობლო".

[121] შინაური მიმოხილვა. 1882 წელი, იელისი-აგვისტო. თსკ, ტ. V, გვ. 176.

[122] თსკ, ტ. V, გვ. 173 – 174.

[123] იქვე, გვ. 278 – 279.

[124] სხვათა შორის, იგი არაა შეტანილი ილიას თხზულებათა სრული კრებულის ათტომეულში. ცხადია, ამის მიზეზი ჩვენს გამოჩენილ მეცნიერსა და დიდ პატრიოტ პავლე ინგოროყვაში კი არაა საძებნი, არამედ საბჭოთა ხელისუფლებაში, რომლის სულელური, მძვინვარე ათეისტური პროპაგანდის გამოისობითაც აღნიშნული სტატია ამოღებულ იქნა. სხვათა შორის, იგი ფიგურირებს წინა გამოცემის (ნსკ) ათტომეულში.

[125] ნსკ, ტ. VIII, ტფ., 1928, გვ. 349 – 350.

[126] ნსკ, ტ. VIII, ტფ., 1928, გვ. 350.

[127] მიწა-წყლის, ტერიტორიის დიდი მნიშვნელობა ხასგასმულია ილიას შემდეგ ასრში: „რუსეთი ერთი იმისთანა სახელმწიფოა, საცა სხვადასხვა ტომის და ენის ერნი ცხოვრობენ, და მერე ისე, რომ თავიანთ მამა-პაპეულ მიწა-წყალზე შეჯგუფულნი არიან და არა შიგა-და-შიგ დაფანტულნი".

[128] იქვე, ტ. VIII, გვ. 350 - 351.

[129] იქვე, გვ. 351.

[130] იქვე.

[131] იქვე.

[132] იქვე, გვ. 352.

[133] იქვე.

[134] შინაური მიმოხილვა. 1881 წელი, მარტი. თსკ. ტ. V, გვ. 81. როგორც ვხედავთ, ილია ამ შემთხვევაში ეზოპეს ენით წერდა, გულისხმობდა რა ქართულ ენასა და ქართველობას, ავსტრიის იმპერიის ნაცელად კი – რუსეთის იმპერიას.

[135] ვაციტირებთ პროფესორ ოთარ ჯანელიძის ბროშურას „საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სათავეებთან", თბ., 1997, გვ. 29.

[136] იქვე.

[137] იქვე, გვ. 31.

[138] იქვე.

[139] იგივეს ვხედავთ ილიას გამონათქვამში სომხობის მიმართ: „-ქრისტიანობას ანაცვალეს მათ თითქმის მთელი თვისი ისტორია, თვისი სამეფო (ე. ი. სახელმწიფო – გ. ჯ.), თვისი მამული, თვისი სამშობლო და ამით თვისდა მართლა და სასახელოდ, შეინახეს თვისი რჯული, ენა და ყოველმა ამან შეანახვინა თვით მათი ვინაობაცა, მათი ეროვნული არსებობა". თსკ, ტ. VIII, გვ. 191.

[140] სხვათა შორის, ასევე გახლდათ გრიგოლ ორბელიანის „პასუხი შვილთა"-ში. მამებმაო:

„სისხლით დაიცვეს
სისხლ-შემოსილი მამული თვისი,
და სასო ღვთისა,
მთელი ერისა,
ენა, საყდარი, სარწმუნოება".

მაგრამ, როგორც ვიცით, ილიამ ეს თანამიმდევრობა უფრო ადრე აღნიშნა.

[141] აკაკი წერეთელი, თხზულებანი, ტ. XV, 1963, გვ. 583.

[142] გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ექვთიმე თაყაიშვილი წერდა: „რაც შეეხება „ვეფხის-ტყაოსანზე" წაკითხული ლექციის დედააზრს, რომ ტარიელი ქართლელის ტიპს წარმოადგენს, ავთანდილი იმერლისას და ფრიდონი მეგრელისას, ეს აზრი ეკუთვნის ნიკო დადიანს. ეს მე პირველად მოვისმინე ქართველი ინტელიგენციის ერთ კრებაზე ქუთაისში, როდესაც მე იქაური გიმნაზიის უფროსი კლასის შეგირდი ვიყავ. აკაკიმ ამის შესახებ ლექცია წაიკითხა 1886 წელს, როდესაც მე უკვე პეტ. უნ. მე-4 კურსზე ვი.ყავი.– აკაკიმ ნიკო დადიანის დედააზრი განავრცო და გაალამაზა". როგორც დავინახეთ, მსგავსი აზრი აკაკის ბევრად უფრო ადრე შეუმუშავებია.

[143] აკაკი წერეთელი, თხზ., ტ. XII, გვ. 70.

[144] იქვე.

[145] აკაკი წერეთელი, თხზ., ტ. XII, გვ. 70.

[146] იქვე, გვ. 71.

[147] აკაკი წერეთელი, თხზ., ტ. XII, გვ. 71.

[148] იქვე, გვ. 73.

[149] იქვე, გვ. 75.

[150] იქვე, გვ. 76.

[151] იქვე, გვ. 77.

[152] აკაკი წერეთელი, თხზ., ტ. XII, გვ. 79.

[153] აკაკი ხმარობდა ტერმინ "საქართველოს ხალხებს" დაახლოებით დღევანდელი "ეთნოგრაფიული ჯგუფების" ნაცვლად.

[154] იქვე, გვ. 80.

[155] იქვე.

[156] იქვე.

[157] იქვე.

[158] იქვე.

[159] იქვე, გვ. 81.

[160] იქვე.

[161] იქვე.

[162] იქვე.

[163] იქვე.

[164] იქვე.

[165] აკაკი წერეთელი, თხზ., ტ. XII, გვ. 81.

[166] მხოლოდ სვანთა მიმართ აღნიშნავს უმეცრებას, გაუგებლობას. იხ. გვ. 85.

[167] აქ იგულისხმებიან რუსები.
[168] აკაკი წერეთელი, თხზ., ტ. XII, გვ. 96.
[169] იქვე, გვ. 93.
[170] იქვე, გვ. 93 – 94.
[171] იქვე.
[172] იქვე, გვ. 94 - 95.
[173] აკაკი წერეთელი, თხზ., ტ. XII, გვ. 95.
[2] იქვე, გვ. 97.
[174] იქვე, გვ. 98.
[175] იქვე, გვ. 105.
[176] იქვე.
[177] იქვე, გვ. 111.
[178] იქვე.
[179] იქვე.
[180] „დროება", 1881 წ., 2 აპრილი, № 70.
[181] „დროება", № 70, 2 აპრილი.
[182] „დროება", № 69, 1 აპრილი.
[183] „დროება", № 69, 1 აპრილი.
[184] აქედან ის დასკვნა შეიძლება გაკეთდეს, რომ ილია ესწრებოდა და ისმენდა აღნიშნულ ლექციებს.
[185] თსკ, ტ. III, გვ. 167.
[186] იქვე, გვ. 167 - 168.
[187] იქვე, გვ. 168.
[188] იქვე.
[189] იქვე.
[190] იქვე.
[191] იქვე.
[192] იქვე, გვ. 168 - 169.
[193] თსკ, ტ. III, გვ. 174.
[194] იქვე.
[195] იქვე, გვ. 174 - 175.
[196] იქვე, გვ. 175.
[197] იქვე.
[198] იქვე.
[199] თსკ, ტ. I, გვ. 177 - 178.
[200] თსკ, ტ. I, გვ. 178.
[201] იქვე. აღნიშნულიც აგრეთვე გვაგულისხმებინებს, რომ ილია ესწრებოდა აკაკის „ლექციებს".
[202] თსკ, ტ. I, გვ. 178.
[203] თსკ, ტ. III, გვ. 178.
[204] ილიამ „ივერიაში" დაბეჭდა მეთაურები, 1886, № 120, 121, 122.
[205] აკაკი წერეთელი, თხზ., ტ. XII, გვ. 338.

[206] იქვე.

[207] აკაკი წერეთელი, თხზ., ტ. XII, გვ. 348.

[208] იქვე, გვ. 351.

[209] აკაკი წერეთელი, თხზ., ტ. XII, გვ. 349. აქვე (გვ. 349 – 350) ეკითხულობთ უცნაურ რამეს: „ჩვენ რომ ის ვიფიქროთ, რომ მსოფლიო, საზოგადო ტიპები მხოლოთ ისინი არიან, რომელნიც კერძოთ არც ერთ ერს არ ეკუთვნიან და საზოგადოთ კი ყველას ერთნაირადო, მაშინ გიჟებიც სამაგალითო მსოფლიო საგმირო ტიპები იქნებოდნენ, რადგანაც ხომ ასევე ითქმის ჭკვიანებზე და ა. შ.".

[210] იქვე, გვ. 348 – 349.

[211] ლევან მენაბდე, „ვეფხისტყაოსანი" და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწენი (მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი)", თბ., 1967, გვ. 46-47. ალექსანდრე ბარამიძის აზრითაც, აკაკი წერეთელმა სწორად დააყენა „ვეფხისტყაოსნის" ეროვნული და საკაცობრიო შინაარსის პრობლემა, მაგრამ მის პერსონაჟთა მცდარი გაგება მოგვცა, ხოლო ილიამ გააზვიადა მათი ზოგადკაცობრიული მნიშვნელობა, მაგრამ სწორად გაიგო პოემის ტიპთა არსი. იხ. მისი სტატია „ილია ჭავჭავაძე და ძველი ქართული მწერლობის საკითხები" კრებულში „ილია ჭავჭავაძე", 1957, გვ. 43, 38.

[212] იხ. გ. ნადირაძე. რუსთაველის ესთეტიკა, თბ., 1958, გვ. 95- 102: მ. დუდუჩავა, ილია ჭავჭავაძის ესთეტიკა, თბ., 1960, გვ. 171 – 176.

[213] თსკ, ტ. II, გვ. 558 – 559.

[214] იხ. ავტორის დასახ. ნაშრომი, გვ. 84. სხვათა შორის, აკაკისეულ მოსაზრებას „რამდენადმე მაინც" შესაწყნარებლად მიიჩნევდა ექვთიმე თაყაიშვილიც: რასაკვირველია, ილია მართალია, რომ რუსთაველის მიერ დახატული მსოფლიო მნიშვნელობის გმირების უბრალო ეთნოგრაფიულ ტიპებად აღიარება შეუძლებელია. მაგრამ ხელაღებით არც იმის თქმა შეიძლება,რომ ასე თუ ისე,რამდენიმედ მაინც, ტარიელის ტიპი ქართელს არ მოგვაგონებს და ავთანდილისა იმერელს". იხ. მისი „რჩეული ნაშრომები", ტომი I, გვ. 280. ამასვე ძირითადად იზიარებდა დავით კარიჭაშვილიც. იხ. „შოთა რუსთაველი", დავით კარიჭაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებითა და ლექსიკონით, ტფ., 1903, გვ. XXV – XXVI. როგორც დაეინახეთ, ისტორიულად ეს გაუმართლებელია.

[215] ლევან მენაბდე, „ვეფხისტყაოსანი" და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწენი (მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი), გვ. 77.

თავი მეშვიდე

ილიას ზოგიერთი მხატვრული ნაწარმოების ფილოსოფიურ-ფილოლოგიური ანალიზის ცდა

§ 1 „ჩატეხილი ხიდის" პრობლემა ანუ „წყევა-კრულვიანი საკითხავი" („ოთარაანთ ქვრივის" მიხედვით)

> "პროზის სამეფო გეორგეინი მას (ილიას – **გ. ყ.**) "ოთარაანთ ქვრივმა" დაადგა. გაოცებს ამ ნაწარმოების ნაკეთიანობა და სიმკვრიეე, მის ასაგებად ნახმარი თვითეული სიტყვა საგანგებოდ არის გამოჭედილი"
>
> **სპირიდონ კედია.**

საქართველოს ისტორიაში, ბატონყმობის მიუხედავად, თავადაზნაურობასა და გლეხკაცობას შორის დიდი სოციალური უფსკრული არ არსებობდა: პერმანენტული საგარეო შემოსევებისა და ხშირად ქვეყნის დაპყრობილობის გამოისობით ამ ორ დიდ სოციალურ ჯგუფს (კლასს) მაინც ჰქონდა ერთიანობის გრძნობა-შეგნება გარეშე მტრების წინააღმდეგ. მსგავს სოციალურ გრძნობას აძლიერებდა აგრეთვე საერთო ჩაგვრის მომენტი – ხარკის გაღება დამპყრობელთათვის.

როცა საქართველო, ვითომდაც მფარველობის მოტივით, ცარისტულმა რუსეთმა დაიპყრო, პირველი ათეული წლების განმავლობაში, როგორც ცნობილია, ადგილი ჰქონდა რიგ მნიშვნელოვან აჯანყებებს, რომლებშიც თავადაზნაურობა და გლეხობა ხშირად ერთად გამოდიოდა რუსეთის წინააღმდეგ. მაგრამ დამარცხებული საქართველო იძულებული გახდა შეგუებოდა ახალ დამპყრობელს, ქვეყანაში დამყარდა მშვიდობიანობა, ბატონყმობა კი, რუსეთის პირობების შესაბამისად, უფრო დამძიმდა. თავის მხრივ ამან კიდევ უფრო გააძლიერა ის ხიდჩატეხილობის პრობლემა, რაც ილიას მუდამ აწუხებდა[1] (მოვლენამ განსაკუთრებით იჩინა თავი სამეგრელოს 1856 – 1857 წლების გლეხთა აჯანყების დროს).

მთელი სიმწვავით აღნიშნული „წყევლა-კრულვიანი საკითხი" გვხვდება უკვე პოემაში „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ".

ზაქრო კაკოს ასე ეუბნება:

„გლეხკაცის და ყმის ლიტონი ბედი
ეერა, ეერ გასძლებს ბატონის ხელში...”

ეს გარემოება კი თავის მხრივ მოდის იქიდან, რომ

„რა გაეგრძელო, თავადის-შვილი
კარგი რა არის, ავი რა იყოს?!”

„გლახის ნაამბობში” გაბრო მწარედ აღიარებს: „მაშინ რა ვიცოდი სულელმა, რომ უფროს-უმცროსობაში (კლასობრივი განსხვავებულობის თვალსაზრისით – **გ. ყ.**) სიყვარული სიზმარია? რა ვიცოდი, რომა ბატონ-ყმობის შუა სიყვარულის ხიდი არ გაიდება? ეგრე ყოფილა ქვეყანაზედა, ცალს თურმე ცალმა უნდა უცალოს!..”[2] ნაწარმოებში ეს აზრი უფრო ღრმავდება: „ეს რო მცოდნოდა, ღმერთსა ვფიცავ და ჩემ მამა-პაპის სალოცავსა, გულში ნაღველს ჩავიწურავდი და იმის (დათიკოსადმი – **გ. ყ.**) სიყვარულს კი იქ არ გავიტარებდი, მაშინ რა ვიცოდი?...”[3]

საქართველოში ბატონყმობის გადავარდნის (1864 – 1866 წლებში) შემდგომ თითქოს ამგვარი ვითარება უნდა შეცვლილიყო – ამიერიდან ხომ ჩვენი გლეხკაცობა პირადად თავისუფალი გახდა და ამდენად თავისუფლების პირობებში თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის ერთიანობის (სოლიდარობის) განცდა უნდა გაძლიერებულიყო. მაგრამ სოციალური ანტაგონიზმისათვის კვლავ ძლიერი საფუძველი რჩებოდა; მიწის უმეტესი ნაწილი კვლავაც თავადაზნაურობას ჰქონდა (ამ შემთხვევაში აღარას ვგულისხმობთ დამპყრობელი სახელმწიფოს ხელში არსებული მიწის ფონდზე), მესაკუთრე გლეხობა კი უმნიშვნელო სოციალურ ჯგუფს შეადგენდა.

ილიას დიდებული ნაწარმოები „ოთარაანთ ქვრივი” (დაწერილია 1887 წლის ბოლოს), როგორც ცნობილია, სწორედ ბატონყმობის გაუქმების შემდგომ ხანას ეხება. მოთხრობის მთავარი პერსონაჟები (გლეხთა მხრიდან) ოთარაანთ ქვრივი და მისი შვილი გიორგი პირადად უკვე თავისუფალნი არიან; პირველი ასეთად მოგვიანებით გახდა, მეორე კი – უკვე თავისუფლების პირობებში, მეტიც, გლეხკაცობის უმეტესობისაგან განსხვავებით, ოთარაანთ ქვრივის ოჯახი განთავისუფლებულია ბატონებისადმი (არჩილისა და კესოსადმი) საადგილმამულო დამოკიდებულებისაგან, მათ თავიანთი მიწა-წყალი საკუთრებით საკმარისი აქვთ. ილიასეულ შედეგრში

ვკითხულობთ, რომ ოთარაანთ ქვრივს „ქმრისაგან დარჩა ნახევარგუთნეული საქონელი, ორი ფურ-კამეჩი, სამი ძროხა, ამას გარდა ორის დღის (ერთ ჰექტარამდე – **გ. ყ.**) კარგად გაკეთებული და გავსებული ვენახი და, ოციოდ დღის (8 – 10 ჰა – **გ. ყ.**) სახნავ-სათესი მიწა"[4]. ოჯახს განსაკუთრებით ჭარბად მოსდიოდა ღვინო, ასე რომ, წელიწადში სამ საპალნემდე აღწევდა და მისი, ჩანს, უმეტესი ნაწილის, გაყიდვით 21 – 30 თუმნის შემოსავალს იღებდნენ. ცხადია, ასეთ სოლიდურ მეურნეობას მხოლოდ ოთარაანთ ქვრივი ვერ აუვიდოდა, თუმცა, ყველას გასაოცრად, ბარითა და თოხით მუშაობასაც კი არ გაურბოდა. იგი ამას ვერ შესძლებდა მაშინაც კი, როდესაც გიორგი წამოიზარდა. ამიტომაც მეორე („ბარაქალა") ქისაში სპეციალური სახარჯო ჰქონდა ვენახის დასამუშავებლად[5]. მეოთხე ქისა სულ მთლად მოჯამაგირის ფულად იყო განკუთვნილი. ასე რომ, თუ საბჭოური ისტორიოგრაფიული თუ სოციოლოგიური სტანდარტებით ვიმსჯელებთ, ოთარაანთ ქვრივის მეურნეობა კულაკური გახლდათ. ყოველივე ამას დავუმატოთ ისიც, რომ დედაშვილს ჰქონდათ მოზრდილი ფიცრული სახლი ფართო, ტყრუშული ღობით შემორტყმული კარმიდამოთი (რაც აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ ქართლის პირობებში[6], სადაც თხზულების მოქმედება ვითარდება, იშვიათობას წარმოადგენდა), მარანი, კალოსაბძელი და გომური[7].

თუ როგორ შეძლებულად ცხოვრობდა ოთარაანთ ქვრივის ოჯახი, ეს კარგად ჩანს გასავალი, ხარჯვითი ნაწილით. დიასახლისს გასავალი ფულადი თანხა ხუთ წილად („ქისად") ჰქონდა დაყოფილი. მეხუთე ამათგანი („ფარსიღას ქარვასლა", „შიოს მარანი") გახლდათ საშინაოდ სახარჯო და ღარიბთა გასაკითხი ფული. „რაც პირველს ოთხ ქისას გადარჩებოდა (ოთარაანთ ქვრივი – **გ. ყ.**) ყველას მეხუთე ქისაში დაუთელელად ჩაჰყრიდა და, მინამ გამოილევოდა, დაუთვლელადვე ჰხარჯავდა"[8].

მოთხრობაში ჩამოთვლილია ოთარაანთ ქვრივის ქველმოქმედებანი: მეზობელ წვრილშვილიან ოჯახს ყოველ კვირა დღეს ერთ ათიოდე შოთს და ერთ ბადია კორკოტს თავის ფეხით გადაუტანდა ხოლმე (ისე, შეგახსენებთ, „ყოველ კვირას კორკოტსა და წანდილს ჰხარშავდა იმის (მეუღლის – **გ. ყ.**) სულის საცხონებლად", „გლახა მთხოვარა ისე არ მიადგებოა კარს, რომ ოთარაანთ ქვრივს რითიმე არ გაეკითხა"[9], სოფლად თუ გლახა შეხვდებოდა, იმასაც დააპურებდა და ა. შ[10].

ოჯახის შეძლებული მატერიალური მდგომარეობა ბევრ მხრივ

(დედა-შვილის ხასიათთან ერთად) განაპირობებდა ქერიეისა და მისი ძის ღირსების გრძნობას, თავისუფლების-მოყვარეობას, რის დამადასტურებელი მაგალითებიც თხზულებაში ბევრია: „სოფლის გზირისათვის რომ გეკითხათ, ოთარაანთ ქერიეის კარ-მიდამოში მზისა და წვიმის მეტს არაეის შეეძლო გავლა ქერიეის უნებურად"; „ნაცვალი თუ იასაული, რაც გინდ დიდი საქმე ჰქონოდათ, – ოთარაანთ ქერიეის ეზოში ვერ გაიწაწანებდნენ, და თუ როგორმე გაჰბედავდნენ, ისეთს ალიაქოთს ასტეხდა, რომ ბედსა და თავს დააწყევლინებდა". თანასოფლელები იგონებდნენ, რომ ერთხელ სოფლის გზირს ერთი ქათამი წაურთმეია (დიამბეგის გასასტუმრებლად). ოთრაანთ ქერიემა თურმე „გუბერნატორამდე იარაო და ერთი ქათამი შვიდეულად დაუსვა მოურიდებელს გზირსაო". თუმცა ათიოდ მანეთი შემოხარჯვია სოფელსა და თბილისს შორის მისვლა-მოსვლაში, მაგრამ ოთარაანთ ქერიეი კმაყოფილი იყო ტყუილ-უბრალოდ რომ არ დაეჩაგვრინა[11]. მისივე განცხადებით, „თუ გაჭირდა, რკინის ქალამნებს ჩაეცვამ, რკინის ჯოხს ავიღებ ხელში და ხელმწიფემდინ ვიარიო"[12].

ოთარაანთ ქერიეი თავისუფალი ადამიანის ქცევას აშკარად გამოხატავდა თავადებთან (არჩილთან და კესოსთან) ურთიერთობაშიც. მოთხრობაში ასეთი პასაჟია: თავადებთან მისულ ქერიეს კესო მიმართავს:

„– ჰა, აფრა არ აუშვა შენებურად, – ... და, თითქო მახლობელი მოყვარეაო,თავაზიანად ხელი დაჰკრა კალთაზე,თავის სკამიდამ ლამაზად გადაწვდილმა.

ოთარაანთ ქერიეი შეიჭმუჭნა, როგორღაც ეხამუშა, ეუცხოვა ამისთანა ტოლ-ამხანაგური ქცევა ახალგაზრდა ქალისგან: მე ვინა[13] და ეს გუშინდელი ძუძუთა ვინაო, იფიქრა. მიუხვდა კი, რომ კესო აფრთხილებს და ისე კი, რომ საწყენად არ დაურჩეს.

– ენამ გულისა უნდა სთქვას, ფერ-უმარილი კი რა საჭიროა, – უთხრა ქალს ოთარაანთ ქერიემა ცოტა არ იყოს მწყრალად"[14].

მოთხრობის მთავარი გმირი თავადებს (და-ძმას) ასე მიმართავს: „ადამიანს მინამ ხელ-ფეხი ერჩის, მარტო არ იქნება, საქმეა ტოლ-ამხანაგი მარტოხელისა. წუთისოფელი ვის აცლის მარტოობისათვის? მარტო თქვენისთანას... მარტონი თქვენა ხართ"[15]. რაც შეეხება არჩილის სიტყვებს: „ბრძენი დედაკაცი ხარ, ნათლიდედ ბრძენი!", „სხვა დროს იქნება ერთი თავისებური მკვახე სიტყვა ეტკიცა ოთარაანთ ქერიეს ამ ქებისათვის, მაგრამ ეხლა კი გაუჩუმდა. მერე თვითონაც უკვირდა, ნეტა ენა რამ დამიბაო"[16].

გასაგებია, რომ ამგვარი შეგნების ადამიანს საოჯახო ღირსების გრძნობაც გამძაფრებული ექნებოდა. დედა შვილს ეუბნება: „მამაც

კარგი გყვანდა და არც შვილი იქნები უარესიო". შვილისავე მისამართით დედა ამბობს: "იმ ცხონებულს (მამამისს – **გ. ყ.**) არ ჩამოუვარდება, თუ მეტი არა მამაზე ნაკლები არც ეს არის..."[17]. ამიტომააც ასე შეიცხადა მან: 'მამის შენის შვილი და ბოგანა-მოჯამაგირეობა?"[18].

თავადის სახლში სამოჯამაგირეოდ მიმავალ შვილს ოთარაანთ ქვრივი ასე ეუბნება: „დეე იცოდნენ, რომ ოჯახის შვილი ხარ და არა ეული ვინმე, ბოგანა. დეე იცოდნენ, რომ ოჯახიდამ გასდიხარ და არა უოჯახობიდამ". გიორგი ამაზე მიუგებს: „ – განა არ იციან?" პასუხი: „ – გაგონილს თვალით ნახული სჯობია. დეე, რაც ყურით გაუგონით, თვალით ნახონ"[19].

გიორგიც, აღნიშნულ თვალსაზრისით რომ იტყვიან, ალიკვალი დედა იყო. გარეგნულადაც ისე იყო, რომ გიორგი „ბაზარ'ში რომ გაიელიდა, იტყოდნენ ხოლმე: ერთი დოინჯის შემოყრა-ღა აკლია, თორემ თავადიშვილია და თავადიშვილიო"[20]. მოთხრობა'ში ვკითხულობთ: „გიორგის ამბებიც არაერთხელ მისვლიათ და-ძმასა და არაერთხელ გაჰკვირვებიათ მისი ზნე და ხასიათი. ვერ გამოეცნოთ, – გლეხკაცობაში საიდამ და როგორ უნდა დაწნულიყო ამისთან ზნე, ამისთანა ხასიათი"[21]. უფრო კონკრეტული რომ ვიყოთ, გიორგის არჩილთან სამსახურისას სხვა მოჯამაგირემ დედა შეაგინა. არჩილს იგი ეუბნება: „ამაზედ გული მომივიდა და ეცემე. მამა-ჩემსაც არ შევარჩენდი დედი-ჩემის ავად ხსენებას"[22].

არჩილი და კესო, როგორც თავადიშვილები გლეხებთან ურთიერთობაში სულაც არ ჰგავდნენ „გლახის ნაამბობისა" და „კაცია-ადამიანის?!" დიდკაცობას. მიუხედავად იმისა, რომ სოციალურ უპირატესობასთან ერთად მათ (განსაკუთრებით არჩილს) განათლებულობაც ჰქონდა: მას უმაღლესი სასწავლებელი დაუმთავრებია რუსეთში, ერთ ხანს თბილისში („ქალაქში") ცხოვრობდა და შემდგომ გადმოსულა სოფლად, განსაკუთრებით არჩილი დიდად ცდილობდა გლეხკაცობასთან მტკიცე კავშირურთიერთობა ჰქონოდა. „სოფელი ძალიან ემადლიერებოდა ამ და-ძმასა. კაი ხალხიაო, ყველა ამას იძახდა, ვისაც-კი დაეკითხებოდით". სხვათა შორის, „ოთარაანთ ქვრივსაც ზოგიერთი კარგი ახსოდა ამ და-ძმისაგან"[23]. კერძოდ, „არჩილს... ძალიან უყვარდა მუშებში (გლეხებში – **გ. ყ.**) ყოფნა და იმათთან ლაპარაკი. ზოგჯერ ლაზღანდარობაც. კესოსათვის არა-ერთელ უთქვამს,რომ მე იმათგან ზოგჯერ ჭკუასა და ხშირად ენასაც ვსწავლობო"[24]. ასევე ითქმის გიორგისთან ურთიერთობაზეც. არჩილი ამბობს:

„ბოდიშს იმითი მოვიხდი, რომ მე მაგას შეგირდად მიეებარები, დიაღ შეგირდად. ჩვენ რანი ვართ მაგასთან!... დეე, გვასწავლოს და გეწურთნოს"[25]. როდესაც იგი დარწმუნდა, რომ ვენახის ახლებურად გაშენების მისეული აზრი უსაფუძვლო იყო, უყოყმანოდ დაეთანხმა გიორგისას.

მსგავსი თავმდაბლობა არჩილმა გიორგის დასაფლავებისასაც გამოამეღავნა, „ისე დაჰმარხა, თითქო იმისი სახლის-კაცი, იმისი ოჯახის-შვილი ჰყოფილიყო.

სახლიდამ ეკლესიამდე და მერე ეკლესიიდამ სასაფლაომდე კუბო ეჭირა არჩილს და გლეხკაცებთან ერთად ეწევოდა, ასე რომ არავის გამოეცველევინა"[26]. კესოც სინდისის ქენჯნით ლაპარაკობს: „შვილი მოვუკალით (ოთარაანთ ქვრივს – გ. ყ.) და არც კი ვატყობინებთ, – რომ სულთმობრძავს მაინც მოუსწროს, სული დედის კალთაში მაინც დაჰლიოს"; იგი „ტირილით მივარდა და თვალ-ცრემლიანმა შუბლზედ აკოცა გიორგის... თავი რომ აიღო, ცრემლი მოსწყდა და მომაკვდავს გულზედ დაეცა"[27].

კესო დასაფლავებისასაც სათანადოდ მოიქცა, იგი „მძიმე შავებში ჭირისუფალსავით გულხელ-დაკრებილი და მგლოვიარედ თავ-ჩაკიდებული ხმა-ამოუღებლივ მიჰყვა მიცვალებულს სასაფლაომდე. როცა კუბო სამარეში ჩაუშვეს, მუხლი მოიყარა, პირჯვარი გადიწერა და ხმაგაკმენდილი ჰლოცულობდა. ბოლოს, ერთი პეშვი მიწა მიაყარა..."[28].

თავის მხრივ „გლეხკაცობამ ზოგმა მოუწონა და-ძმას ამისთანა თავმდაბლობა და „გაპატიოსნება" მიცვალებულისა", ზოგი-კი იძახოდა:

„ – კაცი მოიდნეს და ქვეყანას ამით უბმენ თვალსაო"[29].

ამდენად, ერთ მხარეს, ოთარაანთ ქვრივისა და გიორგის სახით, ეხედავთ შეძლებულ გლეხებს, თავისუფალი შეგნებისა და ქცევის ადამიანებს, მეორე მხარეს კი, არჩილისა და კესოს სახით, თავადიშვილებს, რომლებიც მაღალი განათლებისა და ასევე ზნეობრივი შეგნებისა არიან. მათ კარგად უწყიან პირველი „ცოცხალი ნახევრის" მაღალი ფასეულობა, მეტიც, უპირატესობა. აკი თვითონ არჩილი კესოს ეუბნება: „ჩვენ რაცა ვართ, გაკეთებულნი ვართ, ისინი კი – შექმნილნი. ჩვენ დაბლანდულნი ვართ, ისინი კი გვირისტით შეკერილნი, იმ გვირისტით, რომელიც მარტო ბუნებამ იცის და ბუნება – ხომ იცი, რა ოსტატია. ისინი ჩაკირულნი არიან. ჩვენ – დონდლონი, დუნენი... იმათი ცოცხალი ნახევარი, ავად თუ კარგად, მაინც ჰსაქმობს, და ჩვენი კი უქმია. საქმეა სიცოცხლე... ეს

არის იმათი კარგი და ამითი გვჯობნიან...”[30]; „დღესაც ვერ გამომირკვევია – რა მოგვეჩვენა გიორგის სახით?... ჩვენ ხედვად და სმენადაც უღონონი ვართ და იქ კი... იქ კი რამოდენა ღონე ყოფილა შექმნისა... გიორგი”[31].

არჩილის ამგვარ გაზვიადებულ წარმოდგენას გლეხკაცობაზე (რაშიც ჩანს საკუთრივ ილიასეული პოზიცია)[32] სკეპტიკურად უყურებს კესო. მისი რწმენით, „...ისინი ჩვენზედ უარესნი არიან. გლეხკაცისთანა ხარბს, გლეხკაცისთანა გაუტანელს, გლეხკაცისთანა შეუბრალებელს და უმადურს ძნელად თუ ნახავ სადმე, მაშინაც კი, როცა თავის მოძმე გლეხს ვიწროში მოატანს: დაარჩობს, მიწასთან გაასწორებს, სხვას ვიღა სჩივის...”[33] ამაზე არჩილის პასუხი ასეთია:

„– მჯერა, თითო-ოროლა ეგეები მეც ჩემის თვალით მინახავს, ჩემის ყურით გამიგონია. მაგრამ ცხოვრება მაინც იმათშია: იქა ჰდუღს ძარღვებში მოარული სისხლი, იქა სცემს თითონ სიცოცხლის ძარღვიცა. რაც სთქვი, ეგ ჭუჭყია, ქაფია მდუღარე ცხოვრებისა, ავზედ მოგებული. ძირში კი წმინდაა. მაშ რა სწნავს იმისთანა კაცურ-კაცს, როგორც გიორგი იყო, ან იმისთან დედაკაცს, როგორც ოთრაანთ ქერივია? მაგისთანა პური მარტო იმათს თონეში-ღა ჰცხება, ჩვენი თონე კი მარტო ჩვენისთანა კუტ-პურს აცხობს”[34].

არჩილი განაგრძობს: „გიორგი წიგნი იყო, ხიდგაღმა დაწერილი. გიორგი წიგნია-მეთქი, მთელი წიგნი ცხოვრებისა, სულ სხვა ასოებით დაბეჭდილი. წინ გადაგვეშალა ეს წიგნი და ვერ წავიკითხეთ. რას არ ეკითხულობთ მე და შენ და ათასი ჩვენისთანა. მწიგნობრობით დღეს ვის არ მოაქვს თავი და მაგის ანბანი კი თურმე არა გვცოდნია. გიორგი ცოცხალი ხატია ღირსებისა. „თვით უკვდავება შვენიერსა სულში მდგომარეობსო”, ნათქვამია, და რამდენჯერ გვითქვამს მე და შენ, – რა კარგად და მართლად არის ნათქვამიო. წიგნში ეს დანახული გვაქვს, ენაზედაც ხომ გვაკერია და გვაკერია. ცხოვრებამ კი რომ ამისი ცოცხალი ხატი წინ დაგვიყენა, ვერ ვიცანით: თვალით ნახული ვერ დავინახეთ”[35].

მიუხედავად ზემოთქმულისა, კერძოდ გიორგისა და კესოს მაგალითზე გლეხკაცობასა და თავადაზნაურობას შორის ხიდი ვერ გაიდო, უფრო სწორად ვერ გამრთელდა. არჩილი დას ჰსაყვედურობს: „არ შეირთავდი!.... ვის? „მშვენიერს სულსა”. არ გიყვარდა, ვინ? „თაყვანსაცემელი ღირსება”. არ გიყვარდა ის, ვისაც „ცის სხივით აცისკროვნებს მშვენიერება” სულისა”.[36] კესოს პასუხზე, რომ „სიყვარული ბრძანებით არ მოდის”, არჩილი მიუგებს: „განა მზე კი უბრძანებს ხოლმე ვარდს, გაიშალეო!... აქ თავისთავად

უნდა მოსულიყო, რომ, უკაცრაოდ, ბრმა გული არ დახვედროდა, გვარიშვილობის ცხრა კლიტით დაკეტილი. აბა შენი ტოლი კაცი ყოფილიყო და ვინ იცის, იქნება ბრძანებასაც გაეჭრა, სიყვარულს ხომ მაინც მიუხვდებოდი და მაინც, სხვა არა იყოს-რა, თუნდა ნაასალი მადლიც გიორგისა არ სცხებოდა. აქ კი გვარიშვილობამ კარი გულისა არ გაუღო. წმინდა შუქი მშვენიერის სულისა ამაოდ და უქმად-ღა ჯაჭვარსავით ეფინებოდა ციეს კედელს. შენ ვერც კი შიუხვდი, ვერც!... იმან კი იცოდა და არა სჩიოდა. „არა ვნანობო, არაო!... მოკვდა და ეს უწყინარი სიტყვები ჩვენ დაგვიგდო ჩვენის თავის გასაკითხად"[37].

მაგრამ ამ შემთხვევაში სხვა გარემოებასთანაც გვაქვს საქმე. მავანი კრიტიკოსისაგან განსხვავებით, „ჩატეხილი ხიდი" სხვაგანაცაა საძებნი. კესო გიორგის მხოლოდ გვარიშვილობით (თავადიშვილობით) არ „აღემატება", არამედ განათლებულობითაც. იგი სულაც არ გახლავთ ზედაპირულად განათლებული, მხოლოდ რუსული ენის მცოდნე. იგი ინტელექტუალ არჩილთან საუბარში ლამის თანასწორი პარტნიორია. მხოლოდ უბრალოდ განათლებულნი არ პასუხობენ ასე (არჩილს ოთარაანთ ქვრივთან შეხვედრისას): „შენ მართალი ხარ... ერთი ჭკუამ იცის და შესაწყნარებელია, მეორე ურცხვობამ და საწყენია. მე პირველი მგონია"[38]. სხვაგან იგი აგრძელებს არჩილის ნათქვამს და სიტუაციას „ტყვილი ბრძნობით" ხსნის[39].

ერთი სიტყვით, განსხვავებულობა კესოსა და გიორგის შორის ცოდნა-განათლებულობაშიცაა, რომელიც, ილიასავე თქმით, „იმითია კარგი, რომ იმან უფროს-უმცროსობა არ იცის... ერთნაირად შეიყვარებს, ერთნაირად შეიკედლებს, ერთნაირად იშვილებს ხოლმე ბორძებში გახვეულ გლეხსაც და ბუზმენტებით მორთულს თავადსაც. ყველას ერთნაირად მოუხდება, ყველას ერთნაირად დააშვენებს ხოლმე. ოღონდ კი კაცი გულმინდობილი და მოწადინებული მივიდეს ცოდნის კარამდისა"[40].

კესომაც სავსებით გაიცნობიერა ვითარების ტრაგიზმი – პლუს სოციალური ხიდჩატეხილობა, რის გამოც იგი ტირილს იწყებს. ილიაც, არჩილის სახით, გამოსავალს ჰპოულობს შემდეგში:

„– ეგ ცრემლიანი ცოდნა უკანა სწვავს და ჰბუგავს, წინა ჰნამავს და ამწვანებს. ეგ ნამი რომ გაბევრდება, მდინარე წყლად იქცევა და მთელს ტივს მიიტანს, რომ ჩვენ შორის ჩატეხილი ხიდი გაამრთელოს და ეგრე ორსავ ნაპირს გააერთიანებს. ეგ ცრემლიანი ცოდნა, თუ ცოდნიანი ცრემლი უკანისა, – შუქია წინასი და შუქი

ხომ – დასაწყისია განთიადისა?!"[41]

ასე რომ, სოციალური ხიდის ჩატეხილობის სიტუაციიდან გამოსვლას ილია ცნობიერებაში, კერძოდ ზნეობრივ შეგნებაში ხედავდა. ამის თაობაზე კი ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ერთგვაროვანი შეხედულება არ არსებობს.

ჯერ კიდევ ილიას მიერ თავისი შედევრის ვიწრო წრეში წაკითხვისას ნიკო ნიკოლაძე აღიარებდა, რომ „მიზეზი აქ ხიდის უქონლობა კი არ არის, არც გვარიშვილობა, აქ კულტურული დაშორებაა. აბა გიორგი უბრალო მოჯამაგირედ, ისიც უსწავლელ უწიგნო კაცად არ მისდგომოდა კესოს კარებს? წარმოიდგინეთ, რომ გიორგის სწავლა მიეღო, ყოფილიყო, ვთქვათ, ინჟინერი, ექიმი, მასწავლებელი, – როგორ გგონიათ, კესო გულცივად შეხვდებოდა გიორგის, ამას რომ თავის გრძნობა ემცნო? არა, ეს შეუძლებელია, ეს ბუნების წინააღმდეგი იქნებოდა. კესო არც კი იკითხავდა გიორგი გლეხია, თუ თავადიშვილიო. სწავლამ, კულტურამ მაო შორის ჩატეხილი ხიდი შეაკეთა, გაამაგრა"[42]. მსგავსი შეხედულება ამის შემდგომ სხვებსაც (მიხეილ ხელთუფლიშვილი, სტეფანე ჭრელაშვილი და სხვ.) გამოუთქვამთ.

რა თქმა უნდა, ახალი სოციალური ფენის – ინტელიგენციის წარმოქმნასთან ერთად, რასაც მნიშვნელოვანწილად გლეხკაცობის წარმომადგენლებიდანაც ექნებოდა ადგილი, ხიდი „შეკეთდებოდა", „გამაგრდებოდა", აღდგებოდა კიდეც, მაგრამ ამას დიდი დრო დასჭირდებოდა! ამასაც რომ თავი დავანებოთ, თვით ცხოვრების, სოციალურ ცვლილებათა გარდა, გამოსავალი ხომ შეგნება-ზნეობაშიც ხომ მდგომარეობდა, რასაც გამოთქვამდა თვით „ოთარაანთ ქვრივის" ავტორი.

უფრო ადვილი „გამოსავალი" ნახა კრიტიკოსმა დავით კუზელმა (წერდა სხვათა შორის „დავით სოსლანის" ფსევდონიმითაც). იგი ქართველი ესდეკებისებურად (განსაკუთრებით „ბოლშევიკთა" დარად) აღნიშნავდა: „როდესაც კესო თავის საკუთარ ნაფუძარს, სადაც ყვავილები დაუთესია, ერთს რომელსამე ბოგანო ბურჟუას დაუთმობს, რომელსაც შეუძლიან იქიდამ წლის სარჩო გამოიტანოს, — და თითონაც იმის მაგიერ, რომ განთიადიდამ ბინდამდე ყვავილებს სუნავდეს, თავის ძმას არჩილს დღეში სამჯერ აკიდებული ხურჯინით ჯერს მიუტანს ყანაში და იმასაც იქ ნამგალი ეჭირება, აბა მაშინ გამთელდება ეს ჩატეხილი ხიდი, თორემ ნახეთ ერთი რა საშვალებით სწადიანთ ამ უსაქმო და-ძმას შეაერთონ ეს ჩატეხილი ხიდი"[43].

მსგავსი შეხედულებიდან შორს როდი წასულა ილიას მუდმივი

„მძეინვარე" ოპონენტი გიორგი წერეთელი, რომელიც წერდა: „წოდებათა შერიგება, რომელიც ეკონომიური და სოციალური უთანასწორობის შენარჩუნებას გულისხმობს, ფიქციაა და იგი არ შეიძლება განხორციელდეს. პირიქით, წოდებათა შორის მხოლოდ ბრძოლისა და წინააღმდეგობის არსებობა არის შესაძლებელი და არა შერიგება. შერიგება საზოგადოებაში შესაძლებელია მხოლოდ უთანასწორობის მოსპობის საფუძველზე, ხოლო ეს უკანასკნელი კი წოდებათა გაუქმებას ნიშნავს. მაშასადამე, მომავალი საზოგადოების ერთ-ერთ ძირითად პრინციპს უნდა წარმოადგენდეს არა წოდებათა შერიგება, არამედ წოდებათა მოსპობა და ადამიანთა სრული თანასწორობა, რომელიც საზოგადოებაში ნამდვილ შერიგებას უსრულველყოფს"[44]. ამ სოციალური იდეალის აღსრულება კი, გ. წერეთლის აზრით, კლასთა ბრძოლისა და სოციალისტური რევოლუციის გზითაა შესაძლებელი. და თუ ილია საპირისპირო აზრზე იდგაო, გ. წერეთლის შეხედულებით, ეს აიხსნება პირველის ცენზენციურობით, „მხატვრული რეალიზმის" ღალატით[45].

უფრო ზომიერ (მოზომილ) აზრს გამოსთქვამდა არჩილ ჯაჯანაშვილი – ერთ-ერთი თვალსაჩინო სოციალისტ-ფედერალისტი: „ილია ჭავჭავაძე სოციოლოგიურ ტრაქტატს არა სწერდა, რომ დაწერილებით ჩამოეთვალა, რანაირ სოციალურ ცვლილებათა მოხდენა მიაჩნია საჭიროდ ამ მიზნის მისაღწევად, მაგრამ მხატვრულის სურათებით მაინც გვაგრძნობინა, რომ წყარო განახლებისა თვით ხალხში უნდა ვეძებოთ"[46]; უფრო კონკრეტულად – მთლიანი, პიროვნებების ჩამოყალიბებაში[47]. აღნიშნული აზრი კიდევ უფრო გააღრმავა და განავითარა პავლე ინგოროყვამ: „ოთარაანთ ქვრივი წარმოადგენს ბრძოლაში გაკაჟებული ქართველი ხალხის სახეს. ოთარაანთ ქვრივი არის შვილი ხალხისა, რომელმაც საუკუნეთა მანძილზე თავისუფლებისათვის ბრძოლაში გამოიმუშავა შეუდრეკელი სული, თავდადებული დამცველი თავის „განძისა" და ანდერძისა"[48].

მაგრამ „ოთარაანთ ქვრივის" დედა-აზრის გაგება ლიტერატურის კრიტიკოსთაგან შორს წაგვიყვანდა. გვინდა შევჩერდეთ ერთ გარემოებაზე. თავის დროზე და შემდეგშიც საქართველოში ბლომად გამოტყვრნენ ისეთნი, რომლებიც იწუნებდნენ ილიასეულ და არა მხოლოდ ილიასეულ, არამედ საერთოდ ქართული ლიტერატურის ერთ-ერთ შედეგს – „ოთარაანთ ქვრივს". ერთი ამათგანი გახლდათ ქართველი ესდეკების „ნათლია", უკვე მოხსენიებული გიორგი წერეთელი,

რომლის განმაქიქებელ შეხედულებებზე ილიას შესახებ უკვე ველაპარაკობდით. მის მიხედვით, ვიმეორებთ, გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენები (დაიწერა 1865 წელს) ილიას პროზაული შემოქმედების მწვერვალი გახლდათ. ასე რომ, მასთან (ამ ნაწარმოებთან) შედარებით „ოთარაანთ ქვრივის" მხატვრული ფასეულობა ბევრად უფრო მდარე იყო.

მაგრამ ჩვენი დიდი ეროვნული მოღვაწის მიმართ გამოთქმული მსგავსი უსაფუძვლო, აბსურდული გამონათქამები არც 1894 წელს დაწყებულა და არც მალე დამთავრებულა. მაგალითად, გ. წულუკიძემ „ოთარაანთ ქვრივის" დაწერის შემთხვევაში ილია დიდ წინააღმდეგობაში „გამოიჭირა": „კაკო განთავისუფლდა... დრო შეიცვალა, მასთან ილიაც... „ოთარაანთ ქვრივის" ილია წინანდელი აღარ არის – ის საზოგადოებრივად განთავისუფლებულ კაკოს აღარ ექომაგება... თუ აქამდის ილია ბრძოლის მქადაგებელი, ინტერესთა წინააღმდეგობის მომხრე იყო, ეხლა ის ორგანიულ მთლიანობაზე,ბრძოლის უარყოფაზე ლაპარაკობს,წოდებათა შუა ძმობა-ერთობის ჩამოგდებაზე ჰღაღადებს..."[49]

სინამდვილეში არავითარი ლოგიკური წინააღმდეგობა არ შეიმჩნევა: ილია ჯერ ებრძოდა ბატონყმობას და ამით უპირისპირდებოდა თავადაზნაურობას, სხვანაირად საზოგადოების განვითარება იმხანად შეუძლებელი იყო, მაგრამ ამის შემდგომ კი საქართველოს დიდი მიზნის აღსასრულებლად კერძოდ გლეხკაცობისა და თავადაზნაურობის გაერთიანება გახლდათ საჭირო. უთუოდ სწორი იყო ვაჟა-ფშაველა როცა წერდა: „ილია რომ ბატონყმობის მომხრე ყოფილიყო, „ოთარაანთ ქვრივს" როდი დასწერდა. დიდებული, ბრწყინვალე თავადიშვილის ქალს, ნასსა და ნარნარს კესოს ვიღაც ოთარანთ ქვრივის სასძლოდ არ დაჰსახავდა და არ გვეტყოდა: დაუახლოვდით ერთმანერთს, თავადნო და გლეხნო, რითაც, როგორც კი შაიძლებოდესო. ხოლო უებარ წამლად და საშუალებად ამ ერთობისა მოყვრობა დასახა. ილიამ გლეხისა და თავადის სისხლი ერთნაირი თვისებებისადა სცნო და მათ ერთმანერთში შერევას თავის მადლიანის მარჯვენით ხელიც მოუმართა, რათა გაემრთელებინა „ჩატეხილი ხიდი". ამ ჩატეხილი ხიდის გამრთელება მისი ოცნება იყო..."[50] სამწუხაროდ, მოვლენები, განსაკუთრებით 1905 – 1907 წლებში, სხვაგვარად განვითარდა, რასაც თავისი მიზეზები ჰქონდა. მაგრამ ისტორიული შედეგი საქართველოს, მათ შორის კერძოდ ქართველი გლეხკაცობის სასიკეთოდ როდი დამთავრებულა.

§ 2 კომენტარები პოემა „განდეგილის" თაობაზე

"განდეგილში" "ილიამ თავისი თავი კაცობრიობის მოციქულთა კვარცხლბეკზე დასვა და იქიდან წინასწარმეტყველების მჭერმეტყველო-ბით გვამცნო დიადი საგანი, რომელიც ეხლანდელ ევროპიულ ლიტერატურის მთავარ თემას შეადგენს".

კიტა აბაშიძე.

ცნობილია, რომ ილიასეული „განდეგილის" სათავე ხალხური სიტყვიერების წიაღშია. ცნობილი ლიტერატურათმცოდნე ვახტანგ კოტეტიშვილი წერდა: „...„განდეგილი" ფოლკლორულ საფუძველზე არის აგებული. ანალოგიური თქმულებები საქართველოში, და კერძოდ ხევში, საკმაოდ არსებობს, მაგრამ პოეტი მიმბაძველის კვალით კი არ მიჰყვა ხალხურ თქმულებას, არამედ სქემა აიღო, რამდენიმე საუღელტეხილო პუნქტი, ერთი თუ ორი მოტივი, და ამ მასალაზე დაყრდნობით შექმნა ეს უდიდესი ნაწარმოები. იბადება კითხვა: ჰგავს რითიმე ეს პოემა ხალხურ თქმულებას? არაფრით"[51].

ფოლკლორული მასალა გატარებულია ილიას სულში, მსოფლმხედველობის პრიზმაში. კერძოდ, პოემას ატყვია ილიასეული ხასიათის ერთი მნიშვნელოვანი ნიშან-თვისება, რომელიც თავის მხრივ ასევე ბავშვობის წლებში მიდის. ამის თაობაზე ილიას ბავშვობისდრონიდელი ნაცნობები ასე მოგვითხრობენ: „ცელქობა და თამაშობა აგრე რიგად არ უყვარდა"[52] (გამდელი სალომე ლოლაძე), ილიას უმცროსი და ელისაბედი გადმოსცემდა უფროსი დის - ნინოს ნაამბობს: „როდესაც ჩვენ, ბავშვები, ვთამაშობდითო, ილია იშვიათად მიიღებდა მონაწილეობას თამაშშიო"[53]; „უნდა მოგახსენოთ, რომ ილია პატარაობიდგანვე მართალია როგორღაც მიუკარებელი და უფრო ჩუმი იყო"[54] (ნათესავი, ილიას გიმნაზიისა და უნივერსიტეტის ხანის მეგობარი კოხტა აფხაზი).

ილიას ამგვარი ხასიათი, ცხადია, სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა. ექვთიმე თაყაიშვილი იგონებდა: „ილია მეტად გულჩათხრობილი ადამიანი იყო. მე არ მგონია მას ისეთი მეგობარი ჰყოლოდეს, რომლისთვისაც თავისი ინტიმური დარდები და გულისთქმა გაენდოს"[55]. ამა სტრიქონების ავტორი გადმოგვცემს თვითონ ილიას ნათქვამს მასთან და ნიკო ცხვედაძესთან: „მე დარდიანი ადამიანი ვარ, მაგრამ ჩვეულებად არა მაქვს, რომ ჩემი დარდები სხვას გავუზიარო, მევე ვიკლავ გულშიო". ვიმეორებთ, თუმცა გულითადი მეგობრები მას არა ჰყოლია, მაგრამ დაახლოებული პირები ბევრი

ჰყავდა და ისინი ითელებოდნენ ილიას "მეგობრებად".

იაკობ მანსვეტაშვილის „მოგონებებშიც" მსგავს რამეს ეკითხულობთ: „ილია უფრო გულჩათხრობილი კაცი იყო... გულს ძნელად გაუხსნიდა ადამიანს და თუ გაუხსნიდა კიდეც, თავი მაინც ისე შორს ეჭირა, რომ გაკადნიერებას ვერავინ გაუბედავდა"[56].

ილიას ერთ-ერთი პირველი ბიოგრაფოსი გრიგოლ ყიფშიძე ჰყვებოდა, რომ საგურამოში დასვენებისასო – „აქ მისი შემაწუხებელი აღარავინ იყო და ილიაც სიამოვნებით ეძლეოდა განდეგილივით თავის საყვარელს გულის-თქმას – ფიქრსა და დუმილს. ამ ფიქრსა და დუმილში ისვენებდა ილიას სული და გული"[57]. საინტერესოა მისივე შემდეგი დაკვირვებანი. ილიას მამას – გრიგოლს თურმე ახასიათებდა „სასტიკი დუმილი, დიდხანს ყოფნა ხმა-ამოუღებლივ". და ეს თვისება ილიასაც გადმოჰყვაო[58] (ასევე უმცროს ძმას თემურს. უფროსი დის ნინოსადმი გაგზავნილ წერილში ილია წერდა, რომ იგი ძალიან ფიქრიანიაო)[59]. ბიოგრაფოსის თქმით, როდესაც თერთმეტი წლის ილიას დედა გარდაეცვალა „...ალბად პირველად მაშინ შეიძრა ღრმად მისი ყმაწვილური სული. უნდა ეიფიქროთ, დედით დაობლებამ დიდი იარა სევდისა გაუჩინა გულში პატარა ყმაწვილს. დედა-შვილურს გრძნობას ილია დიდის მოწიწებით იგონებდა ხოლმე შემდეგ, დიდობისას. მის ნაწერებშიც მკაფიოდ სჩანს, რა წმინდა გრძნობად მიაჩნდა ილიას გრძნობა დედაშვილურისა, დედა-შვილობის სიყვარულისა. ამიტომ დედით დაობლებას ღრმა კვალი უნდა დაეტოვებინა მის გულში"[60].

ილიას ჭაბუკობის ხანს (1857 წელს) დაწერილ ლექსში „ყვარლის მთებს" ვკითხულობთ:

„როს ყმაწვილური მწუხარება ჩემს ყმაწვილურს გულს
სჩაგრავდა ხოლმე, თქვენ-წინ ეღვრიდი ჩემ ცრემლთ ნაკადულს
თქვენ შეგჩიოდით, შეგტიროდით, თუმც კი იმ ჩემს ცრემლს,
როგორცა ეხლა, ისე მაშინ არ სცემდით ნუგეშს..."

დედის გარდაცვალებას მალე (თხუთმეტი წლის ასაკში) მამის სიკვდილიც მოჰყვა. გრიგოლ ყიფშიძე განგრძობდა: „ილიას კერძო მიწერ-მოწერა ცხადად ამტკიცებს, რა მწვავე გრძნობას განიცდიდა სულის მარტოობისას და თან რა დიდის მხნეობით ითმენდა თავზედ დატეხილ უბედურებას. ეს მოთმენა, ეს გულში ჩაკვლა დარდისა და მწუხარებისა, გარეგნობით შეუმჩნევლობა დიდის შინაგანის ცეცხლისა მეორე ბუნებად გადაექცა ილიას შემდეგში. გარეგნობით

(გარეგნულად – **გ. ყ.**) დამშვიდებულს, დიდხანს დუმილით ყოფნის მტვირთველს, ადვილად ვერავინ მიუხვდებოდა, რა მწარე გრძნობა სდუღდა მის გულში. ამიტომ ამბობდნენ ხოლმე ხშირად ილიაზედ მისი ხასიათის უცოდინარნი, უგულოაო, ულმობელიაო'[61].

მხედველობაში ჰქონდა რა ილიას დიდად აქტიური ბუნება (ნატურა), გრ. ყიფშიძე წერდა: „გარიბალდის სახელი და მამაცობა ისე ჰხიბლავდა მაშინდელ შეგნებულ ახალგაზრდობას, რომ ილიას სურვილი ვოლონტერად წასვლისა გასაკვირველი არაფრით არ უნდა იყოს". „...გასაკვირველია და საეჭვოდაც მისაჩნევი მისი წადილი ბერ-მონაზნობისა, თუმცა ამას, თვით ილიას სიტყვითვე, ჰმოწმობს ისეთი სანდო ადამიანი, როგორიც არის ავტორი „ბნელო"-სი. ისიც კი სათქმელია ამ ამბის დასადასტურებლად, რომ, როგორც ზემოდაც იყო ნათქვამი, ილიას გარშემო, იქვე ჭაბუკობაში, ბევრი უცნაური და იშვიათი გარემოება შეჯგუფდა, ისეთი გარემოება, რომელმაც, შესაძლოა, ცოტად თუ ბევრად, გაუღვივა გრძნობა წუთისოფლის უმადურობისა, დაუნდობლობისა, სურვილი მარტოობისა, განდეგილობისა, ბერ-მონაზნობისა. ამიტომ არც ამისთანა სურვილის გაჩენა ადრე დაობლებულ ჭაბუკ ილიას გულში არ უნდა იყოს გადაჭრით უარსაყოფელი'[62].

იგივე ავტორი განაგრძობდა: რასაკვირველია, ნ. ნათიძის („ბნელოს" ავტორის) შესაბამისი ცნება სანდოა. მისი მონათხრობით, „დედის გარდაცვალებამ ილია უდიდეს მწუხარებაში ჩააგდო და ბერად შედგომაზე ოცნება დააწყებინა'[63]. თვითონ ილიას მისთვის უამბნია: „ერთ დროს (ყმაწვილობაშიო) დავაპირე ბერად შედგომაო, ძრიელ (!) მომწონდა მყუდრო, განდგომილო ცხოვრებაო. მაგრამ როცა გარიბალდმა (!) დაიწყო თავისი მოქმედებაო, ბერობა გადავიფიქრე და დავაპირე ვოლონტიორად მასთან წასვლაო. შემდეგ, როცა სტუდენტურ ცხოვრებაში გავეხვიე, ვეღარ შევასრულე ეს განზრახვაო'[64].

„რასაკვირველია, გარშემო ცხოვრებაშიაცა და თვით ილიას ბუნებაშიც აღმოჩნდა არა ერთი და ორი სხვა გვარი, უფრო ცხოველი ძალა და წადილი, რომელმაც დასჩაგრა ეს მიდრეკილება, მაგრამ სამუდამოდ-კი ვერ აღმოჰფხვრა მის გულიდან სიყვარული დუმილისა, მარტოდ-მარტო ყოფნისა, ბერობა-განდეგილობისა, იდეალურის ღვთის-მსახურისა და სამღვთო კაცისა, რაც ბოლოს ისე მკაფიოდ გამოცხადდა ხანში შესვლის დროს'[65]. გრ. ყიფშიძე ჩამოთვლიდა: „გამოცხადდა ჯერ „გლახის ნაამბობის" დაწერითა (დაიბეჭდა სრულად 1870 წ.), მერე გეორგ ებერსის იმ ისტორიულ რომანის თარგმანითა, რომელსაც ეწოდება „რამეთუ კაცი ვარ"

და რომლის შინაარსიც პირველ ქრისტეანე ბერ-მონაზონთა ცხოვრების აღწერას შეიცავს და ბოლოს „განდეგილის" საიცარ სურათისა და ტრაგედიის შექმნითა"[66]. ყოველივე ამის შედეგად, ბიოგრაფოსის აზრით, „ძნელია, თუ არ სრულიად შეუძლებელი, განდეგილის ისეთი ხელოვნებით დასურათება, როგორც ეს ილიამ მოახერხა, მარტოოდენ შემოქმედობის საიდუმლოებათა შემწეობით, მარტოოდენ პოეტურის ინტუიციით, უიმისოდ, რომ თვითონაც თვისის გულის სიღრმეში არ ეგრძნოს ძლიერი წყურვილი მარტოობისა, დიდი ქარ-ტეხილი სულიერ მღელვარებისა, რელიგიურის ექსტაზით გამოწვეული"[67].

1858 წელს დაწერილ ლექსში ილია წერდა:

„მითხარით, რისთვის ჩემ თავთანა მსურს
უფრო და უფრო დავრჩე ხშირ-ხშირად?
რისთვის ეღალატობ კრებას მხიარულს,
მის შორის ელაღობ ძვირად და ძვირად?
მითხარით, რისთვის მე ვეძებ გულით
განმარტეობულს უხმო მაღნარსა?
და გრძნობით ტკბილად მინაზებულით
ვეტრფი და ვეტრფი სულ ერთს ვარსკვლავსა?"

ამავე წლის 5 ნოემბერს დაწერილი ლექსი ასე იწყება:

„მარტო მივცურავ ცხოვრების ზღვაში,
თითქო უსურველოდ და უფიქრელად;
და ზღვის ღელვაში, გრიგალთ ქროლაში
არარა აქვს რა ჩემს გულს იმედად".

მსგავსი განწყობილებანია გადმოცემული ილიას მიერ ნათარგმნ ლექსებშიც: „ბედა მქადაგებელი" (გოეთესი), „წინასწარმეტყველი" (ალექსანდრ პუშკინისა), ამავე სათაურის ლექსი (მიხაილ ლერმონტოვისა) და ნაწყვეტები „მწირიდან" (ამავე ავტორის პოემიდან).

დაბოლოს, თვითონ ასაკოვან ილიას მოეუსმინოთ:

„მე ადამიანის ცხოვრება ცოტად თუ ბევრად მიწვნევია და მწამს, რომ შექსპირი მართალია: „სულელთ თამაშაა ადამიანის ცხოვრებაო, – ამბობს იგი, – გინდათ თუ არა, უნდა ჩავდგეთ და ვიტრიალოთო"[68]. საკითხთან დაკავშირებით ფრიად საყურადღებოა მწერალ დავით კასრაძის მოგონება[69]. იგი აღწერდა ამბავს, რისი მოწმეც თვითონ

ყოფილა ნიკო ხიზანაშვილისა და ელისაბედ ჩერქეზიშვილის ოჯახში (თბილისში). ილია შეუძლოდ გამხდარა, რასაც, რასაკვირველია, იქ მყოფთა დიდი შეშფოთება გამოუწვევია. ილია ისინი უნუგეშებია და ასე მიუმართავს: „ – ნუ სწუხდებით, ბატონებო, არაფერია, გამიელის, საზოგადოდ კი რაც არ უნდა მოხდეს, არაფერია დასანანი. ლერმონტოვიც ასე ამბობდა:

„И жизнь, как посмотришь с холодным вниманием
вокруг,
Такая пустая и глупая штука"[70].

მოვიგონოთ აგრეთვე „ოთარაანთ ქვრივის" გენიალური ფინალი, რომელშიც უბედურ სესია მეწისქვილეზე თვითონ ავტორი – ილია დასძენს: „მართლა რომ ცოდოა!..." და აქვე ფართოდ ანზოგადებს: „მაგრამ სხვა ვინ არ არის ცოდო?

ერთიც ეს არის საჭირბოროტო და წყევა-კრულვიანი საკითხავი ამ უთავბოლო და უსწორმასწორო წუთისოფელში"[71].

თუ მოვლენებს წინ გავუსწრებთ და მოვიგონებთ ილიაზე თავსდატეხილ უბედურებებს და განსაკუთრებით წიწამურის ტრაგედიას, (საბოლოოდ რომ თვითონ საქართველოსაც დაატყდა თავს) მაშინ ბევრი რამ ნათელი გახდება.

ამჯერად კი დაეასკვნით, რომ, ილიას მიერ „განდეგილის" დაწერა, როგორც ეს გრიგოლ ყიფშიძემ ცხადად გაცნობიერა, შემთხვევითი კი არა, არამედ სავსებით კანონზომიერი გახლდათ. თავის მხრივ კი ამავე ბიოგრაფოსის სიტყვები რომ მოვიშველიოთ: „სამარადისო თემა, ჩაქსოვილი ამ პოემაში, თემა სულისა და ხორცისა, კეთილისა და ბოროტისა, რწმენისა და ურწმუნოებისა ოლიმპის მწვერვლამდე ამაღლებს ილიას და ჰქმნის მის გარშემო საერთო თაყვანისცემის ატმოსფერას"[72].

ილიას მიერ „განდეგილის" დაწერა კანონზომიერია აგრეთვე მისი აქტიური, შემოქმედებითი ბუნების გათვალისწინებითაც (მოვიგონოთ თუნდაც „მგზავრის წერილების" შესაბამისი პასაჟები). ამავე პერიოდშია გამოთქმული ილიასეული შემდეგი აზრი: „ბაირონის გმირები კაზლოვის ბერისავით არ კნავიან და ჩივიან, რათა ნუგეში სცეს ვინმე; ისინი ისეთი აგებულებისანი არიან, რომ თავის ტანჯვების წვაში, ეჭვის ღრღენაში, თავის სულის წყურვილში ჰხედვენ უკვდავების ღირსს ცხოვრებასა, ისინი არ შეეკედლებიან მონასტრის კედლებსა მოსასვენებლად, იმათ სულ მოძრაობა უნდათ"[73].

როცა განდეგილის მარცხსა და სიკვდილს განმარტავენ, თელიან,

რომ ეს იყო საკუთარი ბუნებრივი, კანონზომიერი ამბავი, რამეთუ ცხოვრებისაგან ჩამოშორება, განდგომა უაზრობაა და მარცხისათვისაა განწირული. მაგრამ გააჩნია როგორი თვალით შეეხედავთ მოვლენას. სხვანაირად რომ ვთქვათ, აუცილებელია ისტორიზმის პოზიციაზე დადგომა. ამის შესახებ დაე თვითონ ილიას მოვუსმინოთ. იგი წერდა: "ყველა დროს თავისი ტკივილი აქვს და გაგება ამ ტკივილისა ხვედრია მარტო ჩინებულ კაცებისა, და ჭეშმარიტი მეისტორიე, ვითარცა გამკითხველი, ჯერ იმ დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს და მერე განიკითხოს თვით დროების შვილნიცა. ესე რომ არ იყოს, კაცი ვერც საბუთს უპოვნის, ვერც აზრს, თუნდა მთელს ჯვაროსნობის ომებს, რომელსაც მთელმა ევროპამ კინაღამ თავი არ შეაკლა. ეს ხომ ანბანია ისტორიის ფილოსოფიისა..."[74].

დღევანდელ მსოფლიო ისტორიოგრაფიაში საკმაოდ დამაჯერებლად არის ახსნილი ჯვაროსნული ომების მატერიალური სარჩული, მაგრამ ცხადია ისიც, რომ შესაბამისი მოძრაობის მონაწილეთა დიდ ნაწილს სათანადო ფსიქოლოგიური მოტივებიც ედო საფუძვლად, რასაც გულისხმობდა ილია.

ჩვენი დიდი მოაზროვნე აღნიშნულ თემას უფრო ადრეც შეეხო: „რაც გუშინ კაცს ჰგონებია დაურღვეველ ჭეშმარიტებად, რისთვისაც უცია პატივი, როგორც მიუცილებელ საჭიროებისათვის, ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ის დღეს გაუთლელ შეცდომად მიგვაჩნია, ასე რომ კიდეც გვიკვირს, ადრინდელს კაცს როგორა სწამდა ამისთანა ცხადი სისულელე დაურღვეველ ჭეშმარიტებად, როგორ არა ჰქონია იმოდენა გონიერება და მხედველობა, რომ გაერჩივა თეთრი და შავი, შავისათვის შავი დაერქმია, თეთრისათვის – თეთრი"[75].

აღნიშნულ აზრს ილია შემდეგი კონკრეტული მაგალითით ცხადჰყოფდა: „სვიმონ მესვეტე სვეტზედ ავიდა და იქ მიეცა გახრწნილებას სულის საოხად, და ნუთუ ეს სიზარმაცით მოუვიდა და ქვეყანას იმიტომ მოერიდა, რომ ქვეყანა ხელ-ფეხის მოძრაობას, გარჯას და მუშაობას ჰთხოულობდა და სვეტზედ-კი უძრავად შეეძლო დებულიყო. ამისთანა ამბავს სხვა მიზეზი აქვს, რომელიც თავს იმალვის ადამიანის მრავალფერს ბუნებაში და, რამოდენად ეს ფარულნი მიზეზნი შორს არიან უბრალო სიკეთილის შვილთა თვალთათვის, იმოდენად მათი პოვნა და მიგნება ხვედრია მარტო იმისთანა კაცებისა, როგორიც რუსთაველია და სხვანი"[76]. ამ „სხვებში" ჩვენ აგრეთვე ისტორიის ფილოსოფიის გამოჩენილ წარმომადგენლებსა და ისტორიკოსებს მივუთითებდით, რაზედაც მიანიშნებდა ილია ზემოთ მოტანილ ციტატაში „ჭეშმარიტი მეისტორიეს" შესახებ.

ილია სხვაგან ღრმააზროვნად დასძენდა: „ჩვენ რომ ამ თავმოწონებულის გონიერებითაც ვყოფილიყავით და იმ ადრინდელის კაცის ეითარება და გარემოება გარს შემოგვრტყმოდა, არა მგონია, ავსცდენოდით საზოგადო ცდომილებას, რომელსაც დღეს აგრე თავმოწონებით დავსცინით"[77]

ახლა უშუალოდ „განდეგილის" დედააზრის შესახებ ვილაპარაკებთ. როგორც ვიცით, პოემის მოქმედება იშლება ხევის ბეთლემში (სხვათა შორის, მსგავსი დასახლების პუნქტები სხვაგანაცაა საქართველოში). უწინ აქ „კრებული" იყო „ღვთისათვის ქვეყნიდამ განდეგილ ძმათა", ახლა კი მხოლოდ ერთი, ჩვენი ნაცნობი მეუდაბნოე ბერია. ეს კი ბევრ რამეზე მეტყველებს. გამოდის, რომ უწინ განდეგილობას მეტი არსებობის საზრისი (raison d2 etre) ჰქონია. მეტსაც ვიტყოდით, ილიას პოემის მთავარი გმირის სიკვდილის შემდგომ ხევის ბეთლემში აღარავინ ცხოვრობს და საქართველოს ამ კუთხეში გავრცელებული შესაბამისი ლეგენდა შორეულ დროს უკავშირდება:

„და იქ, სად წმინდანთ უდიდებიათ
ღმერთი მსჯავრის და ჭეშმარიტების,
იქ, სად უწირავთ უფლისა მიმართ
მსხვერპლი ქებისა და ღაღადების, –
აწ შორის ნანგრევთ და ნატამალთა
მარტო ქარიღა დადის და ქშუის,
და გამომფრთხალი ჭექა-ქუხილით
მუნ შეხვეწილი ნადირი ღმუის..."

განდეგილი ბერი მოშორებია „ამ სოფელს", სააქაოს (წუთისოფელს), სადაც უამრავი უკეთურება სუფევს. მას ჩაუხშია ამქვეყნიური, მათ შორის „ხორციელი გულისთქმანი" და მხოლოდ სულისათვის საზრუნველად გადაუდვია თავი. ამდენად იგი აღარაა საზოგადოების აქტიური წევრი:

„მოვშორდი, შვილო, წუთის-სოფელსა
და რაღას ვაქნევ იმის ჟამთა-სელას!"

განდეგილს მსოფლმხედველობაც თავისებური აქვს – ყველაფერი ღმერთისათვის მიუნდვია, ისე რომ საკუთარი აქტიურობისათვის რაიმე ასპარეზი აღარ დაუტოვებია. აკი მწყემს ქალს იგი ასე მიმართავს:

– „მე ნუ მიმადლი, შვილო, შენს დახსნას,
ღმერთია ყველას მშველელი, მხსნელი...
ღვთით არ განწირულს ყველგან წინ უძღვის
მისი მარჯვენა შემწყნარებელი".

მაგრამ, როგორც ვიცით, ოთარაანთ ქვრივიც დიდად მორწმუნე ადამიანი გახლდათ, მაგრამ მთლად ასე როდი ფიქრობდა. მას მიაჩნდა, რომ ამ ქვეყნად ადამიანზეც ბევრი რამ იყო დამოკიდებული. მოვიგონოთ ერთი პასაჟი „ოთარაანთ ქვრივიდან". გიორგი დედას მიმართავს:

– „ღვთის ხვწნა ტყუილ-უბრალოა?

– „მა რა არის, როცა უდრო-უდროა. განა ჩემის მეტი დარდი არა აქვს ღმერთსა?! ვენაცვალე იმის მადლს...

– დედი, რას ამბობ?

– იმას, ჩემო კარგო, რომ ღმერთმა ადამიანი გააჩინა, უბრძანა: „წადი, შენს თავს შენვე მოუარეო; შენ იცი და შენმა წუთისოფელმაო; რაც წაგეკიდოს, შენი ბრალი იქნება, მე ნურას დამაბრალებო; მე ხელი დამიბანიაო; აქ ჩემთან რომ ამოხვალ, მაშინ სხვა არისო. ადუღებულ კუპრის ზღვაზედ ბეწვის ხიდს გაგიდებ, თუ კარგი ხარ, – გაივლიო; მადლი მხრებში შეგიჯდება და გაგატარებსო; კაი კაცს არ ჩაუწყდებაო"[78].

საინტერესოა დიალოგი-კამათი მწყემს ქალსა და განდეგილს შორის, რომლის უკანაც, რასაკვირველია, ჩანს ავტორისეული პოზიცია (მოქალაქეობრივი):

– „მოშორდი და აქ სულ მარტოკა ხარ?"
– „ეგეთი არის, სჩანს, ნება ღვთისა"...
– „როგორ თუ ღვთისა? ღმერთს რაში უნდა
ამ ყინულებში ყოფნა კაცისა?"

მწყემსი ქალი აგრძელებს, თუმცა მორიდებით, თავის, განდეგილის თვალსაზრისით მკრეხელურ შეხედულებას:

„ღმერთო, ნუ მიწყენ, ნურც შენ გამკიცხავ
მე უმეცარსა მეტის თქმისთვისა...
როცა აქ ცხვარი მიძოვებია
და შემიხედავს მყინვარისთვისა,
მომგონებია მამის ნათქვამი, –
იქ, ყინულებში კაცი სცხოვრობსო,
სულისთვის ხორცი გაუწირნია,
უწუთისოფლოდ მარტოკა სძლებსო, –

გამკვირვებია მე ეს ამბავი!...
მითქვამს: იქ ყოფნა რას არგებს სულსა?
განა სწყინს ღმერთს, რომ კაცი შეჰხარის
ქვეყანას, ღვთითვე დაბადებულსა?
ეფიქრობდი: ნეტა მაშ რისთვის მორთო
ესე ლამაზად წუთის-სოფელი?
განა მისთვის, რომ ადამიანმა
შეაჩვენოს და აიღოს ხელი?
ყველაფერს უნდა გამოვეთხოვო,
ჩემს ტოლს და სწორსა, ლხინს და სიხარულს?!
ღმეროო, ნუ მიწყენ... ვერ ვიზამ მაგას!
ადრე და მალე ვერ მოვიკლავ გულს...!"

მწყემსი ქალისათვის დიდად ფასეულია ბუნების სიდიადე, რის ჭვრეტაც და განცდაც განდეგილისათვის უცნობია. მწყემსი ქალი იგონებს:

„ლამაზი იყო ამ დღეს საღამო,
რა-რიგ ჰშვენოდა მზე დამავალი!
შევხედე თუ არ იმ მზეს, იმ ცასა,
გავშტერდი, ველარ მოვსხლიტე თვალი.
ღვთის სახესავით გარს შუქმოსხმული
მთის წვერზედ დიდი მზე ბრწყინვალებდა
და საკვირველი ის სანახავი
თვალთანა ერთად გულსა მტაცებდა".

მწეყმსი ქალი უფრო ჯიქურად უსვამს კითხვას განდეგილ ბერს:

„ან შენ როგორ სძლებ უწუთისოფლოდ!
მერე იცი კი რა-რიგ ტკბილია!
აქ სიკვდილია, იქ კი სიცოცხლე,
აქ ჭირია და იქ კი ლხინია"!

ამას ამბობს უბრალო სოფლელი, მწყემსი ქალი, რომელიც ბევრ, ძალიან ბევრ ცხოვრებისეულ სიამოვნებას არის მოკლებული. მაგრამ რაც აქვს, იმასაც კი კმარობს იმისათვის, რომ მეორე მხარეს დაუმტკიცოს თავისი პოზიციის უპირატესობა!

განედგილი ასე პასუხობს:

„.... რა გითხრა, შვილო?
ყველაზე უფრო სული ტკბილია,

იგი ტყვე არის წუთის-სოფლისა
და ეგ ყოველი მის ბორკილია".

ესაა განდეგილის პასუხი: სულის აბსოლუტური უპირატესობა სხეულთან შედარებით და აქედან გამომდინარე, სათანადო ზრუნვა მისთვის. ამაზე ოპონენტი ასე ესიტყვება:

– „მაშ ვინც ქვეყნად ვართ, ყველა წაკწყდებით,
ვეღარ დაეიხსნით ვერაფრით სულსა?"

პასუხი, განდეგილის მსოფმხედველობის თვალსაზრისით, დიდად უსუსურია:

„ – ხსნა ყველგან არის... ხოლო გზა ხსნისა
ესეთი მერგო მე... უბედურსა".

აი აქაა განდეგილი ბერის მარცხის უმთავრესი მიზეზი: მას რწმენა ძალიან შერყევია. თუ აქამდე მისულ ცნობიერებაში ეს ქვეშეცნეულად იყო, ამჯერად აშკარად, გაცნობიერებული სახით წარმოითქვა. გამოდის, რომ ხსნა შესაძლებელი ყოფილა „ამ ქვეყნადაც", „წუთის-სოფელშიც", კერძოდ იმათთვისაც, რომლებიც „ხორცზე", „სხეულზე" ნამეტნავად ზრუნავენ, სულზე კი – ნაკლებად. უფრო მეტიც, ხევის ბეთლემში ხსნისათვის მებრძოლი განდეგილი თავს უკვე უბედურად რაცხს.

ტრაგედია – რწმენის დიდი შერყევა, დაკარგვა უკვე მოხდა. ამას მოსდევს განდეგილის მიერ ქალის ლამაზი სახის ხილვა. ფაქტია, რომ გამოჩნდნენ ლიტერატურის კრიტიკოსები, მითუმეტეს საბჭოურ პერიოდში, რომლებიც განდეგილი ბერის მარცხის აღნიშვნისას მთავარ აქცენტს უკანასკნელ მომენტზე აკეთებდნენ.

განდეგილი ბერის სიცოცხლის მარცხიანი დასასრული თვით მისთვისაც ცხადია, თუმცა იგი კვლათ ცდილობს დაიბრუნოს ძველი რწმენა, მაგრამ ამაოდ. ამდენად, მის არსებობას აზრი ეკარგება. და როცა იგი ამაში თვალნათლივ დარწმუნდა, – აღესრულა კიდეც.

პარადოქსია, რომ ილიას გენიალური ქმნილება „განდეგილი" (გამოქვეყნდა 1883 წელს) ბევრმა ლიტერატურის კრიტიკოსმა სათანადოდ ვერ გაიგო და ვერ შეაფასა. მაგრამ ეს ხომ მათი და არა ავტორის პრობლემა გახლდათ. ამიტომაც ილიას მათთვის ყურადღება არ მიუქცევია[79]. სამაგიეროდ ნაწარმოების დედააზრი

მშვენივრად გაიგო ცნობილმა ქართველმა კრიტიკოსმა და საზოგადო მოღვაწემ კიტა აბაშიძემ, რომელიც წერდა, რომ ილიამაო „ცხერების უარყოფა განდეგილის სახით და ცხოვრების უკვდავი ძალა „ყმაწვილი ქალის" სახით ერთმანეთს დაუპირდაპირა, ერთმანეთს შეაბრძოლა და ბრძოლის ველზედ გამარჯვებულად ცხოვრება გამოიყვანა"[30]. ამით კი ავტორმა „შეჰქმნა მსოფლიო პოემა, რომლის შინაარსი და აზრი ერთგვარად ძვირფასია ხელოვნების ყველა თაყვანისმცემლისათვის. ამ უკანასკნელ მის პოემაში ილიამ თავისი თავი კაცობრიობის მოციქულთა კვარცხლბეკზე დასვა და იქიდან წინასწარმეტყველურის მჭერმეტყველებით გვამცნო დიადი საგანი, რომელიც ეხლანდელ ევროპიულ ლიტერატურის მთავარ თემას შეადგენს"-ო[31].

დაბოლოს, დავსკვნით, რომ განდეგილობის პრობლემა ძველთაძველია და იგი ეფუძნება სათანადო მსოფლმხედველობას, კერძოდ, სულისა და სხეულის მკვეთრ დაპირისპირებულობას, რაც, თავის მხრივ, ტრადიციულ საზოგადოებათა, კერძოდ საქართველოს მძიმე სოციალური და პოლიტიკური პირობებით იყო გამოწვეული. ისტორიის შემდგომი მსვლელობისას ასეთი აბსოლუტური დაპირისპირება ანაქრონიზმად იქცა (ვთქვათ, მსგავსად რაინდობისა (როგორც სოციალური ფენისა და შესაბამისი ფსიქოლოგიისა) სერვანტესის ეპოქაში. მოვიგონოთ გენიალური „დონ-კიხოტი". ილიასეული მრწამსი სწორედ ამ შეცვლილ ისტორიულ ეპოქას ესადაგება და იგი კვლავ ქრისტიანული მსოფლმხედველობის ფარგლებშია გასააზრებელი[32]. ამდენად განდეგილის ტრაგედიიდან სათანადო ათეისტური დასკვნის გაკეთება აბსოლუტურად უსაფუძვლოა. იგი (ეს მრწამსი) ილიას ნააზრევში გაცხადებულია ჯერ კიდევ „აჩრდილის" დაწერის დროს. აქ ილია რელიგიური ფრაზეოლოგიით აყენებდა საერთოდ ადამიანის აქტიურობის საკითხს. სამწუხაროდ იმ ხანის ქართველობას:

„დაპეიწყებია, რომ ქვეყნად ცასა
ღვთად მოუცია მარტო მამული;
დაპეიწყებია, რომ დიდი არი
ღვთისა წინაშე იგი ცხოვრება,
რომელიც ქვეყნის წვითა დამწვარი
ქვეყანასაეე შეეწირება".

მაგრამ ამჯერადაც, ვიმეორებთ, რომ

"წმინდაა იგი, ვისაც ელირსა
მამულისათვის თავის დადება!!!"

პოემის თავდაპირველ ვარიანტში აჩრდილი ღმერთს ასე შეჰღაღადებს:

"მოეც ქართველსა ქართვის ნდობა და სიყვარული,
მას განუღმერთე (!!!), შეაყვარე თვისი მამული!"

1889 წელს დაწერილ სტატიაში ილია წერდა: "ტყუილად-კი არა სთქვა ტურგენიევმა, რომ ეს ქვეყანა ტაძარი კი არ არის, საცა კაცი უნდა ჰლოცულობდეს, არამედ სახელოსნოა, საცა უნდა ირჯებოდეს და მუშაობდესო"[3].

მაგრამ, ვიმეორებთ, ადამიანის დიდი აქტიურობისათვის ხაზგასმა თავსებადია ილიასეულ ქრისტიანულ მსოფლმხედველობასთან. ამდენად განდეგილის ტრაგედიიდან სათანადო ათეისტური დასკვნის გამოტანა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა საბჭოურ ლიტერატურათმცოდნეობაში, აბსოლუტურად უსაფუძვლოა.

---

[1]საერთოდ, „ხიდის", „ჩატეხილი ხიდის" მეტაფორები ილიას ნააზრევში ხშირად გვხვდება. ასე მაგალითად, „ქაროეელ სტუდენტების სიმღერაში" (დაწერილია 1860 წელს) ასეთი სტროფია:

„უანგაროდ მივალთ წინა,
მარტო ის გვაქვს გულში ფიქრად,
რომ წინანი უკანასთვის,
უნდა იქმნენ გზად და ხიდად".

გრიგოლ ორბელიანის მისამართით ილიასეულ „გამოცანებში" ნათქვამია:
„ის ძველსა და ახალს შუა
შემაერთავი ხიდია".
ხოლო მისი სტუდენტობის პერიოდის მეგობარი ბესარიონ ღოღობერიძე დახასიათებულია, როგორც „ძველსა და ახალს შუა ჩატეხილი ხიდი". 1876 წლის 27 თებერვალს ილია თავის ყვარლის მამულის მოურავს ერთი პირის შესახებ სწერდა: „ჩატყდა მე და მაგას შუა ხიდი, თუმცა მე სრული მეცადინეობა ვიხმარე, რომ არ ჩატეხილიყო", თსკ, ტ. X, გვ. 83. 1892 წელს დაწერილ ილიასეულ სტატიაში "წერილები ქართულ ლიტერატურაზე" ლაპარაკია აწმყოსა და წარსულს შუა ჩატეხილ ხიდზე. თსკ, ტ. III, გვ. 204, 231 და ა. შ.

[2] თსკ, ტ. II, გვ. 40.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 258. შევნიშნავთ, რომ თავად-აზნაურთაგან გლეხების თავდახსნისა და მიწების გამოსყიდვის პროცესი დაიწყო XVIII საუკუნეში და გაძლიერდა XIX საუკუნის პირველ ნახევარში. ამის შეს. იხ. ეთერ ორჯონიკიძის მონოგრაფია "XIX საუკუნის რეფორმამდელი ხანის საქართველოს აგრარულ ურთიერთობათა ევოლუცია", თბ., 1979. პროცესი უფრო გაძლიერდა აგრარული რეფორმის შემდგომ. მსგავს სოციალურ სტატუსს შესაბამისი შეგნებაც მოჰყვებოდა. ასე რომ, „ოთარაანთ ქვრიეში" დახატული მდიდარი და თავისუფალი შეგნების მქონე გლეხური ოჯახი ოდენ აეტორის ფანტაზიას არ წარმოადგენდა.
[5] თსკ, ტ. II, გვ. 258.
[6] ეს ჩანს არჩილისა და გიორგის საუბრიდან. იხ. იქვე, გვ. 289.
[7] იქვე, გვ. 256.
[8] იქვე, გვ. 259.
[9] იქვე, გვ. 254.
[10] იქვე.
[11] იქვე.
[12] იქვე, გვ. 252.
[13] ამ შემთხვევაში ნაგულისხმევია ასაკი: ოთარაანთ ქვრიეი ხომ ამ დროს ორმოცდა ხუთი წლისა გახლდათ.
[14] თსკ, ტ. II, გვ. 283.
[15] იქვე, გვ. 285.
[16] იქვე.
[17] იქვე, გვ. 265, 274.
[18] იქვე, გვ. 279.
[19] იქვე, გვ. 286.
[20] იქვე, გვ. 268.
[21] იქვე, გვ. 280.
[22] იქვე, გვ. 293.
[23] თსკ, ტ. II, გვ. 279.
[24] იქვე, გვ. 399 – 301.
[25] იქვე, გვ. 295.
[26] იქვე, გვ. 311.
[27] იქვე, გვ. 306, 309.
[28] იქვე, გვ. 312.
[29] იქვე.
[30] იქვე, გვ. 315.
[31] იქვე, გვ. 316.
[32] მოეიტანთ ილიას მეგობრისა და თანამშრომლის („იეერიიდან") გრიგოლ ყიფშიძის შესაბამის აზრს: „რაოდენადაც პატივსა სცემდა და უყვარდა კიდეც ილიას გლეხკაცი, ეს კარგად იცის ყველამ, ვინც-კი საგურამოში ყოფილა და დაჰკვირვებია ილიასა და იქაურ გლეხთა ურთიერთობას... თავ-მოსაწონებლადა ჰყავდა ზოგიერთი გლეხ-კაცი და, პირველ ყოვლისა,

იმათ გააცნობდა ხოლმე თავის ინტელიგენტ სტუმრებს. მოსწონდა იმათი ჭკუა, მოთმინება, ნამუსიანობა, დარბაისლობა, სიტყვა-პასუხი. თვით დიდი ოსტატი ქართულისა, აღტაცებული იყო იმათის ენა-მეტყველებით, ენა-მზეობით და ამის მაგალითად ხშირად მოჰყავდა სხვა და სხვა მარგალიტი ხალხურის პოეზიისა. მოთმინება ჩვენებურის გლეხ-კაცისა, დიდი მისი სულგრძელება ხომ პირდაპირ საარაკოა, დაუჯერებელია". ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, ტომი I, მიხ. გედევანიშვილისეული გამოცემა, გვ. LXXVII.

[33] თსკ, ტ. II, გვ. 316.

[34] იქვე.

[35] იქვე, გვ. 318.

[36] იქვე.

[37] თსკ, ტ. II, გვ. 318 - 319.

[38] თსკ, ტ. II, გვ. 285.

[39] იქვე, გვ. 291.

[40] შინაური მიმოხილვა. 1883 წელი, აგვისტო. თსკ, ტ. V, გვ. 290.

[41] თსკ, ტ. II, გვ. 320.

[42] იაკობ მანსვეტაშვილი, მოგონებანი, ნახული და გაგონილი, ტფ., 1936, გვ. 117.

[43] ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, I, თბ., 1957, გვ. 314.

[44] სერგი ავალიანი, გიორგი წერეთლის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა, თბ., 1954, გვ. 181.

[45] იქვე, გვ. 180. იხ. აგრეთვე გვ. 129, 130.

[46] ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში. II, თბილისი, 1958, გვ. 178.

[47] იქვე.

[48] ილია ჭავჭავაძე (ბიოგრაფიული ნარკვევი), თსკ, ტ. I, გვ. CXXXVIII. ჩანს, ამ აზრის გაგება დიდად გაუჭირდება მავანს, რომელიც ფრეიდიზმის პოზიციიდან ცდილობს ოთარაანთ ქვრივის ხასიათის გაგებას.

[49] ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, ტ. II, გვ. 172. შევნიშნავთ, რომ ავტორი ამას წერდა 1913 წელს გაზეთ „თემში" (№ 147).

[50] ყვავ-ყორნები ილიას აჩრდილის გარშემო, კრებულში „ილიას სამრეკლო", თბ., 1988, გვ. 26.

[51] ილია ჭავჭავაძე და ხალხური შემოქმედება, კრებული „ილიას სამრეკლო", თბ., 1987, გვ. 270.

[52] ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი I, ტფ., 1935, გვ. 557.

[53] იქვე, გვ. 557.

[54] იქვე, გვ. 563.

[55] ექვთიმე თაყაიშვილი, რჩეული ნაშრომები, ტომი I, თბ., 1968, გვ. 260.

[56] იქვე.

[57] ილია ჭავჭავაძე 1837 – 1907. ბიოგრაფია. ილია ჭავჭავაძის თხზულებანი,

ტომი I, 1914, ტფილისი, მიხეილ გედევანიშვილის გამოცემა, გვ. LXVIII – LXIX.

[58] იქვე, გვ. VI. სოფრომ მგალობლიშვილი, ილიასთან ფრიად დაახლოებულ პირ მაქსიმე შარაძეზე დაყრდნობით, მოგვითხრობს, რომ „ფიქრი გაიტცებდა – რამდენიმე საათი თურმე იჯდა თავის კაბინეტში იდაყვებზე დაბჯენილი, გაყრუმუნჯებული და თუ არ თვით, სხვა ვერავინ გამოარკვევდა". მოგონებანი, ტფ., 1938, გვ. 164.

[59] ილია ჭავჭავაძე..., გვ. XIII.

[60] იქვე, გვ. XI – XII.

[61] ილია ჭავჭავაძე...., გვ. XII.

[62] იქვე, გვ. XVI.

[63] ილია ჭავჭავაძე, 1837 – 1907. ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება. ფოტომატიანე. თბ., 1987, გურამ შარაძის გამოცემა, გვ. 64 – 65.

[64] იქვე, გვ. 65.

[65] ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, ტ. I, მიხ. გედევანიშვილისეული გამოცემა, გვ. XVI.

[66] იქვე, გვ. XVI – XVII.

[67] ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, ტ. I, მიხ. გედევანიშვილისეული გამოცემა, გვ. XVII.

[68] „კარგი რამ მჭირდეს გიკვირდეს, ავი რა საკვირველია", თსკ, ტ. III, გვ. 360. შეადარეთ „მეფე ლირის" ვანო მაჩაბლისა და ილიას მიერ ერთობ-ლივი ნათარგმნიდან:

ლირი

როს ვიბადებით,
ესტირით რომ სულელთ თამაშაა კაცთა ცხოვრება
და გინდა თუ არ, უნდა ჩავსდგეთ და ვიტრიალოთ".

„მეფე ლირი", მოქმედება მეოთხე,სურათი VI. უილიამ შექსპირი, ტრაგედიები, II, თბ., 1987, გვ. 149.

[69] იხ. ჟურნალი "ცისკარი", 1957, № 5.

[70] ნაწყვეტი ლექსიდან: „И скучно и грустно..."

[71] თსკ, ტ. II, გვ. 326.

[72] ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, ტომი I, მიხ. გედევანიშვილისეული გამოცემა, გვ. XLIV.

[73] ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვის-მიერ "შეშლილის" თარგმანსვედა, თსკ, ტ. III, გვ. 10.

[74] აი ისტორია, თსკ, ტ. IV, გვ. 66.

[75] საქართველოს მოამბეზედ, თსკ, ტ. III, გვ. 56.

[76] აკაკი წერეთელი და "ეეფხის-ტყაოსანი", თსკ, ტ. III, გვ. 176.

[77] იქვე, გვ. 56.

[78] თსკ, ტ. II, გვ. 277. მოვიგონოთ აგრეთვე სცენა არჩილიანთ სახლში: „ხომ მშვიდობითა ბრძანდები? – მოიკითხა ქალი (კესო – გ. ყ.) ოთარაანთ

ქერიემა და ჩამოსკუპდა სკამზედ.
- ვართ შენი ლოცვითა და კურთ....
- მე ჩემთვისაც არა ვლოცულობ, ღმერთი არ შეეაწუხო-მეოქი, და თქვენთვის სად მოვიცლიდი, - უთხრა მკვახედ ოთარაანთ ქერიემა და სიტყვა მოუჭრა". იქვე, გვ. 283.

[79] იყო ერთადერთი გამონაკლისი: გრ. ყიფშიძის მიხედვით, ილიას მიერ "განდეგილის" პირველი წაკითხვისას კრიტიკოს იონა მეუნარგიას იგი საერთოდ თუმცა კი მოუწონებია, მაგრამ გამოუთქვამს შენიშვნა განდეგილის მხატვრული სახის ბუნდოვანებაზე. ილიას ეს შენიშვნა გაუთვალისწინებია პოემის დაბეჭდვისას.

[80] ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, ტ. I, მიხ. გედევანიშვილისეული გამოცემა, გვ. CXVI.

[81] იქვე, გვ. CXIV.

[82] „ქართველ ფილოსოფოსთა ლექსიკონში" ილიაზე დაწერილი სტატიის ავტორები (ქალბატონი მერი ჭელიძე და ვახტანგ გაგოიძე) განდეგილის ცნობიერებას მახვილგონიერულად განიხილავენ ჰეგელისეული "უბედური ცნობიერების" შუქზე. იხ. გვ. 217.

[83] აზია წინათ და ეხლა, თსკ, ტ. IX, გვ. 114. ცხადია, ამ სიტყვებში მაინცდამაინც ათეისტური შეხედულება არ იგულისხმება.

თავი მერვე

ახალი „მამათა" და „შვილთა" ბრძოლა?

§ 1 ნოე ჟორდანიას ერთი ცნობა – სიმართლე თუ მისტიფიკაცია?

"დრო მოვა და ცოდვა და მადლი გაირჩევა ყველასი ერთად და თვითეულისა ცალკე. სულ ესე ბრმანი ხომ არ ვიქმნებით?"

ილია.

ქართველი სოციალ-დემოკრატების ლიდერის ნოე ჟორდანიას მემუარულ წიგნში „ჩემი წარსული" გვხვდება ერთი, თავისთავად მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც თითქოსდა ასახავს მის პირად ურთიერთობას ილიასთან. მავანთ, განსაკუთრებით ესდეკებისადმი დიდად სიმპათიურად განწყობილთ, აღნიშნული მონათხრობი ურყევ ჭეშმარიტებად მიაჩნიათ. მოვიტანთ მას სრული სახით: „ერთ დღეს მოვიდა ჩემთან ალ. ყიფშიძე და გადმომცა (!) ილია ჭავჭავაძეს სურს თქვენი ნახვა და ხვალ დილით გელის თავის სახლშიო. მეორე დღეს წავედი. მიმიღო თავის სამუშაო კაბინეტში. გავეცანი. დაჯდომისთანავე დაიწყო: შეგაწუხეთ ერთი საქმისათვის. მე მსურს თქვენ გახდეთ „ივერიის" ხელმძღვანელი, რედაქტორი – სრული უფლებით, მხოლოთ როცა ჩვენს შორის იქნება აზრების დიდი განსხვავება – მე ჩემსას დავბეჭდავ, თქვენ თქვენსასო. მე სხვები მთხოვენ გაზეთის გადაცემას, მათ არ გადავცემ. გამოცდილებით ეიცი მათი ამბავი, თქვენ თუ აიღებთ, მზათ ვარ გადმოგცეთო. ეს წინადადება იყო ჩემთვის სრულიად მოულოდნელი. მაშინვე გადავწყვიტე ჩემთვის წინადადებაზე უარი მეთქვა, მაგრამ რომ ეს უხეშათ არ გამოსულიყო, ვუპასუხე: დიდ მადლობას გწირავთ ასეთი ნდობისათვის. მე ეს არ დამიმსახურებია, წინადადება ისეთი მოულოდნელია, რომ საჭიროა მოფიქრება, მეგობრების ნახვა და ამ ორ დღეში პასუხს მოგახსენებთ თქვა. ლაპარაკის დროს გამოირკვა, რომ მას სთხოვენ გაზეთის ხელმძღვანელობის გადაცემას გ. ლასხიშვილი და ნაკაშიძე[1]. გ. წერეთლისათვის არ მითქვამს. მეორე დღესვე დაპირებისამებრ წავედი ილიას ბანკში და გადავეცი უარი (საბუთებით), პასუხათ მითხრა: თქვენი ნებაა, იმედი მაქვს ერთმანეთს ხელს არ შეუშლითო. მე ეს გავიგე ისე რომ ერთიმეორეს თავს არ

დაევსხმით. მეც პირობა მივეცი. პირობა შევასრულე. საკმარისია გადახედოთ „კვალის" 1898 წ. ნომრებს, რომ დარწმუნდეთ „კვალი" თავს ესხმის „ივერიას" მხოლოდ მას შემდეგ, რაც „ივერიამ" აუტეხა კამათი"[2].

ვიმეორებთ, თუ აქ მოტანილი ვრცელი პასაჟი ისტორიკოსთა, პოლიტოლოგოსთა და ნოე ჟორდანიას თაყვანისმცემელთა ნაწილში სრულ ნდობას იმსახურებს, მეორე ნაწილი (მაგალითად, ფილოლოგოსი გურამ ბარნოვი და სხვები) ეჭვს გამოთქვამს მის სისწორეში. პირადად ჩვენში იგი (ეს მონათხრობი) დიდ ეჭვებს აღძრავს, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ ავტორის ყალბ ნატურას. ამიტომ საჭიროა ცნობის საფუძვლიანი განხილვა.

უპირველეს ყოვლისა, დიდად საეჭვოა, რომ 1895 წლის მიწურულს ან 1897 წლის დასაწყისში ილია მზად იყო ნოე ჟორდანიასა თუ საერთოდ ვინმესთვის დაეთმო „ივერიის" სრული რედაქტორობა. მართალია 1895 წლის 31 ოქტომბერს ილია ალექსანდრე ნანეიშვილს სწერდა: „მე და თქვენ თანასწორის უფლების რედაქტორები ვიყვნეთ"-ო[3], მაგრამ ამ შემთხვევაში ლაპარაკია თანარედაქტორობაზე და თანაც ილიასათვის სავსებით გარკვეული იყო ალექსანდრე ნანეიშვილის სულისკვეთება, მორალური და პატრიოტული მრწამსი. მაგრამ სულ სხვანაირადაა საქმე ნოე ჟორდანიასთან დაკავშირებით. ჯერ ერთი ილიამ მას არ დაუბეჭდა 1894 წელს დაწერილი ვრცელი სტატია „ეკონომიური წარმატება და ეროვნება" (თავდაპირველი სათაური გახლდათ „რა ვაკეთოთ?") (იგი დაიბეჭდა ჟურნალ „მოამბის" მომდევნო წლის მეხუთე-მეექვსე ნომერში. მეორე, ილია ვერ შეიწყნარებდა ნოე ჟორდანიას რიგ შეხედულებებს, რომლებიც მან გამოსთქვა 1895 – 1896 წლებში დაწერილ სტატიებში, ე. ი. უფრო უწინ, ვიდრე ილია ვითომდაც შესთავაზებდა მას „ივერიის" მთავარ რედაქტორობას. 1895 წლის 5 მარტს გაზეთ „კვალის" მეთერთმეტე ნომერში („გაზ. ივერია და ცხოვრება") ნოე ჟორდანია წერდა, რომ თუ ერთი მხრივ ერი მთლიანობაა ერთიანი თვითშეგნებით, მეორე მხრივ „იგივე ერი ნაწილდება ინტერესებით ეკონომიური თვით-ცნობიერების ნიადაგზე", რასაც მოსდევს „კლასსიური განხეთქილება, სოციალური აღორძინება"; „საქართველო ორი, სიმდიდრე-სიღარიბის მიხედვით დაყოფილი „საშინელი სისწრაფით ვითარდება". მსგავს აზრს, რომელსაც ავითარებდა აგრეთვე გიორგი წერეთელი, ილია, ცხადია, ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეიწყნარებდა. ჯერ კიდევ 1893 წლის ბოლოს დაბეჭდილ ერთ სტატიაში იგი წერდა: „წოდებათა შორის უთანხმოებისა და სიძულილის წამოყენება, რასაკვირველია,

ვერსად ვერ დააარსებს კეთილსა და სასურველს განწყობილებას, მაგრამ ერთი-ასად უფრო მომაკვდინებელ ცოდვად ჩაითვლება ამ გრძნობის ხელოვნურად გამოწვევა და აღძრა ჩვენში!

ჩვენ, ისეც დაქსაქსულთა, ერთმანეთთან გადამტერებულთა რაღა წოდებრივის საგნების წამოსაყენებლად უნდა გვეცალოს!

მაგრამ ზოგიერთნი ძველნი და ახალნი მბღაჯველნი ამ მარტივს აზრს ჯერაც ვერ მიმხვდარან"[4]. როგორც დავინახეთ, ამ „მბღაჯველთა" რიგებს მალე შეუერთდა ნოე ჟორდანიაც.

„კვალის" მეთორმეტე ნომერში დაბეჭდილი აღნიშნული სტატიის გაგრძელებაში ნოე ჟორდანია გამოდიოდა „პარტიობის" (მრავალპარტიულობის) მომხრედ საქართველოში. რაკი ილიასა და საერთოდ „ივერიის" რედაქციისათვის ეს შეხედულება მიუღებელი გახლდათ, ნ. ჟორდანიას მიხედვით, „ამ შემთხვევაში „ივერია" გამოდის გონების ინკვიზიციის მოძღვრებით. ეს-ღა აკლდა ჩვენს ობმოკიდებულ უაზრობას!"; „ივერია" თავისი „ეროვნული პრინციპით" გვაგონებს ბავშვს, რომელიც მთვარეს თხოულობს, მომეცითო. და, როცა არ აძლევენ, ტირილს მართავს". „ივერიელობა" „სხვისი გონების მოძრაობას ასე სასტიკათ ეპყრობა და საქვეყნოთ აღიარებს, ყველამ ჩემსავით იფიქრეთო".

1895 წლის 2 ივლისს (№ 28) დაბეჭდილ სტატიაში „მოამბე" – „ივერია" და ეროვნება" ნოე ჟორდანია აღნიშნავდა, რომ „ივერია" ხან იქით გაექანება, ხან აქეთ, მაგრამ ამაოთ, თავის ადგილიდან ვერ ინძრევა. ცალი ხელი პროგრესისტებისაკენ გაუწვდია, მეორე კონსერვატორებისაკენ. სურს ესენი შეაერთოს, დააამხანაგოს..." აქვე გაკრიტიკებულია აზრი (ცხადია, ილიასეული), თითქოს სოფელი საფუძველია და ინტელიგენციამ იქ უნდა იმოღვაწეოსო.

სტატიაში დასკვნების სახით ჩამოყალიბებულია[5]:

3. „ეკონომიური განვითარება ერს ჰყოფს დასებათ, მწვავდება დასთა ბრძოლა".

4. „ცვლილებების ინიციატორი ჩამორჩენილ ხალხებში არის მუშა ხალხი, ხოლო ინტელიგენცია არასოდეს.

შენიშ. ხალხის ცხოვრების შესწავლა-გაუმჯობესება შეუძლია მხოლოთ ხალხს და არა მის მაღლა მყოფ ინტელიგენციას".

5. „ახალი ცხოვრების საფუძველია ქალაქი. მას მოსდევს სოფელი".

6. „(საქართველოში) მკვიდრდება კაპიტალიზმი".

ნოე ჟორდანიას ვარაუდით, ნამდვილი ეკონომიური მოძღვრების შეცნობისას „ივერია" ან უნდა სრულიად გაკონსერვატორდეს ანდა სრულიად გაპროგრესიტდეს". როგორც დავინახავთ, ამ სტრიქონების

ავტორი ილიას და მის „ივერიას" მალე „რეაქციის ბანაკად" ჩათვლის.

1895 წელს ილიამ სახლვარგარეთ მყოფ ნოე ჟორდანიას შეუკვეთა სტატია „პოლიტიკური პარტიების წარმოშობა გერმანიაში". მაგრამ „ივერიაში" სტატიის მხოლოდ დასაწყისი დაიბეჭდა. აქედან ცხადი ხდება, რომ ილიას არ მოეწონა იგი (ბეჭდვა გაგრძელდა „კვალში". იხ. 1897 წლის მეექვსე-მერვე, მეათე-მეთოთხმეტე ნომრები).

ახლა ჩვენთვის საინტერესო თვალსაზრისით განვიხილოთ 1896 წელს დაბეჭდილი სერიალი სტატიებისა: „მესამოცე წლების მოღვაწენი და დღევანდელი ცხოვრება (თ. რ. ერისთავის იუბილეს გამო)" (დაიბეჭდა „კვალის" თებერვალ- აპრილის ნომრებში (9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17 18). სტატიაში უხვად ვხვდებით ნოე ჟორდანიას „ნასიბრძნებს". ასე მაგალითად, თუ საქართველოში პიროვნების „დაფასებისას" ერთიანობა შეიმჩნევა (კერძოდ, რაფიელ ერისთავის შემთხვევაში), ეს იმას ნიშნავს, რომ „შედარებით ჩვენ გაელილ ხანასთან წინ ვართ, ხოლო ევროპასთან შედარებით უკან" (№ 9); თურმე ქართველობა გაგებაში არ იყო თუ რა დაემართა 1801 წლის შემდგომ. მხოლოდ მთიულეთში, თავისი ჩამორჩენილობის გამოისობით, მომხდარა აჯანყება! „ხალხისთვის რა საინტერესო იყო, თუ ვინ იქნებოდა ქვეყნის მმართველი, თუ კი მას არ შეაწუხებდნენ, ცოლშვილს არ დაუწიოკებდნენ, წყნარ ჩვეულებრივ ცხოვრებას აცდიდენ (№ 10). მხოლოდ შემდეგში „როგორც კი ხალხი ბატონ-ყმობისგან განთავისუფლდა და დაადგა მოქალაქობრივ გზას, შესაძლებელი გახდა პოლიტიკური და ეროვნული კითხვების წამოყენება, მათი გავრცელება და შეგნება" (იქვე);

მალე, ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდგომ, „მესამოცე" წლების თაობას დაუწყია თავადაზნაურობის გადარჩენაზე ზრუნვა, თანაც იგი (ეს თაობა) „ერთიანად რუსული მწერლობის გავლენის ქვეშ არის" (№ 11); „ისტორიის ჩარხს კლასთა განხეთქილება ამოძრავებს. თუ ეს უყურადღებოთ დავტოვეთ.... ხალხის ისტორია გადაიქცევა მეფეთა და გმირთა ისტორიათ"[6] (№ 12); თითქოს სამოციანელები მხოლოდ ქართული ენის დაცვაზე შეჩერდნენო (№ 15), ხოლო 60-იანი და 90-იანი წლები – „ეს ორი ხანა ისე განირჩევა ერთმანერთისაგან, როგორც შვიდი წლის ბავშვი (!) თოთხმეტისაგან" (იქვე); „გლეხსა და ბატონ (!) შორის განხეთქილების განუვითარებლობა პირველი საბუთია ცხოვრების განუვითარებლობისა" (№ 16); „ჩვენ, როგორც უკან-ჩამორჩენილი, კომიკურ მდგომარეობაში ვართ. ცალი ფეხი დღევანდელ ევროპაში ჩავდგით, ცალი კი წარსულში გვიდგია. ვსარგებლობთ ყველა იმ იარაღებით, რომელნიც კი დღეს ევროპაშია,

ხოლო ცხოვრების პროცესი ისეთია, როგორც გასულ საუკუნის ევროპაში იყო" (№ 18); „ამ ნაირათ საქართველოში ერთ და იმავე დროს ეითარდება ორგვარი კლასიური განხეთქილება: წინააღმდეგობა ბურჟუაზიას და თავად-აზნაურობას შორის და წინააღმდეგობა თვითონ ბურჟუაზიას და მუშა-ხალხს შორის" (იქვე); „ეროვნული ზრდა არ არის კლსთა ბრძოლის გარეშე" (იქვე); „ხოლო როდესაც ახალი, პროლეტარული ცხოვრება შევა საქართველოს უკანასკნელ სოფელში, უკანასკნელ ქოხში, მაშინ ხეზე შემომჯდარი მერცხალი (?!) გადმოგეძახებს: „გაზაფხული, გაზაფხულიო" (იქვე).

ფრიად ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს ყოველივე გამორჩენოდა ილიას მახვილ თვალს (და გონებას) და აქედან სათანადო დასკვნები არ გაეკეთებინა.

ცნობილი სოციალისტ-ფედერალისტი გიორგი ლასხიშვილი თავის „მემუარებში" მოგვითხრობს, რომ ილია ნაკაშიძეს 1895 წელს ასეთი აზრი წამოუყენებია: „მივმართოთ ილიას წინადადებით – გადმოგვცეს[7] გაზეთი. ერთ-ერთი ჩვენთაგანი დაამტკიცებინოს მთავრობას რედაქტორად; თუ მოისურვებს, გამომცემლობასაც ვიკისრებთ"-ო[8]. ილია არ დათანხმებულა იმაზე, რომ „ივერიას" მიმართულება შეეცვალათ და რომელიმე ვიწრო ჯგუფის ორგანოდ გადაქცეულიყო[9]. თუმცა მან მართლაც მიიწვია ისინი გაზეთში სათანამშრომლოდ და შეღავათებიც მისცა[10]. თუ ილიამ მათ სასტიკი უარი განუცხადა გაზეთის მიმართულების შეცელაზე, დიდად საეჭვოა ამაზე ნოე ჟორდანიას დასთანხმებოდა. უკანასკნელთ წერილი გაუგზავნიათ სხვადასხვა ადრესატებისათვის, მათ შორის საზღვარგარეთ მყოფი ნოე ჟორდანიასათვის[11]. მემუარისტი წერს: „საზღვარ-გარეთიდანაც მალე მოგვიეიდა თანხმობა – ნოე ჟორდანიასაგან და აპრილში (1896 წლისა – **გ. ყ.**) კიდეც გამოგზავნა წერილები „პოლიტიკური პარტიები გერმანიაში". სულ რვა ფელეტონი დაიბეჭდა 1896 წლის აპრილის და მაისის ნომრებში"[12].

მალე, როგორც ცნობილია, „ივერია" დახურულ იქნა მთელი რვა თვის განმავლობაში და გაზეთმა გამოსვლა დაიწყო მომდევნო წლის იანვრიდან. შეგახსენებთ, რომ რედაქტორ-გამომცემლად ამიერიდანაც ილია რჩებოდა. კვლავ გავიმეორებთ, რომ მხოლოდ 1900 წლის 15 ივნისიდან, როდესაც ილია საზღვარგარეთ სამკურნალოდ გაემგზავრა ოთხი თვით, „ივერიის" რედაქტორობა (დროებითი) დაუთმო ვასილ სულხანიშვილს. უკანასკნელის რედაქტორობით გამოვიდა „ივერიის" 136-ე – 248-ე ნომრები (25 ივნისიდან – ნოემბრამდე). როგორც ვიცით, ილია საქართველოში დაბრუნდა 1900 წლის 15 სექტემბერს, 12

ნოემბრიდან კი შეუდგა გაზეთის რედაქტორის მოვალეობის აღსრულებას.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ 1901 წლის 24 ოქტომბერს „ივერიის" გამომცემელ-ამხანაგობის სხდომაზე განხილულ იქნა გაზეთის რედაქტორ-გამომცემლის უფლების ალექსანდრე სარაჯიშვილზე გადაცემის საკითხი[13]. მაგრამ, ჩანს, ილიას დიდად ეძნელებოდა ჩამოშორებოდა საყვარელ გაზეთს. გაურკვეველ მდგომარეობაში მყოფი რედაქციის თანამშრომლები თურმე აღარ ასრულებდნენ დაკისრებულ მოვალეობას (იხ. ილიას წერილი გიგო ყიფშიძისადმი, გაგზავნილი აღნიშნული თარიღის ახლო ხანებში. ზუსტი თარიღი უცნობია). წერილში ილია გამოსთქვამდა სურვილს: „ამ იანვრამდე (1902 წლისა – **გ. ყ.**) როგორმე გვეტოტიალებინა საქმე კარგი იქმნება და მერე კი მეც თვითონ ხელს ვიღებ"[14].

მხოლოდ 1901 წლის 16 ნოემბერს ექიმების რჩევით, ჯანმრთელობის აღსადგენად ხანგრძლივი დასვენებისათვის, ილიამ განცხადება შეიტანა კავკასიის საცენზურო კომიტეტში „ივერიის" დროებით რედაქტორად ალექსანდრე სარაჯიშვილის დამტკიცების თაობაზე[15]. 5 დეკემბერს გამოვიდა „ივერიის" 263-ე ნომერი. 6 დეკემბრიდან კი „ივერიის" დროებითი რედაქტორი უკვე ალექსანდრე სარაჯიშვილია, თუმცა გაზეთის გამომცემლად კვლავ ილია დარჩა[16].

1902 წლის 10 ივლისს ბეჭდვითი სიტყვის მთავარი სამმართველო, ილიას თხოვნის საფუძველზე, „ივერიის" გამოცემის უფლებას უმტკიცებს ალექსანდრე სარაჯიშვილს, 20 ივლისიდან კი, გაზეთის 153-ე ნომრის გამოსვლიდან, გამოცემის უფლებები გადავიდა „ივერიის" ამხანაგობის ხელში. ყოველივე ეს, ვიმეორებთ, დააჩქარა ილიას ავადმყოფობამ – თუ არა და იგი გაზეთს ვერ შეელეოდა.

საბოლოოდ დავასკვნით, რომ ნოე ჟორდანიას ზემოთ მოტანილი ცნობა ძალზე შორსა დგას სინამდვილისაგან. ბევრი-ბევრი, რაც დანამდვილებით შეიძლება ითქვას, ისაა, რომ ილიამ ნოე ჟორდანიას მხოლოდ გაზეთში თანამშრომლობა შესთავაზა. მის მიერ ვითომდაც „ივერიის" რედაქტორობის ნოე ჟორდანიასათვის დათმობა ოდენ ამ უკანასკნელის გამონაგონს წარმოადგენს.

§ 2 პოლემიკა ილიასა და ნოე ჟორდანიას შორის

„ყოველი აზრი მარტო ცარიელი ფრაზაა იმის ხელთ, ვისაც კრიტიკის ცეცხლში არ გამოუფოლადებია და ისე არ შეუთვისებია. ამნაირი კაცი კაჭკაჭია და არა ჭეშმარიტი წარმომადგენელი მის მიერ ქადაგებულის

აზრისა, რომელიც თუ სხვისაგან დაუჩემებია, კრიტიკის ძალით უსათუოდ თავისად გარდაექცია";

„ტვინთხელობა, რომელიც, საკუთარ ტვინს მოკლებული, სხვისით სცხოვრებს და მარტო ბაძით სულდგმულობს, ...წინათვე ეიცით, კედელი იქნება და, რამდენიც გინდათ ცერცვი შეაყარეთ, არ დაიჭერს".

"ჭეშმარიტი ლიბერალობა ის არის,რომ ჭეშმარიტება არავის წააყმედინო, არავის გააქელვინო, ბოროტს ბოროტი ამხილო, მსჯავრდაუდებლად არ შეარჩინო და, თუ საიმისოა, ცხვირიდამაც ძმარი ადინო".

ილია.

როგორც ზემოთ მოტანილი ერცელი ამონარიდიდან ეტყობილობთ, თითქოს ილიასა და ნოე ჟორდანიას შორის თავისებური „ჯენტლმენური" გარიგება მოხდა. კერძოდ, თითქოს უკანასკნელს უკისრია ვალდებულება, რათა არ დასხმოდა ილიას. თუ მას დავუჯერებთ, ამგვარი პირობა პირნათლად შეუსრულებია და იგი დაურღვევია სწორედ ილიას. მაგრამ ეს განცხადება სრული ბლეფია, რაც ცხადად გამოჩნდა „კვალის" არა მხოლოდ 1898 წლის (როდესაც რედაქტორი უკვე ნ. ჟორდანია გახლდათ), არამედ 1899 წლის ნომრების მიხედვით. ამას კი იგი ურცხვად აჩუმათებს.

ჩვენ უკვე შევჩერდით იმ უაზრო შეხედულებებზე, რომლებიც ნოე ჟორდანიას გამოთქმული ჰქონდა 1895 – 1896 წლების მანძილზე, რაც, ცხადია, ძირფესვიანად ეწინააღმდეგებოდა ილიასეულ მრწამსს. 1898 წლის აპრილ-მაისში გამოსული „კვალის" მე-18, მე-19, 29-ე და 22-ე ნომრებში ნ. ჟორდანიას მიერ განქიქებულია ჩვენი სათავადაზნაურო ბანკებისა და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" საქმიანობა. სახელდობრ აღნიშნულია, რომ პირველთა მოგებით მხოლოდ სათავადაზნაურო სკოლების „გამართვა" ხდებოდა (№ 18). მიკერძოებითაა განხილული ინციდენტი, რასაც სენაკის სათავადაზნაურო სკოლაში ჰქონდა ადგილი.

1898 წლის 31 მაისს „კვალში" გამოქვეყნებულ ნ. ჟორდანიასეულ სტატიაში „ინტელიგენცია" აღნიშნულია: „რა იყო ჩვენი (!) მოღვაწეთა უკანასკნელი ოცი წლის მოღვაწეობა თუ არა თანხმობის და შერიგების ქადაგება? – ამათ ხელში ეჭირათ ეითომ და (!) მიუდგომელი სასწორი, რომელიც არც ერთი ერის (?!) წოდებისაკენ არ უნდა გადახრილიყო, ესენი ნივთიერ მხარეს, კლასების აღორძინებას

ნოე ჟორდანია

სრულებით არ აქცევდნენ ყურადღებას და მხოლოთ კონსერვატორ-პროგრესისტობით ზომავდნენ ქვეყნიერებას. და ასე ამათ გამოეპარათ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური განვითარება, რომელზედაც აღმოცენდა წინააღმდეგობა კლასთა და ერთა (?!) შორის. ამნაირათ, ინტელიგენცია აბნელებს და ბურუსში ხვევს იმ არსებულ ანტაგონიზმს, რომელიც ნამდვილათ არსებობს ცხოვრებაში, მარა ეს ჯერ კიდევ ვერ შესულა მთელ თავის ძალაში. ამით ის წინ ეღობება ცხოვრების წინმსვლელობას და ამ წინმსვლელობის შეგნებას, ინტელიგენცია, თავის უნებურათ, რეაქციონურ როლს თამაშობს". გავაგრძელოთ? ავტორის მტკიცე შეხედულებით, კერძოდ ჩვენი ინტელიგენცია გაბატონებულ კლასს ეკუთვნოდა. „მარა – დასძენდა იგი, – საკვირველი ის არის, რომ იმ ქვეყანაში სადაც საზოგადო ცხოვრება უკან ჩამორჩენილი და მილეულია, ინტელიგენციასაც მეტი გავლენა და სახელი აქვს. მაგ. ჩვენში და რუსეთში"; „მაშასადამე (!) ინტელიგენცია, როგორც მებაირაღე და წინამძღოლი, შედგება ცხოვრების უკან ჩამორჩენის და განუვითარებლობის. ის იქ პირველობს, სადაც ხალხი დაწეულია, ასწიეთ ხალხი და დაიწევა ინტელიგენცია, ააღორძინეთ ნაციონალური შრომა (?!) და ძირს დაეშვება ინტელიგენცია"; „ხალხის ასეთი ამაღლება ნიშნავს (!) ინტელიგენციის დამდაბლებას და დასუსტებას. როცა ყველა ეს პირობები შესრულებული იქნება – ჩვენი ინტელიგენციაც ისეთი ისტორიული ნაშთი შეიქნება, როგორაც ეს მოწინავე ქვეყნებშია", განა ძნელი მისახვედრია, რომ ინტელიგენციის ასეთი დაკნინების მცდელობით, უპირველესად ნიშანში ილია იყო ამოღებული!

ახლა 1899 წელს გამოსული „კვალის" შესაბამისი ნომრები განვიხილოთ.

1899 წლის 1 იანვარს დაბეჭდილ სტატიაში „ახალი წელი" ავტორი – ნოე ჟორდანია დამდეგი ახალი წლის მისამართით აღნიშნავდა: „რა აქვს იმას წარსულში? – არაფერი! რა აქვს იმას მერმისში? – ყველაფერი!" თუმცა მეორე მხრივ გასულმა, 1898 წელმა, ცხადია, ვისი „დამსახურებით", „ეს დავიწყებული ქართველობა წინ წამოაყენა და შრომის და შეგნების გზაზე – შორს, ძალიან შორს გააქანა..." სტატიაში გაშარჟებულადაა წარმოდგენილი „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება". „იეერიის" მისამართით კი ეკითხულობთ:

„ჩვენ რა ვქნათ რომ შენს ლოღიკას
ყოველ ხეზე გაჰყავს ვირი!"

აღნიშნულია ისიც, რომ ილიასეულ გაზეთში შეუთვისებიათ „ზრდილობა ავლაბრული". სტატიაში ვხვდებით ამგვარ გამონათქვამებს: „ჩვენი ეგრეთ წოდებული საზოგადოება", „დაღალულები", „დაღალულთა მომღერლები". უკანასკნელ სიტყვებში, ცხადია, იგულისხმებიან სამოციანელები, „თერგდალეულები".

„კვალის" მესამე ნომერში (იხ. სტატია „წარსული წლის პრესსა") ხაზგასმულია „ივერიის" „უიდეობა", „უშინაარსებობა" (!), „უსისტემობა". გაზეთის იდეალი ყოფილა: „ფეოდალურ-სოფლური მიმართულება, ეს არის ძველი დროის დაბრუნება, ისტორიის ჩარხის უკან დაბრუნება და მით მთელი ერის გადაშენება (!!!)".

აღნიშნულ სტატიას დართული აქვს ასეთი შენიშვნა: „ჩვენ აქ შევეხეთ ივერიის ხელმძღვანელის წერილებს და არა თანამშრომლებისას". და ამის დამწერი, როგორც ვიცით, ურცხვად, უტიფრად აცხადებდა, რომ კერძოდ 1899 წელს იგი თავს არ დასხმია პირადად ილიას! (იხ. სტატია „გაზეთი „ივერია" და მისი საპოლემიკო ხასიათი").

„კვალის" მეხუთე ნომერში კვლავ გაბიაბრუებულია ილიას შეხედულებანი, მაგრამ ამჯერად სტატიის ავტორი გახლავთ ქართველი ესდეკების „ნათლია" გიორგი წერეთელი და ამიტომ მის (სტატიის) დაწერილებით კომენტირებაზე არ შევჩერდებით. გაზეთის მეშვიდე და მერვე ნომრებში მოთავსებულ ნოე ჟორდანიას სტატიაში „თფილისის თვით-მართველობა" კვლავ გაკრიტიკებულნი არიან ილიას მომხრეები, არ არის დანდობილი ნიკო ნიკოლაძეც. მერვე ნომერი ჩვენთვის საინტერესოა სხვა თვალსაზრისითაც – პოლემიკაში ჩაებნენ ნოე ჟორდანიას გულმხურვალე მხარდამჭერნიც, სამმა მათგანმა გამოგზავნა კოლექტიური საპროტესტო წერილი. ამის თაობაზე „კვალის ფოსტა" აღნიშნავდა: „ჩვენ უკვე გამოვაცხადეთ, რომ „ივერიის" ლანზღანდარობას და „ვარის" (ფსევდონიმია ლიტერატორ იპოლიტე ვართაგავასი – **გ. ყ.**) მიეთმოეთობას თავს არ ვუყადრებთ. ამიტომაც არც თქვენ ნაწერებს ებეჭდავთ". რა თავაზიანობა გამოუჩენია ნოე ჟორდანიას?! სამართლიანობა, ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამჯერად „ივერიის" მხარესაც აღმოუჩნდნენ მხარდამჭერები.

ნოე ჟორდანიას ორგანოს მეცხრე ნომერში ვკითხულობთ: „თვითოეული ქართველი ჩინებულ პლანს გამოიგონებს, მხოლოთ მის განსახორციელებელ საშუალებას კი ვერ გვიჩვენებს. და აი, ამიტომ ფანტაზიორი მეპროექტე ასე მრავალია ჩვენში". გვაქვს სრული საფუძველი ვიფიქროთ, რომ ნოე ჟორდანიას წარმოდგენით ასეთ კატეგორიას მიეკუთვნებოდა ილიაც.

„კვალის" მეთხუთმეტე ნომერში (იხ. რუბრიკა „სხვა-და-სხვა ამბავი") ილიას მშვენიერი საისტორიო-პუბლიცისტური ნაშრომი „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი" ასეა გაბიაბრუებული: „გაზეთ „ივერიაში" დასრულდა თ. ილია ჭავჭავაძის წერილები „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი". წერილებში ანუსხულია, თუ „სომეხთა მეცნიერნი" როგორ სისტემატიურათ და უსაბუთოთ ამცირებენ ქართველებს უცხოთა (!) თვალში და უპირატესობას სომხებს ანიჭებენ. წერილების მთავარი ნაკლულოვანება ის არის, რომ ისინი მხოლოთ რუსულათ დაწერილ „სომეხთა" ნაწერებს შეეხებიან (გარდა ერთ მაგალითისა) და, რადგანაც რუსულ ენაზე ამ საგანზე ისინი წერას რაოდენიმეთ ერიდებიან, ავტორსაც სულ ორი სომეხი შერჩენია ხელში, პატკანოვი და ეზოვი და ესენიც ქართულ მწერლობაში გარჩეული და ნაცნობი. პატკანოვის შესახებ დ. ბაქრაძემ წიგნაკიც კი დაბეჭდა, ხოლო ეზოვზე „მოამბეში" ერცელი სტატია. უფრო საინტერესოა „წერილების" მეორე ნაწილი, სახელდობრ, „ქვათა ღაღადი", რომელიც შეიცავს „პეტერბ. უწყებების" თანამშრომლის გოლსტრემის წერილის კრიტიკას. ეს რომ რუსულათ დაბეჭდილიყო იმავე გაზეთში, სადაც გოლსტრემის წერილი იყო დაბეჭდილი, უფრო მეტი მნიშვნელობა ექნებოდა".

გაზეთის 23-ე ნომერში კვლავ გაკრიტიკებულია „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება", კერძოდ მისი გამგეობა (ცხადია, ილიას ჩათელით), აღნიშნულია რომ „ყველაზე ცუდ მდგომარეობაშია სოფლის სკოლები".

25-ე ნომერში (იხ სტატია „რომანტიზმი") ნოე ჟორდანიამ მკაცრი ვერდიქტი გამოუტანა თანადროულ (რასაკვირველია, არა-„კვალისტურ") საზოგადოებრივ აზროვნებას: „საქართველოს მომავალი ისტორიკოსი, უეჭველია, მთელ ჩვენ დღევანდელ საზოგადო აზროვნებას ერთათ ერთი სიტყვით დაახასიათებს – რომანტიული ე. ი. ისეთი, რომელიც ერთიანათ გრძნობაზე, სიმპათია-ანტიპატიაზე არის აგებული და არა საქმის ცოდნაზე და კრიტიკულ აწონ-დაწონაზე. და მართლაც, ჩვენ ახალ ცხოვრებაში (მე-60 წლების მერე) კრიტიკა არასოდეს არ ყოფილა ასე ყბადაღებული და ფეხ-ქვეშ გათელილი როგორაც დღეს არის. მიუდგომელი მსჯელობა, პირდაპირი მოსაზრება (!), გულ-წრფელი მოქმედება მეტი ბარგი შეიქმნა. საზოგადოებამ შეიმუშავა ფიქრის ერთნაირი წესი, აზროვნების ერთნაირი საზომი და ამას არავითარ შემთხვევაში არ ცილდება. ეს მან ჩვეულებათ გადააქცია, ხელშეუხებელ წმიდათა-წმიდათ დასახა და ასე გამეფდა ერთგვარი, ერთფერი და

უსიცოცხლო გონებრივი აღებ-მიცემობა. ახალგაზრდა ფიქრობს ისე როგორც მოხუცი; ერთი ფიქრობს ისე როგორც ასი და ათასი". ამგვარი უაზრობის მიმართ მხოლოდ ორ კომენტარს გავაკეთებთ: ასეთ აზროვნებას რომც ადგილი ჰქონოდა, მის აღმნიშვნელად ტერმინი „რომანტიზმი" აშკარად უადგილოა და საერთოდ დღევანდელი გონიერი მოაზროვნე ისტორიკოსი სულ სხვაგვარ დასკვნას აკეთებს, ვიდრე ამას ავტორი აკეთებდა.

ასეთივე „რომანტიული" მიდგომა ყოფილა თურმე გაბატონებული არა მხოლოდ მწერლობასა და პუბლიცისტიკაში, არამედ ისტორიოგრაფიაშიც. „ბრძენი" კრიტიკოსი წერდა: „ისტორიის ცოდნა, მიუდგომელი სჯა-ბაასი, უტყუარი შეხედულობა" „აბუჩად აგდებულია"; „ისტორიას იქით აბრუნებენ, საითკენაც მათი გრძნობა უბრძანებს, ფაქტებს ისე გამოაჩენენ, რომელნიც მათ წინათ (!) განძრახულებას ამართლებს. აი, ისტორია". (იქვე). ეს აბდაუბდაც, ცხადია, მარტო ილიას, როგორც ისტორიკოსს როდი ეხება, არამედ დიმიტრი ბაქრაძეს, თედო ჟორდნიას, ექვთიმე თაყაიშვილსა და სხვებს.

ამავე ნომერში კელავ გაკრიტიკებულია „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება". სიტყვები „მოღვაწენი" და „მამულიშვილობა" ნახმარი არიან ბრჭყალებში, მათი რეალური შინაარსი სხვანაირი ყოფილა და (სინამდვილეში) მათ ანსახიერებდა „მესამე დასი", პირველ რიგში მისი დიდი ფალავანი – ნოე ჟორდანია.

26-ე ნომერში დაბეჭდილ სტატიაში „ივანე მაჩაბელი" ნოე ჟორდანია ილიას მისამართით იმეორებდა იმ უაზრობებს, რასაც მას ე. წ. მაჩაბლისტები მიაწერდნენ.

საოცარია რატომ ასე დიდხანს ითმენდნენ მსგავს თავხედურ, უტიფრულ გამოხდომებს ილია და მისი მომხრეები! უნდა ვიგულისხმოთ, რომ ილიამ პასუხის გაცემა უფრო უწინ ჩაიფიქრა და ამისთვის სერიოზულად ემზადებოდა. ამის საფუძველს გვაძლევს 1900 წლის „კვალის" მეჩვიდმეტე ნომერი, რომელშიც პასუხია გაცემული „ვარ"-ის (იპოლიტე ვართაგავას) წერილზე, რომელიც მიმართულია „ივერიის" რედაქციისადმიც: „თქვენ და თქვენი თანამშრომელი ბ. „ვარ-ი" გამოსულხართ ერთსა და იმავ დროს, ერთსა და იმავ ფურცლებზე შებმულხართ ერთ ჭაპანში და, აი, რა სასაცილო სცენა გადმოგიშლიათ ჩვენ თვალწინ. ბ. „ვარ-ი" ამბობს: – ბ. ჟორდანია შუათანა ნიჭის პატრონია, თქვენ უსწორებთ: აჰ! არა, ჩვენ არც ამ ღირსებას ვაკუთვნებთ მას, და შეიძლება თავის დროზე ეს დავამტკიცოთ (როდის?). ბ. ჟორდანიას ნაწერები

ბრწყინავს, თუმცა არა ოქროს ბრჭყვიალებით; – არც ბრწყინავს, ამას თავისს დროზე დავამტკიცებთ, უსწორებთ თქვენ. – ბ. ნ. ჟორდანია საკმაოთ ნაკითხი კაცია, თუმცა ერთ სფერაში; თქვენ კი ეკითხებით – ეგრე-კიაო?! – ბ. ნ. ჟორდანიას მარქსის მოძღვრება კარგათ აქვს შესწავლილი; – ვითომ?! და სხვა. ერთი სიტყვით თქვენი თანამშრომელი ამბობს იმას, რასაც უარჰყოფთ თქვენ; თქვენ გინდათ დაამტკიცოთ ის, რასაც უარჰყოფს თქვენი თანამშრომელი. თქვენ ერთი მეორეს ამტყუნებთ და არ ვიცი რა დასკვნა გამოვიტანოთ აქედან ჩვენ".

მოვიგონოთ შესაბამისი პასაჟი ილიას „უმეცრობის ფართი-ფურთიდან": „დიდი ხანია გულს მისიებს, გულს მიმღვრევს ბ-ნ ჟორდანიას უმეცრების ფართი-ფურთი და ქადილების მტვერ-ბუქი. ვითმინე, ვითმინე და ბოლო აივსო ფიალა მოთმინებისა. ვიდრე ბ-ნი ჟორდანია გვიგალობდა ეგრეთწოდებულ ერფურტის პროგრამიდან გაზეპირებულს ხუთ-ექვს სტრიქონს, მე არა მენაღვლებოდა-რა, რადგანაც ვიცოდი, ქარის მოტანილს ქარივე წაიღებდა. რაც გინდ ბევრი ეჭიკჭიკნა, რომ არიქა, ბიჭებო, ღვთის მადლით ჩვენში კაპიტალისტობა (კაპიტალიზმი – გ. ყ.) მობრძანდა, არიქა მისდა სადღეგრძელოდ და სასუფევოდ სოფელი გავაქალაქოთ, გლეხკაცობას მამულები ჩამოვართვათ, თორემ თუ პროლეტარიატად არ იქცნენ, კაპიტალისტობა შემოგვწყრება, ჩვენში ფეხს ვერ მოიკიდებს და ეს პროგრესის ღალატი იქნებაო და სხვა ამისთანა აბდაუბდა, – მაინც ეს ამისთანა ჭიკჭიკი იმისთანა მერცხლისაგან, როგორიც ბ-ნი ჟორდანიაა, ჩვენში გაზაფუხლს ვერ მოიყვანდა. მე ეს კარგად ვიცოდი და აინუნშიაც არ მომდიოდა. ვამბობდი, – ამითანა ბოდვას ვინ ათხოვებს ყურსა-მეთქი"[17]; „მე მინდოდა ხელი მიმეყო და კვალდაკვალ მემხილებინა ის აუარებელი უმეცრობანი, რომელნიც ამ ახლად მოვლენილ მეცნიერმა უშიშრად გამოჰფინა ჩვენში მას მერმეთ, რაც სათავეში დაუდგა „კვალსა". მხილებისათვის საჭირო იყო გადამეხსრიკა მთელი მისი წინანდელი ნაწერები და იქიდამ ამომეკრიბა მარგალიტები მისი წინანდელი უმეცრობისა"[18].

1900 წლის დასაწყისში ნოე ჟორდანიას მიერ (გლახა ჭრიაშვილის თხრობასავით გაჭიანურებულმა სტატიამ (საერთოდ მის მხრივ ეს ხშირად ხდებოდა ხოლმე), სათაურით „პრესა" მოსახდენი მოახდინა – ილიასა და ნოე ჟორდანიას იდეური შეტაკება გარდაუვალი გახადა.

ვფიქრობთ, ყველა ასე თუ ისე განათლებული, შეგნებული ქართველი იცნობს ილიას სტატიების სერიალს ნოე ჟორდანიას

წინააღმდეგ (მათ შეიძლება დავარქვათ „ანტი-ნოე ჟორდანია"). მაგრამ, ჩანს, მავანნი, არა თუ საზღვარგარეთ მცხოვრები ესდეკები, არამედ შესაბამისი საკითხების დღევანდელი ვითომდაც პროფესიონალური მკვლევარნი, სათანადოდ ვერ აცნობიერებენ პოლემიკის არსს, ილიას დიდ სიმართლეს ამ კამათში. სამწუხაროდ, ესევე ითქმის სპეციალურ ნაშრომებზეც კი.

უპირველესად თვალში საცემია ჩვენი დიდი წინაპრის უკმეხი გამონათქვამები ნოე ჟორდანიას მისამართით. გადმოვცემთ მათ თანამიმდევრობით: „უმეცრობის ფართი-ფურთი", „ბოდვა გონებადაბნეულისა", „რუსული მარქსიზმის თვალაბმული თუთიყუში", „უმეცარი", „ჩვენი ქვეყნის ამშენებელი პუბლიცისტი", „ეს ჩვენი ვაუბატონი", „გერმანიაში გამეცნიერებული ვაუბატონი", „ჩვენი უებრო მარქსისტი", „გერმანიაში გაბრძნობილი, სუტ-მეცნიერი", „ჩვენი გერმანელი ბრძენი", „წყალწყალა კაცი", „კვალის სახელოვანი მარქსისტი", „ჩვენი უმეცარი მარქსისტი", „ჩვენი ტყუილი მარქსისტი", „ვითარცა მცურაკი უმეცრების ტბაში უმეცრებით გაბერილ ნავ-ტიკითა", „ჩვენი გერმანიაში ნასწავლი მეცნიერი და დოქტორ-ფილოსოფოსი კირვალიძის უნივერსიტეტისა", „ჩვენი კირვალიძის უნივერსიტეტში კურსშესრულე-ბული მეცნიერი", „ჩვენი თავმოწონებული, მაგრამ ყოვლად უმეცარი მარქსისტი", „ქარაფშუტობა, ორთავიანობა და ორპირობა უმეცარისა", „ჭოჭინაზე შემდგარი უმეცარი ბრძენი", „ჩვენი მარქსისტი და ეეღარ მარქსისტი", „უმართებულო (მატყუარა – **გ. ყ.**), უნიჭო და უმეცარი ლიტერატორი, რომელსაც სხვისის ნაღეჭის ცოხნაც კი არ შესძლებია" და მისთ.

ცხადია, ამგვარი „კვალიფიკაციები" ილიასეული ხასიათიდანაც მოდიოდა[19], მაგრამ მთავარი მაინც გახლდათ იდეური მოწინააღმდეგის ინტელექტუალური და ზნეობრივი უბადრუკობა და ის გამაუკუღმართებელი როლი (ერის განვითარების თვალსაზრისით), რასაც ნოე ჟორდანია 1917 წლამდე თამაშობდა საქართველოს ისტორიაში. ერთი სიტყვით, მიუხედავად ამგვარი დახასიათებისა, მისი ილიასმიერი დახასიათება და კრიტიკა საკმაოდ ობიექტური, ადეკვატურია.

მოვიტანთ შესაბამის ადგილებს: „მისი (ნოე ჟორდანიასი – **გ. ყ.**) საუბარი ერთი რაღაც უგემურად კევის ღეჭვაა. საკუთარი აზრი არაფერში არ აბადია: რაც სხვისაგან თუთიყუშივით არ გაუსეპირებია, ისიც ღმერთმა იცის როგორ, და რაც მისს საკუთარ ჭკუაზე მივარდნილა, იქ ყველგან ფეხი მოსხლეტია და სრული არარაობა გამოჩენია[20]; „როგორ მოგწონთ მეცნიერი მარქსისტი,

რომელიც მარტო ლექსიკონით მიდის იოლად, როცა მეცნიერულ ტერმინის ახსნაზე მივარდება საქმე და რომელსაც სხვა უნარი და ილაჯი არა ჰქონია ამისთანა შემთხვევაში გზა გაიგნოს – მეტი ცარიელობა და არარაობა-ღა გნებავთ მეცნიერისა, რომელსაც თავის გაუხდია მარტო ლექსიკონის ანაბრად"[21]; „ჩანს, ბ-ნი ჟორდანია მეცნიერების ლექსიკონის იქით ვერ წასულა"[22]; „ღმერთმა ბ-ნ ჟორდანიას დიდი დღე მისცეს და მინამ თავი მისი მას ახლავს, მე მასალა არ დამაკლდება. უმეცრობა ბ-ნ ჟორდანიასი ზღვაა, და მე ჯერ კიდევ ამ ზღვის პირსა ვარ. ჯერ სად არის!"[23]

აღნიშნულ პოლემიკას როცა ვაანალიზებთ, ვაცნობიერებთ შემდეგ გარემოებას: ერთ – ილიას მხარეზეა ცნებებით აზროვნების დიდი უნარი, ლოგიკურობა, მეორეზე, ნოე ჟორდანიას მხარეს – ამაების დიდი დეფიციტი. რასაკვირველია, ამას ემატება ნოე ჟორდანიას საერთოდ ზერელე განათლებულობაც, შესაბამისი საკითხების არსში ჩაუწვდენელობა. აღნიშნულ გარემოებას ხომ ნათლად ადასტურებს „კრედიტისა" და „ფინანსების", „კაპიტალის", „ბურჟუაზიის", „კასტის" და ა. შ. ცნებების ზედაპირული, არამეცნიერული, არაფილოსოფიური შინაარსებით გაგება.

ილია ნოე ჟორდანიას მიმართ ასევე სწორად შენიშნავდა: „ცა ქუდად არ მიაჩნია, დედამიწა ქალამნად, აქაო და ხუთი-ექვსი ფრაზა რუსულ (გნებავთ კარლ კაუცკისაგან შეთვისებული ანაბანა ვიგულისხმოთ – გ. ყ.) მარქსიზმისა უსწავლია, ისიც იმისთანა მარქსისტებისაგან, რომელთანაებზე თითონ მარქსმა სთქვა: რაც გინდათ დამარქვით, ოღონდ მარქსისტობას-კი ნუ დამწამებთო. ასე იუარა მარქსმა იმისთანა მარქსისტები, როგორიც დღეს ჩვენში ბ-ნი ნოე ჟორდანიაა და მისი წილადობილნი"[24]; „კაცი რომ თავმოწონებით მარქსისტობს და არ გაეგებოდეს-კი „ფინანსები" რა ხილია, იგი სასაცილო მასხარაა და არა მარქსისტი"[25]; „ბ-ნი ჟორდანია მარქსისტი კი არა, პამპულაა მარქსისა, ულარუნებით მორთულ კაბაში"[26].

ილია გახაზავდა აგრეთვე ნოე ჟორდანიას უკეთურებას მორალის სფეროში. უკანასკნელმა ისიც კი იკადრა, რომ უბირ მასას ილიას წინააღმდეგ მიუშვირა ხელი. ამით აღშფოთებული ილია ოპონენტს მიმართავდა: „ეს რა საქმეზე აქეზებთ საქართველოს ხალხს, რომ „იმედია ამას არ დაიეიწყებს ასე ყბადაღებული საქართველოს ხალხიო" და სამის წერტილით ათავებთ ამ სიტყვას. რა გნებავდათ ამით გეთქვათ და დაგრჩათ კიდევ სათქმელი, რომ სამი წერტილი ჩაურთეთ ამ სიტყვებს

ბოლოში? ღმერთმა შეგინდოთ ეს უკადრისი, თუ უარესი არა, საქციელი, დეე ტაში გიკრან თქვენმა უკან-მდევნელებმა, კირვალიძეებმა და მერკვილაძეებმა, ყველა რიგიანი და პატიოსანი კაცი-კი მარტო ამ საქციელისათვის ზურგს შემოგაქცევთ და ყველა ამისთანას შეეზარებით, სულ ცოტა რომ ვთქვა[27]; „...ჩემზე ხელს უშვერს, ჩემზე აქეზებს რაღაცისათვის საქართველოს ხალხს"[28].

აქედან გამომდინარე, ილია ქართველობის შეგნებულ ნაწილს ასე მიმართავდა: „რას იტყვი ამაზე, ჩვენო ინტელიგენციავ? ვერც ეხლა მიხვდებით, რა კაცი ყოფილა ეს ყოველად უმეცარი, ქარაფშუტა, ორთავა და ორპირა პროგრესისტი, ეს ვითარცა ახალ მოძღვრების მღაღადებელი!"[29]

ნოე ჟორდანიას ინტელექტუალური უმწეობა ვითომდაც კომპენსირდებოდა რიგითი ადამიანების მხარდაჭერით. მაგრამ ილიას მიხედვით, „ზნისა (ზნეობის – გ. ყ.) და მართებულობის საქმეში" ეს არაფერს არ ნიშნავდა (გავიხსენოთ ტრადიციული საბჭოური კოლექტიური ხელმოწერები). მართლაც, განა რაიმე საკამათოა ილიას ამ სიტყვებში: „გნებავთ საქართველოში ...თუნდ ათი ათასს კაცს ხელს მოვაწერინებ, რომ დედამიწა ხარის რქასედა სდგას და ნუ თუ ეს მცირეოდენი მცოდნე კაცისათვის საბუთია! ნუ თუ ამათი ათას კაცის ხმა უფრო მეტს იწონის, ვიდრე ერთი ხმა გალლილეისა!"[30] ილია კატეგორიულად გახაზავდა: „ამისთანა საქმეში, საცა ლიტერატურული სჯაა და ბაასი, იქ ხმა უნდა აიწონოს და არა დაითვალოს"-ო[31]. (მას სხვა დროსაც (თანამოაზრე ლიტერატორ არტემ ახნაზაროვთან საუბარში) განუცხადებია: „...ფარული კენჭის ყრა გამარჯვებულის აზრის ჭეშმარიტების უტყუარ მაჩვენებლად ყოველთვის არ ჩაითვლება. კენჭი კი არ უნდა დაითვალოს, უნდა აიწონოს"-[32]ო). აქედან გამომდინარე, ილიას მტკიცე შეხედულებით, სიმართლის, ჭეშმარიტების მაძიებელს ადამიანთა სიმრავლის (მასის) წინაშე არ უნდა დაეხია[33]

ჯერ კიდევ 1886 წელს ილია წერდა:

„ვაჟკაც იგია, ვინც მართალს
ეტყვის ქვეყანას მცდომსაო;

ნოე ჟორდანიას აზროვნების შინაარსობლივ, იდეურ უბადრუკობას ემატებოდა აზრის გამოხატვის (ფორმის) სიდუხჭირეც, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენია ილიას. იგი აღნიშნავდა: „ჯერ, რასაკვირველია, როგორც მოგეხსენებათ ბ-ნ ჟორდანიას მხატვრობის

ნიჭი და ცოცხალი მეტყველება, იგი ჰაისა და ჰოის იძახის კახეთის მშვენებით ვითომდა აღტაცებული და ერთი მართლა ცოცხალი სიტყვა, ერთი სასურათო ხაზი ვერ მოუხერხებია, რომ სხვამაც იგრძნოს ცოტათი მაინც, რას აღუტაცნია ეს ტყუილად აღტაცებული მეცნიერი. ხოლო მეცნიერი რა მეცნიერია, მერე მარქსისტი, რომ სიტყვაკაზმულის მეტყველებით თავი შეირცხვინოს"[34].

დაბოლოს, გულისა და სულის შემძვრელია ილიას იერემიადა: „ჯარო და ჯამაათო, ღვთის გულისათვის მაინც იკითხეთ: ეს რა კაცს შეესწარით, ეს რა კაცი მოგვეკლინა, ეს რა ღვთის წყრომის დრო დაგვიდგა? ქვეყანას ღერძი გასტეხია და სულ უკუღმა დატრიალებულა, თუ რა დაემართა ამ ისედაც უბედურს საქართველოს, რომ ეს ამისთანა ქადებული პროგრესისტი გამოსულა და ჭკუას გავასწავლის და გზას ცხოვრებისას გვინიშნავს. წარმოიდგინეთ, თურმე ყურისმგდებელიცა ჰყავს, ამყოლიც და მგალობელნიც! მართალი ნათქვამია, – როგორც ალხანა, ისეთიც ჩალხანაო, მაგრამ განა ეს ნუგეშია! მარტო ის ამბავი, რომ არის ქვეყანა, საცა ამისთანა კაცი ლიტერატორობს, მარტო ეს ამბავი საკმარისია, კაცმა ამ ქვეყანაზე ხელი აიღოს და ცხრა მთას იქით გარდაიხვეწოს. განა ყოვლად შესაბრალისი და ამასთანავე ყოვლად აუტანელი არ არის ის ქვეყანა, ის ერი, საცა ჰფარფაშობს და ჰფახიფუხობს ამისთანა კაცი...."[35].

ნოე ჟორდანიას ზნეობრივ უკეთურობას მშვენიერად ახასიათებს შემდეგი ფაქტი. 1900 წლის 20 აპრილს „ივერიაში" (№84) ილიამ, – როგორც რედაქტორმა, – ადგილი დაუთმო მის „წერილს „ივერიის" რედაქციის მიმართ". საკითხი ეხებოდა ილიას მიერ ვითომდა მთელი ქართული ერის, ყოველ შემთხვევაში მისი უმრავლესობის, ნულებად წარმოდგენას (როგორც დავინახეთ, ილია ამ შემთხვევაში „მართებულობას" (ჭეშმარიტებას) და ზნეობას გულისხმობდა).

დავუშვათ, როგორც ილია ამბობდა, რომ ეს ასეაო (თუმცა ილია მსგავს ნულებში თავადებსაც მიათვლიდა)[36], მაგრამ თვითონ ნოე ჟორდანია ხომ 1898 წელს დაწერილ სტატიაში „ინტელიგენცია" ხალხის უმეტესობას არაფრად მიიჩნევდაო. პასუხში ნოე ჟორდანია წერდა: „და თუ მართლა ეს ჩავიდინე, არა თუ მწერლობიდან, არამედ თვით საზოგადოებიდანაც თავს გამოვირიცხავ სამუდამოთ. მაგრამ, ამით ვაცხადებ, რომ ბ. ახალმოსულის ბრალდება თავიდან ბოლომდი ერთი საზიზღარი ცილისწამებაა, რომლის მსგავსი არსად, არავითარ მწერლობაში არ შეგვხვედრია. მან ჩვენ მოგვაწერა სწორედ ის, რასაც მის მიერ დასახელებულ ჩვენ წერილში ვარღვევთ

და ვეწინააღმდეგებით"; „განა ამაზე უმდაბლესი ცილისწამება, ამაზე უფრო ყბად აღება ბეჭდვითი სიტყვისა და მათ მკითხველის (!) კიდევ შეიძლება?" და ამაყად, "შთაგონებით" ჰლაღადებდა: „დეე, ამის მსაჯული იყოს „ევერიის" მკითხველი...!"

მოდით, მართლაც „ამის მსაჯული" ვიყოთ „ევერიის" დღევანდელი მკითხველი და განვსაჯოთ. ილია ხომ იმას აღნიშნავდა, რაც ნოე ჟორდანიას ზემოთ დასახელებულ წერილში იგულისხმებოდა. მეტიც, აღძრულ თემას იგი ავითარებდა „კვალის" 1898 წლის მე-18 და 23-ე ნომრებში. მისი მიხედვით, ინტელიგენციის დაწინაურებულობა, ხალხის ჩამორჩენილობა ახასიათებს ჩამორჩენილ ქვეყნებს. იგი წერდა: „მარა საკვირველი ის არის, რომ იმ ქვეყანაში სადაც საზოგადო ცხოვრება უკან ჩამორჩენილი და მილეულია, ინტელიგენციასაც მეტი გავლენა და სახელი აქვს. მაგალითად, ჩვენში და რუსეთში (ავტორი გულისხმობდა გერმანიასაც – **გ. ყ.**). ხოლო იქ, სადაც ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრება განვითარებული და ფრთა-გაშლილია, ინტელიგენციასაც მნიშვნელობა ეკარგვის და თვით სიტყვა ინტელიგენციაც არ არსებობს. მაგ. ინგლისში და საფრანგეთში" (№23)[37]. ავტორი განაგრძობდა: „როცა ხალხი ისე დაძაბუნებული და წელში გატეხილია, რომ ჯერ კიდევ საკუთარ ფეხზე ვერ დამდგარა და სხვადასხვა გამდელების ანაბარათ დარჩენილა, ეს გამდელებიც მეცადინეობენ ის იქით შეატრიაონ საითკენაც მათ სურთ, ისე აღზარდონ, როგორც ამას თითონ ხედვენ საჭიროთ"[38].

ნ. ჟორდანიას შეხედულებით, ამ მხრივ ვითარება იცვლება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კვალობაზე, რა პირობებშიც ვითარდება კლასთა ბრძოლა, მაღლდება ხალხის მასის შეგნება. ყოველივე ამის შედეგადო „ინტელიგენცია გაილესა ხალხში. მოწინავეობა მას ჩამოერთვა და გადაეცა მთელ ხალხს, მთელს ერს, კლასებათ და პარტიებათ დაყოფილს. ინტელიგენცია ცხოვრებას აღარ მეთაურობს, საზოგადო დროშა აღარ უჭირავს ხელში"[39]. აქედან გამომდინარეობს ავტორისეული დასკვნა: „მაშასადამე ინტელიგენცია, როგორც მებაირაღე და წინამძღოლი, შედეგია ცხოვრების უკან ჩამორჩენის და გაუვითარებლობის. ის იქ პირველობს, სადაც ხალხი უკანასკნელობს, ის იქ არის აწეული, სადაც ხალხი დაწეულია. ასწიეთ ხალხი და დაიწევა ინტელიგენცია, ააღორძინეთ ნაციონალური შრომა (!) და ძირს დაეშვება ინტელიგენციაც. წინ წაწეულ ქვეყნებში თითონ ხალხი იმდენს სწავლობს, რომ სრულიად თავისუფლდება ინტელიგენტურ ძიძაო-

ბისაგან და დგება საკუთარ ფეხზე"[40].

მაგრამ ელემენტარული ლოგიკა და ფაქტები უძლური იყო ნოე ჟორდანიასა და მისი „მრეველის" გასაგებად. სწორედ ასევე გახლდათ იმ შემთხვევაში, როდესაც ილია უსაყვედურებდა ქართველი მასის „ბელადს": თუ ამ უკანასკნელს მიაჩნდა, რომ მისი „მზრუნველობის" საგანი მთელი საქართველოს მოსახლეობა იყო, ამას ხომ ილია ჯერ კიდევ „საქართველოს მოამბის" სარედაქციო წერილში აცხადებდა. და ამის შემდგომაც ხომ ყოველთვის ასე იყოო.

მტკიცედ გვჯერა, რომ ილია სრულიადაც არ აჭარბებდა, როცა ნოე ჟორდანიას მიმართავდა: „თქვენ ჯერ ჯოხი უნდა აიღოთ და ჩიტებს ერეკებოდეთ, სად თქვენ და სად ინტელიგენციასა და ერზედ ლაპარაკი. რა სწავლა-ცოდნა, რა ძალღონე ლიტერატორობისა მოგდევეთ, რომ ამისთანა საგნებს ხელსა ჰკიდებთ! (იხ. „ივერიის დასახ. ნომერი").

მაგრამ ილია გულისხმობდა ნორმალურ საზოგადოებას. სხვანაირი ვითარება იყო კერძოდ 1890-იანი და 1900-იანი წლების საქართველოში! ილია გრძნობდა, რომ ნოე ჟორდანიას წინააღმდეგ კიდევ ბევრი რამ იყო სათქმელი. კერძოდ მარქსიზმისა (ისტორიულ მატერიალიზმისა და პოლიტიკური ეკონომიის) და მსოფლიო და საქართველოს ისტორიის მეტი ცოდნისას მოპაექრის დემაგოგია და უვიცობა კიდევ უფრო მეტად გამომჟღავნდებოდა. ამიტომაც იყო, რომ იგი წერდა: „ვინ იცის, იქნება ოდესმე გამოჩნდეს ვინმე და ბ-ნს ჟორდანიას ყველაფერი წინ გადმოულაგოს – მისდა სასახელოდ და ჩვენის მწერლობის შესარცხვენად"[41]; „დრო მოვა და ყოველივე ეს მზეზე გამოეფინება და განკითხვის დღისა წინაშე გამოსჭიმავს ვინმე ამ ჩვენს ვაუბატონს. მთელის თავისის სიგრძე-სიგანითა. მე კი რის ღონე და შეძლებაც მქონდა, მარტო იმას მოვკიდე ხელი და მეტს აღარას შევეჭიდე"[42].

დიდად სამწუხაროდ და ქართული საზოგადოებრივი აზროვნების სამარცხვინოდ, ეს „განკითვის დღე" არ დამდგარა. რაც ილიამ სთქვა ნოე ჟორდანიას (ასევე ესდეკ იეანე გომართელის საწინააღმდეგოდ – უკანასკნელს აკრიტიკებდა ოჯახის როგორც სოციალური ინსტიტუტის უგულებელყოფაში) წინააღმდეგ, ეს გახლავთ სერიოზული ბოლო მიჯნა; არც მაშინ და არც შემდგომ ჩვენს ქვეყანაში კაცი არ გამოჩენილა, რომ ნოე ჟორდანიასათვის და საერთოდ ქართველი სოციალ-დემოკრატების იდეოლოგიისათვის სათანადოდ მიეუღლო.

ნოე ჟორდანიას განსწავლულობა პოლიტიკურ ეკონომიაში

საკმაოდ საფუძვლიანად ამხილა ილიამ. რაც შეეხება ისტორიული მატერიალიზმის სფეროს, ჩვენი დიდი წინაპარი უფრო გუმანით, ინტუიციით ხედებოდა (თუმცა როგორც დავინახეთ, სათანადო შრომაც გასწია ამ მიმართულებით), რომ ნოე ჟორდანია ამჯერადაც პროფანი გახლდათ. იგი თუმცა ხშირად ლაპარაკობდა, ცხადია, ერთი და იგივენაირად, ისტორიული მატერიალიზმის სახელით, მაგრამ ერთხელაც კი არ უცდია იგი კომპაქტურად, გაბმული სახით გადმოეცა, თუნდაც ისე როგორც ეს გააკეთა იოსებ ჯუგაშვილმა 1906 – 1907 წლებში (იხ. მისი ნაშრომი „ანარქიზმი და სოციალიზმი") და ნოე რამიშვილმა 1912 წელს.

ნოე ჟორდანიას უვიცობის ნათელსაყოფად მოვიტანთ „ჭეშმარიტ", „ხელიხელ საგოგმანებ" მარგალიტებს მისეული ნაწერებიდან. ნ. ჟორდანიას ადრინდელ სტატიაში „ეკონომიური წარმატება და ეროვნება", რომ იტყვიან, შავით თეთრზე წერია: „ჩვენ ვამბობთ, ყოველი კუთხე საქართველოისა წარმოადგენდა ეკონომიურად განკერძოებულ ადგილს (!): შრომის განაწილება, აღებ-მიცემობა (?!!), წარმოება (!!!) თითქმის სრულებით არ არსებობდა და თუ ხან-და-ხან (!) აქა-იქ (!) თავს იჩენდა ისიც ისე ხან-მოკლეთ (!) და სუსტათ(!) რომ ცხოვრების მიმდინარეობაზე არავითარი გავლენა არ ჰქონდა (?!)"[43]. ხომ აღმოჩენაა ნიკო დადიანის „ქართლის ცხოვრება"?[44] თითქოს მხოლოდ იქ, საც კულტურა ფეხს იკიდებს, მყარდება ნიადაგი საისტორიო (!) ცხოვრებისა"[45], რაც მცდარია ანდა უბრალოდ ტავტოლოგიას წარმოადგენს.

თითქოს „რომის ისტორია – ეს პლებეებისა და პატრიციების შეჯახების ისტორია" (მხოლოდ?!) ყოფილა[46]; „ერის გაჩენის კითხვა რასის (გვარტომობის (!) კითხვაა, რაიცა იკვლევა ანტროპოლოგიისა და ლინგვისტიკის (!?) მიერ: „აქ სოციოლოგია და ისტორია ვერ მისწვდება (!?), ვინაიდან ერი ე. ი. ადამიანთა კრებული ერთი გვარტომობის, ერთ ენაზე მოლაპარაკე, გამოირკვა ისტორიის წინა დროს"[47]; „პირველანდელი (ე. ი. პირველყოფილი – **გ. ყ.**) საზოგადოება ექვემდებარებოდა (?!) ოჯახურ წყობილებას (?!)"[48].

ტექნიკური პროგრესის ისტორია ნოე ჟორდანიას ასე წარმოედგინა: „შვილდი, ისარი (?!), ცული, თოხი, ხმალი და სხვ."[49] რა კომენტარი შეიძლება გაკეთდეს ამგვარ „ნასიბრძნეზე"?: „ევროპიელის საწარმოო ძალა მეტია, ვინემ აზიელის, აზიელის მეტია, ვინემ აფრიკელი მკვიდრის, **ამის კიდევ მეტია, ვინემ ცხოველების** (ხაზგასმა ჩვენია – **გ. ყ.**)"[50]; „კვალის" 1898 წლის 2 იანვრის ნომერში (იხ. მისი სტატია „დღევანდელი კითხვები") ვკითხულობთ,

რომ ფეოდალიზმის დროს „სამშობლოსათვის ბრძოლა ნიშნავს საკუთარი მიწა ადგილისათვის (!) ბრძოლას. სხვანაირ სამშობლოზე მას (ამ პერიოდის მცხოვრებს – **გ. ჯ.**) წარმოდგენაც არ აქვს. ეს იდეა მერმინდელი განვითარების ნაყოფია"[51]?

კელაე მივყვეთ მსგავსი უაზრობების ჩამოთვლას. თურმე „პირველათ ინგლისში მოხდა ეროვნული (!) შრომის დიდი განაწილება, ქალაქი დაშორდა სოფელს და გაჩაღდა ქალაქური ცხოვრება. აქ ჩაისახა თანამედროვე კაპიტალისტური წყობილება"[52]; „ახალი ისტორია დაიწყო ქალაქის აღორძინებით"[53]; ინგლისშიეეო „ბურჟუაზიის აჩრდილიც საკმარისი შეიქნა რევოლუციისათვის"[54].

თუ ნ. ჟორდანიას ვერწმუნებით, საერთოდ „სოფლის ბატონობა ნიშნავს უკულტურობას"[55]. საკითხავია: ბარბაროსობას, ველურობას? – თუმცა ესენიც ხომ კულტურის (ფართო მნიშვნელობით) განვითარების ეპოქებია. ნ. ჟორდანია იოსებ ჯუგაშვილის (სტალინის) მსგავსად იმეორებდა, რომ კაპტალიზმმა წარმოშვა ნაციაო. რას ნიშნავს „ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის" ცალ-ცალკე ხმარება?[56]

თურმე „შრომის იარაღი ორნაირია: მოძრავი, ადამინის ხელით გაკეთებული და უძრავი, ბუნების მოცემული"[57] და განმარტებულია, რომ მეორე სახის იარაღი მიწა, ნიადაგი ყოფილა. რას ნიშნავს სიტყვები „გონებრივი სისტემა"? [58] ტერმინ „მეურნეობაში" იგი ოდენ სოფლის მეურნეობას გულისხმობდა და მას (პირველს) უპირისპირებდა „მრეწველობას"[59]. ვითომდაც ისტორიული მატერიალიზმის მიმდევარი წერდა, რომ ბალზაკი და პუშკინი „ზეცამ ქვეყანათ (!) გამოგზავნა და თან დააბარა: იყავით მოციქული სპეტაკი გრძნობის და მაღალი გონებისაო!"[60] გაზეთის ამავე წლის 35-ე ნომერში იგი ჩამოთვლის კაკასიის სხვადასხვა მხარეთა ხალხებს და ოსებთან, ჩერქეზებთან თანაბრად ასახელებს... კახელებს, იმერლებს, ხევსურებს!!!

ნოე ჟორდანია კასტურ წყობილების კახეთის გარდა (ამგვარ სისულელეზე ილიამ ადეკვატური პასუხი გასცა) ქართლშიც ხედავდა[61]. თუ ლოგიკას რაიმე ფასს დავსდებთ, მაშინ იგივე უნდა დაგვენახა დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეშიც. ასევე „თუ ბედის წერას (?!) ქართლის სოფლისათვის უთუოთ ბატონი დაუწესებია"[62], განა ასევე არ იყო (მხოლოდ, ცხადია, ბედისწერის გარეშე) საქართველოს უმეტეს ისტორიულ კუთხეებში? ვითომდაც „რომაული ლატიფუნდიების ნაშთი სულს უხუთავს დღეს (1899 წელს – **გ. ჯ.**) სამხრეთ იტალიას და სიცილიას"[63]. წინადადების მთავარ უაზრობას რომ თავი დავანებოთ, თითქოს სიცილია სამხრეთ იტალია კი არა, არამედ ამ ქვეყნის შუა ანდა ჩრდილოეთი ნაწილი იყოს.

დაბოლოს, რა კომენტარი უნდა გაკეთდეს ასეთი „აზრის" შესახებ: მოწაფეობის წლებში „თუ რუსული ლიტერატურიდან ვეცნობოდი რევოლუციურ აზრებს, პოლიტიკურ და სოციალურ მიმდინარეობას, ქართულიდან ვეცნობოდი ნაციონალურ და პატრიოტულ სულისკვეთებას– მაგრამ ნათელი მოთხოვნილებანი (!) ვერ ამოვიკითხე ვერსად. მხოლოდ აკაკის (?!) ლექსებიდან გამოგექონდა დასკვნები, რომ საქართველო უნდა იყოს თავისუფალი; ყველა სხვა მოთხოვნილებანი (!) ეხებოდნენ დღიურ ჭირვარამს - ქართული შკოლა, ქართული მწერლობა (!) და სხ.'[74], ანდა ამას - "გურიაში ნაციონალურ მიმართულებას" ნიადაგი სრულიად არ ქონდა'[75]-ო.

ყოველივე აღნიშნულის შემდგომ დავსძენთ, რომ ილიასა და ნოე ჟორდანიას პოლემიკის სახით ჩვენ გვაქვს შემთხვევა ორი, ინტელექტუალური თვალსაზრისით აშკარად განსხვავებული დონის დაპირისპირებისა[76]. აქედან პირველი განასახიერებდა ქართველობის მოწინავე, შეგნებულ ნაწილს, მეორე კი – პოლიტიკურად გააქტიურებულ უბირ მასას. პოლემიკამ ნათლად აჩვენა, რომ ნოე ჟორდანიას ვითომდაც ფილოსოფიური, სოციოლოგიური, პოლიტეკონომიური და ა. შ. ნაასრევი უბადრუკობა გახლავთ და იგი რაიმე სერიოზულ ინტელექტუალურ ფასეულობას არ წარმოადგენს. ამიტომაც სავსებით კანონზომიერად გვესვენება, რომ 2000 წელს დასტამბულ წიგნში "ქართველ ფილოსოფოსთა ლექსიკონი" არც ნოე ჟორდანია და არც რომელიმე სხვა სოციალ-დემოკრატი შეტანილი არ არის. ამას ემატება ქართული ენის მდარე ცოდნაც (სხვათა შორის, ამას ვერ ვიტყოდით ფილიპე მახარაძისა და იოსებ ჯუგაშვილის შესახებ). ამიტომაც დიდად ვეჭვობთ, რომ ნ. ჟორდანიასეულმა აზროვნებამ ბევრი მკვლევრის ინტერესი გამოიწვიოს ანდა რომ ქართული საზოგადოება მალე მოიცლის მისი ნაწერების სრული კრებულის გამოსაცემად.

§ 3 ისევ ილიასა და ნოე ჟორდანიას შესახებ

„...არის ერთი არსება, რომელსაც ერს ეძახიან და რომლის სიღრმეშიაც, როგორც ზღვის ძირში მარგალიტი, თავს ინახავს ლოღიკა და, მაშასადამე, მართალიცა".

„ხანგრძლივობა და გამარჯვება, თუ დღეს არა, ხვალე მაინც საბუთიანს აზრს დარჩება, ესეა ქვეყნის წარმოების კანონი. ეს იმედი ამხნევებს ყოველს მას, ვისაც კი სწამს პროგრესი ადამიანისა".

ილია.

საკითხის ისტორია საკმაო ხნისაა. უკვე 1890-იანი წლებიდან მოყოლებული, როდესაც საქართველოს საზოგადოებრივ ასპარეზზე „მესამე დასი" გამოჩნდა, საზოგადოების ერთმა ნაწილმა ირწმუნა აღნიშნული სოციალურ-პოლიტიკური დაჯგუფების ლიდერის ნოე ჟორდანიას მნიშვნელობა, მეტიც, უპირატესობა „ნაციონალისტების" წინამძღოლის – ილიას წინაშე. ხოლო როდესაც მსოფლიო-ისტორიული პროცესის დიდ ხდომილებათა წყალობით, პირველი მსოფლიო ომის შედეგად საქართველომ 117 წლის ნანატრი ეროვნული დამოუკიდებლობა მოიპოვა, რასაკვირველია, ზემოაღნიშნული აზრი კიდევ უფრო გამყარდა და ნოე ჟორდანია ჩვენი ქვეყნის დიდ ისტორიულ პიროვნებად დასახეს[67]. სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრთა დიდი ნაწილი და მოსახლეობის ფართო ფენები მზად იყვნენ იგი ბელადად ეღიარებინათ[68].

ქართული საზოგადოების მეორე ნაწილი, სოციალისტ-ფედერალისტებისა და ეროვნულ-დემოკრატების მეთაურობით, ნოე ჟორდანიას ჩვეულებრივი რანგის ისტორიულ მოღვაწედ მიიჩნევდნენ. მას შემდეგ კი, რაც საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ თავისი არსებობა კატასტროფულად დაასრულა, კრიტიკის ქარცეცხლი უპირატესად სწორედ ნოე ჟორდანიას დაატყდა თავს.

მსგავსი საპირისპირო შეფასებანი ნოე ჟორდანიას თაობაზე კელავაც გრძელდება. მაგრამ თუ უწინ მისი თაყვანისმცემლებისათვის იგი შეუდარებელი გახლდათ, შემდგომ, ილიას სახელის კელავ გაბრწყინების კვალობაზე, ცდილობდნენ და ცდილობენ ამ ორის სახელის დაწყვილებას. ამისათვის თითქოს არსებობს სერიოზული საფუძველი: ილია იბრძოდა საქართველოს ავტონომიისათვის რუსეთის იმპერიის ფარგლებში, ამდენად, სრული დამოუკიდებლობა შორეულ მიზნად ესახებოდა, ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით კი ჩვენმა ქვეყანამ სრულ დამოუკიდებლობას მიაღწია. თუ ასეა, მაშ რატომ არ უნდა ჩაითვალოს ეს უკანასკნელი პირველის საქმის დამაგვირგვინებლად? (გავიხსენოთ ბოლშევიკ-კომუნისტთა „რკინისებური არგუმენტი": კარლ მარქსმა და ფრიდრიხ ენგელსმა თეორიულად დაასაბუთეს მეცნიერული სოციალიზმი, ვლადიმერ ლენინმა და იოსებ სტალინმა კი პრაქტიკულად განახორციელეს იგი (ჩამორჩენილ რუსეთში!). იგივეს მტკიცება შეიძლება მაო ძედუნის და სხვათა მსგავსთა შესახებ შესაბამისი ქვეყნების მიმართ).

თავდაპირველად შევნიშნავთ, რომ ილიას და ნოე ჟორდანიასსა-ხელების დაწყვილებას თვითონ ამ უკანასკნელმა შეუწყო ხელი.

სტატიაში „ორი პოეტი" იგი წერდა, რომ ილიას (ასევე აკაკის) პოეზია თავის შინაარსს იღებს ნაციონალური და სოციალური სფეროებიდან (შესაბამისად – იდეებიდან). „ძმობის, ერთობის, თავისუფლების" ქადაგებით ილია ეროვნულ იდეას აბამდა სოციალურ იდეებთან"[69], ამდენად ილიას ნაციონალური იდეია გაუღენთილი იყო სოციალური იდეით. „ეს ორი მხარე ერთი და იმავე მოძრაობის მას ნათლათ აქვს დასახული და გატარებული თავის პოემაში „აჩრდილი", დაწერილი 1859 წ. ეს არის ილიას პროგრამა, რასაც ის ატარებდა თავის ლექსებში"[70].

გრიგოლ ორბელიანისადმი პასუხი იყოო „ნამდვილი პრაკლამაცია (!) რევოლუციური ხსნისა. ამაზე უფრო სასტიკი თავდასხმა გაბატონებულ საზოგადოებაზე არც ერთ რევოლუციურ პარტიას არ მოუხდენია. ამით ილიამ ააფრიალა აჯანყების (?!) დროშა 1872 წლის იანვარში"[71]; "პოეტი ებრძვის სამშობლოში მებატონეთ (თავადაზნაურობას – **გ. ყ.**), საფრანგეთში ბურჟუაზიას, ორივე შემთხვევაში გაბატონებულ საზოგადოებას. ის იყო წინააღმდეგი საზოგადოთ ბატონობისა, ხალხის ჩაგვრისა, რა ფორმითაც და სადაც უნდა ყოფილიყო ის. მისი ნაციონალური იდეია სწორეთ ამ ძირითადი მოსაზრებისაგან გამომდინარეობს. ნაციონალური ჩაგვრის წინააღმდეგი, ის ვერ იქმნებოდა (!) ხალხის ჩაგვრის მომხრე. სწორეთ ამ ლოღიკაში, ამ გულწრფელობაში და პატიოსნებაში იხატება ნამდვილი პოეტის ბუნება, ილიას პოეზიის ორიგინალობა სწორეთ ამ ორგვარი იდეის, ნაციონალურის და სოციალურის, შედუღებაშია"[72].

დაბოლოს, ილიას (ასევე აკაკის): „იდეალი სავსებით აღსრულდა. ქართველი ერი გამთელდა ხალხის ნიადაგზე და მან მაშინვე ნაციონალური თავისუფლება გამოაცხადა"[73].

მაგრამ 1871 - 1872 წლებიდან მოკიდებული, ნოე ჟორდანიას მტკიცებით, ილიამ სოციალურ-პოლიტიკური ორიენტაცია თავადაზნაურობაზე აიღო. მიუხედავად ამისა, „ეს შეცდომა მან დაინახა თავისი თვალით პირველი რევოლუციის პერიოდში; უხაროდა ეს რევოლუცია, ხალხის ასეთი გამოღვიძება, მისი სიჭაბუკის ნატვრის ასრულება. ტრაღიკულათ განიცდიდა მხოლოდ იმას, რომ ეს გზა (!) მან ვერ მიაგნო, არ სწამდა და მიმავალ წოდებას ჩაებღაუჭა. ამ დღიდამ (1905 წლიდან – **გ. ყ.**) (?!) ილიამ დადეა კალამი, თავი ანება პუბლიცისტობასაც. მასში ისევ იღვიძებს ახალგაზრდობის სულისკვეთება და სახელმწიფო საბჭოში იჭერს უკიდურეს მარცხენა ფრთას. დიდი პოეტი მაინც რჩება დიდი ლიბერალი და შეურიგებელი...."[74].

როგორც ვხედავთ, ნოე ჟორდანიას აზრებს ილიას შესახებგა-
რკვეული ცელილებები განუცდია, მაგრამ ეს არაა აზროვნების იმანენტური ევოლუცია, არამედ ახალი ისტორიული კონიუნქტურის შედეგი. ნუთუ ბევრი რამ დადებითი მომენტის დანახვა შეუძლებელი იყო ილიას სიცოცხლის დროს?

აღნიშნული ორი ისტორიული პიროვნების ერთმანეთთან შედარებისას ნოე ჟორდანიას უპრინციპობა იმთავითვე თვალში საცემია. მაგალითისათვის, 1894 წელს იგი წერდა: „ყველა ხალხი თავის ისტორიულ განვითარებაში ექვემდებარება რაიმე წეს-რიგს (კანონზომიერებას — **გ. ყ.**), რაიმე კანონს. ამ კანონის უმთავრეს მუხლს შეადგენს ის ხანა, როცა ხალხი გრძნობს თავის თავს ერთ ერათ, ჯირში და ლხინში განუყრელათ, აქვს წარმოდგენა თავის ეროვნულ „მე"-ზე და ამას შეგნებულათ იცავს. მაგ. ფრანგები, არისტოკრატი იყოს თუ დემოკრატი, ლიბერალი თუ რადიკალი, ეროვნობის საქმეში ყოველთვის სრულს ერთობას იჩენენ აზრებისას, მიმართულებისას და გულისთქმისას. თუმცა შინაურ ცხოვრებაში მუდამ და დაუღალავათ ებრძვიან ერთმანეთს, მაგრამ ერთათ დგებიან, ერთ დროშის ქვეშ იკრიბებიან, ერთი მეორისთვის თავსა სდებს, როცა მათ ეროვნულ თვით-არსებობას განსაცდელი რამ მოელის, როცა გარეშე მტერი მიჯნას გადმოსცილებია და ქვეყანას აღგვას უპირობს. ამ შემთხვევაში იღვიძებს დროებით მიძინებული ერთ-სულობა და ერთი მეორის დაუცხრომელნი მტერნი საომარ ველზე ხელი-ხელ გაყრილნი გამოდიან. ეს არის ეროვნობის არსებითი თვისება, ნაყოფი საერთოპოლიტიკო-ეკონომიური ცხოვრებისა, განმტკიცებული თანამედროვე წყობილებით და შეგნებული ადამიანურის ცხოვრებით'"[75].

რასაკვირველია, ამ სტრიქონების ავტორს ვერ შეეედავებით. ასევე „ჩემს წარსულში" მონათხრობზე, რომ როცა გერმანიაში მისი ყოფნისას პოლონეთის სოციალ-დემოკრატიულ და სოციალისტურ პარტიებს შორის კარლ კაუცკის ჟურნალ „ნოიე ციტ"-ის ფურცლებზე დაიწყო თეორიული კამათი ეროვნული საკითხის შესახებ. პირველი უარყოფდა პოლონეთის დამოუკიდებლობის იდეას და ჩერდებოდა ავტონომიაზე, სოციალისტები კი უარყოფდნენ ავტონომიას, როგორც უტოპიურს და ითხოვდნენ პოლონეთის დამოუკიდებლობას. ამ დავაში ჩაერია თვითონ კ. კაუცკი და გადაჭრით დადგა სოციალისტების მხარეზეო. ნ. ჟორდანია დადებითად ეკიდებოდა პოლონეთში ეროვნული საკითხის ამგვარ გადაწყვეტას („კაუცკის ამ წერილმა მოახდინა

ჩემზე დიდი შთაბეჭდილება. დავინახე რომ მარქსიზმი სრულიად არ უარყოფს ნაციონალურ საკითხს, ნაციონალურ თავისუფლებისათვის ბრძოლას")[76].

მაგრამ მალე, საქართველოში დაბრუნებისას, როგორც კი შეატყო, რომ „მესამე დასელებისათვის" საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა არაფერს არ ნიშნავდა, მეტიც, მიუღებელი იყო[77], ნ. ჟორდანიამ ზემოაღნიშნული პოზიცია რომ იტყვიან, 180°-ით შეიცვალა. მიატოვა მომავალი სოციალისტური ორგანიზაციის სახელწოდებად „საქართველოს ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის" შერქმევის იდეა და ამიერიდან იგი უყოყმანოდ აჰყვა იმ სოციალურ-პოლიტიკურ ტენდენციას, რომლის კრედოც მწერალ ეგნატე ნინოშვილის დასაფლავებისას სილიბისტრო (სილეა) ჯიბლაძემ მთლად "კომუნისტური პარტიის მანიფესტის" სტილში საქართველოს ასე ამცნო: "ამნაირად (!) ჩვენი აწინდელი ცხოვრება წარმოადგენს ორს ახალ, ერთი-მეორის მოწინააღმდეგე წოდებას, ანუ კლასს (?!). ერთი მხრივ – ფიზიკური და გონებრივი (!) შრომის წარმომადგენელნი, მეორე მხრით – მუქთა-ხორა, ბურჟუა-კაპიტალისტები. პირველთა ხვედრია აუტანელი შრომა-გარჯა, მეორეთა კი – დასაკუთრება ამ შრომის ნაყოფისა. აი სად (ეტყობა კორექტორული შეცდომაა, უნდა იყოს "სად" - გ. ყ.) ტყდება ხიდი ჩვენში და ზოგან კი კარგა ხანია ჩატეხილიცაა; აი, რად ირღვევა უფსკრული და ბევრგან კარგი (!) ხანია გარღვეულიცაა. ამ უკულმართობის დასამარცხებლად არის, ერთის მეცნიერის სიტყვით რომ ვთქვათ, ორსულად ახლანდელი ჟამთა-ვითარება. ამ მშობიარობის დასაჩქარებლად და გასაადვილებლად იღვწიან და უნდა იღვწოდენ კიდეც საუკეთესო წარმომადგენელნი ახალი თაობისა"[78].

ამჯერად შევჩერდებით უფრო დაწვრილებით ნოე ჟორდანიას მომხრეთა არგუმენტაციაზე.

პოლიტემიგრანტ (ესდეკ) პავლე სარჯველაძის მიხედვით, სამოციანელთა „მხრივ პოლიტიკურ-სოციალური კვლევა-ძიების საფუძველზე წარმოშობილი მიმდინარეობათა იდეური მისწრაფებანი უსათუოდ იყო დემოკრატიული საქართველოს შექმნა. მათი იდეალი არ შეიძლებოდა ყოფილიყო ძველი ფეოდალური წყობილების აღდგენა"[79]. ასე რომ, „მხოლოდ უგუნურთა გააზრებას შეუძლია მესამე დასის პროგრამულ მიმართულებასა და მე-60 წლიანთა შორის დაპირისპირება აღმოაჩინოს"[80].

საერთოდაც, პ. სარჯველაძის აზრით, „მცდარია ის აზრი, თითქოს სოციალური ფაქტორის გამახვილება (!) ეროვნულ-განმათავისუფ-

ლებელ ბრძოლას აჩლუნგებს. ერთა წარმოშობის ისტორია გვიჩვენებს, რომ ეროვნული ბრძოლა ყოველგან სოციალურ იდეალისათვის ბრძოლასთანაა შეერთებული. საფრანგეთის რევოლიუცია (ჩანს, იგულისხმება 1789 – 1794 წლებისა – **გ. ყ.**), 48 წლის ხანა (გერმანიაში – **გ. ყ.**), იტალიის გაერთიანება; ყველა ეს თანამედროვე ერთა შემქმნელი მოძრაობა აღნიშნულია ასეთი ერთობით; აქ ეროვნული ბრძოლა და ბრძოლა ახალი სოციალური ურთიერთობისთვის ერთმანეთში გადადის და ერთმანეთს ფარავს..."[81]. ავტორი ამ აზრს ასაბუთებს აგრეთვე ნოე ჟორდანიას გვიანდელი შეხედულებებით. ისე გამოდის, თითქოს ამჯერად მსგავსი შეხედულებების ესდეკები უწინ სხვა აზრზე არ იდგნენ და სხვანაირად მხოლოდ ქართველი ბოლშევიკები (განსაკუთრებით ფილიპე მახარაძე) ფიქრობდნენ.

მსგავს შეხედულებას უფრო „ფილოსოფიურად" ასაბუთებდა კარლო ინასარიძე (ასევე პოლიტ-ემიგრანტი და ესდეკი). მისი მტკიცე შეხედულებით, „...საქართველოს პოლიტიკური კონიუნქტურის ვითომ კარნახით – ზოგიერთი ქართველი ილია ჭავჭავაძისა და ნოე ჟორდანიას პიროვნებებს იხილავენ არ იმ კონტექსტში, რაც მათ აერთებთ, არამედ ისეთ კონტექტში, რაც მათ თითქოსდა ჰყოფთ. აქ კი არის საწყისი, საიდანაც გამომდინარეობს ამ ორი დიდი პიროვნების მოღვაწეობის მანკიერი განჭვრეტაც"[82]. შეგახსენებთ, რომ კარლო ინასარიძე ამ შემთხვევაში ჭკუას თითო-ოროლა პირს კი არა, არამედ ქართველი საზოგადოებრიობის მნიშვნელოვან ნაწილს (საქართველოში და საზღვარგარეთ) ასწავლის. გამოდის, რომ ილიას და ნოე ჟორდანიას ერთმანეთთან ბევრი რამ საერთო ჰქონიათ, ხოლო თუ რაიმე ჰყოფდათ, ეს მოჩვენებითი ყოფილა.

კარლო ინასარიძის აზრით, ილია საზოგადო მოღვაწე (მხოლოდ ?!) ყოფილა, ნოე ჟორდანია კი – პოლიტიკური (ასევე მხოლოდ?!). ამას მოსდევს ასეთი სახის სოფისტიკა: „– თუ საზოგადოებრივი მოღვაწე – მთელის (ქვეყნის, ერის) ინტერესების დაცვით, ნაწილების (ფენის, კლასის, დაჯგუფების) გამოჯანსაღებას ცდილობს პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდების გარეშე, ხოლო პოლიტიკური მოღვაწე – ნაწილის (მშრომელი ხალხის) ინტერესების დაცვით – მთელის (ქვეყნის, ერის) გამოჯანსაღებას ცდილობს პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდებით, მაშინ საქართველომ, ქარველმა ერმა, საქართველოს ისტორიის ამ ორასი წლის განმავლობაში, – განსაკუთრებით პირველდასელთა, მეორედასელთა და მესამედასელთა დაუნდობელი ბჭობა-დავის პროცესში, ორი ბუმბერაზი პიროვნება

შობა: დიდი საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე და დიდი პოლიტიკური მოღვაწე ნოე ჟორდანია, რომელთა მოღვაწეობის გვირგვინია 1918 – 1921 წლები, ერთიანი და განუყოფელი საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევე-აღდგენისა და განმტკიცების „პატარა ოქროს ხანა"[83].

ამდენად, თუ ამ სტრიქონების ავტორს ვერწმუნებით, „ამგვარად, განსხვავება ილია ჭავჭავაძესა და ნოე ჟორდანიას მოღვაწეობას შორის ეხება მოქმედების „ტაქტიკას" და არა „სტრატეგიას", რადგან ორივე საქართველოს, ქართველი ხალხის დამოუკიდებლობისა და სუვერენობის განხორციელებისაკენ მიისწრაფვოდნენ"[84].

თუმცა კარლო ინასარიძე განსსვავებულობას ხედავდა აგრეთვე ამ ორი ისტორიული პიროვნების აზროვნებაში: „იზიარებდა რა თეორიულ-პრაქტიკული მოქმედებისას დედუქციურ მეთოდს, ილია ჭავჭავაძე „მთელიდან" ერი იხილავდა ერის შემადგენელ „ნაწილებს", ნოე ჟორდანია კი – იზიარებდა რა მოქმედების (?!) ინდუქციურ მეთოდს, ქართველი ხალხის, საქართველოს მთლიანობისაკენ მიისწრაფვოდა „ნაწილებისაგან", ქართველი ერის „ფენობრივი" შემადგენლობისაგან"[85].

ამდენად, „26 მაისი" არის ილიასა და ნოეს დიადი იდეების განხორციელების სიმბოლოც"[86] - მათ შემოქმედებას ავტორი ორივეს ერთნაირად, 'დიდის" ეპითეტით აკობდა[87]. ისინი, ვინც სხვაგვარად ფიქრობდნენ (უნდა ვიფიქროთ, ვინც კვლავ ასე ფიქრობენ) კ. ინასარიძის მიხედვით, „ვითომ-ისტორიკოსებისა" და „ვითომ-მეცნიერების" სახით მოიხსენიებოდა.

ავტორი მზად იყო ნოე ჟორდანიას ადვოკატად დადგომოდა წვრილმან საკითხშიც: „ნოე ჟორდანიას – „დაუნდობელი დავის" დროსაც „ახალმოსულსა" („ივერია", 1900 წელი...) და „კვალს" („კვალი", 1900 წელი...) შორის, როცა „ახალ მოსული" სასტიკათ, ზოგჯერ უხეშადაც ილაშქრებდა მესამე დასელების წინააღმდეგ, – არასოდეს უხეში სიტყვებით არ მიუმართავს ილიასათვის"[88]. გამოდის, რომ ამ ორ ისტორიული პიროვნებას შორის კამათში ზნეობრივადაც ნოე ჟორდანია მომგებიან პოზიციაში ყოფილა. მაგრამ ჩვენ დავერწმუნდებით, რომ საქმე ასე როდი იყო.

კარლო ინასარიძე იგივე თემას შეეხო ნაშრომში „თერგდალეული ილია. ილია ჭავჭავაძე როგორც საზოგადო მოღვაწე" (გამოქვეყნდა 1983 წელს). აქ იგი კიდევ უფრო აღრმავებდა უწინდელ შეხედულებას, როცა აღნიშნავდა: „...დიდი ილიას საპროგრამო დეკალოგს – „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს" „მესამე-

დასელებმა" ეროვნულ-სოციალური სული შთაბერეს – „ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედაბოძი ადამიანის ცხოვრებისა"; გათავისუფლება მთელი ერისა და თვითეული ადამიანის" – რითაც დიდი ილიას „თეორიული" (თესლი) ეროვნულ-სოციალურად გაპოხიერდა (მიწა) და სამოქმედო პროგრამად იქცა, რომელმაც ქართველი ერის, საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მიიზიდა"[89].

კარლო ინასარიძისაგან კელავ დიდი შეგონება ისმის „ურწმუნოთა" მისამართით: „უბადრუკია აგრეთვე იმის მტკიცებაც, რომ „მესამე დასმა" თითქოს „ვერ გაიგო დიდი ქართველი მწერლის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი ხელმძღვანელის ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის მნიშვნელობა..."[90]. ჩემის (და არა მარტო ჩემის) აზრით, სწორედ „მესამე დასმა", უპირველეს ყოვლისა, მისმა დამაარსებელმა და თეორეტიკოსმა ნოე ჟორდანიამ გაიგო, ალლო აუღო დიდი ქართველი თერგდალეული მწერლის ილია ჭავჭავაძის შემოქმედებასა და საზოგადო მოღვაწეობას, და „მცდარ პოლიტიკურ კონცეფციას (კლასთა შერიგების ქადაგება („ივერია", იქვე) პოლიტიკური მოქმედება დაუპირისპირა, ვინაიდან მხოლოდ „ნაწილზე", ქართველი ერის არსებით „ნაწილზე" – მშრომელ ხალხზე დაყრდნობით (?!) შესაძლებელი იყო არა მარტო თვითმპყობელობის დამხობა, არამედ ეროვნული თავისუფლების მოპოებაც, რაც დაადასტურა 1918 წლის 26 მაისმა"[91].

ნოე ჟორდანიას აქებ-ადიდებდა აგრეთვე პოლიტემიგრანტი (უფრო მოგვიანო ხანისა), ესდეკი გიორგი წერეთელი სტატიაში „ნოე ჟორდანიას 120 წლისთავი" (1988). მისი აზრით, ნოე ჟორდანიამ რევოლუციონერ-მარქსისტის გზა აირჩია და ებრძოდა ყველაფერ გაბატონებულს – ავსაც და კარგსაც: ბატონყმობის გადმონაშთებსაც, სოციალურ უსამართლობასაც, მშრომელი ხალხის სოციალურ სიდუხჭირესაც, „მაგრამ აგრეთვე ეროვნულად მეტად სასარგებლო სათავადაზნაურო ბანკსაც და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასაც, რასაც არ შეიძლებოდა არ გამოწვია ეროვნული ინტელიგენციის და მისი მენტორის ილია ჭავჭავაძის რისხვა"[92]. კარლო ინასარიძის მსგავსადვე გიორგი წერეთელიც ამტკიცებდა: „ილია ჭავჭავაძესა და ნოე ჟორდანიას შორის უთანხმოება ტაქტიკაში იყო და არა საბოლოო მიზანში. საბოლოო მიზანი ორივესი იყო ქართველი ხალხის ეროვნული განთავისუფლება, რაც შეიძლება ნაკლები მსხვერპლით"[93]. თუმცა აღიარებდა, რომ ნოე ჟორდანიასათვის მიზნის მისაღწევად ყველაზე უკეთესი საშუალებას

წარმოადგენდა კლასთა ბრძოლა და სოციალური რევოლუცია[94].

გიორგი წერეთელი სვამდა ასეთ კითხვას: „როგორ დამთავრდებოდა პაექრობა ილია ჭავჭავაძესა და ნოე ჟორდანიას შორის? გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ისევე, როგორც დამთავრდა გრიგოლ ორბელიანსა და ილია ჭავჭავაძეს შორის, ე. ი. – დაზავებით და ბოლოს თანამშრომლობით, რაც არაჩვეულებრივად განამტკიცებდა, შიგნით და საერთაშორისო არენაზე, საქართველოს დამოუკიდებლობას, – მაგრამ დიდი ილიას მუხანათურმა" მკელელობამ ეს შესაძლებლობა მოსპო"[95].

მაგრამ ცხადია, რომ იდეური დაპირისპირებულობა ილიასა და გრიგოლ ორბელიანს შორის, 1864 წლის რეფორმის შემდგომ ისეთი ღრმა არა ყოფილა, როგორც ილიასა და ნოე ჟორდანიასა და მის მომხრეებს შორის 1892 – 1893 წლებიდან მოყოლებული, განსაკუთრებით 1905 – 1907 წლებში, რასაც შეეწირა კიდეც დიდი ქართველი მოღვაწე. ხოლო რაც შეეხება მსგავს შესაძლებლობას 1918 – 1924 წლებში, ასეთი წარმოდგენა არარეალურია და შესაბამისი მსჯელობა უნიადაგო გახლავთ.

დაბოლოს, უცხოეთში ნოე ჟორდანიას პიროვნების, დამსახურების არაჩვეულებრივ განდიდებას ხელს უწყობდა სხვათა, არასოციალ-დემოკრატთა გამონათქვამებიც: „მე არ ვიცი, ვინ შესძლებდა მაშინდელ პირობებში, ნოე ჟორდანიას გარდა, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას, როგორ იქნებოდა შესაძლებელი საქართველოს დამოუკიდებლობა, თუ ამას არ ირწმუნებდა ნოე ჟორდანია" (მიხაკო წერეთელი); „ნოე ჟორდანია რომ არ ყოფილიყო, საქართველოს დამოუკიდებლობა იქნებ ვერც კი გამოეცხადებია" (მღვდელი რაფიელ ივანიცკი – ინგილო); „თუ ილია უგვირგვინო მეფე იყო, ბედმა ქართლისამ ნოე ჟორდანიას შუბლზე დაადგა მძიმე გვირგვინი სრულიად საქართველოსი" (პოლიტიკური მოღვაწე გიორგი კერესელიძე). თუ ამ სიტყვებს დავუჯერებთ, მაშინ დასაშვებია ვიფიქროთ ილიასა და ნოე ჟორდანიას დამსახურებათა ტოლფარდობის შესახებ. მაგრამ ამის დაჯერება გულუბრყვილობა იქნებოდა.

ნოე ჟორდანიას სახელის არაჩვეულებრივ განდიდებას თვით საქართველოშიც აქვს ადგილი, რაც უკავშირდება ჩვენში 1989 წელს სოციალ-დემოკრატიული პარტიის აღდგენას. განსაკუთრებით რელიეფურად ეს ტენდენცია გამოჩნდა 1999 წელს გამოცემულ ვახტანგ გურულის წიგნში „ნოე ჟორდანია. პოლიტიკური პორტრეტი 1869 – 1953)"[96], რაზედაც ზემოთ ნაწილობრივ უკვე გვქონდა საუბარი.

ავტორის თქმით, „ნოე ჟორდანიას სამოღვაწეო ასპარეზზე გამოს-

ვლით ახალი ეტაპი დაიწყო ქართველი პოლიტიკური აზროვნების ისტორიაში'[97]. შესაძლოა ეს ასეც იყო, მაგრამ საკითხავია აღმავალი იყო თუ დაღმავალი ეს ეტაპი საქართველოს ცხოვრებაში. მაგრამ ავტორისათვის ასეთი დილემა არ არსებობს: მისი აზრით, ნოე ჟორდანიას აზროვნება და მოღვაწეობა საქართველოს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ასპარეზზე ყოველთვის აღმავლობას უკავშირდებოდა. ამ თვალსაზრისით იგი თურმე რადიკალურად განსხვავდებოდა ფილიპე მახარაძისაგან, რომელიც კერძოდ ჟურნალ „მოგზაურიდან" ისეთი უკადრისი ხერხებით ებრძოდა ეროვნული მოძრაობის მედროშეს, რომ დღესაც კი ბინძური პოლიტიკური ინტრიგის მაგალითად რჩება'[98]. გამოდის, რომ ავტორის დასაცავი, საქმაგო პირი ნოე ჟორდანია თითქოს თავისუფალი იყო მსგავსი უტიფარი გამოხდომებისაგან.

ვ. გურულს და ნ. ჟორდანიასადმი დითირამბულად განწყობილ სხვა პირთ შევახსენებდით ამონარიდებს „მოგზაურში" დაბეჭდილი ნ. ჟორდანიასეული სტატიიდან „ძველ მოღვაწეებში'[99]: „საუკუნოთ იყოს ხსნება მისი"; „იმედი უნდა ვიქონიოთ, მაცოცხლებელი მზის შუქი კიდევ ბევრ ქვეწარმავალს გამოაჩენს მთელი მათი სიგრძე-სიგანით". პირველ ამონარიდში იგულისხმება ილია, ცოცხალი ილია, მეორეში კი მასთან ერთად ნიკო ცხვედაძე. სტატიაში ავტორი ურცხვად იმეორებდა ვასილ ნაცვლიშვილისა და ფილიპე მახარაძის ჭორებს. ბანკიდან წასვლის შემდგომო ილიას: „...დრო და მოცალეობა კი მეტი ექნება, თუნდ საგურამოს მამულის, იმ „დიდი დოვლათის" მოსაწყობად, რომელიც მისთვის სამოთხეა, ხოლო (დღემდინ) მისი გლეხებისათვის ჯოჯოხეთი". ან რასა ჰგავს უკვე მიცვალებული ილიას მიმართ ნ. ჟორდანიას მიერ თქმული სიტყვები: „სადაც ხე იჭრება, იქ ნაფოტებიც სცვივა"-ო...?![100]

ამის შემდეგ სხვა რად, თუ არა ფარისეველობად უნდა ჩაითვალოს ნ. ჟორდანიას სიტყვები: „ყველა ადამიანი არის ღვთის ნაპერწკალი (nota bene: ამას ამბობდა თითქოსდა თავგადაკლული ათეისტი! – **გ. ჯ.**), საჭიროა მისი აღმოჩენა, ან სურვილი მისი აღმოჩენისა. ადამიანს მე ეუცქერი წინასწარი თანაგრძნობით: მისი ავი მაწუხებს, კარგი მახარებს. ამიტომ სრულიად მიუღებელია მისი ჩაქოლვა, მისი დამცირება, წაქცევა.

მიყვარს დამარცხება, წაქცევა გლახა აზრის, გლახა მიმართულების; არ მიყვარს წაქცევა თვით ადამიანის..."[101]

ცხადია, ილიას ნოე ჟორდანიასა და ფილიპე მახარაძის გარდა იდეურად (ჯერჯერობით) მკვლელობამდე სხვებიც ებრძოდნენ. ადვოკატის როლის შემსრულებელი ავტორი დასძენს: „ვფიქრობთ, დროულია დაისვას კითხვა: თუ კი ილია ჭავჭავაძის კრიტიკა ასე

სულგრძელად ეპატია (დავუეიწყეთ) არჩილ ჯორჯაძეს, რატომ ხდება ილია ჭავჭავაძისა და ნოე ჟორდანიას პოლემიკის რეკლამირება ამ უკანასკნელის სახელის გატეხის მიზნით? ჩვენი პასუხი ასეთია: ჯერაც გრძელდება პოლიტიკოსთა ბინძური თამაში, პოლიტიკოსთა ბატონობა ისტორიოგრაფიაზე ჯერაც არ დასრულებულა"[102]. მაგრამ განა ვთქვთათ არჩილ ჯორჯაძეს ეპატიება ილიას ფენომენის ზედაპირული გაგება და აქედან გამომდინარე, ილიას უსაფუძვლო კრიტიკა? ანდა განსხვავებულობა ილიასა და არჩილ ჯორჯაძის ეროვნულ პოზიციებს შორის ისეთივე რადიკალური იყო, როგორც ილიასა და ნოე ჟორდანიას შორის? განა არჩილ ჯორჯაძე ისევე ნიჰილისტურად და უდიერად ეპყრობოდა ილიას? დაბოლოს, მაინც ვინ არიან და რა ძალას ფლობენ ის პოლიტიკოსები, რომლებიც დღემდე განაგრძობენ ბატონობას ქართულ ისტორიოგრაფიაზე და რომელთა გაელენისაგან განთავისუფლება მხოლოდ ვახტანგ გურულმა შესძლო?

მაინც ვ. გურულის „ადვოკატურ-გამოსარჩლებითი მეთოდი" (ივანე ჯავახიშვილის სიტყვები გახლავთ) ზენიტს აღწევს იმის მტკიცებისას, რომ ნოე ჟორდანიამ თურმე „ჩათრევას ჩაყოლა ამჯობნა" და „მესამე დასი" შეიყვანა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის შემადგნელობაში მხოლოდ იმ მიზნით, რომ ამ პარტიაში შესვლით ებრძოლა განსაკუთრებით ვლადიმერ ლენინისა და იოსებ ჯუგაშვილის წინააღმდეგ და ასე გრძელდებოდა 1913 და განსაკუთრებით 1917 წლამდე, როდესაც იგი კელავ დაუბრუნდა ეროვნულ პოზიციას.

მაგრამ, ვიმეორებთ, აღნიშნული მოსაზრება უსაფუძვლოა და სწორედ მოხსენიებული „მეთოდით" აისხნება. იგი (ეს მოსაზრება) არაა საისტორიო წყაროებიდან და ფაქტებიდან იმანენტურად მომდინარე შემეცნების შედეგი, არამედ ზემოდან „ადეკვატურ-გამოსარჩლებითი" პოზიციიდან თავს მოხვეული. ვთქვათ, ქართველი ბოლშევიკები (პოტენციური) ჯერჯერობით რაიმე საფრთხეს წარმოადგენდნენ 1901 – 1902 წლებში, შემდგომში ხომ ისინი ქართულ ისტორიულ სინამდვილეში (რუსეთისაგან განსხვავებით) უაღრესად დაკნინდნენ – არ ჰქონდათ სოლიდური სოციალური დასაყრდენი, მალე გამოკლდათ ლიდერები: ლადო კეცხოველი და ალექსანდრე წულუკიძე, 1907 წლის 17 ივლისიდან კი საქართველო დასტოვა იოსებ ჯუღაშვილმა (სტალინმა). თვითონ ვ. გურული ხომ 1906 წლის მიმართ აღნიშნავს: „ნოე ჟორდანიამ და მისმა თანამოაზრეებმა შესძლეს ის, რომ ბოლშევიკური მიმდინარეობა

სრულიად უმნიშვნელო პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა და თითქმის ვერავითარ გავლენას ვერ ახდენდა მოვლენათა განვითარებაზე. ბოლშევიზმი ასე საფუძვლიანად რუსეთის იმპერიის არც ერთ ნაწილში, არც საკუთრივ ველიკოროსიაში და არც კოლონიურ მხარეებში არსად დაუსამარებიათ. ეს იყო ნოე ჟორდანის დიდი დამსახურება საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის წინაშე"[103]; „1908 წლისათვის საქართველოში აღარ ფუნქციონირებდა არც ერთი ბოლშევიკური ორგანიზაცია თუ ჯგუფი. იოსებ ჯუგაშვილის თბილისიდან წასვლის შემდეგ (1907 წ.) ქართველი ბოლშევიკები მიმოიფანტნენ, ზოგიერთმა მათგანმა ბაქოს შეაფარა თავი"[104]. მაშ ასეთ შემთხვევაში რა უშლიდა ხელს ნოე ჟორდანიას ეროვნულ პოზიციას დაბრუნებოდა უკვე 1906 – 1907 წლებში, რა აიძულებდა მას ეს ეკეთებინა უდიდესი სიფრთხილით, ნაწილ-ნაწილ უკანდახევით მომდევნო წლებშიც კი?

ყოველივე აღნიშნულს უნდა დავმატოს ვ. გურულის მიერ შესაბამისი პერიოდის საქართველოს ისტორიის ელემენტარული ფაქტების უცოდინარობაც. მრავალთაგან ამჯერად მხოლოდ ერთზე შევაჩერებთ მკითხველთა ყურადღებას. როდესაც 1900 წლის იანვარში „მესამე დასის" სულიერი მამა – გიორგი წერეთელი გარდაიცვალა, „ილია ჭავჭავაძე გ. წერეთლის ცხედარს არ დამშვიდობებია, ეს ამბავი „კვალელებმა" ილია ჭავჭავაძეზე ხელახალი თავდასხმის საბაბად გამოიყენეს. როგორც ჩანს, თერგდალეულთა ლიდერის პოზიციით ნოე ჟორდანიაც ძალზე განაწყენდა"[105]. მაგრამ ამ დროს ილია ხომ ბაქოში იმყოფებოდა თბილისის სათავადაზნაურო ბანკის ბაქოს სააგენტოს საქმიანობის რევიზიისათვის, 16 იანვარს კი იგი აქ დაესწრო პანაშვიდს, რომელიც გადაიხადეს ბაქოში მცხვრებმა ქართველებმა გიორგი წერეთლის დაკრძალვის დღეს[106].

ნოე ჟორდანიას გაგება-შეფასების საკითხში ბევრად უფრო ზომიერი, რეალისტური პოზიცია უკავია ისტორიკოს-პოლიტოლოგოსს ვაჟა შუბითიძეს, რომელიც თავის სადოქტორო დისერტაციაში აღნიშნავს: „კლასობრივი ბრძოლის მნიშვნელობის გაზვიადებამ და არასწორმა წარმოდგენამ, რომ „ეროვნული ზრდა არ არის კლასთა ბრძოლის გარეშე" ქართულ საზოგადოებას საკმაოდ დიდი ზიანი მიაყენა და განვითარების სწორ გზას მნიშვნელოვნად ააცილა. ეს განსაკუთრებით გამოიკვეთა ეროვნულ საკითხთან მის მიმართებაში. კლასობრივი ბრძოლა 1898 წლიდან (მანამდე – გ. ყ.) ნოე ჟორდანიამ

და სოციალ-დემოკრატიულმა დაჯგუფებამ „მესამე დასმა" წინა პლანზე დაეყენეს, რასაც ეროვნული საკითხის ფაქტიურად დღის წესრიგიდან მოხსნა მოჰყვა. ეროვნული საკითხის ფაქტიური უგულებელყოფა ნოე ჟორდანიას და მესამე დასელთა შეცდომა იყო"[107].

დავასკვნით: ნოე ჟორდანიას არაჩეულებრივი განდიდება უსაფუძვლო მცდელობაა. აქედან გამომდინარე, ასეთივე გახლავთ მის დამსახურებათა გატოლების მცდელობა ილიას ეროვნულ ღვაწლთან. 1918 – 1921 წლების დამოუკიდებელი საქართველოს განცალკევებულ არსებობაში გადამწყვეტი იყო იმდროინდელი მსოფლიო-სიტორიული ქარტეხილები (რუსეთის ჯარების მარცხი, გერმანიის დროებითი სამხედრო წარმატებანი, შესაბამისად, რუსეთის საიმპერიო ხელისუფლების კონტროლის დაკარგვა ამიერკავკასიაზე, კერძოდ საქართველოზე). შექმნილ ისტორიულ სიტუაციაში ასევე მოწინავე, ეროვნული ძალების დაწოლის შედეგად, ნოე ჟორდანია და მისი მომხრეები იძულებულნი შეიქნენ საქართველოს დამოუკიდებლობის, ე. ი. ილიასეულ გზაზე დამდგარიყვნენ.

ცხადია, ნოე ჟორდანია საქართველოს ოკუპაცია-ანექსიის შემდგომაც თავგამოდებით იბრძოდა და მისი მსგავს დამსახურებათა დავიწყება არ ეგების. ფრიად ნიშანდობლივია შემდეგი ფაქტი. 1924 წლის აგვისტოს აჯანყების წინ ნოე ჟორდანიამ საქართველოში მოქმედი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტს პარიზიდან გამოუგზავნა წერილი, რომელშიც წინადადებას იძლეოდა, რომ პარტიას რუსი ოკუპანტების წინაღმდეგ ბრძოლის ერთიანი ფრონტის შექმნის მიზნით დაევიწყებინა უთანხმოებანი და შეექმნათ ყველა პარტიისაგან შემდგარი ბლოკი („დაივიწყეთ ყველა პარტიული უთანხმოება, დაივიწყეთ ყველაფერი, რაც განგასხვავებთ თქვენ სხვა პარტიებისაგან. მთავარია განდევნოთ ბოლშევიკები, ხოლო პარტიულ უთანხმოებაზე ლაპარაკს მოვასწრებთ")[108]. ნამდვილად ბრძნული შეგონებაა, რომელიც ადეკვატური გახლდათ შექმნილი მძიმე ისტორიული სიტუაციისა. მაგრამ ხომ ანალოგიური იყო საქართველოს ვითარება 1801 წლიდან მოყოლებული, მათ შორის ილიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ჟამს? გამოდის, რომ ისტორიის გამოწვევას, რომელიც კარნახობდა ელემენტარულ საღ აზრს, ქართველმა ესდეკებმა დიდი ხნის მანძილზე სათანადო პასუხი ვერ გასცეს.

ნოე ჟორდანია ილიასთან კამათში აღნიშნავდა: „ჩვენი მსაჯული ისტორიაა"-ო (სხვა ადგილას: „პირუთვნელმა ისტორიამ უნდა გამოიტანოს თავისი განაჩენი"). მსგავსი ვერდიქტი ისტორიამ უკვე

დიდი ხნის წინათ გამოიტანა და, ცხადია, ილიას სასარგებლოდ. ამ მხრივ ისტორიული ჭეშმარიტების დადგენა ძალზე ადვილია, თუ, რასაკვირველია, პარტიულ პოზიციასა და „ადვოკატურ-გამოსარჩლებით" განწყობა-განწყობილებებს შევეშვებით. აეს რომ, ბევრ მხრივ მართალი გახლდათ ცნობილი ეროვნულ-დემოკრატი შალვა ამირეჯიბი, რომლის აზრითაც: "...საქმე გვაქვს ჰეგელისებურ ტრიადასთან, რაც ქართულის სინამდვილის მიხედვით ასეთს ფორმულაში ჩამოისხმება: ილია ჭავჭავაძე – ჟორდანია – ისევ ილია ჭავჭავაძე!"[109].

დიდმა სიმართლემ გაიმარჯვა და იგი ქართველთა ცნობიერებაში აღარასოდეს არ გამრუდდება!

§ 4 ილიასა და არჩილ ჯორჯაძის პოლემიკა

„სამუდამო ამ ჩვენს ცოდვილს მიწაზე არაფერი არაა. შეიძლება დროთა მსვლელობაში წოდებრი-ეობაც მოისპოს და სოციალისტური ერთობაც დამყარდეს. მაგრამ ეს ძალიან შორეული მომავლის ამბავია და მე ნაკლებად მაინტერესებს, რა იქნება ორასი-სამასი წლის შემდეგ. მე წინ ვიყურები უფრო ახლო და ვხედავ, რომ ის გზა, რომელზედაც ახალგაზრდობა სდგება, კარგს არაფერს გვიქადის. თქვენ გინდათ წოდება წოდებაზე აამხედროთ, კლასი კლასზე, ეს-კი დაღუპვას უქადის ჩვენს ერს".

ილია.

ილიას ნოე ჟორდანიასთან ცხარე პოლემიკის მომდევნო, 1901 წელს ჟურნალ „მოამბის" მეექვსე-მეათე ნომრებში ილიას კრიტიკით გამოვიდა იმხანად დამწყები ავტორი, შემდეგში კი ცნობილი მოაზროვნე, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, სოციალისტურ-ფედერალისტური პარტიის ლიდერი არჩილ ჯორჯაძე. რასაკვირველია, მისი გამოსვლა დიდი მოღვაწის წინააღმდეგ განსხვავდებოდა ნოე ჟორდანიას მიერ ილიას გაგებისა და კრიტიკისაგან. ავტორი შორს იდგა ნ. ჟორდანიასათვის დამახასიათებელი კატეგორიულობისა და მასებზე ზემოქმედების (დემაგოგიის) სურვილისაგან. აკი თვითონ ავტორიც აღიარებდა, რომ ნოე ჟორდანია სტატიაში „ქართული პრესა" იძლეოდა ნიმუშს „მიდგომილი" და ცალმხრივი ლიტერატურული ნაწარმოებისა"[110].

არჩილ ჯორჯაძე ცდილობდა ასე თუ ისე გაეგო ილიას მოღვაწეობის არსი და აქედან გამომდინარე, უფრო ობიექტურად, „ლიბერალურად" შეეფასებინა იგი. სტატიაში „ილია ჭავჭავაძე, როგორც პუბლიცისტი" არჩილ ჯორჯაძე თავშეკავებით,

მოკრძალებით წერდა: „მხოლოდ ჩვენი სურვილია ცოტად მაინც შევუმსუბუქოთ შრომა მომავალ ისტორიკოსს და ამ წერილების საშუალებით მივცეთ მას საჭირო მასალა საგნის მიუდგომელად დასაფასებლად. ჩვენ წინდაწინვე ვიცით, რომ ამ ჩვენს წერილს თავისი ნაკლულევანება ექნება, ვიცით, რომ სისრულით ვერ შევასრულებთ ჩვენს შრომას და საგანს ვერ შევეხებით სრულის სივრცე-სიგანით"[111], თანაცო „ამჟამად ჩვენ არ ვეხებით ილია ჭავჭავაძის ახალი „ტიპის" (თითქოსდა 1887 წლიდან მოყოლებული - **გ. ყ.**) ნაწერებს. მომავალი ისტრიკოსი უფრო ზედმიწევნით გამოარკვევს ამ კითხვას"[112]; „რასაკვირველია, ავტორის დახასიათება სრული ვერ გამოგვივიდა – ვგონებთ, უდროოდ იქნებოდა ამგვარი დახასიათება, რადგან იმედი გვაქვს, ჩვენ მწერალს არ დაუმთავრებია ჯერ-ჯერობით თავისი სალიტერატურო მოღვაწეობა"[113].

არჩილ ჯორჯაძის შეხედულებით, ილიასა და მისი მომხრეებისათვის მთავარი გახლდათ განმარტება ორი აზრისა: ბატონ-ყმობის უარყოფისა და ეროვნული ეინაობისა. ილიას სოციალურ-პოლიტიკურ ორიენტაციას იგი ახასიათებს ლიბერალიზმად, რაც, რასაკვირველია, დიდად განსხვავდება ნოე ჟორდანიასეულ და ძმათა მისთა შესაბამისი შეფასებისაგან – „რეაქციული", „კონსერვატიული" (სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით). ყოველივე ამის გამოო „არ შეიძლება არა ვსთქვათ, რომ მისი პირველ ხანის ეროვნული პროგრამა არამც თუ არ ეწინააღმდეგებოდა ჩვენს დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობას, პირიქით, იგი სრული გამომსახველია ამ მდგომარეობისა.

ამისათვის ჩვენ თითქმის შეუცვლელად ვიღებთ მას სახელმძღვანელოდ. მხოლოდ ამ პროგრამას უნდა დავუმატოთ მის (პროგრამის) და ჩვენი დროის შესაფერი ეკონომიური მოძღვრება, იმგვარი სოციალური ცხოვრების განმარტება, რომელიც ხშირად ეწინააღმდეგება ილია ჭავჭავაძის ეკონომიურ შეხედულებას"[114].

არჩილ ჯორჯაძე სწორად შენიშნავდა: „საკვირველია, მგონი, არსად არ უნდა იყოს გაკვრცელებული ესოდენ ცალმხრივი უსამართლო დაფასება კაცისა, როგორც ჩვენში. თუ რომელსამე კაცს ერთ კითხვაში (საკითხში – **გ. ყ.**) არ ვეთანხმებით, არ შეგვიძლიან, რომ სხვა კითხვებში დავეთანხმოთ, თუნდაც ეს სხვა კითხვები სწორედ ისე ჰქონდეს გაგებული, როგორც ჩვენ გვესმის. თუ ერთ რამეში არ მოგვწონს კაცი, ჩვენ ვცდილობთ, ყოველ ღონისძიებასაც ვხმარობთ დავაქვეითოდ, დავსცეთ და ფეხქვეშ გავთელოთ ადამიანი"[115] და პირიქით – ერთ საკითხში თანხმობის

არჩილ ჯორჯაძე

გამოისობით ყველაფერში ვეთანხმებოდეთო. ავტორი ამ შემთხვევაში, ალბათ, უპირველესად კვლავ ნ. ჟორდანიას მხრივ ილიას ტოტალურ განქიქებას გულისხმობდა.

რაკი ილია უარყოფდაო „წოდებრივ ბრძოლას" საქართველოს წარსულში, წინააღმდეგია მემამულეთაგან მიწების ჩამორთმევისა, ამდენად იგი თითქოს „ამართლებს წოდებრივ წყობილებას და ექომაგება ერთი წოდების ეკონომიურ უპირატესობას"[116]; „მისი უმთავრესი მიზანი თავადაზნაურობის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება და გამოსწორებაა, რაც ეწინააღმდეგება უმრავლესობის, ჩვენი მწარმოებლების ინტერესებს"[117].

ამგვარ გამონათქვამებს მოსდევდა ილიასადმი უსაფუძვლო შეგონება: „ეს იქიდანაც წარმოსდგა, სხვათა შორის, რომ ჩვენს ავტორს არ ჰქონდა ზედმიწევნით შეგნებული თანამედროვე ეკონომიურ ცხოვრების მოძრავი ხასიათი, არა ჰქონდა გათვალისწინებული მრეწველობის მომავალი როლი, მისი მნიშვნელობა პროფესიონალურ კლასების (?!) დაარსებაში და ხალხის სიმდიდრის მოძრაობაში. ჭავჭავაძის ყურადღებას მარტო სოფელი იწვევდა"[118].

რაც შეეხება ბანკის საკითხს, „ილია ჭავჭავაძე ყოველთვის იყო და არის თავადაზნაურთა ბანკების მოსარჩლედ"[119], მაშინ როდესაც „ყოველი დაწესებულება, ყოველი ზომა, რომელიც უმცირესობის ინტერესს ემსახურება, მავნებელს (!) დაწესებულებად, მავნე ზომად უნდა მიგვაჩნდეს"[120]. გამოდის, რომ არჩილ ჯორჯაძის შეხედულებით, ბანკი „არ იყო საერთო, საყოველთაო საქმე და ძალიან სამწუხაროა, რომ ილია ჭავჭავაძის ჭკუა, ცოდნა-გამოცდილება, მჭერ-მეტყველება, მხნეობა „პატარა საქმეში" დაიქსაქსა და შთაინთქა"[121]; „ამოდენა სულიერი ძალა რომ მოხმარებოდა ჩვენს დავრდომილ ერს, ჩვენი ავტორის მომდევნო თავობის (!) ერთ ნაწილში აღარ დაიბადებოდა უიმედო წუხილი და სასოწარკვეთილება და ის მავთული, რომელიც ეხლა შეწყვეტილია ახალ და ძველ თავობის შორის, გაბმული იქნებოდა, ჩვენი ძალ-ღონე გაერთიანებული, ჩვენი მოქმედება შეთანხმებული"[122]. ეს კი ნამეტანია და სრულიადაც არ შეეფერებოდა ავტორის მაღალ ინტელექტს. იგივეს ვიტყოდით არჩილ ჯორჯაძის აზრზე, რომ ილია „უნდა ჩაითვალოს თუ არ წინამძღოლად, ამ (ძველი – **გ. ყ.**) თაობის ერთ საუკეთესო წარმომადგენლად მაინც"[123].

არჩილ ჯორჯაძე მზად იყო ეღიარებინა ილია როგორც ლიბერალ-რადიკალი, რომელიც ხელმძღვანელობს რა

საზოგადოებრივი ინტერესით[124], მომხრეა კერძო საკუთრების პრინციპის შესწორების და შეკვეცის საჭიროებისა და პროგრესული გადასახადების შემოღებისა. მაგრამ ავტორის აზრით, ეს როდია საკმარისი. იგი წერდა: „ჩვენ კი გვგონია, რომ საერთო კეთილდღეობა მოითხოვს ახალ საზოგადოების დაფუძნებას, იმგვარ საზოგადოებისა, რომლის არსებობა შრომაზედ იქნება დამყარებული"[125].

თითქოს ეს ილიასეულ იდეალი არ გახლდათ!

არჩილ ჯორჯაძის ვერც ამგვარი განცხადება გვაჯერებს: „ილია ჭავჭავაძეს არა აქვს მკაფიოდ დაყენებული დემოკრატიული პრინციპი"[126]; ახალმა თაობამ კი „უნდა დემოკრატიულ ნიადაგზედ ააშენოს ეროვნული კეთილდღეობა"[127]. ასევე გაუგებარია არჩილ ჯორჯაძის შემდეგი მოსაზრება: „ის ფარხმალი, რომლითაც ესარჩლება ავტორი (ილია – **გ. ყ.**) ხალხს, ომში გამოუსადეგარია, რადგან არა ჰკლავს ნამდვილ მიზეზს ხალხის დაქვეითებისას და ძირ-ფესვიანად არ არღვევს წოდებათა შორის ქონებრივ უთანასწორობას"[128].

თუ არჩილ ჯორჯაძის კრიტიკულ გამოსვლას (ილიას მიმართ) ჩავუკვირდებით, შევნიშნავთ მისთვის ჩვეულ კომპრომისულ პოზიციას. ამის მაგალითები სტატიაში „ილია ჭავჭავაძე, როგორც პუბლიცისტი" საკმაოზე მეტია.

თითქოს ნოე ჟორდანიასეულ სტატიაში „პრესა", მიუხედავად მიკერძოებულობისა, „ზოგიერთი მართალი მოსაზრებანიც არის გატარებული"[129]. პირადად ჩვენ ამისა ძალიან გვეეჭვება, ყოველ შემთხვევაში არჩილ ჯორჯაძე არ შეჩერებულა საკითხზე თუ რაში მდგომარეობდა ეს სიმართლე.

აშკარა უაზრობაა მტკიცება იმისა, რომ ილიასეული ეროვნული პროგრამა „არც უნდა ეწინააღმდეგებოდეს თვით „კეალის" პუბლიკაციებსაც"[130].

ერთი მხრივ, თითქოს როდესაც ილია ამართლებდა წოდებრივ წყობილებას, „ამის გასამართლებელი საბუთიც ჰქონდა, რადგან ჩვენი ქვეყანა სოფლური ქვეყანაა"[131]; „ჩვენი სოფელი მართლაც დიდის და განსაკუთრებულის ყურადღების ღირსია. ჭავჭავაძის ცალმხრივობა იმაში კი არ არის, რომ აქცევდა ყურადღებას ქართულ სოფელს, არამედ იმაში, რომ მარტო სოფლისაკენ იყო მიმართული მისი გულის ყური"[132]. მაგრამ მეორე მხრითო „მხოლოდ ავტორს უნდა დაენახა, რომ სოფელთან ერთად იბადება და ისახება იმგვარი ეკონომიური ნიადაგი, საიდანაც წარმოსდგება სრულებით ახალი და საქართველოში

უცნობი ფაქტორი წარმოებისა და მოძრაობისა – აღებ-მიცემობის გაძლიერება. მრეწველობის აღორძინება, ფულის გაბატონება და ამის საშუალებით სოფლის ძველებურ მებატონის ხარისხის ჩამორთმევა და დაქვეითება"[133]. თითქოს ილია მთლად ჩამორჩა ცხოვრებას და ვერ ამჩნევდა ახალ თავჩენილ მოვლენებს. მაგრამ, აქვე ხომ აღნიშნულია: „თუმც ამას ვერ ვიტყვით, რომ ვითომ მრეწველობის და აღებ-მიცემობის საჭიროება (ილიას – გ. ყ.) არა ჰქონდა გაგებული და გათვალისწინებული"[134].

არჩილ ჯორჯაძე ამასთანავე შენიშნავდა: „ჩვენ არ ვეთანხმებით ერთგვარ სოციალურ მოძღვრებას, რომელიც გვაუწყებს სოფლის გადაგვარებას და გაქალაქების საჭიროებას"[135]. სათავადაზნაურო ბანკების კრიტიკისას იგი აღნიშნავდა, რომ თუმცა „მართალია, ჩვენებურ ბანკებს საზოგადოებრივ საქმეს ანდომებენ – სკოლა იყო ეგ საქმე, გაზეთი თუ თეატრი"[136], რასაც, როგორც ვიცით, ვერა და ვერ ხედავდა ნოე ჟორდანია, მაგრამ მეორე მხრივ, როგორც დავინახეთ, არჩილ ჯორჯაძეც მათ წოდებრივ დაწესებულებებად თვლიდა.

ერთი მხრივ, როგორც უკვე აღვნიშნავდით, თითქოს ილიას არ ჰქონია მკაფიოდ დაყენებული დემოკრატიული პრინციპი, მაგრამ ამასთანავე ავტორი წერდა: „ჩვენ არ ვამბობთ, რომ ის შეურიგებელი მტერია დემოკრატიზმისა, არც იმას ვამბობთ, რომ ხალხის მტერია ჩვენი ავტორი. ჩვენ ვნახეთ, რომ ჭავჭავაძე მუდამ ხალხის კეთილდღეობის ზრუნვასა და ფიქრშია"[137].

ამნაირი კომპრომისული აზრები, ლავირება ილიასეულ დასსა და ესდეკებს შორის, ცხადია, არ გამოეპარებოდა ილიას მახვილ თვალს (და გონებას). მალე 1902 წლის № 21-ე „ივერიაში" (გამოვიდა 27 იანვარს) მან დაბეჭდა სტატია „გომართელის ფილოსოფია და არჩილ ჯორჯაძის ფსიხოლოგია". ილია მასში ვითომდაც გამოგონილ ადრესატს, მაგრამ სინამდვილეში საზოგადოებრიობას, არჩილ ჯორჯაძეს ასე აცნობდა: „ხომ იცი, ვინა ბრძანდება ბ-ნი არჩილ ჯორჯაძე? ეს ის ახალი კაცია, რომელიც მარტო იმის ფიქრსა და ცდაშია, რომ ახლებსაც აამოს და არც ძველები მოიმდუროს. ამიტომაც ამისთანაებში ასე ბრძნულად იტყვის ხოლმე: ძველები, მართალია, მიხვდნენ, მაგრამ საქმე ახლებსავით კარგად ვერ გამოშიგნეს, გულ-ღვიძლი კარგად ვერ გაუჩხრიკესო; მიხვედრა ძველებისაა, გამოჩხრეკა – კი ახლებისაო"; „აქ უნდა კელავ არჩილ ჯორჯაძის ფილოსოფია მივაშველოთ გომართელის ფილოსოფიას, თორემ გზა-კვალს ვეღარ გავიგნებთ. არჩილ ჯორჯაძის ფილოსოფიით – ძველებმა ხომ მარტო ალღოს აღება იცოდნენ და საქმის კეთება-კი ახლების უნარია. საქ-

მე ის არის, რომ ძველებს არა სცოდნიათ საიდამ მისდგომოდნენ ოჯახს, რომ სამუდამოდ დაექციათ, თუმც ალღო-კი აღებული ჰქონიათ"[138].

დაბოლოს, ილია დიდი ირონიით წერდა: „ეხლა სწორედ გითხრა, არ ვიცი – რომელი უფრო დიდი მეცნიერია და რომელი უფრო წინ მირბის „საზოგადოებრივ იდეალებისაკენ" – ბ-ნი გომართელი, თუ ბ-ნი არჩილ ჯორჯაძე? ეს კი ვიცი, რომ ეს მეოცე საუკუნე ჩვენ, ქართველებს, კარგს ეტლსა და ეარსკვლავზე დაგვეებადა: ხუმრობაა, ორი ამისთანა კაცი მოგვეელინა, როგორც ფილოსოფოსი გომართელი და ფსიხოლოგოსი ჯორჯაძე"[139].

1902 წლის 8 და 9 თებერვალს არჩილ ჯორჯაძემ გაზეთ „ცნობის ფურცელში" გამოაქვეყნა სტატია: „ძველი წესის" სულთ-ბრძოლა". ილიასა და მისი დასის მისამართით ავტორი ხმარობდა სიტყვებს: „ძველი წესი" (იგულისხმება ცხოვრებისა), „კონსერვატორები", „რეაქცია" (ოღონდ ბრჭყალებში), მასში აღნიშნულია, რომ „ახალმოსული", ე. ი. ილია „მთავარ იარაღად იყენებს გესლიან დაცინვასა და ულმობელ ოხუნჯობას".

არჩილ ჯორჯაძის ამ გამოსელას ილია გამოეხმაურა „ივერიის" 10 თებერვალს გამოსულ ნომერში (№ 34). აქაც, ისევე როგორც ნოე ჟორდანიას კრიტიკასთან დაკავშირებით, აღნიშნულია: „წაჯეგ-უკუჯეგობა", „თქმა და იმავე დროს „უკუთქმა"; ლოგიკური წინააღმდეგობა: „თან ამბობს, რომ „ძველი წესი" მკვდარია, და თანაც იგი „ჰფიქრობს, მოძრაობს და იღვწის"-ო.

ამავე წლის 19 თებერვალს „ცნობის ფურცელშივე" დაბეჭდილ სტატიაში არჩილ ჯორჯაძე „პლებსთან" (ნიკო ხიზანიშვილი) ერთად აკრიტიკებდა ილიასაც. ამის საპასუხოდ ილია (კვლავ „ახალ-მოსულის" ფსევდონიმით) 22 თებერვალს „ივერიაში" დაბეჭდილ სტატიაში („არა-პატარა საუბარი") არჩილ ჯორჯაძეს ამხელდა სხვათა აზრების მისაკუთრებაში (პლაგიატში), კერძოდ ბროკჰაუზ-ეფრონის ენციკლოპედიიდან[140]. საპასუხოდ ოპონენტის შესიტყვებისა „ძველი წესის ბატონობას მაშინ ეღებაო ბოლო, როცა სცდილობს თავის თავის გამართლებას", ილია მიუგებდა: „ეაშ სხვა რომ არა ვთქვათ რა, მარქსსა და ენგელსს დიდი ხანია ბოლო მოღებული ჰქონიათ, რომ მთელი ორმოცი და მეტი წელიწადი ოფლს იწურავდნენ იმის ცდაში, რომ თავისი აზრები და მოძღვრებანი გაამართლონ".

ცნობილი სოციალისტ-ფედერალისტი სამსონ ფირცხალავა (1872 – 1952) მოგვითხრობს, რომ როდესაც გაზეთ „საქართველოს" გამოსაცემად შევიკრიბეთო (თხუთმეტიოდე კაცი), ზოგიერთები მო-

თხოვდნენო, რომ ახალი პარტიის პროგრამაში არ ყოფილიყო სოციალიზმის ხსენება. მაგრამ ამას წინ აღუდგა დამსწრეთა უმეტესობა, მათ შორის არჩილ ჯორჯაძეც, რომელიც „მეოდგრად იცავდა იმ დებულებას, რომელიც ასე ახასიათებს მთელს მის მოძღვრებას: მისთვის განუყოფელი იყო ქართველი ერის და მშრომელი ხალხის ინტერესები"[141]. აქვე აღნიშნულია არჩ. ჯორჯაძის მოსაზრება, რომ ხალხის კეთილდღეობისათვის აუცილებელია როგორც ეროვნული განთავისუფლება, ისე სოციალური სამართლიანობის დამყარება ეროვნულად განთავისუფლებულ ერში (გვ. 69).

ყოველივე ზემოაღნიშნული გვიხსნის იმას, რომ მიუხედავად საქართველოს ავტონომიის მოთხოვნისა, შესაბამისად რუსეთის იმპერიის ფედერაციად გარდაქმნისა, ილია კრიტიკულად იყო განწყობილი კერძოდ არჩილ ჯორჯაძისადმი. კრიტიკული დამოკიდებულება გამომდინარეობდა იქიდან, რომ სოციალისტ-ფედერალისტებისაგან განსხვავებით, ილიას შეხედულებით კერძო საკუთრება კიდევ დიდ ხანს იქნებოდა საზოგადოების „ქვაკუთხედი" და აგრეთვე იქიდანაც, რომ ილია არჩილ ჯორჯაძეს კომპრომისულ პიროვნებად თვლიდა.

თავის მხრივ აღნიშნული გარემოება გასგებს ხდის ცნობილი სოციალისტ-ფედერალისტის თედო სახოკიას შემდეგ მოგონებას. 1903 წლის ზაფხულში, როცა ის-ის იყო გამოვიდა (პარიზში) საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ორგანო „საქართველო", პარტიის ტფილისის კომიტეტის ერთ-ერთ კრებაზე გადაუწყვეტიათ, რომ პეტრე ყიფიანი, ვალერიან გუნია და თეიმონ თედო სახოკია ილიას სწვეოდნენ საგურამოში. თუ უკანასკნელი მოიწონებდა აღნიშნული პარტიის მიზანს, ეთხოვა შეძლებულ ქართველთათვის, უპირველეს ყოვლისა დავით სარაჯიშვილისათვის, ფინანსური დახმარება. ილიას მათთვის გულდასმით მოუსმენია, მოუწონებია ავტონომიის იდეა, საკუთარი ორგანოს გამოცემის საჭიროებაც და უთქვამს: „მხოლოდ კაცი დამისახელეთ, კაცი, ვინც შესძლებს ასეთს მძიმე საქმეს გაუძღვესო. თუ რასაკვირველია, შესაფერისი კაცი გეყოლებათ, ქონებრივად უზრუნველგყოფთო"[142]. დაუსახელებიათ არჩილ ჯორჯაძე. ილიას სახით გამოუხატავს, რომ ეს არ მოსწონებია. თედო სახოკია დასძენს: „ცხადი იყო ილია იმ პოლემიკის გავლენის ქვეშ იყო, რომელიც იმის წინად ატეხილი იყო „ივერიასა" და „ცნობის ფურცელს" შორის (არჩ. ჯორჯაძესა და ნიკო ხიზანაშვილის შორის)"[143].

როგორც უნდა იყოს, ნამდვილად საწყენია ამგვარი დაპირის-

პირებულობა ილიასა და არჩილ ჯორჯაძეს – ამ ორ გამოჩენილ ქართველ მოაზროვნესა და საზოგადო მოღვაწეს შორის. მაგრამ მსგავსი დაპირისპირების ძირები კიდევ უფრო ღრმა იყო. თუ ერთი მხრივ ილია, ცხადია, დიდად თანაუგრძნობდა საქართველოს ავტონომიის იდეას, მეორე მხრივ იგი სხვა მოსაზრებისა იყო ე. წ. რეალური სოციალიზმის შესახებ, რისკენაც თავისი გზით ესწრაფვოდნენ ქართველი სოციალისტ-ფედერალისტები (ესდეკების მსგავსად).

აღნიშნულია თაობაზე დიდად უპრიანი იქნება გიორგი ლასხი'შვილს –ცნობილ სოციალისტ-ფედერალისტს მოუსმინოთ. მას ილიასაგან, პირადი საუბრისას, მოუსმენია (ჩანს, 1896 წელს): „თქვენ რომ ოცნებობთ, იმისთანა თანასწორობის, ერთობის და ძმობის, უმაღლესი სამართლიანობის სამეფო ჯერ ძალიან შორს არის, არა თუ რუსეთისათვის, არამედ განათლებულ და განვითარებულ ინგლისისა და საფრანგეთისთვისაც"[144]. მემუარისტი განაგრძობს: „...ილიას ვერ დავუმტკიცეთ, რომ ეს საკონსტიტუციო რეჟიმი[145], მხოლოდ ეტაპია, საფეხურია, რომლის საშუალებით განთავისუფლებული კაცობრიობა უფრო მაღალსა და სამართლიანს სამეფოს დაამყარებს. ილია ნაღვლიანის ღიმილით გვიპასუხებდა ხოლმე: – „ჯერჯერობით, ეგ ნამდვილი ოცნება და ზღაპარია. ყოველ შემთხვევაში, ისეთი შორეული ამბავია, რომ სანამ პავლე მოვა, პეტრეს ტყავს გააძრობენო"[146].

როგორც ვხედავთ, დიდი ქართველი უპირველესად თავისი ქვეყნის ინტერესებიდან ამოდიოდა, მას დიდად აწუხებდა გაუძლებდა თუ არა თავისი სამშობლო („პეტრე") სამართლიანი საზოგადოების („პავლეს") მოსვლამდე).

ილიას აშინებდა აგრეთვე ის პერსპექტივა, რომ სოციალიზმის დამყარებისათვის ბრძოლა საქართველოში გამოიწვევდა წოდებათა, კლასთა დაპირისპირებას. ეს მან გამოხატა სიტყვებში, რაც ამ თავს პარაგრაფად აქვს წამძღვარებული. იგივე საფრთხე მომდინარეობდა მიწის სოციალიზაციის პროგრამიდან, რაც მალე სოციალისტ-ფედერალისტებმა რუსი ესერებისაგან აიღეს.

ბოლოს ილია დასძენდა: „რუსეთში რევოლუცია ჯერ კიდევ ძალიან შორს არის. ხოლო თვითმპყრობელობის დაცემა და საკონსტიტუციო რეჟიმის დამყარება სახეიროს ჩვენ, ქართველებს, არას მოგვცემს. ჩვენთვის სჯობია კანონიერ ფარგლებს შევეგუოთ და დაველოდოთ, ჩვენი ეროვნული ვინაობა შევინახოთ. ამ მიზნისათვის ბრძოლა საჭიროც არის და ამგვარი ბრძოლისათვის

ჩვენ პატარა ერს ძალაც შესწევს"[147]. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, როდესაც რუსეთის იმპერიაში რევოლუცია დაიწყო, ილია მკვეთრად გარდაიქმნა, თითქოს ახალგაზრდული ენერგია დაუბრუნდა და მოქალაქეობრივი, პატრიოტული თავგანწირვის იშვიათი მაგალითი მოგვცა. როგორც უკვე დავინახეთ, უპირველესად სწორედ ამგვარ შემართებას შეეწირა იგი.

დაბოლოს, თუ მოვლენებს მთლიანობაში განვიხილავთ, გვექნება საფუძველი დავასკვნათ, რომ დაპირისპირებულობა ერთი მხრივ ილიას, მის მომხრეებსა და მეორე მხრივ სოციალისტ-ფედერალისტებს შორის, არჩილ ჯორჯაძის მოთავეობით[148] ბევრად უფრო ნაკლები იყო, ვიდრე პირველთა და სოციალ-დემოკრატებს შორის (ცხადია, ამათ რიგებშიც იყვნენ ისინი, ვინც ილიას თანაუგრძნობდა ეროვნულ საკითხში). მით უმეტეს ითქმის ეს ეროვნულ-დემოკრატების მიმართ, ასევე უპარტიო ინტელიგენციის ნაწილი (ივანე ჯავახიშვილის თავკაცობით). ასე რომ, ნოე ჟორდანიას „დასი" არ გამოხატავდა მთელ თაობას, რომელიც საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ასპარეზზე 1890-იან წლებში გამოვიდა. ამდენად, ჩვენი საქმე სულ მთლად არ დაღუპულა და მაინც, ასე თუ ისე, გამართლდა დიდი წინაპრის აზრი: „რაც გინდა სთქვით, როგორც გინდა მოიქეცით, ოღონდ ახალთაობის წმინდა სახელს ნუ მოჰფენთ უკადრისს ქცევასა, უკადრისს სიტყვასა. ახალი თაობა სხვა არის, სხვა ნუგეშია, სხვა იმედია. ყველა ჩხავანა ახალი თაობა არ არის. ახალი თაობა გონიერებაა, ახალი თაობა პატიოსნებაა, ახალი თაობა ცოდნაა, მეცნიერებაა, ახალი თაობა საქმეა და არა ჩხავილი. ვისაც ყოველივე ეს ცოტად თუ ბევრად არა სჭირს, შორს მანძილს ვერ გაირბენს მარტო იმითი, რომ ბალღები ატყუოს, – ახალი თაობის კაცი ვარო... ახალი კაცი ძლიერია თავისის აზრით, მსჯელობით, ცოდნით. იგი თავმოსაწონებელს სახელს ახალის კაცისას მართლა-და ახალის აზრით, მსჯელობით და ცოდნით დაიმსახურებს და არა ყვირილით და ფიცით, ღმერთმანი, ახალი კაცი ვარო"[149].

დიდად უპრიანია აქვე მოვიგონოთ ვაჟა-ფშაველას აზრიც, ილიას დაღუპვის ხანებში რომ გამოსთქვა: „ვიმედოვნებთ მხოლოდ იმითი, გვრჩებიან სხვა ახალგაზრდებიც, რომელთაც არ უღალატეს ილიას ანდერძს; საქართველოს ბედიღბალს თავს ევლებიან და „საგონებლად" გაჰხდომიათ თავიანთი დაჩაგრული, დაბეჩავებული, შეურაცხყოფილი ეროვნება"[150].

ამ სიტყვებშიც, ცხადია, 1890-იან – 1900-იან წლებში საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსული ახალი თაობის პატრიო-

ტული, ინტელექტუალური ნაწილი იგულისხმება. რასაკვირველია, ამ რიგს ამ'შვენებს არჩილ ჯორჯაძეც, ასევე კიტა აბაშიძე, ზურაბ ავალიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი და სხვანი, მაგრამ, ყველაზე მეტად, ჩვენი მტკიცე შეხედულებით, ივანე ჯავახიშვილი – ილიას შემდგომ მისი საქმის ყველაზე გამოჩენილი გამგრძელებელი[151].

§ 5 ილიასა და იოსებ ჯუგაშვილის (სტალინის) ურთიერთმიმართება

„დრო მოვა, როცა ყველასათვის ცხადი იქნება, როგორც ორჯერ-ორი ოთხი, რომ თუ კაცი თავისას გადაუდგა, სხვისას ვერ უერთგულებს. ეს ჭეშმარიტება დღეს ცოტამ თუ იცის და ხვალე ბევრს ეცოდინება და მაშინ ვაი თავის ვინაობაზედ გულაცრუებულს, გულგრილს და ხელაღებულს!".

„თუ ადამიანს თავისი ვინაობა არარად მიაჩნია, მაშინ იმ ადამიანში ადამიანური რაღაა? დრო გამოიცვლება, დრო მოვა, როცა თავისის ვინაობიდან გადამდგარი კაცი ყველასაგან შერისხული იქნება, როგორც, ულირსი..."

„ერის უტყუარს მსჯავრს ვერა კაცი ვერ წაუვა, რაც უნდა სახელგანთქმული იყოს და შემძლებელი".

ილია.

თუ ნოე ჟორდანიამ, მიუხედავად დიდი შეცდომებისა, საქართველოს აღმავალ განვითარებაში, დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ბრძოლაში მაინც დადებითი როლი ითამაშა, იოსებ ჯუგაშვილის (სტალინის) როლი საქართველოს ისტორიაში უკიდურესად უარყოფითი გახლავთ. სწორედ იგი იყო ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობისა და ჩვენი ქვეყნის ბოლშევიზაცია-სოვეტიზაციისა. ამდენად, თითქოს სერიოზული საფუძველი არ უნდა ჰქონდეს „ხალხთა დიდი ბელადის" კულტის გაფურჩქვნას საქართველოში. მაგრამ ასე როდი მოხდა; რაკი ბევრი ქართველის აზრით, ქართველთაგან სწორედ სტალინი შეეიდა ყველაზე თვალსაჩინოდ მსოფლიო ისტორიაში (დავით აღმაშენებელი, გიორგი ბრწყინვალე, ილია და სხვანი უფრო ეროვნული მასშტაბის მქონენი არიან), ამიტომაც თითქოს იგი უფრო დიდ თაყვანისცემას იმსახურებს. მოცემულ შემთხვევაში არად დაგიდევენ სტალინის ნამდვილ როლს

იოსებ(სოსო) ჯუგაშვილი(სტალინი)

საქართველოს უახლოესი ხანის ისტორიაში, განვითარებაში, მეტიც, თვით მსოფლიო-ისტორიულ პროცესში. მითუმეტეს ისტორიის ახლანდელი გადასახედიდან, საბჭოური, ბოლშევიკურ-კომუნისტური „ფორმაციის" დამსხვრევის შედეგად ხომ ყველაფერი ცხადი უნდა იყოს. მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ ვაწყდებით სოციალური (ეროვნული) ფსიქოლოგიის მყარ სტერეოტიპს, რომლის მოშლა-დამსხვრევა ლოგიკის, არგუმენტაციის გზით ფრიად ძნელი გახლავთ.

ასევეთვე ფსიქოლოგიის მიხედვით, მსგავსად განწყობილ ქართველთა შორის ბოგინობს შეხედულებაც, რომლის მიხედვითაც ილია და იოსებ სტალინი ერთნაირად დადებითად აღიქმება, რაც აშკარად ალოგიკურია. ილია, მოგეხსენებათ, იბრძოდა საქართველოს ნამდვილად პროგრესული განვითარებისათვის საერთოდ, მათ შორის ეროვნული თავისუფლებისათვის. სტალინი კი მოქმედებდა ვითომდაც ასევე პროგრესის სახელით, ოღონდ საქართველოზე რუსეთის ისტორიის, შემდგომ მსოფლიო ისტორიის (ე. წ. მსოფლიო სოციალისტური სისტემის) ზეგავლენის მეშვეობით. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ილია იღვწოდა მამულის (სამშობლოს), ენის, სარწმუნოების (რელიგიის) დასაცავად, სტალინის ორიენტირები კი ამ მხრივ სულ სხვანაირი იყო.

არა თუ ქართველთა ფართო მასების, თვით ინტელიგენციის დიდი ნაწილის წარმოდგენითაც კი, ილიასა და სტალინს ერთმანეთთან ლამის იდეალური ურთიერთობანი ჰქონიათ. მოაქვთ ის ფაქტი, რომ ილიამ თავის „ივერიაში" დაბეჭდა იოსებ ჯუგაშვილის (იმხანად სოსელოს) ხუთი ლექსი[152]. პირველად, 1895 წლის 14 ივნისს დაიბეჭდა მშვენიერი ლექსი „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი" („ივერია", №123), მეორედ, 22 ოქტომბერს – „როდესაც ბადრად მნათობი მთვარე" („ივერია", № 203), მესამედ, 11 ოქტომბერს – „მთვარეს" („ივერია", № 218). შეგახსენებთ, თუ როგორი მკაცრი, მომთხოვნი გახლდათ ილია ახალგაზრდა, დამწყები პოეტების მიმართ, რაც კარგად ჩანს სტატიიდან „პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთ" (დაწერილია 1886 წელს). მასში ეკითხულობთ: „ჩვენდა სამწუხაროდ და დამწერთა არა-სასიქადულოდ, ათასში ერთი ძლივს გამოდგება ისეთი, რომელსედაც შესაძლო არ იყოს სამართლიანად თქმა: რაზედ მომცდარა დამწერიო"[153].

კიდევ უფრო მკაცრად ლაპარაკობდა საკითხზე ილია უფრო უწინ, 1861 წელს დაწერილ "პასუხში": "მეც იმიტომ ესე პირდაპირ ველაპარაკობ, რომ ვინც წინდაუხედავად ბღაჯნის, აღარა ბღაჯნოს;

რადგან იგინი თავის ბლაჯნითა ამდაბლებენ ჩვენს ენას. მე იმისთვის ვლაპარაკობ ეგრე სასტიკად, პირმოუფერებლად, რომ უნიჭონი და ამასთან უსწავლელნიც თავის ოთახიდგან ფეხს ნუ გამოდგამენ გარეთ, ლიტერატურაში; ამას ვთხოვთ ხალხის სახელითა, ხალხისვე სახელის დაცვისათვის!"[154].

დაბოლოს, თუ რა სიძნელე ჰქონდა გადასალახავი დამწყებ ავტორს მსგავსი თემების დაბეჭდვის გზაზე, ეს ჩანს ცნობილ ლიტერატორ იპოლიტე ვართაგავას მოგონებიდან. თურმე ილია „ივერიის" თანამშრომლებს ურჩევდა: „თუ ლექსში შეგხვდეთ სიტყვები – ფიგურა, ვარდი, ბულბული, მთვარე და ამისთანები, ბოლომდე ნულარ წაიკითხავთ, გვერდზე გადააგდეთ, დროს ნუ დაკაგრავთ. ეს ლექსი კი არ იქნება, არამედ უსაქმო კაცის ნაცოდვილარი, ლექსად ნაჯღაბნი"[155].

რაც მართალია მართალია: ყმაწვილი ჯუგაშვილის ეს ლექსები უთუოდ იმსახურებდნენ მკაცრი მსაჯულის აღიარებას! შესაძლებელია ილიას როგორც რაფიელ ერისთავის საიუბილეო კომიტიტის წევრის წყალობით მოხდა, რომ დამწყები, იმხანად იმედისმომცემი პოეტი იუბილეზე გამოიყვანეს (1895 წლის 22 ოქტომბერს)[156]. აქ წარმოთქმული ლექსი „თ. რ. ერისთავს" დაბეჭდილ იქნა ერთი კვირის შემდეგ „ივერიაში" (№234). 25 დეკემბრის ('შობის დღის!) ნომერში დაიბეჭდა „ამ ქვეყნად იგი, ვით ლანდი..." („ივერია", № 280).

მაგრამ იოსებ ჯუგაშვილის მეექვსე ლექსი „მოხუცი ნინიკა" (სოზელის ფსევდონიმით) დაისტამბა გაზეთ „კვალში", 1896 წლის 28 ივლისს (№ 32) გიორგი წერეთლისა და ფილიპე მახარაძის ხელდასხმით. ცნობილია რომ ამ დროს (17 მაისიდან) „ივერიის" რედაქცია დახურული იყო. უცნობია მანამდე ავტორმა ილიას მიუტანა ლექსი და მან არ დაბეჭდა, თუ ეს ლექსი 17 მაისის შემდგომ იქნა დაწერილი.

ქართველი საბჭოთა ისტორიკოსები და მისთანანი კიდევ უფრო შორს წავიდნენ, მიიჩნევდნენ რა, რომ ქართველი „მენშევიკებისაგან" განსხვავებით, „ჩვენებური ბოლშევიკები" იშვიათი გამონაკლისის (ფილიპე მახარაძის) გარდა ჩვენი დიდი წინაპრისადმი დიდ გაგებას, ყოველ შემთხვევაში დიდ შემწყნარებლობას იჩენდნენ. მაგრამ ასეთი წარმოდგენა ყოვლად უნიადაგოა. უკვე დაწყებული გაზეთ „ბრძოლიდან", რომელიც ლადო კეცხოველის, ალექსანდრე წულუკიძისა და იოსებ ჯუგაშვილის ერთობლივ შემონაქმედს წარმოადგენდა, ილიას სახელი აგდებულად მოიხსენიებოდა[157]. ალექსანდრე წულუკიძის „თხზულებაში" ვხვდებით ასეთ ადგილებს:

„...დიდი „სამშობლოს დარაჯის" – ილია ჭავჭავაძის ლოცვა-წყევლამდე – კერძოდ აქაც ვერაფერი უპოვია, რაც თანამედროვე ცოდნას ეთანხმებოდეს, „მოცვეთილ გრძნობას" გასცილდებოდეს, „ცნობიერ" კრიტიკას ეთანხმებოდეს"[158]; „მსურს ვიპოვო რომელიმე გონიერი, მეცნიერული „ევროპიული" მსჯელობა, მაგრამ პაწია თ. სახოკიას „თერმონიიდან" დაწყებული დიდ „სამშობლოს დარაჯის" – ი. ჭავჭავაძის ლოცვა-წყევლამდე, ვერაფერი მიპოვნია, რაც თანამედროვე ცოდნას ეთანხმებოდეს, მოცვეთილ გრძნობას გასცილდებოდეს, ცნობიერ კრიტიკას ემსგავსებოდეს"[159].

თუკი აღნიშნულ აშკარა ფაქტებს იგნორირებენ, მით უფრო უარყოფენ ი. სტალინის შეფარვით გამოთქმულ უდიერ დამოკიდებულებას (მიმართებას) ილიასადმი. ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის მკვლევარი მიხეილ გაფრინდაშვილი წერდა: „რაც შეეხება იოსებ ჯუგაშვილს (სტალინს), იგი გაკვრითაც კი არ შეხებია ილია ჭავჭავაძეს მაშინ როცა მესამედასელები ილიას ეკამათებოდნენ, შეიძლება იმიტომ რომ დუმილს იგი მაშინაც კრიტიკის ფორმად თვლიდა, თუმცა ამჯერად ისეთი კრიტიკისა, რომელიც არსებითად განსხვავდებოდა ილიას მსოფლმხედველობის და შემოქმედების ხელაღებით უარყოფისაგან. პ. საყვარელიძის, მ. ჭიაურელის და დ. კაპანაძის შემდეგდროინდელი მოგონებანიც ამას მოწმობს"[160].

მაგრამ მოდით შევეშვათ გვიანდელი პერიოდის, განსაკუთრებით 1936 – 1937 წლების, შემდგომი ხანის შესაბამის ფაქტებს და შევეცადოთ აღვადგინოთ ი. ჯუგაშვილის (სტალინის) ადრინდელი სათანადო შეხედულებანი. ჩვენ არ შევეხებით თავდაპირველ ორ სტატიას, რომელიც კარგა ხანია მსოფლიო ისტორიოგრაფიაში შემჩნეულია, რომ სტალინს არ ეკუთვნის (ჩვენი მტკიცე შეხედულებით, ლადო კეცხოველისაა) და დავიწყოთ „ბელადის" პირველი ნამდვილი, უტყუარი სტატიიდან „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი?" (დაიბეჭდა 1904 წლის 1 სექტემბერს გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლის" მე-7 ნომერში. სტატია ხელმოწერილია).

რამდენადაც ილიასა და იოსებ ჯუგაშვილის (სტალინის) ურთიერთობის საკითხი დიდ ინტერესს აღძრავს და იგი (საკითხი), ვიმეორებთ, ისტორიკოსთა და მისთანათა მიერ ფრიად გაბუნდოვანებულია, განვიხილოთ გამოწვლილვით აღნიშნული სტალინისეული სტატია. ჯერ დავიწყოთ თავისებური ისტორიზმით, რომლითაც ავტორი იწყებს სტატიას: „ყველაფერი იცვლება... იცვლება საზოგადოებრივი ცხოვრება და მასთან ერთად იცვლება

„ნაციონალური საკითხიც" (nota bene: ბოლო ორი სიტყვა ბრჭყალებშია ნახმარი – გ. ყ.). სხვადასხვა დროს სხვადასხვა კლასები გამოდიან ბრძოლის მოედანზე, – ყველა კლასს კი თავისებურად ესმის „ნაციონალური საკითხი". მაშასადამე, „ნაციონალური საკითხი" სხვადასხვა დროს სხვადასხვა ინტერესებს ემსახურება, სხვადასხვა ელფერს იღებს იმის მიხედვით, თუ რომელი კლასი და როდის წამოაყენებს მას"[161]. ასე რომ, არავითარი დადებითი მნიშვნელობა არა ჰქონია ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომელიც აუცილებელია დაჩაგრული, დამონებული ხალხის (ერის) განსათავისუფლებლად!

ავტორი არ შეხებია მსგავს სიტუაციებსა და მოძრაობებს, რომელთაც საქართველოს ისტორიაში უწინ ჰქონდათ ადგილი და იწყებოდა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობით (უწინ რომ ეუფემისტურად „შეერთებით" მოიხსენიებდნენ). იგი აღნიშნავდა: „იყო ჩვენში, მაგალითად, ეგრეთწოდებული, თავადაზნაურობის „ნაციონალური საკითხი", როცა „საქართველოს რუსეთთან შეერთების"[162] შემდეგ – ქართველმა თავადაზნაურობამ იგრძნო, თუ რა საზარალო იყო მისთვის ძველი პრივილეგიებისა და ძლიერების დაკარგვა, რომლებიც მას ქართველი მეფეების დროს ჰქონდა, იუკადრისა „უბრალო ქვეშევრდომობა" და მოინდომა „საქართველოს განთავისუფლება". ამით მას უნდოდა „საქართველოს" (მაინც რა შუაშია აქ ბრჭყალების ხმარება?! – გ. ყ.) სათავეში ქართველი მეფეები და თავადაზნაურობა დაეყენებინა და, ამგვარად, მათთვის გადაეცა ქართველი ხალხის ბედ-იღბალი! ეს იყო ფეოდალურ-მონარქიული „ნაციონალიზმი". ვერც ერთი შესამჩნევი კვალი ვერ დაამჩნია ამ „მოძრაობამ" ქართველების ცხოვრებას, ვერც ერთი ფაქტით ვერ ისახელა თავი, თუ მხედველობაში არ მიეიღებთ ქართველი თავად-აზნაურების ზოგიერთ შეთქმულებას რუსი მმართველების წინააღმდეგ კავკასიაში"[163]. როგორც ვხედავთ, აქ იგნორირებულია ქართლის მთიანეთის, კახეთის, იმერეთის ორი, გურიის აჯანყებანი, და ხაზგასმულია ქართველ თავად-აზნაურობათა ზოგიერთი (1832 წლისა ანდა 1802 წლის (თუკი ამის არსებობის თაობაზე სტალინმა იცოდა (!) შეთქმულება – ე. ი. ეროვნული პროტესტის ბევრად უფრო დაბალი ფორმა, ვიდრე აჯანყებაა. რაკი ასეთი დასაწყისი და გაშლა-განვითარება ჰქონია აღნიშნული ხასიათის „ნაციონალურ საკითხს", მით უფრო საეჭვალო აღმოჩენილა მისი შემდგომი ბედ-იღბალი: „საკმარისი იყო ოდნავ მოხვედროდა საზოგადოებრივი

ცხოვრების ტალღები ამ ისედაც სუსტ „მოძრაობას", რომ ძირიანად დაენგრია იგი. და, მართლაც, საქონლის (!) წარმოების განვითარებამ, ბატონყმობის გადავარდნამ, სათავადაზნაურო ბანკის დაარსებამ (უნდა იყოს ბანკები, მოგეხსენებათ ორი ასეთი ბანკი გვქონდა – **გ. ყ.**), კლასთა ანტაგონიზმის გაძლიერებამ ქალაქსა და სოფელში, სოფლელი ღარიბების გაღონიერებულმა მოძრაობამ და სხვა ამისთანებმა – სასიკეთილო ლახტი (!) დაჰკრა ქართველ თავადაზნაურობას და, მასთან ერთად, „ფეოდალურ-მონარქიულ ნაციონალიზმს"[164].

ამის შემდგომ „ქართველი თავადაზნაურობა ორ ჯგუფად გაიყო. ერთმა მათგანმა უარყო ყოველიეე „ნაციონალიზმი" და ხელი გაუწოდა რუსეთის თვითმპყრობელობას, რომ სამაგიეროდ მიეღო მისგან თბილი ადგილები, იაფფასიანი კრედიტი და სასოფლო-სამეურნეო იარაღები, რომ მთავრობას უზრუნველეყო იგი სოფლის „ბუნტოვშჩიკებისაგან" და სხე"[165]. ამ პუნქტში იოსებ ჯუგაშვილი მართალი იყო, მაგრამ ფანტასტიურია მისი შეხედულება: „ხოლო მეორემ – უფრო სუსტმა ჯგუფმა ქართველი თავადაზნაურობისამ – დაიმეგობრა ქართველი ეპისკოპოსები და არქიმანდრიტები და, ამგვარად, კლერიკალიზმის კალთას შეაფარა ცხოვრებისგან დევნილი „ნაციონალიზმი" (!). ეს ჯგუფი დიდი გატაცებით ანახლებს დანგრეულ ქართულ ეკლესიებს (ეს მთავარი მუხლია მისი „პროგრამისა") – „ნაშთებს ძველი დიდებისას" და მოწიწებით ელის სასწაულს, რომელმაც უნდა განახორციელოს მისი ბატონყმურ-მონარქიული სურვილები.

ამნაირად, ფეოდალურ-მონარქიულმა ნაციონალიზმმა თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში კლერიკალური ფორმა მიიღო"[166].

ვიმეორებთ, მსგავსი ჯგუფისა და პროგრამის არსებობა იმჟამინდელ საქართველოში ძალზე არარეალურია. მაგრამ მთავარი ამ შემთხვევაში ის გახლავთ, რომ ილია და მისი თანამებრძოლები აღნიშნულ სოციალურ კატეგორიაშია ნაგულისხმევი. გამოდის, რომ ჩვენი დიდი ეროვნული მოღვაწე სამღვდელოების დასთან ერთად ეკლესიების განახლებითა და შენებით იყო დაკავებული. მაშ სადაა ილიას როგორც "საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევრის ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის უპოპულარესი საზოგადო მოღვაწის" როლი?"

სტალინის აზროვნებაში იგი მხოლოდ გვიან პერიოდში გაჩნდა[167].

ეროვნული საკითხის განვითარების შემდგომი პერიპეტიები სა-

ქართველოში ასეთი ყოფილა: „ამასთანავე თანამედროვე საზოგადოებრივმა ცხოვრებამ წამოაყენა ჩვენში ბურჟუაზიის ნაციონალური საკითხი. როცა ნორჩმა ქართველმა ბურჟუაზიამ იგრძნო, თუ რა ძნელია მისთვის თავისუფალი კონკურენცია „უცხოელ" (!) კაპიტალისტებთან, ქართველი ნაციონალ-დემოკრატების (?!) პირით ატიტინდა დამოუკიდებელ საქართველოზე. ქართველ ბურჟუაზიას უნდოდა საბაჟო წრე შემოეველო ქართული ბაზრისთვის, ძალით გაედევნა ამ ბაზრიდან „უცხოელი" (!) ბურჟუაზია, ხელოვნურად აეწია საქონლის ფასები და ასეთი „პატრიოტული" ხრიკებით ლელო გაეტანა გამდიდრების მოედანზე.

ასეთი იყო და არის მიზანი ქართველი ბურჟუაზიის ნაციონალიზმისა!"[168].

ვიმეორებთ, ქართველი ბურჟუაზიის ინტერესების გამომხატველნი თავდაპირველად „ნაციონალ-დემოკრატები" (კვლავ ბრჭყალებში – **გ. ყ.**) (იხ. აგრეთვე იქვე, სხვაგანაც) იყვნენ. ესენი თურმე შეეცადნენ ქართველი პროლეტარიატის მიმხრობას, მაგრამ სხვადასხვა ეროვნების მუშების ერთობლივმა გამოსვლამ „თავზარი დასცა ჩვენს ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს და ბრძოლის ველიდან გააძევა ისინი"[169]. ი. სტალინის მიხედვით ილია ამ „პოლიტიკურ გაერთიანებაში" არ უნდა იგულისმებოდეს. ასევე უნდა ითქვას სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაზე, რომელშიც ავტორის თქმით გაზეთ „საქართველოს" ჯგუფთან, ანარქისტებთან, ესერებთან ერთად ნაციონალ-დემოკრატებიც შედიოდნენ.. მაგრამ ბურჟუაზიული ნაციონალიზმი სუსტდება იმითაც, რომ ეკონომიკური განვითარების შედეგად იქმნება კავშირ-ურთიერთობანი ქართველი ბურჟუზიის მოწინავე წრეებსა (!) და „რუსეთს" შორის.

საბრძოლო ასპარეზზე ახალი კლასის – პროლეტარიატის გამოჩენასთან ერთად დაბადებულა მისი „ნაციონალური საკითხიც". მტკიცე ბოლშევიკ-ლენინელ იოსებ ჯუგაშვილის შეხედულებით, კერძოდ ქართველ მუშებს, ქართულ სოციალ-დემოკრატიას უნდა ებრძოლა სხვადასხვა ეროვნული წარმოშობის მუშებთან ერთად მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ამდენად ქართული საზოგადოების სხვადასხვა ნაწილების შეერთება, რისთვისაც ილია და ერის მოწინავე შვილები იბრძოდნენ, აბსოლუტურად გამორიცხული იყო. შესაბამისად, ასეთი სახის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, ავტორის მიხედვით, ქიმერას წარმოდგენდა და მხოლოდ ქართველი ბურჟუაზიის ინტერესებს შეესაბამებოდა. ერთი მხრივ, რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ნაწილების ბურჟუაზია და მეორე

მხრივ მეფის თვითმპრობელობა ერთიან მუშათა კლასს ერთმანეთისგან სთიშავდა. ამავე მიმართულებით მოქმედებდა ბუნდი – პოლონეთის, ლიტვისა და რუსეთის ებრაელობის პარტია,რომელიც ჰქადაგებდა ებრაელთა სხვადასხვა სოციალური ფენის გაერთიანებულ მოქმედებას.

კიდევ მეტი, ი. სტალინის აღნიშნულ ნაშრომში ერთიან ერზე ლაპარაკის შესაძლებლობაც კი გამოირიცხებოდა. მაგალითისთვის მას მოჰქონდა სომხობა, რომელიც სოციალურად ბურჟუაზიად და პროლეტარიატად ითიშებოდა, რაც თითქოს პირწმინდად გამორიცხავდა მათი ინტერესების ერთობას, საერთოდ, რაიმე ერთიანობას. „თუ ამ გზაზე სიარულს გავაგრძელებთ, – წერდა ავტორი, – ადრე თუ გვიან იძულებული ვიქნებით დავასკვნათ, რომ „ნაციონალური" (!) და კიდევ სხვა „განსხვავებანი" (!), მაგალითად, სომეხი პროლეტარისა ისეთივეა, როგორც სომეხი ბურჟუაზიისა, რომ სომეხ პროლეტარიატსა და სომეხ ბურჟუაზიას ერთნაირი ხასიათი და ზნე-ჩვეულება აქვთ, რომ ესენი ერთ ხალხს, ერთ განუყოფელ „ნაციას" შეადგენენ. აქედან დიდი მანძილი აღარ არის „საერთო მოქმედების ნიადაგამდე", რომელზედაც 'უნდა შედგნენ ბურჟუები და პროლეტარები და მეგობრულად ხელი გაუწოდონ ერთმანეთს, როგორც წევრებმა ერთი და იმავე „ნაციისა"[170]. ამ უაზრო შეხედულებას ავსებს მეორე არგუმენტი: „შეუძლია სომეხ პროლეტარიატს „ღვიძლი შვილი იყოს თავის ტომისა", როცა ერთი ნაწილი ამ ტომისა – სომეხი ბურჟუაზია – ობობასავით სწუწნის მას სისხლს, და მეორე ნაწილი კი – სომეხი სამღვდელოება – გარდა იმისა, რომ სისხლსა სწოვს, სისტემატურად ურყვნის მას შეგნებას?"[171]. ასევე, „არავითარი „ნაციონალური სული" არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს"[172]. ასე რომ, მსგავსი მტკიცებით თითქოს ამაოდ ირჯებოდა ავსტრო-მარქსიზმის თვალსაჩინო თეორეტიკოსი ოტო ბაუერი.

რასაკვირველია, სტალინისეული ლოგიკით იგივე ითქმის ქართველობაზეც, რომელიც სხვადასხვა ნაწილებისაგან შედგებოდა, და ამდენად სოციალური, ეროვნული მთლიანობა არ იყო. საერთოდო, საშიშია „ვიწრო ნაციონალური სიმები, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობს რუსეთის ერთა პროლეტარებში"[173]. „იმის მაგიერ, რომ პროლეტარიატის კლასობრივი თვითშეგნება წინ წაგვეწია, ჩვენ უკან დავწევთ და განსაცდელში ჩავაგდებთ მას"[174], თუკი ეროვნულ ინტერესებზე და ერთიანობაზე გავამახვილებთ ყურადღებას. და კვლავ რეფრენივით მეორდება სიტყვები: **„თავისთავად აღებულს** (კურსივი ავტორისაა – **გ. ჟ.**) ეგრეთწოდებულ „ნაციონალურ ინ-

ტერესებს" და „ნაციონალურ მოთხოვნებს" განსაკუთრებული ფასი არა აქვს, რომ ეს „ინტერესები" და „მოთხოვნები" ყურადღების ღირსია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი წინ სწევენ, ან შეუძლიათ წინ წასწიონ პროლეტარიატის კლასობრივი თვითშეგნება, მისი კლასობრივი განვითარება"[175].

მომავალი „ხალხთა დიდი ბელადის" მიხედვით, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამა, რომელიც 1903 წელს, მეორე ყრილობაზე, იქნა მიღებული, თითქოს სავსებით დამაკმაყოფილებელი იყო. საოლქო თვითმმართველობა კერძოდ კავკასიის მასშტაბით ხომ ითვალისწინებდა მშობლიური ენის უფლებებს (სკოლებსა და სახელმწიფო დაწესებულებებში), ბუნდოვანი დაპირება – „სახელწიფო კონსტიტუცია შეუძლიათ გამოიყენონ ადგილობრივი პირობების მიხედვით"[176] თითქოს იძლეოდა ერთა განვითარების გარანტიას. მაგრამ ილიასეული ეროვნული პროგრამა ხომ ბევრად მეტს მოითხოვდა – საქართველოს პარლამენტს, ცხადია, როგორც უპირველესად საკანონმდებლო ხელისუფლებას და მთავრობას. რსდმპ II ყრილობაზე მიღებული პროგრამის ეროვნული საკითხის შესახები ნაწილი რომ დიდი არაფერი იყო, შემდეგში ეს ქართველმა მენშევიკებმაც გაიცნობიერეს.

ი. სტალინის შეხედულებით, ეროვნული პრობლემის მსგავსი სახით გადაჭრა საკმარისი გახლდათ, „ეგრეთწოდებული" (!) „საბოლოო" გადაჭრა „ნაციონალური საკითხისა", ე. ი. „განთავისუფლება" რუსეთის „უცხო" ერებისა, საზოგადოდ რომ ვთქვათ, შეუძლებელია იმ დრომდე, სანამ პოლიტიკური ბატონობა ბურჟუაზიის ხელშია"[177]. ერთი სიტყვით, გამეორებულია კარლ მარქსის ძველი მცდარი შეხედულება, თუმცა ისტორიულმა განვითარებამ აჩვენა, რომ იტალიისა და გერმანიის განთავისუფლება, გაერთიანება სწორედ ბურჟუაზიის მეთაურობით გახდა შესაძლებელი.

ავტორს მოჰქონდა ორი არგუმენტი იმის დასამტკიცებლად, რომ აღნიშნული გარემოება შეუძლებელი იყო: 1) იმდროინდელი ეკონომიკური პროგრესი თანდათან სდებდა ხიდს რუსეთსა და არარუსულ მხარეებს შორის და ამის საფუძველზე ერთმანეთთან აკავშირებდა შესაბამისი ერების ბურჟუაზიის „ხელმძღვანელ წრეებს", რითაც ნიადაგი ეცლება მათს „ნაციონალურ-განმათავისუფლებელ" მისწრაფებებს[178] და 2) „რომ ეგრეთწოდებულ „ნაციონალურ-განმათავისუფლებელ" მოძრაობას, საერთოდ რომ ვთქვათ, მხარს

არ დაუჭერს პროლეტარიატი, რადგან ყველა ასეთი მოძრაობა დღემდის ბურჟუაზიის სასარგებლოდ ხდებოდა, და პროლეტარიატს კლასობრივ თვით შეგნებას ურყვნიდა და უმახინჯებდა"[179].

ავტორი არ გამორიცხავდა შესაძლებლობას, რომ მომავალში რუსეთის იმპერიაში შემავალი ჩაგრული ერების ბურჟუაზიას მოენდომებინა „ნაციონალური განთავისუფლება" (!)[180], და რომ „შესაძლებელია აგრეთვე, რომ ასეთი მოძრაობა სასარგებლო დარჩეს პროლეტარიატის კლასობრივი თვითშეგნების განვითარებისათვის"[181]. შესაბამისად ამისა, სტატიაში დაშვებულია შესაძლებლობა ერების გამოსვლისა რუსეთის იმპერიის შემადგენლობიდან: „დაე თვით ერებმა გადაჭრან, როცა კი საჭიროება მოითხოვს მათგან, სასარგებლოა მათთვის თუ საზარალო „ნაციონალური დამოუკიდებლობა", და თუ სასარგებლოა, რა ფორმაში უნდა განხორციელდეს ეს? მხოლოდ მათ შეუძლიათ ამ კითხვის გადაჭრა!"[182]. მაგრამ თუ რას წარმოადგენდა ვ. ლენინისა და ი. სტალინის მხრივ მსგავს შემთხვევაში დემოკრატიის „დაშვება", ამის სიყალბე იმთავითვე ჩანდა, შემდგომში კი, რომ იტყვიან, ბრმათათვისაც კი ნათელი გახდა. ამით გამოჩნდა ისიც, რომ კერძოდ ქართველი ერის მსგავსი უფლება, თუნდაც რეფერენდუმის გზით მისი გამოხატვა, არაფერს, აბსოლუტურად არაფერს არ ნიშნავდა. ახალმა, ნეოიმპერიალისტურმა რუსეთმა სოციალისტური რევოლუციის ნიღბით ეს უფლება ფეხქვეშ უწყალოდ გათელა![183]

„აწ პირველსა სიტყვასა მოვიდეთ" და დავასკვნით, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის ფონზე, ილიასა და მის თანამოაზრეთა დიდი ძალისხმევა, ქართველობის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ახალგაზრდა სტალინის ცნობიერებაში არაფერს არ წარმოადგენდა. როდესაც იგი მსგავს აბდაუბდას 'ამტკიცებდა", თუმცა მარქსიზმისა და დიალექტიკის სახელით, მთავარ სამიზნედ, რასაკვირველია, ილია ჰყავდა, თუმცა მისი ფარისეველური ბუნებიდან გამომდინარე, ამას აშკარად არ აღიარებდა. მისადმი ვითომდაც დადებითი განწყობა, ასე ეთქვათ „უკანა რიცხვით" დადგა 1930-იანი წლების შუახანებში და ასეთი წარმოდგენა, დიდად სამარცხვინოდ, ქართველ ისტორიკოსებსა და მისთ., გადააქვთ წარსულში.

იმდროინდელი საქართველოს ერთ-ერთი მწვავე საკითხთაგანი იყო აგრარული პრობლემა. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წაქეზებით გლეხკაცობა, კერძოდ საქართველოში, მიწების მემამულეთაგან პირწმინდად ჩამორთმევას მოითხოვდა. ხოლო თუ რა გამოვიდა ამგვარი რადიკალიზმიდან, ეს კარგად არის ცნობილი. ილიას

პოზიცია ამ საკითხში, რასაკვირველია, სხვანაირი გახლდათ. ამდენად, ადგილი ჰქონდა დაპირისპირებას ორ მიმართულებას შორის. ახალგაზრდა იოსებ ჯუგაშვილი (მომავალი სტალინი) სწორედ რადიკალური მოთხოვნების მხარდამჭერი იყო.

როდესაც აგრარული საკითხის საფუძველზე კერძოდ გურიაში საქმე აჯანყებამდე მივიდა, რუსეთის ხელისუფლება იმხანად მომხრე იყო შერიგებისა. ილია და მისი მომხრეებიც, როგორც დავინახეთ, ცდილობდნენ მდგომარეობა უკიდურესად არ გამწვავებულიყო. ამათგან განსხვავებით იოსებ ჯუგაშვილი აჯანყების გაგრძელების მომხრე და ამდენად წინააღმდეგი იყო პეტიციებისა და დეპუტაციებისა.

ბოლშევიკურ გაზეთ „ელვის" 17, 22 და 23 მარტის ნომრებში (№ 5, 9, 10) იოსებ ჯუგაშვილმა (ი. ბესოშვილის ხელმოწერით) გამოაქვეყნა საკმაოდ ვრცელი სტატია „აგრარული საკითხი". თუმცა მასში ილიას კრიტიკა არაა მოცემული, მაგრამ ამ შემთხვევაშიც მთავარ სამიზნედ კვლავ იგი იგულისხმება.

განვიხილოთ დაწვრილებით სტალინის მთავარი დებულებანი. აქ ვკითხულობთ: „ისინიც ცდებიან, ვინც უბრალო დაპირებით და „საგლეხო ბანკებით" ცდილობენ გლეხების დაცხრომას. გლეხებს მიწა უნდათ, ისინი სიზმარშიც კი ამ მიწას ხედავენ და, ცხადია, არ დაცხრებიან, სანამ მემამულეთა მიწებს არ ჩაიგდებენ ხელში. რა უნდა მისცეს მათ ცალიერმა (!) დაპირებამ და რაღაც „საგლეხო ბანკებმა"?[184]. კიდევ მეტი, „გლეხებს მემამულეთა მიწების ხელში ჩაგდება უნდათ. ისინი ამ გზით ცდილობენ ბატნყმური ნაშთების მოსპობას, - და ვინც გლეხების მოღალატე არაა, სწორედ ამ ნიადაგზე უნდა ცდილობდეს აგრარული საკითხის გადაჭრას"[185]. ცხადია, „გლეხების მოღალატედ" უპირველეს ყოვლისა ილია იგულისხმებოდა.

„...როგორ უნდა ჩაიგდოს ხელში მემამულეთა მიწები გლეხკაცობამ? – სვამდა კითხვას ი. ჯუგაშვილი და პასუხობდა: ამბობენ, ერთადერთი ხსნა მიწების „შეღავათიან გამოსყიდვაშიაო". მთავრობას და მემამულეებს ბევრი თავისუფალი მიწა აქვთ, გვეუბნებიან ეს ვაჟბატონები, გლეხებმა რომ ეს მიწები გამოიყიდონ, ყველაფერი თავისთავად მოეწყობა და, ამგვარად, არც მწვადი დაიწვის, არც შამფურიო. იმას კი აღარ კითხულობენ, თუ რით უნდა გამოიყიდონ გლეხებმა ეს მიწები, როცა მათ ფული კი არა, ტყავიც აღარ შეარჩინეს? იმას კი აღარ ფიქრობენ, რომ გამოყიდვის დროს მარტო უხეირო მიწებს გადმოუგდებენ გლეხებს, ხეირიან

მიწებს კი ისევ თავიანთთვის დაირჩენენ, როგორც ეს „ყმების განთავისუფლების" დროს მოახერხეს! ან რად უნდა გამოიყიდონ გლეხებმა ის მიწები, რომლებიც თაობითვე (!) მათ ეკუთვნოდათ? განა გლეხების ოფლით არ არის მორწყული სახაზინო და მემამულეების მიწებიც, განა გლეხებს არ ეკუთვნოდათ ეს მიწები, განა გლეხებს არ წაართვეს ეს მამაპაპეული ქონება?"[186]. ავტორი სამართლიანობის გრძნობას მოიხმობდა, როდესაც წერდა: „სად არის სამართალი, როცა სასყიდელს სთხოვენ გლეხებს მათგანვე წართმეულ მიწებში? და განა გლეხთა მოძრაობის საკითხი ყიდვა-გაყიდვის საკითხია? განა გლეხების მოძრაობა გლეხების განთავისუფლებისაკენ არაა მიმართული? ვინ გაათავისუფლებს გლეხებს ბატონყმური უღლისაგან, თუ არ თვითონვე გლეხები"?[187] და კვლავ მოწინააღმდეგე ბანაკის მიმართ ნათქვამია: „ეს ვაუბატონები კი გვარწმუნებენ, რომ გლეხებს მემამულეები გაათავისუფლებენ, თუ ცოტა ხურდას ჩაუჩხრიალებთო. და თურმე ნუ იტყვით! ეს „განთავისუფლება" მეფის ბიუროკრატიის ხელმძღვანელობით უნდა მოხდეს, იმ ბიუროკრატიისა, რომელმაც არა ერთხელ მიაგება ზარბაზნები და ტყვიამფრქვევები დამშეულ გლეხკაცობას!..."[188] ამჯერადაც კარგად გავითვალისწინოთ, თუ ვინაა უპირველესად ნაგულისხმები აგდებულ სიტყვა „ვაუბატონებში".

ი. ჯუგაშვილი მთელი კატეგორიულობით გახაზავდა: „არა! გლეხებს ვერ იხსნის მიწების გამოყიდვა. ვინც მათ „შეღავათიან გამოყიდვას" ურჩევს, - **ის მოღალატეა** (ხაზგასმა ჩვენია – **გ. ყ.**), ვინაიდან მას უნდა დალალობის მახეში გააბას გლეხობა, და არ უნდა, რომ გლეხების განთავისუფლება გლეხებისავე ხელით მოხდეს"[189]. „თუ გლეხებს მემამულეთა მიწების ხელში ჩაგდება უნდათ, თუ მათ ამ გზით უნდათ მოსპონ ბატონყმური ნაშთები, თუ მათ „შეღავათიანი გამოყიდვა" ვერ იხსნის, თუ გლეხების განთავისუფლება გლეხებისავე ხელით უნდა მოხდეს, – მაშინ ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ერთადერთი გზა მემამულეებისაგან მიწების ჩამორთმევაა, ე. ი. ამ მიწების კონფისკაცია"[190]. აქვე ეხვდებით სოციალური დემაგოგიის მკაფიო ნიმუშს: „ამბობენ (თავადაზნაურობას – **გ. ყ.**) მხოლოდ ნაწილი უნდა ჩამოერთვასო. მაგრამ, რა ვუყოთ, თუ გლეხებმა მეტი მოითხოვეს? წინ ხომ არ გადაველობებით და არ ვეტყვით: შეჩერდით, ამას იქით ხელი არა გაქვთო! ეს ხომ რეაქციონერობა იქნებოდა!"[191]

და კვლავ და კვლავ გაისმის მოწოდება ულმობელი კლასობრივ ბრძოლის გაჩაღებისათვის საქართველოს სოფლებში: „გლეხებმა

ერთხელ და უკანასკნელად უნდა შეითვისონ ის აზრი, რომ მემამულეებთან ვაჭრობა კი არა, ბრძოლაა საჭირო. ბატონყმური უღლის შეკეთება კი არა, მისი დამსხვრევა უნდა მოხდეს, რომ სამუდამოდ მოისპოს ნაშთები ბატონყმობისა. მარტო „ნაწილის ჩამორთმევა" ბატონყმური ნაშთების შეკეთებას ნიშნავს, რაც შეუთავსებელია გლეხების განთავისუფლების საქმესთან.

ცხადია, ერთადერთი გზა – მემამულეებისაგან მთელი მიწების ჩამორთმევაა. მხოლოდ მას შეუძლია ბოლომდე მიიყვანოს გლეხთა მოძრაობა, მხოლოდ ამას შეუძლია გააძლიეროს ხალხის ენერგია, მხოლოდ ამას შეუძლია ქარს გაატანოს ბატონყმობის მობერებული ნაშთები"[192], თანაც დამატებულია, რომ „სოფლის დღევანდელი მოძრაობა – ეს გლეხთა დემოკრატიული მოძრაობაა"[193].

ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ ი. ჯუგაშვილი (სტალინი) იმხანად გავრცელებული პოზიციებიდან (ესერებისა: მიწა უნდა გადაეცეს სოფლებს, ისე რომ არ იყოს კერძო საკუთრება), უნდა მოხდეს მიწის ნაციონალიზაცია (ბოლშევიკებისა), მიწა უნდა გადაეცეს ადგილობრივ თვითმმართველობას (მიწის მუნიციპალიზაცია მენშევიკებისა),იდგა უთუოდ ყველაზე სწორზე – მიწა უნდა გადაცემოდათ გლეხებს კერძო საკუთრებაში, რაშიც, ჩვენი შეხედულებით, თავი იჩინა ქართველი გლეხკაცობის ტრადიციულმა სოციალურმა ფსიქოლოგიამ[194]. ასეთივე პოზიცია ი. სტალინმა ჩამოაყალიბა რსდმპ IV (სტოკჰოლმის) ყრილობის მეშვიდე სხდომაზე 1906 წლის 13 (26) აპრილს[195], თუმცა დასაშვებად მიიჩნევდა ტყეების, წყლების ნაციონალიზაციას[196]. ხოლო თუ როგორ „ზრუნავდა" ი. სტალინი გლეხკაცობაზე, ეს მშვენიერად გამოჩნდა საბჭოური კოლექტივიზაციით.

ეროვნულ საკითხს ი. სტალინი კვლავ შეეხო ნაშრომში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი" (გამოქვეყნდა 1913 წელს). თუ ზემოთ განხილულ სტატიაში ეჭვს ქვეშ იყო დაყენებული ერთობა ერის შემადგენელ ნაწილებს შორის, ამჯერად ეს მომენტი გადალახულია: „ერი არის ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა, წარმოშობილი ენის, ტერიტორიის, ეკონომიური ცხოვრებისა და იმ ფსიქიკური წყობის ერთობის ბაზაზე, რომლის გამოხატულებაა კულტურის ერთობა"[197]. რაკი ასე გახლავთ, მაშინ საერთო ეროვნული ინტერესების შესახებ ლაპარაკი საფუძვლიანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეროვნული საკითხი კვლავინდებურად ოდენ გაბატონებულ კლასთან არის დაკავშირებული. ოღონდ, ამჯერად ლაპარაკია

ბურჟუაზიაზე, ასე რომ, დაეიწყებულია „ფეოდალურ-მონარქიული" ნაციონალიზმი.

აღნიშნულ ნაშრომში ვკითხულობთ: „ჩაგრული ერის ყოველმხივ შეეიწროებული ბურჟუაზია ბუნებრივად იწყებს მოძრაობას. იგი „მშობლიურ ქვედა ფენებს" მიმართავს და „სამშობლოზე" იწყებს ყვირილს, თავის საკუთარ საქმეს საერთო-სახალხო საქმედ აცხადებს. იგი არმიას კრებს „თანამემამულეთაგან", ვითომდა... „სამშობლოს" ინტერესებისათვის. და „ქვედა ფენები" ყოველთვის გულგრილნი როდი რჩებიან ამ მოწოდებისადმი, თავს იყრიან ამ ბურჟუაზიის დროშის გარშემო: რეპრესიები ზემოდან მათაც აწუხებს და მათ უკმაყოფილებას იწვევს.

ასე იწყება ნაციონალური მოძრაობა"[198].

მსგავსი განცხადებით, რასაკვირველია, იკარგება ძირები ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა (რუსეთის იმპერიაში), თანაც ისეთი მასობრივი ხასიათის მოძრაობა არასასურველ (რუსი ესდეკების თვალსაზრისით) მოელენად მიიჩნევა[199]. იგივე ითქმის შესაბამის იდეოლოგიაზე – ნაციონალიზმზე. მეტიც, „მომავალი ბელადის" „გენიალურ" ნაშრომში მთლად გაუგებრობასთან გვაქვს საქმე. მასში ვკითხულობთ: „საქართველოში ცოტად თუ ბევრად სერიოზული ანტირუსული ნაციონალიზმი არ არის. ეს, უწინარეს ყოელისა, იმიტომ, რომ იქ არ არიან რუსი მემამულენი ან რუსთა მსხვილი ბურჟუაზია, რომელნიც საზრდოს მისცემდნენ ასეთ ნაციონალიზმს მასებში"[200]. სამაგიეროდო, „საქართველოში არის ანტისომხური ნაციონალიზმი"[201]. მაშინ ამ შემთხვევაში ჩვენს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას სულ სხვა მიმართულება უნდა ჰქონოდა!

ანდა რა კომენტარები უნდა გაკეთდეს იმაზე, რომ რეაქციის ხანაში გაძლიერდა ნაციონალიზმი (ცხადია, უარყოფითი მნიშვნელობით), „იფურჩქნებოდა ნაციონალიზმის ყვავილი", გაჩნდა ნაციონალიზმის საერთო „სნება"[202], „ნაციონალური ბურუსი"[203] (?!). უაზრობა გახლავთ იმის მტკიცებაც, რომ რუსეთში ე. წ. ნაციონალური საკითხი დაქვემდებარებული ხასიათისაა, რომ მთავარი იყო აგრარული საკითხი[204]. ნორმალური ისტორიული განვითარების პირობებში არარუს ხალხებში (ერებში) უმთავრესს წარმოადგენდა სწორედ ეროვნული საკითხი.

ფართოდ არის ცნობილი ილიასა და იოსებ ჯუგაშვილის ურთიერთობანი, რასაც 1895 წელს ჰქონდა ადგილი და რაზედაც უკვე ვილაპარაკეთ. საინტერესოა, შეხვდნენ თუ არა ისინი კელავ

ერთმანეთს. ამის თაობაზე გვაქვს მოგონება, რომელიც ილიას ყოფილ მზარეულ, იმხანად 93 წლის მაქსიმე მეტრეველისაგან 1955 წელს ჩაიწერა ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახლ-მუზეუმის თანამშრომელმა, აწ განსვენებულმა ბატონმა შალვა მარკოზაშვილმა, რომელმაც თავაზიანად გადმოგვცა შესაბამისი ტექსტი (რამდენადაც ვიცით, იგი დღემდე არ გამოქვეყნებულა). ილიას ყოფილი მზარეული იგონებდა: „ილია ჭავჭავაძეს თბილისში გავეცანი. მისთვის ცნობილი იყო, რომ მზარეული ვიყავი და ავტორიტეტით ვსარგებლობდი. მან მთხოვა, რომ საგურამოში მზარეულად გავყოლოდი. მე სიამოვნებით დავთანხმდი და გავყე.

სოფელში ჩემს მოვალეობას გულმოდგინედ ეასრულებდი, დიდ ილიას მადლობას ვიმსახურებდი.

დიდ ილიასთან ხშირად მოდიოდნენ სტუმრები და კეთილი მასპინძელიც ყველას გულთბილად ხვდებოდა.

მახსოვს, ილიასთან სოსო ჯუღაშვილის სტუმრობაც, რომელიც მაშინ მთლად ახალგაზრდა იყო.

ერთ დღეს, როცა მე წყაროსთან ახლოს ბოსტნეულს ვარჩევდი, იქვე იყვნენ საგურამოელი გლეხებიც, რომლებიც ილიას ესაუბრებოდნენ. მოულოდნელად გამოჩნდა ჩვენსკენ მომავალი იოსებ ჯუღაშვილი. ილიამ გლეხებს უთხრა, ამ ყმაწვილთან მარტოდ დამტოვეთ, უნდა ვესაუბროო. გლეხებიც მოცილდნენ იქაურობას და მეც განზე დავდექი.

სოსო ახლობლურად მიესალმა ილიას, მაგრამ წყაროს ხმაურში მათი საუბარი არ მესმოდა. მათ კარგა ხანს ილაპარაკეს, მერე წასვლის წინ სტუმარმა წყალი დალია, გამოეთხოვა ილიას და დაღმრთზე დაეშვა.

ილია გლეხებთან ახლოს მივიდა და უთხრა: ხომ შეხედეთ იმ ყმაწვილს, სახით არაფერია, მაგრამ ისეთი მოაზროვნეა, რომ თუ დაცალდა, მსოფლიოში სახელს გაითქვამსო. მერე დაუმატა: ეგ ისეთი მამაძაღლი ჩანს, რომ უთოოდ დიდი კაცი დადგება და ღმერთმა ჰქნასო[205].

მე ბატონ ილიას მოვახსენე: მაგ ყმაწვილს ჭიათურაში შევხვედრივარ, იქაურ მუშებთან მოლაპარაკეს - მახსოვს, იქ მას მეტსახელად მგელს უწოდებდნენ-მეთქი. ილიას ჩემს ნათქვამზე გაეცინა".

არ არის ნათელი, თუ როგორ შეაფასა ამჯერად ილიამ ი. ჯუგაშვილი ("მამაძაღლი", დამეთანხმებით, არაშესაშური დახასიათებაა), მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში თვით მათი შეხვედრის ფაქტი გვაინტერესებს.

ვფიქრობთ, აღწერილ ამბავს ადგილი უნდა ჰქონოდა 1905 ან 1906

წელს (უფრო ამ უკანასკნელ წელს). 1907 წელი გამორიცხულია, რამეთუ ამ პერიოდში ილიას საგურამოში თბილისში მოსამსახურე მსარეული ხარიტონ შიოშვილი ჰყავდა წაყვანილი და ი. ჯუგაშვილიც მაშინ საგურამოში არ იქნებოდა.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა ორი მოგონებაც, რომელიც ჩვენი საზოგადოებისათვის ცნობილ მიხეილ ნანეიშვილს ეკუთვნის.

პირველი მოგონება: „1973 წელს ოჯახთან ერთად ვისვენებდი ქვიშხეთში. იქ ხშირი საუბრები მქონდა დემნა შენგელაიასთან, რომელიც ახლობელი იყო დედაჩემისა. ბ-ნმა დემნამ ერთ-ერთი საუბრისას გაიხსენა თავისი ყოფნა საგურამოში, სადაც მაშინ მოწყობილი იყო მწერალთა დასასვენებელი სახლი. მისი მოგონება, თუ მეხსიერება არ მღალატობს, ეხებოდა 1944 წელს.

ერთ ხნიერ კაცს ბატონ დემნასთვის უამბნია შემდეგი: "მე ემუშაობდი ილიასთან დარაჯად. ერთ დღეს ილიამ დამავალა გზად საგურამოსკენ დაეხვედროდი ერთ კაცს, რომელიც უნდა მოსულიყო ილიასთან ღამით. მე დავხვდი სტუმარს და მოვაცილე ილიასთან. თანაც დამავალეს რომ არსად წავსულიყავი. საუბარი დიდხანს გაგრძელდა. უკვე შუაღამეს გადასცდა, როდესაც ილიას მეუღლე ოლღა შეწუხდა და შეიხედა ილიას კაბინეტში. ილიას უნიშნებია ოლღასათვის, რომ გასულიყო. თან უთქვამს: ნუ შემოხვალ, სერიოზული სალაპარაკო გვაქვსო. საუბარი გაგრძელდა გარიჟრაჟამდე. სტუმარი მე გავიყვანე სოფლიდან და ჩავაცილე გზამდე. შემდეგში, როდესაც ვნახე სტალინის სურათი, ადვილად ვიცანი მასში ილიას მაშინდელი სტუმარი".

თუ არ ვცდები, ბ-ნმა დემნამ ის წელიც დაასახელა, როდესაც სტალინი იყო ილიასთან. ეს უნდა ყოფილიყო 1906 ან 1907 წელი (უფრო 1907 მახსოვს)"[206].

ვფიქრობთ, ორივე მონათხრობი ერთმანეთს სულაც არ ეწინააღმდეგება თუ დავუშვებთ, რომ სხვადასხვა შეხვედრაზეა საუბარი. ორივე ერთად კი ფრიად ანგანიშგასაწევია და უთუოდ მომხდარ ფაქტს უნდა ასახავდეს. თუ რა თემაზე იქნებოდა ლაპარაკი ილიასა და ი. ჯუღაშვილის შორის, ეს ძნელი ამოსაცნობი როდია – ბოლშევიკი ი. ჯუგაშვილი შეეცდებოდა თავისი სოციალური და პოლიტიკური მრწამსის თავს მოხვევას ილიაზე.

ბატონ მიხეილ ნანეიშვილის მეორე მოგონება ასეთი გახლავთ: „ჩემმა ბიძაშვილმა ომარ გვასალიამ მიამბო შემდეგი: ილიას საიუბილეო წლისთვის, ვგონებ 1986 წელს, ვაკეთებდი ფილმს „რამ-

დენიმე ეპიზოდი ილიას ცხოვრებიდან". საგურამოში გავეცანი ერთ მოხუც ქალს, რომელმაც გაიხსენა თავისი ბავშობა, კერძოდ, მოხუცმა ქალბატონმა ომარს უამბო, რომ ერთობის დროს ჩვენთან ამოდიოდა ხოლმე ერთი კაცი, რომელიც ესაუბრებოდა გლეხებს სოფლის გარეთ, ტყეში. მე ძალიან პატარა ვიყავი და მამაჩემს ხელში აყვანილი, ფარაჯაში გახვეული დავყავდი ამ შეკრებებზე. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მე დავიწყე მუშაობა რკინიგზაზე, მცხეთაში. ერთხელ წაგვიყვანეს თბილისში რომელიღაც გამოფენაზე, რომელიც მიძღვნილი იყო საქართველოს გასაბჭოებისადმი. იქ დავინახე ახალგაზრდა სტალინის სურათი და შევძახე: ეს კაცი ჩვენთან ამოდიოდა ხოლმე საგურამოში"-ო (მოგონება ჩაწერილია იმავე დღესვე).

ამასთან დაკავშირებით დაინტერესებულ მკითხველებს ვაუწყებთ, რომ ავადსახსენებელი დიმიტრი ჯაშის ცოლყოფილი დარია ჯაშის მოგონებით, ი.ჯუგაშვილი ივანე ინაშვილს – ილიას ერთ-ერთ მომავალ მკვლელთაგანს ატანდა ხოლმე პროკლამაციებს საგურამოს მხარის სოფლებში გასავრცელებლად[207].

ქართველ ესდეკს („მენშევიკს"), შემდგომში პოლიტემიგრანტ ვალიკო ჩუბინიძეს 1906 წლის 12 აპრილს ჭიათურაში თითქოს საკუთარი ყურით მოუსმენია ი. ჯუგაშვილისათვის როცა მას უთქვამს: „ნოე ჟორდანია არის ევროპიელი რევოლუციონერი. საერთო ენის გამონახვა მას უფრო შეუძლია ფედერალისტებთან, ილია ჭავჭავაძესთან, ვიდრე ლენინთან და მარქსთანო. ის არის უფრო რადიკალი, ვიდრე რევოლუციონერი"[208]. მაგრამ ილიას ამგვარ მოტანილი ციტატიდან თითქოს ისე ჩანს, რომ ილიას იმხანად ი. ჯუგაშვილი უფრო დადებითად აღიქვამდა, ვიდრე ნოე ჟორდანია, ფილიპე მახარაძე, ალექსანდრე წულუკიძე და სხვანი. მაგრამ ამ აზრს ეწინააღმდეგება გაზეთ „ახალ ცხოვრებაში" ამავე 1906 წლის 8 ივლისს დაბეჭდილი „სახელმწიფო საბჭო და სიკვდილით დასჯა" (რუბრიკიდან „სადღეისო კითხვები", სადაც აღნიშნულია: „დიახ აქ (სახელმწიფო საბჭოში – **გ. ყ.**) შეკრებილი არიან ყველა ნამდვილი რეაქციონერი, შავრაზმელთა ელემენტები, ე. ი. ხალხის ნამდვილი მტრები, რომლებიც მხოლოდ თავის უპირატესობის, თავის კლასობრივი ბატონობის შენარჩუნებისათვის ზრუნავენ". შესაძლებელია ამ სტრიქონების ავტორი თვითონ ი. ჯუგაშვილი იყო. ამავე გაზეთის 1907 წლის 22 თებერვლის ნომერში ირეოდიონ ევდოშვილმა დაბეჭდა პასკვილი ილიაზე. შეგახსენებთ, რომ „ჩვენი ცხოვრების" რედაქტორი ი. ჯუგაშვილი გახლდათ[209]. ამ ფაქტებიდან,

დამეთანხმებით, ილიასადმი ი. ჯუგაშვილის სხვაგავარი დამოკიდებულება (მიმართება) იკვეთება.

ალექსანდრე კოჭლავაშვილისეულ ფონდში (ინახება გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში) შემონახულია ალფეზ ხელაძის 1926 წლის მოგონება სტალინთან შეხვედრის შესახებ. ამ უკანასკნელს განუცხადებია, რომ არ შეიძლება ილიაზე ვილაპარაკოთ მხოლოდ მისი სოციალური წარმომაელობის მიხედვითო. „ბელადს" შეეძლო ეს მოსაზრება გაემყარებინა ვ. ი. ლენინისეული შეხედულებით ლევ ტოლსტოის შესახებ. მეტიც, პარადოქსია რომ ვ. ი. ლენინი დადებითად გამოირჩევა რიგი ქართველი ესდეკებისაგან (მათ შორის ი. ჯუგაშვილისაგანაც) იმითაც, რომ ზოგად პლანშიც აცხადებდა: „განმანათლებლები მოსახლეობის არც ერთ კლასს არ გამოჰყოფდნენ, როგორც თავიანთი განსაკუთრებული ყურადღების საგანს, ლაპარაკობდნენ არა მარტო ხალხზე საერთოდ, არამედ ერზეც კი საერთოდ"[210], რომ „ისტორიული დამსახურება ფასდება არა იმის მიხედვით, თუ რა არ მიუციათ ისტორიულ მოღვაწეებს თანამედროე მოთხოვნებთან შედარებით, არამედ იმის მიხედვით, თუ რა მოგვცეს ახალი თავიანთ წინამორბედებთან შედარებით"[211].

არც მომდევნო უახლოეს წლებში საბჭოთა დიქტატორს ხმამაღლა არ განუცხადებია საქართველოში ილიას სახელის განქიქების,კერძოდ ფილიპე მახარაძის მსგავს უგვან მცდელობათა წინააღმდეგ. არადა, ამის გაკეთება მისთვის ძალზე იოლ საქმეს წარმოადგენდა. ჩანს, სხვა მიზეზის არსებობა გახდა საჭირო ამის გასაკეთებლად. მხოლოდ საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის პირველი ყრილობისათვის (1934 წელს) მალაქია ტოროშელიძის მოსამზადებელი მოხსენების დაწერისას მიუთითა მან ქართული ლიტერატურის კლასიკოსების, მათ შორის ილიას მნიშვნელობის წარმოჩენა[212].

ცხადია, „ბელადის" ინიციატივით, 1936 წლის 12 სექტემბერს, ილიას დაღუპვის ოცდაათ წელთან დაკავშირებით, საბჭოთა კომუნისტების ცენტრალურ ორგანო „პრავდაში" დაიბეჭდა ნაწყვეტი „კაკო ყაჩაღიდან". გაზეთში მისი ავტორი მოხსენიებული იყო როგორც „ქართველი მწერალი და საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევრის ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის უთვალსაჩინოესი საზოგადო მოღვაწე"[213]. ამავე ნომერშივე აღნიშნულია, რომ „ქართველ სამოციანელთა ფიქრთა მპყრობელი" ილია ჭავჭავაძე თავის შემოქმედებაში არაერთხელ გამოხმაურებია

თავისი ეპოქის ისეთ ისტორიულ მოვლენებს როგორიცაა „პარიზის კომუნა" (!). იგივე ნომერში მთელი გვერდი ჰქონდა დათმობილი ქართულ მხატვრულ ლიტერატურას. სახელდობრ დაბეჭდილი იყო ვახტანგ კოტეტიშვილის, შალვა დადიანისა და აკაკი თათარიშვილის სტატიები.

ილიას „რეაბილიტაციას" უფრო მეტი გასაქანი მიეცა 1937 წელს: ჯერ მაისში (!) ჩატარებული ილიას დაბადების ასი წლის იუბილით, შემდეგ კი, 12 სექტემბერს ამავე გაზეთში მოთავსებული სარედაქციო სტატიით, რაც ილიას მკვლელობის ოცდაათი წლის თავს უკავშირდებოდა[214]. ამავე თარიღს გამოეხმაურა აგრეთვე გაზეთი „იზვესტიაც", რომელმაც დაბეჭდა გიორგი ლეონიძის სტატია „პოეტი – მოაზროვნე", რომელშიც გამეორებული იყო ახლებური (საბჭოური თვალსაზრისით) შეფასებანი.

აღსანიშნავია, რომ მანამდე, საბჭოთა საქართველოს მშრომელთა გალექსილ წერილში სტალინისადმი, რომელიც ეხმაურებოდა საქართველოს გასაბჭოების მეთხუთმეტე წლისთავს, ჩვენი ქვეყნის მძიმე სოციალური (ბატონყმური) ტაპის წარსული დახასიათებული იყო „აჩრდილიდან" მოტანილი რამდენიმე სტროფით („ჩვენი დიდი სატანჯველი – სთქვა ილია ჭავჭავაძემ" შემდგომ: თითქოს ილიასათვის ეროვნული მონობის საკითხი ნაკლებად მტანჯველი იყო!).

ჩვენი დიდი ეროვნული მოღვაწე შეფასებული იყო „როგორც საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი (крупнейший) მწერალი, ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელი"; „საქართველოს ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე, მგზნებარე მებრძოლი ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ"; „ილია ჭავჭავაძე მიეკუთვნებოდა მოწინავე ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს, რომლებიც გასული საუკუნის 60-იან წლებში დაირაზმენ რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, რომელიც ცდილობდა დაეკაბალებინა ქართველი ხალხი"[215].

ამავე პერიოდს ეხება „ბელადთან" ფრიად დაახლოებული პირის, ცნობილი ქართველი კინორეჟისორის მიხეილ ჭიაურელის მოგონება, რომელშიც ვკითხულობთ: „სიტყვა ჩამოვარდა ქართველ კლასიკოსს ილია ჭავჭავაძეზე, რომელიც ერთხანს მივიწყებული იყო. – შეცდომა იყო – შენიშნავს ბელადი. – ანალოგიური ამბავი მოხდა ლევ ტოლსტოის მიმართაც (?!). ლენინი კი ამბობდა, რომ ამ გრაფზე ადრე ასეთის სიმართლით გლეხზე არავის დაუწერიაო. იმიტომ

ხომ არ ვერიდებით ილია ჭავჭავაძეს, რომ ის თავადთაგანი იყო? მერე და განა რომელიმე ქართველმა მოგვცა ისეთი ფურცლები მემამულეთა და გლეხთა ფეოდალური ურთიერთობის შესახებ, როგორიც მოგვცა ჭავჭავაძემ? მე-19 საუკუნის მიწურულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართველ მწერალთა შორის (?!) ილია ჭავჭავაძე უთოდ დიდი ფიგურა იყო.

შეჩერდა ბელადი განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილზე" და აღნიშნა სიმკეეთრე და დახვეწილობა განდეგილისა და ახალგაზრდა მთიელი ქალის სახეებისა. ეს უკანასკნელი სიცოცხლის ძალის განსახიერებაა, რომელიც ასკეტ ბერს იმორჩილებსო"[216].

ჩანს, ი. სტალინის „დამსახურებაა" ილიასეული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების ვიწრო, „რუსეთუმეული" საფუძვლის გამოძებნა: – „რუსეთის რეოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის ბელადების – ბელინსკის, დობროლიუბოვის, ჩერნიშევსკის, გერცენის გაელენით, რომელთა იდეებს ჭავჭავაძე გაეცნო პეტერბურგის უნივერსიტეტში თავისი ყოფნისას, განმტკიცდა მისი სიძულვილი ექსპლოატატორული წყობილებისადმი, ჩამოყალიბდა მისი შეხედულებანი ლიტერატურასა და ხელოვნებაზე".

ამ მიმართულებით ქართველი ავტორები უთუოდ დიდად გაისარჯნენ, განსაკუთრებით ილიას შესახებ მოსკოვში დაბეჭდილ ნაშრომებში. ყველაზე შორს კი წავიდა ფილოსოფოსი ალექსანდრე ქუთელია, რომელიც წერდა: "იგი (ილია – გ. ყ.) XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეური ბელადი იყო. და ეს სრულიად გასაგებიც არის. ი. ჭავჭავაძეს, როგორც რეოლუციურ დემოკრატს, როგორც ბელინსკის, ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის მიმდევარს, არ შეეძლო არ ყოფილიყო ცარიზმის წინააღმდეგ მიმართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთგული მომხრე. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა მხურვალედ უჭერდნენ მხარს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას პოლონეთში, იტალიაში და ა. შ. გერცენი, ჩერნიშევსკი და დობროლიუბოვი"[217]. ცხადია, ამ აზრის კომენტირება აბსოლუტურად ზედმეტია.

დაბოლოს, რა თქმა უნდა, არ დავიწყნიათ აღენიშნათ: „ილია ჭავჭავაძის ოცნებები ასრულდა. მისი საყვარელი სამშობლო, რომელსაც მან მიუძღვნა თავისი სიცოცხლე და თავისი ლექსები (მხოლოდ? – გ. ყ.) იქცა აყვავებულ, თავისუფალ ქვეყნად". მოგვიანებით, საქართველოს გასაბჭოების ოცდახუთ წლისთავთან დაკავშირებით

დაიბეჭდა „საბჭოთა საქართველოს მშრომელთა წერილი სტალინისადმი" (გალექსილი სახით). ასე რომ, ილიას „რეაბილიტაციასთან" ერთად ადგილი ჰქონდა მის „მორგებას" საბჭოური სინამდვილისადმი. ილიას ფენომენის ფალსიფიკაცია კვლავ, ახალი ფორმით, გრძელდებოდა... ამ ტენდენციამ თავი იჩინა იმაშიც, რომ ილია წარმოადგინეს წინასწარმეტყველად, რომელმაც „ბაზალეთის ტბაში" „მსოფლიო პროლეტარიატისა" თუ „ხალხთა დიდი ბელადი" გამოიცნო[218].

ჩვენი მტკიცე შეხედულებით, ი. სტალინის დამოკიდებულება ილიასადმი თავისთავად, მხოლოდ მისდამი თითქოსდა დიდი სიმპათიების გამოისობით როდი აიხსნება: მას დასჭირდა საერთოდ ქართული კულტურის წინ წამოწევა, რათა მოწინააღმდეგეებისათვის როგორც საბჭოთა კავშირში, ისე უცხოეთში (განსაკუთრებით რუს ემიგრანტთათვის) ეჩვენებინა „მშობლიური ქვეყნის" კულტურის ღრმა ძირები და მნიშვნელობა. კერძოდ, ამით სურდა პასუხი გაეცა დასავლეთში (ბერლინში) 1932 წელს დაბეჭდილ პოლიტემიგრანტ იოსებ ირემაშვილის (1879 – 1944) წიგნაკზე „სტალინი და საქართველოს ტრაგედია", სადაც ავტორი აღნიშნავდა, რომ ილიას მკვლელობის უკან, როგორც ორგანიზატორი სტალინი იდგა[219]. მიგვაჩნია აგრეთვე, რომ მის მიერ უფრო ადრე შეკვეთილი ილიას მკვლელობის გამოძიება და სასამართლოს მოწყობა მიზნად ისახავდა მისთვის უკვე საძულველად ქცეულ სერგო ორჯონიკიძესა და ფილიპე მახარაძეზე მძლავრ ფსიქიკურ ზემოქმედებას (მათი სიკვდილის დაჩქარების მიზნით)[220].

იმხანად და შემდგომშიც ქართულ საზოგადოებრიობას მხედველობიდან გამორჩა ერთი მნიშვნელოვანი მომენტი: „პრავდის" მიერ ხაზი ესმებოდა ილიას დიდ მნიშვნელობას... მეცხრამეტე საუკუნეში[221]. მაგრამ როგორ უნდა იქნას გაგებული ამ შემთხვევაში ილიას დიდი როლი 1900 – 1907 წლების საქართველოში? პირადად ჩვენთვის ეს გარემოება ცხადზე უცხადესია. მაგრამ, ეტყობა, „დიდი ბელადი" გულისხმობდა XIX საუკუნის ბოლოს თავისი და მისი „დასის" გამოსვლას სამოღვაწეო ასპარეზზე, რამაც თითქოს ისტორიულ ანაქრონიზმად აქცია ილიას დიდი მნიშვნელობა აღნიშნულ პერიოდში.

დაბოლოს, ილიას პოლიტიკური ნიჭიერების შესახებ სტალინს თავისი აღმატებული შეფასება გამოუთქვამს 1946 წელს, რის თაობაზეც არსებობს პარტიული მოღვაწის სერგო ქავთარაძის მოგონება (ამაზე იხ. წიგნის ბოლოს).

იოსებ(სოსო) ირემაშვილი ემიგრაციაში

[1] იგულისხმება ილია ნაკაშიძე.
[2] იხ. დასახ. წიგნი, თბ., 1990, გვ. 33 - 34.
[3] თსკ, ტ. X, გვ. 91.
[4] სოფლის მეურნეობის ქალთა სასწავლებელი..., თსკ, ტ. IV, გვ. 377.
[5] ილიას ალბათ სასაცილოდ არ ეყოფოდა ნოე ჟორდანიას „ბრძნული" პირველი, მთავარი დასკვნა: „ცხოვრება წარმოადგენს ერთ დიდ პროცეს (!), განვითარებას, ყველა მისი მოვლენა უნდა განიხილოს (?!) ერთიმეორის ურთიერთობაში და განვითარებაში".
[6] მოგეხსენებათ, ილია სწორედ ასეთი ისტორიოგრაფიის წინააღმდეგი იყო, მაგრამ სულ სხვა ლოგიკური წანამძღვრებიდან გამომდინარე.
[7] იგულისხმებიან: თვითონ ილია ნაკაშიძე, კიტა აბაშიძე და გიორგი ლასხიშვილი,
[8] დასახ. წიგნი, თბ., 1992, გვ. 92.
[9] გ. ლასხიშვილი, მემუარები, 1992, თბ., გვ. 92.
[10] იქვე.
[11] იქვე, გვ. 94.
[12] იქვე, გვ. 95.
[13] ლ. ფერაძე, ალექსანდრე სარაჯიშვილი, თბ., 1983, გვ. 16.
[14] თსკ, ტ. X, გვ. 120.
[15] საისტორიო მოამბე, ტ. 3, თბ., 1947, ვ. 256.
[16] ი. გორგაძე, ნ. გურგენიძე, ილია ჭავჭავაძე – ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე, გვ. 316.
[17] თსკ, ტ. VI, გვ. 259.
[18] იქვე, გვ. 263.
[19] ილიას სიყრმის მეგობარი, მასთან ერთად თბილისის გიმნაზიასა და პეტერბურგის უნივერსიტეტში მოსწავლე კოხტა აფხაზი იგონებდა, რომ ილიამო „მეტის მეტი მოსწრებული ხუმრობა იცოდა და თუ კი ვისმე სასაცილოდ აიგდებდა, მართლადაც რომ მიწასთან გაასწორებდა". ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი I, ტფილისი, 1935, გვ. 563. ილია ოლღასადმი 1873 წლის 16 მარტს მიწერილ წერილში ასე წერდა: 'არა გრცხვენიან, ოლიკო, რომ ჩვენს გაზილას არა კითხულობ, ასეთი ბრძენი ძაღლია, რომ პლატონ იგნატიჩს იოსელიანს ეხლაე სჯობია ფილოსოფიაში". თსკ,ტ. X,გვ. 274. ლიტერატორი და საზოგადო მოღვაწე ილია ზურაბიშვილი აღნიშნავდა: „ილია ხანდახან, ცოტა არ იყოს, ადამინის უდიერ, უხეშ აგდებასაც არ ერიდებოდა"-ო, კერძოდ, ე. წ. ბანკობიადის დროს „რაკი ბრძოლა დაუნდობელი იყო, ილიაც არ ინდობდა თავის მოწინააღმდეგეს, ხმარობდა ყველა საბრძოლველ ფანდს, რაც ამ ბრძოლაში გამოადგებოდა მტრის გასაწბილებლად და რასაც მისი მახვილი გონება მიაწვდიდა"-ო". იხ. „ილია ჭავჭავაძე. საუბილეო კრებული", თბ., 1939, გვ. 318. იაკობ მანსვეტაშვილი წერდა: „თუ ილია ვისმეზე ძვირს ჩაიდებდა, გათავდა: მტრად გადაეკიდებოდა და შვილის-შვილობამდე ჩაჰყვებოდა. მაშინ ულმობელი იყო, შეუწყნარებელი, ამის გულს ვეღარაფრით მოინადირებდი, ვერაფრით მოალბობდი".

მოგონებანი“, ტფ., 1936, გვ. 120. დაბოლოს, მწერალი სოფრომ მგალობლიშვილი მოგვითხრობს, რომ ილია სასაცილოდ იგდებდა ანტონ ფურცელაძეს და იქამდე მიიყვანა, რომ ფსევდონიმ „ქერელი ბექას“ ფსევდონიმით წერას თავი დაანებაო და ამან კი, თავის მხრივ, გამოიწვია მასში ილიასადმი სიძულვილიო. სოფრომ მგალობლიშვილი, მოგონებანი, ტფ., 1938, გვ 169.

[20] უმეცრობის ფართი-ფურთი, თსკ, ტ. VI, გვ. 258.

[21] იქვე, გვ. 264.

[22] იქვე, თსკ, ტ. VI, გვ. 268.

[23] იქვე, გვ. 271.

[24] იქვე, გვ. 258. ილია დასძენდა: „ისიც ეიცი, მაგ ბეზღობის უნარი საიდამ მოგცხებიათ“. იქვე, გვ. 280.

[25] იქვე, გვ. 273.

[26] იქვე, გვ. 274. აღარას ვამბობთ იმაზე, რის თაობაზეც ილია წერდა: „ხშირად ერთს რომელსამე ხანაში აღძრული აზრი, თუ საგანი, მეორე ხანაში ისევ იმ საგნადა და აზრად რჩება, მხოლოდ სულ სხვა სახით, სხვა შუქით, სხვა სიგრძე სიგანით გამოდის. ამას ყოველსფერს თვალის დევნა უნდა და თუ არ კრიტიკით და გამოძიებით გამორკვევა, შენიშვნა მაინც და ანგარიშის გაწევა. თორემ აქაო და ამ ოცისა და ოცდაათ წლის წინათ ამა და ამ საგანზედ ესა და ეს ითქვაო და დაიჟინონ, - ეს არის უკანასკნელი სიტყვა მეცნიერებისა დაა ლიტერატურისაო, მაშინ როდესაც უკანასკნელი სიტყვა დღეს სულ სხვაა, უჯიათობა და ჭირვეულობა იქნება ერთხელ და ერთხელ შებორკილებულ და დატყვევებულ გონებისა“. დედათა საქმის გამო, თსკ, ტ. VIII, გვ. 333.

[27] თსკ, ტ. VI, გვ. 280.

[28] იქვე, გვ. 281.

[29] თსკ, ტ. VI, გვ. 282.

[30] პატარა საუბარი, „ივერია“, № 65, 1900.

[31] იქვე. სხვა დროს ილია უფრო მკაცრი ფორმითაც გამოხატავდა: „როგორ გგონია, განა ერთი ჭკუა ათასს უჭკუობას არა სჯობია?“ „ივერია“, № 269, 1897. „ათი ათასჯერ არაფერი მაინც არაფერია“. თსკ, ტ. III, გვ. 14.

[32] იხ. კრებული „ილია ჭავჭავაძე. საიუბილეო კრებული“, თბ., 1939, გვ. 299.

[33] ჯერ კიდევ 1886 წელს ილია წერდა:

„ეაქაც იგია, ვინც მართალს
ეტყვის ქვეყანას მცდამსაო;
ვინც არ შეუდრკა მრავალსა
ხშირად მართლისთვის მწყრომსაო,
ვინც კრავს უმანკოს ეკრძალვის
და პირში უდგას ლომსაო“.

[34] თსკ, ტ. VI, გვ. 288. ყოველივე ზემოაღნიშნულს თითქოს ეწინააღმდეგება ილიას ნათქვამი კერძოდ ნ. ჟორდანიაზე - „ნიჭიერი კაცი“. იხ. ჟურნალისტ

მალაქია ბოლქვაძის მოგონება „ახლო წარსულიდან. ილია სუმბაძე რუსეთში (1906 – 1907 წწ.)", ჟ. „განთიადი", № 3 – 4, 1908, გვ. 118 (მაგრამ ეს უფრო ზრდილობის გამოისობით იყო ნათქვამი).
[35] თსკ, ტ. VI, გვ. 281 – 282.
[36] იხ. „ივერია", № 65, 1900.
[37] აქ უბრალოდ შოკისმომგვრელ კაზუსთან გვაქვს საქმე: სიტყვა "ინტელიგენცია" რუსეთში წარმოიშვა და დასავლეთის ქვეყნებში არ გავრცელებულა.
[38] „კვალი", № 24, 1898.
[39] იქვე.
[40] იქვე.
[41] თსკ, ტ. 6, გვ. 243.
[42] იქვე, გვ. 258.
[43] ნოე ჟორდანია, თხზულებანი, ტ. I, ტფილისი, 1920, გვ. 22.
[44] იქვე, გვ. 27.
[45] იქვე, გვ. 37.
[46] იქვე, გვ. 164
[47] იქვე, გვ. 169.
[48] იქვე, გვ. 148.
[49] იქვე, გვ. 154.
[50] იქვე, გვ. 155.
[51] კვალი", 1898 წ. 2 იანვარი.
[52] კვალი, 1895, № 29.
[53] დასახ. ორგანო, 1895, № 34.
[54] კვალი, 1895, № 32.
[55] კვალი, 1898 წლის 2 იანვრის ნომერი. 1910 წელს ნ. ჟორდანია წერდა, რომ 1894 – 1897 წლები „ეს იყო, ასე ვთქვათ, ბრძოლა კულტურისათვის ველურობის წინააღმდეგ და რაღა გასაკვირველია ხანდახან უბრალო კულტურტრეგერობაც მეკისრა". დასახ. წიგნი, გვ. VI.
[56] კვალი, 1898 წ., 2 იანვარი.
[57] იქვე.
[58] იქვე.
[59] "კვალი", 1898 წ., № 22.
[60] დასახ. ორგანო, 1899 წ., № 21.
[61] იქვე, 1899 წ. № 37.
[62] იქვე.
[63] იქვე, 1899 წლის № 38.
[64] ნოე ჟორდანია, ჩემი წარსული, თბ., 1990, გვ 13 - 14.
[65] იქვე, გვ. 14.
[66] ვახტანგ გურულმა და აპოლონ სილაგაძემ კატეგორიულად გამოთქვეს აზრი, რომ აღმოაჩინეს ილიასეული უცნობი ნაწარმოები, მიმართული ქართველი ესდეკების, კერძოდ ნოე ჟორდანიას წინააღმდეგ (ამის თაობაზე

ე. გურულმა დაბეჭდა გაზეთ „სეობოდნაია გრუზიაში", 1995 წლის 4 მაისის ნომერში, ერთად გამოაქვეყნეს (1897 წელს) ბროშურა სათაურით „სიმეოლო სარწმუნოებისა. ილია ჭავჭავაძის უცნობი პამფლეტი". მიგვაჩნია, რომ მსგავსი მოსაზრება უსაფუძველოა შემდეგი არგუმენტების გამო: 1) აზრობრივი თვალსაზრისით - ილია არასოდეს არ მოიხსენიებდა აგდებით კარლ მარქსს. ამასთანავე, იგი არავითარ შემთხვევაში არ თელიდა ნ. ჟორდანიას უკანასკნელის "ჭეშმარიტ მოციქულად", „გურჯისტანელ მარკსად", „გამარქსებულ ჟორდანიად"; 2) ლექსიკური თვალსაზრისით – ილია არ ხმარობდა სიტყვა „სიმეოლოს", არამედ „სიმბოლოს". აგრეთვე იგი წერდა ხოლმე „მარქსს" და არა - მარკსს, „ჰეგელს" და არა - გეგელს. 3) გრაფოლოგიური თვალსაზრისით - ასოები „ლ", „ჭ", „ჯ" და სხვ არ გახლავან ილიას ხელისმიერი. ილია, თავისი პირადი ხასიათიდან გამომდინარე, არ შეეცდებოდა მიმიკრიას, კერძოდ თხზულების ქალაქ დორპატში (ტარტუში) „შედგენას" და თავისი ნაწერის ანონიმური სახით გავრცელებას. თანაც მოტანილი ტექსტი არც გავრცელებულა. დაბოლოს, გასათვალისწინებელია ისიც, რომ შესაბამისი დოკუმენტი არ შემორჩენლა ილიასეულ პირად არქივში.

[67] დიდად სამწუხაროდ, მსგავსი მითის ერთ-ერთი შემქმნელი გახლდათ გრიგოლ ყიფშიძე (1858 – 1921), ილიას ყოფილი თანამოაზრე). იხ. მისი „კარგა ხნის წინად (მოგონება)" 1920 წელს გამოსულ ნოე ჟორდანიას „თხზულებათა" I ტომში.

[68] გადმობეჭდილია კრებულში „ილია ემიგრანტთა თვალით"; ტომი I, თბ., 1996.

[69] დასახ. კრებული, გვ. 149. აქვე კვლავ ხაზგასმულია, რომ ილია ქვეყნის აღორძინებას უკავშირებდა არა გაბატონებულ ფენას, არამედ "ხალხს", განთავისუფლებულ მშრომელ მასებს. იხ. გვ. 151.

[70] იქვე, გვ. 151.

[71] იქვე, გვ. 150.

[72] იქვე, გვ. 152.

[73] იქვე, გვ. 147.

[74] იქვე, გვ. 154 - 155.

[75] ეკონომიური წარმატება და ეროვნება, თხზულებანი, ტ. I, 1920, გვ. 13 – 14. მთლიანობაში სტატია მდარე შემეცნებითი ფასეულობისაა და თანაც ბევრ მხრივ მიუღებელი, ამიტომაც ილიამ „ივერიაში" არ დაბეჭდა იგი. დაიბეჭდა ჟურნალ „მოამბეში".

[76] იქვე, გვ. 29.

[77] იქვე. გვ. 32 – 33. როგორც თვითონ გადმოგვცემს, ამაშიეე დარწმუნებულა გურიის დაჩაგრული გლეხობის შესაბამისი განწყობილებითაც. იქვე, გვ. 34.

[78] ეგნატე ინგოროყვას (ნინოშვილის) გარდაცვალების გამო (სიტყვა, თქმული სილ. ჯიბლაძის მიერ), "ალალი", 22 მაისი, 1894 წ. სხვათა შორის, ნოე ჟორდანია დასაფლავებას არ ესწრებოდა, იგი ამ დროს ჟენევაში იმყოფებოდა.

[79] ნოე ჟორდანიას ხსოვნისათვის, კრებულში „ილია ემიგრანტთა თვალით", ტ. I, თბ., 1996, გვ. 272.

[80] იქვე, გვ. 273.
[81] იქვე, გვ. 279.
[82] ილია და ნოე (1992), იქვე, გვ. 250, იხ. აგრეთვე გვ. 252
[83] კარლო ინასარიძე, "ილია და ნოე", ილია ემიგრანტთა თვალით, II, 1996, გვ. 250.
[84] დასახ. წიგნი, "ილია და ნოე", ილია ემიგრანტთა თვალით, II, 1996, გვ. 250, აგრეთვე გვ. 255.
[85] იქვე, გვ. 252.
[86] იქვე.
[87] იქვე, გვ. 254.
[88] იქვე.
[89] იქვე, გვ. 97.
[90] მითითებულია: „ევერია", პარიზი, მარტი, 1983 წ.
[91] ილია ემიგრანტთა თვალით, ტ. II, 1996, გვ. 109.
[92] იქვე, გვ. 170.
[93] იქვე, გვ. 171.
[94] იქვე.
[95] იქვე.
[96] იხ. აგრეთვე მის მიერ ამ თემაზე მანამდე დაბეჭდილი რიგი სტატიებისა.
[97] ნოე ჟორდანია. პოლიტიკური პორტრეტი 1869 – 1953, თბ., 1999, გვ. 23.
[98] იქვე, გვ. 24.
[99] იხ. ჟურნ. „მოგზაურის" 1905 წლის 3 ივლისის ნომერში.
[100] იხ. გაზეთი „ჩვენი გზა", 1907 წ. 9 ოქტომბერი, № 28. შევნიშნავთ, რომ მსგავსმა გამონათქვამებმა, აგრეთვე სხვა ეჭვებმაც, ქართულ საზოგადოებრიობაში დაბადა ვარაუდი იმის თაობაზე, რომ ყოველ შემთხვევაში ნ. ჟორდანია საქმის კურსში იყო ილიას ჩაფიქრებული მკვლელობის შესახებ და პილატესავით განზე გადგა.
[101] ნ. ჟორდანია, რჩეული ნაწერები, თბ., 1990, გვ. XXXVII.
[102] ვ. გურულის დასახ. წიგნი, გვ. 31.
[103] იქვე, გვ. 52.
[104] იქვე, გვ. 61.
[105] ვ. გურული, ნოე ჟორდანია...., გვ. 27.
[106] იხ. ი. გორგაძე, ნ. გურგენიძე, ილია ჭავჭავაძე – ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე, გვ. 299.
[107] ნოე ჟორდანიას პოლიტიკური შეხედულებები (ხელნაწერი), თბ., 2003, გვ. 77. იხ. აგრეთვე გვ. 89 – 90. შეგახსენებთ, რომ ვ. შუბითიძე ნოე ჟორდანიას სხვა შეცდომებსაც აღნიშნავს.
[108] იხ. ალექსანდრე მუჯირი, ასჩვიდმეტი წლის შემდეგ, ჟ. „მნათობი", № 7, 1989, გვ. 110. გრიგოლ ჟვანია, ევროპა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, თბ., 1998, გვ. 57.
[109] იხ. მისი რეცენზია ალექსანდრე ასათიანის წიგნზე.

* სოციალისტ-ფედერალისტ გიორგი ლასხიშვილთან კერძო საუბრიდან. იხ. გიორგი ლასხიშვილი, მემუარები, თბ., 1992, გვ. 93.
[110] „მოამბე", VI, 1901, გვ. 73.
[111] იქვე., გვ. 61 – 62.
[112] „მოამბე", VIII, გვ. 33.
[113] „მოამბე", X, გვ. 77.
[114] „მოამბე", X, გვ. 73.
[115] „მოამბე", VII, გვ. 46. შეადარეთ ილიასეულ აზრთან: "საკმაოა ჩვენში კაცმა კაცს რაზედმე საბუთიანი უარი უთხრა, საკმაოა ერთს რომელისამე აზრზედ არ დაეთანხმო, საკმაოა შენი საკუთარი აზრი იქონიო, სხვის სიტყვას, სხვის საქმეს სამართლიანი წუნი დასდო, საკმაოა რაც იმას მოსწონს, თქვენ არ მოიწონოთ, - ერთ-ერთი ამისთანა საკმაოა-მეთქი, რომ მომდურაეამა კაცმა თავისი კალამი თუ ენა ლაფში ამოავლოს და ზედ თავზე დაგაბერტყოთ". საზოგადო საქმის მსახურთა სახელის დაცვისათვის, თსკ, ტ. VIII, გვ. 254.
[116] „მოამბე", IX, გვ. 58.
[117] იქვე, გვ. 61.
[118] იქვე, გვ. 58.
[119] „მოამბე", IX, გვ. 61.
[120] იქვე.
[121] იქვე.
[122] იქვე, გვ. 58.
[123] „მოამბე", VIII, გვ. 37.
[124] „მოამბე", IX, გვ. 63.
[125] „მოამბე", X, გვ. 79.
[126] იქვე.
[127] იქვე, გვ. 80.
[128] იქვე.
[129] „მოამბე", VI, გვ. 73.
[130] „მოამბე", VII, გვ. 47.
[131] „მოამბე", IX, გვ. 58.
[132] იქვე, გვ. 59.
[133] „მოამბე", IX, გვ. 59.
[134] იქვე.
[135] იქვე, გვ. 60.
[136] იქვე, გვ. 61.
[137] „მოამბე", X, გვ. 79.
[138] თსკ, ტ. III, გვ. 436 - 437.
[139] იქვე, გვ. 441.
[140] 1902 წლის 14 მარტს „იეერიაში" დაიბეჭდა აგრეთვე მ. ტფილისელის (ფსეევდონიმია) სტატია „ბ-ნ არჩილ ჯორჯაძის ციფირები და ოინები".
[141] სამსონ ფირცხალაეა, მოგონებათა ფურცლები, თბ., 1988, გვ. 117.

[142] თედო სახოკია, ჩემი საუკუნის ადამიანები, თბ., 1984, გვ. 27. ამასთან დაკავშირებით გაუგებრობას წარმოადგენს სამსონ ფირცხალავას მოგონება: „ჩვენს წრეში ასეთი ხმებიც იყო გავრცელებული: როცა სოციალისტ-ფედერალისტებმა თავის პროგრამაში საქართველოს ავტონომიის მოთხოვნა შეიტანეს, ილიამ ეს რომ გაიგო, არ მოეწონა, ასე თქვაო: ავტონომია გულში უნდა გვქონოდა და მისი საქმეუნოდ გაშარება ზიანს მოგვიტანს, მტრებს მოგვიმრავლებს. რამდენად მართალი იყო ეს, ამის შემმოწმებელი არავინ მინახავს. მაგრამ მაინც საგულისმოა ასეთი ხმების არსებობა". იხ. მისი „მოგონებათა ფურცლები", გვ. 71. თედო სახოკია - „შემმოწმებელი" ხომ სხვანაირად გვიყვება! გარდა ამისა, მოვიგონოთ საქართველოს ავტონომიის იდეის ქადაგება ილიას მიერ ჯერ კიდევ რუსეთის პირველ რევოლუციამდე, თანაც მკაცრ საცენზურო პირობებში. ამდენად, ჩანს მსგავსი ინსინუცია ილიას საწინააღმდეგოდ წარმოიშვა, ამჯერად სოციალისტ-ფედერალისტთა წრეში.

[143] იხ. თედო სახოკიას წიგნი, გვ. 28. ჩანს, ავტორს დააეიწყდა, რომ თვითონ არჩილ ჯორჯაძეს ჰქონდა პოლემიკა ილიასთან ერთი წლის წინათ.

[144] გ. ლასხიშვილი, მემუარები, თბ., გვ. 81.

[145] გიორგი ლასხიშვილისა და მის თანამოაზრეთა აზრით, რუსეთში ეს მალე დამყარდებოდა.

[146] იქვე, გვ. 82.

[147] გ. ლასხიშვილი, მემუარები, გვ. 93.

[148] ცნობილია, რომ როცა მიხეილ გედევანიშვილმა ჩაიფიქრა ილიას ნაწარმოებთა გამოცემა, ერთ-ერთი შესავალი ნაწილის დაწერა (მან) სწორედ არჩილ ჯორჯაძეს დააეალა. უკანასკნელმა დაწერა ნაშრომი სულ ოთხი თაკის მიცულობით, რომლის ერთი ნაწილი დაიბეჭდა კიდეც გაზეთ „სახალხო საქმეში" (1917 წლის 29 აგვისტოს) სათაურით „ძირითადი მოტივები ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკისა (კრიტიკული განხილვა)". ილიას ნააზრევის დადებითი მომენტების წარმოჩენასთან ერთად იგრძნობა მათი პოლემიკის გაგრძელებაც: ილია „უფრთხის უჩვევს, იგი არ ენდობა ახალს, გამოუცდელს, თუმცა ამ ახლის წინაშე გულგრილი არა რჩება"; „...არასოდეს თავისად არ ჰხდის სხვის აზრს და სხვის იდეალს, თუ ეს სხვისი აზრი და სხვისი იდეალი სახიფათო და გამოუსადეგარ საგნად მიიჩნია"; რომ საერთოდაცო „მეცხრამეტე საუკუნის მწერლობა, ილიას მეთაურობით, ეიწრო ფარგლით შემოფარგლეს აზრის და გრძნობის გავარჯიშებისათვის". ავტორი, ჩანს, უპირველესად სოციალ-ფედერალიზმის იდეოლოგიიდან ამოდის, თუმცა ისტორიამ დაადასტურა, რომ ილია ამჯერადაც მართალი იყო.

[149] შინაური მიმოხილვა, 1883 წელი, აპრილი, თსკ, ტ. V, გვ. 253-54.

[150] იხ. კრებული „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება", გვ. 189.

[151] ამ ორი პიროვნების ურთიერთობათა შესახებ იხ. ჩვენი „ივანე ჯავახიშვილი (ახლებურად წაკითხვის ცდა)", თბ., 1999, გვ. 61 – 72.

[152] საინტერესოა აღინიშნოს, რომ სოფელ მარილისის (დღევანდელ ახმეტის რაიონში) ნახევარი ეკუთვნოდათ ჭავჭავაძეებს და მათი ყმები ყოფილან ჯუგაშვილები, რომელთა ნაწილი შემდგომ გააზატებულა. იხ. ჯიბო

ლომაშვილი, ჭავჭავაძეების გვარტომობის ისტორიისათვის, თბ., 2007, გვ. 29 – 30. სხვათა შორის, 1894 წლის თებერვალში ილია „ივერიის" თანამშრომლებთან ერთად გორში იყო და დაესწრო „კრიეებს", რომლის „ტრფიალიც" ჭაბუკი სოსო ჯუგაშვილი იყო.

[153] თსკ, ტ. III, გვ. 89.

[154] იქვე, გვ. 37.

[155] ი.ჯ. ყართაგავა, ილია ჭავჭავაძე როგორც რედაქტორი, „მნათობი", № 9, 1957, გვ. 167.

[156] საიუბილეო ზეიმის დაწერილებითი პროგრამა მიღებულ იქნა კომიტეტის 9 ოქტომბრის სხდომაზე. სხვათა შორის, თბილისის სასულიერო სემინარიელებმა იუბილარს საჩუქრად ალბომი მიართვეს.

[157] იხ. ჩვენი „სტალინი, შტრიხები პორტრეტისათვის", თბ., 2006, გვ. 239 – 243.

[158] ალექსანდრე წულუკიძე, თხზულებანი, თბ., 1967, გვ. 391.

[159] იქვე, იხ. აგრეთვე გვ. 72, 152.

[160] იხ. მისი „სოციალური და ეროვნული საკითხი–", გვ. 30.

[161] ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 1, გვ. 32.

[162] მითითებულია „ბრძოლა".

[163] ი. ბ. სტალინი, თხზ., გვ. 32 – 33.

[164] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 33.

[165] იქვე.

[166] იქვე.

[167] საკითხის შესახებ დაწერილებით იხ. ჩვენი დასახ. წიგნი, გვ. 111 – 129.

[168] ი. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 34.

[169] იქვე.

[170] ი. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 38 – 39.

[171] იქვე.

[172] იქვე, გვ. 52.

[173] იქვე, გვ. 39.

[174] ი. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 40.

[175] იქვე, გვ. 42.

[176] იქვე, გვ. 44-45.

[177] იქვე, გვ. 48.

[178] იქვე.

[179] იქვე.

[180] იქვე.

[181] იქვე, ტ. 2, გვ. 49.

[182] ი. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 51.

[183] როგორც ამჯერად კელავ ნეოიმპერიალისტური, „დემოკრატიული" რუსეთი აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

[184] ი. სტალინი, თხზ., ტ. 2, გვ. 203.

[185] ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 203.

[186] იქვე, გვ. 204.

[187] იქვე. მოგეხსენებათ, ეს სიტყვები წარმოადგენენ პერიფრაზს კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსისას, რომლებიც ამ შემთხვევაში მუშებს გულისხმობდნენ.
[188] იქვე.
[189] იქვე.
[190] იქვე, გვ. 205.
[191] იქვე, გვ. 205. ამავე თემას ეძღვნება სტატია „აგრარული საკითხის გამო", გაზ. „ელვა", № 14, 1906 წლის 29 მარტი.
[192] ი. სტალინი, თხზ., ტ. 2, გვ. 205 - 206.
[193] იქვე, გვ. 206.
[194] უპრიანია მოვიგონოთ ილიასეული, 1886 წელს გამოთქმული აზრი: „მთელი არსება მიწათმფლობელობის საქმისა, რომელიც შეადგენს დღევანდელს ტკივილს ყველა ერისას და ყველა სახელმწიფოებისას, იმაში მდგომარეობს, თუ, - რომელი ნაწილი საკუთრებისა გაძლიერდეს და გაუფლდეს (გაბატონდეს - **ბ. ყ.**) კაცთა ეკონომიურს ცხოვრებაში: პირადი თუ ზოგადი. ეს ორი ელემენტი იბრძვის დღეს ქვეყნიერობაზედ და ეგრეთწოდებული საადგილმამულო, სამიწაწყლო საქმე (аграрный вопрос). მარტო ეგ ორთა-შუა ბრძოლაა და სხვა არა-რა". ხიზნების საქმე, თსკ, ტ. VI, გვ. 141-142.
[195] ამ თვალსაზრისით გაუგებარია მისი სიტყვები: „პროგრამის შედგენისას უნდა ვემყარებოდეთ არა ზოგიერთ განაპირა მხარის ზოგიერთი ნაწილის სპეციფიკურ ნიშნებს, არამედ რუსეთის ადგილთა უმრავლესობის დამახასიათებელ საერთო ნიშნებს: პროგრამა, რომელშიც მთავარი ხაზი არ არის, პროგრამა კი არა, სხვადასხვა დებულება მექანიკური შეერთებაა". ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 222 - 223. თუ ასეა, მაშინ ხომ უფრო მხარდასაჭერი იქნებოდა მიწის ნაციონალიზაცია, რაც ესადაგებოდა რუსი ხალხის ტრადიციას.
[196] იქვე, გვ. 224.
[197] ი. სტალინი, თხზ., ტ. 2 გვ. 319.
[198] ი. სტალინი, თხზ., ტ. 2, გვ. 330.
[199] რამდენად უფრო წინ იყო გორში 1914 წელს დაბეჭდილი ბროშურის „ვინ იყო ილია ჭავჭავაძე?" ანონიმი ავტორი, რომელიც წერდა: „ქვეყნისა და ხალხის აყვავებისათვის პირველი საქმე თავისუფლებაა. თუ რომელიმე ერთი ხალხი, ერი სხვა ერისაგანაა დამორჩილებული, თუ ხალხი თვითონ არაა თავისი ბატონი და პატრონი, თუ არ შეუძლიან თავისუფლად ილაპარაკოს, იფიქროს, წეროს, შეიკრიბოს, ერთი სიტყვით თუ მოკლებულია თავისუფლებას, ასეთი ხალხი ვერასოდეს ვერ განვითარდება, ვერ მოიპოვებს მის ბედნიერს ცხოვრებას. ამიტომ ყოველი ადამიანი და ხალხი თავგანწირვით უნდა იბრძოდეს განთავისუფ-ლებისათვის". იხ. გვ. 8.
[200] ი. სტალინი, თხზ., ტ. 2, გვ. 330.
[201] იქვე.

[202] იქვე, გვ. 313.
[203] იქვე, გვ. 315.
[204] იქვე, გვ. 343 – 344. .
[205] შესაძლოა ამის გამოძახილი იყოს ჩვენს მოარულ საზოგადოებრივ აზროვნებაში გავრცელებული აზრი, თითქოს ილიას მომავალ „ბელადზე" ეთქვას: „შორს წავა, ძალიან შორს"-ო. წერილობით ეს გვხვდება ცნობილ ლიტერატორ ლეონ ასათიანის დრამატულ ქრონიკაში „წიწამურის გზა", „მნათობი" № 10, 1957, გვ. 117 (სხვათა შორის, ავტორი აქ ნაძალადევად ცდილობდა წარმოეჩინა ამ ორი პიროვნების ურთიერთშეხების მომენტები). უფრო შესაძლებელია, რომ ქართულმა საბჭოურმა „პარტიოტულმა" მითოლოგიამ საფუძველად გამოიყენა იაკობ მანსვეტაშვილის მოგონება: „კოჭებზედვე ეტყობა, რა ვაჟიც უნდა გამოვიდეს მაგ ვაჟისაგან: შორს წავა, შორს!". იაკობ მანსვეტაშვილი, მოგონებანი. ნახული და გაგონილი, ტფ., 1936, გვ. 106.
[206] ჩაწერილი მაქვს მთხრობელისაგან პირადად, გასული წლის 22 აპრილს. სხვათა შორის, მსგავსი მონათხრობი მომისმენია პირადად პროფ. იური კაჭარავასაგანაც, რომელსაც ეს ამბავი უშუალოდ მოუსმენია ბ-ნ დემნა შენგელაიასაგან.
[207] უფრო დაწვრილებით ამ საკითხზე მკითხველებს მივუთითებთ ჩვენი წიგნის „წიწამურის ტრაგედიის საიდუმლოს" შესაბამის თავებზე.
[208] იხ. „ჩვენი დროშა", 1981, ივლისი, № 91.
[209] სხვათა შორის, როდესაც სახელმწიფო საბჭოს შემდგომ, მეორე სესიაზე ილიამ დიდი ძალისხმევა გამოიჩინა სიკვდილით დასჯის გაუქმებისათვის, ი. ჯუგაშვილი ამას არ გამოხმაურებია. ამასთან დაკავშირებით გვაგონდება აგრეთვე გიგლა ბერბიჭაშვილის აღიარება დაკითხვისას: საგურამოს სოფლებში ხშირად ამოდიოდნენ პროპაგანდისტები. ცხადია, ფილიპე მახარაძე გამონაკლისი არ იქნებოდა.
[210] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 2, გვ. 626.
[211] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 11, გვ. 217.
[212] ეს ამბავი უფრო კონკრეტულად ასე მოხდა: ყრილობის წინ, ერთი თვით ადრე, "ბელადმა" მოსკოვში თავისთან იხმო საქართველოს მწერალთა კავშირის იმჟამინდელი თავმჯდომარე (შეთავსებით) მალაქია ტოროშელიძე. გაეცნო რა მოხსენების თავდაპირველ ვარიანტს, რომელშიც ჩვენი ლიტერატურის ისტორია ეგნატე ნინოშვილიდან იწყებოდა, სტალინმა დაიწუნა იგი და მიუთითა საფუძვლიანად გადაემუშავებინა, კერძოდ ერცლად მიმოეხილა ქართული კლასიკური მწერლობა. შექმნილი იქნა მწერალთა და მეცნიერთა კომისია პაელე ინგოროყვას, ალექსანდრე ბარამიძის, გერონტი ქიქოძის, მიხეილ ზანდუკელის, შალვა რადიანის, ბესარიონ ჟღენტის, დავით დემეტრაძის და თვით მომავალი მომხსენებლის შემადგენლობით. ასე, ორიოდე კვირაში, მომზადდა ახალი მოხსენება. სხვათა შორის, ეროვნულ ლიტერატურათა თაობაზე ყველაზე ერცელი მოხსენება სწორედ ქართული ლიტერატურის ისტორიას ("შუშანიკის

წამებიდან" მოკიდებული) მიეძღვნა. იხ. თეითმხილველ ირაკლი აბაშიძის წიგნი 'გუშინ, გუშინწინ..., (წერილები, მოგონებები)", თბ., 1989, გვ. 106.

[213] თუმცა მანამდე, 1934 წელს გამოქვეყნებულ შენიშვნებში „სსრკ-ის ისტორიის სახელმძღვანელოს კონსპექტის შესახებ" ი. სტალინი, ა. ჟდანოვი და ს. კიროვი აღნიშნავდნენ: „კონსპექტში არაა მოცემული ცარიზმის მიერდაპყრობილი რუსეთის ხალხთა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირობები და სათაეები", მაგრამ იმხანად არც სტალინს და არც რომელიმე სხვა ქართველ ავტორს არ უცდია ილიას ფენომენის გააზრება ამ თვალთახედვით. სხვათა შორის, ი. სტალინი 1925 წელს შენიშნავდა: „1912 წელს, როცა ჩვენ, რუსი მარქსისტები (!), ნაციონალური პროგრამის პირველ (?!) პროექტს ვადგენდით, რუსეთის იმპერიის ჯერ კიდევ არც ერთ განაპირა მხარეში არ გვქონია (?!) სერიოზული მოძრაობა დამოუკიდებლობისათვის". თხზულებანი, ტ. 7, გვ. 79. ვიმეორებთ, საერთოდ, მაშინ ბოლშევიკები უარყოფითად აღიქვამდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

[214] აქვე დაიბეჭდა ილიასეული ლექსების: – „გაზაფხული", „ჩემო კარგო ქვეყანავ...", „ქართველ სტუდენტების სიმღერის" რუსული თარგმანები. სხვათა შორის, უკანასკნელი ლექსის (თარგმანი ბორის ბრიკისა) ერთი სტროფი ასეთი სახით იყო გადმოცემული:

„Пусть воспитывает мать
Сыновей из стали,
Чтоб народу помогать
Всчно не устали".

და აქვე განმარტებული იყო, რომ „ქართველი სტუდენტების მხნე სიმღერაში ისმის (звучит) იგივენაირი ურყევი იმედი „სხივნათელ" (лучезарное) მომავალზე, რომელსაც მოიპოვებენ „ფოლადიდან გამობრძმედილი შვილები" („сыновья из стали"). (ცხადია, ილიასეულ ლექსში შესაბამისი სიტყვა არაა). იოლი მისახვედრია, თუ საითკენ იყო მიმართული მთარგმნელისა და გაზეთის რედაქციის მუშაკთა მაამებლობა – პირფერობა.

[215] ეს შეფასებანი და შეხედულებანი, უნდა ვიგულისხმოთ, ი. სტალინს ეკუთვნის.

[216] ბელადთან შეხვედრა, „მნათობი", 1939, № 12, გვ. 149. როგორც დავინახეთ, კიტა აბაშიძისეული ახსნა ბევრად უფრო ღრმაა!

[217] იხ. მისი სტატია "ილია ჭავჭავაძე – რევოლუციონერი დემოკრატი", "მნათობი", 1954, № 9, გვ. 139.

[218] თუ სადამდე წავიდა მკრეხელობა ამ მიმართულებით, ეს ჩანს მხატვარ შალვა მაყაშვილის მაგალითზე: პოემა „ქართველის დედისათვის" მან კიაზოს სახით დახატა... ახალგაზრდა ი. ჯუგაშვილი! იხ. ილიასეულ თხზულებათა სრული კრებულის პირველი ტომი.

[219] რასაკვირველია, სტალინის მსგავსი მეტამორფოზის (ილიასადმი მიმართებაში) მოტივებს ვერ გებულობდა მენშევიკოფილი და შემდგომ გაბოლშევიკებული, მაგრამ მაინც „დიდი საბჭოთა ტერორის" დროს სიკვდილით დასჯილი პეტრე გელეიშვილი. ლიტერატორ ალექსანდრე სიგუას ეუბნებოდა: „საინტერესოა, რა საერთო უნდა ჰქონოდა სეპარატისტ ილია ჭავჭავაძესთან ჯუღაშვილს, რომელიც მოწინავე ქართველი ინტელიგენციისაგან შორს იდგა და არავინ არ იკარებდა". ალ. სიგუა, ილია ჭავჭავაძის მკვლელობა, „მნათობი", 1989, № 6, გვ. 165.

[220] შევნიშნავთ რომ „პრავდის" 1936 წლის 12 სექტემბრის საიუბილეო ნომერში აღნიშნულია, რომ ილია „მოღალატურად იქნა მოკლული „დაქირავებულ ბანდიტთა ხროვის (шайка) მიერ"-ო. მალე ეს „ხროვა",მავანთა ძალისხმევით, დაკონკრეტებულ იქნა „ოხრანკა" – ჟანდარმერიის აგენტების"-სახით.

[221] ლიტერატურის კრიტიკოსი ბესარიონ ჟღენტი მეყსეულად გამოეხმურა „ბელადის" შესაბამის აზრს: „მწერლის მოღვაწეობა დასრულდა XX საუკუნის დასაწყისში, როდესაც საქართველოში პოლიტიკურ სცენაზე გამოვიდა მუშათა კლასი. თავისი პარტიის ხელმძღვანელობით პროლეტარიატი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ იერიშზე გადავიდა. ჭავჭავაძემ მნიშვნელოვანწილად დაკარგა თავისი უწინდელი საბრძოლო მნიშვნელობა. თუმცა ამ დროსაც მისი ნაწარმოებები განაგრძობენ ქართველი ხალხის ეროვნული განთავისუფლებისადმი სამსახურს". იხ. მისი სტატია „ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელი" „პრავდის" აღნიშნულ ნომერში. კიდევ უფრო რიგორისტულად და უფრო ვრცლად მსგავსი აზრი გატარებული აქვს ისტორიკოს პრ. რატიანს თავის წიგნში ილიას შესახებ. 1970 წელს მოსკოვში გამოსული "ფილოსოფიური ენციკლოპედიის" მეხუთე ტომში (გვ. 472) ვკითხულობთ: 'საქართველოში მარქსიზმის გავრცელების მომენტამდე ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით წარმოებული პროგრესული მოძრაობა ხელს უწყობდა ქართული საზოგადოების მოწინავე ნაწილის პოლიტიკური და მოქალაქეობრივი აღზრდის კეთილშობილურ მისიას" (ავტორი გახლდათ ვახტანგ გაგოიძე). როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში ილიას მოღვაწეობის დიდი მნიშვნელობა გაფერმკრთალებულია უკვე 1890-იანი წლების დასაწყისისათვის. საყურადღებოა, რომ ილიას ცნობილი მკვლევრის, პრ. რატიანის მოგონებით, თითქოს ი. სტალინს სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილთან შეხვედრისას (1945 წლის ოქტომბერში) განეცხადებინოს, რომ საქართველოს XIX საუკუნის ისტორია ილიას როლის სათანადო წარმოჩენის გარეშე ვერ დაიწერებაო. თუმცა აღნიშნული ორი ისტორიკოსი თავიანთ გამოქვეყნებულ მოგონებებში ამ ფაქტს არ მიუთითებენ. ისე, სწორედ ს. ჯანაშიას რჩევით გადაწყვიტა იმხანად ასპირანტმა პრ. რატიანმა ილიას ცხოვრებასა შემოქმედებაზე ხანგრძლივად ემუშავა.

თავი მეცხრე

დავით აღმაშენებლისა და ილიას შეპირისპირება

(პლუტარქოსის მიბაძვით)

"რამოდენადაც ეს დიდბუნებოვანება ხშირია რომელიმე ერის ისტორიაში, იმოდენად უფრო უტყუარი საწყაო გვაქვს ხელთ ერის სიკეთის, ძალ-ღონის და შემძლეობის აწყვისათვის".

ილია.

ამა თუ იმ ერის ისტორიაში დიდ ისტორიულ პიროვნებათა სიმრავლე ოდენ შესაბამისი ერის ისტორიული პროცესის სიმდიდრის მაჩვენებელი როდია. თავის მხრივ ეს ფაქტი საფუძველი გახლავთ ერის მიერ ღირსების გრძნობისა და შეგნებისა. სტატიაში „დავით აღმაშენებელი"[1] (დაწერილია 1888 წლის 26 იანვარს (ძვ. წ.), დავით აღმაშენებლის მოხსენიების დღეს) ილია წერდა: „ერი თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულს, თავის მწვრთნელსა, თავის ღონეს და შემძლებლობას, თავის ხატსა და მაგალითს"[2]; „ისინი ცხოველი მაგალითებია მისი, თუ რა სიმაღლემდე შეუძლიან ერს ამა თუ იმ გარემოებაში მიაღწიოს"; „რამოდენაც ეს დიდ-ბუნებოვანება ხშირია რომელსამე ერის ისტორიაში, იმოდენად უფრო უტყუარი საწყაო გვაქვს ხელთ ერის სიკეთის, ძალ-ღონის და, შემძლებლობის აწყვისათვის"[3]. ეს გარემოება, ილიასავე მიხედვით, შესაბამის ერს ოპტიმისტურად განაწყობს, რამეთუ თუ „გუშინ იყვნენ ჩემი სისხლის და ხორცის დიდებულნი და სახელოვანნი კაცნი, რა მიზეზია, რომ ხვალაც არ გამოჩნდნენ, თუ გარემოების იგივეობას ვიგულისხმებთ"-ო[4].

ჩვენდა სასახელოდ და საბედნიეროდ, საქართველოს ისტორია საკმაოდ მდიდარია სახელოვანი პიროვნებებით. მაგრამ სავსებით ვიზიარებთ ცნობილ პოეტ მურმან ლებანიძეს, რომელიც ამგვარ პიროვნებათა შორის „ორ სვეტს" - დავითსა (თუნდაც თამარის გათვალისწინებისას) და ილიას (თუნდაც შოთა რუსთაველისა და ვაჟა-ფშაველას გათვალისწინებით) გამოარჩევდა. ლექსში „მკითხე და გეტყვი" იგი წერდა:

„დავითი იყო ჩვენთვის მთავარი!
დავითი იყო.... პირველი სვეტი!";

დავით აღმაშენებელი

„..... დავითის შემდეგ
ილია იყო ..... მეორე სეეტი!"

მართლაც ამ ორი დიდებული ისტორიული პიროვნების როლი განსაკუთრებულია ჩვენს ისტორიაში. ცხადია, მათ სხვადასხვანაირ ისტორიულ სიტუაციებში მოუხდათ ცხოვრება და მოღვაწეობა, აქედან გამომდინარე, სხვადასხვაგვარ ამოცანებს წყვეტდნენ (საბოლოოდ კი ერთი საერთო მიზანი ჰქონდათ მშობლიური ხალხის, ერის ფეხზე დადგომა და გაძლიერება), მაგრამ აღსრულებული როლის სიდიდე-სიდიადით ისინი ერთმანეთს ეთანადებიან.

მოგეხსენებათ, ჯერ კიდევ დავითის მეფობამდე (1089 – 1125 წლები) საქართველოში, ბაგრატ მესამის მეფობის პერიოდიდან მოყოლებული, დაწყებული იყო სახელმწიფოებრივი ცენტრალიზაციის პროცესი. მაგრამ ჩვენს სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით წარმოქმნილი თურქ-სელჩუკიანთა მძლავრი და აგრესიული სახელმწიფოს ზემოქმედებით აღნიშნული პროცესი შეფერხდა, მეტიც, საქართველო მათი მხრიდან აგრესიის მსხვერპლი გახდა. ისინი ჩვენი მიწა-წყლის დიდ ნაწილს ნომადური (მომთაბარული) მეურნეობის ასპარეზად იყენებდნენ, ხოლო ჩვენი ქვეყანა და სახელმწიფო დავითის წინამორბედის (მამის) გიორგი მეორის მეფობის დროს იძულებული შეიქნა თურქ-სელჩუკთათვის ხარკიც კი ეძლია. ამდენად, საქართველო უკვე აღარ იყო თავისუფალი, სუვერენული, დამოუკიდებელი სახელმწიფო (ქვეყანა).

დავით აღმაშენებელმა თითქოს შეუძლებლის აღსრულება შესძლო, მან საქართველოს ფარგლებიდან გაჰყარა აგრესორები, ქვეყანა გააერთიანა და იმპერიაც კი შეჰქმნა. მაგრამ თუ შესაბამის ისტორიულ პროცესს ღრმად ჩავუკვირდებით, ჩვენს უდიდეს მეფეს ხელსაყრელი ისტორიული პირობები უწყობდა ხელს: 1) მის დროს, ჩანს, უკვე მოქმედებდა ქართველთა აქტიური დასი, რომელიც გრძნობდა წარმოქმნილი ისტორიული გამოწვევისათვის პასუხის გაცემის საჭიროებას. სწორედ მათი ძალისხმევით სამეფო კარზე უნიათო გიორგი მეორის ნაცვლად აყვანილ იქნა თექვსმეტი წლის დავითი. სხვანაირად რომ ვთქვათ, დავითის გარშემო, თავისი მეფური წარმომავლობის გამო, უკვე არსებობდა გავლენიანი სუბიექტური ფაქტორი; 2) ამას დაემატა ხელსაყრელი საგარეო პირობები; კერძოდ, იწყებოდა თურქ-სელჩუკიანთა სახელმწიფოს დაცემა-დეგრადაციის პროცესი, დაიწყო ჯვაროსანთა ლაშქრობები, რომელთაც თავის მხარისაკენ მიიზიდეს მახლობელი აღმოსავლეთის მაჰმადიანთა

ძალები; და 3) დავითმა მეზობელი იმიერკავკასიის სტეპებიდან გადმოიყვანა ყიეჩაყთა მასა, რამაც აგრეთვე ხელი შეუწყო საქართველოს გამთლიანებისა და გათავისუფლების პროცესს.

სხვაგვარ ისტორიულ ვითარებაში მოუწია ცხოვრება ილიას. მის დროს, როგორც ვიცით, საქართველო მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე აღარ არსებობდა, ოფიციალურად თვით სიტყვა „საქართველოც" კი აღარ იხმარებოდა; არსებობდნენ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები, ბათომის ოლქი და სოხუმისა და ზაქათალის ოკრუგები. ასე რომ, მართალია ცარისტულმა რუსეთმა პოლიტიკურად გააერთიანა საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის დიდი ნაწილი, მაგრამ ამას ადგილი ჰქონდა ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვის მძიმე საფასურად. რასაკვირველია, აღარ არსებობდა ბაგრატიონთა სამეფო დინასტია. შექმნილ ისტორიულ ვითარებაში დიდი ისტორიული პიროვნების როლის აღსრულების მისია თავს იდო წარმოშობით ღარიბმა თავადმა ილია ჭავჭავაძემ.

მან თავისი მოღვაწეობის დაწყებისას წამოაყენა დიდებული ლოზუნგი: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს". გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ „მგზავრის წერილების" დაწერის დროს, იმ პერიოდის რუსეთში რევოლუციის მოხდენის შესაძლებლობის მოიმედე ილია აღნიშნულ ლოზუნგში საქართველოს სრულ დამოუკიდებლობას გულისხმობდა. მაგრამ რაკიღა რუსეთში გატარებულმა მნიშვნელოვანმა რეფორმებმა განმუხტა რევოლუციური სიტუაცია, თანაც 1863 წელს მარცხით დასრულდა პოლონელთა (შეგახსენებთ, რომ მათი რაოდენობა მხოლოდ რუსეთის შემადგენლობაში თითქმის ათ მილიონს აღწევდა) აჯანყება, ამ მოვლენათა შემხედვარე ილია იძულებული გახდა ნაკლებად რადიკალური გადაწყვეტილება მიეღო და „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს" ლოზუნგში საქართველოს ავტონომია ეგულისხმა. ეს გახლდათ ეროვნული პროგრამა-მინიმუმი, რომელსაც შემდგომში, სათანადო ისტორიული პირობებისდა- კვალად, შესცვლიდა პროგრამა-მაქსიმუმი: საქართველოს მიერ სრული დამოუკიდებლობის მოთხოვნა და მოპოვება.

მიუხედავად უმკაცრესი ცენზურული პირობებისა, ილია თავის პოლიტიკურ მრწამსს განმარტავდა და ახმოვანებდა პრესის მეშვეობით. მაგრამ იდეის რეალური განხორციელების პერსპექტივა არა და არ ჩანდა. ეროვნული თავისუფლების მოპოვების (ავტონომიის ფორმით) შანსი თითქოს უნდა გაჩენილიყო რუსეთის

პირველი რევოლუციის დროს, 1905 - 1907 წლებში, მაგრამ აღმოჩნდა, რომ რიგი ობიექტური და სუბიექტური პირობების გამოისობით ქართველობამ ვერ გამოიჩინა სათანადო ძალისხმევა აღნიშნული მიმართულებით, თუმცა ჩვენი დიდი მოღვაწე ამას დიდად ცდილობდა. დღევანდელი ისტორული გადასახედიდან ჩანს, რომ სათანადო საშინაო პირობების არსებობისასაც კი, რაკი მითუმეტეს რუსეთში კონტრ-რევოლუციამ, რეაქციამ გაიმარჯვა, დასახული დიდი ეროვნული მიზანი ვერ აღსრულდებოდა ძალზე პრობლემატურია, თუ ეს განხორციელდებოდა რევოლუციის გამარჯვების შემთხვევაში). ილიას თავგანწირული მცდელობა ამაო აღმოჩნდა, რასაც შეეწირა კიდეც მისი სიცოცხლე.

ასე რომ, ილიამ ვერ განახორციელა თავისი უდიდესი ნიჭი პოლიტიკურ ასპარეზზე, სახელდობრ ნიჭი ქართული სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობისა. რომ ასეთი ნიჭი მას უზარმაზარი ჰქონდა, ამის დასტურია თუნდაც საქართველოს ისტორიაში ილიას ანტიპოდის იოსებ სტალინის (ერთ დროს ჯუგაშვილის) აზრი. ქართველი მწერალი ელგუჯა მაღრაძე მოწმე აღმოჩნდა სერგო ქავთარაძის – ცნობილი ბოლშევიკისა და საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწის ნაამბობისა, რასაც ადგილი ჰქონია 1958 წელს „მნათობის" რედაქციაში. იგი სერგო ქავთარაძის მოგონებას ასე გადმოგვცემს: „ერთხელ გიორგი ელისაბედაშვილი, ვასო ეგნატაშვილი და პეტა კაპანაძე ჩვენმა მეგობარმა იოსებმა შინ მიგვიწვია. თეთრი ბუხრის წინ დადგმულ დაბალ მაგიდას ვუსხედით. მწვადი შევწვით და მასპინძლის მიერ საკუთარი ხელით შესაევებულ ლობიოს გემო გავუსინჯეთ, ზედ გუდის ყველი, წიწაკის მწნილი, ხიდისთავური თაკვერი (!) დავაყოლეთ და საუბარი გავაბით. ჩვენი პურობა და შექცევა კარგხანს გაგრძელდა. მასპინძელმა ჩიბუხი გატენა, გააბოლა, ფეხზე წამოდგა, ბოლთისცემას მოჰყვა და ალბათ ფიქრში წასული, ჩვენს საუბარში კარგა ხანს აღარ ჩაერია. დიდი ადამიანის წინაშე რიდმა და კრძალვამ მეგობრულ ურთიერთობაშიც შეიტანა ბზარი და სასაუბროდ ჩვენც აღარ მივძალებივართ. მოულოდნელად მასპინძელი თავზე წამოგვადგა და ყველას მოგვმართა: – მერმე ილია? ილია ჭავჭავაძეზე იმ დღეს სიტყვა არცერთ ჩვენგანს არ დაუძრავს, ილიას სახელი თვითონ იოსებსაც არ უხსენებია. ჩვენში (!) მასთან ყველაზე უფრო შეთამამებული გიორგი იყო და ისევ მან შეჰბედა – ვინ ილია? რომელ ილიაზე გვეკითხები? ჭავჭავაძეზე ხომ არა? – ჰო, ილია ჭავჭავაძესა და ჩემზე გეკითხებით. თქვენის აზრით, რომელი უფრო დიდი პიროვნებაა,

ილია თუ მე? ჩვენ მაშინვე ერთხმად ვუთხარით ჩვენი მოსაზრება.

– ეჰ, მე თქვენ უფრო პირამთქმელნი და გონიერად განმსჯელნი მეგულებოდით, – გვითხრა რაღაც **სევდიანი სინანულით**[5] (ხაზგასმა ჩვენია – **გ. ყ.**) მასპინძელმა, – ილია ჭავჭავაძეს სამოღვაწეო-სამოქმედო ასპარეზი ჰქონდა პატარა. მისმა გონებრივმა შემართებამ საქართველოს ვიწრო ჩარჩოებში ფრთები სათანადოდ ვერ გაშალა, იგი არწივად იყო დაბადებული და საქართველოს ვიწრო შემოგარენში სული მოეხუთა, თორემ მსოფლიოს პრეზიდენტად გამოდგებოდაო.

გაოცებულებმა შეპასუხება ვერ შევბედეთ და თავი დუმილით დავიხსენით"[6].

თავი დავანებოთ იმას, რომ „ბელადს" უცნაური წარმოდგენა ჰქონია პოლიტიკური მოღვაწის სათანადო, ფართო ასპარეზის თაობაზე, განა ამისათვის ვრცელი ტერიტორია და დიდი ხალხთმოსახლეობა გახლავთ საჭირო? განა, ვთქვათ, ძველი სპარსეთის იმპერიის შემქმნელთ რაიმე უპირატესობა ჰქონდათ ბერძენი პოლისების (ქალაქ-სახელმწიფოების) პოლიტიკურ მოღვაწეებთან შედარებით, ანდა ვთქვათ, ესპანეთის იმპერიის ხელისუფლებს – შესაბამისი პერიოდის პატარა ნიდერლანდების (ჰოლანდიის) პოლიტიკოსებთან შედარებით და ა. შ. არა გვგონია თუ სტალინი ამ შემთხვევაში იმას გულისხმობდა, რომ ილიას არ ჰქონდა სათანადო ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პირობები (რაზედაც უკვე საგანგებოდ შევჩერდით) თვით პატარა საქართველოში. თავი დავანებოთ იმასაც, თუ რა საფუძველი ექნებოდა სტალინის სინანულის გრძნობას ილიასთან დაკავშირებით[7] (სინანული, იქნებ პირველისათვის უჩვეულო სინდისის ქენჯნაც კი, დიდად საეჭვოა გამოწვეული ყოფილიყო ილიას პოლიტიკური ასპარეზის სივიწროვით და ამდენად, შესაბამისი ნიჭის შეხუთვით) მთავარში – ილიას დიდი სახელმწიფოებრივი ნიჭის აღიარებაში იგი უთუოდ მართალი იყო.

დიდად სამწუხაროდ, აღნიშნულის მხრივ ილიას მიმართაც ითქმის იგივე, რაც მან „გლახის ნაამბობის" ეპიგრაფში გაბროზე სთქვა:

„რა ქნას კარგმა მონარდემა,
დროზედ შაში თუ არ მოვა!"

მიუხედავად ამისა, ჟურნალებისა და გაზეთების რედაქტორობა, თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო ბანკისა და 'ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების"

თავმჯდომარეობა, რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს წევრობა და ა. შ. იძლევა სრულ საფუძველს დავითის სამხედრო და პოლიტიკურ ღვაწლთან ილიას ღვაწლის შესაპირისპირებლად.

ორივეს, დავითსაც და ილიასაც, დიდ ენერგიასა და პოლიტიკოსის მაღალნიჭიერებასთან ერთად, დიდი ინტელექტიც მოსდგამდათ. ამ შემთხვევაში ილიას უფრო გაუმართლა და მან მეტად გამოაელინა სათანადო ნიჭი. მაგრამ აღფრთოვანებას იწვევს დავითის ფართო ინტელექტუალური შესაძლებლობებიც, რაც გამოვლინდა სხვა ხალხებისა და რელიგიებისადმი მის მიერ გამოჩენილ ინტერესებში.

ზემოთქმულს უნდა დაეუმატოთ ორივე ჩვენი დიდი ისტორიული პიროვნების მაღალი ზნეობრიობაც. საერთოდ, ვიცით, რომ პოლიტიკაში მთავარი მოტივია შესაბამისი ქვეყნის, სახელმწიფოს ინტერესები და არა მაღალი ზნეობრიობის ნორმები. ამიტომაც პოლიტიკოსები ნაკლებად განიცდიან სინდისის ქენჯნას. იშვიათ გამონაკლისს შეადგენდა დავით აღმაშენებელი, რომელიც „გალობანი სინანულისა"-ში აღიარებდა:

„ბოროტად გარდაეჰხედ
საზღვართა, და შეეჰრთე სახლი სახლსა,
და აგარაკი აგარაკსა, და უუძლურესთა
მიეხვეჭე ნაწილი მათი
და ვიღვწიდ უმეცხობლობასა,
ვითარცა მარტობ ემკვიდრობდ ქვეყანასა ზედა".

და ამას ამბობდა კაცი (უფრო სწორად: ზეკაცი), რომელმაც თავისი უკეთესი ზრახვანი და ქმედებანი დიდი ისტორიული მიზნის – საქართველოს გაერთიანება-გაძლიერებისკენ წარმართა და რომელმაც ამავე მიზნის მისაღწევად ბევრი რამ პირადული დასთმო!

დავით აღმაშენებლის ზნესრულობის ერთი მხარის თაობაზე თვითონ ილია გაკვირვებით ჰკითხულობდა: „ამისთანა კაცთმოყვარული პატივისცემა სხვის ეროვნობისა, სხვის სარწმუნოებისა, ნუთუ საკვირველი და საოცარი მაგალითი არ არის მეთორმეტე საუკუნის კაცისაგან!"[8]. მით უფრო რომ ილიასავე შენიშვნით, „ყოველივე ეს დიდსულოვანობა და სულგრძელობა დავითისა მაშინ არის მომხდარი, როცა ძლევამოსილი იგი მეფე სრულად გაბატონდა თავის ქვეყანაში და, მაშასადამე, ამითანა პატიოსანი და განათლებული ქცევა მარტო ამის დიდბუნებოვან გულს და გონებას უნდა მიეწეროს და არაფერს სხვას"[9].

ეიმეორებთ, ასეთივე მაღალზნეობრივი პიროვნება გახლდათ ილია, რომელსაც, პოლიტიკურ ცხოვრებაში ნაკლებად ჩართულობის გამო, სასინანულოდ არაფერი არ დარჩა. ასეთივე დამფასებელი, შემწყნარებელი, ჰუმანისტი იყო იგი სხვა ერების, მათ შორის საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების, მიმართ. ამდენად, მსგავსი ტრადიცია, რომელიც ამ პიროვნებებმაც გააძლიერეს, ჩვენთვის, ქართველობისათვის, დიდად ფასეულია.

ილია დიდი წინაპრის მისამართით შენიშნავდა: „კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდესო, – ამბობს ჩვენი ერი: – ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან წასაყოლიო. ეს ანდერძი ქართველისა ისე არავის შეუსრულებია, როგორც დავით მეფესა. აქ აღმაშენებლის სახელი დარჩა, როგორც მეფეს, და იქ, როგორც დიდბუნებოვანმა კაცმა – წაიყოლია სახელი წმინდანისა, დიდების გვირგვინით შემკობილი"[10]. იგივე სიტყვები არანაკლებ ესადაგება თვითონ ილიასაც.

ასეთია, მთავარ ხაზებში, დავითისა და ილიას მსგავსებანი. ხოლო რაც შეეხება მურმან ლებანიძის ნატვრას:

„ღმერთო, გვაღირსე,
ღმერთო, გვაღირსე,
ღმერთო გვაღირსე,
ღმერთო გვაღირსე
მესამე სვეტი!"

ეს აღარ აღსრულდება, რადგან ილიასი არ იყოს, აღარ იქნება შესაბამისი ისტორიული გარემოებანი. ამიტომაც ამ 'ორ დიდ სვეტს" უნდა დავჯერდეთ.

---

[1] ქართულ ენაში სიტყვა „აღმაშენებელს" ფართო და თანაც ზეაწეული მნიშვნელობა აქვს და ცხადია, სულაც არ ემთხვევა „მშენებელს". ამიტომაც ფრიად გაძნელებულია მისი თარგმნა რუსულად ანდა ინგლისურად: „Строитель" და „Builder" ვერ გამოხატავენ აღნიშნული ქართული სიტყვის სრულ მნიშვნელობას.

[2] თსკ, ტ. IV, გვ. 180.

[3] იქვე.

[4] იქვე.

[5] ელგუჯა მაღრაძე, გულითა მართლით, თბ., 1979, გვ. 48-49.

[6] იქვე.

[7] სხვათა შორის, საქართველოში მოღვაწე რუსულენოვანი ჟურნალისტის გიორგი ბეზირგანის გადმოცემით, სერგო ქაუთარაძე დარწმუნებული ყოფილა, რომ ილიას ერთ-ერთი მკვლელი - „იმერელი", „იმერელი-ბიჭი" ნამდვილად

სერგო ორჯონიკიძე იყო. ნუთუ აქედან მას სათანადო დასკვნა ვერ უნდა გაეკეთებინა?

[8] თსკ, ტ. IV, გვ. 181.

[9] იქვე, გვ. 183.

[10] თსკ, ტ. IV, გვ. 183. შევნიშნავთ, რომ მსგავსი აზრი თავდაპირველად გვხვდება ილიასეულ „გლახის ნაამბობში". მოთხრობის ერთ-ერთი გმირი, ფრიად სიმპათიური მღვდელი აცხადებს: „ხომ უნდა მოეკვდე დღესა თუ ხვალე, ის არა სჯობია ღვთისა და... კაცის სამსახურ'ში... ამომივიდეს სული! ...აქ სახელი მაინც დაგრჩება და იქ სიკეთე წაგიძღვება. „სჯობს სახელის მოხვეჭა ყოველსა მისახვეჭელსა", ჩემო კარგო! სახელის მოხვეჭა კიდევ, სხვამ რაც უნდა სთქვას, ცხონებაა სულისა. სამოთხესაც აქედამვე ეგ ანათებს და ჯოჯოხეთსაც აქედამვე ეგ აქრობს". თსკ, ტ. II, გვ. 72-73.

ილიას ფენომენის რამდენადმე ობიექტური, ადეკვატური გაცნობიერება ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში ძალზე გაძნელდა და გახანგრძლივდა. დიდი პიროვნების თანამედროვეთა ნაწილი მას სათანადოდ აფასებდა ე. წ. საღი აზრის დონეზე, მაგრამ მეცნიერული და ფილოსოფიური შემეცნების თვალთახედვით ეს გამოირცხებოდა. რაც შეეხება ილიას მოწინააღმდეგე სოციალ-დემოკრატებს, მათმა უმეტესობამ მისეული ნააზრევი და პრაქტიკული ნაღვაწი გაიაზრა იდეოლოგიურ (სინამდვილის დამახინჯებული ასახვის აზრით) პრიზმაში. მიიჩნევდნენ, რომ ილია თვალსაჩინო პოეტი და მწერალი გახლდათ, ხოლო რაც შეეხება მის საზოგადოებრივ, ეროვნულ ღვაწლს, მან, უკეთეს შემთხვევაში, საერთო ეროვნული მასშტაბით 1860-იან წლებში თუ ითამაშა დადებითი როლი, შემდგომ კი იგი თითქოს ოდენ თავადაზნაურობის კლასობრივ ინტერესებს გამოხატავდა. აღნიშნული მიმართებით ვერც სოციალისტ-ფედერალისტებმა მიაღწიეს თვალსაჩინო შედეგებს.

ერთ-ერთი დიდი სიძნელე გახლდათ ილიასეული ნაშრომების სრული კრებულის გამოუცემლობა. 1892 წელს დაიბეჭდა მხოლოდ ილიას მხატვრულ ნაწარმოებთა და თარგმანთა ოთხი ტომი. ასე რომ, მისი პუბლიცისტიკა და მეცნიერული ნააზრევი მთლიანი სახით გამოუქვეყნებელი რჩებოდა. ცნობილი ექიმისა და საზოგადო მოღვაწის მიხეილ გედევანიშვილის თაოსნობით ჩაფიქრებულ იქნა ილიასეული მრავალტომეულის დაბეჭდვა. აქედან მხოლოდ ერთი ტომი იქნა გამოცემული 1914 წელს, მსოფლიო ომის დაწყების გამო კი დანარჩენების დაბეჭდვა შეწყდა. თუმცა როდესაც მსგავსი ახალი წამოწყება მოხერხდა (1925 - 1929 წლებში), საკითხის მთელი სიგრძე-სიგანით შესწავლა მაინც შეუძლებელი გახდა, რამეთუ საბჭოთა წყობილება შესაბამისი იდეოლოგიითურთ კელავ გამორიცხავდა ჩვენი დიდი ეროვნული მოღვაწის ფენომენის სერიოზულ გააზრება-გაცნობიერებას.

1936 - 1937 წლებიდან „დიდი ბელადის" იოსებ სტალინის ინიციატივით დაიწყო ჩვენი დიდი მოაზროვნისა და მოღვაწის „რეაბილიტაცია". თითქოს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ქართულ მეცნიერებას (ისტორიოგრაფიას და ლიტერატურათმცოდნეობას) და ფილოსოფიას ამ თვალსაზრისით საგრძნობლად უნდა გადაედგა წინ ნაბიჯი, მაგრამ ამას ადგილი ჰქონდა არა რეალური საფუძვლის,

არამედ რუსი ე. წ რევოლუციონერ-დემოკრატების პარადიგმის მიხედვით. ამდენად, იგნორირებული იყო ელემენტარული ფაქტი – ილიას კუთვნილება ლიბერალიზმის მიმართულებისადმი, რაც სულაც არ გამორიცხავს კონსერვატიზმს (ინგლისური გაგებით).

ქართველმა საბჭოთა ავტორებმა, გამოჭრეს რა ილია განსაკუთრებით ბესარიონ ბელინსკის, ნიკოლაი ჩერნიშევსკისა, ნიკოლაი დობროლიუბოვისა და სხვათა თარგზე, იგი წარმოადგინეს ე. წ. რევოლუციონერ-დემოკრატად, მატერიალისტად, შესაბამისად – ათეისტად, საზოგადოებისა და ისტორიის გაგებაში ლამის ისტორიული მატერიალიზმის წარმომადგენლად და ამდენად საქართველოში მარქსიზმის წარმოშობისათვის, სოციალ-დემოკრატიული მიმართულებისათვის იდეური წანამძღვრების შემამზადებლად. თითქოს ეს ყოველივე ლოგიკური და ეროვნული თავმოყვარეობისათვისაც თავმოსაწონებელი იყო. მაგრამ, ცხადია, ამგვარი წარმოდგენები შეიქმნა არა ილიას ნააზრევისა და პრაქტიკული შემოქმედების ობიექტური, ადეკვატური შესწავლის შედეგად, არამედ, ვიმეორებთ, წინასწარ შემუშავებულ სქემის მიხედვით.

საშინელ სიყალბეს წარმოადგენდა ისიც, რომ საბჭოთა საქართველოში თითქოს აღსრულდა ილიასეული იდეალი – „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს". სინამდვილეში საბჭოთა კავშირი, როგორც სახელმწიფო, უნიტარიზმის თვალსაზრისით თითქმის იდენტური იყო რუსეთის ცარისტული იმპერიისა. თითქოს ამასვე ჰქონდა ადგილი ილიასეული სოციალური იდეალის აღსრულების თვალსაზრისითაც, რაც ასევე დიდ სიყალბეს წარმოადგენდა.

საქართველოში 1980-იანი წლების მეორე ნახევარში ფართოდ გაშლილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაშლა-განვითარებას თვალსაჩინო სტიმულები მიეცა ილიას ეროვნული იდეებით. მაგრამ გადის წლები და ჩვენი დიდი წინაპრის ნააზრევისა და პრაქტიკული ნაღვაწის შემეცნების საქმეში კელავ ბევრი რამ რჩება გასაკეთებელი. თუ რთული მოვლენის ნაწილ-ნაწილ შესწავლისას წარმატებები საკმაოა, ამას ვერ ვიტყოდით მოვლენის მთლიანი გააზრების (სინთეზის) თაობაზე.

უწინარესად უნდა აღინიშნოს, რომ ილიას უდავოდ სწორი პოზიცია ჰქონდა დაკავებული დაპყრობილ-დამონებულ საქართველოში სხვადასხვა სოციალური ძალების გაერთიანების სტარტეგიულ საკითხში. პარადოქსია, რომ ქართველი ესდეკების დიამეტრალურად განსხვავებული შეხედულება შესაბამის საკითხზე შორს იდგა თვითონ

მარქსიზმის კლასიკოსების (განსაკუთრებით ფრიდრიხ ენგელსის) აზრებისაგან. მოგვიანებით აღმოსავლეთის ქვეყნებში გაშლილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაანალიზების შედეგად იგივენაირი დასკვნა გააკეთეს ვლადიმერ ლენინმა და იოსებ სტალინმაც (შემდგომში იგივე დაასკვნეს აფრიკის ქვეყნების მიმართაც). რაკი ასე გახლდათ, ილიასეული იდეურ-პოლიტიკური პოზიცია სრულიადაც არ მოძველებულა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდან მოყოლებული (როგორც ამას მიიჩნევდა ი. სტალინი და რასაც გულუბრყვილოდ, უკრიტიკოდ იმეორებდნენ მავანი ქართველი ისტორიკოსები, ფილოლოგოსები და ფილოსოფოსები). ისინი კვლავაც აქტუალური იყო 1917 – 1918 წლებამადე და შემდგომშიც – 1921 წლიდან მოკიდებული.

ასე რომ, „მგზავრის წერილებში" ილიას მიერ დასმულ დიდად ტკივილიან კითხვაზე: „როდემდის? ოხ, როდემდის, როდემდის?... ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამის პასუხი" ილია პასუხს ვერ ეღირსა. ამაზე ისტორიამ პასუხი გასცა ილიას ტრაგიკული აღსრულებიდან თერთმეტი წლის შემდგომ – 1918 წლის 26 მაისს. დიდად სამწუხაროდ, 1921 წლის თებერვალ-მარტიდან დაწყებული კვლავ ბევრ მხრივ ძველებურ, მეფის რუსეთის დროინდელ მდგომარეობაში აღმოვჩნდით და ილიასეულ კითხვაზე პასუხი კვლავ, თითქმის სამოცდაათი წლით, დაგვიანდა.

მეტსაც ვიტყოდით, ილიას ნააზრევი და პრაქტიკული ნაღვაწი მეტად აქტუალურია დღევანდელ პირობებში, როცა გლობალიზაციის პროცესში უკრიტიკოდ ჩავებით (ეს განსაკუთრებით ეხება საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას).

რაც შეეხება ილიასეულ მსოფლმხედველობას, მისი მთავარი ფილოსოფიური ორიენტაცია გახლდათ არა მატერიალიზმი, არამედ დეიზმი. საზოგადოების გაგება-გააზრებისას კი იგი იდგა პლურალისტულ პოზიციაზე (ემხრობოდა ფაქტორების თეორიის თვალსაზრისს), ასევე რიგ ჰეგელისეულ დებულებებს. თუმცა იგი ღრმად არ იცნობდა ჰეგელის დიალექტიკას, მაგრამ მისეულ ნააზრევში არის მთელი რიგი მშვენიერი ნიმუშები დიალექტიკური აზროვნებისა.

საერთოდ, ილიას კრიტიკული, შემოქმედებითი აზროვნება შორს იდგა დოგმატიზმისა და ბრმა მიმბაძველობისაგან და უპირველეს ყოვლისა გულისხმობდა საქართველოს სინამდვილიდან ამოსვლას. კერძოდ, ეს გამოიხატა აგრეთვე ილიას დამოკიდებულებაში (მიმართებაში) მარქსიზმთან. ფაქტია, რომ თუმცა ამ მოძღვრებას,

მთლიანობაში აღებული (უფრო მეტად ითქმის ეს მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიის თაობაზე), ილია საფუძვლიანად არ იცნობდა, მაგრამ მისადმი ბევრად უფრო სერიოზული მიდგომა ჰქონდა, ვიდრე ქართველ ესდეკებს („მენშევიკებსა" და „ბოლშევიკებს"), რომელთაც ცალ-ცალკე თავი ორთოდოქს მარქსისტებად წარმოედგინათ.

საქართველოს პოლიტიკური განთავისუფლების (ჯერჯერობით ავტონომიის) მოპოვებისათვის ბძოლისას ილია წააწყდა მეფის რუსეთის ხელისუფლებისა და ქართველი ესდეკების (ორივე ფრთის) ერთობლივ მწვავე წინააღმდეგობას, რასაც ფიზიკურად ემსხვერპლა კიდეც.

წიგნში განხილულია აგრეთვე ილიას მხატვრული შემოქმედების ზოგიერთი შედეური („აჩრდილი", „ოთარაანთ ქვრივი" და „განდეგილი"). რომლებიც აქამდე ძირითადად ფილოლოგოსების „დომენად" ითვლება.

დაბოლოს, ავტორი მიიჩნევს, რომ საქართველოს ისტორიაში ილიას როლი ეთანადება ჩვენი სახელოვანი მეფის დავით აღმაშენებლისას და ამ მოსაზრებას წიგნის ბოლოში ასაბუთებს.

დანართი

ილიას სიდიადე

„ჯერ არ დამდგარა ილიას დიადობის აღნუსხვისა და დაფასების ხანა, ხოლო რაც დრო გავა წლითწლობამდე თანდათან უფრო გაიზრდება, გაბუმბერაზდება, ამაღლდება უმწვერვალეს კენწერომდე. რაც დრო გავა და რაც უფრო მეტად მოვშორდებით 30 აგვისტოს 1907 წლის სამარცხვინო აქტს, უფრო მეტი ძალით შეეიგრძნობთ ილიას დიადობას. მტერს კი ეგონა წიწამურთან დამთავრდა ილია".

ჟურნალი „ნიშადური" ილიას გარდაცვალებიდან ერთი წლისთავზე.

ილიას სიდიადეს კარგად ხედავდნენ მისი თანამედროვენი და შემდგომი ხანის ქართველები. მაგრამ სამწუხაროდ ეს იყო ქართველების ვიწრო წრე. ფართო მასებისათვის ჩვენი დიდი მოღვაწე და მოაზროვნე გაუგებარი დარჩა. უკეთეს შემთხვევაში მასში „კაკო ყაჩაღისა" და „გლახის ნაამბობის" ავტორს თუ ხედავდნენ. გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩვენი ისტორიის სარბიელზე გამოვიდნენ სოციალ-დემოკრატები, რომელთათვისაც ეროვნული საკითხი ზედმეტი გახდა. მათ მიაჩნდათ, რომ ისტორიის დღის წესრიგში იდგა სოციალიზმის აშენება, ხოლო ამ ახალი წყობილების დასამკვიდრებლად ერის თავისუფლებაზე ფიქრი, ლაპარაკი და მითუმეტეს პრაქტიული ზრუნვა ფუჭი და ამაო იყო. ეროვნული საკითხით დაინტერესებულთ ისინი „ნაციონალისტებს" უწოდებდნენ, ცხადია, სიტყვის ცუდი მნიშვნელობით. პირველ ნაციონალისტად კი ქართველი სოციალ-დემოკრატები თელიდნენ ილიას.

როგორი სამწუხაროც არ უნდა იყოს, ფაქტია რომ ჩვენი ცხოვრების წამყვან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალად იქცნენ სწორედ სოციალ-დემოკრატები – ილიას მოწინააღმდეგენი, ილიამ და მისმა მომხრეებმა კი საზოგადოებაზე დიდი გავლენა ვერ მოახდინეს. შესაბამისად, გაბატონებული გახდა ილიაზე ის ვიწრო, ცალმხრივი შეხედულება, რომელიც ნოე ჟორდანიას, ფილიპე მახარაძეს და სხვა სოციალ-დემოკატებს ჰქონდათ.

ოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში ოფიციალურმა აზროვნებამ აღიარა ილიას ეროვნული მოღვაწეობის დიდი როლი.

მაგრამ ეს მოხდა იმ საერთო განწყობილების ფონზე, რომ საქართველო თითქოს დიდად ბედნიერი ქვეყანა იყო; აშენებდა ყველაზე მოწინავე საზოგადოებას და თანაც, რასაკვირველია, ითთქოს ეროვნული საკითხი მისთვის საბოლოოდ გადაჭრილი იყო. ამგვარი აზროვნებისას, ადვილი მისახვედრია, ილიას სიდიადე და აქტუალურობა მთელი ძალით ვერ წარმოჩნდებოდა.

მაგრამ მოვიდა ეროვნული გამოფხიზლება-გამოცოცხლების დრო და ახლებურად, მთელი ბრწყინვალებით აელვარდა ილიას დიდება. ილიას იუბილესათვის, რომელიც 1987 წელს მოეწყო, ქართველობა რამდენიმე წელს ემზადებოდა. ამ წლების განმავლობაში ჩვენ ახლებურად აღვიქვით დიდი ეროვნული მოღვაწის საქმიანობისა და აზროვნების საზრისი. ამჯერად ეს მოხდა და ხდება ფართო საფუძველზე. არა მხოლოდ პატრიოტულად განწყობილი ინტელიგენცია და სტუდენტობა, არამედ ქართველთა ფართო ფენები თანდათანობით აცნობიერებენ თუ ვინ იყო და რას წარმოადგენდა ილია.

ჩვენ, ქართველები, საბედნიეროდ, მდიდარი ვართ წარსულის დიდი ისტორიული მოღვაწეებით. მაგრამ ყველაზე აქტუალური მათ შორის მაინც ილია გახდა. პირველ ყოვლისა ეს მოხდა ილიას მრავალმხრივი ნიჭის წყალობით. იგი იყო არა მარტო მშვენიერი პოეტი და პროზაიკოსი, არამედ ღრმა მოაზროვნეც, რომელმაც დიდი კვალი დაამჩნია ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებას. ისტორიოგრაფია (საისტორიო მეცნიერება), სამართალმცოდნეობა, პოლიტეკონომია, სოციოლოგია, სალიტერატურო კრიტიკა და ა. შ. – აი ის სფეროები, რომლებსაც ილიას მადლიანი ჭკუა-გონება შეეხო. ასე რომ, ილიაში, როგორ ვხედავთ, შერწყმული იყო, თანაარსებობდა პოეტიც, მწერალიც, მეცნიერიც და ფილოსოფოსიც. ეს კი სავსებით საკმარისი იყო იმისათვის, რომ ამგვარი ნიჭის მატარებელ პიროვნებას დიდი ადგილი დაეკავებინა ერის ისტორიაში. მაგრამ ილია კიდევ უფრო დიდი ნიჭის მქონე აღმოჩნდა. იგი გახლდათ დიდი პრაქტიკოსიც. რედაქტორი (უურნალებისა და გაზეთისა), ბანკის დირექტორი, "ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" თავმჯდომარე, მრავალი საზოგადოებრივი საქმის წამომწყები, სახელმწიფო საბჭოს წევრი, პოლიტიკოსი – აი რა სოციალური როლები ითამაშა ილიამ პრაქტიკულ სფეროში. თუ არა ბედკრული საქართველოს მდგომარეობა (ბედკრული გარეშე და საშინაო მტრების სიმრავლის გამო), ილიას შეეძლო ნებისმიერი დიდი ქვეყნის დიდი პრეზიდენტი

ან პრემიერ-მინისტრი გამხდარიყო (სხვათა შორის, მსგავსი აზრი ილიას შესახებ გამოსთქვა ი. ბ. სტალინმა – ილიას ანტიპოდმა საქართველოს ისტორიაში).

მაგრამ მხოლოდ ილიას ნიჭის მრავალმხრივობა ვერ აგვიხსნის ამ ისტორიული პიროვნების სახელის აღზევებას (მით ურო მომავალში!) ქართველობის თვალში. ამას ხელს უწყობს ჩვენი ისტორული ბედიც. საქმე იმაში გახლავთ, რომ ილიას იდეალები, ეროვნულიც და სოციალურიც, განუხორციელებელი რჩება. ილუზია, რომ საქართველო დამოუკიდებელი, თავისუფალი ქვეყანა გახდა, გაჰქრა. ასევე წარსულს ჩაბარდა ის დროც, როცა ჩაგეჩიჩინებდნენ და საზოგადოების ნაწილმა დაიჯერა, რომ საქართველოში მოისპო სოციალური უსამართლობის პრობლემა. ერთი სიტყვით, ჩვენ, დღევანდელი ქართველობა ბევრ მრივ თითქმის იგივენაირ ისტორიულ სინამდვილეში ვცხოვრობთ, როგორშიც ცხოვრობდა ილია. აქედან გამომდინარე, ბევრ მხრივ იგივენაირი პრობლემები გვაქვს გადასაწყვეტი, როგორიც ჰქონდა ილიას და მის თანამოაზრეებს. აი მიზეზი, რაც უაღრესად აქტუალურს ხდის ჩვენს დიდ მოღვაწესა და მოაზროვნეს. აღნიშნული მიზეზების წყალობით ილიას როლი საქართველოს ისტორიაში ამოწურული არაა, ეს როლი ახლებურად წარმოჩნდება ჩვენს მომავალ ისტორიაში, რომელმაც ეროვნული თავისუფლება უნდა მოგვიტანოს.

არც ერთი თანამედროვე ქართველი პოეტი არ გვეუბნება იმდენ რამეს, რაც უკვე გვითხრა ილიამ. ამის დასადასტურებლად რამდენი ერთი მაგალითი მოვიტანოთ:

„აყვავებულა მდელო,
აყვავებულან მთები;
მამულო საყვარელო,
შენ როსღა აყვავდები?"

ეს სტრიქონები დაწერილია 1861 წელს, ე. ი. 128 წლის წინათ. მაგრამ ვთქვათ არ დაწერილიყო და ახლა დაიწერა, განა ზედგამოჭრილი არ იქნებოდა ჩვენი დღევანდელი ყოფა-ცხოვრებისათვის!

მოვიგონოთ ლექსი „გუთნის-დედა", სადაც ილია ლაბა ხარს - წარსულში ქართველი კაცის განუყრელ თანამგზავრს, ესაუბრება:

„შენ ვერ გაიგებ მეტყველის ტანჯვას,
როცა სიტყვასა მართალს გულში ჰკლავს!...

აქ, მენდე, ლაბავ, ჩემი უღელი
შენს უღელზედა უფროა ძნელი".

განა იმავე ყოფაში არ აღმოჩნდნენ ნაღდი ქართველი პატრიოტები და მოაზროვნეები ათეული წლების მანძილზე, როცა თავისუფალ აზროვნებას, მართალ სიტყვას საქართველოში, ისევე როგორ მთელს საბჭოთა კავშირში, დიდი აკრძალვები ჰქონდა. ეს კიდევ რბილად ნათქვამი გამოგვივიდა, უფრო მეტიც, როცა მართალი სიტყვისათვის კაცს ფიზიკური განადგურება ან შორეული აღმოსავლეთი თუ ჩრდილოეთი ელოდა.

„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწენია?..
აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია".

ეს სტრიქონები ხომ გაღვიძებული, მომავლისაკენ შემართული ქართველობის ჰიმნად იქცა. ვიმეორებთ, რომელმა დღევანდელმა ქართველმა პოეტმა შესძლო, რომ მისი ლექსი მოწინავე ქართველობის ყველაზე პოპულარულ სიმღერად ქცეულიყო. ფაქტია, რომ ეს შესძლო ჩვენი წარსულის პოეტმა.

მოდით ახლა ჩვენთვის საჩოთირო თემას შევეხოთ. ჩვენ, ქართველები უნაკლონი ვჩანვართ ჩვენზე სადღეგრძელოების წარმოთქმისას. სინამდვილეში ქართველობას ბევრი რამ ნაკლი გვახასიათებს. ამის თაობაზე ილიამ, როგორც ცნობილია, დაწერა მშვენირი ლექსი „ბედნიერი ერი", სადაც თვით სათაურშივე გაცხადებულია ჩვენი ეროვნული ცხოვრების სიდუხჭირე და შესაბამისად – ხასიათის უბადრუკობა :

„ჩვენისთან ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!
მძიმე ყალნით,
ლამაზ ფალნით
მორთული და მშვენიერი".

როგორი სიტყვებია მოხმობილი ქართველთა დასახასიათებლად? „უშფოთველი", „ქვემძრომელი", „ყოვლად მომთმენი, ვით ჯორ-ცხენი", „თვალაბმული", „ყველა ყრუი, ყველა ცრუი", „ყველა ფლიდი, ცულლუტი და მანკიერი" და ა. შ. – ილია ამგვარად „ამკობდა" თავის თანამედროვე ქართველობას (ლექსი დაწერილია 1871 წელს). მაგრამ შემდგომმა ათწლეულებმა სულაც ვერ შეიტანეს დიდი

კორექტიეი ქართული ხასიათის ილიას მიერ დახატულ სურათში. მით უფრო ითქმის ეს 1921 წლის შემდგომი ხანის მიმართ, როცა ჩვენში დამყარებულმა ბიუროკრატიულმა წყობილებამ ქართველთა ნიშან-თვისებები კიდევ უფრო უარყოფითად წარმოაჩინა.

მადლობა ისტორიის გონს, ბევრი რამ იცვლება და მათ შორის ქართველთა ეროვნულ ხასიათში. მაგრამ ჯერჯერობით ილიას „ბედნიერი ერი" კელავ კარგად ასახავს ქართველთა დიდი ნაწილის ხასიათის უნიათობას, ილუზიებით გატაცებულობას, გონების სიჩლუნგეს და სხვ. აქაც, ვიმეორებთ, არავის არ უთქვამს ისეთი წონადი სიტყვა როგორც პოეტმა ილიამ. ასევე არც ერთ თანამედროვე პოეტს არ დაუწერია იმგვარი სატირული ისტორია საბჭოთა პერიოდის საქართველოს შესახებ, როგორიც დაწერა ილიამ მეცხრამეტე საუკუნის საქართველოზე (მხედველობაში გვაქვს „რა ვაკეთეთ, რას ეშვრებოდით ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტე საუკუნისა").

ჩვენს დღევანდელ ქართულ საზოგადოებაში მწვავე პრობლემად რჩება „ჩატეხილი ხიდის" საკითხი, რაც ილიამ დააყენა თავის დიდებულ „ოთარაანთ ქვრივში". ფაქტია რომ დღევანდელ საქართველოში ადგილი აქვს მოწინავე, პროგრესული ძალების ურთიერთგათიშულობას, მაშინ როცა ისტორიული ვითარება გაერთიანებას, კონსოლიდაციის საჭიროებს (ჩვენ, რა თქმა უნდა, იმთავითვე გამოვრიცხავთ კონსოლიდაციას საზოგადოების ჩამორჩენილ, კორუმპირებულ ნაწილთან). მაგრამ ამ იდეას ილია გვიქადაგებდა არა მხოლოდ „ოთარაანთ ქვრივში", არამედ მთელს თავის აზროვნებასა და პრაქტიკულ მოქმედებაში, თუმცა ილიას მოწინააღმდეგეებმა ყველაფერი იღონეს – და დიდი წარმატებითაც, – რომ ქართველობა საერთო მიზნისაგან აეცილებინათ და ურთიერთ დაეპირისპირებინათ. ისტორიამ კარგად აჩვენა, თუ როგორ მართალი იყო ილია და როგორ მწარედ სცდებოდნენ მისი მოწინააღმდეგენი. ისტორიის სწორი გაკვეთილის აღქმა-შეთვისება ჩვენ ძვირად დაგვიჯდა, რა უგუნურნი ვიქნებით, თუ წარსულის შეცდომას კელავ გავიმეორებთ. და რომ არ გავიმეოროთ, ამისთვის უფრო ღრმად უნდა შევისწავლოთ ილიას ნააზრევი და პრაქტიკული ნაღვაწი.

ისტორიის მსლელობა მხოლოდ ჩვენს ნება-სურვილზე არაა დამოკიდებული. ადამიანთა ამაღლებულობა მინერალურ, მცენარეულ, ცხოველურ და ა. შ. სამყაროსთან შედარებით იმაშიცაა, რომ ვისახავთ მიზნებს და ვიღვწით მათს განსახორციელებლად. მაგრამ

მიუხედავად ამისა მხოლოდ მიზნებით კი არ უნდა შემოვიფარგლოთ, არამედ ანგარიში გაეუწიოთ ისტორიის ობიექტურ მსვლელობასაც, რაც ჩვენზე არაა დამოკიდებული. თუ ასე არ ვიმოქმედეთ ჩვენ დონ-კიხოტის მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. ცხადია, ეს სულაც არ ნიშნავს პასიურობას და ოდენ ლოდინს ობიექტური ფაქტორების მომწიფებისათვის, ადამიანებმა უნდა იაქტიურონ აზროვნებითაც და პრაქტიკულადაც სათანადო პირობების დადგომამდე. ამდენად საჭიროა მოთმინებით მოქმედება და მომავლის პერსპექტივის სათანადოდ გათვალისწინება. ეს გაკვეთილიც ილიამ მშვენივრად ჩაგვიტარა. ახლა მთავარია, რომ ჩვენ ილიას უნიჭო მოსწავლეები არ აღმოვჩნდეთ.

ყოველივე ზემოაღნიშნული გვიხსნის თუ რატომაა ილია დიადი და ასეთი აქტუალური დღევანდელ საქართველოში, რატომ თამაშობს იგი დიდ როლს მომავალი თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოს დამკვიდრებაში.

„ახალგაზრდა ივერიელი",
1990, 31 მაისი.

როგორ მზადდებოდა ილიას მკვლელობა

"ახლა კარგად ვიცით ილიას ფიზიკურ მკვლელთა უმეტესობის ვინაობა. მაგრამ, ვიდრე ჩვენი ისტორიის ეს პეროსტრატეები ამ ბნელ საქმეს მოიმოქმედებდნენ, ჩვენი დიდი წინაპრის მოსპობა-განადურება, ჯერ, ქართველმა „ნაცრისფერმა ჟურნალისებმა" დაიწყეს".

კონსტანტინე გამსახურდია

მსგავსი უკეთური ქმედება ნოე ჟორდანიამ წამოიწყო; განაგრძეს ვინმე ვასილ ნაცვლიშვილმა, ფილიპე მახარაძემ, შალვა შარაშიძემ (თაგუნამ) და პეტრე გელეიშვილმა.

მაგრამ ამ მიმართებით მიღწეული „დიდი დამსახურება" ნოე ჟორდანიას არ უნდა დაეკარგოს! საყოველთაოდ არის ცნობილი, თუ როგორი „ოლიმპიური სიმშვიდით" შეხვდა იგი ილიას მკვლელობის ამბავს, როცა შენიშნა: „როცა ხეს ჭრიან, ნაფოტები სცვივაო"[1]. და ფილოსოფიურად (უფრო სწორად, დემაგოგიურად) დასძინა: ხომ ცნობილია, რომ საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ უდიდესი ქიმიკოსის ლავუაზიეს სიცოცხლე შეიწირა და, განა, ამ ფაქტის გამო, ამ რევოლუციის მნიშვნელობა უნდა უარეყოთო?! მაგრამ ასეთი დემაგოგიური არგუმენტით როგორ შეიძლება ჩვენი დიდი მოაზროვნისა და მოღვაწის მკვლელობის ახსნა და, მითუმეტეს, გამართლება! ჯერ ის გავითვალისწინოთ, რომ ლავუაზიე და ილია შესაბამისი პერიოდების საფრანგეთსა და საქართველოში ერთნაირი მნიშვნელობის ისტორიული პიროვნებანი არ იყვნენ. მეტსაც ვიტყოდით: როგორც ლავუაზიესადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში რუსი ავტორი იაკობ დორფმანი აღნიშნავს, „დოკუმენტები უეჭველობით აჩვენებენ, რომ მეცნიერებაში გამოჩენილი ნოვატორი, იმავდროულად, განურჩეველი ბურჟუაზიული საქმოსანი და რეაქციული პოლიტიკური მოღვაწე იყო"[2]. ასე რომ, მის მიმართ საფრანგეთის იმდროინდელი რევოლუციური ხელისუფლება და, მასთან ერთად, ხალხის მასა მთლად უსაფუძვლოდ როდი განწყობილან უარყოფითად.

რაც შეეხება ილიას, აქ ზედმეტად მივიჩნევთ, ჩვენი ქვეყნისთვის მისი მოღვაწეობის მნიშვნელობაზე საუბარს. სამაგიეროდ, საჭიროდ ვთვლით, თანამედროვე საზოგადოებას შეეახსენოთ „ნაცრისფერი ჟურნალისტის" ნოე ჟორდანიას ამჟამად ნაკლებად გახმაურებული პასკვილი ილიას შესახებ. ეს სტატია სათაურით „ქართველ მოღვაწეებში" დაიბეჭდა ჟურნალ „მოგზაურის" 1905 წლის 3

ილისის ოცდამეშვიდე ნომერში (გთავაზობთ სტატიის იმ მონაკვეთს, რომელიც ილიას ეხება).

„ძართველ მოღვაწეებში"

ხუთი წლის წინეთ რომ მომხდარიყო ის, რაც ამ ერთი კვირის წინ მოხდა, „მთელი საქართველო" ფეხზე დადგებოდა, შეინძრეოდა და ყურთასმენა აღარ იქნებოდა, ჩვენს ქალაქში. მართლაც და სახუმარო საქმე ხომ არ იქნებოდა ილია ჭავჭავაძეს რომ ბანკისთვის თავი დაენებებია და სამსახურიდან გასულიყო... ამის წარმოდგენასაც კი ვერ შეიძლებდა ბევრი „მოღვაწე" და თუ წარმოიდგენდა, უეჭველათ ტანში ურუანტელი დაუელიდა, ენა სასაზე მიეკვროდა და ხახაგამშრალი, გამოშტერებული დარჩებოდა. მას წარმოუდგებოდა საშინელი სურათი სამშობლოს დაღუპვისა, ცხოვრების შეჩერებისა და მრავალი სხვა უბედურებისა... დღეს კი ამ „დიდ უბედურებას" თითქმის არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია, და საზოგადოება ისე შეხვდა, თითქო ამდენ ხანსაც უნდა მომხდარიყოო. მხოლოდ ნამდვილმა მებანკეებმა გაუგზავნეს დეპუტაცია და თხოვეს დაბრუნება, მაგრამ ბატონი აღარ დაბრუნდა; ჯერჯერობით მაინც უარზეა, ან კი რათ უნდა დაბრუნდეს, როცა პენსიაც და ჯამაგირიც ყაელის შესრულებამდე რჩება, ხოლო დრო და მოცალეობა კი მეტი ექნება, თუნდ საგურამოს მამულის, იმ „დიდი დოვლათის" მოსაწყობათ, რომელიც მისთვის სამოთხეა, ხოლო (დღემდინ) მისი გლეხებისათვის ჯოჯოხეთი (როგორ ეტყობა გარეწრების – ვასილ ნაცვლიშვილისა და ფილიპე მახარაძის ჭორების უყოყმანო დაჯერება! – **გ. ყ.**). მერე კი როცა კენჭობანას დრო მოვა (თუ ამას დაუცადა და ძველებურათ უკანონოთ არ გამოაცხადა მის მიერ ათვალწუნებული დირექტორის არჩევნები!) კვლავ აცოცდება ბანკის მმართველის კოფოზე. დიახ, მეტათ შეუმჩნეველათ ჩაიარა ამ „დიდმა უბედურებამ", რადგან საქართველოს ბურჯის საუბედუროთ დრონი იცვალენ და რაღაც ახირებული ირონიის წყალობით მისი დაცემა სწორედ იმ დროს მოხდა, როცა მთელი ქალაქი და მთელი კავკასია მოწმე იყო ბურჯის მიერ ათვალწუნებულ ნულებისა და „შავი ხალხის" მოძრაობის ძლიერების გამოხატულებისა. ამ დროს ბურჯებზე არავინ ფიქრობდა, ყველას გონების თვალი მიპყრობილი იყო უჩინართა მოზღვავებულ ძლიერებისაკენ, ჭავჭავაძეზე და მის ბანკზე საფიქრალათ აღარავის ცხელოდა!...

მაინც, რა მოხდაო, იკითხავს მკითხველი. არაფერი, გამოაშკარავ-

და ის, რაც დიდი ხანია – უნდა გამოაშკარავებულიყო, გამოირკვა, რომ ჭავჭავაძის რეჟიმს ბანკი გაკოტრების კარამდინ მიუყვანია და საჭიროა ბანკის საზოგადოება უფრო მეტი სიფხიზლით მოეკიდოს საქმეს, თორემ, ნამდვილი გაკოტრებაც მალე მიადგებათ კარზე. ამისთვის, უმთავრესად ხელი შეუწყვია დამფასებელთა კომისიის დაუდევრობას და გამგეობის უმოქმედობას. ე. ი. ილია ჭავჭავაძის კამარილას. თითონ დიდი ბატონი იმით იმართლებდა თავს, რომ მას არც ერთი საქმე, არც ერთი დაფასება (!), არც ერთი დაგირავება (რომელიც კი ახსენეს) თითქმის თვალითაც არ უნახავს. კრებასაც, რამდენათაც ვატყობდით, საკმაოთ მიაჩნდა ასეთი გამართლება და „საქმეც" მშვიდობიანათ ჩაივლიდა, მაგრამ ბურჯის სამწუხაროთ დირექტორის ადგილას მრავალ მსურველთაგან არჩეულ იქმნა თ-დი ა. ზ. ჩოლოყაშვილი, ცნობილი საბანკო ორატორი! აი ამან გამოიწვია დაგვიანებული ეს კრიზისი. ჩვენ არ ვიცით, არის თუ არა რამე პრინციპიალური განსხვავება ახალ არჩეულსა და ჭავჭავაძეს შორის, ეფიქრობთ რომ დიდი განსხვავება არ უნდა იყოს, მხოლოდ ერთი კი აშკარაა, ნამეტურ ჭავჭავაძისთვის, რასაკვირველია თუ თ. ჩოლოყაშვილს შერჩენია რაიმე მაჩაბელისტობისა – აშკარაა რომ, ეს ახალი დირექტორი აღარ შეიქმნებოდა მისი ყურმოჭრილი მონა. და ვინც ჭავჭავაძეს იცნობს, ადვილათ წარმოიდგენს რომ იგი ასეთი კაცის გამგეობაში შესვლას ვერ დაეთანხმებოდა. აი, ეს შეიქნა კრიზისის მიზეზათ, ამას გაექცა თ-დი ჭავჭავაძე და მით ერთხელ კიდევ დაამტკიცა თავის გულზვიადობა. Sic transit gloria mundi! ამაზე ბევრათ უფრო დამახასიათებელი იყო ჭავჭავაძის ქცევა ბანკში დაქირავებულ მოსამსახურეთა შესახებ, რომელთაც, „ერთობისა" და ახალი სიოს გავლენით თავისი მდგომარეობის გაუმჯობესება მოეთხოვათ ამ რამდენიმე ხნის წინათ, მაგრამ ვერც ისე მტკიცეთ, რომ მიზნისთვის მიეღწიათ. მაინც თ. ჭავჭავაძეს თვით მოთხოვნის წამოყენებაც ისეთ მომაკვდინებელ ცოდვათ ჩაუთვლია, რომ საზოგადო კრებაზე წინადადებას იძლეოდა, ყველა მოსამსახურენი უნდა დავითხოვოთ, რადგან ასეთი თავხედობა გაბედესო. აი, ასეთია ჩვენი ბურჯის გულმოწყალეობა, მცირეთადმი თანაგრძნობა და სიბრალული.

საუკუნოთ იყოს ხსენება მისი".

ამის შემდგომ, ნ. ჟორდანიას ოპუსი ეძღვნება ჩვენი ცნობილი საზოგადო მოღვაწის, სწავლა-აღზრდის საქმის დიდი მოჭირნახულის ნიკო ცხვედაძის სახელის გაბიაბრუება-დამცრობას. კერძოდ, სტატიაში მას ბრალდებოდა თავად-აზნაურთა გიმნაზიის შენობის

აგებისათვის თავისმოუბმელობა, თანხების გაფლანგვა და მისთ., რაც რა თქმა უნდა, ყოვლად უსაფუძვლო ბრალდებებია.

ილიასა და ნიკო ცხვედაძესთან ანგარიშსწორების შემდეგ ნ. ჟორდანია თავის პასკვილს ასე ამთავრებს: „აი, ასეთია ქართველ მოღვაწეთა მოღვაწეობა, ესენი არიან ნამდვილი ქართველები, პატრიოტები, ნაციონალისტები, ფედერალისტები და ავტონომისტები! ამათ უნდათ განაგონ ერის საქმეები და შეინარჩუნონ ის ოპეკუნობა, რომელიც უდროობამ თუ სავსებით არ აკუთვნათ, დროებით მაინც დაასაკუთრებიათ. ასეთი პირები იყვნენ ძველი წყობილების დროს ქართული საქმეების სათავეში, რაც უფრო თვალსაჩინო გახადა ახალი დროის შუქმა, რომლის სინათლე ზოგისთვის – მაცოცხლებელი და ძალის მომმატებელია, ზოგისა კი დამღუპველი. პირველთ ეს მაგალითები ერთხელ კიდევ მოაგონებს, რომ ეკალზე მხოლოდ ეკალი ამოდის, რომ დროს გადასულ წოდების ინტერესების მსახურნი თვით უფრო ჩამორჩენილი არიან ცხოვრებას და მათი ზნეობრივი და გონებრივი გაკოტრება აუცილებელია. ამის ილლიუსტრაცია იყო ეს კრებები. ასეთი ალიაქოთია დღეს კეთილშობილთა ოჯახში, ბანკში, შკოლაში და იმედი უნდა ვიქონიოთ, მაცოცხლებელი მზის შუქი კიდევ **ბევრ ქვეწარმავალს გამოაჩენს მთელი მათი სიგრძე-სიგანით**– (ხაზგასმა ჩვენია – **გ. ყ.**)– “

***

დღევანდელ ქართველთა დიდი უმრავლესობა, ჩვენი მტკიცე რწმენით, უთუოდ, აღშფოთდება ნოე ჟორდანიას ამგვარი უტიფარი გამოხდომით. მაგრამ იმუამინდელი საქართველოს დიდი უბედურება ის იყო, რომ ხალხის მასის უმეტესობა ადვილად იჯერებდა თავისი ბელადების აზრებს. უფრო მეტად თავზარდამცემია ის გარემოება, რომ ილიას, 1905-07 წლებში, დაღუპვამდე, არავინ გამოქომაგებია. მხოლოდ მაშინ, როდესაც ილია სიცოცხლეს გამოასალმეს, მრისხანედ აღიმაღლეს ხმა ვაჟა-ფშაველამ, მიხაკო წერეთელმა, ირეოდიონ ევდოშვილმა, მიხეილ ჯავახიშვილმა და სილოვან ხუნდაძემ, უფრო მოგვიანებით კიტა აბაშიძემ. რით იყო გამოწვეული ეს ფაქტი? შიშით სოციალ-დემოკრატების ეგიდით მოქმედი ტერორისტების წინაშე, ქართველთათვის ერთობ დამახასიათებელი დაუდეგრობით თუ შურიანობით დიდი პიროვნების მიმართ?

ადვილი წარმოსადგენია, რა დღეში ჩავარდებოდა იმ პერიოდში ილია. მის სულიერ მდგომარეობას მშვენიერად გვისურათებს მისი მეგობრის – გერმანელი არტურ ლაისტის მოგონებანი.

მაგრამ, აღნიშნულ ვითარებასთან დაკავშირებით, დღევანდელი ქართველები ნუ აღმოჩნდებით ეიფორიაში. განა დღესაც თითქმის იგივე არ ხდება!? დღესაც ხომ ძალზე იოლად უსწორდებიან თვით ღირსეულ პიროვნებებს! და ვერ ვხედავთ, რომ საზოგადოებას მსგავსი ქმედება დიდად აღაშფოთებდეს.

ჩვენი მოვალეობაა ილიას ფენომენის უფრო ღრმად გაგება-გააზრება, წვდომა იმდროინდელ ისტორიულ მოვლენათა საზრისში. დიდი ეაჟაც ხომ ამას გვიქადაგებდა: „ილაპარაკეთ, ბევრი ილაპარაკეთ, ბევრი წერეთ ბატონებო, ილიაზე, რაც შეიძლება ბევრი!".

„თბილისი", 6 მარტი, 2003 წ.

P. S. ამის შემდგომ რად თუ არა წმინდა წყლის ფარისეველობად უნდა შეფასდეს ნოე ეორდანიას სიტყვები თავიანთ მოწინააღმდეგეებზე: „ჩვენ ვებრძვით იმათ არა როგორც კერძო პირთ, არამედ როგორც განსაკუთრებითი აზროვნების მატარებელთ. ჩვენ მათ აზრთან გვაქვს საქმე და არა მათ პიროვნებასთან... ვიმეორებთ, ჩვენ ვებრძვით თ. ი. ჭავჭავაძის მიმართულებას, რამდენათაც ეს მის პუბლიცისტურ მოღვაწეობაში გამოიხატა და არა მის პიროვნებას. აზრის სხვადასხვაობა არ ნიშნავს პირად მტრობას და შურის ძიებას" (იხ სტატია „ჩვენი პრესა").

---

[1] ბნელი ძალები, გაზ. „ჩვენი გზა", 1907, 9 ოქტომბერი, № 28.

[2] იხ. ავტორის „ლაეუაზიე", მეორე გამ. (რუსულ ენაზე), მოსკოვი, 1962, გვ. 7

THE PHENOMENON OF ILYA CHAVCHAVADZE

RESUME

The somewhat objective realization of Ilya's phenomenon in the Georgian public thought became very complicated and prolonged. One part of the contemporaries of the great personality properly estimated him i. e. at the level of common sense, but the estimation at the philosophical and scientific levels was excluded. As to Ilya's opponents – social-democrats, they comprehended his thoughts and practical activities in the ideological light, destroying reflection of the truth. They considered Ilya as a distinguished poet and writer, but as to his public and national contribution, they thought Ilya was lucky to have played a positive part in 1860-s events, but later he only expressed the class interests of the nobility. Neither the socialist-federalists had any notable results in this direction.

One of the greatest difficulties was the absence of the full collection of Ilya's works. In 1892 only four volumes of Ilya's fiction and translations came out. Thus his sociopolitical journalism and scientific thoughts full version was not available.

The known doctor and public figure Micheil Gedevanishvily thought to publish Ilya's works in many volumes, but only one volume saw the light in 1914, as the World War interrupted publishing the others. Though in 1925 – 1929, when the similar undertaking emerged, the all-side studying of the problem was yet impossible, as the soviet ideology still excluded the serious realization of the phenomenon of our great national figure.

From 1936 – 1937 on the "great leader (Vozhd)" Stalin's initiative, our great figure and thinker's rehabilitation began. Since the Second World War Georgian science (historiography and literary criticism) and philosophy seemed to have made a significant move forward, however it was done not on a real ground, but according to the so-called Russian revolutionary-democrats' paradigm. Thus, the elementary fact, that Ilya belonged to liberal tendencies, was ignored. Thus doesn't exclude conservatism (by English understanding).

The Georgian Soviet authors representing Ilya especially through Visarion Belinsky, Nikolai Chernishevsky and Nikolai Dobrolubov's design, showed him as a revolutionary democrat, materialist and accordingly an atheist, almost as a representative of Historical materialism, consequently as a preparer for ideological preconditions for Marxim and social-democracy. All seemed „logical" and encouraging national ambition.

But certainly such opinions emerged not after studying Ilya's thoughts and practical creative work, but according to the scheme worked out beforehand.

The horrible insincerity was to say that Ilya's idea "May we belong to ourselves" had come true. In reality the Soviet Union in the view of unitarianism was almost identical to the Russian Tsarist Empire.

Ilya's national ideas gave prominent stimuli to the development and spreading of national-liberating movement in the second half of 1980'ies.

The years passed, but still much is to be done in the comprehension of the thought and practical activities of our great ancestor. Though there are enough successes while studying the complex phenomenon partially, but this can't be said of the synthesis of the whole.

First of all it must be noted that Ilya, by all means, had a right position towards the strategic problem of the unification of social powers of conquered and enslaved Georgia. It is a paradox, that on this question Georgian social democrats' opinions quite differed from Marxism classical scholars' (especially from Fr. Engels). Later, as the result of analysis of the National-liberating movements in Eastern countries, the same conclusion was drawn by V. I. Lenin and I. V. Stalin as well (then the same conclusion was inferred towards African Countries). Consequently, Ilya's position has not become obsolete since the end of the XIX century (as it was concluded by Stalin and which was naively and without criticism repeated by some Georgian historians, philologists and philosophers), they still were relevant in 1917 – 1918 and then from 1921 on.

Thus in "The Traveler's Letters" to Ilya's painful question "till when? Oh, till when, till when my favourite Land, give me the answer?", Ilya didn't get a chance to have a reply. Only history answered it eleven years later after his death on the 26th May, 1918. To great sad, from February-March, 1921, we again appeared in old Tsarist Russia's condition and the reply to Ilya's question yet was late, for almost 70 years.

We would say even more, Ilya's thought and practical contribution is very actual at present, when we without any criticism joined the globalization process (That actually concerns the present Power of Georgia).

As to Ilya's philosophy, its philosophical orientation was not materialism, but Deism. While comprehending the society he had pluralistic position (supported the factors theories). He did not know Hegel's dialectics well, though in his opinions there are a number of fine examples of dialectical thought.

Generally, Ilya's critical creative thought stands far from dogmatism and blind imitativeness and first of all it was derived from Georgian reality. Namely,

it was expressed in Ilya's attitude towards Marxism. It is the fact, that though he didn't know this teaching well enough (mostly Marxist political economy), his approach to it was more fundamental, than of Georgian Social democrats („Mensheviks" and "Bolsheviks") who thought himselves to be Orthodox Marxists.

While struggling for Georgia's political freedom (as first as autonomy) Ilya faced the bitter controversy on the part of Russian Power and Georgian Social Democrats, to which he sacrificed himself physically.

The book observes some masterpieces of Ilya's fiction ("The Ghost", "Otaraant Widow", "The Hermit"), which up to now were basically thought to be the "domain" of the philologists.

ФЕНОМЕН ИЛЬИ ЧАВЧАВАДЗЕ

РЕЗЮМЕ

В грузинской общественной мысли слишком затянулась и затруднилась объективная, адекватная оценка феномена Ильи Чавчавадзе. Часть современников взгляды и деятельность выдающейся исторической личности оценивала с позиции здравого смысла должным образом. Однако, такая оценка исключалась на научном и философском уровнях. Что касается противников И. Чавчавадзе – социал-демократов, то большинство из них рассматривало его идеи и практическую деятельность сквозь политическую и идеологическую (в смысле уродливого отражения действительности) призму. По их мнению, И. Чавчавадзе хотя и был выдающимся поэтом и прозаиком, однако играл положительную роль в общенациональном масштабе лишь в шестидесятых годах XIX века, а в дальнейшем, якобы выражал классовые интересы лишь дворян-помещиков. В этом отношении не очень преуспели и социалисты-федералисты.

Объективной оценке мешало также отсутствие полного издания трудов И. Чавчавадзе. В 1892 году вышли четыре тома художественных произведений и переводов писателя, однако его публицистика, научные и философские взгляды в полном объеме оставались неизвестными. По инициативе известного врача и общественного деятеля М. Гедеванишвили задумано было многотомное издание трудов И. Чавчавадзе. В 1914 году вышел первый том, но начало Первой Мировой войны помешало изданию последующих томов. Хотя полное издание трудов благодаря стараниям грузинских патриотов было осуществлено в 1925 – 1929 годах. Однако при советском строе с его так называемом марксистко-ленинской идеологией невозможно было полномасштабное изучение феномена великого национального деятеля.

С 1936 – 1937 годов по инициативе «великого вождя» И. В. Сталина началась «реабилитация» выдающегося мыслителя и общественного деятеля нашей страны. Казалось что в этом отношении после Второй Мировой войны грузинская наука (историография, литературоведение) и философия шагнула вперед, однако осмысление имело место не на реальной почве, а на основе парадигмы русских т. н. революционеров-демократов. Игнорирован был самоочевидный факт – либеральное направление И. Чавчавадзе, что вовсе не исключает консерватизм в английском понимании.

Советские грузинские авторы искусственно представляли И. Чавчавадзе как революционера-демократа, подобно В. Белинскому, Н. Чернышевскому, Н. Добролюбову и др., считали его материалистом и соответственно, атеистом,

в понимании общества и исторического процесса чуть ли не представителем èñòорического материализма и, следовательно, идейным предтечей грузинской социал-демократии. Казалось, что это было логично и способствовало росту национальной гордости. Однако ясно, что подобные представления не были результатом объективного, адекватного изучения ценного наследия И. Чавчавадзе, а являлись следствием заранее разработанной схемы. Ужасной ложью было и то, будто в Совстской Грузии исполнилась заветная мечта Чавчавадзе о независимости страны. В действительности, Советский Союз, как унитарное государство, был почти идентичен царской Российской империи.

Несомненно, что национально-освободительные идеи Чавчавадзе в большой мере способствовали расширению масштабов оппозиционного движения в Грузии во второй половине восьмидесятых годов. Проходит время, но в деле познания идейного и практического наследия нашего великого предка еще многое предстоит сделать. Успехи при изучении отдельных моментов сложной проблемы, издании его произведений вполне достаточны (хотя предстоит завершение двадцатитомного издания), чего нельзя сказать о познании (синтеза) всего явления, как целого.

Прежде всего надо отметить, что И. Чавчавадзе занимал безусловно правильную позицию по стратегическому вопросу объединения различных социальных сил в порабощенной Грузии. Парадоксально, что позиция по данному вопросу грузинских социал-демократов была диаметрально противоположна и далека от взглядов самих классиков марксизма (особенно Фр. Энгельса). Позднее, анализируя национально-освободительное движение в восточных странах, аналогичный вывод сделали В. И. Ленин и И. В. Сталин (позднее к тому же выводу пришли в отношении стран Африки). Следовательно, идейно-политические взгляды И. Чавчавадзе не только не были устаревшими в конце XIX века (как считал Сталин и простодушно поверили многие грузинские историки, филологи и философы), но были актуальны в 1917 – 1918 годах и после 1921 года – периода оккупации и аннексии Грузии новой, советской Россией.

В своих «Письмах проезжего» на вопрос: «До каких пор, до каких пор?... моя любимая родина?» И. Чавчавадзе ответа (подразумевается обретение свободы страной) не дождался. Ответ дала история 26 мая 1918 года, спустя одиннадцать лет после гибели великого человека. К сожалению, после февраля-марта 1921 года мы вновь оказались в положении, в котором находились при царизме и ответ на поставленный И. Чавчавадзе вопрос был дан лишь спустя почти семдесять лет.

Взгляды и практическая деятельность И. Чавчавадзе актуальны и сегодня, когда нынешнее грузинское руководство без всякой критики втягивает нашу страну в процессы глобализации.

Что касается мировоззрения И. Чавчавадзе, его основной философской ориентацией был не материализм (как это старались представить), а деизм, в понимании общественных явлений истории же он придерживался плюралистического взгляда (теории факторов), в целом же стоял на идеалистических позициях.

И. Чавчавадзе хотя не был глубоким знатоком гегелевского философского учения, но в его произведениях мы встречаем целый ряд образцов диалектического мышления, понимания общества и истории на манер гегельянства.

Вообще критическое, творческое мышление Ильи Чавчавадзе далеко от догматизма и слепого подражательства, оно в первую очередь исходило из действительного положения Грузии. В частности, это видно из его отношения к марксизму. Он серьезно знал «Капитал» К. Маркса, слабо разбирался в историческом материализме, тем не менее его подход к марксизму был немного основательнее, чем у грузинских социал-демократов (как «меньшевиков», так и «большевиков»), считавших себя ортодоксальными марксистами.

В борьбе за политическое освобождение Грузии (вначале в виде автономии) И. Чавчавадзе встретил ожесточенное сопротивление как со стороны властей царской России, так и грузинских социал-демократов, что и привело к трагическому концу его жизни.

В книге рассматривается полемика И. Чавчавадзе с Ноем Жордания, Арчилом Джорджадзе, взаимоотношения с Иосифом Джугашвили (Сталиным). Обсуждаются с философско-филологической точки зрения также некоторые художественные шедевры писателя («Призрак», «Отарова вдова», «Отшельнию»), которые до сих пор в основном считались «доменом» филологов.

В заключении автор считает, что роль И. Чавчавадзе в истории Грузии сопоставима с ролью великого царя Давида Строителя (1089 – 1125), обосновывая это в отдельной главе.

სარჩევი

გვ.

ავტორისაგან 4

წინასიტყვა 7

თავი პირველი. ილიას ფენომენის გააზრების მოკლე ისტორია.....26

თავი მეორე. დიდი ცხოვრების მოკლე მატიანე (1837 წლიდან 1890-იან წლებამდე).....64

დიდი ცხოვრების მოკლე მატიანე (გაგრძელება) (1890 – 1900-იანი წლები).....107

თავი მესამე. ილიას სოციალურ-პოლიტიკური ნააზრევის რამდენიმე საკითხი.....147

§ 1 ახალგაზრდა ილია (სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი).....147

§ 2 ეროვნული და სოციალური განთავისუფლების საკითხი ილიას ნააზრევსა და პრაქტიკულ ნაღვაწში.....169

§ 3 თაობათა დაპირისპირებულობა და ერთიანობა (ილიასა და წინა თაობების მაგალითზე).....186

თავი მეოთხე. ილია, როგორც მოაზროვნე.....203

§ 1 უზოგადესი მოსაზრებანი.....203

§ 2 ილიას უმთავრესი ფილოსოფიური ორიენტაციის შესახებ.....214

§ 3 დიალექტიკური აზროვნების მომენტები.....221

§ 4 საზოგადოების გაგება-გააზრება.....231

§ 5 ჰეგელიანელობის გავლენა მსოფლიო-ისტორიული პროცესის გაგებაში.....240

§ 6 ისტორიული პიროვნების როლის გაგება.....247

§ 7 მიმართება „სოციალობის“ (სოციალიზმის) მოძღვრებასთან.....251

§ 8 დამოკიდებულება მარქსიზმთან.....259

თავი მეხუთე. ილია ისტორიის თეორიული საკითხების თაობაზე.....274

თავი მეექვსე. რამდენიმე მეცნიერული საკითხი ილიას ნააზრევის მიხედვით.....300

§ 1 ილიას ნააზრევი ერის შესახებ.....300

§ 2 ძართული ხასიათის შესახებ.....311

§ 3 ილიას აზრები პროკრუსტეს სარეცელზე (საქართველო-რუსეთის ურთიერთობანი).....320

§ 4 ერთი ილისეული აზრის გაგებისათვის.....330

§ 5 „ვეფხისტყაოსნის“ ერთი საკითხის შესახებ (ილიასა და აკაკის პოლემიკა).....339

თავი მეშვიდე. ილიას ზოგიერთი მხატვრული ნაწარმოების ფილოსოფიურ-ფილოლოგიური ანალიზის ცდა.....368

§ 1 “ჩატეხილი ხიდის“ პრობლემა ანუ ‘წყევა-კრულვიანი“ საკითხავი (‘ოთარაანთ ქვრივის“ მიხედვით).....368

§ 2 კომენტარები პოემა „განდეგილის“ თაობაზე.....379

თავი მერვე. ახალი „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლა?.....395

§ 1 ნოე ჟორდანიას ერთი ცნობა – სიმართლე თუ მისტიფიკაცია?.....395

§ 2 პოლემიკა ილიასა და ნოე ჟორდანიას შორის.....400

§ 3 ისევ ილიასა და ნოე ჟორდანიას შესახებ.....416

§ 4 ილიასა და არჩილ ჯორჯაძის პოლემიკა.....429

§ 5 ილიასა და იოსებ ჯუბაშვილის (სტალინი) ურთიერთ-მიმართება.....439

თავი მეცხრე. დავით აღმაშენებლისა და ილიას შეპირისპირება.....474

ბოლოთქმა.....483
დანართი.....487
ილიას სიდიადე.....487
როგორ მზადდებოდა ილიას მკვლელობა.....493

რეზიუმე (ინგლისურად).....498
რეზიუმე (რუსულად).....501

სარჩევი.....504

მხატვარი: მალხაზ კუხაშვილი

ფოტოსურათები: ედუარდ გიგილაშვილისა

ოპერატორი - თინათინ ლაღიძე

დამკაბადონებელი-გიორგი აფრიდონიძე